

ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია,
თეიმურაზ დარსანია, იოსებ ხუციშვილი

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დანაშაული)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2021



სახელმძღვანელო გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის“ ფარგლებში

რედაქტორი

ჯემალ გაბოკიძე

რეცენზენტი

თეა შაყულაშვილი

ტექნიკური რედაქტორები

ელენე ჩალაძე
თამარ ბარამია

ISBN 978-9941-25-923-4

© ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია, თეიმურაზ დარსანია, იოსებ ხუციშვილი

© საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

გამომცემლობა „მერიდიანი“ 2021

სარჩევი

წინასიტყვაობა	9
თავი I. სისხლის სამართლის ცნება, მიზნები, ამოცანები	11
1.1 სისხლის სამართლის ცნება, არსი, მნიშვნელობა	11
1.2. სისხლის სამართლის ამოცანები.....	17
1.2. სისხლის სამართლის რეგულირების საგანი და მეთოდი .	23
1.3. სისხლის სამართლის პოლიტიკა.....	28
1.4. სისხლის სამართლის სისტემა, ზოგადი და კერძო ნაწილი	33
1.5. სისხლის სამართლის კავშირი მომიჯნავე იურიდიულ დისციპლინებთან.....	41
1.6. სისხლის სამართლის მეცნიერება.....	47
1.7. სისხლის სამართლის პრინციპები.....	56
თავი II. სისხლის სამართლის კანონი, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები	67
2.1 საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა	67
2.2 სისხლის სამართლის კანონის ცნება და ნიშნები.....	73
2.3 კანონის ანალოგია და მისი გამოყენების ფარგლები.....	79
2.4 სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურა (დისპოზიცია და სანქცია, მათი სახეები).....	81
2.5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების საქართველოს კონსტიტუციასთან და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან შესაბამისობის საკითხი	88
2.6. სისხლის სამართლის კანონის ახსნა-განმარტების ცნება და სახეები.....	92

2.7 სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში, სისხლის სამართლის კანონის უკუძალა.....	99
2.8. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში.....	106
2.9 დამნაშავის გადაცემა და ექსტრადიცია	114
თავი III. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება და საფუძველი, დანაშაულის ცნება და ნიშნები.....	121
3.1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება და საფუძველი	121
3.2. დანაშაულის ცნება და ნიშნები.....	129
3.3. დანაშაულის განსხვავება სხვა სამართალდარღვევისაგან, ამორალური ქცევისაგან.....	143
3.4. დანაშაულის კლასიფიკაცია.....	145
3.5. ქმედების კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია.....	150
თავი IV. ქმედების შემადგენლობა	155
4.1. ქმედების შემადგენლობის ცნება.....	155
4.2. ქმედების შემადგენლობის სახეები	168
4.3. ქმედების შემადგენლობის ნიშნები	171
თავი V. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	175
5.1 ქმედების ობიექტური შემადგენლობის ცნება და ნიშნები.....	175
5.2 ქმედების სუბიექტი	176
5.3 ქმედების ობიექტი.....	179
5.4 ქმედება	185
5.5 შედეგი.....	197
5.6 მიზეზობრივი კავშირი, მიზეზობრიობის სახეები.....	201
5.7 ობიექტური შერაცხვა.....	213
5.8 ქმედების ობიექტური შემადგენლობის სხვა ელემენტები	

(ფაკულტატური ნიშნები)	221
თავი VI. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	236
6.1 ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, ცნება და ნიშნები	236
6.2 განზრახვა და მისი სახეები (ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტები).....	238
6.3 განზრახვის სხვა სახეები.....	247
6.4 გაუფრთხილებლობა და მისი სახეები.....	255
6.5 პასუხისმგებლობა თანამდევით შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის	264
6.6 მოტივი და მიზანი, მათი მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის.....	269
თავი VII. ქმედების შემადგენლობის შეცდომა.....	277
7.1 შეცდომა პიროვნებასა და ობიექტში	278
7.2 შეცდომა მიზეზობრივ კავშირში.....	282
7.3 აცდენილი ისრის თეორია.....	285
თავი VIII. დაუმთავრებელი დანაშაული	289
8.1 დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება და ნიშნები	289
8.2 დანაშაულის მომზადება, მომზადების ობიექტური და სუბიექტური ნიშნები	295
8.3 დანაშაულის მცდელობა, მცდელობის ცნება და სახეები	303
8.4 უვარგისი მცდელობა.....	310
8.5 დანაშაულის მომზადების და მცდელობის შეუძლებლობა ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარის თავისებურებების გამო	313

8.6 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ცნება და
ნიშნები.....327

**თავი IX. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში
თანამონაწილეობა341**

9.1 დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება341

9.2 დანაშაულის ამსრულებლობა348

9.3 დანაშაულში თანამონაწილეობა.....364

9.4 ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა ...371

9.5 ამსრულებლის ექსცესი ცნება, სახეები და მნიშვნელობა 377

9.6 ჯგუფური დანაშაული: ცნება და სახეები.....379

**თავი X. მართლწინააღმდეგობა, მართლწინააღმდეგობის გამომ-
რიცხველი გარემოებები385**

10.1 მართლწინააღმდეგობა, სისხლისსამართლებრივი
უმართლობა, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი
გარემოებები, ცნება და სახეები.....385

10.2 აუცილებელი მოგერიება, აუცილებელი მოგერიების ცნება
და შინაარსი392

10.3 დამნაშავის შეპყრობა, მართლზომიერების პირობები....407

10.4 უკიდურესი აუცილებლობა, ცნება და შინაარსი.....412

10.5 მართლზომიერი რისკი, მართლზომიერი რისკის ცნება და
შინაარსი.....416

10.6 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან
გათავისუფლება სხვა მართლზომიერი ქმედების დროს419

**თავი XI. ბრალი, ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი
გარემოებები426**

11.1 ბრალის ცნება და შინაარსი, ბრალის თეორიები426

11.2. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი

გარემოებები: ცნება და სახეები.....	432
11.3. შერაცხადობის ცნება, შეურაცხაობის ცნება და კრიტერიუმები, შეურაცხაობის სახეები	435
11.4. შეურაცხაობა ასაკის გამო.....	437
11.5 შეურაცხადობა ფსიქიკური დაავადების გამო.....	442
11.6. შეზღუდული შერაცხადობა.....	447
11.7. იურიდიული შეცდომა და მისი ზეგავლენა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე	448
11.8. ბრძანების ან განკარგულების შესრულება	455
11.9. ბრალის გამომრიცხავი სხვა გარემოებანი	457
თავი XII. ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე. ერთიანი დანაშაული	462
12.1 დენადი დანაშაული.....	464
12.2 განგრძობადი დანაშაული	469
12.20. დანაშაულის სიმრავლე.....	473
12.3 არაერთგზისი დანაშაული.....	474
12.4 დანაშაულთა ერთობლიობა	479
12.5 დანაშაულის რეციდივი.....	488
12.6 რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი.....	490
გამოყენებული ლიტერატურა	499

წინასიტყვაობა

სახელმძღვანელო შედგენილია განახლებული პროგრამის მიხედვით. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ბოლო პერიოდში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე განხილულია სისხლის სამართლის ძირითადი ცნების შინაარსი. რაც თავის მხრივ, განაპირობებს დანაშაულთა ნიშნების ახლებურ გაგებას. დანაშაულის ცნება წლების განმავლობაში დამკვიდრებული სქემისაგან (ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი, სუბიექტური მხარე), განსხვავებულად არის განხილული. დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა, რომელიც დამკვიდრდა საქართველოს სისხლის კანონმდებლობაში და ეფუძნება დანაშაულის ზოგად მოძღვრებას, წარმოადგენს სისხლის სამართლის სწავლების პროცესის მთავარ ქვაკუთხედს.

ქართული სისხლის სამართალი თანდათან ვითარდება და მის წინაშე გამუდმებით ახალი გამოწვევებია, რომელიც ჯეროვანი ანალიზი და დამუშავება სჭირდება. აღნიშნული ნაშრომი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ეს არის კანონმდებლობაში დანაშაულის ცნების სამსაფეხურიანი სისტემის დამკვიდრების შემდეგ პირველი ცდა ქართულ რეალობაში სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში სალექციო კურსის შექმნისა. დანაშაულზე მსჯელობისას თავისთავად დგება დანაშაულის ცნებისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნების გამიჯვნის საკითხი. ასეთ შემთხვევაში პასუხი ცალსახაა. დანაშაულის ცნება უფრო ფართო ცნებაა ვიდრე დანაშაულის შემადგენლობის ცნება. აღნიშნულიდან გამომდინარე დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა, რომელიც ეფუძნება დანაშაულის ზოგად მოძღვრებას სისხლის სამართლის სწავლების ქვაკუთხედი. იგი სტუდენტს ეხმარება შემთხვევის სწორად ამოხსნასა და დასაბუთება-

ში, ხოლო შემდგომ პრაქტიკოს-იურისტს სისხლის სამართლის ნორმის რაციონალურად გამოყენებაში.

სახელმძღვანელო განკუთვნილია მომავალი და მოქმედი იურისტებისათვის. აგრეთვე სისხლის სამართლის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

თავი I. სისხლის სამართლის ცნება, მიზნები, ამოცანები

1.1 სისხლის სამართლის ცნება, არსი, მნიშვნელობა

სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, მსგავსად სხვა დარგებისა, შედგება შინაარსობრივად ერთგვაროვანი ნორმებისაგან, რომლებიც განლაგებული არიან მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით. სისხლის სამართლის ცნება აუცილებლად უნდა მოიცავდეს ყველა იმ არსებით ნიშან-თვისებას, რომლებიც დამახასიათებელია სამართლის ამ დარგისათვის. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართალი შეიძლება განვმარტოთ როგორც, სამართლის დარგი, რომელიც სისხლის სამართლის კანონის მეშვეობით განსაზღვრავს თუ რომელი ქმედება უნდა ჩაითვალოს დანაშაულად და შესაბამისად ადგენს სასჯელს, რომელიც უნდა შეეფარდოს ამ ქმედების ჩამდენ პირს, რაც თავისი არსით უპირველესად ემსახურება დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლას. სისხლის სამართალი ამ ბრძოლის პირველ ეტაპზე სასჯელის მუქარით ეწევა დანაშაულის თავიდან აცილებას, პრევენციას, ხოლო მეორე ეტაპზე გამოიყენება სასჯელი ან ზემოქმედების სხვა საშუალება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული – სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება.

სისხლის სამართალს, როგორც სამართლის დამოუკიდებელ დარგს გააჩნია ყველა ის ძირითადი ნიშნები და პრინციპები, რაც ზოგადად სამართლისათვის არის დამახასიათებელი. ამასთან, მასში არსებობს ისეთი სპეციფიკური ნიშნები და პრინციპები, რომლებიც გამოხატავენ ამ დარგის თავისებურებას და წარმოადგენენ მისი სამარ-

თლის დამოუკიდებელ დარგად გამოყოფის საფუძველს.

სისხლის სამართლის არსის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს გავერკვეთ იმ სიახლეებში, რომლებიც განიცადა საქართველოს მთელმა სამართლებრივმა სისტემამ, თანამედროვე პირობებში შეუერთდა რა რომანულ-გერმანული (კონტინენტური ევროპის) სამართლებრივ სისტემას, ქართულმა სისხლის სამართალმა თავის ისტორიაში, პირველად გააზიარა სამართლის ნორმების დაყოფა საჯარო და კერძო სამართლად. ასეთი დაყოფა მართალია მხოლოდ მეცნიერულ ხასიათს ატარებს, მაგრამ თანაფართობა სამართლის ამ ორ ნაწილს შორის აისახა კანონმდებლობაში.¹

სისხლის სამართალი, როგორც სამართლის სისტემის შემადგენელი დარგი, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ამ თვალსაზრისით სისხლის სამართალი მოიცავს შესაბამის კანონმდებლობას, აგრეთვე კანონშემოქმედებასა და სამართლის შეფარდებასთან დაკავშირებულ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებს. ამგვარი ურთიერთობები მოქმედებას იწყებენ კანონის ძალაში შესვლისთანავე.

ამრიგად, კანონშეფარდება სისხლისსამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთ ეტაპადაა მიჩნეული. სისხლის სამართლის კანონის ამოქმედების შემდეგ წარმოიშობა ზოგადად რეგულირებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა. ამ ურთიერთობის მონაწილენი არიან სახელმწიფო და ყველა ის პირი, რომლებიც შეიძლება იყვნენ დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტები.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა წარმოადგენს

¹ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.11

საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, პარლამენტის მიერ დადგენილ ნორმათა სისტემას, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს, დანაშაულად გამოცხადებულ ქმედებათა წრეს, მათთვის დაწესებული სასჯელის სახეებსა და ოდენობას, სასჯელის დანიშვნისა და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძვლებს და სხვა. დანაშაული და სასჯელი სისხლის სამართლის ფუნდამენტური ცნებებია. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზოგიერთ ევროპულ ენაზე სამართლის ამ დარგს ორგვარი სახელწოდება აქვს იმის და მიხედვით, თუ რა იდეაა წინა პლანზე წამოწეული. თუ ასეთად დანაშაულის ცნებაა მიჩნეული, მაშინ მას უწოდებენ დანაშაულის სამართალს, თუ აქცენტი კეთდება სასჯელის ცნებაზე, მაშინ მას უწოდებენ შესაბამისად სასჯელის სამართალს.

ქართულ ენაზე სახელწოდება „სისხლის სამართალი“ უკავშირდება მისი განმსაზღვრელი ტერმინის „სისხლის“ პირდაპირ მნიშვნელობას. პირველყოფილ საზოგადოებაში დანაშაულის ჩადენისათვის მიზღვევა, შურისძიება გამოიხატებოდა სისხლის აღებით, რაც დროთა განმავლობაში ქონებრივი საზღაურის გადახდით შეიცვალა. თუმცა ტერმინი „სისხლი“ დარჩა. ასე, რომ „სისხლის სამართალი“, დასჯის სამართალს ნიშნავს“. სასჯელზეა გადატანილი აქცენტი ასევე სისხლის სამართლის რუსულ სახელწოდებაში „уголовное прова“ ანუ „отвечать головой“. საქმე ისაა, რომ როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, აქ სასჯელი თავდაპირველად ბოროტმოქმედისთვის თავის მოკვეთას გულისხმობდა („отвечать головой“).² ეს იყო სიკვდილით დასჯის,

² სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., 2016, გვ.18

ერთ-ერთი ფორმა. (ესე იგი „Уголовление“ ან „Уголовить“ თავის მოკვეთა). როგორც ჩანს, ტერმინი „სისხლის სამართალი“ სამართლის ამ დარგში გამოხატული ორი ძირითადი ცნების-დანაშაულისა და სასჯელის მიმართებას გამოხატავს.³

სისხლის სამართლის ეს ფუნდამენტური ცნებები (დანაშაული და სასჯელი) ანარეკლია იმ ისტორიული სინამდვილისა, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა სისხლისამართლებრივი იძულების მექანიზმით.

თავდაპირველად სისხლის სამართლის ნორმები გაბნეული იყო ზოგადი ხასიათის სამართლებრივ აქტებში. ასეთი აქტები შეიცავდა ნორმათა განსაზღვრულ ერთობლიობას, რომელთა მიზანს ადამიანთა მრავალფეროვან ურთიერთობათა რეგულირება წარმოადგენდა, ამის ნათელი მაგალითია ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი.

- სისხლის სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება შეიძლება სამ თვისობრივად განსხვავებულ ეტაპად დავეყოთ: როდესაც სახელმწიფო ყალიბდებოდა, დანაშაულებრივ ქმედებებს ებრძოდა კერძო „შურის მაძიებელი“, რომელიც ჩვეულებებით და ტრადიციებით ხელმძღვანელობდა.
- მეორე ეტაპზე მოქმედებდა, როგორც დაუნერელი (ჩვეულებითი), ისე დაწერილი სამართლით.
- მესამე ეტაპზე, რომელიც ამჟამადაც გრძელდება, მოქმედებს მხოლოდ დაწერილი სამართალი, უფრო ზუსტად-კოდიფიცირებული სამართალი.

სისხლის სამართალი სამართლის სისტემის შემადგენელი ნაწილია. ამიტომაც მას ახასიათებს სამართლისათვის ზოგადად დამახასიათებელი ყველა ნიშანი, მაგალითად,

³ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., 2016, გვ.18

ნორმატიულობა, შესრულების სავალდებულობა და ა. შ. თავად სამართალი, მოიცავს როგორც კერძო ისე საჯარო სამართალს. კერძო სამართალი ადამიანთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს, ხოლო საჯარო სამართალი აწესრიგებს იმ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია საჯარო ხელისუფლების აღსრულებასთან. სისხლის სამართალი სწორედ საჯარო სამართალს მიეკუთვნება, რადგან აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხარეთა თანასწორუფლებიანობას, რაც დამახასიათებელია კერძო სამართლისთვის, არამედ სამართლის ნორმებში ასახული სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას. სამართლის მიზანს წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობის მონესრიგება ანუ ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. სამართალი შემოფარგლავს საზღვარს, რომლის არეალშიც ადამიანს შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს. საზღვრებს გადასვლა აკრძალულია. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ის, რომ ძველ ქართულ სამართალში, რაკი შჯული, კანონი და წესი უცდომელი და სამართლიანი მოქმედების საზღვრად იყო მიჩნეული, ამიტომ ამ ცნებათა დამრღვევი მოქმედება საზღვრისა, თუ კანონისა ან წესისა, გინდა მცნების „გარდასვლად“ იყო მიჩნეული. საჯარო სამართლისადმი სისხლის სამართლის (როგორც მატერიალური, ისე საპროცესო) კუთვნილებას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქვს სისხლისსამართლებრივი დასჯის უფლებამოსილება, ბრალდების მონოპოლია კი პროკურატურას.⁴ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სისხლის სამართალი, როგორც საჯარო სამართლის დარგი არის ნორმების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელი მართლსაწინააღმ-

⁴ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.19

დეგო ქმედება ჩაითვლება დანაშაულად და ამის შესაბამისად, როგორი სასჯელი შეეფერება ამ ქმედების ჩამდენ პირს.

დანაშაულთან ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართლის კანონს, რამდენადაც სწორედ მისი საშუალებით ხორციელდება, როგორც ადამიანის და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა, ისე საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დაცვა, ასევე კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.⁵ სისხლის სამართალი იმით განსხვავდება სამართლის სხვა დარგებისგან, რომ იგი იცავს დანაშაულებრივი ხელყოფისგან საზოგადოებრივ ურთიერთობებს (უფრო ზუსტად იცავს ამ ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესებს), რომელთა უმრავლესობა რეგულირებულია საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, საფინანსო, სამოქალაქო, შრომის და სხვა სამართლის დარგების ნორმებით. მაგალითად საკუთრების უფლება მოწესრიგებული და დაცულია სამოქალაქო სამართლის ნორმებით, მაგრამ საკუთრების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან (ძარცვის, ქურდობის, ყაჩაღობისას და ა.შ.) ხორციელდება სისხლის სამართლის ნორმებით. ამრიგად სისხლის სამართლის ძირითადი ფუნქცია დაცვითია. ისტორიულად თავისი წარმოშობის მომენტიდან ის მოწოდებული იყო დაეცვა საზოგადოება ისეთი

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22/07/1999, 1 მუხლის 1 ნაწილი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=229>

ხელყოფისგან, რომელიც ემუქრება ადამიანის არსებობის ფიზიკურ და სოციალურ საფუძველს.

იურიდიულ ფაქტს, რომლის საფუძველზეც ნარმოიშობა დაცვითი სამართლებრივი ურთიერთობები, ნარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედება. დანაშაული ხელყოფს რა სამართლის სხვა დარგებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს (მონაწილეთა ინტერესებს), იგი ეწინააღმდეგება არა სისხლის სამართლის კანონს, არამედ იმ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ ამ ურთიერთობებს. მათ კი სასჯელის მუქარით დანაშაულებრივი ხელყოფისგან იცავს სისხლის სამართლის კანონი. დანაშაული ერთის მხრივ ცვლის რა არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, მეორეს მხრივ, ქმნის ახალ სამართლებრივ ურთიერთობას დანაშაულის ჩამდენ პირსა და სახელმწიფოს შორის. ე.წ. წმინდა სისხლის სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც მოწესრიგებულია მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმით.

1.2. სისხლის სამართლის ამოცანები

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა სისხლის სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგის მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილ ნუსხას. მასში მხოლოდ ზოგადი ნორმითაა გადმოცემული, რომ მისი მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.⁶ სისხლის სამართლის მიზნები და ამოცანები ერთმანეთთან იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ერ-

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22/07/1999, პირველი მუხლის მესამე ნაწილი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=229>

თობ გართულებულია.⁷ სისხლის სამართლის მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა პროფესორ გ. ნაჭყეხიას მოსაზრება: „დავას არ ინვეეს პოზიტიური პასუხისმგებლობის ეფექტურობა დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის, რადგან ვინც თავის მოვალეობას ეკიდება პასუხისმგებლურად ის არ დაუშვებს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენას; პირიქით ის მოქმედებს დანაშაულთა თავიდან აცილების ინტერესებში. ეს საბოლოოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის მთავარი მიზანია დანაშაულთა თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, ხოლო ეს მიზანი მიიღწევა არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის პრევენციული ფუნქციით, არამედ უმთავრესად სისხლის სამართლის სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის მეშვეობით, როცა იგი ასრულებს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და როგორც პიროვნება ამ ვალდებულებას ეკიდება პასუხისმგებლურად, ე.ი. ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით.“⁸

დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილების ამოცანა პირდაპირ გამომდინარეობს სისხლის სამართლის ნორმებიდან, რომლებიც აღიარებენ სასჯელის გამოყენებაზე სახელმწიფოს უფლებას და უზრუნველყოფენ მის განხორციელებას. ამრიგად, ეს ამოცანა პირდაპირ უკავშირდება სასჯელის ძირითად მიზანს, რომელიც დანაშაულის თავიდან აცილებაში ანუ პრევენციაში მდგომარეობს და ეს ლოგიკურიცაა. სისხლის სამართალს დამნაშავეობასთან

⁷ ი.გაბისონია, ჯ.გაბელია, თ.დარსანიას, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2018, გვ.19

⁸ სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყეხია, თბ., 2016, გვ. 28

საბრძოლველად გარდა სასჯელისა, რაიმე სხვა საშუალება არ გააჩნია.⁹ უმთავრესი ამოცანა სისხლის სამართლისა – ეს არის ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით გადანყვეტა კი უშუალოდ არის დაკავშირებული კანონმდებლობის სტაბილურობასთან.

უფრო ვრცლად სისხლის სამართლის მიზნები და ამოცანები შეიძლება ჩამოვაცალიბოთ შემდგენაირად: სისხლის სამართლის ისეთი ნორმების დადგენა, რომელთა დროული გამოყენება ხელს შეუწყობს ქმედების დანაშაულად სწორ კვალიფიკაციას, დანაშაულის სწრაფ გახსნას და მის თავიდან აცილებას. ასევე, მართლწესრიგის დაცვასა და მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა-განმტკიცებას, კანონიერების, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემასა და ამ იდეების საზოგადოებაში დამკვიდრებას, სისხლის სამართლის კანონით დადგენილი პრინციპების დაცვასა და სხვა. როგორც ზემოთ ავლენინეთ, დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილებას მიზნად ისახვას საზოგადოებაში და განსაკუთრებით დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისაკენ მიდრეკილების მქონე პირთა წრეში ისეთ პრევენციული ღონისძიების გატარებას, რომლებიც მიმართულია ჩაფიქრებულ ან მომზადებულ დანაშაულთა განხორციელების არდაშვებისა და დაწყებულ დანაშაულთა აღკვეთისაკენ. ეს მრავალმხრივი და რთული პროცესია, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია არა მარტო, მართლწესრიგის ოფიცრების, უსაფრთხოების სამსახურების (ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების), საგამოძიებო, პროკურატურის, სასამართლოს, სხვა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობასთან, არამედ იგი იწყება

⁹ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 19

კანონშემოქმედებითი საქმიანობით, მოიცავს ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური და სხვა პრობლემების გადაწყვეტას, საზოგადოებაში სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპის დანერგვას, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების მონაწილეობის ორგანიზებას, რაც პირველ რიგში, საჯარო სამსახურების, მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მოვალეობას ნარმოადგენს.

სამართლებრივი სიკეთის დაცვა სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სამართლებრივი სიკეთე უნდა განვიხილოთ, როგორც სამართლით დაცული ინდივიდუალური, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინტერესი. „სისხლის სამართალში განასხვავებენ სამართლებრივ სიკეთეთა ორ ჯგუფს ინდივიდუალური (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება და ა.შ.) და უნივერსალური, ანუ საყოველთაო (კონსტიტუციური წესწყობილება, საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი, საყოველთაო მშვიდობა და ა.შ.) სამართლებრივი სიკეთე.¹⁰

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის მთავარი ფუნქცია-დაცვითია. ამასთან ერთად სისხლის სამართალს გააჩნია სხვა ამოცანებიც. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დანაშაულის თავიდან აცილების ზოგადი და სპეციალური ფუნქცია. პირველი გამოიხატება სისხლის სამართლის კანონით აკრძალვების დადგენაში, რომელიც ზემოქმედებს მერყევ ელემენტებზე, რათა მათ არ ჩაიდინონ დანაშაული. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის აუცდენლობაში, რაც ხორციელდება ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების გზით. დანაშაულის თავი-

¹⁰ მ. ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 16

დან აცილების სპეციალური ფუნქცია ხორციელდება სასჯელის ან ზემოქმედების სხვა ღონისძიების მათ მიმართ გამოყენებით, რომელთაც სისხლის სამართლის აკრძალვა დაარღვევს.

სისხლის სამართალს გააჩნია აღმზრდელიობითი ფუნქციაც. სისხლის სამართლის კანონმდებლობა, მისი პრაქტიკული გამოყენება მოქალაქეებში ზრდის კანონისადმი პატივისცემას, პიროვნების, მისი კანონიერი უფლებების, ინტერესების და თავისუფლებების დაცვის, აგრეთვე დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენთა მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გარდუვალობის მრწამსს.

მეორე ძირითადი ამოცანა, მართლწესრიგის დაცვა, სისხლის სამართლის ნორმების დაცვითი ფუნქციიდან გამომდინარეობს. მაგრამ აქ უნდა გავაკეთოთ ზოგიერთი თეორიული დაზუსტება, რაც აუცილებელია საკითხის არსის, სწორი გაგებისათვის, ეს შეეხება მართლწესრიგს, მის არსს და სტრუქტურას.¹¹ მართლწესრიგი უნდა გავიგოთ, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა წესი, რომელიც ეფუძნება კანონს ანუ კანონიერების განხორციელების შედეგად დამყარებული საზოგადოებრივი წესრიგი. „მართლწესრიგი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის ჩამოყალიბებული წესების ერთობლიობა (იურიდიული პრაქტიკა) სამართლის ნორმებთან ერთად აწესრიგებს საზოგადოებროვ ურთიერთობებს. საერთოდ საზოგადოებრივი კეთილდღეობის იდეა სამართლისა და მართლწესრიგის დაახლოებაში ვლინდება. რაც უფრო ნაკლებია წინააღმდეგობა ამ ორ ინსტიტუტს შორის, მით უფრო თავისუფალია ადამიანი, მით უფრო მტკიცეა კანონიერება და მით უფრო მეტია პროგრესი საზოგადოებაში. ამრიგად, სისხლის სამართალი მართლწესრიგით

¹¹ ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1997, გვ.8-9. 172-173

და სამართლის სხვა დარგებით მონესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს იცავს რა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, ერთდროულად ახორციელებს მართლწესრიგის დაცვას.¹²

სისხლის სამართლისთვის დამახასიათებელია წამახალისებელი ფუნქციაც, ანუ დამნაშავეობასთან ბრძოლაში მოქალაქეთა აქტივობის სტიმულირების ფუნქცია. სისხლის სამართლის კანონი შეიცავს ნორმებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან დაიცვან დანაშაულებრივი ხელყოფისგან საზოგადოებრივი, სხვა პირთა და საკუთარი ინტერესები (მაგალითად, ნორმები აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის დაკავების მართლზომიერების პირობების შესახებ) ასევე, ნორმები, რომლებიც შენიშვნის სახით ითვალისწინებენ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან იმის გათავისუფლებას, ვინც ნებაყოფლობით განაცხადებს ქრთამის მიცემის შესახებ (საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლი) ნებაყოფლობით ჩააბარებს საბრძოლო მასალას ან ფეთქებად ნივთიერებებს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის შენიშვნა) ან ნარკოტიკული საშუალებებს, მის ანალოგს, ფსიქოტროპიულ ნივთიერებებს ან მის ანალოგს, ძლიერმოქმედ ნივთიერებას. რომლებიც უკანონოდ იყო შეძენილი ან შენახული (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის შენიშვნა). (სსკ-ის 339¹ მუხლი – ზეგავლენით ვაჭრობა) ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ამის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს. მონმე, ექპერტი

¹² თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 21

ან თარჯიმანი თავისუფლდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ იგი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მიღებამდე ნებაყოფლობით განაცხადებს თავის მიერ ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, ჩვენების მიცემის ანდა განზრახ არასწორად თარგმნის შესახებ (სსკ-ის 348¹ მუხლის შენიშვნა). სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლება სსკ-ის 223⁴ მუხლით (ქურდული სამყაროს წევრისათვის „კანონიერი ქურდისათვის“ მიმართვა ან ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირი, თუ მან ამის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს და მისი საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა ან/და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ასეთი დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები, თუკი მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

1.2. სისხლის სამართლის რეგულირების საგანი და მეთოდი

სამართალი – ეს არის ნორმების ერთობლიობა (სისტემა), რომელიც არეგულირებს (ანესრიგებს) საზოგადოებრივ ურთიერთობებს. იმის მიხედვით თუ საზოგადოების რომელ სფეროს ანესრიგებენ სამართლებრივი ნორმები, ე.ი. იმის მიხედვით, თუ როგორია სამართლებრივი ნორმების რეგულირების საგანი, ხდება მათი დაჯგუფება სამართლის ცალკეულ დარგებად. მაგალითად, ნორმები, რომლებიც არეგულირებენ შრომის პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ქმნიან სამართლის დარგს, რომელსაც

შრომის სამართალი ეწოდება. ნორმები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოს აღმასრულებელ და განმკარგულებელი საქმიანობისას ანუ მმართველობითი საქმიანობის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს, ქმნიან სამართლის დარგს, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალი ეწოდება და ა.შ.¹³

სისხლის სამართალს, როგორც სამართლის სხვა დარგებს გააჩნია თავისი საგანი. ასრულებენ რა მომწესრგებელ ფუნქციას, სისხლის სამართლის ნორმები დაკავშირებული არიან სისხლის სამართლის რეგულირების საგანთან. სისხლის სამართლის რეგულირების საგანია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას და ამისათვის ამ პირის მიმართ სასჯელის გამოყენებისას.¹⁴ სისხლის სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ანუ სამართლებრივი ურთიერთობების სწორი აღქმა და გაგება საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ მისი საგანი, გავმიჯნოთ იგი სამართლის სხვა დარგებისგან და ამის საფუძველზე, უფრო ნათელვყოთ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის წამყვანი დარგის ხასიათი. ამისთვის საჭიროა გავარკვიოთ და ჩამოვაყალიბოთ ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგება ხორციელდება სისხლის სამართლის ნორმებით.

სამართალი ერთ-ერთი ურთულესი საზოგადოებრივი მოვლენაა. ისევე, როგორც სახელმწიფო ისიც საზოგადოებრივი განვითარების შედეგია. სამართალი-უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირე-

¹³ გ.ნაჭყებია., სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ.114

¹⁴ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.17-18

ბული ქცევის წესების, ნორმების ერთობლიობაა. საზოგადოებაში უამრავი სახესხვაობით არსებული სოციალური ნორმებიდან მხოლოდ სამართლებრივი ნორმები გამომდინარეობს სახელმწიფოსგან. სისხლის სამართლის საგანი არის ის ურთიერთობები, რომელზეც მოქმედებს სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი.

სისხლის სამართლის საგნის ცნებაში, აღნიშნავს პროფ. გ. ნაჭყებია, იგულისხმება ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელზეც სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა უშუალოდ ზემოქმედებას ახდენს – ესაა პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც დანაშაულის თავიდან აცილების სფეროში არსებობს. დასკვნა, რომელსაც იძლევა ავტორი, ასეთია: სისხლის სამართალი აწესრიგებს არამთელ პოლიტიკურ ურთიერთობას, არამედ პოლიტიკური ურთიერთობის იმ მხარეს, რომელიც დანაშაულის თავიდან აცილების სფეროში იქმნება. იმის მიხედვით, თუ როგორია რეგულირების საგანი ანუ იმის მიხედვით, თუ რას არეგულირებს ნორმების ესა თუ ის ერთობლიობა,¹⁵ სამართალი იყოფა სამართლის ცალკეულ დარგებად, სამართლის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგია სისხლის სამართალი. ამიტომ მას ახასიათებს ის ნიშან-თვისება, რომელიც ახასიათებს ზოგადად სამართალს. აქედან გამომდინარე, თუ სამართალს განვმარტავთ სახელმწიფოს მიერ დადგენილ და შესასრულებლად სავალდებულო ნორმების ერთობლიობად, მაშინ სისხლის სამართალი უნდა განვსაზღვროთ, როგორც ნორმების ერთობლიობად, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას დანაშაულის ცალკეული სახეებისთვის, ამ დანაშაულთა შემადგენლობის კონკრეტული ნიშნების განსაზღვრისა და მათზე შესაბამისი სასჯელების დადგენის

¹⁵ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., 2016, გვ.24.25

გზით. ამასთან ერთად შეიძლება შემოვიფარგლოთ სისხლის სამართლის ისეთი კონკრეტული განმარტებით, რომელიც უშუალოდ და უფრო ნათლად გამოხატავს მის ფუნქციას. ამ თვალსაზრისით სისხლის სამართალი-ესაა ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ზუსტად ადგენს, სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი რა მოქმედება ან უმოქმედობა, როგორ უნდა დაისაჯოს. სისხლისსამართლებრივი რეგულირების მეთოდია სახელმწიფოებრივი იძულება, რაც იმაში გამოიხატება, რომ სისხლის სამართლის ნორმები სასჯელის გამოყენების მუქარით იცავენ განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობებს (მონაწილეთა ინტერესებს) დანაშაულებრივი ხელყოფისგან.¹⁶ სისხლის სამართლის კანონმდებლობა აწესებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს, განსაზღვრავს თუ რომელი ქმედებაა დანაშაული, აწესებს სასჯელებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის მიმართ. მაშასადამე, საკანონმდებლო საქმიანობა არის სისხლის სამართლის საგანი. სისხლის სამართლის კანონმდებლობა კი მოიცავს ოთხ ინსტიტუტს: 1. დანაშაული; 2. სასჯელი; 3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და 4. სასჯელისგან განთავისუფლება. ეს ინსტიტუტები სისტემატიზირებულია სისხლის სამართლის ზოგად და კერძო ნაწილებში, ეს ნაწილები თავის მხრივ შეიცავენ უფრო დაკონკრეტებულ ინსტიტუტებს და ნორმებს.

არსებობს სამართლებრივი მოწესრიგების არა მარტო საგანი, არამედ მისი მეთოდებიც. განასხვავებენ სამართლებრივი რეგულირების სამ მეთოდს: ნებართვა, მოთხოვნა და აკრძალვა. 1. ნებართვა დამახასიათებელია სამო-

¹⁶ თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 18-19

ქალაქო-სამართლებრივი რეგულირებისთვის, 2. მოთხოვნა ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობას ახასიათებს, 3. ხოლო აკრძალვას უკავშირებენ სისხლის სამართალს. ასეთი ტრადიციული კლასიფიკაცია სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვთქვათ ნებართვა ახასიათებს მხოლოდ სამოქალაქო სამართალს, მოთხოვნა-ადმინისტრაციულ სამართალს, ხოლო აკრძალვა კი სისხლის სამართალს. ეს სამივე ტიპი მეტ-ნაკლებად ყველა სხვა დარგს ახასიათებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მოხსენიებულ მეთოდთაგან ერთს წამყვანი ადგილი უკავია, დანარჩენები კი დაქვემდებარებულ როლს ასრულებენ. მაგალითად, აკრძალვა დამახასიათებელია სისხლის სამართლისთვის მაგრამ სამართლის ამ დარგისთვის უცნობი არაა ისეთი მეთოდი, როგორცაა ნებართვა. ამის თვალსაჩინო მაგალითია სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი, რომელიც აუცილებელ მოგერიებას ითვალისწინებს. იგი, პირს უფლებას აძლევს მოიგერიოს სამართლებრივ სიკეთეზე განხორციელებული თავდასხმა.

სამართლის სისტემის დიფერენციაცია, უპირველეს ყოვლისა, პირობადებულია იმ ურთიერთობის ხასიათით, რომელსაც სამართლის შესაბამისი დარგები არეგულირებენ. სამართლის დარგის რეგულირების საგანია იმ მსგავს ურთიერთობათა ჯგუფი, რომლებიც მოითხოვს რეგულირების სპეციფიკურ მეთოდს. მაშასადამე, სამართლის სისტემის დიფერენციაციის მეორე დამოუკიდებელი ნიშანია რეგულირების მეთოდი ე.ი. ზემოქმედების იურიდიულ საშუალებათა ერთობლიობა, რასაც სახელმწიფო იყენებს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისთვის. სამართლის თეორიაში სამართლებრივი რეგულირების მრავალ კომპონენტს ასახელებენ: 1. უფლება-მოვალეობათა დადგენის წესი; 2. სუბიექტებისათვის მინიჭებული

უფლებები და ავტონომიურობის ხარისხი; 3. იმ იურიდიული ფაქტების შერჩევა რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობენ; 4. ამ სამართლებრივ ურთიერთობის მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი; 5. უფლებათა უზრუნველყოფის გზები და საშუალებები. სამართლის სისტემის დიფერენციაციის მეორე დამოუკიდებელი ნიშანი, რეგულირების მეთოდი ე.ი. ზემოქმედების იურიდიულ საშუალებათა ერთობლიობაა, რასაც სახელმწიფო იყენებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირებისათვის.

1.3. სისხლის სამართლის პოლიტიკა

რადგან ყოველი მეცნიერებისა და ხელოვნების მიზანი არის სიკეთე, მათ შორის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სფეროს მიზანიც იგივე იქნება, ასეთი სფერო არის პოლიტიკა.¹⁷ პოლიტიკაში სიკეთე არის სამართლიანობა, ხოლო სამართლიანობა არის სასარგებლო მთელი საზოგადოებისათვის- ასე განსაზღვრა პოლიტიკის მნიშვნელობა და არსი XXIV საუკუნის წინათ ცნობილმა ფილოსოფოსმა და სწავლულმა-არისტოტელემ.¹⁸

სისხლის სამართლის პოლიტიკა არის სახელმწიფოს საქმიანობა მოქალაქეების და საზოგადოების დასაცავად დანაშაულებრივი ხელყოფისაგან და დანაშაულისაგან ზოგადად. სისხლის სამართლის პოლიტიკის შინაარსი მდგომარეობს დანაშაულთან ბრძოლის მიზნების და ამოცანების ასევე საშუალებების და მეთოდების შემუშავებაში. სისხლის სამართლის პოლიტიკის პირველი ცნება ჩამოაყ-

¹⁷ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწილი პირველი, თბ., 1985, გვ. 34

¹⁸ სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ ნაჭყებია, თბ., 2016 წ. გვ. 36

ალიბა ფრანც ფონ ლისტმა 1888 წელს თავის ნაშრომში „სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანები“.¹⁹

სამართლებრივი თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილი კანონიც კი ვერ შეძლებს თავისი სამართლებრივი საწყისების განხორციელებას, თუ იგი არასამართლებრივი ხასიათისაა.²⁰ ამდენად, კანონში ასახულია პოლიტიკისა და სამართლის ერთგვარი სინთეზი.

სამართალი-უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ქცევის წესების, ნორმების ერთობლიობაა. საზოგადოებაში უამრავი სახესხვაობით არსებული სოციალური ნორმებიდან მხოლოდ სამართლებრივი ნორმები გამომდინარეობს სახელმწიფოსგან. რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო სამართლის გარეშე არ არსებობს. პოლიტიკა კი სახელმწიფოსთან არის დაკავშირებული. სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა სისხლის სამართალშიც ვლინდება.

სისხლის სამართლის პოლიტიკას, როგორც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ნაწილს გააჩნია რამოდენიმე ასპექტი: მორალური – რადგან დანაშაული, როგორც ფაქტი ახასიათებს საზოგადოების მორალურ მდგომარეობას; პოლიტიკური – ახასიათებს ხელისუფლებას, მის მდგრადობას და სტაბილურობას, რომელიც ექვემდებარება კანონზომიერებას, რაც უფრო მყარია ხელისუფლება, მით უფრო ჰუმანური და ნაკლებად რეპრესიულია და პირიქით; სამართლებრივი – გავლენას ახდენს მართლწესრიგის დაცვაზე საზოგადოებაში, მოქალაქეთა სიმშვიდეზე, დისციპლინაზე, კანონის და ხელისუფლების პატივისცემაზე; ეკონომიკური – დანაშაულის შემცირება იწვევს პირდაპირ და არაპირდა-

¹⁹ იხ. Франц Фон Лист. Задачи уголовной политики. Преступление как социально-патологическое явление. — Москва: Инфра-М, 2008, с.215

²⁰ როგორ იქმნება კანონი, თბ., 2000, გვ. 34

პირ ეკონომიკურ სარგებელს და პირიქით დანაშაულის და დამნაშავეობის გააქტიურება ეკონომიკურ ზარალს პირდაპირი ფორმით და გაშვებული მოგების ფორმით. სისხლის სამართლის პოლიტიკა განსაზღვრავს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას სამი მიმართლებით: დანაშაულის გახსნა და ბოროტმოქმედთა გამოვლენა, კანონის სწორი გამოყენების უზრუნველყოფა ანუ ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაცია შესაბამის დანაშაულად და სამართლიანი სასჯელის დანიშვნა, სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის აღსრულება.²¹

სისხლის სამართლის პოლიტიკის მთავარი ამოცანა გახლავთ დამნაშავეობასთან ბრძოლა. იგულისხმება დანაშაულთა ის სახე, რაც დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის არის დამახასიათებელი.²² სისხლის სამართლის პოლიტიკა მიჩნეულია სოციალური პოლიტიკის ნაწილად. იგი წარმოადგენს საზოგადოებაში გაბატონებული იდეების ერთობლიობას დამნაშავეობასთან ბრძოლის ძირითადი მიმართულებების, საშუალებებისა და გზების შესახებ. მისი ძირითადი დანიშნულებაა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდუვალობა. დამნაშავეობასთან ბრძოლისას სისხლის სამართლის პოლიტიკა ეფუძნება კანონიერების განუხრელი, სრული, მკაცრი საყოველთაო და უგამონაკლისო დაცვის პრინციპს.

თანამედროვე ეტაპზე სისხლის სამართლის პოლიტიკა ორი ძირითადი ტენდენციით ხასიათდება. პირველი

²¹ Денисов С.А. Уголовное право. Общая часть, сиб., 2017 с. 28-29

²² მ. ივანიძე, სისხლის სამართლის პოლიტიკა, წიგნში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ, 2016, გვ.46-47

გამოიხატება განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთან თანმიმდევრულ ბრძოლაში და სისხლის სამართლის მკაცრი ღონისძიებების გამოყენებაში მათ მიმართ, ვინც მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ან არაერთგზის დაარღვია სისხლის-სამართლებრივი აკრძალვა, განსაკუთრებით კი, - დანაშაულის რეცედივის და პროფესიონალი დამნაშავეების, ორგანიზებული დანაშაულების გამოვლინებების ფორმირების, მაფიოზური სტრუქტურების ხელმძღვანელებისა და აქტიური მონაწილეების, ასევე რეკეტიორების, „კანონიერი ქურდების“, ქურდული სამყაროს წევრების, ნარკობიზნესის წარმომადგენლების და ა.შ. მიმართ. სისხლის სამართლის პოლიტიკის მეორე ტენდენცია გამოიხატება კანონმდებლობის ლიბერალიზაციაში, პასუხისმგებლობის სფეროს შეზღუდვაში ისეთი ქმედებისთვის, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. პირებისადმი, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული (როდესაც სახეზე არ არის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან საქმე გვაქვს გაუფრთხილებელ დანაშაულთან), სისხლის სამართლის ისეთი სასჯელის შეფარდებაში, რაც საზოგადოებისგან იზოლაციასთან არ არის დაკავშირებული, პირობითი მსჯავრისა და განაჩენის აღსრულების გადადების ფართოდ გამოყენებაში, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ადმინისტრაციული, ან ზემოქმედების სხვა ღონისძიებებით შეცვლაში.

სისხლის სამართლის პოლიტიკის რეალიზაცია ხორციელდება სამართალშემფარდებელი ორგანოს მიერ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესუალური და სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობის მეშვეობით. სისხლის სამართლის პოლიტიკის შესწავლის საგანში შედის თვით სისხლის სამართლის პოლიტიკა, კონკრეტულად მისი

კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ სამართალ-დამცავი ორგანოების ძირითად მიმართულებებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სისხლის სამართლის პოლიტიკის მთავარი ამოცანაა, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა, რაშიც მეცნიერულად უნდა იქნეს გაანალიზებული დღეს შექმნილი მდგომარეობა და მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი პერსპექტივები და ტენდენციები. სისხლის სამართლის პოლიტიკაზეა ასევე დამოკიდებული ქმედებათა კრიმინალიზაციის საფუძვლის შესწავლა. პროფესორი ნონა თოდუა დეკრიმინალიზაციისა და კრიმინალიზაციის ცნებაზე მსჯელობისას სისხლის სამართლის კანონმდებლობის საკითხს ეხება. კერძოდ, მისი შეფასებით ლიბერალიზაცია დეკრიმინალიზაციის პროცესსაც ნიშნავს, მაგრამ მასზე არ დაიყვანება. იგი შეიძლება განხორციელდეს მაგალითად, სისხლის სამართლის ნაწილში ალტერნატიული სასჯელის შემოღებითაც, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გაუქმებით და ა.შ.²³ არსებობს განსხვავება სისხლის სამართლის პოლიტიკის თეორიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების საგანს შორისაც. სისხლის სამართლის მეცნიერებას თავისი საგნით არ შეუძლია მოიცვას დამნაშავეობასთან ბრძოლის მთლიანი სამართლებრივი საფუძველი, ხოლო სისხლის სამართლის პოლიტიკის თეორია ვალდებულია. სწორედ სისხლის სამართლის პოლიტიკის თეორია იკვლევს მოცემული სამართლებრივი საფუძვლების სისტემის თვისებას. მაგალითად, სისხლის სამართალს, სისხლის სამართლის პროცესს, კრიმინოლოგიის და სხვა სამართლის დარგების საერთო სტრუქტურას. სისხლის სამართ-

²³ ნ. თოდუა, ქმედების კრიმინალიზაცია დეკრიმინალიზაციის საკითხები, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2006, გვ.103

ლის პოლიტიკა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესუალური, სასჯელალსრულებითი, კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიური ხაზით.

სისხლის სამართალი – სისხლის სამართლის პოლიტიკის გამოხატვის, დამაგრების და პრაქტიკული რეალიზაციის ძირითადი ფორმაა. ყოველ ახალ კანონს უნდა შეეხედოდეთ არა მხოლოდ, როგორც იურიდიულ აქტს, არამედ როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტს, რომელიც გამოხატავს ახალ დამოკიდებულებას სოციალური მოვლენებისადმი, ხშირად კი ახალ მიმართლებას სისხლის სამართლის პოლიტიკაში. ამას გარდა ახალი საკანონმდებლო აქტის მიღებას, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თავისთავად მოჰყვება დანაშაულთა ზრდა და პირიქით კანონის გაუქმება ამცირებს მათ რიცხვს.²⁴

1.4. სისხლის სამართლის სისტემა, ზოგადი და კერძო ნაწილი

სამართლის ძირეული რეფორმირების მიმდინარეობის პროცესში ისევე, როგორც სამართლის სხვა დარგებმა სისხლის სამართალმაც განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება, მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც შეტანილია მთელი რიგი ახალი ნორმები. მიუხედავად მასში შეტანილი დიდი ცვლილებებისა, მისი სისტემა ზოგადი თვალსაზრისით კვლავ უცვლელად დარჩა და ტრადიციულად იგი შედგება ორი ნაწილისგან-სისხლის სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული, ანუ კერძო ნაწილისგან.

²⁴ Денисов С.А. Уголовное право. Общая часть, спб., 2017 с. 30

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი შეისწავლის და ადგენს ისეთ ზოგად დებულებებს, რომელთა ცოდნის გარეშე შეუძლებელია ვიმსჯელოთ სისხლის სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტებზე, როგორცაა სისხლის სამართლის მიზნები და ამოცანები; სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი; სისხლის სამართლის პრინციპები; სისხლის სამართლის კანონი და მის ახსნა-განმარტების ხერხები და საშუალებები; დანაშაული (ქმედება, მართლწინააღმდეგობა, ბრალი); დაუმთავრებელი დანაშაული; დანაშაულში თანამონაწილეობა; მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები; სასჯელის მიზნები და სახეები; სასჯელის დანიშნვის წესი და საფუძველები; პირობითი სასჯელის ცნება და მისი გამოყენების პირობები; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების წესი და პირობები და სხვ.²⁵

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი კი ადგენს და შეისწავლის იმას, თუ კონკრეტულად რა სახის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად და რა სახის სასჯელი შეიძლება შეეფარდოს მის ჩამდენ პირს. უფრო სწორედ იგი შეისწავლის და ადგენს იმ კონკრეტული სახის ქმედებებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებადაა გამოცხადებული.²⁶ განსაკუთრებული ნაწილის სისტემაში, ადრე მოქმედი კოდექსისგან განსხვავებით, რომელსაც საფუძვლად ედო

²⁵ თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2002, გვ. 48

²⁶ მ. ლეკვიშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ., 2006, გვ.4-5

ხელყოფის ერთგვაროვანი ობიექტი, განლაგებულია ისე, რომ ყოველთვის არაა დაცული დანაშაულებრივ ქმედებათა ხელყოფის ობიექტის ერთგვაროვნება და იგი სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დანაშაულები; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; დანაშაული სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ; დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში; დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში; დანაშაული სამენარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ; დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა; დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ; ნარკოტიკული დანაშაული; სატრანსპორტო დანაშაული; კიბერ დანაშაული; გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ტერორიზმი; სამოხელეო დანაშაული; სასამართლო ორგანოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართული

დანაშაული; სამხედრო სამსახურისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.²⁷

მაშასადამე, სისხლის სამართალი არის სამართლის ის დარგი, რომელიც შეისწავლის მოძღვრებას დანაშაულისა და სასჯელის შესახებ. სასჯელთა დანიშვნისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პირობებს, აგრეთვე იმას თუ რა სახის მოქმედება ან უმოქმედობა უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივ ქმედებად და რა სასჯელი შეიძლება შეუფარდოს მის ჩამდენ პირს.

სისხლის სამართლის კოდექსის დაყოფა ზოგად და კერძო ნაწილად პირველად საფრანგეთის 1791 წლისა და 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსებით მოხდა, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღესაც არსებობს ისეთი ქვეყნები სადაც კანონმდებლობის ამგვარი დაყოფა არ აქვთ ან საერთოდ არ არის კოდიფიცირებული სისხლის სამართლის კანონები (პრეცედენტული სამართლის ქვეყნები). ამ უკანასკნელის მაგალითად გამოგვადგება დიდი ბრიტანეთი, სადაც საერთო სამართლის პრინციპების შესაბამისად სასამართლო პრეცედენტებთან ერთად უამრავი კანონი არსებობს, რომელიც აწესრიგებს სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილების ინსტიტუტებს. არ არის კოდიფიცირებული, არც მუსლიმური სისხლის სამართალი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედებს კოდიფიცირებულ აქტთან ერთად.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილები ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთ მთლიანობას ქმნის. მათი ერთიანობა განისაზღვრება ერთი და იმავე ამოცანების არსებობით, რაც მიზნად ისახავს ადამიანის, საზოგადოებისა

²⁷ მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ., 2006, გვ.9

და სახელმწიფოს დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფის-გან.²⁸ კერძო ნაწილი კონკრეტულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში თავის ფუნქციას ასრულებს ზოგადი ნაწილის ნორმების მეშვეობით. ასე მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლში აღწერილია ყაჩაღობის ნიშნები, რომელიც ყაჩაღობას განმარტავს, როგორც თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ჩადენილი სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. მაგრამ იმისთვის, რომ პირი პასუხისმგებლობაში იყოს მიცემული ყაჩაღობისათვის აუცილებელია ზოგადი ნაწილის ნორმების გამოყენება, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, შერაცხადობას, ბრალს, თანამონაწილეობას და ა.შ. ასევე, ეს დანაშაული პირველი ნაწილით ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე. ცხადია, რომ სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას და მისი ვადის განსაზღვრისას ასევე უნდა იხელმძღვანელოს ზოგადი ნაწილის ნორმებით, ყურადღება მიაქციოს დანაშაულის კატეგორიას და აქედან გამომდინარე, სასჯელის შეფარდების სპეციფიკას და ა.შ.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი ელემენტია. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ სისხლის სამართალში დომინირებს სუბიექტური-შერაცხვის პრინციპი, რომლის არსიც იმაში გამოიხატება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, ესეიგი გან-

²⁸ თ. დონჯაშილი., საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.18

ზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი შეიცავს დანაშაულთა ამოუწურავ ჩამონათვალს. თითოეულ ამ დანაშაულს კონკრეტული სახელი ჰქვია და, როგორც წესი, აღწერს მისთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს. საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მოვალეობაა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაადგინონ პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, ე.ი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, რომელიც სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტისაგან შედგება: 1. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, ანუ ქმედების შემადგენლობა; 2. მართლწინააღმდეგობა; 3. ბრალი.²⁹

ნებისმიერი ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს დანაშაულის სამივე ელემენტის შემცველი უნდა იყოს. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სამი ელემენტიდან რომელიმეს არარსებობის შემთხვევაში განხორციელებული ქმედება დანაშაულად ვერ შეფასდება. უფრო მეტიც, თუ სახეზე არაა ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების ნიშნების შემცველი დანაშაულის შემადგენლობა, მაშინ არც მის მართლწინააღმდეგობაზე შეიძლება საუბარი. შესაბამისად, თუ ქმედება არაა მართლსაწინააღმდეგო, მაშინ ბრალის არსებობაზე ვერ ვიმსჯელებთ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმთავრესია სტრუქტურა თეორიული ცოდნა გამოიყენოს კონკრეტული საქმის გარემოებების შესწავლის, კაზუსის ამოხსნისა და დასკვნის სამართლებრივად დასაბუთების მიზნით. კაზუსის ამოხსნა ბუნებრივია ყოველთვის ფაქტობრივი

²⁹ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ.54

გარემოებების დეტალური შესწავლით იწყება, რომელსაც სამართლებრივი საკითხების გამოკვლევის ფაზა მოსდევს. კაზუსის ამომხსნელმა პირველ ეტაპზე უნდა გადანყვიტოს, თუ რომელი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს იძლევა ფაქტობრივი გარემოებები და რაში გამოიხატება ეს ქმედება?(მაგალითად, სახეზე იყო მოქმედება თუ უმოქმედობა, განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა).³⁰

ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი იმ სამართლებრივი ნორმების მოძიების წინაპირობაა, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად და კერძო ნაწილში, შესაბამისად, რომლის საფუძველზეც უნდა გაკეთდეს სათანადო დასკვნა. დასკვნა უნდა პასუხობდეს ჰიპოთეზაში გადმოცემულ პრობლემას, ამავე დროს, დასკვნა უნდა იყოს კატეგორიული, რაც შეეხება კაზუსის ამოხსნას, იგი უნდა დასრულდეს ისეთი შედეგით, სადაც ცალსახად უარყოფილია ან დადასტურებულია ჰიპოთეზაში დაყენებული ვარაუდი. ქმედების კვალიფიკაცია უნდა იყოს ამომწურავი, რასაც მივალწევთ იმ შემთხვევაში, როდესაც დასმულ შეკითხვაზე არგუმენტირებულად ყოველმხრივ იქნება გაცემული პასუხი. საბოლოო დასკვნაში მითთებული უნდა იყოს სსკ-ის მუხლი (მუხლის ნაწილი და ქვეპუნქტი) ასევე, მცდელობა თუ მომზადება, ამსრულებლობა სახეზე თუ თანამონაწილეობა და ა.შ. კაზუსის ამოხსნის დაწყებამდე საჭიროა ამოხსნის სქემა, რომელიც ერთგვარი ორიენტირია სადაც იქნება წარმოდგენილი მსჯელობები გაშლილი სახით.³¹ კაზუსის ამოხსნისას მნიშვნელოვანია ზოგადი

³⁰ ი.ველესი. ბ.ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება (გერმანულიდან თარგმნა ზ.არსენიშვილმა) თბ., 2010, გვ.525-526

³¹ ი. გაბისონია, ჯ. გაბელია, თ. დარსანია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი., თბ., 2018, გვ.39-40

და კერძო ნაწილის ნორმების თანმიმდევრული და გააზრებული გამოყენება. არასდროს არ უნდა დაგვავინყდეს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილის ნორმები ერთიან ორგანულად განუყოფელ ერთობლიობას წარმოადგენენ.

სისხლის სამართლის კერძო და ზოგადი ნაწილის ერთიანობა ამკარად ვლინდება სასამართლო პრაქტიკაში. ყოველ კონკრეტულ საქმეზე და გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებით, რომლებიც შეეხება სასჯელის მიზნებს, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, თანამონაწილეობას და სხვა. ასე მაგალითად, იმისთვის, რომ პირი მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და გასამართლებული იმ დანაშაულისათვის, რასაც ითვალისწინებს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილი (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) აუცილებელია დადგინდეს, რომ ქმედების ჩამდენი პირი შერაცხადია, მიღწეულია შესაბამის ასაკს, მოქმედებდა განზრახ, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილი არ იყო უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, რომ ქმედება მცირე მნიშვნელობის არაა და სხვა. აღნიშნული დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის კოდექსის ისეთი მუხლებით როგორებიცაა; სსკ-ის 39-ე (სასჯელის მიზნები); სსკ-ის 53-ე (სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები) და სხვა. სასჯელის თუ რა სახე უნდა შეურჩიოს სსკ-ის 187-ე მუხლის დროს ამ შემთხვევაშიც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსკ-ს მე-40 მუხლით (სასჯელის სახეები). თუ სასამართლო განსასჯელს შეუფარდებს ვა-

დიან თავისუფლების აღკვეთას (სსკ-ის 50-ე მუხლი) ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს სასჯელის მოხდის ვადა სსკ-ის 187-ე მუხლით დადგენილი სანქციის ფარგლებში.

კოდექსის ამ ორ ნაწილს შორის ორგანული კავშირი არსებობა დასტურდება მაგალითად, იმით, რომ სისხლის სამართლის კოდექსის პირველ კარში გათვალისწინებული ნორმები სისხლის სამართლის კანონის შესახებ ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ ყველა დანაშაულის შემადგენლობასა და სანქციაზე. მეორე კარით („დანაშაული“) გათვალისწინებული ნორმები კერძო ნაწილში დაკონკრეტებულია დანაშაულთა შემადგენლობების სახით. მესამე კარში („სასჯელი“) განსაზღვრულია სასჯელის სისტემა და სახეები, რომელთა მიხედვითაც აგებულია ცალკეულ დანაშაულთათვის გათვალისწინებული სანქციები. ცალკეა გამოყოფილი მეოთხე კარი, რომელშიც გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძვლები და პირობები. ამ კარში ასახული ნორმები გამოიყენება კერძო ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა მიმართ. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მეექვსე პრიმა კარში განსაზღვრულია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სასჯელთა სახეები და მათი გამოყენების წესები და პირობები.

1.5. სისხლის სამართლის კავშირი მომიჯნავე იურიდიულ დისციპლინებთან

სისხლის სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დამოუკიდებელი დარგი, მიზნებითა და

ამოცანებით საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული-კრიმინალური ციკლის სისტემაში შემავალ დისციპლინებთან. კერძოდ სისხლის სამართლის საპროცესო სამართალთან, სასჯელაღსრულების სამართალთან, კრიმინოლოგიასთან და კრიმინალისტიკასთან. მას აგრეთვე კავშირი აქვს კონსტიტუციურ, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ სამართალთან. ადმინისტრაციული სამართლის პროცესთან. სასამართლო მედიაციასთან, სასამართლო ფსიქიატრიასთან და სასამართლო ფსიქოლოგიასთან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის კავშირს კონსტიტუციურ სამართალთან, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის შინაარსსა და სისტემას, ითვალისწინებს იმ სოციალურ პრიორიტეტებს, რომელთა დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობის პირველხარისხოვანი ამოცანაა. ბუნებრივია, რომ შიდა სამართლის ნებისმიერი დარგი ამა თუ იმ სახელმწიფოს კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს. ეს, ცხადია, ეხება სისხლის სამართალსაც. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილში გაცხადებულია, რომ ეს კოდექსი შეესაბამება, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციას.³² ისიც გასაგებია, რომ სისხლის სამართალი, თავის მხრივ, დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს. საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს კონსტიტუციურ წესრიგს.³³ ცხადია, დავას არ იწვევს სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერ-

³² გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ცნება, მოწესრიგების საგანი და მეთოდი, წიგნში სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ.31-32

³³ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ცნება, მოწესრიგების საგანი და მეთოდი, წიგნში სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ.30-31

თობა. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს სისხლის სამართლის კანონის მოქმედებისას. კერძოდ, ის ითქმის სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედების, უცხოელ მოქალაქეთა პასუხისმგებლობის, დანაშაულის ჩამდენ პირთა გადაცემის, სისხლის სამართლის კანონების საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოყვანის, დანაშაულთა კოდიფიკაციის საკითხებზე. ყველაზე ახლოს სისხლის სამართალი ემიჯნება სისხლის სამართლის პროცესსა და სასჯელალსრულების სამართალს. ამასთან აღნიშნული დარგები დამოუკიდებელი არიან. მათ აქვთ საკუთარი საგანი და საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების მეთოდი, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით წარმოიშობა. მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესის რეგულირების საგანს წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გამოძიების, სასამართლო და პროკურატურის ორგანოების საქმიანობა, აგრეთვე დანაშაულთან დაკავშირებით სასჯელის შემფარდებელი ორგანოებისა და მოქალაქეებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები. ამრიგად ამ დარგის რეგულირების სფეროში შედის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის, სასჯელის დანიშვნის წესისა და პირობების საფუძვლების განსაზღვრა.

სისხლის სამართლის კავშირი სისხლის საპროცესო სამართალთან განსაკუთრებით ვლინდება გამოსაძიებელი დანაშაულებრივი ქმედების მამხილებელი მტკიცებულებების შეკრების თვალსაზრისით. კერძოდ, სისხლის საპროცესო სამართალი თავისი ზოგადი და კერძო ნაწილით შეისწავლის და ადგენს მომხდარ დანაშაულებრივ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის

და მასზე გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის წესს. იგი ადგენს პროცესის პრინციპებს, პროცესის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს. მტკიცებულებების შეკრებისა და ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების წესსა და ბევრ სხვა საპროცესო ნორმას.

საბაზო ურთიერთობათა განვითარების პირობებში, მანიშ როდესაც კერძო საკუთრება განსაკუთრებული დაცვის ობიექტი გახდა, სისხლის სამართალმა უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარა სამოქალაქო სამართალთან. ეს თვალნათლივ ვლინდება ქონებრივ დანაშაულთა და იმ სამოქალაქო დელიქტების გამიჯვნისას, რომელთაც უპირატესად ქონებრივი ხასიათი აქვთ. ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა გააჩნია ქონებრივი სანქციების ეფექტურობის შესწავლას. ეს ხელს უწყობს სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენას.³⁴

სამოქალაქო სამართლის ნორმების ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა არა დაცვა, არამედ მონესრიგება. ამასთანავე სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ სამოქალაქო სამართალი იცავს კიდევ მის მიერ მონესრიგებულ ურთიერთობებს. (მაგალითად, ქონებრივ ურთიერთობებს) რაც შეეხება სისხლის სამართლის, იგი იცავს სამართლის სხვა დარგის ნორმებით უკვე მონესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის დაცვით ფუნქციას, ეს მისთვის არაძირითადია.

სისხლის სამართალი ახლოსაა ადმინისტრაციულ სამართალთან ორივე დარგისთვის რეგულირების საგანი-სამართალდარღვევა, ხოლო სამართალდარღვევაზე ზე-

³⁴ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი., თბ., 2007, გვ. 22-23

მოქმედების მეთოდი კი იძულებითი ხასიათისაა. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალი, სამართლის დამოუკიდებელი დარგია, სისხლის სამართლისგან იგი განსხვავდება, როგორც მის წინაშე მდგომი ამოცანებით, ასევე მათი გადაწყვეტის ხერხით.³⁵

სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კავშირი განსაკუთრებით საგრძნობია დანაშაულისა და ადმინისტრაციული გადაცდომის ნიშნების გამიჯვნისას.

ისტორიულად ცნობილია შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ქმედება სხვადასხვა ეტაპზე მიეკუთვნებოდა ხან სისხლის სამართლის, ხან კიდევ ადმინისტრაციული სამართლის სფეროს. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა კონკრეტული ქმედების პირველად ჩადენა იწვევდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო იგივე ქმედების განმეორებადი ჩადენა- სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სისხლის სამართალში არსებობს ბლანკეტური ნორმებიც, რომელთა შინაარსის ასახსნელად საჭიროა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოყენება.

სისხლის სამართალი მჭიდროდ უკავშირდება ზნეობრივ ნორმებს. ადამიანები თავიანთ ურთიერთობებს ძირითადად აწესრიგებენ დაუწერელი ქცევის წესებით, მორალური ნორმები ეყრდნობა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ძალას. მათი დარღვევა იწვევს საზოგადოებრივ ზემოქმედებას გაკიცხვისა და სხვა სახით.

ზნეობრივი ნორმების საფუძველზეა აგებული სისხლის სამართალში ჩამოყალიბებული ეგრეთწოდებული წამახალისებელი ნორმები (მაგალითად: ნორმები აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის შესახებ და ა.შ.)

ამრიგად, ზნეობრივი ნორმები საფუძვლად უდევს

³⁵ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი., თბ., 2007, გვ. 22

მთელ რიგ სისხლისსამართლებრივ ნორმებს და ზოგად პრინციპებს. სისხლის სამართალდაცვითი ნორმები კი იცავენ როგორც სამართლებრივი, ისე ზნეობრივი ნორმებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

სისხლის სამართალი ახლოსაა იმ სხვა დარგობრივ მეცნიერებებთან, რომლებიც იკვლევენ დამნაშავეობასთან ბრძოლის პრობლემებს, კერძოდ, კრიმინოლოგიის, სამართლებრივი სტატისტიკის, კრიმინალისტიკის, სასამართლო ფსიქოლოგიის, სასამართლო ფსიქიატრიის და ზოგიერთ სხვა მეცნიერებებთან. მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება აქვს სისხლის სამართალს კრიმინოლოგიასთან, რომლის შესწავლის საგანია დამნაშავეობა. კრიმინოლოგია შეისწავლის ამ ნეგატიურ მოვლენას, მის ხელშემწყობ პირობებს, დამნაშავის პიროვნებას და შეიმუშავებს დანაშაულის თავიდან ასაცილებელ ღონისძიებებს. ამ საკითხების კვლევისას კრიმინოლოგია ეყრდნობა სისხლის სამართლის ნორმებს, ახდენს მათ ანალიზს მაგრამ სხვა რაკურსით. თავის მხრივ, სისხლის სამართლის განვითარება შეუძლებელია კრიმინოლოგიური კვლევის მონაცემების გარეშე.³⁶ სისხლის სამართლისა და სასჯელალსრულებითი სამართლის კავშირი, უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება იმით, რომ ამ უკანასკნელის არსებობა პირობადადებულია სისხლის სამართლის ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ სასჯელის დანიშვნის საფუძველს, ფარგლებს, პირობებსა და წესებს. სასჯელის აღსრულების წესი და პირობები მოწესრიგებულია სასჯელალსრულებითი სამართლის ნორმებით. სასჯელის მიზნების შემდგომი რეალიზაცია ხორციელდება სასჯელალსრულებითი სამართლის მოქმედების პირობებში. სამართლის ამ დარგების კავშირი

³⁶ თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.24

განსაკუთრებით თავს იჩენს სასჯელისგან მსჯავრდებულის გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას.

სამართლებრივი სტატისტიკა და მისი სტრუქტურული ნაწილი-სისხლის სამართლის სტატისტიკა-სისხლის სამართლის მეცნიერების მიერ გამოიყენება ამა თუ იმ მოვლენის კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის სოციალური განპირობებულობის გამოსავლენად. სისხლის სამართლის სტატისტიკის საგანს წარმოადგენს დამნაშავეობის რაოდენობრივი მხარე, მისი სტრუქტურა, მდგომარეობა, დინამიკა. სტატისტიკის მონაცემები შესაძლებლობას აძლევს სისხლის სამართლის მეცნიერებას დაასაბუთოს წინადადებები სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ.

სისხლის სამართლის მეცნიერებას უშუალო კავშირი აქვს კრიმინალისტიკასთან, რომლის არსი დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებების აღმოჩენა, მათი გამოკვლევის სპეციალური მეთოდებისა და ხერხების შესწავლა და აგრეთვე დამნაშავის დადგენაა.

1.6. სისხლის სამართლის მეცნიერება

სისხლის სამართლის მეცნიერებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იურიდიული ცოდნის სისტემაში. ეს აიხსნება თვითონ ამ სამართლის დარგის როლით, რომელიც ადგენს ქმედების დანაშაულებრიობას და სასჯელს მისთვის. სისხლის სამართლის მეცნიერება, როგორც იდეების, დანაშაულთან ბრძოლის სამართლის როლის შესახებ შეხედულებების ერთობა წარმოადგენს ცვალებად სისტემას, რადგან ცვალებადია თვითონ სოციალური მატერია, შესაბამისად ცვალებადია საზოგადოება და მისი ძირითადი

ინსტიტუტები: სამართალი, სახელმწიფო, ხელისუფლება.³⁷

სისხლის სამართლის მეცნიერება წარმოადგენს მოცემულ ეტაპზე გაბატონებული სისხლისამართლებრივი იდეების და წარმოდგენების ერთობლიობას სისხლის სამართლის შესახებ. სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი უპირველესად არის სისხლის სამართლის კანონი და მისი გამოყენების პრაქტიკა. სისხლის სამართლის მეცნიერება შეისწავლის დანაშაულს და სასჯელს, როგორც სისხლის სამართლის ძირითად ინსტიტუტებს. სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სისხლისამართლებრივი ინსტიტუტები მეცნიერების მიერ შეისწავლება მათ განვითარებაში კონკრეტულ-ისტორიული პირობებისა და პერსპექტივის გათვალისწინებით. სისხლის სამართლის მეცნიერება ვერ შემოიფარგლება სისხლის სამართლის ინსტიტუტების, კატეგორიებისა და ცნებების ფორმალურ-დოგმატური, ლოგიკური კვლევითა და სისხლის სამართლის კანონის შეფარდებისათვის რეკომენდაციის შემუშავებით. იგი შეისწავლის ამ მოვლენებს სოციოლოგიური თვალსაზრისითაც. შედარებითი ანალიზის მეშვეობით ავლენს სისხლისამართლებრივი ნორმების ეფექტურობას, განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების გზებსა და მეთოდებს დამნაშავეობასთან ბრძოლაში მისი როლის ამალღებისა და დანაშაულის აცილების მიზნით.

სისხლის სამართლის მეცნიერების შემადგენელ ნაწილად ითვლება სისხლის სამართლის სოციოლოგია, რომელიც არის მეცნიერული შეხედულებების, წარმოდგენების ერთობლიობა სისხლის სამართლის ინსტიტუტებისა და ცნებების შინაარსის სოციოლოგიურ-კონკრეტული კვლევის, მათი სოციალური განპირობებულობის, სისხლის

³⁷ Денисов С.А. Уголовное право. Общая часть, М., 2017 с. 22

სამართლის კანონის გამოყენების რეზულტატების ურთიერთკავშირის შესახებ. ამრიგად, სისხლის სამართლის სოციოლოგია ასრულებს სისხლის სამართლის ზოგად და განსაკუთრებული ნაწილების ინსტიტუტების შემეცნებისა და ანალიზის მეთოდის ფუნქციას.

სისხლის სამართლისგან, როგორც სამართლის დარგისგან, უნდა განვასხვავოთ სისხლის სამართლის მეცნიერება, რომელიც იურიდიული მეცნიერების ნაწილია. სისხლის სამართლის მეცნიერება შეისწავლის სისხლის სამართალს, როგორც სამართლის დარგს. მაგრამ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი უფრო ფართოა, ვიდრე სისხლის სამართლის საგანი.

სისხლის სამართლის მეცნიერება ეს არის დანაშაულის და სასჯელის შესახებ შეხედულებების, მოსაზრებების და დასკვნების გარკვეული სისტემა. სისხლის სამართლის მეცნიერება სწავლობს სისხლის სამართლის კანონმდებლობის კანონზომიერებას. იგი ქმნის სამართლებრივ ცნებებს და ლექსიკონს, რომლითაც კანონმდებელი სარგებლობს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის მეცნიერების როლი იმ მეთოდების დადგენაში, რომლებითაც იქმნება სამართალი და განიმარტება კანონები.³⁸

სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია არა მხოლოდ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის კვლევა, არამედ ასევე სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების ისტორიის კვლევაც. საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის შესწავლა, მათი დადებითი გამოცდილების გამოყენება, როგორც კანონმდებლობის ისე მეცნიერული კვლევის სფეროში.

³⁸ ი.გაბისონია, ჯ.გაბელია, თ.დარსანია., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2018, გვ. 20

აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი გაცილებით ფართოა, ვიდრე სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის საგანი. სისხლის სამართალს შეიძლება ვუწოდოთ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულატორი და მათი დაცვის საშუალება სპეციფიკური, მისთვის დამახასიათებელი მეთოდით. სისხლის სამართლის მეცნიერება არ არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და არ იცავს მათ, არამედ იკვლევს ამ ურთიერთობებს და მათი მარეგულირებელი სისხლის სამართლის ნორმების შინაარსს.³⁹

სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი უწყვეტი კავშირი პრაქტიკასთან. ეს კავშირი სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, როგორცაა სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოყენების პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება, ასევე მეცნიერთა მონაწილეობა იმ განზოგადებაში, რომელსაც ადგენენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოები: კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, სისხლის სამართლის კანონების პროექტების და წინადადებების შემუშავება, მეცნიერთა მონაწილეობა პარლამენტთან არსებულ საკონსტიტუციო კომისიებში და ა.შ.

სისხლის სამართლის მეცნიერება ხასიათდება თავისი საგნითა და მეთოდით. მისი საგანია არა მხოლოდ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა თავისი პრაქტიკით, არამედ მისი დაარსებისა და განვითარების დინამიკა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის შესახებ გავრცელებულია ისეთი აზრი, რომ მისი შესწავლის საგანია დანაშაული და სასჯელი. რა თქმა უნდა, ეს მო-

³⁹ თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2002, გვ.26

საზრება ცალსახად სწორია იმდენად, რამდენადაც დანაშაული როგორც იდეალური ცნება, ბუნებაში არ არსებობს და როდესაც მოხდება, იგი გადაიქცევა სოციალურ ფაქტად. სასჯელიც, რომელიც განმარტავდა ამ იდეალის დასჯადობას, იგიც იდეის დონეზე იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც სასჯელით განსაზღვრული დანაშაული გადავიდა მატერიალურ თუ ფორმალურ განზომილებაში, მაშინ სასჯელიც გახდა მატერიალური. მაშასადამე, სასჯელი და დანაშაული მის ჩამდენ პირთან ერთად გადაიქცა საზოგადოებრივ მოვლენად, ე.ი. განხორციელდა სისხლის სამართლის მეცნიერების საზოგადოებრივად საშიშ ქმედებათა ჩადენის ამკრძალავი თეორიის პრაქტიკული რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის მეცნიერება ემსახურება ამ კანონზომიერების ღრმა შესწავლასა და გათვინობიერებას. აქედან ჩანს, რომ იგი არა მარტო კანონშემოქმედი, არამედ ბოლომდე მიუყვება თავისი თეორიის მიმდინარეობის ლოგიკას, სასჯელის მოხდის შემდეგ ნაშამართლეობის მოხსნა ან გაქარწყლების პრინციპებს.

სისხლის სამართლის მეცნიერება ვითარდება, როგორც სხვა სამართლის ძირითად დარგებთან (კრიმინოლოგია, სოციოლოგია, სტატისტიკა, სისხლისა და საპროცესო სამართალი, ადმინისტრაციული და სასჯელალსრულების სამართალი და სხვა) მჭიდრო კავშირში, ასევე პრაქტიკულ საქმიანობასთან სისტემატურ კავშირში სისხლის სამართლის მეცნიერების თეორიული არსენალი მდიდრდება მეცნიერ-იურისტებისა და სპეციალისტების მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიებით, სტატიებით, დამნაშავეობის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციებითა და მრავალი თათბირ-სემინარებით.

ამრიგად, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობებისა და სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობების ერთიანობა.

სისხლის სამართლის მეცნიერების მიერ გამოკვლეული ინსტიტუტები და ცნებები იურუდიულ-აბსტრაქტული კატეგორიები როდია. ისინი პირობადადებულნი არიან ეკონომიკური, სოციალური მიზეზებით, განსაზღვრულ პერიოდში საზოგადოების ცხოვრების რეალური პირობებით.

სისხლის სამართლის ძირითადი ინსტიტუტები-დანაშაული და სასჯელი, ისევე როგორც ყველა სხვა ცნება და დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობა, შეისწავლება მათ განვითარებაში, როგორც ისტორიულად ცვალებადი კატეგორიები. ეს იძლევა სისხლის სამართლის ინსტიტუტების და ცნებების არა მხოლოდ გარეგანი სამართლებრივი „გარსის“, არამედ მათი სოციალური არსის გამოვლენის, სისხლის სამართლის ამა თუ იმ ნორმის მიღების ან გაუქმების სოციალური განპირობებულობის, ამ ნორმათა ძირითადი დანიშნულების დადგენის შესაძლებლობას.

ამასთან ერთად, სისხლის სამართლის მეცნიერება მოვლენათა შესწავლის დროს სარგებლობს ისეთი მეთოდებით, როგორებიცაა შედარებით-სამართლებრივი, სისტემურ-სტრუქტურული და სტრუქტურულ-ლოგიკური ანალიზი.

ამდენად, სისხლის სამართლის მენიერების კვლევის ობიექტია სისხლის სამართლის ნორმები, ანუ სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ის ახორციელებს კანონმდებლობის მეცნიერულ ანალიზს, როგორც ისტორიული თვალთახედვით, ისე პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით. მეცნიერული კვლევა ეფუძნება არა მარტო სამართლებრივ ნორმათა თეორიულ გამკვლევას და ანალიზს, არამედ ამ ნორმების გამოყენების პრაქტიკის შესწავლის შედეგებსაც.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის მეცნიერებაში ეფექტურად იყენებენ გამოკვლევის შედარებით-სამართლებრივ მეთოდს როცა ხდება სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის ანალოგიური ნორმების და ინსტიტუტების შედარება. შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევის საფუძველზე ხდება საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ დამნაშავეობასთან წარმატებით ბრძოლას მსოფლიოს ყველა რეგიონში.⁴⁰

სისხლის სამართლის მეცნიერებაში წარმატებით გამოიყენება აგრეთვე სისტემური და სოციოლოგიური მეთოდები.

სისხლის სამართლის მეცნიერების სტრუქტურა შეესაბამება სამართლის კანონმდებლობის სტრუქტურას და შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისგან. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თვით საკანონმდებლო კონსტრუქცია-ზოგადი და კერძო ნაწილები სისხლისსამართლებრივი მეცნიერული აზროვნების განვითარების შედეგია. ისტორიულად პირველად წარმოიშვა სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, რომელიც ანტიკურ სამყაროში და შუა საუკუნეებში არსებობდა ცალკეული კანონების სახით.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნამდვილი კოდიფიკაცია მოხდა მე-18 საუკუნეში ბურჟუაზიული რევოლუციების და ბურჟუაზიული წყობილების წარმოშობის ეპოქაში. ბურჟუაზიული კრიმინალისტიკების ნაშრომებში პირველად იქნა დამუშავებული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრობლემები, მაგრამ მხოლოდ ფორმალურ-დოგმატური მეთოდის გამოყენებით.⁴¹

⁴⁰ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 27

⁴¹ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 28

სისხლის სამართლის მეცნიერების ზოგადი ნაწილი წარმოადგენს სამეცნიერო-პრინციპების, ინსტიტუტების, იდეების, თეორიების, კონცეფციების და ცნებების სისტემას, რომლის მეშვეობით ხორციელდება სისხლის სამართლის კანონმდებლობის კერძო ნაწილის კოდიფიკაცია. სისხლის სამართლის მეცნიერების ზოგადი ნაწილი ეფუძნება მოძღვრებას სისხლის სამართლის კანონის შესახებ, მოძღვრებას დანაშაულზე და მოძღვრებას სასჯელზე.

სისხლის სამართლის მეცნიერების ძირითადი ამოცანა:

1. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის სისტემური ანალიზი, რათა განსაზღვროს ამ კანონმდებლობის შემადგენელი სისხლისსამართლებრივი ნორმების სოციალური განპირობებულობა და ეფექტურობა;

2. ამა თუ იმ სოციალური მოვლენის კრიმინალიზაციისა თუ დეკრიმინალიზაციის შესახებ წინადადებების შემუშავება;

3. სისხლის სამართლის კანონების, მათი გამოყენების რეკომენდაციებისა და დანაშაულებრივი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემების შემუშავება;

4. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სისხლის სამართლის თეორიის, კანონმდებლობისა და ამ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა;

5. სისხლის სამართლის განვითარების გზების მეცნიერული პროგნოზირება და დასაბუთება;

6. სისხლის სამართლის კანონმდებლობის იმ კონცეფციის გამომუშავება, რომელიც შეესატყვისება სამართლებრივი სახელმწიფოს მიზნებს.

სისხლის სამართალი ასევე არის სპეციალური იურიდიული დისციპლინა-სისხლის სამართლის კურსი. კურსის ძირითად შინაარსს შეადგენს მოქმედი სისხლის სამართლის

კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის, სისხლის სამართლის თეორიის ძირითადი დებულებების შესწავლა. სისხლის სამართლის კურსი ეფუძნება სისხლის სამართლის მეცნიერებას.

თანამედროვე პირობებში ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

1. საქართველოს ახალი სისხლი სამართლის კოდექსის დებულებების ფუნდამენტური თეორიული დამუშავება გერმანული კლასიკური სისხლის სამართლის მეცნიერული დოქტრინის საფუძველზე;

2. წინადადებების შემუშავება ახალი სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით ახალი კოდექსის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა;

3. სამოსამართლეო სამართლის ჩამოყალიბება;

4. სისხლის სამართლის სასჯელის ახალი სახეების ეფექტურობის შესწავლა;

5. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სისხლის სამართლის თეორიის და კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი-შედარებითი სისხლის სამართლის ჩამოყალიბება;

6. სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების ისტორიული დამუშავება და პროგნოზირების სრულყოფა.⁴²

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება არის იურიდიული მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სისხლის სამართლის ნორმებს; სისხლის სამართლებრივ ურთიერთობებს; დანაშაულის ჩადენისას პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას; სასჯელის დანიშვნას და სისხლის სამართლებრივი

⁴² თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ. 29

ხასიათის სხვა ღონისძიებების გამოყენებას, ასევე სისხლის-სამართლებრივი ნორმების გამოყენების სოციალურ განპირობებულობას და ეფექტურობას.⁴³

1.7. სისხლის სამართლის პრინციპები

„პრინციპი“ ლათინური წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს პირველ საწყისს, სახელმძღვანელო იდეას, ქცევის ძირითად წესს, რითაც ხელმძღვანელობენ პრაქტიკულ თუ თეორიულ საქმიანობაში. ამგვარი საწყისები და ამოსავალი იდეები გამოხატულებას პოულობენ საზოგადოების ნორმატიულ სისტემაშიც. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ ამგვარ პრინციპებს ნორმატიული ბუნება აქვთ და შესაბამისად სუბიექტს ავალდებულებენ, მოიქცენ მათი მოთხოვნის მიხედვით. ამიტომაც, რომ თითოეული ნორმატიული აქტი, თავის მხრივ, უფრო კონკრეტულად გამოხატავს სამართლის ამა თუ იმ დარგის პრინციპებს, კერძოდ, ამ დარგის ნორმებსა და ინსტიტუტებში.⁴⁴

სისხლის სამართლის პრინციპები წარმოადგენენ გარკვეულ რეგულატორებს, რომლებიც მომართულია უზრუნველყონ სისხლის სამართლის ამოცანების შესრულების არა მარტო მიზანშეწონილი არამედ ერთდროულად გონივრული, რაციონალური უზრუნველყოფა, იმისათვის რომ სისხლის სამართლის ნორმების გამოყენების სოციალური და ამასთან ერთად სისხლისსამართლებრივი ეფექტი იყოს მაქსიმალური, ხოლო მათი გამოყენების ნეგატიური შედეგები დაყვანილ იქნეს მინიმუმამდე.

⁴³ Денисов С.А. Уголовное право. Общая часть, М., 2017 с. 23

⁴⁴ სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 49

სისხლის სამართლის პრინციპებს წარმოადგენს: კანონიერების პრინციპი, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპი, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, სამართლიანობის პრინციპი, ჰუმანიზმის პრინციპი.

სისხლის სამართლის პრინციპებს შორის წამყვანი **კანონიერების პრინციპია**. იგი განმტკიცებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. ამ პრინციპის თანახმად არავინ შეიძლება ცნობილი იქნეს ბრალეულად დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად.

უფრო მეტიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობამ გაიზიარა იტალიელი განმანათლებლის ჩეზარე ბეკარიას მიერ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში წამოყენებული კლასიკური ფორმულა (არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი, თუ არ არსებობს ამის შესახებ მითითება კანონში). საქართველოს კონსტიტუციამ თავისი 31-ე მუხლით უმაღლეს საკანონმდებლო დონეზე განამტკიცა დასახელებული პრინციპი - „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა.“⁴⁵

კანონიერების ანუ ლეგალობის პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა ქმედება, რომელიც მიჩნეულია დანაშაულად გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის

⁴⁵ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, მუხლი 31, 2020 წლის მდგომარეობით

კანონში. ეს განპირობებულია ორი სისხლის სამართლისათვის სსაფუძვლად აღიარებული დებულებით: არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე და არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე. შესაბამისად დანაშაულია მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით და შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სასჯელის ან ზემოქმედების ისეთი სახის გამოყენება, რომელიც ასევე უკვე ასახულია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

ზოგადად ცნობილია, ანალოგია დაუშვებელია სისხლის სამართალში რაც კანონიერების პრინციპის ერთერთი ქვაკუთხედი, მაგრამ ეს დებულება უცილობლივ გამოიყენება სისხლის სამართლის კერძო ნაწილისათვის. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილში კი ნორმის ანალოგიის გამოყენება დასაშვებია. „სისხლის სამართლის კანონი კრძალავს ანალოგიას პიროვნების საზიანოდ, ხოლო უშვებს მას პიროვნების სასარგებლოდ. ეს უკანასქნელი კი გამოხატულებას პოულობს სამოსამართლეო სამართალშემოქმედებაში. პიროვნების სასარგებლოდ ანალოგიის დაშვების გამოხატულებაა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიერ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებებისა (მუხლი 32-ე) და ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების (მუხლი 38-ე) შემოღება.⁴⁶

დანაშაულებრივი ქმედების გათვალისწინება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში კანონიერების პრინციპის აღსასრულებას გულისხმობს, დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები მეტი თუ ნაკლები სისრულით აღწერილია სისხლის სამართლის კანონში. უფრო სწორად, დანაშაული, როგორც უკვე ითქვა, არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგო და ბრალეული

⁴⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 124

ქმედება. დანაშაულის ამ ნიშნებში უპირველესია დანაშაულის შემადგენლობა, როგორც ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთიანობა. დანაშაულის შემადგენლობის ზოგიერთი ნიშანი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში..., მაგრამ დანაშაულის შემადგენლობა არსებითად აღწერილია სისხლის სამართლის კერძო ნაწილში. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის შექმნა დანაშაულობათა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ ბრძოლაში კანონიერების საგარანტიო ფუნქციას ასრულებს... ამრიგად, სისხლის სამართალში კანონიერების პრინციპი ნიშნავს არა მარტო ქმედების ფორმალურ შესაბამისობას ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობასთან, არამედ თვით ამ ქმედების ზუსტ საკანონმდებლო აღწერას და მის სისხლისსამართლებრივ შეფასებას.⁴⁷

კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი - სისხლის სამართლის კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მიუხედავად მისი წარმომავლობისა, სქესისა, სოციალური როლისა და სტატუსის, ოჯახური მდგომარეობის, განათლების, რელიგიასთან დამოკიდებულების ნიშნით და ა.შ. ეს პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლიდან. რომელიც კატეგორიულად კრძალავს ადამიანთა თანასწორობის დარღვევას რაიმე ნიშნის მიხედვით.

სისხლის სამართალში თანასწორობის პრინციპი ვლინდება მაგალითად, იმაში, რომ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ ამ პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებული დანაშაუ-

⁴⁷ სისხლის სამართალი ზგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 53-54

ლებრივი ქმედების ჩადენა. თუმცა კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი არ გამოორიცხავს სახელმწიფოს მთელი რიგი თანამდებობის პირების სამართლებრივ ხელშეუხებლობას (იმუნიტეტი) აღნიშნული პრინციპი არ ნიშნავს, რომ ყველა პირი თანაბრად უნდა დაისაჯოს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის. პასუხისმგებლობის საკითხის მკაცრად პერსონალურია.

ბრალეული და პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი:

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ დანაშაულებრივი ქმედებისთვის, რომელიც მან ბრალეულად ჩაიდინა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, ბრალი დანაშაულის მესამე აუცილებელი ნიშანი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველია.⁴⁸

საქართველოს კონსტიტუციის 31 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“⁴⁹

„არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს“ – საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

„დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადა-

⁴⁸ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ. 31-32

⁴⁹ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, მუხლი 31, 2020 წლის მდგომარეობით

სტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“ – საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილი.⁵⁰

მითუმეტეს, რომ სასჯელის მიზანი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით, არის არა მარტო სამართლიანობის აღდგენა, არამედ მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენა. აქედან გამომდინარე სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.⁵¹

პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპი გულისხმობს, რომ პირი რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ვერ გაექცევა სამართლიან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ანუ დანაშაულის ჩამდენმა ყოველმა პირმა პირმაპასუხი უნდა აგოს სახელმწიფოს წინაშე სისხლისსამართლებრივი წესით. ეს პრინციპი შეიძლება შებრუნებულადაც გავიგოთ, სახელმწიფომ დანაშაულის ჩადენის ყოველ ფაქტზე უნდა მოახდინოს აუცილილებელი და გადაუდებელი რეაგირება კანონით დადგენილი წესით, დანაშაულის ჩამდენი პირის

⁵⁰ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, მუხლი 31, 2020 წლის მდგომარეობით

⁵¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22/07/1999, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=229>

პასუხისგებაში მისაცემად.⁵² ამ პრინციპს გარდა პოსტდან-აშაულებრივი ზემოქმედების და რეაგირებისა აქვს ძალიან მნიშვნელოვანი პრევენციული ეფექტი. რაგან ყოველი ადამიანი უნდა აცნობიერებდეს, რომ მის მიერ დანაშაულისკენ გადადგმული ნაბიჯი არ დარჩება სახელმწიფოს მხრიდან სათანადო რეაგირების გარეშე – დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა გარდაუვალია, რასაც დანაშაულის თავიდან აცილებაში უდიდესი როლი უჭირავს. „ცნობილია ჩეზარე ბეკარიას გამონათქვამი, რომ დანაშაულთა თავიდან აცილებაში მთავარია არა სასჯელის სიმკაცრე, არამედ მისი გარდუვალობა. ეს დებულება არსებითად სწორია, ოღონდ იმ შესწორებით, რომ „პასუხისმგებლობა“ და „სასჯელი“ ერთი და იგივე არ არის.⁵³ გარდაუვალია პასუხისმგებლობა, ხოლო სასჯელი როგორც ასეთი, მიუხედავად იმისა რომ ის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება საერთოდ არც იყოს გამოყენებული (სასჯელისაგან გათავისუფლების პირობების არსებობისას). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპის აღიარებისა, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც პირი შეიძლება გათავისუფლდეს მისგან გარკვეული წესით და სათანადო პირობების არსებობისას, რაც გულისხმობს იმას, რომ არცერთი დანაშაული არ დარჩება სახელმწიფო რეაგირების გარეშე, მაგრამ საკითხს იმის თაობაზე რეაგირების რა სახე და ზომა უნდა იქნეს გამოყენებული წყდება ყოველი კონკრეტული, ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარე.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი: სასჯელის ინ-

⁵² თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ. 30

⁵³ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.60

დივიდუალიზაციის პრინციპი სისხლის სამართალში სასჯელთა დიფერენციაციის გზით ხორციელდება. სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა შეარჩიოს ისეთი სასჯელი, რომელიც ყველაზე უფრო ადეკვატურად გამოხატავს დანაშაულის ბუნებას, მისი ჩადენის გარემოებებს და ბრალეულის პიროვნებას.⁵⁴ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც წესი, თავიდანაა აცილებული აბსოლიტურად განსაზღვრული სანქციები, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში დაწესებულია სასჯელის მაქსიმუმი, ამავე დანაშაულისთვის იქვე სასჯელის მინიმალური ზომის განსაზღვრის გარეშე. უმეტესობა სანქციებისა მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ატარებს შეფარდებით განსაზღვრულ ფორმას, სადაც მოცემულია სანქციის მინიმუმი და მაქსიმუმი. მაგალითად, 177-ე მუხლში ქურდობისთვის, ე.ი. სხვისი ნივთის ფარული დაუფლებისთვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ამ მუხლის პირველი ნაწილით დაწესებულია ჯარიმა ან შინაპატიმრობა ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლში არამარტო დიფერენცირებულია სასჯელი არამედ განსაზღვრული სასჯელის მინიმუმი და მაქსიმუმი, რაც სასამართლოს საშუალებას აძლევს მოახდინოს არა მარტო სასჯელის ყველაზე ოპტიმალური სახის შერჩევა, არამედ კანონის ფარგლებში სასჯელის მინიმალური ზღვრის განსაზღვრაც.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი პრაქტიკულად ვერ განხორციელდება ბრალდებულთა პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე.

⁵⁴ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.60

სამართლიანობის პრინციპი: სამართლიანობის პრინციპი პირველ რიგში მიმართულია კანონმდებლის მიმართ, რათა მან, ჯერ ერთი, სამართლიანად განსაზღვროს ქმედებების წრე, რომლებიც მიეკუთვნება დანაშაულს და მეორეს მხრივ, სისხლის სამართლის კონკრეტულ ნორმაშივე გადაწყვიტოს დანაშაულის სიმძიმესთან სასჯელის შესაბამისობის პრობლემა. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეიძლება დანიშნოს სასამართლომ სამართლიანი სასჯელი.⁵⁵

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

სასამართლომ ბრალდებული უნდა სცნოს არა „დამნაშავედ“ არამედ „ბრალეულად“, მაგრამ არა „დანაშაულის ჩადენაში“, რაკი ბრალი დანაშაულის ელემენტია.⁵⁶ ეს დასკვნა უფრო მართებულია, რადგანაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, არამედ სუბიექტის ბრალი. რაც შეეხება სასამართლოს გამამატყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ბრალდებული ცნობილ იქნეს ბრალეულად სსკ-ის ამა თუ იმ მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩადენაში.

სისხლის სამართალში სამართლიანობის პრინციპი გამოიხატება აგრეთვე სასჯელის შესაბამისობაში არა

⁵⁵ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ. 32

⁵⁶ გ.ნაჭყებია., ბრალეულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპის საკითხისათვის. „ადამიანი და კონსტიტუცია“. თბ., 2000., №1., გვ.47

მარტო ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმესთან, არამედ დამნაშავის პიროვნებასთანაც, რაც მიიღწევა სასჯელის ინდივიდუალიზაციის მეშვეობით.

სამართლიანობის პრინციპის გამოხატულებაა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლში მოცემული ნორმა, რომ არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იგივე დანაშაულისთვის.

ჰუმანიზმის პრინციპი: სისხლის სამართალში ჰუმანურობის პრინციპი ვლინდება ძირითადად პიროვნების, მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვაში დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. იცავს რაინდივიდუალურ და საყოველთაო ინტერესებს დანაშაულებრივი ხელყოფისგან, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთათვის, აგრეთვე იმათ მიმართ, ვისაც არ სურთ დაადგენ გამოსწორების გზას. შედარებით უფრო მკაცრად იცავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ორსული ქალის, არასრულწლოვნების, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირების უფლებებს და თავისუფლებებს.⁵⁷

მეორეს მხრივ, ჰუმანიზმის პრინციპი სისხლის სამართალში დაკავშირებულია დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირის უფლებების და ინტერესების დაცვასთან. სჯის რა დამნაშავეს ჩადენილი დანაშაულისთვის, ამით სისხლის სამართლის კოდექსი სამაგიეროს კი არ უხდის დამნაშავეს. იგი ასევე არ ისახავს მიზნად დამნაშავისთვის ფიზიკური ტანჯვის მიყენებას ან ადამიანური ღირსების დამცირებას.

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანურობა ვლინდება აგრეთვე პასუხისმგებლობის დიფერენციაციაში, სიკვდილით დასჯის გაუქმებაში, უვადო თა-

⁵⁷ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ. 33

ვისუფლების აღკვეთის გამოყენების შეზღუდვაში, ისეთი სასჯელების ფართოდ გამოყენებაში, რომლებიც არ არიან დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. ჰუმანიზმის პრინციპზეა აგებული ნორმები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ნორმები სისხლის სამართლის კანონის უკუქცევითი ძალის, ამნისტიის, შეწყალების, ნასამართლეობის გაქარწყლების და მოხსნის შესახებ. ჩვენი კანონმდებლობის განსაკუთრებული ჰუმანურობა მჟღავნდება არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული. არც ისაა შემთხვევითი, რომ მათ მიმართ კანონმდებლობა ითვალისწინებს ყველა საშეღავათო გარემოებას, მათ შორის, აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს.⁵⁸

სისხლის სამართლის პრინციპებს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. სისხლის სამართლის პრინციპებზეა აგებული არა მართო ჩვენი სისხლის სამართლის მოქმედი ნორმები, არამედ ის ნორმებიც, რომლებსაც კანონმდებელი მომავალში ჩამოაყალიბებს.

⁵⁸ საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ, 12/06/2015 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=17>

თავი II. სისხლის სამართლის კანონი, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები

2.1 საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

სამართალი საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში ვითარდებოდა საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების პარალელურად. ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდიდან სამართალს ჰქონდა საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის წესის და ადათის ფორმა. მხოლოდ მრავალი საუკუნის შემდგომ თანდათან განხორციელდა მისი მოდიფიცირება და კოდიფიცირება, რაზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებამ და განვითარებამ. სახელმწიფო და სამართალი ერთმანეთთან პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია, ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი სახელისუფლებო ინსტიტუტები ნიშნავს განვითარებულ სამართალს და პროგრესულ იდეებს ამ მიმართულებით და პირიქით სახელმწიფოს დაცემა, დაქვეითება სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლა იწვევს სამართლის დეგრადირებას და მართლმსაჯულების გაუფასურებას.

საქართველომ ეტაპობრივად გაიარა სახელმწიფოს და სამართლის მშენებლობის ურთულესი გზა სადაც იყო აღმასვლა და უკიდურესი დაცემაც. დღეს საქართველოში რეფორმირების ხანაა, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ასევე შესაბამისად სამართლის და მართლმსაჯულების მხრივ.

დიდ ინტერესს იწვევს ქართული სამართლის განვითარების ისტორია. დღემდე ამათუ იმ ფორმით შემორჩენილია ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლები,

თუმცა უმეტესობა კი ისტორიის ქარცეცხლში სამუდამოდ დაიკარგა.

ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების შემდგომ საქართველოში მოქმედებდა ქრისტიანული საეკლესიო სამართალი. მის პარალელურად ვითარდებოდა საერო სამართალი, რომელიც წარმოსდგება ერთის მხრივ, სახელმწიფო სამართალით, ხოლო, მეორეს მხრივ, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის დარგებით.

ქართული სამართლის კანონმდებლობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ბიზანტიური წარმომავლობის საეკლესიო სამართალმა. მსოფლიო საეკლესიო კრების კანონებს ისეთივე სავალდებულო იურიდიული ძალა ჰქონდა, როგორც საერო კანონმდებლობას. უცხოური საეკლესიო კანონებიდან უნდა მოვიხსენიოთ „დიდი სჯულის კანონი“ და „მცირე სჯულის კანონი“ უცხოური ავტორის მიერ შედგენილი „დიდი სჯულის კანონი“ ქართულად თარგმნა არსენ იყალთოელმა მე-12 საუკუნის დასაწყისში. ეს ძეგლი შეიცავდა სისხლისსამართლებრივ საკითხებს. რაც შეეხება „მცირე რჯულის კანონს“ იგი ბერძნულიდან თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მან აღნიშნულ კანონს კომენტარი დაურთო და ისე მიუსადაგა იმდროინდელ ქართულ სინამდვილეს. სისხლის სამართლის საკითხებზე „დიდი რჯულის კანონსა“ და „მცირე სჯულის კანონის“ გარდა, სისხლის სამართლის ცალკეულ საკითხებზე მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავდნენ ადგილობრივი, ქართული, საეკლესიო, საკანონმდებლო ძეგლები.

ფეოდალური ქართული სამართლის წყაროებიდან მეტად მნიშვნელოვანია სისხლისა და სამოქალაქო სამართ-

ლებრივი ხასიათის ძეგლები: ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი, გიორგი ბრწყინვალეს სამართალი, ბექასა და ალბუღას სამართალი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, ვახტანგ VI-ის წიგნთა კრებული და ა.შ.⁵⁹

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტის შემორჩენილი მუხლები ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებია, თუმცა მასში ვხვდებით სამოქალაქო და საოჯახო სამართლის, აგრეთვე საპროცესო სამართლის ნორმებსაც. მას შემდეგ, რაც გიორგი V-მ მოახერხა საქართველოს გაერთიანება იგი გაეცნო აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილ რთულ მდგომარეობას, სრულ ანარქიას, გახშირებულ მკვლევლობებს, ქურდობას, ყაჩაღობას და სხვა დანაშაულებებს. ქალაქში დაბრუნებულმა მოიწვია საკანონმდებლო კრება, რომელზეც მიიღო კანონი, ანუ „ძეგლი დაუდგია“.

გიორგი V-ის სამართლის წიგნი 46 მუხლისაგან შედგება. მასში მხოლოდ ხუთი მუხლი ეხება სამოქალაქო და საოჯახო სამართლის საკითხებს. დანარჩენი მუხლები ეძღვნება სისხლის სამართლის ნორმებს. ძეგლისდებაში დასახელებულია ცალკეული სახის დანაშაულები (მკვლელობა, დაჭრა, მეკობრეობა და ა.შ) და განსაზღვრულია მათთვის სასჯელები. სასჯელის ძირითადი სახეა დანაშაულის გამოსასყიდი თანხა, (სისხლის ფასი) ამ სისტემას კომპოზიციას უწოდებენ. მისი აზრი ის არის, რომ დაზარალებული ხელს იღებს შურისძიებაზე თუ ჯეროვან მისცემენ -თუ შეისყიდი სისხლს ხომ კარგი, არ შეისყიდი და, შურისძიება ხომ ჩემს ხელთ არისო. ე.ი კომპოზიცია შურისძიების შესყიდვაა. ეს სისტემა ცნობილია ძველთაგანვე ევროპის ე.წ. ბარბარო-

⁵⁹ ვ.მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2002, გვ.125

სულ სჯულმდებლობაში.⁶⁰ ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნის სრული სახელწოდებაა „სამართალი კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“ იგი შედგენილ იქნა მე-14 საუკუნის დასაწყისში მესხეთ-ჯავახეთისათვის. აღნიშნულ სამართლის წიგნს წინ უძღვის შესავალი, რომელიც ეკუთვნის მის შემდგენელ ალბუღას. შესავალში აღნიშნულია, რომ ბექას სამართლის წიგნზე დაყრდნობით შეუმუშავებიათ ახალი სამართლის წიგნი. ალბუღა იყო სამცხის ათაბაგ-ამირსპარსალარი, რომელმაც საფუძვლად აიღო ბექას კანონები და მას დაუმატა ახალი მუხლები გახშირებულ დანაშაულებათა მოსაწესრიგებლად. ამ წიგნის მუხლების უმეტესობა ეკუთვნის სისხლის სამართლის დარგს. ალბუღას სამართალი კაცის წოდებრივ ღირსებას სისხლით ზომავს. სისხლი ნიშნავს, რომ ამდენი და ამდენი თეთრი მიეცემა კაცს, თუ მას დაუშავეს ესა და ესო. სისხლის დენა ზემოდან ქვემოთ მისდევს და ვისაც დიდი სისხლი სდის, მაღალი ღირსებისაც ის არის. ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნში შეტანილია მკვლელობის, სხეულის დაზიანების, შეურაცხობის, ცილისწამების, სქესობრივი დანაშაულის, ქურდობის და სხვა ნორმები.

ქართულ საკანონმდებლო საქმიანობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ვახტანგ მე-VI-ეს. მან შეადგინა „ჭკვიან კაცთა“ კომისია, რომელთა მეშვეობით გაშალა ფართო საკანონმდებლო საქმიანობა და შექმნა სჯულმდებლის დიდი კრებული, რომელსაც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის კრებულს უწოდებენ. მასში აისახა მონათმფლობელური სისხლის სამართლისაგან განსხვავებით შედარებით პროგრესული იდეები. კერძოდ, აღიარებული იქნა, რომ მებატონეს უკვე აღარ მიუწვდებოდა ხელი ყმის სიცოცხლეზე, მაგრამ ყმის

⁶⁰ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 39

მდგომარეობა მაინც დამძიმებული იყო. ვახტანგ მე- VI-ის სამართლის წიგნის 95-ე მუხლის თანახმად, დასასჯელი ყმა არ გადაეცემა მეფეს. მეზატონე მხოლოდ ატყობინებს მეფეს ყმის მოქმედების შესახებ და თუ მიიღებს „დასტურს“ თვითონ უსწორდება ყმას. ეს იმით იყო გამოწვეულია, რომ საჯარო ხელისუფლება, ნაკლებად ძლიერი იყო და თავის იურისდიქციას ურყევად ვერ ავრცელებდა საფეოდალოებში.⁶¹

ყმის პასუხისმგებლობა განისაზღვრებოდა ე.წ. „ტილონის პრინციპით“ (ანუ სარკისებრი პრინციპით) „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“. მაგალითად, თავისი ბატონის ცემისათვის ყმას ხელს კვეთდნენ და ხელის ფასს ართმევდნენ, ხოლო შეგინებისათვის, ენას აჭრიდნენ ან ენის ფასს ართმევდნენ.

ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლით ზოგადად აღიარებულია აუცილებელი მოგერიების უფლება, მაგრამ ასეთი უფლება არ ენიჭება ყმას, რომელსაც ბატონი დაესხა თავს, მაგრამ თუ ბატონი თვითონ მოსაკლავად შეუტევედა კაცს, რომელიც მისი ყმა არ იყო, ეს უკანასკნელი აუცილებელი მოგერიების უფლებით ძალზე შეზღუდულად, მაგრამ მაინც სარგებლობდა. კერძოდ, მას უნდა დაეთმო (დალოდებოდა) ხმლის ხელმეორედ მოქნევამდე.

ვახტან VI-ს საკოდიფიკაციო საქმიანობა თავისი ეპოქოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, და დასაფასებელია, განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის, რომ მან ასევე შეკრიბა ძველი სამართლის წიგნები, კათოლიკოსთა სამართალი, ბერძნული ანუ რომაული სამართალი, ხოლო სომხური სამართალი გადმოაქართულა და შეიტანა კრებულში. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად გახდა რუ-

⁶¹ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 40

სეთის შემადგენელი ნაწილი, ამით იურიდიულად და ფაქტობრივად გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. მაგრამ ქართული იურიდიული აზროვნება არ შეწყვეტილა, თუმცა შემოიფარგლა მხოლოდ სამეცნიერო და პუბლიცისტური სფეროთი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში შეიმჩნევა გერმანული სამართლის მეცნიერებით დაინტერესება. გერმანიაში აღმოცენებულმა სამართლის ისტორიულმა სკოლამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართული იურისტების შემოქმედებაზე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას მოკავშირე რესპუბლიკების სამართალშემოქმედებითი საქმიანობა არსებითად შეზღუდული იყო, თუმცა საბჭოთა სისხლის სამართალი განიცდიდა გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენას, მაგრამ იგი ცალმხრივ ხასიათს ატარებდა. ძირითადად გაბატონებული იყო სამართლის სოციოლოგიური სკოლის პრინციპები. ნებადართული იყო სამართლის კანონის ანალოგიით გამოყენება, ყურადღება არ ექცეოდა სუბიექტურ შერაცხვას და სხვა. აქედან გამომდინარე, 1950-იანი წლების ბოლოს სისხლის სამართლის რეფორმა გარდაუვალი გახდა. რეფორმა დაიწყო „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების“ გამოცემით 1959 წლის 25 დეკემბერს. საფუძვლებმა გააუქმეს კანონის ანალოგია, განამტკიცეს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი და სხვა. რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. 1960 წლის 30 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1961 წლის 1-ლი მარტიდან და მოქმედებდა დამოუკიდებელ საქართველოში სამართლებრივი რეფორმის გატარებამდე.

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, ეროვნული საბჭოს გამარჯვების შემდეგ, ფაქტიურად გაუქმდა საბჭოთა ხელისუფლება.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ქვეყნის ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციის ბაზაზე საქართველოში დაიწყო სამართლებრივი რეფორმა, რომელიც ერთ-ერთი პირველი შეეხო სისხლის სამართლის კანონმდებლობას. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1999 წლის 22 ივლისს ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისიდან.

2.2 სისხლის სამართლის კანონის ცნება და ნიშნები

სისხლის სამართლის მეცნიერება თავის თეორიულ დებულებებს, წესებსა და პრინციპებს გამოხატავს სისხლის სამართლის კანონში, ე.ი. კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ამავე დროს წარმოადგენენ სამართლის წყაროებს და ისინი სისხლის სამართლის ნორმების გამოხატვის სპეციფიკური ფორმებია.

მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონი ეს არის საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული იურიდიული ნორმებისაგან. ამ ნორმათაგან ზოგი განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და პრინციპებს და შეიცავს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად დებულებებს, სხვები კი, განსაზღვრავენ თუ რომელი მართლსაწინააღმდეგო ქმედება წარმოადგენს დანაშაულს და ადგენს სასჯელს, რომელიც შეიძლება შეეფარდოს დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენს, ან განსაზ-

ღვრულ შემთხვევაში მიუთითებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების პირობებზე. სისხლის სამართლის კანონის ნიშნებია: სისხლის სამართლის კანონი ერთადერთი წყარო და სისხლის სამართლის გამოხატვის ერთადერთი ნორმატიულ-სამართლებრივი ფორმაა, შედგება სამართლებრივი ნორმებისაგან, გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა, აღწერს დანაშაულის საკანონმდებლო კონსტრუქციას, ადგენს სასჯელის სახეს და ზომას.⁶²

სისხლის სამართლის კანონს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: არის საქართველოს სისხლის სამართლის ერთადერთი წყარო; გამოდის სისხლის სამართლის პოლიტიკის რეალიზაციის ძირითად საშუალებად; სისხლის სამართლის მართლმსაჯულების იურიდიული საფუძველი; საზოგადოების წევრებზე გააჩნია პრევენციული და აღმზრდელობითი ზემოქმედება.

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა საქართველოს პარლამენტი, მხოლოდ პარლამენტის პრეზოგატივაა კანონის, მათ შორის სისხლის სამართლის კანონის მიღება. საქართველოს სისხლის სამართლის კანონის მიღების თარიღად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის მიერ მის საბოლოო რედაქციით მიღების დღე.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს პარლამენტის უწყებანი) გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს (ამ ვადაში შედის საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეები) თუ კანონით სხვა ვადა არ იქნა გათვალისწინებული. მაგალითად, საქართველოს ახალი სისხლის სამართ-

⁶² თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ. 58-59

ლის კოდექსი პარლამენტმა მიიღო 1999 წლის 22 ივლისს, ხოლო სამოქმედოდ შემოღებულ იქნა 2000 წლის 1 ივნისიდან. რაც გულისხმობს იმას, რომ ასეთი ვადა მიღების პროცესშივე მითითებული იყო თვით კოდექსში.

როცა კანონის ძალაში შესვლის ვადაზეა საუბარი, განსაკუთრებით მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის საკითხს. როგორც ზემოთ აღნიშნა, კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს ან უფრო დიდი ხსნის შემდეგ რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება კანონი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე, თუკი ის ათავისუფლებს ადამიანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან მისთვის სხვაგვარ შეღავათს ანესებს.

როგორც პროფესორი ო. გამყრელიძე აღნიშნავს, იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ათავისუფლებს ადამიანს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ასეთ დროსაც ეს ნორმები გამოქვეყნებისთანავე უნდა შევიდეს ძალაში და არ უნდა დაელოდოს მთელი კოდექსის ძალაში შესვლას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 05 ოქტომბრის განაჩენით რ.ჩ.ს მსჯავრი დაედო 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მე-3 ნაწილით შვილის- ა.ჩ.ს. დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვისათვის. 1995 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის პენიშენის თანახმად „სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული“. სისხლის სამართლის კოდექსი ამ დროისათვის (1995 წლის 5 ოქტომბერი) ჯერ კიდევ არ მოქმედებდა.

მიუხედავად ჩვენი დასაბუთებული რჩევისა, მოსამართლემ ვერ შეძლო ამ შენიშვნის გამოყენება და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ განსასჯელს თავისუფლების აღკვეთა პირობით მიუსაჯა.⁶³

კანონი მოქმედებს უვადოდ, თუ კანონმდებლობით ან თვით ამ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი. კანონი შეიძლება მოქმედებდეს რაიმე ვადითაც, რომლის გასვლის შემდეგ სისხლის სამართლის კანონი ძალას კარგავს. სისხლის სამართლის კანონი ძალას კარგავს მაშინაც, როცა ახლადმიღებული კანონი მას ძალადაკარგულად აცხადებს.⁶⁴

სისხლის სამართლის კანონი ძალას კარგავს იმ შემთხვევაშიც, როცა იმავე სფეროს მომწესრიგებელი ახალი კანონი გამოდის და იწყებს მოქმედებას (მაგალითად, 1999 წლის კოდექსის ამოქმედებით ძალა დაკარგა 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა). მაგრამ, როცა საქმე ეხება ისეთ დიდ საკანონმდებლო აქტს, როგორიცაა სისხლის სამართლის კოდექსი, ის მექანიკურად მაშინვე კი არ კარგავს ძალას. როგორც კი ახალი კოდექსი ამოქმედდება. ძველი კოდექსის მუხლები შესაბამისი დროის მანძილზე ჯერ კიდევ მოქმედებენ იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც ამ კოდექსის ძალაში ყოფნის დროს იყო ჩადენილი. ზოგჯერ კი, პირიქით, ახალი კოდექსის მუხლებს ეძლევათ ძალა ამ ქმედებების მიმართ, რომლებიც ამ კოდექსის ამოქმედებამდე იყო ჩადენილი.⁶⁵

საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ. გერმანიაში სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს მხოლოდ ტი-

⁶³ ო, გამყრელიძე, კანონის ძალაში შესვლის საკითხისათვის, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2001, №4

⁶⁴ საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, 22/10/2009, 25-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>

⁶⁵ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბ., 2013, გვ.139

პიურად გავრცელებულ დანაშაულებებს ანუ დელიქტებს, როგორც არის მკვლელობა, ტერორიზმი, ყაჩაღობა და ა.შ. ხოლო, ისეთი დანაშაულებები, რომლებიც, დაკავშირებულია რომელიმე სპეციალურად განსაზღვრული წესების დარღვევასთან, გათვალისწინებულია ცალკე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. მაგ. დანაშაული სატრანსპორტო, ნარკოტიკების, ეკოლოგიის სფეროში და ა.შ. გამოდის, რომ სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავენ სხვა ნორმატიული აქტებიც, რომლებსაც გვერდით კანონებს უწოდებენ (სისხლის სამართლის კანონების მსგავს გაბნევას სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში ვხვდებით (როგორც ევროპის ასევე სხვა კონტინენტის ქვეყნებშიც), ასე მაგალითად, იაპონურ სისხლის სამართალშიც სადაც გარდა საკუთრივ სისხლის სამართლის კოდექსისა არსებობს სპეციალური სისხლის სამართლის კანონები). კანონის შინაარსის ასეთი ლოგიკა ერთის მხრივ, მისაღებია რადგან უშუალოდ ე.წ. ძირითადი სისხლის სამართლის კანონი გადატვირთული არაა და იგი სახელმძღვანელოდ უფრო მოსახერხებელი და მარტივია. მეორეს მხრივ, სამართალდამცავი ორგანოები გამოძიების პროცესში აწყდებიან ასეთ სიძნელეებსაც: მათ უხდებათ მრავალი სხვადასხვა ნორმატიული აქტის მოშველიება, რათა მოიძიონ ესა თუ ის კონკრეტული ნორმაქმედების დანაშაულად ზუსტი კვალიფიკაციისათვის და ა.შ. საქართველოშიც იყო მსგავსი მცდელობა, მაგრამ მან კანონში დანერგვისათვის ჯერჯერობით ვერ პოვა ნაყოფიერი ნიადაგი.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონი სისხლის სამართლის ერთადერთი წყაროა. მხოლოდ სისხლის სამართლის კანონი შეიცავს სისხლის სამართლის ნორმებს, უფრო კონკრეტულად, სისხლის სამართლის კანონი ად-

გენს ქმედების დანაშაულებრიობას და დასჯადობას. სახელმწიფოს არცერთი სხვა ნორმატიული აქტი არ შეიცავს სისხლისსამართლებრივ ნორმას. სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს ისეთ ნორმას, რომელიც სამართლის არცერთი სხვა დარგით არ არის რეგლამენტირებული. სისხლის სამართლის კანონის მნიშვნელობა სწორედ იმით გამოიხატება, რომ იგი უკრძალავს მოქალაქეებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს იგი მართლმსაჯულების ორგანოებს, როდესაც პირი არღვევს ნორმას.

სისხლის სამართლის კანონი სისტემატიზირებულია სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება- ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილებისაგან. კოდექსი არის განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი.⁶⁶

ბოლოს განვმეორდებით რომ: „სისხლის სამართლის კანონს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

სისხლის სამართლის კანონი არის სახელმწიფოს ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელსაც ღებულობს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანო;

ის არის სისხლისსამართლებრივი ნორმების გარეგანი გამოხატულების ფორმა და სისხლის სამართლის წყარო;

მას იურიდიული ძალა გააჩნია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

ის განამტკიცებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს და პრინციპებს, სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს;

⁶⁶ საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, 22/10/2009, მე-2 მუხლი მე-6 ნაწილი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>

განსაზღვრავს თუ რომელ ქმედება ითვლება დანაშაულად და ითვალისწინებს სასჯელის სახეებს და ზომებს მათი ჩამდენი პირებისათვის;

ის, ერთის მხრივ, იცავს ინდივიდუალურ და საყოველთაო სამართლებრივ სიკეთეებს, ხოლო მეორეს მხრივ, არეგულირებს სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას;

წარმოადგენს დამნაშავეობასთან ბრძოლის იარაღს;

ხელს უწყობს დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის გამოსწორებას.⁶⁷

პროფესორი გ.ხუბუა სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ ნორმატიული კანონი სამართლის იდეალს უნდა მიუახლოვდეს და მაშინ იგი სამართლიანობასაც მიუახლოვდება.⁶⁸

2.3 კანონის ანალოგია და მისი გამოყენების ფარგლები

ტერმინი „ანალოგია“ ნიშნავს მსგავსებას, შესაბამისობას. სისხლის სამართლის კანონის ანალოგია გულისხმობს შინაარსობრივად ახლოს მდგომი, მსგავსი სისხლისსამართლებრივი ნორმის გამოყენებას იმ შემთხვევებზე, რომელიც მასში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული. სამართლის თეორიაში განასხვავებენ ანალოგიის ორ სახეს: კანონის ანალოგიას და სამართლის ანალოგიას. სისხლის სამართლის კანონის განვრცობითი განმარტებისაგან განსხვავებით, როდესაც კანონმდებლის ნება პირდაპირ არის გამოხატული, ანალოგიისას კანონი მიზანმიმართულად გამოიყენება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კანონმდებელმა თავისი შეფასება პირდაპირ არ გამოხატა. ანალოგიის გამოყენების

⁶⁷ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ. 38

⁶⁸ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ.15-16

მთავარი აზრი მდგომარეობს კანონმდებლობაში წარმომო-
ბილი ხარვეზის შევსება.

კანონიერების, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდი-
ნარე, ასევე სამოქალაქო თავისუფლების და სიმშვიდის
უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე დღევანდელი
მდგომარეობით სისხლის სამართლის კანონის ანალოგია
უმეტეს ქვეყნებში არ გამოიყენება. ზოგიერთ ქვეყანაში კი
მისი პირდაპირი აკრძალვაა მოცემული სისხლის სამართ-
ლის კოდექსში.

როგორც უკვე ვახსენეთ საქართველოში სისხლის
სამართლის კანონი კრძალავს ანალოგიას პიროვნების სა-
ზიანოდ, ხოლო უშვებს მას პიროვნების სასარგებლოდ.
რამაც გამოხატულება ჰპოვა სისხლის სამართლის კოდექ-
სის ზოგადი ნაწილის ზოგიერთ ნორმაში და უმეტესწილად
სამოსამართლეო სამართალშემოქმედებაში.

ნორმის ანალოგიის აკრძალვა სრულად ვლინდება
სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მიმართ, სადაც უპი-
რობოდ დაუშვებელია მისი გამოყენება. „პიროვნების სა-
ზიანოდ, მაშასადამე, დაუშვებელი ანალოგიის მაგალითად
შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი: ქურდობა წარმოადგენს
სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწი-
ნააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ელექტროენერგია
(დენი) არ წარმოადგენს სხეულებრივ საგანს. მაშასადამე,
იგი არ არის ნივთი, ამიტომ ელექტროენერგიის დატაცება
(დენის მოპარვა) არ წარმოადგენს ქურდობას ქართული
სსკ-ის 177-ე მუხლის მიხედვით. (ანალოგიური პოზიცია
ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ გერმანიის რაიხის სასამართლოს
მიერ, რომელსაც მხარს უჭერს გაბატონებული შეხედულებაც)
ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია ანალოგის გამოყ-
ენება და დენის გამტაცებლის მიერ ქურდობის ჩადენის

დასაბუთება იმ არგუმენტზე მითითებით, რომ თითქოს იგი წარმოადგენს ნივთის მოპარვის ანალოგიურ შემთხვევას. დასჯადობის ხარვეზი რომ აღმოიფხვრას, საჭიროა სისხლის სამართლის კოდექსებში სპეციალური ნორმის არსებობა. (ასეთ სპეციალურ ნორმას, მაგალითად გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში წარმოადგენს 248-ე ც პარაგრაფი). საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის კომენტარების მიხედვით, არა ქურდობით არამედ, 185-ე მუხლით („ქონებრივი დაზიანება მოტყუებით“) კვალიფიცირდება დამნაშავის მიერ ელექტროენერჯის, გაზის, გათბობის და სხვა კომუნალური გადასახადის სრული ან ნაწილობრივი გადაუხდელობა, თუ იგი ჩადენილია მრიცხველის მონაცემების გაყალბებით ან სხვაგვარი მოტყუებით.“⁶⁹

2.4 სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურა (დისპოზიცია და სანქცია, მათი სახეები)

სისხლის სამართლის ნორმა არის ქცევის ზოგადი წესი, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად. სისხლის სამართლის ნორმა მართალია, გადმოცემულია კანონის მუხლში, მაგრამ სამართლის ნორმა და მუხლის ტექსტი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. როგორც წესი, ნორმატიული აქტის, ერთი მუხლი შეიცავს ერთ ნორმას, მაგრამ არც თუ იშვიათად მუხლი შეიცავს ორ-სამ ნორმას. სამართლის ნორმა შედგება სამი სტრუქტურული ნაწილისაგან: ჰიპოთეზის, დისპოზიციის და სანქციისაგან.⁷⁰ ამ კლასიკური სქემისაგან განსხვავებულია სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურა.

⁶⁹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 124

⁷⁰ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 50

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და განსაკუთრებული (კერძო) ნაწილის მუხლები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი სტრუქტურით. განსაკუთრებული ნაწილის მუხლები შედგება დისპოზიციისა და სანქციისაგან. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მუხლები დაყოფილია ნაწილებად, მუხლის ყოველი ნაწილი მოიცავს სისხლისსამართლებრივი ნორმის საერთო შინაარს და ამასთანავე მიუთითებს იმ თავისებურებებზე, რომელთაც ხშირად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ. ამიტომ მუხლის ყოველ ნაწილს გააჩნია თავისი დისპოზიცია და სანქცია.

ჰიპოთეზა არის სამართლის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც აღწერილი პირობების არსებობის დროს ნორმა იწყებს მოქმედებას. გაბატონებული მოსაზრებით სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმებში ჰიპოთეზა არ არის. იგი შეერთებულია დისპოზიციასთან. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ითქვას, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმას მხოლოდ ორი ელემენტი გააჩნია, კერძოდ დისპოზიცია და სანქცია. ჰიპოთეზა ანუ ნორმის მოქმედების პირობა სისხლის სამართალში თითქმის არ არსებობს. თუმცა „სინამდვილეში ნორმა, რომელიც ყოველგვარი პირობის გარეშე მოქმედებს შეუძლებელია. მაშინაც კი, როცა ნორმა თითქოს აბსოლუტურ პრინციპს გამოხატავს, ის გარკვეული აზრით რელატიურიცაა. მაგალითად, ჩადენილი ქმედება სისხლისსამართლებრივად, როგორც წესი ფასდება ამ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონით, მაგრამ არსებობს კანონის უკუქცევითი ძალა, ანუ გარკვეულ პირობებში ახალი კანონი, რომელიც აღნიშნული ქმედების ჩადენის შემდეგ გამოიცა, შეიძლება გავრცელდეს ამ კანონის გამოცემამდე ჩადენილი ქმედების მიმართ. ამდენად, ჰიპოთეზა, როგორც ნორმის მოქმედების პირობა, სისხლის

სამართლის სფეროშიც არსებობს, ოღონდ საკანონმდებლო ტექნიკიდან გამომდინარე, იგი ნორმის სტრუქტურაში ყოველთვის ტექსტუალურად არაა გამოხატული.⁷¹

დისპოზიცია არის სამართლის ნორმის ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია სავალდებულო ქცევის წესი. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილის დისპოზიციაში ამა თუ იმ ხერხით დადგენილია ის წესი, რომელიც აკრძალულია, თუ საქმე შეეხება დანაშაულის ჩადენას აქტიური მოქმედებით; ან მოთხოვნილია აქტიური მართლზომიერი მოქმედება, თუ დანაშაული შეიძლება განხორციელდეს უმოქმედობით.“⁷²

სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიცია ოთხი სახისაა: მარტივი, აღწერილობითი, მითითებითი და ბლანკეტური.

მარტივი არის დისპოზიცია, რომელიც არ შეიცავს დანაშაულებრივი ქმედების ნიშნების აღწერას ან ის გადმოცემულია მხოლოდ ზოგადად. ასეთი დისპოზიციის ტიპური მაგალითია სსკ-ის 108-ე მუხლი. განზრახ მკვლელობა, სადაც კანონმდებელი მისი ნიშნების აღწერის გარეშე მხოლოდ ასახლებს ამ დანაშაულს. კანონმდებელი ამ ხერხს მიმართავს იმ შემთხვევაში, როდესაც უბრალო დასახელებითაც უკვე ნათელია, თუ რომელ დანაშაულებრივ ქმედებასთან გვაქვს საქმე.

აღწერილობითი დისპოზიცია შეიცავს დანაშაულებრივი ქმედების ყველაზე არსებითი, ნიშნების გაფართოებულ აღწერას, აღწერილობითი დისპოზიცია შეიცავს არა მარტო არა თუ იმ ქცევის წესის სახელწოდებას, არამედ მისი არსებითი ნიშნების აღწერასაც. მაგალითად, სისხლის

⁷¹ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 76

⁷² სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 76

სამართლის კოდექსი შეიცავს ნორმას, რომელიც კრძალავს ძარცვას, როგორც მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ მოქმედებას, მაგრამ კანონმდებელი არ კმაყოფილდება ძარცვის საწინააღმდეგო ნორმის დადგენით და გვაძლევს ძარცვის ცნების დახასიათებასაც. სახელდობრ, ხაზს უსვამს იმას, რომ ძარცვა არის სხვისი მოძრავი ნივთის აშაკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.⁷³

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმების უმრავლესობას აღწერილობითი დისპოზიცია აქვს, რაც ხელს უწყობს დანაშაულის ნიშნების მართებულად გარკვევასა და ქმედების სწორ კვალიფიკაციას.

მითითებითი დისპოზიცია აყალიბებს ქცევის წესს სხვა მუხლის დისპოზიციაზე დაყრდნობით, მასზე მითითებით. ამის მაგალითს წარმოადგენს სსკ-ის 121-ე მუხლის დისპოზიცია, რომელიც ასეთი შინაარსისაა. „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავეს ან მისი ახლობლის მიმართ დაზარალებულის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ, მძიმე შეურაცყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე დაზარალებულის არაერთგზის მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა „ფსიქიურმა ტრამვამ“ ამ მუხლის შესაფარდებლად საჭიროა არსებობდეს არა მხოლოდ მასში აღწერილი ნიშნები, არამედ აგრეთვე სსკ-ის 117-ე და 118-ე მუხლებით დადგენილი ნიშნებიც, რომლებიც განსაზღვრავენ თუ ჯანმრთელობის როგორი დაზიანება ჩაითვლება მძიმედ ან ნაკლებად მძიმედ.

ბლანკეტური დისპოზიცია ქმედების მრავალრიცხოვანი

⁷³ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ. 52

ნიშნების გამო ადგენს მხოლოდ მის ზოგად აკრძალვას, ხოლო მისი შინაარსის განსაზღვრისათვის მიუთითებს სამართლის სხვა დარგის ნორმებზე.⁷⁴ მაგალითად სსკ-ის 169-ე (შრომის კანონმდებლობის დარღვევა), სსკ-ის 170-ე (შრომის დაცვის წესის დარღვევა), სსკ-ის 305-ე (დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა) მუხლების დისპოზიციები და სხვა.

სანქცია ეწოდება ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც მითითებულია, თუ რა სახის და ზომის სასჯელი მოყვება დისპოზიციაში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევას. სანქცია მიუთითებს იმ ღონისძიებზე, რასაც ხელისუფლება სამართლის ნორმის დარღვევის შემთხვევაში გამოიყენებს. ამრიგად, სანქციაში გამოხატულია ის იძულებითი ხასიათის ღონისძიებანი, რომლითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლის ნორმის განხორციელებას, ნორმით რეგულირებული ურთიერთობის მონაწილეთა უფლებებით დაცვას და მოვალეობების შესრულებას. მაგალითისათვის მოვიყვანოთ სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლი (თვითმკვლელობა მიყვანა) აღნიშნული ქმედება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

სისხლისამართლებრივი სანქციები გამოიყენება სისხლისამართლის ნორმის დარღვევის შემთხვევაში, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირების მიმართ. სანქციები განსაზღვრულობს ხარისხის მიხედვით შეიძლება იყოს აბსოლუტურად განსაზღვრული, შეფარდებით განსაზღვრული, ალტერნატიული და კუმულაციური.

აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის დროს კანონი ადგენს მხოლოდ სასჯელის ერთ სახეს და ზომას, რომ-

⁷⁴ Уголовное право. Общая часть, Под. ред. А.И. Плотникова, Ор., 2016 с. 45

ლითაც არ იძლევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენცირების საშუალებას.⁷⁵ და რაც მთავარია ასეთი სახის სანქცია არ იძლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სისხლისსამართლებრივი პრინციპის განხორციელების შესაძლებლობას, მოსამართლე მოკლებულია სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას. პრაქტიკით დადასტურდა, რომ ასეთი სახის სანქცია მიზანშეუწონელია. საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია გათვალისწინებული არ არის.

შედარებით განსაზღვრული სანქცია ადგენს სასჯელის სახეს და ზომას გარკვეულ ფარგლებში, მის მინიმუმს და მაქსიმუმს ან მხოლოდ მაქსიმუმს, ასეთ შემთხვევაში მინიმუმად ითვლება ქვედა ზღვარი რასაც ადგენს კოდექსის ზოგადი ნაწილი ამ ტიპის დანაშაულებისათვის. მაგალითად, სს კოდექსის 137-ე მუხლის (გაუპატიურება) პირველი ნაწილის სანქცია, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან რვა წლამდე; ამ შემთხვევაში მოცემულია სასჯელის, როგორც უმდაბლესი, ასევე უმაღლესი ზღვარი და სასამართლოს ამ ფარგლებში შეუძლია განსაზღვროს სასჯელის შესაბამისი ვადა. სისხლის სამართლის კოდექსში სანქციათა უმრავლესობა ამ სახისაა და ეს გამართლებულიცაა, რადგან იძლევა შესაძლებლობას სასჯელის ინდივიდუალიზაციისას მოსამართლემ გაითვალისწინოს საქმის ყველა გარემოება და დამნაშავის პიროვნება, რაც უზრუნველყოფს სამართალშეფარდებითი პრაქტიკის ეფექტურობას.

ალტერნატიული სანქციის დროს კანონმდებელი სასჯელის დამდგენ სუბიექტს ანიჭებს უფლებას გამოიყ-

⁷⁵ Уголовное право. Общая часть, Под. ред. А.И. Плотникова, Ор., 2016 с. 46

ენოს სანქციაში მითითებული სასჯელის ერთ-ერთი სახე. მაგალითად, სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთ დანაშაულებრივი ქმედება, როგორცაა დაუხმარებლობა, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვით-დან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. სასჯელის ამ სამი სახიდან სასამართლოს შეუძლია აირჩიოს ერთერთი (ძირითადი და დამატებითი სასჯელების გამოყენების წესის შესაბამისად), რა თქმა უნდა, საქმის კონკრეტული გარემოებებისა და დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პიროვნების თავისებურებათა გათვალისწინებით.⁷⁶

კუმულაციური სანქცია ასახელებს სასჯელის რამდენიმე სახეს, რომელიც გამოიყენება ერთდროულად. სასჯელთა კუმულაცია შეიძლება იყოს აუცილებელი, როდესაც ძირითად სასჯელთან ერთად გამოყენებული უნდა იყოს დამატებითი სასჯელიც, მაგალითისათვის მოვიყვანთ სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლს (ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება) მე-2 ნაწილის სანქციას, სადაც ხაზი გაესმის შემდგეს: “ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე”; როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაში ნორმის სანქციით სასამართლო ვალდებულია თავისუფლების აღკვეთასთან ერთად კუმულაციით გამოიყენოს დამატებით სასჯელად თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

⁷⁶ სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 80

2.5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების საქართველოს კონსტიტუციასთან და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან შესაბამისობის საკითხი

სისხლის სამართლის კანონი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს უზენაეს კანონს საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე პირდაპირი და უშუალო მოქმედების საკანონმდებლო აქტია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილში ხაზგასმულია, რომ საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მიღებისა და გამოცემის ზოგადი წესი და მათი იერარქია განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს იმ მატერიალურ წყაროს, რომლითაც ხდება სისხლისსამართლებრივი ნორმების, შინაარსის დადგენა. სწორედ ამ აზრით უნდა განვმარტოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დებულება, რომ ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას.

სწორედ საქართველოს კონსტიტუციაში ასახულმა დებულებამ პიროვნების ინტერესების დაცვის პრიორიტეტის შესახებ ბევრად განაპირობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სტრუქტურა. კერძო ნაწილში პირველ ადგილზეა წამოწეული დანაშაული არა სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ ადამიანის წინააღმდეგ, თუმცა დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ გაცილებით უფრო საშიშია ვიდრე სხვა ნებისმიერი, თუნდაც კონკრეტული ადამიანის საწინააღმდეგო დანაშაული, მაგრამ

საკანონმდებლო თვალსაზრისით მათი ასეთი განლაგება უფრო მიზანშეწონილია.

საქართველოს კონსტიტუციის დებულებებმა ასევე ბევრად განსაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული ნორმების შინაარსი.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუცია სისხლის სამართლის კოდექსის სწორედ მატერიალური წყაროა. ასეთივე წყაროა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები. ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შეთანხმებას თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორამტიული აქტების მიმართ.“⁷⁷ აქ სათვალავშია მისაღები შემდეგი გარემოება: საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც სისხლისსამართლებრივ ნორმას შეიცავს, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გამო, პრინციპში არ შეიძლება პირდაპირ მოქმედებდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

გ.ნაჭყეაძე თავის დროზე სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილს მიზანშეწონილია ჩაემატოს: „სამართლის სხვა დარგებს, და კოდექსის ამ მუხლის მე-2 ნაწილი შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „ეს კოდექსი შეესაბამება

⁷⁷ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილი., 2020 წლის მდგომარეობით

საქართველოს კონსტიუციას, სამათლის სხვა დარგებს, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.⁷⁸

საქმე ისაა, რომ არა ყველა საერთაშორისო კონვენცია შეიცავს დანაშაულებრივი ქმედების განსაზღვრებას. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კანონი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლი). ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ სისხლის სამართლის კანონი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, პრიორიტეტი კანონთან შედარებით საერთაშორისო სამართლის ნორმებს ენიჭება. საერთაშორისო ხელშეკრულებში და კონვენციებში არცთუ იშვიათად ასახულია მონაწილე სახელმწიფოთა სურვილი, ებრძოლონ საშიშ ქმედებას. გარდა ამისა, შესაძლებელია კონვენცია შეიცავდეს ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს, მაგრამ არ აწესებდეს სასჯელს ამდაგვარი ქმედებისათვის. საამისო მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1970 წლის კონვენცია, საჰაერო ხომალდის გატაცების შესახებ. ამ კონვენციაში მითითებულია, რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, ასეთი დანაშაულისათვის გამოიყენოს მკაცრი სასჯელები. ზოგჯერ საერთაშორისო კონვენცია შეიცავს მითითებას სასჯელზე ზოგადად. მაგალითად, 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარ-

⁷⁸ გ.ნაჭყებია, პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, თბ., 2015, გვ.19-20

კოტიკულ საშუალებათა შესახებ აწესებს, რომ შესაბამისი დანაშაულისათვის შეფარდებული უნდა იქნეს საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსება ან თავისუფლების აღკვეთის სხვა სახე. შესაბამისად ეროვნულ კანონმდებლობას კი რჩება შესაძლებლობა განსაზღვროს თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული ვადები.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები დიდ ზეგავლენას ახდენს საქართველოს სისხლის სამართლის ნორმის ჩამოყალიბებაზე. საერთაშორისო კონვენციები უშუალო მიზეზია ჩვენს კანონმდებლობაში სისხლის სამართლის ახალი ნორმების შეტანისა. მაგალითად, საქართველოს შეერთებამ ერთიან კონვენციასთან ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ და კონვენციასთან ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ განაპირობა ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე თავადაა გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ნარკოტიკული დანაშაულისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პირდაპირ მიუთითებს საერთაშორისო სამართლის ნორმებზე და საერთაშორისო ხელშეკრულებაზე. ასეთ მითითებას შეიცავს მაგალითად, ხსენებული კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-4 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები, მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, მეექვსე მუხლის პირველი ნაწილი. კოდექსის კერძო ნაწილის მეთორმეტე თავი „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“ სხვა კარის ზოგიერთი მუხლი ასევე ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

2.6. სისხლის სამართლის კანონის ახსნა-განმარტების ცნება და სახეები

სისხლის სამართლის კანონის პრაქტიკული გამოყენება პირდაპირ უკავშირდება მის ახსნა-განმარტებას.

სისხლის სამართლის კანონის ახსნა-განმარტება არის სისხლის სამართლის კანონის აზრის გარკვევა და განმარტება. კანონმდებლის ნების გამოვლენა, რაც ენობრივად არის გამოხატული სამართლებრივი სახით ამ უკანასკნელის ზუსტად გამოყენების მიზნით.⁷⁹

სისხლის სამართლის კანონის ახსნა-განმარტება შედგება ორი ელემენტისაგან: 1. კანონის აზრის გარკვევა და 2. მისი განმარტება სხვა კანონგამოყენებისათვის.

კანონის ახსნა-განმარტების აუცილებლობა გამომწვეულია იმით, რომ სამართლის ნორმები ატარებენ ზოგად ხასიათს, ითვალისწინებენ მხოლოდ ტიპიურ ნიშნებს, მაშინ როცა ცხოვრებისეული სიტუაციები, რეალური ურთიერთობები ყოველთვის კონკრეტული და ინდივიდუალურია.

სისხლის სამართლის კანონის ახსნა-განმარტება ხელს უწყობს არა მარტო კანონის სწორად გამოყენებას და შესაბამისად კანონიერების განმტკიცებას, არამედ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფასაც.

სისხლის სამართლის კანონის ახსნა-განმარტების დროს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მისი მოქმედი ტექსტის დადგენა. მოქმედად ითვლება კანონის ის ტექსტი, რომელიც გამოქვეყნებულია ოფიციალურ გამოცემაში ყველა თავისი დამატებით და ცვლილებებით (ეგრეთ წოდებული კონსოლიდირებული ვერსია).

განასხვავებენ სისხლის სამართლის კანონის ახსნა-

⁷⁹ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.53

განმარტების სახეებს სუბიექტების, ხერხების, მოცულობის და მიზნების მიხედვით. იმ სუბიექტის მიხედვით, რომელიც აწარმოებს სისხლის სამართლის კანონის ახსნა-განმარტებას, განასხვავებენ ლეგალურ, სასამართლო და დოქტრინალურ ახსნა-განმარტებას.

ლეგალურია (აუთენტური) კანონის ახსნა-განმარტება, რომელსაც იძლევა ამისათვის კანონით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო და რომელიც სავალდებულოა ამ ნორმის შემფარდებელი ყველა სუბიექტისათვის. აქ იგულისხმება საქართველოს პარლამენტი, რომელიც ლეგულობს სისხლის სამართლის კანონს და უფლებამოსილია განმარტოს მისი შინაარსი. პარლამენტის დადგენილება ასეთ საკითხზე არ წარმოადგენს ახალ კანონს, თუმცა კი მას სავალდებულო ხასიათი აქვს.

სასამართლო, ანუ კაზუალურ ახსნა-განმარტებას იძლევა სასამართლო. იგი ორი სახისაა. ერთი, რომელსაც სასამართლო იძლევა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს და სავალდებულოა მხოლოდ ამ საქმის მონაწილეთათვის. სისხლის სამართლის კაზუალური ახსნა-განმარტების მეორე სახეს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რეკომენდაციები, რომლებსაც, ახალი კანონმდებლობით, სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ.

სამართალს ქმნის არა მარტო კანონმდებელი, არამედ სასამართლოც, რომელსაც სამოსამართლო სამართალი ეწოდება. ზოგჯერ ამბობენ, რომ სასამართლო ახორციელებს კანონის მოთხოვნას, რომელიც კანონმდებლის ნებას გამოხატავს. თუმცა, ეს ნამდვილად ასე არ არის. რა თქმა უნდა, ძირითადად სასამართლო უნდა დაეყრდნოს კანონს, მაგრამ ბევრი შემთხვევაა ისეთი, როცა კანონმდებელი იძულებულია ქმედების სამართალეზრივი შეფასების ვალ-

დებულება სასამართლოს გადააკისროს, კონკრეტულად საუბარია ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციაზე, რათა სამართლიანობის იდეა განხორციელდეს.

გერმანელი მეცნიერის შნიტცერის ნაშრომზე მითითებით პროფესორი ლ. ჭანტურია წერს: „დღეს აღიარებულია შეხედულება, რომ ყოველი კანონი მხოლოდ ისე აწესრიგებს ურთიერთობებს, როგორც ეს კანონმდებელს მოცემულ შემთხვევაში წარმოუდგენია. მხოლოდ პრაქტიკას შეუძლია შემდეგში დაამტკიცოს, თუ რამდენად გაამართლა ამან. გარდა ამისა, ცნობილია, რომ მოსაწესრიგებელი ურთიერთობები მუდმივად იცვლება. პრაქტიკულად წარმოიშობა მოთხოვნილება, რომ კანონი მიესადაგება ამ შეცვლილ ურთიერთობებს. აქედან გამომდინარე, კანონის გამოცემით კი არ მთავრდება მოცემულ სფეროში იურიდიული მოღვაწეობა, არამედ იწყება მხოლოდ - ამოქმედდება სასამართლო პრაქტიკა და სამართლებრივი დოქტრინა.⁸⁰

დოქტრინალურ ახსნა-განმარტებას მიეკუთვნება კანონების განმარტებები, რომლებსაც იძლევიან სამეცნიერო დანესებულებები, მეცნიერ-იურისტები, პრაქტიკოსი მუშაკები ლექციებზე და მოხსენებებში, სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში. დოქტრინალურ განმარტებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია კანონმდებლობის სრულყოფასა და სასამართლო პრაქტიკის სწორად წარმართვაში.

ხერხების მიხედვით განასხვავებენ გრამატიკულ (ფილოლოგიურ), სისტემურ, ისტორიულ და ლოგიკურ ახსნა-განმარტებას. განმარტების ეს სახეები გერმანელი მეცნიერის, სამართლის ისტორიული სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის, ფრიდრიხ ფონ სავინის სახელს უკავშირდება.⁸¹

⁸⁰ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ.65

⁸¹ გ.ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ.179

გრამატიკული (ფილოლოგიური) ახსნა-განმარტების დროს კანონის ზუსტი აზრის დადგენა ხდება მისი ტექსტის ეტიმოლოგიური, სინტაქსური ანალიზის და ასევე კანონში გამოყენებული სიტყვების, ცნებების, ტერმინების მნიშვნელობის გარკვევის გზით. სასამართლო კანონის ტექსტის ფარგლებში მოქმედებს. ამიტომ კანონის ტექსტი ისე უნდა ჩამოყალიბდეს ენობრივად, რომ სამართალშემფარდებელს კანონმდებლობის აზრის გაგება არ გაუჭირდეს.

სისტემური ახსნა-განმარტების აუცილებლობა იმითაა გამოწვეული, რომ ნებისმიერი ცალკე აღებული სამართლის ნორმა საზოგადოებრივ ურთიერთობას აწესრიგებს არა იზოლირებულად, არამედ სხვა ნორმებთან ურთიერთქმედების გზით, მათ სისტემაში. მოცემული ხერხი გულისხმობს სისხლისსამართლებრივი ნორმის ანალიზს, როგორც მისი მომიჯნავე, მონათესავე ნორმის შინაარსის გარკვევით, ასევე სხვა სამართლის დარგების ნორმათა შინაარსის გარკვევით. მაგალითად, სისხლის სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევა თუ ის ბლანკეტური ხასიათისაა, შეიძლება განმარტებულ იქმენს მხოლოდ სხვა სამართლის დარგის ნორმათა შინაარსის გაგებით.⁸²

ისტორიული ახსნა-განმარტების დროს კანონმდებლის ნება და აზრი დგინდება იმ საშინაო, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, რომელშიც მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტი. ეს ჩვეულებრივად ხდება იმ დოკუმენტების საფუძველზე რომლებიც წინ უძღოდნენ კანონის მიღებას. სისხლის სამართლის ნორმის ისტორიული განმარტებისას ვიკვლევთ კანონმდებლობის ნებას კანონის მიღებისას.⁸³

⁸² Уголовное право. Общая часть, Под. ред. А. И. Плотникова, Оп, 2016 с. 61

⁸³ ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ.,

ლოგიკური ახსნა-განმარტება ეფუძნება ლოგიკის კანონებს. ლოგიკური ახსნა-განმარტება შესაძლებლობას იძლევა დადგენილი იქნას კანონმდებლის ნებასა და მისი ასახვის სიტყვიერ ფორმას შორის არსებული წინააღმდეგობანი და ამით დადგენილ იქნას სისხლისსამართლებრივი ნორმის ნამდვილი მნიშვნელობა, მისი მოქმედების ფარგლები. ლოგიკური ანალიზის გზით ირკვევა დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ელემენტების და ნიშნების აზრი. სასამართლოს დასკვნები კონკრეტული საქმის ცალკეულ საკითხებზე ლოგიკური ახსნა-განმარტების ნიმუშს წარმოადგენს. მეტიც ხშირად ახალი ნორმის შექმნასთან გვაქვს საქმე.

თუ კანონის ინტერპრეტაცია სცილდება გრამატიკული ინტერპრეტაციის ფარგლებს, წერს ლადო ჭანტურია, და გადადის ლოგიკური ინტერპრეტაციის სფეროში, მაშინ ხშირად საქმე გვაქვს ახალი ნორმის შექმნასთან. რეალურად ეს არის სამართალშემოქმედება.⁸⁴ სამართალშემოქმედება კი დაკავშირებულია სამართლის შემქმნელთან. რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოც ქმნის სამართალს, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოსამართლო სამართალი არ შეიძლება გასცდეს საკანონმდებლო სამართალს და ისეთი ნორმა დაანესოს, რომელიც აუარესებს მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედების ჩამდენი პირის მდგომარეობას. რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მხრიდან ახალი ნორმის შექმნა არ უნდა განსხვავდებოდეს იმ მეთოდისაგან, რომელსაც ემყარება კანონმდებელი.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, სასამართლოს არ შეუძლია შექმნას ისეთი ნორმა, რომელიც აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას, თუმცა სასამართლოს შეუძლია

2014, გვ.25

⁸⁴ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 66

და ვალდებულებაა შექმნას ახალი ნორმა მოქალაქის სასარგებლოდ. ამაზე პირდაპირ არის მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე და 38-ე მუხლებში. უფრო კონკრეტულად, თუ საუბრია ამა თუ იმ პირის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებზე, მაგრამ ამ გარემოებებზე კოდექსში მითითებული არ არის, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს უფლება აქვს შექმნას ახალი ნორმა და მის საფუძველზე გაათავისუფლოს ბრალდებული პასუხისმგებლობისაგან.

სამართლის ანგლო-საქსურ სისტემაში, სადაც პრეცედენტული პრაქტიკაა დამკვიდრებული, სამოსამართლო სამართალი სხვაგვარადაა გაგებული. სამართალი არის ის, რასაც ასეთად მიიჩნევს მოსამართლე. მართლმსაჯულება განიხილება, როგორც სამართალშემოქმედება, ხოლო სამართალი როგორც სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებების ერთობლიობა.⁸⁵

უალრესად მნიშვნელოვანია კანონის თელეოლოგიური განმარტება. „თელეოლოგიური (მიზნობრივი) განმარტება მიმართულია კანონის გამოცემის მიზნის დადგენისაკენ. რა თქმა უნდა ასეთი ახსნა-განმარტება ყოველთვის არაა საჭირო. თელეოლოგიური განმარტება ეს არის სამართლის სუბიექტების მიერ შედარებით დამოუკიდებლად, სპეციალური ხერხების ერთობლიობით, განხორციელებული საქმიანობა, კანონის მიზნის დასადგენად, რომელიც საბოლოოდ ხელს უწყობს სისხლის სამართლის ნორმის საერთო აზრის და შინაარსის დადგენას. განმარტების თელეოლოგიური ხერხის ძირითადი შინაარსი მდგომარეობს სისხლის სამართლის ნორმის მიზნის დადგენაში გამომდინარე მათი

⁸⁵ ავტორთა კოლექტივი, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ.98

იერარქიული კავშირებისა და დამოკიდებულებისაგან. თელეოლოგიური განმარტების იერარქიული მეთოდი გულისხმობს შემდეგ ოპერაციებს: სხვა ნორმის დანიშნულების გარკვევის მეშვეობით ინტერპრეტირებადი ნორმის მიზნის დადგენა; სამართლებრივი აქტის საერთო მიზნის დადგენა; დასკვნა სამართლებრივი ინსტიტუტის მიზნიდან გამომდინარე. განსხვავებით ახსნა-განმარტების სხვა მეთოდებისაგან ნორმის თელეოლოგიურ განმარტებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: შედეგი, რომლის მიღწევაზეც ორიენტირებულია კანონმდებელი (სისხლის სამართლის ნორმის მიზანი) გადის სამართლის ნორმის შინაგანი ლოგიკური საზღვრებიდან, ამიტომაც ამ სახის განმარტებისას კანონის ფორმალურ-იურიდიული ანალიზი ორგანულად უკავშირდება საზოგადოების ობიექტური რეალობის შესწავლას; განსხვავებით ისტორიული ახსნა-განმარტებისაგან, რომელიც მოწოდებულია დაადგინოს რა იყო სამართლის ნორმის გამოცემამდე ან გამოცემისას. თელეოლოგიური განმარტებისას დგინდება რა იქნება უფრო სწორად რა მოჰყვება ნორმის მოქმედებას.⁸⁶

მოცულობის მიხედვით განასხვავებენ სიტყვა-სიტყვით, შეზღუდვით და განვრცობით ახსნა-განმარტებას.

სიტყვა-სიტყვითი ახსნა-განმარტება მდგომარეობს სისხლის სამართლის კანონის განმარტებაში მის ტექსტთან ზუსტ შესაბამისობაში, როცა კანონის სიტყვიერი გამოხატულება და შინაარსი მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს.

შეზღუდვითი განმარტების დროს კანონს ეძლევა უფრო ვიწრო, უფრო შეზღუდვითი აზრი, ვიდრე ეს გამომდინარეობს კანონის სიტყვიერი ტექსტიდან.

⁸⁶ А.С. Григорьев. ЮРИДИЧЕСКАЯ ТЕХНИКА: учебное пособие. Электронное издание. Тюмень: Издательство Тюменского государственного университета, 2015 с. 184

განვრცობითი განმარტება მდგომარეობს იმაში, რომ კანონს ეძლევა უფრო ფართო აზრი, ვიდრე ეს გამომდინარეობს მისი სიტყვიერი ტექსტიდან.

2.7 სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში, სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები განისაზღვრება დროით, სივრცით და პირთა წრით. ამ თვალსაზრისით სისხლის სამართლის კანონის სათანადო გამოყენების, მის ამოცანების გადაჭრის, პრინციპების დაცვის აუცილებელი პირობაა მისი მოქმედების ფარგლების განსაზღვრა.

სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლების დადგენა უნდა დავინყოთ მისი დროით განსაზღვრული ფარგლების დადგენით. კანონის დროში მოქმედების პრინციპი გადმოცემულია საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლით. ამ მუხლის თანახმად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ქმედების ჩადენის დროს.

ამ მუხლის პირველი ნაწილის ტექსტი გამოხატავს ორ უმნიშვნელოვანეს პრინციპს: 1. არ არის დანაშაული კანონის გარეშე და 2. არ არის სასჯელი კანონის გარეშე. თანამედროვე სისხლის სამართალი უარყოფს ანალოგიის წესით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას და ანალოგიის წესით სასჯელის გამოყენებას.

სისხლის სამართლის კანონი მოქმედებას იწყებს იმ დღიდან, რომელი დღიდანაც მას სათანადო წესის დაცვით მოქმედების ძალა მიენიჭა, მაგრამ ზოგჯერ სისხლის სამართლის კანონი ძალაში შესვლამდე ჩადენილი ქმედების

მიმართაც გამოიყენება. რაც იმას ნიშნავს, რომ კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დასჯადობას ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუქცევითი ძალა, ესე იგი ვრცელდება იმ ქმედებაზეც, რომელიც მის გამოცემამდეა ჩადენილი. კანონის თვისებას, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია იმ ქმედების მიმართ, რომლის ჩადენის დროს ეს კანონი არ მოქმედებდა, კანონის უკუძალა ეწოდება.⁸⁷

სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნამოიჭრება საკითხი მოქმედებდა თუ არა მოცემული სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის ჩადენის დროს. მოქმედად ითვლება კანონი, რომელიც ძალაშია შესული სათანადო წესით და ჯერ არ დაუკარგავს ძალა. ამრიგად, სისხლის სამართლის კანონის სწორი შეფარდებისათვის ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როდის იყო ჩადენილი თვით დანაშაულებრივი ქმედება. ეს კი თავის მხრივ დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და თავისებურებაზე. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ დანაშაული ჩადენილად ითვლება მაშინ, როდესაც შესრულებულია დანაშაულებრივი ქმედების უკანასკნელი აქტი. უმოქმედობის დროს დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ მომენტში, როდესაც სავალდებულო მოქმედება უნდა შესრულებულიყო. შედეგად დანაშაულისათვის, დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება არა შედეგის განხორციელების მომენტი, არამედ ქმედების ჩადენის დრო (მაგალითად, მკვლელობა).

ეს ნორმა, ძირითადად, ეხება შედეგიან დელიქტებს. შედეგი მთელ რიგ შემთხვევაში დროის თვალსაზრისით დაცილებულია მოქმედებას. ამიტომ, ამსრულებელი ან თანამონაწილე შეიძლება მოქმედებდეს ერთი კანონის მოქ-

⁸⁷ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 65

მედების დროს, ხოლო შედეგის განხორციელების დროს ეს კანონი შეიცვალოს. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა ამსრულებლის ან თანამონაწილის მოქმედების დროის კანონს. ეს საკითხი დანაშაულის დამთავრების მომენტს არ უკავშირდება, როგორც ამას ლ. სურგულაძე ფიქრობს. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული-წერს იგი, ამსრულებლისთვის დამთავრებულად ითვლება მის მიერ სააღსრულებლო მოქმედების ჩადენის მომენტში, ხოლო დანარჩენ თანამონაწილისათვის დანაშაული მხოლოდ მაშინ არის დასრულებული, როცა ამსრულებელი ბოლომდე განახორციელებს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილ ქმედების შემადგენლობას. ეს პირდაპირ გამომდინარეობს თანამონაწილეობის აქცესორობის პრინციპიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა თანამონაწილე ერთი და იმავე კანონის საფუძველზე აგებს პასუხს.⁸⁸

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროის განსაზღვრა და კანონის მოქმედება უნდა მოხდეს მოსაზრებით, რომელიც მოცემულია ლიტერატურაში: „დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორული პრინციპიდან გამომდინარე, დანაშაული დამთავრებულია მაშინ როდესაც ამსრულებელმა საერთო ჩანაფიქრი განახორციელა. ამიტომ ამ შემთხვევაში დანაშაული ჩადენილად ითვლება ამსრულებლის მიერ საერთო ჩანაფიქრის განხორციელების დროს. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ამსრულებელმა ნებაყოფლობით თქვას უარი საერთო ჩანაფიქრის განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში დანაშაულში თანამონაწილეობა არ არსებობს და ამ პირთა ქმედება კვალიფიცირდება დანაშაულის მომზადებად... ამდენად, ამ შემთხვევაში დანაშაულის მომზადება ჩადენილად ითვლება დანაშაულის შეს-

⁸⁸ ო, გამყრელძე., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013, გვ. 139-140

ახებ შეთანხმების მომენტიდან და, მაშასადამე, როგორც წესი, იმოქმედებს ამ შეთანხმების დროს მოქმედი კანონი.⁸⁹

დანაშაულის დროში გაჭიმულობის თვალსაზრისით განარჩევენ განგრძობად და დენად დანაშაულს.

პასუხისმგებლობა განგრძობადი დანაშაულისათვის დგება იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა უკანასკნელი დანაშაულებრივი აქტის დროს. მაგალითად, სუპერმარკეტის მოლარე სისტემატიურად იტაცებდა სალაროდან 30-50 ლარს, მისი საერთო ოდენობა შეადგენდა 2700 ლარს. მოლარის დანაშაულებრივი მოქმედების პერიოდში გამოვიდა ახალი სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც გამკაცრდა სასჯელი მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, ვინაიდან მან ჩაიდინა განგრძობადი დანაშაული, ამიტომ პასუხი უნდა აგოს უფრო მკაცრი კანონით, ვინაიდან უკანასკნელი დანაშაულებრივი მოქმედება განხორციელდა ახალი სისხლის სამართლის კანონის მოქმედების დროს. ხოლო დენადისათვის – იმ კანონით, რომელიც მოქმედებს დანაშაულებრივი აქტის აღკვეთის ან თვით დამნაშავეს მიერ მის დამთავრების მომენტში. დენადი დანაშაული ჩადენილად ჩაითვლება იმ მომენტში, როდესაც შეწყდა დანაშაულებრივი ქმედება (სსკ-ის მე-13 მუხლი) შეწყვეტის მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს (თვითონ დამნაშავემ ნებაყოფლობით შეწყვიტა იგი და ჩაბარდა სამართლებრივი ორგანოებს თუ დამნაშვე დაკავებული იქნა).

როგორც აღინიშნა სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, კანონს შეიძლება მიეცეს უკუძალა, ე.ი გავრცელდება იმ ქმედებაზე, რომელიც ჩადენილია ამ კანონის ძალაში შესვლამდე. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ კანონი აუქმებს ქმედების დასჯადობას ან ამსუბუქებს პასუხისმგე-

⁸⁹ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 85

ბლობას ან სხვაგვარად მსუბუქდება მსჯავრდებლის მდგომარეობა. ეს სავსებით სწორი და ლოგიკური დებულებაა. თუკი სახელმწიფო ამა თუ იმ მიზეზით აღარ ცნობს ქმედებას დანაშაულად, ან ცნობს ასეთად, მაგრამ უფრო მსუბუქს სასჯელს აწესებს მისთვის, არაჰუმანური, უსამართლო და მიზანშეუწონელი იქნებოდა დაგვესაჯა უფრო მკაცრად, ვიდრე ამას ითვალისწინებს ახალი კანონი, მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი, დრომოჭმული კანონი აღიარებდა ქმედებას დანაშაულად, ან უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა მისთვის.⁹⁰ კანონის უკუძალის აკრძალვა წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ პრინციპს.⁹¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი გამოიყენება მაშინაც, როცა ახალი კანონი სხვაგვარად აუმჯობესებს დამნაშავის მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში კანონს მიეცემა უკუძალა. ეს დებულება იმ პრინციპს ეფუძნება, რომ აკრძალულია უკუძალის მინიჭება კანონისათვის ორ შემთხვევაში: 1. როცა ის პირველად აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას და 2. როცა აძლიერებს პასუხისმგებლობას.⁹² თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ კანონს ერთი მხრივ აქვს უკუძალა, მეორე მხრივ მას წინააღმდეგ გააჩნია. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 13 სექტემბრის განაჩენით 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით რ.კ-ს მისჯილი ჰქონდა 7 წლით თავისუფლების

⁹⁰ თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.64-65

⁹¹ გ.ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2005, გვ.41

⁹² მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადინაწილი, თბ., 2002, გვ.100

აღკვეთა. საგარეჯოს რაიონის სასამართლოს 2002 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით ის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლდა.

პროკურორი კერძო საკასაციო საჩვრით მოითხოვდა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს დადგენილების გაუქმებას, რადგან სასამართლომ გვერდი აუარა 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლს, რომელიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ მაშინ, როცა მას სასჯელის ვადის ორი მესამედი აქვს მოხდილი.

რ.კ-ს მოხდილი ჰქონდა ამ დროისათვის მისჯილი სასჯელის ნახევარზე მეტი, რაც 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით სრულიად საკმარისი იყო მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმერთა საკასაციო პალატამ 2020 წლის 26 დეკემბრის განჩინებით არ დააკმაყოფილა პროკურატურის კერძო საჩივარი. განჩინებაში ნათქვამია, რომ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი რ.კ.-ს მიერ „ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობებს აუარესებს“. ამიტომ, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის დებულებიდან გამომდინარე, სასამართლოს არ ჰქონდა მისი გამოყენების უფლება“.

აქ მოყვანილი შემთხვევა იმასაც მიგვანიშნებს, რომ თუ ერთი მხრივ, ახლადმიღებული სისხლის სამართლის კანონს შეიძლება მიეცეს უკუძალა იმ ქმედების მიმართ, რომლის ჩადენის დროს ეს კანონი არ მოქმედებდა, მეორე

მხრივ, უკვე გაუქმებულ კანონს ზოგჯერ უხანგრძლივდება მოქმედების ვადა. გაუქმებული კანონის მოქმედების ვადის გახანგრძლივება ხდება მაშინ, როცა ახალი კანონი ამძიმებს სასჯელს და მას უკუძალა არ შეიძლება მიეცეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია გამოიყენოს გაუქმებული კანონი, რომლის მოქმედების დროს იყო ქმედება ჩადენილი.

ახალი სისხლის სამართლის კანონი ითვლება უფრო მსუბუქად თუ იგი, ამცირებს სასჯელის მაქსიმუმს ან მინიმუმს, აუქმებს ალტერნატიული სანქციით გათვალისწინებულ უფრო მკაცრ სასჯელს, ითვალისწინებს უფრო მსუბუქ სასჯელს ან საზოგადოებრივი ღონისძიების გამოყენებას, აუქმებს დამატებით სასჯელს ან ითვალისწინებს უფრო მსუბუქ დამატებით სასჯელს.

ახალმა კანონმა შეიძლება ერთდროულად კიდევ გაამკაცროს და კიდევ შეამსუბუქოს სასჯელი (მაგალითად, გაითვალისწინოს უფრო დაბალი მაქსიმუმი, მაგრამ მაღლა ასწიოს მინიმუმი და პირიქით). ასეთ დროს გამოიყენება ის კანონი, რომელიც საქმის ყველა გარემოებების მიხედვით უფრო მეტად ამსუბუქებს დამნაშავის მდგომარეობას.

დანაშაულის ჩადენიდან საქმის სასამართლოში განხილვამდე და განაჩენის გამოტანამდე კანონი, რომელიც ჩადენილ დანაშაულს ითვალისწინებს შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს, (ე.წ. „შუალედური კანონი“). ამ შემთხვევაში გამოიყენება ის კანონი, რომელიც ყველაზე მეტად ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას.⁹³

უკუძალა მიეცემათ აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის იმ ნორმებს, რომლებიც სასჯელის დანიშვნისა და მოხდის უფრო მსუბუქ წესებს

⁹³ თ.დონჯაშვილი., საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.53

ითვალისწინებენ (მაგალითად, ნორმები შემამსუბუქებელი გარემოებების, ხანდაზმულობის, ნასამართლეობის მოხსნისა თუ გაქარწყლების ვადების შესახებ). ხოლო ნორმებს, რომლებიც სასჯელისაგან ვადამდე ან პირობით ვადამდე გათავისუფლებას და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქით შეცვლას შეეხებიან, ყველა შემთხვევაში გააჩნიათ უკუძალა, მიუხედავად იმისა აფართოებენ თუ ზღუდავენ ვადამდე გათავისუფლებას.

არ შეიძლება უკუძალას მიეცეს კანონს ე.ი გავრცელდეს იმ დანაშაულზე, რომელიც მის ძალაში შესვლამდე იქნა ჩადენილი, რომელიც აწესებს ქმედების დასჯადობას ან აძლიერებს სასჯელს. ასეთი კანონის უკუმიუქცევლობა ემყარება იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება დასაჯოს მოქალაქე იმ მოქმედებისათვის, ან დასაჯოს იმაზე მკაცრი სასჯელით, ვიდრე მას დანაშაულის ჩადენის მომენტში ემუქრებოდა.

2.8. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში

სისხლის სამართლის კანონი მოქმედებს არა მხოლოდ დროში, არამედ სივრცეშიც, ეს ნიშნავს იმას, რომ ქმედების შემადგენლობა ხორციელდება განსაზღვრულ ადგილას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული.

ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ადგილი, არამედ დანაშაულებრივი შედეგის დადგომის ადგილიც. საუბარია სახელმწიფოს სუვერენულ უფლებაზე, რომ თავისი კანონები თავისივე ტერიტორიის ფარგლებში აამოქმედოს, მაგრამ სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედებას მართოდენ ტერიტორიულობის პრინციპი როდი განსაზღვრავს.

თუმცა, სივრცეში სისხლის სამართლის კანონის მოქმედების პრინციპებთან უპირველესია ტერიტორიულობის პრინციპი. ეს პრინციპი გადმოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად, „იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით“. აღნიშნული, მოითხოვს საქართველოს ტერიტორიის ცნების დადგენის საკითხის გარკვევასაც. ამისათვის საჭიროა ვისარგებლოთ კანონით „საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შესახებ“, რომლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი შედგება ყოფილი სსრკ-ის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრისა და ყოფილი სსრკ-ის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული სახელმწიფო საზღვრისაგან, რომელიც განსაზღვრავდა ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო საზღვარს საქართველოს ნაწილში. საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.⁹⁴

საქართველოს ტერიტორიად ითვლება, უპირველეს ყოვლისა ამ ტერიტორიის სახმელეთო ნაწილი, მათ შორის მინისქვეშა ნაგებობანი, გამოქვაბულები თუ სხვა ბუნებრივი წარმონაქმნები. წყლის ტერიტორიას კი განეკუთვნება

⁹⁴ საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, 17/07/1998, პირველი მუხლის 1-2 ნაწილები, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31966?publication=33>

ტერიტორიული და შიდა წყლები. შიდა წყლებს მიეკუთვნება მდინარეები, ტბები, წყალსაცავების წყლები საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში; შავი ზღვის ხმელეთსა და ტერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილი სწორ ხაზებს შორის; საქართველოს პორტის წყლები, რომელიც შემოსაზღვრულია ზღვის მხარეს პორტის ჰიდროტექნიკური ან მისი სხვა მუდმივი ნაგებობის უკიდურეს წერტილებზე გამავალი ხაზით.

საქართველოს ტერიტორიულ წყლებს მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი 12 მილის ფარგლებში. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ტერიტორიული ზღვის სიგანე შეიძლება დადგინდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან შეთანხმებით.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოქმედებს იმ დანაშაულებრივი ქმედების მიმართ, რომელიც ჩადენილია კონტინენტურ შეღფზე (ამ უკანასკნელის ცნება იხ. კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ მე-7 მუხლის პირველი და მეორე ნაწილი) საქართველოს სისხლის სამართლის კანონი ვრცელდება აგრეთვე განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენილი დანაშაულის მიმართაც.

ასეთია, მოკლედ, საქართველოს ტერიტორიის ცნება. ამის შემდეგ უნდა დავადგინოთ, თუ როგორ ესმის კანონდებლობას ამ ტერიტორიის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულის ცნება? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სსკ-ის მე-4 მუხლის მეორე ნაწილი. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაინყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე. გასაგებია, რომ ამ დებულებაში გამოსატყუელია ე.წ. სუყველგანობის პრინციპი, რომლის თანხმად,

„დამნაშავის დასჯის უფლება აქვს არა მარტო იმ ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზე იმოქმედა დამნაშავემ, არამედ იმასაც, სადაც შედეგი განხორციელდა.“⁹⁵

როგორც ჩანს, საკმარისია, დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყოს, რომ მის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კანონი გავრცელდეს, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელებაზე, შეწყვეტაზე ან დამთავრებაზე. დანაშაულის დაწყება გულისხმობს, რომ ბოროტმოქმედმა მოქმედება დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო შედეგი განხორციელდა საზღვარგარეთ. ტერმინი გრძელდებოდა უნდა გავიგოთ, როგორც დანაშაულის დაწყება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, გაგრძელდა საქართველოს ტერიტორიაზე და დასრულდა ან გაგრძელდა უცხოეთში. შეწყვეტა გულისხმობს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დაწყებული დანაშაული გრძელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო შეწყდა. დანაშაულის დამთავრება გულისხმობს შემთხვევას, როდესაც დანაშაული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაიწყო, ხოლო დასრულდა საქართველოს ტერიტორიაზე.⁹⁶ მაგრამ ერთია სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედების სუყველგანობის პრინციპი და მეორეა ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელება, რომელიც საკმაოდ რთულია, რადგან ამ შემთხვევაში საბოლოოდ მაინც სახელმწიფოთა შეთანხმებით თუ გადაწყდა (ცხადია, იმის მიხედვით, თუ დანაშაულის შემადგენლობის რა ნაწილი განხორციელდა ამათუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან საბოლოოდ რომელი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონია უფრო ადეკვატური ამ დანაშაულის მიმართ და სხვა), თუმცა, არსებობს

⁹⁵ ო. გამყელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება., თბ., 2005., გვ.62

⁹⁶ ო. გამყელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013 გვ. 150

მოსაზრება, რომ უპირატესობა მიენიჭება იმ სახელმწიფოს, რომლის ხელშიც დანაშაულის ჩამდენი პირი აღმოჩნდება; მით უფრო, რომ ამ უკანასკნელს, როგორც წესი, ამ პირის გადაცემის ვალდებულება არ წარმოეშობა.⁹⁷

ამრიგად, სივრცეში სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ტერიტორიულობის პრინციპის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის ყველა პირს, მისი მოქალაქეობის მიუხედავად, პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. მაგრამ არსებობს გამონაკლისი ამ ზოგადი წესებიდან. კერძოდ, ზოგიერთი კატეგორიის პირები სარგებლობენ ე.წ. ექსტერიტორიულობის პრინციპით, რომლის თანახმად, დიპლომატიური იმუნიტეტით მოსარგებლენი, თუ ისინი ჩაიდენენ დანაშაულს საქართველოს ტერიტორიაზე, მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი წყდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

სრულიად განსხვავებულია, ამ მხრივ, სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს იმ თანამდებობის პირებისა, რომელთაც იცავს კანონი. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი სამუშაო ადგილის, ბინის ან ავტო-მანქანის ჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას დანაშაულზე წაასწრეს, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს.

მსგავსი სამართლებრივი დაცვით სარგებლობს აგრეთვე მოსამართლეც, რომლის მიმართ რაიმე საგამოძიებო მოქმედება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე, დაუშვებელია, გარდა

⁹⁷ მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2010, გვ.42

იმ შემთხვევისა, როდესაც მას წაასწრეს დანაშაულზე, რაც უნდა ეცნობოს სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, მაშინ მოსამართლე, რომელიც დაკავებული ან დაპატიმრებულია, უნდა გათავისუფლდეს.⁹⁸

ბოლოს, როგორც სწორადაა აღნიშნული, არც შიდასახელმწიფოებრივი და არც საერთაშორისო იმუნიტეტი არ აბრკოლებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს რომის სტატუტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი შემდეგი დანაშაულები: გენოციდი, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული.⁹⁹

სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედების ტერიტორიულობის პრინციპის გარდა, მოქმედებს აგრეთვე სხვა პრინციპიც. იგულისხმება მოქალაქეობის პრინციპი (აქტიური პერსონალურობის), რომელიც გამოხატულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს სსკ-ით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით. ეს გულისხმობს იმას, რომ საქართველოს თავის სისხლის სამართლის იურისდიქციას ახორციელებს ნებისმიერი იმ დასჯადი ქმედების მიმართ, რომელიც საკუთარი მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებს

⁹⁸ გ. ტყეშელიაძე, სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბ., 2007, გვ. 83-89

⁹⁹ მ.ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013 გვ. 44

მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ იქნება ჩადენილი საზღვარგარეთ.¹⁰⁰ არსებობს კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ (1993 წ.) დავას არ იწვევს აგრეთვე, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის ცნებაც. ორივე კატეგორიის პირები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კანონი უცხოეთში ყოფნისას და ამავე დროს იქაც მიიღონ საქართველოს სახელმწიფოს მფარველობა და დაცვა. თუ ამ პირებმა დანაშაული საზღვარგარეთ ჩაიდინეს, ისინი პასუხს აგებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუმცა იმ პირობით, თუ ქმედების ჩადენის ადგილას მოქმედი კანონით ეს ქმედება დანაშაულად ითვლება.¹⁰¹

ამრიგად საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, სადაც არ უნდა ჩაიდინოს დანაშაული, შეიძლება გასამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. მოქმედი კოდექსი არ აკეთებს დათქმას: თუ ისინი მსჯავრდებულნი არ ყოფილან სხვა სახელმწიფოში. ერთი და იგივე დანაშაულის ორჯერ მსჯავრდების დაუშვებლობის კონსტიტუციური პრინციპი (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 ნაწილი) მოქმედებს სახელმწიფოს შიგნით. ხოლო სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში და ed hoc ტრიბუნალებთან, თუ სისხლის სამართლის მუდმივმოქმედ საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებაში მოქმედებს სპეციალური წესები (მაგ. რომის სტატუტის მე-20 მუხლი).¹⁰²

საქ. სსკ-ის მე-5 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად

¹⁰⁰ მ.ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013 გვ. 45

¹⁰¹ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 92

¹⁰² მ.ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013 გვ. 46

მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საზღვარგარეთ ჩადენილი ქმედება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაა გათვალისწინებული, ხოლო მისი ჩადენის ადგილას დანაშაულად არ ითვლება, დაისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუ ის მიმართულია საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ; და თუ ეს ქმედება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას განეკუთვნება; ან ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით. ამ უკანასკნელი დებულებით გამოხატულია სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ე.წ. უნივერსალობის პრინციპი.

რეალობისა და უნივერსალობის პრინციპია გამოხატული აგრეთვე საქ. სსკ მე-5 მუხლის მესამე ნაწილში, რომლის თანახმად, საზღვარგარეთ დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ან ამ დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.¹⁰³

¹⁰³ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყეაბია, თბ, 2016, გვ. 92-93

2.9 დამნაშავის გადაცემა და ექსტრადიცია

დამნაშავის გადაცემა (ექსტრადაცია) არა ეროვნული კანონმდებლობის, არამედ საერთაშორისო სამართლის პრობლემაა. დამნაშავის გადაცემა სამართლებრივი დახმარების ერთ-ერთი სახეა: სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება დამნაშავე გადასცემს მას მეორე სახელმწიფოს, რომელიც ითხოვს ამ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ან უკვე გამოტანილი განაჩენის აღსრულების მიზნით. საერთაშორისო სასამართლოში ჩამოყალიბდა დამნაშავის გადაცემის ძირითადი წესები, რომლებსაც იცავს ყველა სახელმწიფო. სამწუხაროდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული ნორმების დედააზრი დამახინჯებულია ისეთი არაიურიდიული ტერმინით როგორცაა „დამნაშავე“. აქედან გამომდინარე, ამ მხრივ შესასწორებელია მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ნაცვლად „დამნაშავისა“ უნდა ეწეროს „მსჯავრდებული“. ამ კოდექსის მე-6 მუხლი უნდა დასათაურდეს: „ბრალდებულის ან მსჯავრდებულის გადაცემა“. ამავე მოსაზრებას გამოთქვამდა პროფესორი გურამ ნაჭყებია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-32 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოს მოქალაქის, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემა ხორციელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით (რომის სტატუტით) რომელიც

მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომში 1998 წლის 17 ივლისს და „სისხლის სამართლის სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. რომის სტატუსი რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 16 ივლისის დადგენილებით.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებული ოთხი დანაშაულის-გენოციდის, აგრესიის, ომის დანაშაულის, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ- ჩადენის შემთხვევაში გადაცემა დაიშვება საქართველოს კანონით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა 2003 წლის 14 აგვისტოს. ამ კანონში დაწვრილებითაა გადმოცემული საქართველოს სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის ხსენებული დანაშაულის ჩამდენი პირის გადაცემის საფუძველი, წესი და შედეგები. ასევე განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, როგორც ამ თანამშრომლობის უფლებამოსილი ორგანო.¹⁰⁴

საქართველოს სსკ-ის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რო-

¹⁰⁴ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 94

მელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.

გადაცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად დაიშვება ქმედების ჩადენისათვის, რომელიც მომთხოვნი და გადამცემი სახელმწიფოს კანონებით დასჯადია და როლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სულ ცოტა ერთი წლის ვადით ან უფრო მძიმე სასჯელი.

საქართველოს სსკ-ის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირი. რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან მას შემდეგ, რაც საზღვარგარეთ დანაშაული ჩაიდინეს, შეიძლება ექსტრადირებულნი იქნენ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად სხვა სახელმწიფოში ან გადაეცნენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთხმებას, თუ ის არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.¹⁰⁵

იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა დანაშაული ჩაიდინა რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, დამანაშავის გადაცემის საკითხი გადაწყდება დიპლომატიური გზით საერთაშორისო ხელშეკრულებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე. მაგრამ, თუ სახელმწიფოს კეთილინება იქნება შესაძლებელია დამანაშავის გადაცემა დიპლომატიური არხებით მოგვარდეს.

¹⁰⁵ თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.90-91

სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ შემთხვევა, როდესაც ისრაელმა საბჭოთა კავშირს გადასცა დამნაშავენი, რომლებმაც თვითმფრინავით ბავშვები გაიტაცეს, მიიღეს დიდძალი ფული და ისრაელში გაფრინდნენ. ისრაელმა საბჭოთა კავშირს გადასცა დამნაშავენი, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის, არათუ გადაცემის ხელშეკრულება, დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ იყო დამყარებული.¹⁰⁶

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში განმტკიცებული პოზიციის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაკავების შემთხვევაში თავშესაფარი ეძიოს სხვა ქვეყნებში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.

საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საყოველთოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოიხზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ თვლება. ასევე, თუ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს, სიკვდილით დასჯა დანესებულია ამ დანაშაულისათვის.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, დამნაშავის გადაცემა სხვა სახელმწიფოსათვის სამართლებრივი დახმარების ერთ-ერთი სახეა. ჩვენი სახელმწიფო არ ცნობს პოლიტიკური მრწამსისათვის ადამიანის დევნა-შევიწროებას, ამიტომ ვერ დაეხმარება სხვა სახელმწიფოს ასეთი ადამიანის დევნაში. მეტიც, ასეთ ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით პოლიტიკური თავშესაფრის უფლებაც კი ეძღ-

¹⁰⁶ Уголовное право. Общая часть, Под. ред. А.И. Плотникова, Оп., 2016 с. 45

ევა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური დევნილი დაუსჯელი უნდა დარჩეს. თუკი მას თავის სამშობლოში ან სხვაგან ისეთი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომელიც ჩვენი კანონმდებლობითაც ისჯება, ის პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით (მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპი).¹⁰⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს მოქალაქე, თუ იქ მას ამ დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა ემუქრება. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს 2002 წლის ოქტომბრის თვეში რამდენიმე ჩეჩენი ბრალდებულის გადაცემა რუსეთის ფედერაციისათვის, სადაც სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ საბოლოოდ გაუქმებული არაა, თუმცა დღეისათვის ეს სასჯელი იქ არ გამოიყენება.¹⁰⁸

საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში განასხვავებენ თავშესაფრის ორ ფორმას ტერიტორიულ და დიპლომატიურ თავშესაფარს. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს თავშესაფრის უფლების მინიჭებას ისეთი პირებისათვის, რომლებმაც ჩაიდინეს სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

სასამართლო პრაქტიკა (კანონის მოქმედების უკუძალასთან დაკავშირებით)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 მარტის განაჩენით ნ.გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

¹⁰⁷ მ. ტურავა, საქართველო და საერთაშორისო სამართალი, თბ, 2001, გვ.203

¹⁰⁸ მ. ტურავა, საქართველო და საერთაშორისო სამართალი, თბ, 2001, გვ.203

განაჩენის მიხედვით, ნ.გ-მ ჩაიდინა ცივი იარაღის ტარება იმის მიერ, ვინც ნასამართლევი იყო განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 მარტის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: ნ.გ-ს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ნ.გ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ.ბ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 16 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას იმ მოტივით, რომ სსკ-ის 238¹-ე მუხლის ახალი რედაქციის შესაბამისად, მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობა არ იძლევა აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობას.

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო ნ.გ-ი უნდა გამართლდეს.

სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა.

საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა ნ.გ-მ ცივი იარაღის ტარება- ჩაიდინა 2013 წლის 29 ნოემბერს,

რა დროსაც სსკ-ის 238¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს მე-2 ნაწილი შემადგენლობას გვაძლევდა პირის წარსულში მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობა.

2013 წლის 11 დეკემბრის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 8 იანვარს, შეიცვალა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დისპოზიციის ნაწილი იმ მიმართულებით, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობას იძლევა პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა არაერთგზის ან განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა ნასამართლევად პირის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი კანონის თანახმად, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალების შესაბამისად, მსჯავრდებული ნ.გ-ს წარსულში მხოლოდ ნასამართლობა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის არ იძლევა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, რის გამოც მსჯავრდებული უნდა გამართლდეს.

მსჯავრდებული ნ.გ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში.¹⁰⁹

¹⁰⁹ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №266 აპ-14 28 ივლისი., 2014

**თავი III- სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობის ცნება და საფუძველი,
დანაშაულის ცნება და ნიშნები**

3.1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება და საფუძველი

ნებისმიერი პასუხისმგებლობის, მათ შორის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი განპირობებულია ადამიანის ყოფიერების შემადგენელი სამი ფაქტორით, ესენია: პიროვნება, საზოგადოება და სახელმწიფო. ამის კვალობაზე ნებისმიერი ადამიანი საკუთარ თავზე განიცდის საკუთარი ცნობიერების, ასევე საზოგადოების ზემოქმედებას და სახელმწიფოს ზეგავლენას.

ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ ადამიანი, რომელსაც არ ესაჭიროება ადამიანთა საზოგადოება, არ არის ადამიანი, იგი ან ცხოველია ან ღმერთი. ადამიანი სწორედ საზოგადოებაში იძენს დამოუკიდებლობას. მისი თავისუფლება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ანიჭებს მას საზოგადოება დამოუკიდებლობას. შემთხვევით არ იყო ის, რომ უძველეს ხანაში ტომიდან განდევნა უმძიმეს სასჯელად ითვლებოდა.¹¹⁰

სახელმწიფო უშუალოდ ზემოქმედებს ადამიანზე, უპირველეს ყოვლისა, როგორც მოქალაქეზე. გარდა ამისა, ადამიანზე სახელმწიფო ზემოქმედებს საზოგადოების, თანამოქალაქეთა საშუალებით. აქ სათვალავშია მისაღები ის გარემოება, რომ ადამიანის სრული გაიგივება საზოგადოებასთან და აგრეთვე სახელმწიფოსადმი მისი სრული დაქვემდებარება დაუშვებელია, ასეთ შემთხვევაში ადამიანი დაკარგავდა ყოველგვარ დამოუკიდებლობას, იგი

¹¹⁰ გ.ხუროშვილი, დანაშაულის შემადგენლობის შეფასებითი ნიშნები, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2001

ალარ იქნებოდა პიროვნება: დემოკრატიულ-სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანი თავისუფალი პიროვნებაა, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული სახელმწიფოსთან. ცხოველისაგან ადამიანს განასხვავებს გონება, ხოლო ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის საფუძველია თავისუფალი ნება. სწორედ თავისუფალი ნების არსებობის პირობებში შეიძლება მოეთხოვოს ადამიანს ანგარიში მისი ქმედების გამო.¹¹¹

ნება და თავისუფლება ერთმანეთს ავსებს. ნება თავისუფლების გარეშე უაზრობაა, ხოლო თავისუფლება აზრსა და მნიშვნელობას იძენს როგორც ნება, როგორც პიროვნება.

სწორედ ნების ინტენსივობას შეუძლია იმოქმედოს ადამიანის ქცევის შერჩევაზე. ნებისყოფას შეუძლია იმოქმედოს ადამიანის ქცევის შერჩევაზე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობითი. სწორედ უარყოფითი, გასაკიცხი ქმედების ჩადენა წარმოშობს პასუხისმგებლობის საკითხებს.

საზოგადოება, სახელმწიფოს მოქალაქეს, აგრეთვე იურიულ პირებს, განსაზღვრულ მოთხოვნებს უყენებს. ამ მოთხოვნების შეუსრულებობისათვის წარმოიშობა პასუხისმგებლობა, მისი ნეგატიური ასპექტით, გულისხმობს იმ უარყოფით შედეგებს, რასაც გამოიწვევს მორალის ან სამართლით გაკიცხული ქმედება.

სამართლის გასაკიცხ ქმედებას მოსდევს იურიდიული პასუხისმგებლობა. თუმცა, გასაკიცხი ქმედება (სამართალდარღვევა) უშუალოდ არ იწვევს სუბიექტის პასუხისმგებლობას. იმისათვის, რომ სუბიექტს დაეკისროს იურიდიული პასუხისმგებლობა, ანუ სამართლებრივი

¹¹¹ ა. კვაშილავა, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2001, გვ.19-20
122

ვალდებულება აგოს პასუხი, როგორც წესი საკმარისია სამართალდამცავი ნორმის შეფარდების აქტი. სამართალდამცავი ნორმის შეფარდების აქტი არის კომპეტენტური ორგანოს პროცესუალური საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია იურიდიული პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან. სამართალდაცვით ნორმებში ჩამოყალიბებულია ქცევის წესი, რომელიც განსაზღვრავს სამართალშემფარდებელი ორგანოს კომპეტენციის ფარგლებს. სამართალდაცვითი ნორმა მიუთითებს, თუ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებში პასუხისმგებლობის რა სახე და ზომა გამოიყენოს სამართალშემფარდებელმა ორგანომ.

ამრგად, იურიდიული პასუხისმგებლობა არის სამართალშემფარდებელი ორგანოს მიერ სამართალდამრღვევის მიმართ სამართალდაცვითი ნორმის გამოყენების შედეგი. იურიდიული პასუხისმგებლობის არსი იძულების, სამართლებრივი სანქციის გამოყენების გარდუვალობაშია.¹¹²

იურიდიული პასუხისმგებლობის სახეებია: სისხლის-სამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი, ადმინისტრაციული, დისციპლინური პასუხისმგებლობა.

ყველაზე მკაცრი პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა. ასეთ პასუხისმგებლობას ანებს დასაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო, სისხლის სამართლის კანონი. პასუხისმგებლობა გამოიხატება იმ სისხლისსამართლებრივ იძულებაში, რომელიც გამოიყენება დასაშაულის ჩამდენის მიმართ. ეს კი მდგომარეობს დასაშაულის ჩამდენის სასჯელის ფორმით იძულებაში შეასრულოს სამართლებრივი მოვალეობა, ე.ი. საკუთარ თავზე განიცადოს პირადი და ქონებრივი შეზღუდვები. ასეთ ვითარებაში წინა პლანზე გამოდის დასაშაულებრივი

¹¹² თ.დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.34

ქმედების ჩამდენი პირის მოვალეობები, ხოლო მისი უფლებები მოვალეობისადმი მიმართებაში დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. ეს იმით აიხსნება, რომ თავად დამნაშავეს მოქმედებაში მოყავს სისხლისსამართლებრივი ნორმა, რომელიც აქცენტს აკეთებს დამნაშავეს სამართლებრივ მოვალეობაზე შეურიგდეს მისი სამართლებრივი სტატუსის შეზღუდვას, მოიხადოს სასჯელი, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გავიგოთ დებულება იმის შესახებ, რომ, პასუხისმგებლობა დამნაშავეს ქმედების შინაგანი რეგულატორია. ამით კი ვლინდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფუნქცია- ეფექტური ზეგავლენა მოახდინოს დამნაშავეს ცნობიერებაზე, ფსიქიკაზე რათა შესაძლებელი გახდეს დამნაშავეს გარდაქმნა.¹¹³

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში უნდა განვიხილოთ. ასეთი პასუხისმგებლობა, როგორც სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მომენტიდან. სწორედ ამ ურთიერთობის ფარგლებში და კანონის ფარგლებში შესაბამისი სახელმწიფო ორგანო უარყოფითად აფასებს ბრალდებულის ქმედებას, ამის გამო ხდება დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის სამართლებრივი სტატუსის შეზღუდვა. ეს კი აკისრებს მას მოვალეობას როგორც ზემოთ აღინიშნა საკუთარ თავზე განიცადოს პირადი ან ქონებრივი ხასიათის შეზღუდვები. აქედან წარმოდგება დაზარალებულის კანონიერი უფლებების აღდგენისა და დამნაშავეს რესოციალიზაციის მიზანი.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

¹¹³ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 35

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. დანაშაულის გარეშე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაცია ხდება ძირითადად სასჯელის მეშვეობით. იგი დამნაშავისათვის იწვევს ისეთ იურიდიულ შედეგს, როგორცაა, ნასამართლობა. დანაშაული კი წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას (სსკ-ის მე-7 მუხლი). იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი ნორმებით. თუმცა, ჩადენილია თუ არა დანაშაული, ამას ადგენს არა სისხლის სამართლის კანონი, არამედ სასამართლო.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი – დანაშაული, ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი ქვაკუთხედეა სისხლის სამართლის თეორიაში. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს და განმარტავს დანაშაულის არსს. ამ განმარტებიდან პირდაპირი გაგებით ჩანს, რომ დანაშაული ხასიათდება სამი ნიშნით: ქმედების შემადგენლობით, მართლწინააღმდეგობით და ბრალით.

აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დასახელებული სამი ნიშანი ერთობლიობაში. ცალ-ცალკე აღებული ისინი ვერ გახდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.¹¹⁴

დანაშაულის ასეთი შინაარსი წარმოადგენს გერმანული სისხლის სამართლის მოდელს, რომელიც იძლევა დანაშაულის ფორმალურ ნიშანს- მართლწინააღმდეგობას და

¹¹⁴ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.99

უარყოფს დანაშაულის მატერიალურ ნიშანს – საზოგადოებრივ საშიშროებას, როგორც მისი სოციალური ბუნების თუ თვისების გამომხატველს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანაშაული მოკლებულია საზოგადოებრივ საშიშროებას რახან ის მის ცნებაში არ შედის, საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის თანდაყოლილი ნიშანია. მართებულად მიგვაჩინია პროფესორ გ. ნაჭყებიას მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ ქმედების საზოგადოებრივად საშიშროება, დანაშაულის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. უფრო მეტიც მის გარეშე დანაშაული არ არსებობს. იგი ჩადენილი მავნებელი ხასიათის გამომხატველი, კანონით დაცული ობიექტის მოსპობის ან დაზიანების ამსახველი მოვლენაა. ქმედება თუ საშიში არ არის, ის დანაშაული არ შეიძლება იყოს. არასაშიში ქმედების დანაშაულად გამოცხადება არ შეიძლება, რადგანაც:

ა) თუ დანაშაული გამოცხადდება არასაშიში ქმედება, მაშინ ნებისმიერი სასიკეთო ქმედება, რომელიც მიმართულია კანონიერი ინტერესების დასაცავად შეიძლება გამოცხადდეს დანაშაულად, რაც ეწინააღმდეგება სსკ-ს მიზანს- დანაშაულის თავიდან აცილებისა და მართლწესრიგის დაცვას და სასჯელის მიზნებს-სამართლიანობის აღდგენისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ბ) საშიშროების იგნორირებით დანაშაულის განსაზღვრა და სასჯელის დაწესებას რომ ადგილი ექნეს, გამოიწვევს დანაშავეთა დაცვას და უდანაშაულო პირთა დასჯას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციურ პრინციპებს.¹¹⁵

გერმანული სისხლის სამართლიდან გადმოღებული იქნა აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიფიკაციანი სისტემა-მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ანუ გამამარ-

¹¹⁵ გ.ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ.148

თლებელი გარემოებები და ბრალის გამომრიცხველი, ანუ საპატიო (აგრეთვე, შემამსუბუქებელი) გარემოებები.

უკავშირდება რა დანაშაულის ჩადენას, შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკავშირდება სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც რეგულირდება სისხლისსამართლებრივი ნორმებით. ასეთ პირობებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განხილულ უნდა იქნეს როგორც კონკრეტული პირის პასუხისმგებლობა ნარსულში ჩადენილი ქმედებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით. მეორეს მხრივ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უშუალოდ უკავშირდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლას. ასეთი პოზიცია სრულიად შეესაბამება ადამიანის უფლებების საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპებს და კონსტიტუციურ გარანტიებს.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის ქმედებისათვის და არა სუბიექტის პირადი საშიშროებისათვის.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის განსაზღვრული დანაშაულის ჩამდენი პირის ვალდებულება, სისხლის სამართლის კანონით დადგენილ ფარგლებში, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დაისაჯოს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისათვის.¹¹⁶

¹¹⁶ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.35

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლის-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის ნაწილია. იგი ერთმანეთთან აკავშირებს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა დანაშაული და სასჯელი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასჯელის გამოყენებაზე სახელმწიფოს უფლების განხორციელების ძირითადი პრინციპია. ამიტომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი განმტკიცებულია საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობით. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველია დანაშაული. დანაშაულის გარეშე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხულია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაცია ხდება ძირითადად სასჯელის მეშვეობით. იგი დამნაშავისათვის იწვევს ისეთ იურიდიულ შედეგს, როგორიცაა ნასამართლეობა.

რაც შეეხება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას, სიახლეა საქართველოს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში. იგი შემოღებულია 2006 წლის 25 ივლისის N 3530 კანონით. ამ კანონით სსკ-ის ზოგად ნაწილს დაემატა კარი 6¹, თავი XVIII¹, 107¹ და 107⁷-ე მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. იურიდიულ პირზე ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ნორმები. ამრიგად, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველია დანაშაული. მაგრამ არა ყველა დანაშაული, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი,

არამედ, მაგალითად, სსკ-ის 143¹-ე, 143²-ე 143³ -ე, 194-ე, 221-ე, 227¹-ე 227²-ე, 231¹-ე, 255¹-ე, 260-ე, 271-ე 323-ე 330-ე 330¹-ე 330²-ე 331¹-ე 339-ე 339¹-ე 344¹-ე 364-ე 365-ე და 372-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.¹¹⁷

აღსანიშნავია, რომ კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში არ არის მიღებული იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს პოზიცია ძირითადად ეფუძნება ბრალეულობის პრინციპს. ბრალი ინდივიდუალური კატეგორიაა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრად პერსონალურია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია იურიდიული პირის ბრალეულობის დასაბუთება, ბრალის ტრადიციული გაგების საფუძველზე. ამგვარად, კოლექტიური ბრალი სისხლის სამართალში მიუღებელია სისხლის სამართლის თეორიის ფუძემდებლურ პრინციპებთან მისი შეუთავსებლობის გამო.¹¹⁸ სავსებით ვეთანხმებით, პროფესორ ქეთევან ქოქრაშვილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილი საკითხი საჭიროებს შედარებით-სამართლებრივ ანალიზს არა მხოლოდ ისტორიულ ქრილში, არამედ განვითარებული ქვეყნების თანამედროვე კანონმდებლობის ანალიზისა და პრაქტიკის განზოგადების კუთხითაც.¹¹⁹

3.2. დანაშაულის ცნება და ნიშნები

იმისათვის, რომ პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნეს მიცემული, საჭიროა მის მიერ ჩადენილი

¹¹⁷ ა. კვაშილავა, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი კომენტარებით, თბ., 2006, გვ.29

¹¹⁸ ლ.გ.კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, გვ. 145-160

¹¹⁹ ქ.ქოქრაშვილი, იურიდიული პირი სისხლის სამართლის სუბიექტი, (ისტორიული ასპექტები), თბ., 2016, გვ.3-5

ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) იყოს სისხლის სამართლის კანონით დასჯადი და იგი ატარებდეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით ხასიათს. ამასთან, აუცილებელია ასეთი ქმედება შეიცავდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტს, კერძოდ: 1. ქმედების შემადგენლობა, ე.ი. პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან; 2. ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა, როგორც ქმედების წინააღმდეგობა სამართლის იმ ნორმებისადმი, რომელიც სამართლის სუბიექტს მართლზომიერი ქმედების მოვალეობას აკისრებს; 3. სუბიექტის ბრალი.

ესაა დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი. დანაშაულის ცნების ამ ელემენტებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას.

დანაშაულის ცნების ამ საკანონმდებლო განსაზღვრებაში ხაზგასმულია მისთვის დამახასიათებელი სამი ძირითადი ნიშანი. ეს ნიშნებია: ადამიანის მოქმედება ან უმოქმედობა, ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალი.¹²⁰

ახალი კოდექსიდან გამომდინარე, შედეგიანი, დამთავრებული განზრახი დანაშაულის ჩადენა უნდა დადგინდეს შემდეგი სქემით:

1. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა:

ა) ქმედების სუბიექტი (ქმედება ჩადენილია ფიზიკური პირის მიერ);

ბ) ქმედების ობიექტი (ქმედების შედეგად ზიანი მიადგა სისხლის სამართლის კოდექსით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს);

¹²⁰ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.98

გ) ქმედება და შედეგი;

დ) მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის (მიზეზობრიობა)

ე) შედეგის ობიექტური შერაცხვა;

ვ) ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ელემენტები: დრო, ვითარება, საშუალება (მაგალითად, 410-ე მუხლით დასჯადია დაქირავებულის გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში; 411-ე, 412-ე და 413-ე მუხლებით დასჯადია ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა სახელმწიფოთშორისო და შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების დროს; 109-ე მუხლის, მე-2 ნაწილის ქვეპუნქტით დასჯადია მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას) და ა. შ.

ამრიგად, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ასპექტით, რამდენადაც საქმე შეეხება დანაშაულის ზოგადი ცნების აგების ინტერესებს, სავსებით ლოგიკურია ტერმინი ქმედების შემადგენლობა, როგორც დანაშაულის ზოგადი ცნების პირველი ელემენტის გამომხატულება. თუმცა იგი „დანაშაულს“ ვერ გაუტოლდება, რადგან ქმედება დანაშაულად კვალიფიკაციისათვის საჭიროა კიდევ ორი ელემენტის - მისი მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის დადგენა.¹²¹

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა:

ა) განზრახვა (მართლწინააღმდეგობის შეგნების გარეშე);

ბ) ქმედების შემადგენლობის სხვა სუბიექტური ელემენტები: მიზანი (მაგალითად, 177-ე მუხლით დასჯადია ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რითაც

¹²¹ გ.ნაჭყებია, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო) ზოგადი ნაწილი, თბ., 2016., გვ.99

იგი განსხვავდება სხვისი ნივთის დროებითი სარგებლობის მიზნით დაუფლებისაგან, რაც არ გვაძლევს ქურდობის ან სხვა ხერხით გატაცების შემადგენლობას), მოტივი.

გ) ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები.¹²²

III. მართლწინააღმდეგობა (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები)

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებებია:

1. აუცილებელი მოგერიება;
2. დამნაშავეს შეპყრობა;
3. უკიდურესი აუცილებლობა;
4. მართლზომიერი რისკი;
5. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი (დაზარალებულის თანხმობა, დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა, მოვალეობათა კოლიზია და ა.შ.)

IV. ბრალი (ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები)

ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებებია:

1. შეურაცხადობა:
 - ა) ასაკი (14 წელს მიუღწევლობა)
 - ბ) ფსიქიკური მდგომარეობა (დროებითი ან ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა)
2. შეზღუდული შერაცხადობა. იგი ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებაა;

¹²² ა. შენგელია, თ. დოლიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2016, გვ. 32-33

3. იურიდიული შეცდომა, შეცდომა აკრძალვაში;

4. ბრძანების ან განკარგულების შესრულება;

5. ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი ზეკანონური გარემოებები (ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულების შეუძლებლობა: ტრაგიკული კოლიზია, მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა და სხვ.)

საბჭოურ ლიტერატურაში ერთხმად იყო აღიარებული დანაშაულის კლასობრივი ბუნება. ეს მოსაზრება დღეს სადავოა, უფრო ზუსტად, ნაწილობრივ არის მისაღები.

რასაკვირველია, დანაშაულის ისტორია კლასობრივი საზოგადოების აღმოცენებიდან იწყება. კერძო საკუთრების წარმოშობა, ფართო მასების ექსპლოატაცია გაჭირვებისა და სიღატაკის მიზეზად იქცა. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ექსპლოატირებულნი ქონებრივ დანაშაულს ჩადიოდნენ. ეს კი მოუთმენელი იყო მონათმფლობელური სახელმწიფოსათვის, რომელიც არსებული ხელისუფლების ინტერესებს იცავდა: ქურდი, რომელსაც დანაშაულის ადგილზე შეიპყრობდნენ, ჩამოხრჩობილი და მოკლული უნდა იქნეს- აწესებდნენ ებრაული და მუსლიმური კანონები, ჰამურაბის კანონები განსაკუთრებით მფარველობდა კერძო საკუთრებას. კერძო საკუთრების ხელყოფისათვის დაწესებული იყო სიკვდილით დასჯის სხვადასხვა სახე (წყალში დახრჩობა, დანვა, ჩამოხრჩობა და სხვა.) წინასწარი შეცნობით ნაქურდალის შესყიდვაც კი სიკვდილით ისჯებოდა. „სიკვდილით დაისჯება ყოველი არასრულწლოვანი, ვინც ღამე გუთნის შემწეობით ფარულად ამოჭრის ამოსულ ნაყოფს“- ნათქვამი იყო რომაულ XII ტაბულის კანონებში.¹²³

მონათმფლობელურ სახელმწიფოში დანაშაულის კლასობრივი ხასიათი განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება

¹²³ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ.97-98

იმითაც, რომ მონათმფლობელის მიერ საკუთარი მონის მკვლევლობა შეფასებული იყო როგორც საკუთარი ქონების მართლზომიერი მოსპობა.

მონების ბრძოლა თავის მჩაგვრელებთან უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. დაშინების მიზნით სისხლისსამართლებრივი რეპრესია გამოიყენებოდა მონათა მთელი ჯგუფების წინააღმდეგ, თუნდაც დანაშაულის ჩამდენი ამ ჯგუფიდან ერთი ყოფილიყო. ცნობილია, რომ რომში ერთმა მონამ ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა პრეფექტი. სენატმა დაადგინა, რომ დამნაშავესთან ერთად სიკვდილით დაესაჯათ პრეფექტურის ყველა 400 მონა.

ფეოდალური იუსტიცია შეუნიღბავი თვითნებობისა და ყმების უუფლებობით ხასიათდებოდა. კლასობრივ-ნოდებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი ფართოდ იყო ასახული „რუსკაია პრავდაში“, მეფე ალექსი მიხეილის ძის საკრებულო დებულებაში (1649 წ.) ეს დებულება სხვადასხვა საზღაურს აწესებდა სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანთა ღირსების შელახვისათვის. მაგალითად, თუ წარჩინებული ადამიანი თავისი ღირსების შეურაცხყოფისათვის ღებულობდა 100 მანეთს, ასეთივე დანაშაულისათვის სახელმწიფო თემების და სასახლის გლეხებს შეეძლოთ მოეთხოვათ 1 მანეთი.

ძველი ქართული სამართალიც აშაკარა ნოდებრივ პრინციპზე იყო აგებული და ფეოდალთა სადარაჯოზე იდგა. ვახტანგ VI სამართლის წიგნით სასჯელის განსაზღვრისათვის მოსამართლეს ასეთ სახელმძღვანელო მითითებას აძლევდა: „როგორც კაცი მამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, ციხითა, მონასტრით და უფროსის კაცის მოყუსად მოკიდებით ამაღლდების, სისხლის გაუდიდების და გაყრითა და მამულის მოკლებით სისხლიც

მოაკლდების“ (მუხლი 23). ამრიგად, რაც უფრო შეძლებული იყო ადამიანი, რაც უფრო დიდი თანამდებობა ეკავა მას, რაც უფრო მაღალი თანამდებობის პირთან იყო იგი დაკავშირებული, მით უფრო მეტად ფასობდა მისი სისხლი, მით უფრო მტკიცედ იცავდა მას სამეფო ხელისუფლება. ვახტანგის სამართლის წიგნის 95-ე მუხლში ნათქვამია, რომ კაცის მიერ თავისი ყმის მოკვლა ბატონისა და კათალიკოსისათვის „საწყენი არის“, მაგრამ პირიქით, ყმა თავის ბატონს მოკლავს, მაშინ კანონმდებელი შესაძლებლადაც კი არ თვლის სისხლის ფასის წინასწარ განსაზღვრას, რადგან მას ასეთი ქმედება უაღრესად მძიმე დანაშაულად მიაჩნია.

მონათმფლობელური და ფეოდალური კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომელიც არ შეიცავდა დანაშაულის ზოგად ცნებას, ბურჟუაზიულმა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ შეიმუშავა ეს ცნება. ფრანგულიდან დაწყებული სისხლის სამართლის კოდექსები დანაშაულად მიიჩნევენ ქმედებას, რომელსაც სასჯელის მუქარით კრძალავდა სისხლის სამართლის კანონი. ასეთი განსაზღვრებით, რომლის მიხედვითაც დანაშაულად მიჩნეული იქნა მხოლოდ ქმედება და არა აზრი, აღიარებული იქნა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა დამოუკიდებლად კლასობრივი ან წოდებრივი კუთვნილებისა. იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის უდიდეს მიღწევას. მასში აისახა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ოცნება. ამ მიმართულებით უაღრესად დემოკრატიულ დებულებებს შეიცავდა საფრანგეთში 1789 წელს მიღებული „ადამიანის და მოქალაქეთა უფლებათა დეკლარაცია“. დეკლარაციის მე-5 მუხლით დადგინდა, რომ „კანონს შეუძლია აკრძალოს მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც საშიშია საზოგადოებისათვის. არ შეიძლება ხელი შევუშალოთ იმას, რაც კანონით

არაა აკრძალული და არავინ არ შეიძლება აიძულოს გააკეთოს ის, რასაც არ მოითხოვს.

ფრანგული კანონმდებლის მსგავსად ანალოგიურ განსაზღვრებებს შეიცავდნენ მაშინდელი კოდექსები.

სისხლისსამართლებრივი ნორმა მოქალაქისაგან, აგრეთვე იურიდიულ პირისაგან, მოითხოვს ან განსაზღვრული მოქმედებისაგან თავის შეკავებას ან, პირიქით, განსაზღვრული მოქმედების შესრულებას. პირველ შემთხვევაში სისხლის სამართლის ნორმის დარღვევა გამოიხატება ნორმის სანინააღმდეგო გარეგან კონკრეტულ მოქმედებაში, ხოლო მეორე შემთხვევაში – ნორმით დადგენილი მოქმედების შეუსრულებლობაში. ამისდა შესაბამისად სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის პირველად ნიშნად აცხადებს ადამიანის ქცევის კონკრეტულ, გარეგან გამოვლინებას. ამის გარეშე ე.ი. კონკრეტული ქმედების გარეშე, რომელიც საფრთხეს უქმნის ან ვნებს მართლწესრიგს, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. საქართველოს სისხლის სამართლისათვის არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა „ლიტონი განზრახვისათვის“ ან „ანტისაზოგადოებრივი ფსიქიკური განწყობისათვის,“ რომელიც კონკრეტული საშიში ქმედებით არ გამოვლენილა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნიშნავს პასუხისმგებლობას ქმედებისათვის და არა ადამიანის პირადი საშიშროებისათვის.

დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია მართლწინააღმდეგობა. მართლია, დანაშაულის ნიშნად მართლწინააღმდეგობის და არა საზოგადოებრივი საშიშროების აღიარებამ დიდი დავა გამოიწვია საქართველოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შედგენისას. თუმცა, პროექტის

შემმუშავებელმა კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა მართლწინააღმდეგობაზე მითითება.

რასაკვირველია, არავინ არ უარყოფს საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას, მაგრამ დამნაშავეს ჩვეულებრივად არ მოეთხოვება საზოგადოებრივი საშიშროების გაცნობიერება. საკმარისია, თუ მას გაცნობიერებული აქვს ის, რაც ქმედებით აკრძალულია ანუ მართლწინააღმდეგოა.¹²⁴

თავის მხრივ, მართლწესრიგი საზოგადოებრივი წესრიგის შემადგენელი ნაწილია. მართლწესრიგი ყალიბდება სხვადასხვა სოციალურ ნორმათა განხორციელების შედეგად. ეს ნორმები ადამიანის ქცევაზე ზემოქმედებს სპეციალური ფორმებით (ჩვეულება, მორალის ნორმა, ორგანიზაციის საქმიანობის მომწესრიგებელი შინაგანი წესები და სხვა). მართლწესრიგს არეგულირებს მოცემულ სახელმწიფოში მიღებული სამართლებრივი ნორმები.

მართლწინააღმდეგობა ქმედების ობიექტური დახასიათებაა. იგი არსებობს რეალურ სინამდვილეში და გამოხატავს იმ ურთიერთობას, რომელიც პირის ქმედებასა და მართლწესრიგს შორის არსებობს. აქედან სრულიად ნათელია, რომ დანაშაულად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი ფიქრობს, რომ მართლწინააღმდეგო ქმედებას ჩადის, სინამდვილეში კი ეს მისი წარმოდგენა ქმედების ობიექტურ თვისებებს არ შეესაბამება. მაგალითად, პირი უკიდურესი უვიცობისა და ცრურწმენის გამო დანაშაულის ჩასადენად შელოცვას მიმართავს. ამდაგვარი სახის უვარგისი მცდელობა არ ისჯება.

მართლწინააღმდეგობა ქმედებას ობიექტური მხრივ ახასიათებს, სწორედ ამის გამო ქმედება არ ჩაითვლება

¹²⁴ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ.165-166

მართლსაწინააღმდეგოდ, როდესაც პირს მის მიერ ჩადენილი ქმედება დანაშაული ჰგონია, ხოლო სინამდვილეში ეს ქმედება დანაშაული არ არის. ასეთ ვითარებაში საქმე გვექნება მოჩვენებით დანაშაულთან, რომელიც არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სხვა მოსაზრებით ბრალის გამომრიცხველ და არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას მიაკუთვნებენ მოჩვენებით დანაშაულს „შეცდომის მრავალსახეობიდან გამომდინარე, არსებითია იმის მტკიცებაც, რომ ზოგადად, ე.წ. „მოჩვენებითი დანაშაული“ არა ფაქტობრივი, არამედ სამართლებრივი შეცდომის სახეა.“¹²⁵

დებულება იმის შესახებ, რომ მართლწინააღმდეგობა არ შეიცავს ბრალის მომენტს, დასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლების ანალიზითაც. კერძოდ, მე-9 მუხლის თანახმად, ქმედება პირდაპირ განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. აქედან სრულიად ლოგიკურია დავასკვნათ: ბრალი არ არის მართლწინააღმდეგობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ეს არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის და არა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიური თეორიიდან გამომდინარე გაბატონებული იყო საბჭოური სისხლის სამართლის დოქტრინაში.

¹²⁵ სისხლის სამართლის, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყეაბია, თბ., 2011, გვ. 142

ამრიგად, მართლწინააღმდეგობა ქმედებას ახასიათებს ობიექტური თვალსაზრისით, ხოლო განზრახვა და გაუფრთხილებლობა ქმედების შემადგენლობის აუცილებელი სუბიექტური ნიშნებია. ამასთან ერთად ბრალის ცნებაში მთავარია არა აღწერა, არამედ ამ აღწერილობის შეფასება, გაკიცხვა.

ჩვენ უკვე მითითებული გვქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ დებულებაზე, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ამ მუხლის ანალიზისას მოკლედ დავახასიათეთ დანაშაულის სამი ნიშანი: 1. ქმედება, 2.მართლწინააღმდეგობა და 3. ბრალი. მე-7 მუხლის პირველ ნაწილში გარდა ხსენებული ნიმუშისა მითითებულია იმაზეც, რომ დანაშაული არის ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება.¹²⁶

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში გათვალისწინებულია აკრძალული ქცევა ანუ დანაშაულის ნიშნები. მეორე ნაწილში გათვალისწინებულია განსაზღვრული სასჯელი ამ ქმედებისთვის. მაშასადამე, სისხლის სამართლის ნორმის საწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ პირს ემუქრება სასჯელი. დანაშაულის ფაქტობრივი დაუსჯელობა სპობს ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს. დანაშაული დანაშაულად რჩება მაშინაც, თუ პირი პირობით გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან ან თუ იგი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დამნაშავის თავდებქვემ

¹²⁶ გაბიანი, გვენეტაძე და სხვები სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ.102-104

გადაცემით და ა.შ. დასჯადობა ნიშნავს იმას, რომ დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც აკრძალულია სასჯელის მუქარით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქმედება შეიძლება ფორმალურად შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში იმდენად მცირემნიშვნელოვანი იყოს, რომ დანაშაულად არ ჩაითვალოს. ამის შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილი ასეთ დებულებას შეიცავს: „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“.

სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, შესაძლებელია ქმედების მცირე მნიშვნელობის სამგვარი გაგება:

1. იგი წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის გარემოებას;
2. მიუხედავად დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისა, იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განმახორციელებელ გარემოებას;
3. იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის გამომრიცხველ გარემოებას.

პრობლემებზე მსჯელობა დავიწყოთ ერთ-ერთი მაგალითით სასამართლო პრაქტიკიდან.

ავთომ ბაზრობაზე მოიპარა 5 კგ. ვაშლი, რომლის

ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 11 ლარს. პოლიციამ იგი შემთხვევის ადგილზე დააკავა. ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ქმედების მცირე მნიშვნელობა ზოგჯერ თვით კოდექსის კერძო ნაწილით რეგულირდება, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი.

მაგალითად, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება მხოლოდ მაშინ წარმოადგენს დანაშაულს, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 187-ე მუხლით) ამასთან, თვით კანონმდებელმა განსაზღვრა ასეთი ზიანის თანხმობრივი ოდენობა-ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარს ზევით (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 პენიშენა). მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ კანონით აკრძალული საქმის მღება წარმოადგენს დანაშაულს (სსკ-ის 340-ე მუხლი) აკრძალული საქმის ღირებულება კი განსაზღვრულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით.

ევროპულ ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიაში, ქმედების მცირე მნიშვნელობა წვრილმანი დანაშაულების დროს არ გამორიცხავს ქმედების შემადგენლობას და წარმოადგენს დანაშაულს, მაგრამ სისხლის სამართლის გერმანული საპროცესო წესები ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან შეწყვეტის შესაძლებლობას, თუ ჩადენილი ქმედება უმნიშვნელოა, ხოლო მისი ჩამდენი პირის ბრალის ხარისხი-დაბალია და არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი.

ასეთი მიდგომისაგან განსვავებით, ქართული სისხლის სამართალში ქმედების მცირე მნიშვნელობა წარმოადგენს არა პროცესუალურ-სამართლებრივ, არამედ მატერიალურ-

სამართლებრივ პრობლემას.

ასე მაგალითად, მცირე მნიშვნელობის ქურდობა გამორიცხავს ქმედების შემადგენლობას. ქმედების მცირე მნიშვნელობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები კი, არ არის მოცემული კანონში და იგი უნდა განისაზღვროს სამართალწარმოების პროცესში.

საზოგადოდ ცნობილია, რომ კანონმდებელი რაიმე ქმედების დანაშაულად აღიარებისას ითვალისწინებს ამდაგვარ ქმედებათა საშიშროების განსაზღვრულ ხასიათს, რაც მოითხოვს მასთან ბრძოლას სისხლისსამართლებრივი სასჯელის მეშვეობით. მაგრამ შესაძლებელია, რომ ასეთი ქმედების საშიშროების ხარისხი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ აღწევდეს იმ მინიმუმს, რაც აუცილებელია მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

ქმედების საშიშროების დადგენისათვის მხედველობაშია მისაღები: ხელყოფის ობიექტის ღირებულება, ხელყოფის ინტენსივობა, მისი განხორციელების სტადია (მომზადება, მცდელობა, დამთავრებული დანაშაული), პირის მონაწილეობის ხარისხი დანაშაულში (აქტიური მონაწილე-ამსრულებელი, ორგანიზატორი ან მეორეხარისხოვანი დამხმარე), ზიანის მოცულობა (ხელყოფა მცირე ღირებულება ქონებაზე, თუ დიდი ოდენობით ქონების გატაცება), დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, პირობები და ა.შ.

ყველა აღნიშნული მომენტი ერთობლივად უნდა იქნეს გათვალისწინებული და არა იზოლირებულად.¹²⁷

¹²⁷ თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.152-153

3.3. დანაშაულის განსხვავება სხვა სამართალდარღვევისაგან, ამორალური ქცევისაგან

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ქმედება, რომ დანაშაულად ჩაითვალოს, იგი უნდა იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული. სწორედ ამ ნიშნების არსებობა იძლევა იმის საშუალებას, რომ დანაშაული გავმიჯნოთ სხვა სამართალდარღვევისაგან, რომელიც არაა დანაშაული.

პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათად წამოიჭრება დანაშაულის სხვა სახის სამართალდარღვევისაგან გამიჯვნის საკითხი. ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხი მოწესრიგებულია ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, შრომის, საჰაერო, საფინანსო და ა.შ. სამართალში.

დანაშაულის ობიექტად ზოგჯერ მიჩნეულია ისეთი სიკეთე, რომლის დაცვა მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმებით ხორცილდება. სამი ძირითადი კრიტერიუმის: 1) ობიექტის, 2) საზოგადოებრივი საშიშროების და 3) მართლსაწინააღმდეგობის სახეობის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ობიექტია პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნებოდა, რომ ადმინისტრაციული გადაცდომა და დანაშაული ერთმანეთისაგან რაოდენობრივად კი არ განსხვავდება, არამედ ეს განსხვავება ხარისხობრივია. დანაშაული მაღალი სოციალური საშიშროების მქონე მოვლენაა. ადმინისტრაციული გადაცდომა კი, თუმცა ანტისაზოგადოებრივ ხასიათს ატარებს, მაგრამ კრიმინალურ საშიშროებას არ შეიცავს. არადა-

შაულებრივ სამარდარღვევის რაოდენობა არ შეიძლება გადაიზარდოს დანაშაულის ხარისხში.

დისციპლინური გადაცდომა ხელყოფს სახელმწიფო და სამსახურებრივ დისციპლინას, იგი იწვევს დისციპლინურ სახდელს (საყვედური, დათხოვნა, ჯარიმა და ა.შ.) შეფარდებას. ეს სახელები გათვალისწინებულია კანონებში, ქვეკანონიერ აქტებში, კომპეტენტური თანამდებობის პირთა ბრძანებებში.

დანაშაული სხვა არადანაშაულებრივი სამართალდარღვევისაგან იმით განსხვავდება, რომ მას (დანაშაულს) გაცნობით უფრო მეტი საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს, ვიდრე არადანაშაულებრივ სამართალდარღვევებს.

როგორც კანონმდებელი, ისე სასამართლოები ყოველთვის ცდილობენ დანაშაულისა და გადაცდომის ერთმანეთისაგან გამიჯვნას. ასეთი გამიჯვნისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ზიანის მოცულობას, რომელსაც სამართლით დაცული ინეტერესები განიცდის.

დანაშაულის სუბიექტური ელემენტებიდან კანონი უფრო ხშირად ასახელებს სუბიექტური მხარის ფორმას, მოტივებსა და მიზნებს. მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება- დანაშაულია, ხოლო ჯანმრთელობის ასეთი დაზიანება გაუფრთხილებლობით – გადაცდომაა.

დასასრულ, შემდეგი ნიშანი, რომლითაც დანაშაული არადანაშაულებრივი სამართლებრივი დარღვევისაგან განსხვავდება. არის მართლსაწინააღმდეგობის სახეობა და მასთან დაკავშირებული სანქციის სახე. დანაშაულს კრძალავს სისხლის სამართლის კანონი სასჯელის მუქარით. სასჯელის მოხდის შემდეგ პირი ითვლება ნასამართლევად. არადანაშაულებრივი სამართლებრივი დარღვევებისათვის პასუხისმგებლობა რეგულირდება შრომის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ა.შ. კანონმდებლობით და

ქვეკანონიერი ნორმატიული აქტებით. ამ დარგებით გათვალისწინებული სანქციები გაცილებით უფრო მსუბუქია, ვიდრე სისხლისსამართლებრივი სასჯელები.

დანაშაული ყოველთვის ქმედებაა, ამორალურად კი შეიძლება მიჩნეული იქნეს არა მარტო ქმედება, არამედ აზრი, მისი გამჟღავნება. ნათელია, ამორალური ქცევა გაცილებით ნაკლებ საშიშია, ვიდრე დანაშაული.

დანაშაულის და ამორალური ქცევის გამიჯვნა ხორციელდება აკრძალვის ხასიათის მიხედვით. დანაშაული აკრძალულია სისხლის სამართლის კანონით, ამორალური ქცევა საერთოდ არ რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით.

ამრიგად, დანაშაული არადანაშაულებრივი სამართლებრივი დარღვევისაგან განსხვავდება იმით, რომ 1) საერთო ობიექტი სისხლის სამართლში გაცილებით უფრო ფართო და მრავალფეროვანია, ვიდრე სამართლის სხვა დარგებში; 2) დანაშაული დიდი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, ვიდრე სხვა სამართალდარღვევები; 3) სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ქვენა ხასიათის მოტივაციას, ქმედების ჩადენის საშიშ ხერხს, საშუალებას, სუბიექტის მიერ თანამდებობრივი მდგომარეების და იარაღის გამოყენებას.

3.4. დანაშაულის კლასიფიკაცია

სისხლის სამართლის კანონმდებობა იცნობს სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულებრივ ქმედებას, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებითაა გათვალისწინებული. ამ დანაშაულთა კლასიფიკაციას მისი სიმძიმის ხარისხის მიხედვით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამ-

დენადაც ასეთ დაყოფასთან განსხვავებული იურიდიული შედეგებია დაკავშირებული.

ყველა დანაშაულისათვის საერთო ნიშნებზე, როგორც უკვე ითქვა მითითებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლში, მაგრამ დანაშაულთა ერთი ჯგუფის საშიშროების ხასიათითა და ხარისხით შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს სხვა დანაშაულთაგან. თავისთავად ცხადია, რომ მაგალითად ძარცვა საფრთხის მიხედვით ძირეულად განსხვავდება მკვლელობისაგან და ა.შ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ სწორედ შესაბამისი კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის დადგენილი სასჯელის სიმძიმის მიხედვით განასხვავებენ სხვადასხვა დანაშაულის კატეგორიას და სამართლებრივ შედეგებს. საკითხი იმის შესახებ დანაშაულის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება სსკ-ის კერძო ნაწილის კონკრეტული შემადგენლობა, განისაზღვრება მხოლოდ აბსტრაქტული სასჯელის მიხედვით. ამასთან არააქვს მნიშვნელობა თუ რა სასჯელი დაენიშნება დამნაშავეს კონკრეტულად. თუ ნორმა ითვალისწინებს რამდენიმე ძირითად სასჯელს ალტერნატიულად, მაშინ დანაშაულის კატეგორია განისაზღვრება იმ ყველაზე მკაცრი სასჯელის მიხედვით, რომელიც უმაღლესი აბსტრაქტული სასჯელის სახით გათვალისწინებულია ამ დანაშაულებრივი ქმედებისათვის.¹²⁸

ამჟამად, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე, მე-12 მუხლში ითავლისწინებს ნორმებს დანაშაულის კატეგორიების შესახებ. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სისხლის სამართლის კანონის მიხედვით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა: ა)

¹²⁸ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011., გვ.91

ნაკლებად მძიმე დანაშაული; ბ) მძიმე დანაშაული; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. მოხსენიებული მუხლის მომდევნო, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით განსხვავებულია ნაკლებად მძიმე დანაშაულის, მძიმე დანაშაულისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ცნებები. მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გავალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთნელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას.¹²⁹

იმავე მუხლის მე-3 ნაწილით მძიმე დანაშაულად მიჩნეულია განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთწლიანი დროით.

ხსენებული მუხლის მე-4 ნაწილით განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ისეთი განზრახი დანაშაულია, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ერთი მუხლის ფარგლებში შესაძლებელია ძირითადი და კვალიფიციური შემადგენლობები გვაძლევდეს დანაშაულის განსხვავებულ კატეგორიას. მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქურდობის პირველი და მეორე ნაწილები მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე, ხოლო მესამე და მეოთხე ნაწილები, მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. სსკ-ის 108-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა) მიეკუთვნება

¹²⁹ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 112

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.¹³⁰

დანაშაულთა კატეგორიზაცია სათვალავში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები-სა და სასჯელის შედეგების განსაზღვრისას. მე-18 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით დანესებულია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე და ცალკეული ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის. 51-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. 59-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის წესებს დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თუ საქმე ეხება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს. ცალკეა გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესი, თუ საქმე ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულს. დანაშაულთა კატეგორიზაცია თავს იჩენს აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხის გადანყვეტი-სას (იხ.: 68-ე, 71-ე, 76-ე, 79-ე მუხლები).

დანაშაულების კატეგორიებად დაყოფა არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი სიმძიმის მიხედვით კლასიფიკაციით. რა თქმა უნდა არსებობს დანაშაულების კატეგორიები მათი ჩადენის ფორმის მიხედვით. მაგალითად: ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვაოთ კონკრეტული, აბსტრაქტული და აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით დანაშაული შეიძლება გამოიხატოს ძირითად, კვალიფიციურ და პრივილეგიურ შემადგენლობაში, და სხვა.¹³¹

საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდ-

¹³⁰ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ.75-76

¹³¹ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ.93

ექსები დანაშაულის კლასიფიკაციას ფორმალური ნიშნის მიხედვით ახდენენ. სხვადასხვა კოდექსები იძლევიან დანაშაულის ორწევროვან და სამწევროვან დაყოფას (ტრიხოტომია). სამწევროვანი დაყოფა პირველად საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა შემოიღო. კოდექსის პირველი მუხლი ერთმანეთისაგან განარჩევდა დანაშაულებრივ ქმედებათა შემდეგ სახეებს: დანაშაული, გადაცდომა, დარღვევა, დანაშაულის სამწევროვან დაყოფას იძლევა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსიც: დანაშაული, გადაცდომა, დარღვევა. დანაშაულის სამწევროვან დაყოფას ითვალისწინებს უფრო ახალი სისხლის სამართლის კოდექსებიც.

ზემოთგანხილული იყო დანაშაულთა კატეგორიზაციის საკითხი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მიხედვით, გარდა ასეთი კლასიფიკაციისა, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებული სხვაგვარი კლასიფიკაცია ანუ დანაშაულთა ცალკეულ ნაწილებად დაყოფა ხელყოფის ობიექტის მიხედვით. ამის მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი იყოფა კარებად და თავებად.

კერძო ნაწილის სისტემაში, პირველ ყოვლისა, მოხსენიებულია დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (კარი მეშვიდე). ეს კარი თავის მხრივ მოიცავს დანაშაულს სიცოცხლის წინააღმდეგ, დანაშაულს ჯანმრთელობის წინააღმდეგ და ა.შ. ცალკე თავებადაა ასევე დაყოფილი კარი, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ დანაშაულს და ა.შ.

დანაშაულთა კლასიფიკაცია სასჯელალსრულების სამართალში აგებულია დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი კლასიფიკაციის მიხედვით და ამასთან განსაზღვრულია სასჯელის აღსრულების ორგანიზაციის თავისებურებანი.

დანაშაულთა კლასიფიკაცია სისხლის სამართლის პროცესში უპირატესად დამოკიდებულია ქვემდებარეობაზე. კრიმინალისტიკაში დანაშაულთა კლასიფიკაცია დამოკიდებულია დანაშაულთა გამოძიების მეთოდუკასა და ტაქტიკაზე.

რასაკვირველია, ამ კლასიფიკაციებს სპეციფიკა ახასიათებს. ამასთან მხედველობაში ღებულობენ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ კლასიფიკაციას.

3.5. ქმედების კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ხოლო თავად დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ შესაბამისი ქმედება გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კანონით. ეს ნიშანი პირდაპირ დაკავშირებულია კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის პროცესთან.¹³²

კრიმინალიზაცია ნიშნავს, კანონმდებლის მიერ განსაზღვრული ქმედების დანაშაულად მიჩნევას, ე.ი. ამ ქმედების ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დანესებას. კრიმინალიზაციის დროს კანონმდებელი ქმედების შემადგენლობას სსკ კერძო ნაწილში ათავსებს და მას შესაბამის სასჯელს უკავშირებს.¹³³ ამდენად, კრიმინალიზაციის ობიექტი არის ქმედება, რომელსაც კანონმდებელი დანაშაულად აკვალიფიცირებს და რომელიც წინ უსწრებს სისხლის სამართლის კანონს.¹³⁴ დეკრიმინალიზაცია

¹³² გ.ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ.114

¹³³ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული, თბ., 2014, გვ.19

¹³⁴ გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ.105

კი ნიშნავს კანონმდებლის მიერ რაიმე ქმედებისათვის დაწესებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას.¹³⁵

ქმედების დეკრიმინალიზაციის სუბიექტთან დაკავშირებით სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, სასამართლო პირს დანაშაულის მომზადების წინა სტადიაზე ხშირად პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო, დღევანდელ სსკ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, რითაც კანონმდებელი მოსამართლეს ქმედების (მათ შორის, დაუმთავრებელი დანაშაულის) დეკრიმინალიზაციის უფლებას აძლევდა.¹³⁶

შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასდეს ქმედების კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის პრობლემის მნიშვნელობა. ეს პრობლემა არსებითად დაკავშირებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებასთან. საქმე ისაა, რომ სისხლის სამართლის კანონით რაიმე ქმედების აკრძალვა უცვლელი არ არის. ცხოვრებას მასში აუცილებელი კორექტივები შეაქვს. განსაკუთრებით მწვავედ ეს პრობლემა თავს იჩენს სისხლის სამართლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის დროს. თანაც კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის პროცესები მჭირდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

კრიმინალიზაციის ძირითად ფაქტორად ითვლება საზოგადოებრივი (სოციალური) საშიშროება. კანონმდებლობა ისეთ ქმედებას აცხადებს დანაშაულად, რომელიც არსებით ზიანს იწვევს ან შეიცავს რეალურ საფრთხეს

¹³⁵ გ.ტყეშელაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტივი, თბ, 2007, გვ.56-57

¹³⁶ გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ, 2010, გვ.26-27

პიროვნების, საზოგადოების ან სახელმწიფოსათვის. გარდა ამისა, სათვალავში უნდა იქნეს მიღებული ის, თუ რამდენად გავრცელებულია შესაბამისი ქმედება. წინასწარ უნდა იქნეს გათვალისწინებული კრიმინალიზაციის დადებითი და უარყოფითი შედეგების თანაფარდობა. სათანადოდ უნდა შეფასდეს სისხლისსამართლებრივი იუსტიციის პრაქტიკული შესაძლებლობანი.

ქმედების კრიმინალიზაცია შეიძლება გამომწვეული იყოს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებით და საზოგადოების მიმდინარე რეფორმით. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ის სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებიც მიმართულია დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების დაცვისაკენ. ისინი გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეთორმეტე კარში.¹³⁷

კრიმინალიზაციის დროს კანონმდებელი ქმედების შემადგენლობას სსკ კერძო ნაწილში ათავსებს და მას შესაბამის სასჯელს უკავშირებს.¹³⁸ ამდენად, კრიმინალიზაციის ობიექტი არის ქმედება, რომელსაც კანონმდებელი დანაშაულად აკვალიფიცირებს და რომელიც წინ უსწრებს სისხლის სამართლის კანონს.¹³⁹ მაგალითად, 2006 წლის 29 დეკემბრამდე 2000 წლის სისხლის სამართლის კოდექსით არ ისჯებოდა ცივი იარაღის უკანანო ტარება და იგი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ გადაცდომას, ხოლო 2006 წლის 29 დეკემბრიდან სს კოდექსს დაემატა ახალი 238¹ მუხლი, რომლითაც მოხდა ამ ქმედების კრიმინალიზაცია.

დეკრიმინალიზაციისას კი ადგილი აქვს პირუკუ პრო-

¹³⁷ ი.გაბისონია, ჯ.გაბელია, თ.დარსანია., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბ., 2018, გვ.23-24

¹³⁸ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადინაწილი, დანაშაული, თბ., 2014, გვ.19

¹³⁹ გ.ნაჭყებია. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია., თბ., 2010., გვ.105

ცესს, კანონმდებელი სს კოდექსიდან ამოიღებს კონკრეტულ ქმედებას და აუქმებს მასზე დასჯადობას.

ამდენად, დეკრიმინალიზაცია ნიშნავს კანონმდებლის მიერ რაიმე ქმედებისათვის დანესებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას.¹⁴⁰ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ამა თუ იმ ქმედების დასჯადად გამოცხადება, ანუ კრიმინალიზაცია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცალკეულ ქმედებათა ჩადენისათვის სასჯელის დაწესებას, რომელსაც პენალიზაცია ეწოდება.¹⁴¹ ჩვენი აზრით, მართებულია მტკიცება, რომ „კრიმინალიზაცია კანონმდებლის მიერ ქმედების სისხლისსამართლებრივი აკრძალვაა, როდესაც კანონმდებელი ქმედების შემადგენლობას სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ათავსებს და მას შესაბამის სასჯელს უკავშირებს.¹⁴² უახლოესი დროის ქმედების კრიმინალიზაციის სანიმუშო მაგალითებია სსკ – 248¹ (იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა) და 359¹ (საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა) მუხლები, რაც გამონვეული იყო პანდემიისას საგანგებო რეჟიმების დარღვევის უდიდესი საფრთხით. დეკრიმინალიზაციის ნათელ მაგალითს კი წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც საქართველოს 2000 წლის სს კოდექსით დანაშაულად ითვლებოდა ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით (სსკ-ის 148-ე მუხლი), რომლის დეკრიმინალიზაცია მოხდა, 2004 წლის 24 ივნისს. შესაბამისად, ეს ქმედება სადღეისოდ სამოქალაქო სამართალდარღვევას წარმოადგენს.

ამდენად, კრიმინალიზაცია თავისთავში მოიცავს პენალიზაციას, რადგან იგი აუცილებლად დაკავშირებულია

¹⁴⁰ გ. ტყეშელიაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტო.კოლექტივი, თბ., 2017., გვ.2007., გვ.56

¹⁴¹ ი.გაბელია, კრიმინალიზაცია და მისი მომიჯნავე ცნებები, სამართალი, 2001., N8., გვ.37

¹⁴² ქ. ქოქრაშვილი., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი., თბ., 2014, გვ.19

სასჯელის დაწესებასთან იმ ქმედებისათვის, რაც დანაშაუ-
ლად ცხადდება.

ასევე დეკრიმინალიზაცია თავისთავში მოიცავს დეპე-
ნალიზაციას, რადგან კონკრეტული ქმედების სს კოდექ-
სიდან ამოღება აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ ამ
ქმედებისათვის უქმდება ის სასჯელი რაც მისთვის იყო
დაწესებული.¹⁴³

¹⁴³ ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენ-
დენციები საქართველოში., თბ., 2016., გვ104

თავი IV- ქმედების შემადგენლობა

4.1. ქმედების შემადგენლობის ცნება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. თავის მხრივ დანაშაულის ცნების სტრუქტურა სამი ნიშნისაგან შედგება. ეს ნიშნებია: 1. ქმედების შემადგენლობა, ანუ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი შემადგენლობის ნიშნებისადმი; 2. ქმედების მართლწინააღმდეგობა და 3. ბრალი, დანაშაულის ცნების სტრუქტურის ამ სამივე ნიშნის თანაარსებობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ და საკმარის საფუძველს.

ქმედების შემადგენლობა.

დავას არ იწვევს ის დებულება, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების გარეშე ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი არ დადგება. ცხადია, არსებობს დანაშაულის ჩადენისათვის მზადება ან მისი ჩადენის მცდელობა, მაგრამ შემადგენლობის გარკვეული ნიშნების ქმედების გარეშე ვერც დაუმთავრებელი დანაშაულის ჩადენა იქნებოდა შესაძლებელი. მით უფრო, რომ აქ ქმედება ორი მუხლით კვალიფიცირდება: ზოგადი ნაწილის იმ მუხლით, რომელიც მომზადებას ან მცდელობას ითვალისწინებს და სისხლის სამართლის კერძო ნაწილის იმ მუხლით, რომლის მომზადება და ჩადენის მცდელობა იქნა განხორციელებული. მაგრამ ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის მიმართების პრობლემა განსაკუთრებით რთულია. ეს, უპ-

ირველეს ყოვლისა, დანაშაულის ცნების გერმანულ მოდელზე უნდა ითქვას, რადგან დანაშაულის სამ სისტემაში (ქმედების შემაღვენლობა, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი) მისი ელემენტების ერთიანობის დადგენა ადვილი არაა.¹⁴⁴ ვინაიდან, ქმედების შემაღვენლობიდან ამავე ქმედების მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირ ლოგიკური გადასვლის გზა არ არსებობს. როგორც წესი, ქმედება მართლზომიერია ან მართლსაწინააღმდეგო. მაგრამ არსებობს მესამე შესაძლებლობაც, როცა ქმედება არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. სამწუხაროდ, ეს საკითხი გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სადავოა. უმრავლესობა, როგორც ჩანს, იმ აზრისაა, რომ სისხლის სამართალში ქმედება მართლზომიერია ან მართლსაწინააღმდეგო. ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მოტანილია ამ საკითხზე დისკუსია, საიდანაც ჩანს, რომ აზრი ქმედების სამართლებრივი ნეიტრალობის შესახებ (ესე იგი არა შეფასებითობის თაობაზე) მცდარად მიაჩნაით და გაკეთებულია დასკვნა, რომ ქმედება აკრძალულია და ამიტომაც მართლსაწინააღმდეგოა.¹⁴⁵

გამოჩენილი გერმანელი კრიმინალისტი კ.როქსინი კატეგორიულად არ ეთანხმება იმ უმცირესობას, რომლის თანახმად, სამართალში ქმედება შეიძლება იყოს არა მარტო მართლზომიერი ან მართლსაწინააღმდეგო, არამედ არსებობს მესამე შესაძლებლობაც. როცა ქმედება სამართლებრივად თავისუფალ სივრცეშია და ამიტომაც არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო.¹⁴⁶

¹⁴⁴ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 174-175

¹⁴⁵ BAUMAN (WEBER) Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, Tubingen, 1995, 281-282

¹⁴⁶ კ.როქსინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 610-612

ტერმინი „ქმედების შემადგენლობის“ ნაცვლად ადრე გამოიყენებოდა ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობა,“ რასაც აკრიტიკებდა ო. გამყრელიძე. ის წერდა, რომ ამ ტერმინის ნაცვლად ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში რუსული საბჭოური ლიტერატურის ზეგავლენით გამოიყენება ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობა“. მაგრამ ეს ტერმინი მოვლენას ზუსტად ვერ გამოხატავს. საქმე ის არის, რომ დანაშაულის პირველი ნიშანი „ქმედება“ შეიძლება ისე განხორციელდეს, რომ იგი არ იყოს მართლსაწინააღმდეგო, არ ეწინააღმდეგებოდეს სამართალს. ზოგჯერ კი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სხვადასხვა გარემოების გამო არ შეერაცხება ბრალად მის ჩამდენს. ასეთ შემთხვევაში დანაშაული არ არის ჩადენილი და, მაშასადამე, არც დანაშაულის შემადგენლობა იქნება განხორციელებული. ამიტომ სიზუსტისათვის უმჯობესია ამ მოვლენას „დანაშაულის შემადგენლობა“ კი არა, „ქმედების შემადგენლობა“ ეწოდოს, როგორც ეს გერმანულ ლიტერატურაშია მიღებული (Tatbestand, ქმედების შემადგენლობა).¹⁴⁷

ქმედების შემადგენლობა არის კონკრეტული დანაშაულის დამახასიათებელი ნიშნების აღწერა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში მართლსაწინააღმდეგობისა და ბრალის გამოკლებით. დანაშაულის ეს უკანასკნელი ორი ნიშანი გადატანილია დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის გარეთ.

სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება არა ქმედებას ზოგადად, არამედ ქმედებას, რომელიც შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით, დანაშაულის შემადგენლობა, როგორც საკანონმდებლო კონსტრუქცია,

¹⁴⁷ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ.74-74

აღარ წარმოადგება მისი ოთხი ელემენტის – (დანაშაულის ობიექტი, ობიექტური მხარე, დანაშაულის სუბიექტი, სუბიექტური მხარე) ნიშნების ერთობლიობით. ასეთი გაგებით, ძველი კანონმდებლობით, დანაშაულის ცნება და დანაშაულის შემადგენლობის ცნება გაიგივებული იყო. დანაშაულის შემადგენლობა წარმოადგენდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველს. პირის ქმედებაში ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების აღმოჩენა საკმარისი იყო მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

თეორიული თვალსაზრისით ქმედების შემადგენლობა არის განსაზღვრული სახის დანაშაულის საკანონმდებლო მოდელი, რომელშიც მოცემულია კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ყველაზე არსებითი, აუცილებელი ტიპური ნიშნები. აქედან გამომდინარე, დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა კი არ ხდება, არამედ ხორციელდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, რომელიც შემდგომში შეიძლება დაკვალიფიცირდეს დანაშაულად.¹⁴⁸ როგორც ვხედავთ პრაქტიკულად არც დანაშაულის ზოგადი ცნება ხორციელდება და არც სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ნაგულისხმები დანაშაულის ცნება. პრაქტიკულად ხორციელდება ქმედების კონკრეტული შემადგენლობა, რომელიც გამოდის დანაშაული ჩადენის ხერხად.¹⁴⁹

ქმედების შემადგენლობის ცნება კი არის კანონით დადგენილი კონკრეტული სახის დანაშაულის დამახასიათებელი ტიპური ნიშნების აღწერა. შესაბამისად, ქმედების

¹⁴⁸ გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი ტეორია, თბ., 2010, გვ. 73-85

¹⁴⁹ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 105

შემადგენლობა არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხი, როგორც ინდივიდუალურად გამოკვეთილი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.¹⁵⁰ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პირის ქმედებაში მხოლოდ ქმედების შემადგენლობის ნიშნების დადგენა არ არის საკმარისი მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. იგი შეიძლება გახდეს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი. აღნიშნული დებულება გამტკიცებულია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლში, რომლის თანახმად სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველია ცნობა დანაშაულის ჩადენის შესახებ.

აქედან გამომდინარე, როგორც ვხედავთ ქმედების შემადგენლობას აქვს აგრეთვე პროცესუალური მნიშვნელობაც. სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების ჩადენა არის გამოძიების დაწყების საფუძველი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში. ესე იგი დანაშაულის ნიშნების შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება (სსსკ-ის 101-ე მუხლი). მართალია, აქ მრავლობითი ფორმა „დანაშაულის ნიშნებია“ გამოყენებული, მაგრამ გამოძიების დაწყებისათვის მისი ერთი ნიშნის-

¹⁵⁰ გ. ნაჭყებია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნობა, თბ., 2002, გვ. 41

ქმედების შემადგენლობის განხორციელებაზე კი საკმარისია (როგორც ჩანს, კანონი აქ ქმედების შემადგენლობის ნიშნებს გულისხმობს). რაც შეეხება დანაშაულის მეორე და მესამე ნიშანს- მართლწინააღმდეგობას და დამნაშავის ბრალს, ის შეიძლება გამოძიების დაწყების შემდეგ დადგინდეს.¹⁵¹

ეს პრინციპი მოქალაქის თავისუფლების გარანტიაა. ადამიანი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით პირდაპირ აღწერილი ქმედების შემადგენლობის განხორციელების გამო. ეს რასაკვირველია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გამოძიების დაწყების მომენტისათვის ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანი სრულყოფილად იყოს გამოკვეთილი.

სამაგიეროდ პასუხს არ აგებს ის სახელმწიფო მოხელე, ვინც საქმე კანონიერად, ესე იგი კანონით აღწერილი ქმედების ჩადენის საფუძველზე დაიწყო გამოძიება, თუნდაც შემდეგ ეს საქმე შეწყდეს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო.

ჩადენილი ქმედების დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებთან შესაბამისობის დადგენისას გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ვალდებული არიან დაადგინონ აღწერილობითი ნიშნების არსებობა (მაგალითად, ნამდვილად მოკლულია თუ არა კაცი, გატაცებულია თუ არა ქონება და ა.შ.).¹⁵²

ქმედების შემადგენლობა ორი მხარისაგან შედგება, ესენია: ქმედების ობიექტური შემადგენლობა და ქმედების

¹⁵¹ ო. გამყრელძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, წიგნი პირველი, გვ.219

¹⁵² ჯ.გაბელია, დანაშაულის მოტივისა და მიზნის დაკმაყოფილების ხერხი, უფუნალი „თემიდა“ თბ., 2012, 6/8, გვ.190

სუბიექტური შემადგენლობა. თითოეული ამ შემადგენლობის აღნაგობა, სტრუქტურა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი კანონით ესაა თუ ის ქმედება. გამოდის, რომ ქმედების შემადგენლობის ელემენტები არის არა მხოლოდ ობიექტური ნიშნის მატარებლები ანუ მხოლოდ მათი გარეგანი გამოვლინება, არამედ სუბიექტური ნიშნის მატარებლებიც, რადგან წარმოუდგენელია დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება სუბიექტური ელემენტების გარეშე, მაგალითად, მიზნის ან მოტივის არარსებობით. ამრიგად, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში შედის ქმედების არა მარტო ობიექტური მხარის ნიშნები, არამედ ქცევის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: მოტივი და მიზანი.¹⁵³ ქმედების შემადგენლობის ელემენტების საკითხი ანუ სტრუქტურა ჯერჯერობით ბოლომდე გარკვეული არ არის.

ამჯერად გთავაზობთ ქმედების ორიექტური და სუბიექტური ელემენტების მოკლე დახასიათებას: ქმედების ობიექტური შემადგენლობა. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ქმედების აღწერილობის თვალისაზრისით ორი სახის დელიქტებს გამოყოფს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება შედეგიანი დელიქტები, ხოლო მეორე ჯგუფს - საფრთხის შემქმნელი დელიქტები. საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თავის მხრივ, კიდევ იყოფა კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებად და აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებად. ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე შედეგიან დელიქტებში (მაგალითად, მკვლელობა) სამი ელემენტისაგან შედგება: 1) საკუთრივ ქმედება, 2) შედეგი და 3) მიზეზობრივი კავშირი მათ შორის.

ქმედება ზოგადი ცნებაა და მოიცავს მოქმედებასა და

¹⁵³ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ.226

უმოქმედობას ანუ ქმედება თავის შინაარსში აერთიანებს, როგორც მოქმედებას, ასევე უმოქმედობასაც. ქმედების შემადგენლობის დაკანონებას დანაშაულის ცნების სტრუქტურის ერთ-ერთ სავალდებულო ნიშნად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის თავისუფლების გარანტიისათვის. ჩვენი სისხლის სამართალი ქმედების სამართალია. პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს კანონით ზუსტად აღწერილი ქმედების ჩადენა და არა პირის საშიში მდგომარეობა, არა ვინმესათვის არასასურველი აზრის გამოთქმა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აზრის გამოთქმა თავისთავად გამოხატავს კანონით გათვალისწინებულ დამთავრებულ დანაშაულს, ხელყოფს კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს. დანაშაულებრივი ხასიათის აზრის გამოთქმა, მაგალითად, დანაშაულის ჩადენისათვის წაქეზება (წამქეზებელი), დამნაშავისათვის რჩევა-დარიგების მიცემა (ინტელექტუალური დახმარება) და სხვა. მაგრამ აქ აზრის გამოთქმა თავისთავად ქმედებაა.¹⁵⁴ მაგრამ ყოველმა ქმედებამ შეიძლება არ მოგვცეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ქმედებამ მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ იგი ნების პროდუქტია ანუ ქმედება წარმოადგენს ნებელობით აქტს. რეფლექტორული ქმედების დროს ნება არ მონაწილეობს და არც შეიძლება გამოიწვიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მაგალითად, მესამე სართულიდან მუშა ვარდება და ამ დროს მან ხელი ინსტიქტურად გამოჰკრა მეორე მუშას, პირველი გადარჩა, ხოლო მეორე – დაიღუპა.¹⁵⁵ როგორც ვახსენეთ ქმედება არის

¹⁵⁴ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბ., 2006, გვ.93-96

¹⁵⁵ ჯ.გაბელია, დანაშაილი-მოტივისა და მიზნის დაკმაყოფილების ხერხი, ურნალი „თემიდა“ თბ., 2012, N6/8, გვ.192-193

მოქმედების და უმოქმედობის ზოგადი, გვარეობით ცნება. თავისი მხრივ მოქმედება არის პირის აქტიური ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედება გარე სამყაროზე, მაგალითად, გადაადგილება, გადანაცვლება, ხელის მოქნევა, რაიმე ნივთოს სროლა და ა.შ. *უმოქმედობა კი წარმოადგენს მოქმედებისაგან თავის შეკავებას.* სისხლის სამართალი ცნობს ორი სახის უმოქმედობას: 1) წმინდა უმოქმედობა და 2) შერეული უმოქმედობა.

მაგრამ ყოველგვარი უმოქმედობა როდი ქმნის ქმედების შემადგენლობას, უმოქმედობა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სისხლისსამართლებრივად რელევანტურად და მაშინ შეიძლება დაედოს საფუძვლად პასუხისმგებლობას, როცა ადამიანს მოქმედების ვალდებულება ჰქონდა და არ იმოქმედა. გამოყოფენ უმოქმედობის დასჯადობის სამ ობიექტურ პირობას: სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია; მოქმედების შესაძლებლობა; შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა. სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია კი შეიძლება გამომდინარეობდეს: კანონიდან ან ნორმატიული აქტიდან, ახლონათესაური ურთიერთობიდან, პრიფესიული მოვალეობიდან, ხელშეკრულებიდან ან წინარე მოქმედებიდან და ა.შ.¹⁵⁶

ქმედების შემადგენლობის მეორე ელემენტს ეგრეთ ნოდებულ შედეგიან დელიქტებში კანონით პირდაპირ აღწერილი შედეგი წარმოადგენს. ისეთ შემადგენლობას, რომლის საკანონმდებლო განსაზღვრებაში აუცილებლად არის აღწერილი კონკრეტული შედეგი, ზოგჯერ მატერიალურ შემადგენლობასაც უწოდებენ.

ძირითადად შედეგი გამოხატავს ქმედების ჩადენით გამონჯეულ რაიმე ცვლილებას გარე სამყაროში. ასეთია, ¹⁵⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 276

მაგალითად, მკვლევლობა, როდესაც ხდება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ქურდობა, როცა ქურდი სხვის ნივთს დაეუფლება და სხვა. ერთი სიტყვით, შედეგი როგორც გარე სამყაროში მომხდარი ცვლილება ფაქტობრივი ხასიათის მოვლენაა, იგი რეალურ სამყაროში მომხდარი ფაქტია.

მაგრამ ზოგჯერ ფაქტობრივი, აღწერილობითი თვისების გარდა, შედეგისათვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს ნორმატიულობა, ესე იგი შეფასებითი ნიშანი. ვინაიდან შედეგის ცნების ნორმატიული განსაზღვრება ხშირად იწვევს გაუგებრობებს პრაქტიკაში, რასაც სასამართლო შეცდომები მოსდევს ხოლმე, კანონმდებელი ცდილობს ზოგ შემთხვევაში მაინც შედეგის ცნების შეფასებითი განსაზღვრება შეცვალოს აღწერილობითი განსაზღვრებით (მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, „მნიშვნელოვან ზიანად“ ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის, ხოლო „დიდ ოდენობად ათი ათასი ლარის ზევით“.)

შედეგის სახით ზოგჯერ ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნად შეიძლება მოგვევლინოს კონკრეტული საფრთხის შექმნა სამართლებრივი სიკეთისათვის. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 229-ე მუხლი პირველი ნაწილით ითვალისწინებს ასაფეთქებელი ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სხვა მონყობილობის ან ნივთიერების გადატანა, განთავსება, გასროლა, აფეთქება ან სხვა მოქმედებას, ჩადენილს სიცოცხლის მოსპობის, სხეულის მძიმე დაზიანების, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის მიზნით.

ქმედების ეს შემადგენლობა კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს, რადგან ამ ვითარებაში არსებობდა 229-ე მუხლის პირველი ნაწილ-

ით ჩამოთვლილი რომელიმე სამართლებრივი სიკეთის განადგურების რეალური შესაძლებლობა და რომ დამნაშავეს ამის შესაძლებლობა შეცნობილი ჰქონდა.

კონკრეტული საფრთხის შექმნელი დელიქტების გვერდით, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს აგრეთვე ისეთ დელიქტებს, რომლებიც ქმნიან აბსტრაქტულ საფრთხეს. ასეთია, მაგალითად, ცრუ ჩვენება (370-ე მუხლი). ეს ქმედება ქმნის რაიმე სიკეთის დაზიანების აბსტრაქტულ საფრთხეს. აბსტრაქტულობა იმით გამოიხატება, რომ ზოგჯერ მოწმის ცრუ ჩვენებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში. ყველა მოწმემ რომ ცრუ ჩვენება მისცეს სასამართლო პროცესზე, მართლმსაჯულება ვერ იმუშავებს. ამიტომ ცრუ ჩვენება ისჯება იმის მიუხედავად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეუშალა თუ არა ხელი ამ მოქმედებამ სასამართლოში ჭეშმარიტების დადგენას.¹⁵⁷

როცა ჩადენილია შედეგიანი (ვთქვათ, მკვლელობა) ან კონკრეტული საფრთხის დელიქტი, მაშინ აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს ან ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის. რაც შეეხება აბსტრაქტული საფრთხის შემცველ დელიქტს, აქ მიზეზობრივი კავშირის დადგენა საჭირო არ არის. საკმარისია დადგინდეს მხოლოდ ქმედება (ვთქვათ, ცრუ ჩვენება). მიზეზობრივი კავშირის საკითხზე იხილეთ მე-8 მუხლის განმარტება.

მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა ქმედება წარმოადგენს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელი პირობას, ურომლოსადაც შედეგი არ განხორციელდებოდა

¹⁵⁷ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბ., 2015, გვ.167

ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი, ლიტერატურაში იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. არსებობს მიზეზობრივი კავშირის არაერთი თეორია, მაგალითად, ეკვივალენტურობის თეორია, ადეკვატურობის თეორია, რელევანტურობის თეორია და სხვა. არსებობს მიზეზობრიობის სხვადასხვა სახეებიც, მაგალითად, ალტერნატიული, კუმულაციური, ჰიპოთეტიკური და სხვა სახის მიზეზობრიობა. ბოლო წლებში განსაკუთრებული განვითარება ქართულ სისხლის სამართალში მოიპოვა ობიექტური შერაცხვის კატეგორიამ, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია მიზეზობრიობასთან.

ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში შედის ასევე მისი ეგრეთ წოდებული ფაკულტატიური ნიშნები, რომლებსაც მიეკუთვნება დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, საშუალება, იარაღი და ხერხი.

ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე. ქმედება არის სოციალური ცხოვრების ფაქტი, რომელსაც ადამიანი სჩადის განზრახ ან განუზრახველად (გაუფრთხილებლობით). ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში განზრახვა წარმოდგენილია თავისი ორივე ფორმით, როგორც პირდაპირი განზრახვის (სსკ მე-9 მუხლის მეორე ნაწილი), ასევე არაპირდაპირი, ევენტუალური განზრახვის ფორმით (სსკ მე-9 მუხლის მესამე ნაწილი). მაგალითად, სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული „განზრახ მკვლელობა“ შეიძლება ჩადენილი იყოს განზრახვის ორივე ფორმით, როგორც პირდაპირი განზრახვით ასევე ევენტუალური განზრახვით. რთულად დგას საკითხი გაუფრთხილებლობისას (სსკ მე-10-ე მუხლი), რადგან მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, გაუფრთხილებლობის ადგილი არ არის

ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში და ის მთლიანად უნდა მოიაზრებოდეს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ელემენტად, ნაწილი კი ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში მოიაზრებს გაუფრთხილებლობის თვითიმედოვნების ფორმას (სსკ მე-10-ე მუხლის მეორე ნაწილი), ხოლო დაუდევრობას (სსკ მე-10-ე მუხლის მესამე ნაწილი), მოიაზრებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში. არსებობს ასევე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გაუფრთხილებლობა თავისი ორივე ფორმით მტლიანად უნდა შედიოდეს ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში.

ქმედების შემადგენლობის სხვა ელემენტებად მოიაზრება მიზანი და მოტივი. მიზანი ხშირ შემთხვევაში გვევლინება შემადგენლობის აუცილებელ ელემენტად, მაგალითად, ქურდობის (177-ე მუხლი) შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სუბიექტური მხარის ისეთი ელემენტი, როგორცაა სხვისი ნივთის მითვისების მიზანი. ასევე აუცილებელია მიზანი ძარცვის (178-ე მუხლი), ყაჩაღობის (179-ე მუხლი) და თაღლითობის (180-ე მუხლი) შემადგენლობისათვის. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებოდა ეს შემადგენლობები ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობისაგან, რომლითაც პასუხისმგებლობა დანესებული იყო ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის „მისაკუთრების მიზნის გარეშე.“ რაც შეეხება მოტივს, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის აუცილებელ ელემენტს ის წარმოადგენს ადამიანის ქმედების მამოძრავებელ ფსიქოლოგიურ საწყისს. უმოტივო ქმედება არ არსებობს ამიტომაც ის სისხლის სამართალში ქმედების შეფასების ერთერთი აუცილებელი პირობაა.

4.2. ქმედების შემადგენლობის სახეები

სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ ქმედების შემადგენლობის სამ სახეს: მარტივ, რთულ და პრივილეგირებულ შემადგენლობებს. გარდა ამ ძირითადი სახეებისა ასევე არსებობს ეგრეთ წოდებული ალტერნატიული შემადგენლობის სახე.

1. ქმედების მარტივი შემადგენლობა გვაქვს მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის კონკრეტული მუხლი კანონმდებლის მიერ დადგენილია დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე. მარტივი შემადგენლობის, სანიმუშო მაგალითებს წარმოადგენს სსკ 108-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა), სსკ 145-ე მუხლი (დანაშაულის პროვოკაცია) და ა.შ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების უმეტესობა ისე არის კონსტრუირებული, რომ მათ პირველ ნაწილში ანუ ძირითად შემადგენლობაში არ არის მოცემული არც დამამძიმებელი და არც შემამსუბუქებელი გარემოებები, შესაბამისად წარმოადგენენ მარტივ შემადგენლობებს, მაგალითად სსკ 177-ე მუხლის (ქურდობა) პირველი ნაწილი, იგივე ითქმის სსკ 178-ე მუხლის (ძარცვა) პირველ ნაწილზე.

2. ქმედების შემადგენლობის რთულ ანუ კვალიფიციურ სახედ წარმოდგება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების შემცველი მუხლები, ანუ ქმედების შემადგენლობა, რომელიც შეიცავს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს. ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ორი ტიპის მუხლებზე. პირველი, როდესაც მთიანად სისხლის სამართლის მუხლი წარმოადგენს დამამძიმებელი გარემოების შემადგენლობის შემცველ ნორმას, მაგალითად, სსკ 109-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), როგორც ვხედავთ ეს მუხლი მთლიანად

შედგება განზრახ მკვლელობის დამამძიმებელი შემადგენლობებისაგან, რომელიც გადმოცემულია მის ცალკეულ პუნქტებში; მეორე, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი ძირითად შემადგენლობასთან ერთად შეიცავს დამამძიმებელ გარემოებებს მის სხვა ნაწილებში, მაგალითად, სსკ 177-ე მუხლის მეორე ნაწილის ა პუნქტი ((ქურდობა) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), ან სსკ 178-ე მუხლის მესამე ნაწილის გ პუნქტი ((ძარცვა) ბინაში უკანონო შეღწევით) და სხვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის (პასუხისმგებლობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის) პირველი ნაწილი ადგენს, რომ თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანამდევი შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლობით განახორციელა. ეს გულისხმობს, რომ განზრახ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს გაუფრთხილებელი შედეგი, რაც თავისთავად ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას, შესაბამისად, ასეთი შემადგენლობაც მიეკუთვნება რთულ ანუ კვალიფიცირებულ ქმედების შემადგენლობას. ასეთი ტიპის შემადგენლობის ნათელი მაგალითია სსკ 117-ე მუხლის მეორე ნაწილი ან მეოთხე ნაწილი სადაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (იგივე შინაარსი გააჩნია ამ მუხლის მეექვსე და მერვა ნაწილებს).

3. ქმედების პრივილეგირებული შემადგენლობა ისეთ კონსტრუქციას გულისხმობს, როდესაც სისხლის სამართლის მუხლი აგებულია პასუხისმგებლობის შემამსუბ-

უქებელი გარემოებებით. მაგალითად, პრივილეგირებულ შემადგენლობებს მიეკუთვნება სსკ 110-ე მუხლი (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით), სსკ 111-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში), სსკ 112-ე მუხლი (დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა) და სხვა. როგორც ხვედავთ ამ შემთხვევებში ქმედების შემადგენლობაში მოცემულია ისეთი გარემოება, რომელიც ამსუბუქებს პირის პასუხისმგებლობას, ამცირებს მას.

ალტერნატიული ქმედების შემადგენლობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირს შეუძლია განახორციელოს შემადგენლობით გათვალისწინებული რამდენიმე ქმედებიდან ერთერთი ან რამდენიმე. მაგალითად, სსკ 143¹ მუხლი (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)), ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით. როგორც ვხედავთ აქ კანონმდებელი გვთავაზობს რამოდენიმე მოქმედებას რომელთაგან ბოროტმოქმედს აქვს არჩევანის შესაძლებლობა თუ რომელი ალტერნატიული მოქმედებით განახორციელებს ის ამ ქმედების ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემადგენლობას.

4.3. ქმედების შემადგენლობის ნიშნები

ქმედების შემადგენლობა არის იმ ნიშნების ერთობლიობა, რაც ობიექტურად და სუბიექტურად ახასიათებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას. ქმედების შემადგენლობის ნიშნებს განსაზღვრავს კანონმდებელი, რომელიც აღწერს კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებას სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დიპოზიციამში და უკავშირებს მას სასჯელს.

ქმედების შემადგენლობის ნიშნები ორი სახისაა – აღწერილობითი (ფაქტობრივი) და შეფასებითი ნიშნები. აღწერილობითი (ფაქტობრივი) ისეთი ნიშანი, რომელიც დანაშაულის ფაქტიურ მხარეს შეეხება და შესაძლებელია მისი აღქმა გრძნობის ორგანოების მეშვეობით, ასევე ქმედების აღწერილობით (ფაქტობრივ) ნიშნად უნდა ჩავთვალოთ ისეთი ნიშანი, რომელთა აღქმა გრძნობის ორგანოებით ვერ ხერხდება, მაგრამ შესაძლებელია როგორც მოვლენის, ფაქტის დადგენის წასით მათი დადასტურება. აღწერილობითი (ფაქტობრივი) ნიშნები, როგორც წესი, მიზეზობრივად დაკავშირებული არიან ადამიანის მოქმედებასთან ან ამ მოქმედების შედეგთან (მაგალითად, ადამიანის სიკვდილი-მკვლელობის დროს, ქონების გატაცება- დაუფლებით დანაშაულის შემადგენლობებში, ჯანმრთელობის დაზიანება და ა.შ.). არსებობენ შემადგენლობის ისეთი ნიშნებიც, რომლებიც თუმცა მიზეზობრივად არ არიან დაკავშირებულნი მოქმედებასთან, მაგრამ მაინც ფაქტების სფეროს ეკუთვნიან, ე. ი. აღიქმებიან ჩვენი გრძნობის ორგანოების მეშვეობით (მაგალითად, ნივთი – ქონების გატაცების შემადგენლობებში, ქალის ორსულობა – ორსული ქალის მკვლელობის შემადგენლობაში). რაც შეეხება ქმედების შემადგენლობის

ისეთ აღწერილობით (ფაქტობრივ) ნიშნებს, რომლებიც არ აღიქმება გრძნობის ორგანოებით, მაგრამ რომელთა არსებობა ფაქტის დადგენის წესით ხორციელდება არის, მაგალითად, ნიშანი „სხვისი.“

წარმოუდგენელია რომ ქმედების შემადგენლობას არ ჰქონდეს შეფასებითი ნიშნები. როგორც ლიტერატურაში სწორად აღინიშნა „ქმედების შემადგენლობა შეფასებითი არ არის, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მის ნიშნებში შეფასებით ნიშნებსაც, რომელთა მიმართ კანონმდებლის დამოკიდებულებაა გამოსატყუი.“¹⁵⁸ შეფასებითი არის ისეთი ნიშანი, რომელიც არ აღიქმება გრძნობის ორგანოების მეშვეობით, არ არსებობს დროსა და სივრცეში და მისი არსის დადგენისათვის საჭიროა კანონის შემფარდებლის მხრივ შეფასებითი მსჯელობა, ანალიტიკური აზროვნების მოშველიება. ქმედების შემადგენლობის შეფასებით ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად, „განსაკუთრებული სისასტიკე“, „გარყვნილი ქმედება“, შეფასებითია სიტყვა „არსებითი“ ან „მნიშვნელოვანი“ მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენისას და ა.შ. სამართალშეფარდებისათვის მნიშვნელოვანია, რომ შეფასებითი მსჯელობის სისწორის შემოწმება შესაძლებელია კანონმდებლობის ზოგადი პრინციპებისა და მთლიანად სამართლისა და ზნეობის ნორმების მოშველიებით. ყოველთვის უკეთესია, რომ ქმედების შემადგენლობა შეიცავდეს რაც შეიძლება ნაკლებ შეფასებით ნიშანს, ამიტომაც შეფასებითი ნიშნები კანონმდებელმა შეიძლება აღწერილობით (ფაქტობრივი) ნიშნების მეშვეობით განმარტოს ანუ გარკვეული კრიტერიუმი დაადგინოს შეფასებითი ნიშნისათვის. მაგალითად, სსკ 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის ბ პუნქტში მოცემული ტერმინი „დიდი ოდენობა“

¹⁵⁸ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 109

ნარმოადგენს ქმედების შემადგენლობის შეფასებით ნიშანს, როგორც ლიტერატურაში სწორად არის აღნიშნული შეფასებისას სუბიექტივიზმის თავიდან ასაცილებლად კანონმდებელმა ამავე მუხლის პირველ შენიშვნაში მოგვცა „დიდი ოდენობის“ აღწერილობით (ფაქტობრივი) განმარტება, რომ დიდ ოდენობად ითვლება 10 000 ლარზე მეტი ნივთის ღირებულება ლარებში.¹⁵⁹

მნიშვნელოვანია ქმედების შემადგენლობის ფუნქციის დადგენა, რადგან მას არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული გამოყენებითი დანიშნულება დააჩნია. ქმედების მრავალ ფუნქციათა შორის ლიტერატურაში აღნიშნულია ოთხი ძირითადი: პირველი მდგომარეობს იმაში, რომ რადგან არა დანაშაულის, როგორც ასეთის ჩადენა ხდება, არამედ ხორციელდება ქმედების შემადგენლობა, რომელიც ხერხია დანაშაულის ჩადენის, გამოდის რომ შეუძლებელია ერთის გარეშე მეორე არსებობდეს ანუ თუ არ არსებობს ქმედების შემადგენლობა არ არსებობს დანაშაული; მეორე, რადგან კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე დანაშაულად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, ქმედების შემადგენლობა უნდა იყოს აღწერილი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ მუხლში ანუ დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ის ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით. ამით ქმედების შემადგენლობის დადგენა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას აგვაცილებს თვითნებობას და სუბიექტივიზმს; მესამე, ქმედების შემადგენლობას მტკიცებითი მნიშვნელობა გააჩნია, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით გადამწყვეტია; მეოთხე, ქმედების შემადგენლობას გააჩნია

¹⁵⁹ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 109

გამმიჯნავი დანიშნულება, შესაბამისად შემადგენლობის ნიშნებით ერთი დანაშაული შეიძლება განვასხვაოთ სხვა დანაშაულისაგან.¹⁶⁰

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ქმედების შემადგენლობა, როგორც დანაშაულის ცნების პირველი კონსტიტუციური ნიშანი, წარმოსდგება შემდეგი სახით:

ქმედების ობიექტური შემადგენლობა:

- ა) ქმედების სუბიექტი;
- ბ) ქმედების ობიექტი;
- გ) ქმედება და შედეგი;
- დ) მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის;
- ე) შედეგის ობიექტური შერაცხვა;
- ვ) ქმედების ობიექტური შემადგენლობის სხვა ელემენტები; დრო, ვითარება, საშუალება.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა:

- ა) განზრახვა, (გაუფრთხილებლობა);
- ბ) სუბიექტური შემადგენლობის სხვა ელემენტები: მიზანი. მოტივი;
- გ) ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები.

¹⁶⁰ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 110

თავი V- ქმედების ობიექტური შემაღგენლობა

5.1 ქმედების ობიექტური შემაღგენლობის ცნება და ნიშნები

დანაშაული არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, ანუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ქმედების შემაღგენლობა, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობა და ბრალი, დანაშაულის ერთ-ერთი და ამასთან პირველი ელემენტია.

ქმედების შემაღგენლობა დანაშაულის სამსაფეხურიანი აგებულებიდან გამომდინარე შედგება ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემაღგენლობებისაგან.

ქმედების შემაღგენლობის ობიექტური მხარე კი თავის მხრივ შედმეგ ნიშნებს მოიცავს:

1. სისხლის სამართლის სუბიექტის მიერ განხორციელებული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა);
2. ქმედებით გამოწვეული შედეგი;
3. მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის;
4. შედეგის ობიექტური შერაცხვა;
5. ფაკულტატიური ნიშნები;

ქმედების ობიექტური შემაღგენლობა ქმედების ფაქტობრივი გარემოებების აღწერას წარმოადგენს. იგი გამოიხატება ქმედებითა და მიზეზობრივი კავშირით ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ქმედების ჩადენის ადგილით, დროით, ვითარებით, ხერხებითა და საშუალებებით. აქედან გამომდინარე ქმედების ობიექტური შემაღგენლობას გააჩნია აუცილებელი და ფაკულტატიური ნიშნები.¹⁶¹ აუცილებელი, **სავალდებულო ნიშნებია: 1. ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) 2. ქმედება და შედეგი 3. მიზეზობრივი კავშირი**

¹⁶¹ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ, 2011, გვ.162

ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის (ობიექტური შერაცხვის კატეგორია). ფაკულტატური ნიშნებია: ქმედების ჩადენის ადგილი, დრო, ვითარება, ხერხები და საშუალებები.

ქმედების შემადგენლობის ობიექტური (გარეგანი) ნიშნები იყოფა ორ ჯგუფად: **აღწერილობით და შეფასებით ნიშნებად.** აღწერილობითი ნიშნებია: მაგ. ადამიანი, ნივთი, ხოლო შეფასებით, განსაკუთრებული სისასტიკე და სხვა.

აღწერილობითი ნიშნებიც ყოველთვის გარკვეული შეფასებას მოითხოვს. მაგ: ადამიანის მკვლელობის შემადგენლობაში, იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ როდის არის ადამიანის სიცოცხლე სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი უნდა დადგინდეს მისი, ადამიანის, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული (იურიდიული გაგებით). ქმედების შემადგენლობის განხორციელების აუცილებელი პირობაა ქმედების ჩადენა, ანუ პირის მიერ სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა.¹⁶²

სანამ განვიხილავთ ქმედების შემადგენლობას აუცილებელია გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას ქმედების სუბიექტზე და ქმედების ობიექტზე.

5.2 ქმედების სუბიექტი

სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედების განხორციელება (ქმედების შემადგენლობის შესრულება) შეუძლია მხოლოდ ადამიანს ანუ ფიზიკურს პირს, ასევე 2006 წლის 25 ივლისის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებით, იურიდიულ

¹⁶² მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 83

პირსაც. იურიდიულ პირს რა თქმა უნდა არ შესწევს უნარი უშუალოდ ჩაიდინოს დანაშაული. მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება დამოკიდებულია ფიზიკური პირის დანაშაულებრივ ქმედებაზე (107¹ მუხლის მე-2 ნაწილი). ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ქმედების სუბიექტის გამოკვეთისას საკმარისია მისი ფიზიკური არსებობის და ქმედების განხორციელების შესაძლებლობის (ფიზიკური უნარის) დადგენა. აქ არ იგულისხმება დანაშაულის სუბიექტის ისეთი ნიშნები, როგორცაა ასაკი და შერაცხადობა (უფლებათუარიანობა და ქმედუარიანობა). არა გვყავს არც დანაშაულის სუბიექტიც, რადგან ჯერ არ არის დადგენილი პირმა ჩაიდინა თუ არა დანაშაული. ამის დადგენა სასამართლოს პრეროგატივაა. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში აღწერილი ქმედება შეიძლება ჩაიდინოს როგორც ასაკის, ისე ფსიქიკური დაავადების გამო შეურაცხმა პირმაც.¹⁶³ ამრიგად, სისხლის სამართლის კანონმდებლობით ქმედების სუბიექტი ადამიანია, არააქვს მნიშვნელობა მიღწეული იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს თუ არა, ფსიქიკურად შერაცხადი იქნება თუ შეურაცხადი. ახალი სისხლის სამართლის კოდექსით პირის ასაკი და ფსიქიკური მდგომარეობა დაკავშირებულია ბრალთან. შეურაცხადობა ასაკის ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო ბრალის გამომრიცხველი გარემოებებია. ამიტომ ეს ნიშნები გამოტანილია ქმედების შემადგენლობის გარეთ და შეტანილია ბრალში, როგორც დანაშაულის ცნების დამოუკიდებელ ნიშანში. დანაშაულის სუბიექტის მთავარი მახასიათებელი ნიშნანი არის ნებელობითი ქმედების განხორციელების უნარი.

¹⁶³ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 109

გარკვეულ შემთხვევებში კანონმდებელი სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლების დისპოზიციაში ითვალისწინებს ისეთი დანაშაულის შემადგენლობას, რომლის სუბიექტს, გარდა ძირითადისა, გააჩნია დამატებითი, სპეციფიკური ნიშნები. რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი დანაშაულებრივი ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ განსაზღვრული თვისებებით აღჭურვილი პირი, მას დანაშაულის სპეციალურ სუბიექტს უწოდებენ. ასეთია, მაგალითად, სამოხელეო დანაშაული, რომლის სუბიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი; დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ, რომლის სუბიექტი შეიძლება იყოს სამხედრო მოსამსახურე, ზოგიერთი შემადგენლობა კი მოითხოვს სუბიექტად გარკვეული პროფესიის ადამიანს, მაგალითად მედიცინის მუშაკს ან ექიმს და ა.შ. იმ შემთხვევაში თუ პირი არ არის ამ სპეციფიკური ნიშნის მატარებელი, რომელსაც ითხოვს შემადგენლობა, როგორც სპეციალური სუბიექტის ნიშანს, მაშინ მას არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ კონკრეტული შემადგენლობის არარსებობის გამო (ეს არ გამოორიცხავს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სხვა დანაშაულის შემადგენლობით). პირს რომელსაც არ გააჩნია შემადგენლობით მოთხოვნილი სპეციალური სუბიექტის ნიშანი არ შეიძლება იყოს არც დანაშაულის თანამსრულებელი და არც შუალობითი ამსრულებლობაა შესაძლებელი ასეთ შემთხვევაში, მაგრამ არ არის გამორიცხული ამ ვითარებაში დანაშაულში თანამონაწილეობა, მაგალითად, დამხმარის სახით. სპეციალური სუბიექტი (საჯარო მოხელე), თუ მან ნააქეზა არასპეციალური სუბიექტი და მისი მეშვეობით ჩაიდინა სამსახურებრივი სიყალბე (სსკ-ის 341-ე მუხლი),

შეიძლება სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცეს, როგორც შუალობითი ამსრულებელი, ხოლო უშუალოდ ამსრულებელი რადგან მას არ გააჩნია სპეციალური სუბიექტის დამახასიათებელი ნიშანი, შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე.¹⁶⁴

5.3 ქმედების ობიექტი

ქმედების ობიექტია სისხლის სამართლის კანონით დაცული სიკეთე, ინტერესი, რომელსაც დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად მიაყენეს ან შეიძლება მიაყენონ ზიანი. როგორც წესი, სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში კანონმდებელი არ მიუთითებს ობიექტზე. იგი განისაზღვრება მოცემული ნორმის ადგილით სისხლის სამართლის სხვა ნორმათა სისტემის ან მისი შინაარსის ლოგიკური, აზრობრივი ანალიზის საშუალებით. ხელყოფის ობიექტი ასევე შეიძლება დადგინდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სახელწოდებით. ზოგჯერ ქმედების ობიექტი სისხლის სამართლის კანონის განმარტებით დგინდება. დანაშაულის ცალკეული შემადგენლობის შექმნით კანონმდებელი მიზნად ისახავს სავსებით განსაზღვრული სიკეთის, ინტერესის დაცვას. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებით დაცულია ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი, ოჯახისა და არასრულწლოვანის ინტერესები. ასევე დაცულია საკუთრება, საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი, გარემო, კონსტიტუციური წყობილება, უშიშროება და ა.შ.

ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობას ორი ობიექტი

¹⁶⁴ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 85

აქვს. მაგალითად, სსკ -ის 179-ე მუხლით ყაჩაღობის ობიექტს წარმოადგენს, როგორც საკუთრება, ისე ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელსაც საფრთხე ექმნება თავდასხმისას.

განსხვავებით ძველი კანონმდებლობისაგან, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაულის ობიექტად აღარ იგულისხმება სისხლის სამართლის კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობები. სისხლის სამართალი იცავს არა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არამედ ამ ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესებს (სხვაგვარად სიკეთეს) დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

ქმედება, რომელიც შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას, ზიანს აყენებს ან საფრთხეს უქმნის უფლებას ან ინტერესს, ანუ კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს.

საზოგადოების განვითარების დემოკრატიულმა მოდელმა დაამტკიცა, რომ შესაძლებელია ისეთი საზოგადოების არსებობა, რომელშიც ორგანულად იქნება შეხამებული საყოველთაო და ინდივიდუალური ინტერესები. ასეთ საზოგადოებაში სახელმწიფოს ისტორიული მისია იმაში მდგომარეობს, რომ ის იყოს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის პირობა. ყველაფრის საზომი ადამიანია და არა სახელმწიფო, უფრო ზუსტად – ადამიანის უფლებები არის უზენაესი მიზანი, ყველაფერი სხვა-სამუშალებაა. სოციუმს, მათ შორის სახელმწიფოს, მხოლოდ ერთი- ადამიანური განზომილება აქვს.¹⁶⁵

დემოკრატიული (თავისუფალი) საზოგადოება წარმოადგენს ადამიანთა ერთობას, სადაც თითოეული ადამიანი

¹⁶⁵ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ. 110
180

მოქმედებს რა საკუთარი თავისთვის, მოქმედებს აგრეთვე სხვათა სიკეთისათვის. კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე არის თითოეული პიროვნების არსებობის აუცილებელი პირობა.

სისხლის სამართლის კანონით დაცული ობიექტი აღინიშნება როგორც „სიკეთე“, ე.ი. როგორც **სოციალურ** ცხოვრებაში ადამიანისათვის რაიმე ღირებულების მქონე ურთიერთობები, როგორც კულტურული ფასეულობანი.

სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე ორი სახისაა: ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე (ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი, ღირსება, თავისუფლება და ა.შ.) და საყოველთაო სამართლებრივი სიკეთე სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილება, სუვერენიტეტი, მართველობის წესი, უშიშროება, სამხედრო ძლიერება და ა.შ.).

სისხლის სამართალში ქმედების შემადგენლობის ობიექტი არის ორი სახის- მოქმედების ობიექტი და დაცვის ობიექტი. მოქმედების ობიექტი ზოგჯერ ხელყოფის საგანს ემთხვევა. ის ყოველთვის აღიქმევა გრძნობის ორგანოებით (მაგალითად, ადამიანი, ქონება) და მატერიალური ხასიათისაა.

სისხლის სამართალში მოქმედების ობიექტია ყოველივე ის, რაზეც თავისი ქმედებით ზემოქმედებას ახდენს ბრალდებული და რაც ადამიანს შეუძლია უშუალოდ აღიქვას (სხვისი ქონება, ჯანმრთელობა, მოქალაქეთა პატივი და ღირსება და ა.შ.) ამრიგად, მოქმედების ობიექტი ახასიათებს მხოლოდ მატერიალური შემადგენლობის დანაშაულებს.

ხელყოფის (დანაშაულის) საგნის ქვეშ იგულისხმება მატერიალური სამყაროს ნივთები ან ინტელექტუალური

ფასეულობა (სახელმწიფო საიდუმლოება), რომლებზეც ზემოქმედებას ახდენს ბრალდებული.

ამრიგად, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში დამნაშავე თავისი ზემოქმედებით ზიანს აყენებს (ან უქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს) კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, ანუ დაცვის ობიექტს.

მაგრამ ყველა დანაშაულის შემადგენლობა როდი ითვალისწინებს ხელყოფის საგანს, როგორც აუცილებელ ელემენტს. ხელყოფის საგანი არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა დანაშაულებრივ ხელყოფას თან ახლავს ზემოქმედება გარე სამყაროს მატერიალურ საგანზე ან ინტელექტუალურ ფასეულობაზე.

ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა სპეციალურად მიუთითებს ხელყოფის საგანზე (მაგალითად, ჯაშუშობა, დივერსია). ხელყოფის საგანი საერთოდ არ ახასიათებს ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებს.

აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სისხლის სამართალში, როგორც მოქმედების ობიექტი, ისე ხელყოფის საგანი დაცვის ობიექტის მატერიალური გამოხატულებაა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედების ობიექტი და ხელყოფის (დანაშაულის) საგანი შეიძლება დაემთხვენ კიდევ ერთმანეთს. მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედების ობიექტი ყოველთვის განიცდის ზიანს, მაშინ როცა ხელყოფის საგანი ზოგჯერ არ განიცდის ზიანს. ამიტომ ხელყოფის საგანზე, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც მოქმედების ობიექტისაგან განსხვავებით მისი ხელყოფა არ ხდება, ე.ი. როცა ის ზიანს არ განიცდის. მაგალითად, ქრთამის მიცემის ობიექტია საჯარო

სამსახურის ინტერესები. მისი საგანია ფული ან სხვა ფა-სეულობა, რომელიც არავითარ ზიანს არ განიცდის.¹⁶⁶

დაცვის ობიექტად გამოდის საყოველთაო ან ინდივიდუალური სიკეთე, რომელიც კანონმდებელმა საფუძვლად დაუდო ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად აღიარებას. ის არ არის მატერიალური ხასიათის (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობა – მკვლელობის ჩადენისას, საკუთრების ელემენტები-ქურდობისას და ა.შ.)

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემა აგებულია დაცვის ობიექტის მიხედვით. ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დემოკრატიული საწყისების განვითარებამ განაპირობა სისხლის სამართლის კანონით დაცულ ღირებულებათა ახალი იერარქიის ჩამოყალიბება – ადამიანი, საზოგადოება, სახელმწიფო.

საკითხის სრულყოფილად წარმოჩენისათვის ორ შეხედულებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ერთის მიხედვით – რადგან ტერმინი „ქმედების შემადგენლობა“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ქმედების ესე იგი მოქმედების ან უმოქმედობის სტრუქტურას, შესაბამისად ამ პოზიციიდან იგულისხმება ქმედების, როგორც ადამიანის გარეგანი აქტის, ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობა. ქმედების სუბიექტი და ობიექტი ქმედების სტრუქტურაში არ შედის, რადგან სუბიექტი არაა ქმედება, ისევე როგორც ქმედება არც ობიექტია. ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, რომელსაც ქმნის კანონმდებელი, დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი ვერ იქნება, ისევე როგორც სისხლის სამართლის სუბიექტი, რომელიც დანიშნულია მართლზომიერი ქმედებისათვის, დანაშაულის

¹⁶⁶ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 112

შემადგენლობის ელემენტად არ შეიძლება ჩაითვალოს. მაშასადამე ქმედების შემადგენლობის გარეთ დევს ქმედების სუბიექტი და მქედების ობიექტი, როგორც არაიურიდიული ყალბი ცნებები, რომლებიც იურიდიული აზროვნებისთვის უცხოა არიან.¹⁶⁷ მეორე – ეყრდნობა რა გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებულ შეხედულებებს, ქმედების სუბიექტი, როგორც ქმედების განმახორციელებელი და ქმედების ობიექტი, რომელსაც ქმედების შედეგად მიაღვა ზიანი ან შეექმნა საფრთხე სისხლის სამართლის კოდექსით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, მოიაზრება ქმედების შემადგენლობაში.¹⁶⁸ ეს შეხედულება განასხვავებს სამართლებრივ სიკეთეს, კონკრეტული ქმედების ობიექტისაგან, რომელსაც წარმოადგენს, მაგალითად, „ადამიანი“ სსკ-ის 108 მუხლში, „სხვისი მოძრავი ნივთი“ სსკ-ის 177-ე მუხლში, „დოკუმენტი“ სსკ-ის 362-ე მუხლში და ა.შ. სამართლებრივი სიკეთე და ქმედების ობიექტი ისეთ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან, როგორც იდეა და მისი გამოვლენა. შეიძლება გამოიყოს სამართლებრივი სიკეთის და ქმედების ობიექტის სამი სახის ურთიერთმიმართება: ისინი იდენტურია, როდესაც სამართლებრივი სიკეთე და ქმედების ობიექტი ერთმანეთს ემთხვევა; ისინი განსხვავებულია ფორმალურად მაგრამ არა შინაარსობრივად, მაგალითად, მკვლელობის ქმედების ობიექტია ადამიანი, ხოლო სამართლებრივი სიკეთე სიცოცხლე; ქურდობის შემთხვევაში (სსკ-ის 177-ე მუხლი) ქმედების ობიექტია სხვისი მოძრავი ნივთი, ხოლო სამართლებრივი იკეთე საკუთრება (საკუთრების უფლება), ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ სამართლებრივი სიკეთე

¹⁶⁷ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 111

¹⁶⁸ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 72

და ქმედების ობიექტი განსხვავდება ერთმანეთისაგან.¹⁶⁹ როგორც ვხედავთ განსხვავებით პირველი შეხედულებისაგან მეორეში ქმედების სუბიექტი და ქმედების ობიექტი ქმედების შემადგენლობის ნაწილია, თუმცა ქმედების ობიექტი გაიგივებულია დანაშაულის საგანთან, რომელზე ზემოქმედებითაც ხორციელდება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.

5.4 ქმედება

ქმედების შემადგენლობის განხორციელების აუცილებელი პირობაა ქმედების ჩადენა, რომელიც მიმართულია სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მისაყენებლად ან ასეთი ზიანის საფრთხეს ქმნის. ქართული სისხლის სამართალი ქმედების სამართალია ანუ აუცილებელია, რომ არსებობდეს შინაგანი განწყობის რაიმე გარეგანი გამოვლინება, რომელიც გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში (ფიზიკური სხეულებრივი მოქმედება ან ვერბალური ქცევა) ან აქტიური სავალდებულო მოქმედებისაგან თავის შეკავებაში, უმოქმედობაში.

სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია მხოლოდ ადამიანის ქმედებას, შესაბამისად ირელევანტურია ცხოველთა ან ბუნების ძალების მოქმედება და ზიანის გამოწვევა. იმ შემთხვევაში თუ ცხოველის ქმედება მართული იყო ადამიანის მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამდგარი ზიანისათვის დაეკისრება ადამიანს, ასევე, მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ბუნების ძალებისაგან დაცვა ადამიანის ვალდებულებას წარმოადგენდა, რომელიც მან არ შეასრულა, დამდგარი ზიანისათვის პასუხს სისხლისსამართლებრივი წესით აგებს ასევე ადამიანი.

¹⁶⁹ მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ, 2011, გვ.22-23

სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია ადამიანის არა ყოველგვარი ქცევა არამედ, მხოლოდ მისი ნებელობითი ქმედება, ანუ შეგნებული მოქმედება ან უმოქმედობა. სხეულის ინსტიქტური, რეფლექტორული მოძრაობა, რომელთაც გარკვეულ შემთხვევებში შეუძიათ გამოიწვიონ ზიანი ან შექმნან ზიანის მიყენების საფრთხე არ ქმნიან სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან ქმედებას, რადგან არ არიან მოცული ადამიანის შეგნებით. მოძრაობები ძილში, კრუნჩხვით გამონვეული მოქმედება ასევე არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის ქმედება რადგან ისინიც მოკლებულია ადამიანის შეგნებას, კონტროლს. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ არა უშუალოდ ამ შეუცნობელი, რეფლექტორული, ინსტიქტური ანუ უკონტროლო ქმედებისათვის არამედ, წინარე უსაფრთხოების ზომების მიუღებლობისათვის, რომელიც პირს უნდა და შეეძლო განეხორციელებინა, მაგალითად, ადამიანს ჩაეძინა მოკიდებული სიგარეთით ხელში, რამაც გამოიწვია ხანძარი.

აქვე უნდა შევხვთ ორ მნიშვნელოვან საკითხს *vis absoluta* დაუძლეველი ძალით გამონვეულ ქმედება და *vis compulsive* ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება. *vis absoluta* დაუძლეველი ძალით გამონვეულ ქმედება სისხლის სამართალში განიმარტება, როგორც მოცემულ ვითარებაში განსაკუთრებული და გარდაუვალი (აუცილებადი) მოვლენა. დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად განხორციელებული ადამიანის ქმედება არ წარმოადგენს მისი ნების გამოხატულებას, შესაბამისად არ შეიძლება მსგავს შემთხვევაში მოქმედება ან უმოქმედობა სისხლისსამართლებრივი შინაარსის და მნიშვნელობის მატარებელი იყოს.

დაუძლეველ ძალის ზემოქმედებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევები, მაგალითად, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს კრავს ხელს, ეს მეორე კი თავს ვერ შეიკავებს და მესამეს დაეჯახება, რაც გამოიწვევს ამ უკანასქნელის ჯანმრთელობის დაზიანებას, რადგან ასეთ შემთხვევაში პირი ვისაც ხელი კრავს ვერ აკონტროლებს თავის სხეულბრივ მოქმედებას ანუ არ არის მისი ქმედება დაქვემდებარებული მის ნებას, შესაბამისად პასუხისმგებლობა გამოირიცხება. ასევე ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირს გამოკეტავენ ოთახში, რითაც მოუსპობენ გადაადგილების საშუალებას, რის გამოც ის ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირი პასუხისგებაში ვერ მიეცემა, რადგან მოკლებული იყო ნების თავისუფალ განხორციელებას (მაგალითად, ყაჩაღებმა თავდასხმისას დედა გამოკეტეს სარდაფში, საიდანაც მას დამოუკიდებლად თავის დაღწევის შესაძლებლობა არ ჰქონდა, რის შედეგადაც უყრადღებოდ დარჩენილი პარატა ბავშვი ტირილით გაიგუდა). უფრო რთულად დგას საკითხი *vis compulsive* ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებისას. ფიზიკური და ფსიქიკური იძულებისას თუ პირის ნება სრულიად დათრგუნულია გამოირიცხება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ნების არარსებობა გამორიცხავს პირის ბრალეულობას).

დანაშაულებრივი ქმედება, როგორც ასეთ თავისი შინაარსით რთული მოვლენაა. იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოქმედება ან უმოქმედობა ხორციელდება რაიმე ერთი აქტით. ხშირად ის რთული ერთმნეთთან ურთიერთკავშირში მყოფი ფიზიკური მოქმედებებისაგან, შესტებისაგან შედგება, მაგალითად, იარაღის მომარჯვება, აღმართვა, დამიზნება, გასროლა, ესაა ქმედება მთლიანობაში (მოქმედება), რომელიც შედგება რამოდენიმე ფიზიკური ჯეს-

ტისაგან. მოქმედება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით გულისხმობს აქტიურ ფიზიკურ ზემოქმედებას გარე სამყაროზე. უმოქმედობა უნდა გავიგოთ, როგორც ქმედების პასიური ფორმა. ის გულისხმობს სავალდებულო მოქმედებისაგან თავის შეკავებას. მას შეიძლება გააჩნდეს, როგორც ერთჯერადი აქტის ფორმა, ასევე სისტემატიური ხასიათი. უმოქმედობა არ უნდა იყოს აღქმული, როგორც ადამიანის პასიური მდგომარეობა (არაფრისკეთება), არამედ მას შეიძლება ჰქონდეს პირიქით საკმაოდ აქტიური ფორმა, რადგან აქ იგულისხმება უმოქმედობა თავისი იურიდიული მიშვნელობით და არა ფიზიკური მდგომარეობით. უმოქმედობა შეიძლება ფიზიკურად საკმაოდ აქტიურად განხორციელდეს, მაგრამ მოგვცეს სამართლებრივად უმოქმედობის მდგომარეობა (არ შესრულდეს პირზე დაკისრებული მოვალეობა), მაგალითად, ალიმენტის გადახდისაგან ჯიუტად თავის არიდება (სსკ-ის 176 მუხლი) არცთუ იშვიათად ფიზიკურად ხორციელდება აქტიურობით, ყალბი დოკუმენტების წარდგენა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, უცხო ქვეყანაში გამგზავრება, სამუშაო ადგილის შეცვლა და სხვა. როგორც ვხედავთ სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის არსი მდგომარეობს არა სუბიექტის სტატიკურ მდგომარეობაში არამედ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობაში.

სისხლის სამართლის დოგამტიკაში არსებობს არაერთი თეორია ქმედების შესახებ. ქართველმა კანონმდებელმა გაიზიარა გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში შემუშავებული თეორია ქმედების შესახებ, რომელსაც „ფინალური მოძღვრება“ ეწოდება, მისი დამფუძნებელია გ. ველცელი, ძირითადი წარმომადგენლები – რ. მაურახი, რ. ნიზე, ა. კაუფმანი, რ. ბუში და სხვები. ფინალურ მოძღვრე-

ბას საფუძვლად უდევს გერმანელი ფილოსოფოსების წარმოდგენები ყოფიერების შესახებ, სახელდობრ, ჰარტმანის თეზისი ადამიანის ქმედების ფინალური ბუნების შესახებ.

ნ.ჰარტმანი, თავის ნაშრომში „თეოლოგიური აზროვნება“, ფინალურობას აღწერს, როგორც ცნობიერების კატეგორიას და ქმედების ცნებაში გამოყოფს სამ შემადგენელ აქტს.

1. გონებაში მიზნის დასახვა, როგორც მომავლის განჭვრეტა;

2. დასახული მიზნის მისაღწევად გონებაში ხერხების შერჩევა;

3. შერჩეული ხერხების გამოყენებით დასახული მიზნის რეალიზაცია.¹⁷⁰

ნ. ჰარტმანი ქმედებას განიხილავს, როგორც დასახელებული სამივე აქტის განუყოფელ ერთიანობას და არა მხოლოდ როგორც მესამე აქტს.

ფინალური მოძღვრების თანახმად, ადამიანური მოქმედების (უმოქმედობის) არსებითი ნიშანია მისი ფინალურობა, ანუ მიზანსწრაფულობა. მოქმედების ფინალურობა ემყარება იმას, რომ ადამიანი თავისი კაზუალური ცოდნის საფუძველზე ამა თუ იმ ზომით ითვალისწინებს საკუთარი მოქმედების შესაძლო შედეგებს, ისახავს სხვადასხვა მიზნებს და შეუძლია გეგმაზომიერად წარმართოს თავისი მოქმედება ამ მიზნების მისაღწევად.

მოქმედების ფინალური სტრუქტურა ორი ძირითადი საფეხურისაგან შედგება. პირველი საფეხური მთლიანად აზროვნების სფეროში მიმდინარეობს და მოიცავს შემდეგ მომენტს:

¹⁷⁰ N.Hartmann, Teleologisches Denken, Berlin, 1951, S.S.2.17,68- ნასარგებლებია ლაშა- გიორგი კუტალიას ნაშრომიდან „ბრალის ნორმატივისტული მოდელი“ (დოგმატურ-სისტემატიკური თავისებურებები), თბ., 1999, გვ.158

1. მოქმედებისათვის დასახული მიზნის წინასწარ განჭვრეტა;

2. საშუალების შერჩევა ამ მიზნის მისაღწევად;

3. იმ თანმდევი შედეგების გათვალისწინება, რომლებიც მიზნის განხორციელებასთან არიან დაკავშირებული.

მოქმედების ფინალური წარმართვის მეორე საფეხური კი უკვე რეალურ სამყაროში მიმდინარეობს. იგი მდგომარეობს არჩეული საშუალებებისა და თანმდევი შედეგების გათვალისწინების საფუძველზე მოქმედების განხორციელებაში დასახული მიზნის მისაღწევად, თუ კი მოქმედებას სასურველი შედეგი ვერ მოჰყვება მაშინ შესაბამისი ფინალური ქცევა განიხილება მცდელობად. ჰ. ველცელის აზრით, ფინალურობა არის მხოლოდ მიზანმიმართული სუბიექტური ნება, ე.ი ფინალური ძირითადი ელემენტი ნება.¹⁷¹

ამრიგად, ფინალური მოძღვრება ისევე, როგორც ეს ზემოთ იყო ნახსენები სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირებს ადამიანის მხოლოდ შეგნებულ და მიზანდასახულ (ნებელობით) ქმედებას (მოქმედებას, უმოქმედობას), რომლის ჩადენის დროს ადამიანი გამოდის როგორც გონიერი არსება, რომელსაც უნარი აქვს გაიგოს და შეასრულოს სამართლის ნორმების მოთხოვნები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი ითვალისწინებს ძირითადად მოქმედებით ჩადენილი დანაშაულების შემადგენლობებს. თუმცა მათ გვერდით გათვალისწინებულია დანაშაულთა შემადგენლობები, რომელთა ჩადენა ხდება უმოქმედობით (განსაზღვრული მოქმედებისაგან თავის შეკავებით) ან როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. უმოქმედობა ნებელობითი ქცევის ფორმაა და მდგომარეობს იმ მოქმედებისაგან თავის შე-

¹⁷¹ N.Hartmann, Teleologisches Denken, Berlin, 1951, S.S.2.17,68

კავებაში, რომელიც გარკვეულ გარემოებებში პირს ევალ-
ლებოდა და შეეძლო კიდევ განეხორციელებინა, თუკი ამ
სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი
თავიდან იქნებოდა აცილებული.

არმ. კაუფმანის აზრით უმოქმედობა ფინალური აქტი-
ვობის განუხორციელებლობაა. უმოქმედობა მხოლოდ ფიზი-
კურად არის პასიური ქცევა; სუბიექტმა ფიზიკურად რომ
გამოხატოს უმოქმედობა, მან ფსიქიკურად უნდა იმოქმედოს.
ე.ი. ფსიქოლოგიურად უმოქმედობაც მოქმედებაა.¹⁷²

ფინალისტები უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულის
შემადგენლობაში გამოყოფენ ორ ელემენტს:

1. ნორმატიული მოთხოვნით გათვალისწინებული მოქ-
მედების შეუსრულებლობა (ობიექტური მხარე);

2. უმოქმედო პირის უნარი განახორციელოს ეს ქმედე-
ბა (სუბიექტური მხარე).

ნორმატიული მოთხოვნის (ვალდებულების) საგანი
ყოველთვის ფინალური მოქმედებაა. მოქმედების ვალდე-
ბულება შეიძლება გამომდინარეობდეს სამსახურებრივი
მოვალეობიდან.

სისხლისსამართლებრივი ნორმა იმპერატიული ხასი-
ათისაა. ის მოითხოვს პირისაგან თავი შეიკავოს განსაზ-
ღული მოქმედების ჩადენისაგან ან ავალდებულებს მას შეა-
სრულოს გარკვეული მოქმედება. თუ პირი არ ასრულებს
სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნას იმოქმედოს,
სჩადის დანაშაულს. მაგალითად, მშობელი სასამართლო
გადანყვეტილებით შეიძლება დაავალდებულონ გადაუხა-
დოს ალიმენტი არასრულწლოვან ან შრომისუნარო

¹⁷² Arm. Kanfmenn, Die Doymatik Aer Unter/Assungsdelikte, Göttingen, 1950. შ. ნა-
სარგებლია, ლაშა- გიორგი კუტალიას ნაშრომიდან „ბრალის ნორმატივის-
ტული მოდელი“ (დოგმატურ-სისტემატიკური თავისებურებები), თბ., 1999,
გვ. 222-223

შვილს. თუ მშობელი ჯიუტად არ ასრულებს ამ დაკისებულ მოვალეობას, იგი პასუხს აგებს სისხლისსამართლებრივი წესით უმოქმედობისათვის. ექიმი პროფესიულად მოვალეა დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფს. თუ ექიმი არასაპატიო მიზეზით არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი პასუხს აგებს სისხლისსამართლებრივი წესით (სსკ-ის 130 მუხლი). ანალოგიური წესი ვრცელდება პოლიციელზე, მეხანძრეზე, და ა.შ. პირის მოქმედების ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან, მაგალითად, პირმა ხელშეკრულებით აიღო ვალდებულება მოუაროს უნარშეზღუდულ ადამიანს, მოხუცს, ავადმყოფს, ბავშვს და ა.შ. თუ პირი არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რის გამოც დადგება მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ის პასუხს აგებს სისხლისსამართლებრივი წესით. ასევე მოქმედების ვალდებულება შეიძლება არსებობდეს პირის წინა მოქმედებიდან გამომდინარე, რომელმაც ზიანის მიყენების საფრთხე შეუქმნა კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. არა აქვს მნიშვნელობა წინა მოქმედება მართლზომიერია თუ მართლსაწინააღმდეგო, წინდახედულობის ნორმის დარღვევითაა ჩადენილი თუ დაცვით. მაგალითად, ავტოავარიის შემთხვევაში მძლოლი ვალდებულია დახმარება გაუწიოს ამ შემთხვევით დაზიანებულ პირს. თუ მძლოლმა არ შეასრულა ეს ვალდებულება და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, იგი პასუხს აგებს არა მარტო ავტოსაგზაო შემთხვევისათვის (მოქმედებისთვის), არამედ უმოქმედობისთვისაც- განსაცდელში მიტოვებისათვის (სსკ-ის 128-ე მუხლი).

მნიშვნელოვანია იმ დებულების გათვალისწინება, რომ მოქმედების ვალდებულების პარალელურად პირს უნდა გააჩნდეს ამ მოქმედების შესრულების რეალური შესაძლე-

ბლობა. შესაძლებლობის ფარგლები განისაზღვრება როგორც ობიექტური ფაქტორებით (კონკრეტული სიტუაცია, დრო, ვითარება, ადგილი და ა.შ.), ისე პირის სუბიექტური შესაძლებლობებით (ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა, განათლება, პროფესიული უნარჩვევები, მომზადება, ცხოვრებისეული გამოცდილება და ა.შ). მოქმედების შესაძლებლობა პირს არა მარტო ფიზიკურად, არამედ ფსიქიკურადაც უნდა ჰქონდეს. ე.ი. მას უნდა შეეძლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაც. პირს სავალდებულო მოქმედება წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს როგორც „შესაძლო ნებელობითი მიზანი“ ან უნდა გააჩნდეს მისი წარმოდგენის შესაძლებლობა ფსიქიკურ ძალთა (ყურადღება, მახსოვრობა და ა.შ) დაძაბვის შედეგად.

ფინალური მოქმედების შესაძლებლობა (ფიზიკური თუ ფსიქიკური) ირკვევა მხოლოდ და მხოლოდ ბრალის საფეხურზე. უმოქმედობის დანაშაულის შემადგენლობისადმი შესაბამისობა მოქმედების ფინალური უნარით შემოიფარგლება.

განასხვავებენ ორი სახის უმოქმედობას- წმინდა უმოქმედობას და შერეულ უმოქმედობას.

წმინდა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში ადგილი აქვს კანონით დადგენილი სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობას, ე.ი. მისი ჩამდენი არღვევს მავალეზელ ნორმას. წმინდა უმოქმედობის შემადგენლობის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ სავალდებულო მოქმედებისაგან თავის შეკავებით. ესენია უმოქმედობით ჩადენილი ფორმალური დანაშაულების შემადგენლობები. წმინდა უმოქმედობის მაგალითია: განსაცდელში მიტოვება (სსკ-ის 128-ე მუხლი) დაუხმარებლობა (სსკ-ის 129-ე მუხლი). დანაშაულის შეუტყობინებლობა (სსკ-ის 376-ე მუხლი).

შერეული უმოქმედობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია, როგორც მოქმედებით ასევე უმოქმედობით. ბოროტმოქმედი დანაშაულის ჩადენის დროს არღვევს, როგორც ამკრძალავ, ისე მავალდებელ ნორმას. შერეული უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში პასიურ ჩამდენს “გარანტიის პოზიცია აქვს“, ვინაიდან მას ევალება ხელი შეუშალოს გარკვეული შედეგის დადგომას თავისი მოქმედებით. აქ უმოქმედობა არის მოქმედების ტოლფასი, რადგან იგივე შედეგს იწვევს, რასაც მოქმედება. მაგალთად, დედა, განზრახი მოკვლის მიზნით, სიცოცხლისათვის სახიფათო სიტუაციში ტოვებს მცირეწლოვან შვილს, რის გამოც ეს უკანასკნელი იღუპება, იგივე სამართლებრივი შედეგი ექნება ისეთ შემთხვევასაც, როდესაც დედა მცირეწლოვან შვილს განზრახ მოკვლის მიზნით ჩაარტყამს თავში რაიმე ნივთს (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი).

ფინალური მოძღვრების თანახმად, დანაშაულებრივი ქმედება დაკავშირებულია დასახულ კონკრეტულ მიზანთან, ანუ მის შედეგთან. ქმედება ხორციელდება ობიექტში განსაზღვრული ცვლილებების შეტანის მიზნით. შედეგი წარმოადგენს ცვლილებას ობიექტში. იგი გამოიხატება სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენებაში ან ზიანის მიყენების საფრთხის შექმნაში.¹⁷³

ფინალურ თეორია რა თქმა უნდა არ დარჩა კრიტიკის გარეშე, რომელიც ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის არა ყველა ქცევა ხასიათდება გამიზნულობით, მაგალიტად რეფლექსური და აფექტური ქმედებები. ასევე პრობლემურია გაუფრთხილებლობის ახსნა ფინალური მოძ-

¹⁷³ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.118

ღვრებით, რადგან ის შედეგის არცოდნისა და მის მიმართ სურვილის არქონაში გამოიხარება, შესაბამისად დამდგარი შედეგი გამიზნული არ არის. იგივე პრობლემას ვაწყდებით არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაშიც რადგან ამ დროსაც დამდგარი შედეგის მიმართ გამიზნულ ქმედებასთან არ გვაქვს საქმე.¹⁷⁴ ფინალური თეორია უდავოდ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, მან კარგად ჩამოაყალიბა და დაასაბუთა ადამიანის მოქმედების ბუნება, მაგრამ უმოქმედობასთან მიმართებაში პრაქტიკული პროგრესი არ შეიმჩნევა, რადგან პასიურობა ვერ ასაბუთებს უმოქმედობის დასჯადობას ფინალურად.¹⁷⁵

გარდა ქმედების ფინალური მოძღვრებისა აღსანიშნავია ქმედების კაუზალური და სოციალური თეორიები.

კაუზალური თეორიის მიხედვით ქმედება ეს არის სხეულებრივი მოქმედება, რომელიც დამოკიდებულია ნებაზე. თვითონ ნების შინაარსს არააქვს მნიშვნელობა ქმედების ცნების გახსნისათვის. ქმედების ცნება თავის მხრივ მოიცავს მხოლოდ ორ ელემენტს: სხეულებრივ მოძრაობას და ნებას. გარე მოვლენის (ქმედების) და შინაგანი ნების კავშირი არ განიხილება, როგორც ქმედების ობიექტური შინაარსი არამედ განეკუთვნება ბრალის პრობლემას.¹⁷⁶ როგორც ვხედავთ კაუზალური თეორიით ქმედება დაყვანილია ნების იმპულსზე დაფუძნებულ ადამიანის სხეულის მოძრაობაზე, რომელიც მოკლებულია შეფასებას და სუბიექტურ ელემენტებს. სამართლებრივი შეფასება თავის მხრივ ხდებოდა მართლწინააღმდეგობის ეტაპზე, ხოლო სუბიექტ-

¹⁷⁴ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 117

¹⁷⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 87

¹⁷⁶ Adolf Schoumlnke, Strafgesetzbuch.Kommentar, 5 Aufl. MuumlInchen – Berlin, 1951, S. 17.

ტური ელემენტები (ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის შესაბამისად) ეკუთვნოდნენ ბრალს.¹⁷⁷ სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად კაუზალურ თეორიას აკრიტიკებდნენ ქმედების ცნების გამარტივებისათვის და მის მხოლოდ მუსკულატურის მოქმედებასთან გათანაბრებისათვის, რაც მიუღებელია სამართლის მეცნიერებისათვის. ასევე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქმედების ცნება აუცილებლად მოიცავს უმოქმედობასაც, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ადამიანის ქცევას ისევე როგორც მოქმედება, რადგან უმოქმედობას არ ახასიათებს სხეულებრივი მოძრაობა ის კაუზალურად არ არსებობს. იმის გამო რომ ადამიანის მოქმედებას მოცილებულ იქნა მიზანმიმართულობა ის შეერია, განუსხვავებელი გახდა გარე სამყაროში მიმდინარე სხვა კაუზალური მიზეზობრიობისაგან.¹⁷⁸

ქმედების სოციალური თეორია ქმედებას განიხილავს, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი შინაარსის მოვლენას ანუ მნიშვნელობა აქვს ქმედების სოციალურ არსს. რადგან ქმედება მხოლოდ სოციალურად რელატიური მოვლენაა საზოგადოება სამართლის მეშვეობით სძენს ქცევას ქმედების ნიშნებს. ადამიანის სოციალურად ადეკვატური ქცევა მოკლებულია სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის ქმედების შინაარსს. ქმედების სოციალური თეორიიდან გამომდინარე არსებობს ქმედების სხვადასხვა განმარტება: ე. შმიდტი ქმედებას განმარტავს, როგორც გარე სოციალური სამყაროს ცვლილებას თავისუფალი ქმედების გზით;¹⁷⁹ ენშიგი, როგორც სასურველი შედეგის დაყენებას თავისუ-

¹⁷⁷ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 86

¹⁷⁸ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 86

¹⁷⁹ Liszt-Schmidt, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Berlin–Leipzig, 1932, 26 Aufl S. 154

ფალი ქცევის გზით;¹⁸⁰ ამასთან ორივე შედეგს ქმედებაში აერთიანებენ. ქმედებას, ამ თეორიის უფრო თანამედროვე წარმომადგენლები (იეშკე, ვაიგენდი) განმარტავენ, როგორც სოციალურად მნიშვნელოვან ადამიანურ ქცევას, ხოლო (ვესელსი, ბიოლკე), როგორც ადამიანის ნების ბატონობის ქვეშ მოქცეულ ან მოქცევად სოციალურად მნიშვნელოვან ქცევას.¹⁸¹

ქმედების კაუზალური თეორიის დიდ პლიუსად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქმედება ხასიათდება ქცევის სოციალური სინამდვილის ყველა ნიშნით, ფინალური, კაუზალური და ნორმატიული ასპექტებით.¹⁸² რაც თავისმხრივ აადვილებს ამ თეორიის მეშვეობით უმოქმედობის და გაუფრთხილებლობით ქმედების დასაბუთებას, მარამ ამავე დროს ქმედების ეტაპზე შემოდის შეფასების მომენტი (რაც ამ თეორიის მინუსად უნდა ჩაითვალოს). ქმედების სოციალური მნიშვნელობა ფასდება, როგორც ქმედების შემადგენლობის, ასევე მართლწინააღმდეგობის და ბრალის ეტაპზე.¹⁸³

5.5 შედეგი

სისხლის სამართლის კოდექსი ქმედების (დანაშაულის) შედეგის ცნებას ორი მნიშვნელობით ხმარობს – ფართო და ვიწრო გაგებით.

საერთოდ ადამიანის ქმედების შედეგების მოცულობა

¹⁸⁰ Engisch, Der finale Handlungsberiff. Kohlrausch Festschrift, Berlin, 1944, S. 161

¹⁸¹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 88

¹⁸² მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 88

¹⁸³ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 118

გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ეს პირის შეგნებითაა მოცული. პირი, რომელიც მიზანდასახულად მოქმედებს, მიილტვის გამოინვიოს განსაზღვრული ცვლილება ობიექტში. მაგრამ ნებელობით ქცევას შეიძლება მოჰყვეს მრავალი სხვა შედეგი, რომელთაგან ზოგიერთი დასახულ მიზანს წარმოადგენს. უფრო მეტიც, ზოგიერთი არასასურველიც კია მოქმედისათვის. და ბოლოს, ნებელობით ქცევას შეიძლება ისეთი შედეგიც მოჰყვეს, რომელსაც მოქმედი პირი არც კი ითვალისწინებდა.

ამრიგად, ქმედების შედეგი შეიძლება იყოს თანმდევი იმ მიზნის მიმართ, რასაც სუბიექტი ისახავს. ეს შედეგი შეიძლება სუბიექტის მიზნის მიღმაც იყოს.

ფინალურად განხორციელებული მხოლოდ ის შედეგი იქნება, რომელიც წინასწარ გათვალისწინებული იყო სუბიექტის მიერ როგორც მოქმედების მიზანი ან საშუალება, თანამდევი შედეგი და ამგვარად მის განხორციელებაზე მიმართული იყო ფინალური ნება.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი: ფართო გაგებით ქმედების შედეგი ნიშნავს განსაზღვრულ ცვლილებებს ობიექტში, რასაც ინვეს ქმედების ჩადენა. ეს ცვლილებები ზოგჯერ ისეთი ხასიათისაა, რომ შეიძლება აღქმულ იქნენ ადამიანის გრძნობის ორგანოების მეშვეობით (როცა ისინი მატერიალური ხასიათისაა). მაგრამ ამასთან ერთად არსებობს ისეთი შედეგებიც, რომლებიც მატერიალური ხასიათის ზიანის მიყენებაში არ გამოიხატებიან და ამიტომ ადამიანის გრძნობის ორგანოებით არ შეიძლება იქნენ აღქმულნი (მაგალითად, მორალური, ორგანიზაციული, მართველობითი და ა.შ. ხასიათის ზიანი). შედეგი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, არსებობს იმისდა მიუხედავად, შეაქვს თუ არა კანონმდებელს სისხლის სამართლის კანონის მუხლის დისპოზიციაში

მითითება ზიანის ფაქტიურ დადგომაზე, ანდა მისი დადგომისათვის რეალური პირობების შექმნაზე.¹⁸⁴

შედეგი, ვინრო მნიშვნელობით, არის ის მავნე ცვლილება ქმედების ობიექტში, რომელიც აღნიშნულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში, როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი. ქმედების ობიექტის ამა თუ იმ ცვლილების აღიარება დანაშაულის შედეგად ქმედების შემადგენლობის საკანონდებლო კონსტრუქციაზეა დამოკიდებული.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელოვანია ქმედების შედეგი ვინრო გაგებით. რაც შეეხება ქმედების შედეგს, ფართო გაგებით, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავის პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრის დროს, ე.ი. სასჯელის დანიშვნის დროს.

იმის მიხედვით, გათვალისწინებულია თუ არა შედეგი დანაშაულის შემადგენლობაში, დანაშაულები იყოფა შედეგგარეშე და შედეგიან დანაშაულებად.

შედეგგარეშე ეწოდება ისეთ დანაშაულს, რომლის შემადგენლობაშიც კანონი აღწერს დამთავრებული დანაშაულის სახით მხოლოდ ქმედებას თავისთავად (მოქმედებას ან უმოქმედობას) და არ მიუთითებს შესაბამის შედეგებზე, როგორც შემადგენლობის აუცილებელ ელემენტზე. შედეგგარეშე დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შესრულებულია აკრძალული ქმედება. რაიმე შედეგის განხორციელება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საჭირო არ არის.

შედეგგარეშე დანაშაულებია: ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება(საქართველოს სსკ 176-ე

¹⁸⁴ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ.118-119

მუხლი), საქართველოს სახელმწიფო გერბის ან დროში შე-
ბლალვა (საქართველოს სსკ 343-ე მუხლი), საქართველოს
პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცე-
მების გახმაურება (საქართველოს სსკ 351-ე მუხლი), ცრუ
დასმენა (საქართველოს სსკ 373-ე მუხლი) და ა.შ. შედეგგა-
რეშე დანაშაულებს ფორმალური შემადგენლობის დანაშაუ-
ლებს უნოდებენ.¹⁸⁵

შედეგგვიანი დანაშაულის შემადგენლობა იმით განსხ-
ვავდება შედეგგარეშე დანაშაულის შემადგენლობებისაგან,
რომ აქ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის დისპოზი-
ციაში აღწერილ დანაშაულის შემადგენლობაში პირდაპირ
არის გათვალისწინებული განსაზღვრული შედეგის განხორ-
ციელება.

შედეგგვიან დანაშაულს მიეკუთვნება არა მარტო ისე-
თი დანაშაული, რომლის შემადგენლობის საკანონმდებლო
კონსტრუქცია მოითხოვს სისხლის სამართლის კოდექსის
კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში მითითებული რეალ-
ური ზიანის მიყენებას, არამედ ისეთი დანაშაულიც, რომ-
ლის დისპოზიცია ზიანის მიყენების საფრთხეზე მიუთითებს.
მაგალითად: ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა
(საქართველოს სსკ 280-ე მუხლის მე-2 ნაწილი), აფეთქება
(საქართველოს სსკ-ის 229-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), განსა-
კუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა (საქა-
რთველოს სსკ 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), შიდსის შეყრა
(საქართველოს სსკ 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და ა.შ.

¹⁸⁵ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ.120-
121

5.6 მიზეზობრივი კავშირი, მიზეზობრიობის სახეები

მიზეზობრივი კავშირი რთული ფილოსოფიურ-სამართლებრივი კატეგორიაა. მიზეზობრიობა წარმოადგენს ობიექტურ კატეგორიას ანუ ის არსებობს ადამიანის შეგნების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად. ის წარმოადგენს კავშირს მატერიალური სამყაროს მოვლენათა (მიზეზსა და შედეგს) შორის. მიზეზი და შედეგი გამოხატავს ობიექტური კავშირის ერთერთ ფორმას, ბუნებაში და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების და პროცესების ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთგანპირობებულობას. მიზეზის ქვეში იგულისხმება მოვლენა, რომელიც კანონზომიერად შინაგანი აუცილებლობით ქმნის ან განაპირობებს სხვა მოვლენას – შედეგს (მოვლენას, რომელიც განიხილება, როგორც შედეგი). მიზეზობრივი კავშირის სისხლისსამართლებრივი ცნება ემყარება ფილოსოფიურ ცნებას, მაგრამ გააჩნია თავისებურება. ფილოსოფიაში, როგორც მიზეზი ასევე შედეგი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა, განსხვავებული მოვლენები და პროცესები. სისხლის სამართალში მიზეზად ყოველთვის განიხილება ადამიანის ქმედება, ხოლო შედეგად სისხლის სამართლის კანონში გათვალისწინებული მოვლენა. შესაბამისად, მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში არის ობიექტური კავშირი ადამიანის ქმედებასა და დამდგარ სამართლებრივ შედეგს შორის, რომლის დროსაც ქმედება დროში წინ უსწრებს შედეგს, ქმნის ან განსაზღვრავს შედეგის დადგომის რეალურ შესაძლებლობას და წარმოადგენს მის აუცილებელ წინაპირობას.¹⁸⁶

მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში წარმოადგენს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშანს.

¹⁸⁶ Уголовное право. Общая часть, учебник, ред. Денисов С.А. СПб., 2017 с. 83

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყანათა რიგს, რომელთა სისხლის სამართლის კოდექსით განმარტებულია მიზეზობრივი კავშირი. ამ სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს არეგულირებს სსკ-ის მე-8 მუხლი. ამ მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის. შესაბამისად კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე მიზეზობრივი კავშირის დადგენა აუცილებელია შედეგიან (მატერიალურ) დანაშაულებში. სსკ-ის მე-8 მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე (მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა) ქართული სისხლის სამართალი იზიარებს ეგრეთ წოდებულ მიზეზობრიობის ეკვივალენტურ თეორიას, ფორმულით *conditio sine qua non* (აუცილებელი პირობა, ქმედების გარეშე შედეგი არ იქნებოდა). მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული მუხლის მესამე ნაწილი ადგენს უმოქმედობის მიზეზობრიობის პირობებს: უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებ-

ულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

სისხლის სამართლის დოქტრინაში ვერ ჩამოყალიბდა მიზეზობრიობის უნივერსალური თეორია, შესაბამისად სამართლის თეორიაში დღეისთვის ცნობილია მიზეზობრიობის თაობაზე არაერთი შეხედულება. მათ შორის უნდა გამოიყოს ეკვივალენტურობის (პირობათა) თეორია, კანონზომიერი პირობების თეორია, ადეკვატურობის თეორია, რელევანტურობის თეორია.

ეკვივალენტური თეორიის მიხედვით ყველა პირობა თანაბარმნიშვნელოვანია. ყველა პირობას ერთობლიობაში და თითოეულს ცალკე აღებულს გააჩნია თანაბარი მნიშვნელობა შედეგის გამონწვევისათვის. ამ თეორიის საფუძველს წარმოადგენს დებულება, რომ ყოველი პირობათაგანი თანაბრად უნდა განიხილოს დანაშაულებრივი შედეგის მიზეზად.

ეკვივალენტურობის თეორია გვთავაზობს თავის მეთოდს პირის ქმედების დასადგენად, რომელიც წარმოადგენს დამდგარი შედეგის აუცილებელ პირობას – აზრობრივი გამორიცხვის ანუ ჰიპოთეტიკური ელიმინაციის წესი. ეს მეთოდი (წესი) გულისხმობს, რომ შედეგის დადგომამდე არსებული ყველა პირობებიდან აზრობრივად გამოირიცხება ის ქმედება, რომელიც სავარაუდოდ შეიძლება იყოს დამდგარი შედეგის მიზეზი. თუ ასეთი გამორიცხვისას აღმოჩნდება, რომ ამ ქმედების გარეშე შედეგი არ დადგებოდა ან დადგებოდა სხვა დროს და სხვა სახით, კეთდება დასკვნა – ზუსტად ეს ქმედება წარმოადგენდა ჩვენთვის საინტერესო შედეგის აუცილებელ პირობას ანუ მიზეზს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის არსებობა არ გვექნება ქმედებასა და შედეგს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ეკვივალენტურობის თეორია და შესაბამისად მის ფარგლებში აზრობრივი გამორიცხვის მეთოდის გამოყენება საკმაოდ კარგად ასახავს და ასაბუთებს მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის, დროთა განმავლობაში ის არასაკმარისი, არადაამაკმაყოფილებელი გახდა, როგორც თეორეტიკოსების ასევე პრაქტიკოსებისათვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ თეორიას თავიდანვე მისი პირვანდელი სახითაც არ შეეძლო სრულყოფილად გადაენწყვიტა ისეთი სიტუაციები, რომლებიც გამოირჩევა მიზეზობრიობის რთული პროცესით. ეკვივალენტურობის თეორია მკაფიოდ არ განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლებიც ზღუდავენ ერთობლიობით მოქმედი ძალების წრეს. ზუსტად ამაში მდგომარეობს ამ კონცეფციის ნაკლოვანება, მის საფუძველზე უსაზღვროდ ფართოვდება იმ პირობათა წრე, რომელიც კავშირშია შედეგთან და ასევე ძალიან შორს მიდის ის შედეგები, რომლებიც განპირობებულია პირის ქმედებით.

ყველა პირობის თანაბარმნიშვნელოვნება გულისხმობს იმას, რომ მათ აქვთ თანაბარი კაზუალური მნიშვნელობა. ყოველი მათგანი ხელს უწყობს შედეგის დადგომას, ყოველი პირობა, რომელიც შედის მიზეზშედეგობრივ ჯაჭვში განაპირობებს გარკვეული შედეგის დადგომას, მაგრამ ცალკე აღებული არ შესწევს უნარი გამოიწვიოს ეს შედეგი. აუცილებელი პირობები ურთიერთკავშირშია და ავსებენ ერთმანეთს, ამ მნიშვნელობით ქმნიან ერთიან სისტემურ მიზეზს, რომელიც შედეგის გენერირებას ახდენს. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ერთი აუცილებელი პირობა არ განსხვავდება მეორე პირობისაგან მიზეზობრიობის ხარისხით კონკრეტული პირობებიდან, დროიდან, ვითარებიდან გამომდინარე. ყველა პირობას მიუხედავად მისი თანაბარმ-

ნიშვნელობისა გააჩნია თავისი წონა შედეგის გამონვევასთან მიმართებით.

ეკვივალენტურობის თეორიის მნიშვნელობა, თეზისით – *conditio sine qua non* მდგომარეობს იმაში, რომ ის ქმნის მიზეზობრიობის ანალიზის საფუძველს სისხლის სამართალში, მაგრამ არა უმეტეს ამისა. საყოველთაოდ აღიარებულია დებულება, რომლის მიხედვითაც ადამიანის ქმედება დამდგარი შედეგის მიზეზად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ამ შედეგის აუცილებელი პირობაა. ეკვივალენტურობის თეორიით შემოთავაზებული მიზეზობრიობის დადგენის ხერხი, რადგან ის გულისხმობს აზრობრივ, ლოგიკურ ოპერაციას, გვაძლევს მხოლოდ სავარაუდო დასკვნას მიზეზობრივი კავშირის არსებობა არარსებობის თაობაზე, რომელიც პრაქტიკაში ხშირად შეივსება საყოველთაო წარმოდგენებით მიზეზშედეგობრივი კავშირების თაობაზე.¹⁸⁷

ეკვივალენტურობის თეორიის მიხედვით (რადგან ის აღიარებულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონით) მიზეზობრივი კავშირის დადგენა წარმოადგენს შედეგის ობიექტური შერაცხვის აუცილებელ წინაპირობას. თუმცა, მიუხედავად მიზეზობრიობის დადგენისა, ეს როდი გულისხმობს, რომ მოხდება შედეგის ობიექტური, სუბიექტური (განზრახვის და თივთიმედოვნების) და ინდივიდუალური (ბრალის ეტაპზე, ინდივიდუალური უმართლობის) შერაცხვა.

კანონზომიერი პირობების თეორია გულისხმობს, რომ მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის გვაქვს მაშინ, როდესაც ის წარმოადგენს მოვლენათა განვითარების კანონზომიერ საფუძველს, რომელიც რეალიზებულ

¹⁸⁷ 3. Б. Соктоев, Теория эквивалентности и правило *conditio sine qua non*, стат. Вестник Московского университета МВД России, № 4, 2012, с. 93-96

იქნა კონკრეტულ შედეგში. მნიშვნელოვანია დადგინდეს ბუნებრივი კანონზომიერებით განპირობებული კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის. აღსანიშნავია, რომ ყველა პირობა ამ თეორიის მიხედვითაც თანაბარმნიშვნელოვანია. მიზეზობრიობის შეფასების დროს ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული იმაზე, ქმედება და შედეგი ჩვეულებრივ ერთმანეთთან კანონზომიერ ურთიერთობაში არის თუ არა, რადგან მიზეზობრივი კავშირი კონკრეტულ შემთხვევაში ხშირად ძნელი დასამტკიცებელია. ამ შეხედულების მიმართაც რა თქმა უნდა არსებობს კრიტიკა, კერძოდ ის, რომ კანონზომიერი პირობების დადგენა რთული და ხელლოვნურია. ხშირად შეუძლებელია დაზუსტებით იმის დადგენა როდის არის კანონზომიერი კავშირი ქმედებას და შედეგს შორის.¹⁸⁸

ადეკვატური თეორიის მიხედვით მიზეზობრივი კავშირის არსებობისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს ქმედების განხორციელებისას, რამდენად სავარაუდო იყო დამდგარი შედეგის გამოწვევა. მიზეზობრიობა ადეკვატური თეორიის მიხედვით უნდა გავიგოთ, როგორც კატეგორია, რომელიც შექმნილია ჩვენი გონებით, როგორც დარწმუნებულობა, რომ დადგება მისალოდნელი შედეგი. ამ პოზიციიდან გამომდინარე სავსებით მართებულად შესაძლებელია გამოიყოს კონკრეტული მიზეზობრიობა, რომელიც გამოხატავს მოვლენათა კონკრეტულ განვითარებას, თავისი შინაარსით უნიკალურია, ხოლო ყოველი პირობა აუცილებელი. მიზეზობრივი კავშირის ცნება იქმნება კონკრეტული მიზეზობრიობის თავისებურებებისაგან აბსტრაგირებით, ისეთი პირობების გამოვლენით და განზოგადოებით, რომლებსაც არა ამ უშუალო შემთხვევაში, არამედ ჩვეულებრივ

¹⁸⁸ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 95

(ზოგადად, პრინციპში, ყოველთვის) მივყავართ ამ კონკრეტულ შედეგამდე. შესაბამისად კონკრეტული შედეგის მიზეზად უნდა ვაღიაროთ პირის მხოლოდ ისეთი ქმედებები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ ტიპიურად, საყოველთაოდ აღიარებულად ადამიანის გამოცდილებასთან მიმართებაში, დამდგარი შედეგისათვის ადეკვატურად. ადეკვატურობის თეორიას გააჩნია ორი მიმართულება ობიექტური და სუბიექტური, იმის მიხედვით თუ ვისი ზოგადი გამოცდილება უნდა იქნეს გათვალისწინებული მიზეზობრიობის საკითხის გადწყვეტისას. ობიექტური მიმართულება გულისხმობს, რომ შეფასებისას უნდა დავეყრდნოთ სასამართლოს, მოსამართლის ან ზოგად ადამიანურ წარმოდგენას, ხოლო სუბიექტური მიმართულების მომხრეების აზრით შეფასებისას საფუძველი უნდა იყოს თვითონ მოქმედის წარმოდგენები.¹⁸⁹

რელევანტურობის თეორია წარმოადგენს ეკვივალენტურობის და ადეკვატურობის თეორიათა ერთგვარ კომბინაციას. ამ თეორიის მიხედვით მიზეზობრიობის დადგენისას საჭიროა *conditio sine qua non* ფორმულით განსაზღვრულ პირობას კუმულაციურად ქმედების რელევანტურობის პირობა მივუყენოთ. ეს გულისხმობს, რომ თავდაპირველად უნდა დადგინდეს ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი ეკვივალენტურობის თეორიის შესაბამისად, ხოლო შემდგომ კი არის თუ არა ეს კავშირი ადეკვატური, თუ გამოირიცხება კავშირის ადეკვატურობა გამოირიცხება მიზეზობრიობაც.¹⁹⁰ სხვანაირად, რომ ვთქვათ ყოველი

¹⁸⁹ З. Б. Соколев, теории “адекватной” причинности и “необходимого причинения” в уголовном праве, стат. Криминологический журнал Огуеп, 3(21) 2012, с. 60-64

¹⁹⁰ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 122

პირობა, რომელმაც გამოიწვია შედეგი არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად რელევანტურს.

მიზეზობრიობის სახეები

ალტერნატიული მიზეზობრიობა ანუ ორმაგი მიზეზობრიობა სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც შედეგი გამოიწვია ორმა ან მეტმა ქმედებამ (პირობამ), მაშინ როდესაც თითოეული ამ პირობათაგანი, ცალკე აღებული, საკმარისი იყო და იგივე შედეგს გამოიწვევდა. მაგალითად, ორმა პირმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გადანყვიტეს მესამე პირის მოკვლა. ერთდროულად განახორციელეს გასროლა, რომელიც სასიკვდილო აღმოჩნდა მსხვერპლისთვის. თითოეული ცალკე აღებული ქმედება (გასროლა) საკმარისი იყო სასიკვდილო შედეგის დადგომისათვის. რადგან ორივე პირობა (გასროლა) ცალკე აღებული საკმარისი იყო შედეგის დასადგომად სახეზე გვაქვს ალტერნარიული მიზეზობრიობა. თუ ჩვენ პასუხისმგებლობის გადანყვეტისას საკითხს მივუდგებით ეკვივალენტური მიზეზობრიობის თეორიის შესაბამისად, რაც გულისხმობს აზრობრივი გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით, ქმედების გამორიცხვით შედეგის არდადგომის შემთხვევაში შედეგის არშერაცხვას, მივალთ იქამდე რომ მოყვანილ მაგალითში ორივე პირმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ მკვლელობის მცდელობისათვის, რაც არასწორი იქნებოდა, რადგან როგორც უკვე ვახსენეთ ცალკე აღებული ქმედება (გასროლა) საკმარისი იყო შედეგის (სიკვდილის) დასადგომად. ამიტომ საჭირო გახდა ეკვივალენტურობის თეორიის მოდიფიცირება, რაც გულისხმობს მსგავს შემთხვევებში განსხვავებული მიდგომის გამოყენებას. ორივე პირობა (ქმედება) განხილული უნდა იქნეს ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, შე-

საბამისად თუ ერთი პირობა ცალკე აღებული საკმარისია და იწვევს იგივე შედეგს, მაშინ პირს შედეგი სრულად უნდა შეერაცხოს და პასუხი აგოს მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე დამთავრებული მკვლევლობისათვის (ორივე მოქმედმა პირმა ცალ-ცალკე).

არაერთ სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვანილია ალტერნატიული მიზეზობრიობის საინტერესო მაგალითი (კოლექტიური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე) კენჭისყრის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებისათვის პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით, როდესაც კენჭისყრის შედეგი ცალკეული ხმის გარეშეც იგივე დადგებოდა. ასეთ ვითარებაშიც ეკვივალენტური მიზეზობრიობის თეორიის მოდიფიცირებით კოლექტიური ორგანოს გადაწყვეტილებისათვის ყოველი ხმის მიმცემი პირის ქმედება (ხმის მიცემა) უნდა განვიხილოთ არა სხვა ხმებთან ერთობლიობაში არამედ მათგან დამოუკიდებლად. თუ ეს იყო ქმედება, რომელმაც შედეგი გამოიწვია მაშინ ეს შედეგი პირის უნდა შეერაცხოს, რადგან ამ შემთხვევაში საინტერესოა არა ის, რომ ეს შედეგი ამ პირის ქმედების გარეშე მაინც დადგებოდა არამედ ის, რომ შედეგი რეალურად დადგა ამ პირის ქმედებით.¹⁹¹

კუმულაციური მიზეზობრიობა გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ან მეტი პირობა (ქმედება) მხოლოდ ერთობლიობაში გვაძლევს შედეგს. ცალკე აღებულ ერთ პირობას (ქმედებას) შედეგის გამოწვევა დამოუკიდებლად არ შეუძლია. შედეგი დგება მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ ქმედებას ემატება მეორე, რაც ერთობლიობაში ქმნის კუმუ-

¹⁹¹ იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 101; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 126; მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 202

ლაციურ ეფექტს. მაგალითად, ორი პირი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გადანყვეტს მესამე პირის მონამვლას. რისთვისაც მსხვერპლს ჩაუყრიან სანამლავს სასმელში ისე, რომ ერთმანეთის ქმედების შესახებ არაფერი იციან, რაც გამოიწვევს ამ პირის გარდაცვალებას. თუ დადგინდება, რომ ცალკე აღებული ერთი პირის მიერ ჩაყრილი სანამლავი საკმარისი არ იყო შედეგის მისაღწევად და მსხვერპლი მხოლოდ იმიტომ გარდაიცვალა, რომ სანამლავის ორი დოზა მიიღო ან ამ ორმა ნივთიერებამ ურთიერთქმედებით გამოიწვია ეს შედეგი სახეზე გვექნება კუმულაციური ეფექტი, შესაბამისად კუმულაციური მიზეზობრიობა. მოყვანილი კუმულაციური მიზეზობრიობის მაგალითიდან გამომდინარე მოქმედ პირებს შედეგი, მიუხედავად იმისა რომ სახეზეა დამთავრებული დანაშაული, არ შეერაცხებათ, პასუხისმგებლობა დადგება ამ შემთხვევაში მკვლელობის მცდელობისათვის ყოველი ცალკე აღებული პირისათვის.

ჰიპოთეტური მიზეზობრიობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ქმედებამ დააჩქარა შედეგი, რომელიც მოგვიანებით ისედაც დადგებოდა სხვა მიზეზით. ჰიპოთეტიკური მიზეზობრიობის საილუსტრაციოდ სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე ხშირად გამოიყენება ორი მაგალითი: ა-მ მონამლა ბ, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვა, თუმცა დადგინდა რომ ბ მძიმედ ავად იყო და უახლოეს დროში მაინც მოკვდებოდა; ა-მ მოკლა ბ აეროპორტში. თვითმფრინავმა, რომლითაც ბ საზღვარგარეთ უცილობრივ უნდა გაფრენილიყო რამდენიმე საათში კატასტროფა განიცადა და ყველა მგზავრი დაიღუპა. როგორც ვხედავთ ორივე შემთხვევაში ბოროტმოქმედმა (ა-მ) მხოლოდ დააჩქარა შედეგი, რომელიც აუცილებლად მოგვიანებით მაინც დადგებოდა, მსხვერპლი (ბ) ნებისმიერ შემთხვევაში დაიღ-

უპებოდა. მიუხედავად ამისა პირს, რომელმაც მხოლოდ დააჩქარა სხვა მიზეზით განპირობებული გარდაუვალი შედეგი, ის მაინც სრულად შეერაცხება და პასუხისგებაში მიეცემა დამთავრებული დანაშაულისათვის.

განყვეტილი მიზეზობრიობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ერთი ქმედებით დაფუძნებული შედეგის დადგომამდე განხორციელდა სხვა ახალი ქმედება, რომელმაც გამოიწვია იგივე შედეგი, ოღონდ უფრო ადრე ვიდრე ეს დადგებოდა პირველი ქმედებით. ანუ პრაქტიკულად მოხდა სხვა ახალი მიზეზობრივი ჯაჭვის დაფუძნება მეორე ქმედებით, რომელმაც განყვეტა პირველი მიზეზობრიობა, მაგრამ გამოიწვია იგივე შედეგი. მიზეზობრიობაში ასეთი წყვეტის გამო პირველი ქმედების კავშირი შედეგთან უკვე არ არსებობს, ის განყვეტილია. მაგალითად, ა-მ მონამლა ბ ნელი მოქმედების შხამით. სანამ ბ ა-ს ქმედებით დაილუპებოდა მას თავს დაესხა გ, რომელმაც ის ადგილზე მოკლა ცეცხლსასროლი იარაღით. როგორც ვხედავთ ამ მაგალითაიდან ა-ს მიერ დაფუძნებული მიზეზობრიობის განვითარება, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა ბ-ს გარდაცვალება განყვეტა გ-ს ქმედებამ, ცეცხლსასროლი იარაღით თავდასხმამ და იმ შედეგის დაჩქარებამ, რაც პირველი ქმედებით დადგებოდა. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მეორე ქმედება და შედეგი არ უნდა იყოს დამოკიდებული პირველ ქმედებაზე, გ ბ-ს მოკლავდა ა-ს ქმედების მიუხედავად. განყვეტილი მიზეზობრიობისას გ-ს სრულად უნდა შეერაცხოს შედეგი და მან პასუხი უნდა აგოს დამთავრებული მკვლელობისათვის, ხოლო ა-ს ქმედებისათვის, რადგან მიზეზობრიობაში მოხდა წყვეტა, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ (ბ-ს) მკვლელობის მცდელობისათვის.

გამსწრები (მრავალსაფეხურიანი) მიზეზობრიობა გუ-

ლისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირველმა ქმედებამ დააფუძნა მიზეზობრიობა და შესაბამისად შედეგის დადგომის შესაძლებლობა, მეორე, ახალმა ქმედებამ კი უშუალოდ დააყენა ეს შედეგი, თუმცა პირველი ქმედების გარეშე ის ვერ განხორციელდებოდა. ანუ ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მეორე ქმედებით გამოწვეული შედეგი პირველი ქმედების გარეშე ვერ დადგებოდა. მაგალითად, ა-მ მოწამლა ბ ნელი მოქმედების შხამით, რომელმაც მსხვერპლი სასიკვდილო შედეგის დადგომამდე მნიშვნელოვნად შეასუსტა. გ მანამ სანამ შხამის მოქმედებით დაუძლურებული ბ გარდაიცვლებოდა დანის გამოყენებით თავს დაესხა მას და მოკლა, რადგან ძალაგამოცლილმა ბ-მ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მოცემულ შემთხვევაში ორივე ქმედების განმახორციელებელს, როგორც ა-ს ასევე გ-ს შედეგი ობიექტურად შეერაცხება და პასუხს აგებენ დამთავრებული მკვლელობისათვის. გ-ს შედეგი სრულად შეერაცხება, რადგან მისმა ქმედებამ გამოიწვია ბ-ს სიკვდილი, ხოლო ა-ს შედეგი სრულად შეერაცხება, რადგან მისი ქმედების გარეშე გ-ს ქმედება ვერ გამოიწვევდა შედეგის დადგომას ამ ფორმით.

აქვე უნდა ვახსენოთ **ატიპიური მიზეზობრიობის** შემთხვევები. მაგალითად, ა-მ მოკვლის მიზნით ესროლა ბ-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან, მაგრამ მხოლოდ მისი მსუბუქად დაჭრა შეძლო. ბ-ს ჰოსპიტალიზაციისას სასწრაფო მანქანა, რომლითაც ის გადაჰყავდათ მოყვა ავტოავარიისში. საგზაო შემთხვევის შედეგად ბ დაიღუპა. როგორც მაგალითიდან ჩანს ა-ს სასურველი შედეგი დადგა ბ მოკვდა, მაგრამ ეს შედეგი დადგა მიზეზობრიობის არა მოქმედის წარმოდგენის მიხედვით არამედ არატიპიურად. „ატიპიური არის გარემოებათა ნებისმიერი ისეთი განვითარება, რო-

მელიც მოვლენათა ჩვეულებრივი მიმდინარეობისა და ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი. ასეთ შემთხვევაში შედეგი არის არა შესაძლებლობა არამედ შემთხვევითობა. ამიტომ მიზეზობრიობის ატიპიური განვითარების დროს უნდა შემონმდეს, ხომ არ არის კონკრეტული შემთხვევის შედეგი საყოველთაო ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებს გარეთ.¹⁹² ატიპიური მიზეზობრიობის შემთხვევაში შედეგის ობიექტური შერაცხვა არ ხდება, პასუხისმგებლობა დგება დანაშაულის მცდელობისათვის. მოყვანილ მაგალითში ა-ს პასუხისმგებლობა დაეკისრება ბ-ს მკვლელობის მცდელობისათვის.

5.7 ობიექტური შერაცხვა

სისხლის სამართალში ბოლო ათწლეულების განმავლობაში თანდათან ფეხს იკიდებს ობიექტური შერაცხვის კატეგორია. საზღვარგარეთ სისხლის სამართლის ამ ინსტიტუტმა უკვე საკმაო მხარდაჭერა მოიპოვა. აქვე უნდა განვმატოთ, რომ ობიექტური შერაცხვა ტრადიციული გაგებით გულისხმობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას (ამ დრომდე ეს ტერმინი კლასიკური გაგებით გამოიყენება რუსეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სისხლის სამართალში), ახალი, თანამედროვე გაგებით კი უკვე საუბარია დამდგარი შედეგისათვის პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე.¹⁹³ ანუ მიუხედავად იმისა, რომ ქმედებასა და შედეგს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, პირს დამდგარი შედეგი შეიძლება ობიექტურად მაინც არ შეერაცხოს.

¹⁹² მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ.332

¹⁹³ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.123

იმის თაობაზე თუ რა ადგილი უკავია ობიექტურ შერაცხვას და საერთოდ მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდეგ არსებობს თუ არა მისი აუცილებლობა და, თუ კი, როგორ უნდა გამოიყენებოდეს, ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. პირველი მიდგომა ამ საკითხისადმი ტრადიციული ფორმისაა და ის გულისხმობს, რომ ობიექტური შერაცხვის პრობლემა უნდა გადაწყდეს თვითონ მიზეზობრივი კავშირის ფარგლებში. ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა საკმარისი საფუძველია ქმედების ობიექტური შემადგენლობის არსებობისათვის. ხოლო პრობლემური შემთხვევების არსებობისას კი ისინი უნდა გადაიჭრას სუბიექტური შემადგენლობის (ბრალის) ან მატერიალური მართლწინააღმდეგობის ფარგლებში. განსხვავებული შეხედულებით, ობიექტური შერაცხვა რჩება მიზეზობრივი კავშირის ფარგლებში. მხოლოდ პრობლემური შემთხვევების არსებობისას მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდეგ, განცალკევებით უნდა განიხილოს ობიექტური შერაცხვის საკითხი. როგორც ვხედავთ ამ მოსაზრებით მიზეზობრივი კავშირი ობიექტური შერაცხვა მხოლოდ მაშინ უნდა შეივსოს, როდესაც ამის აუცილებლობა არსებობს. გაუფრთხილებელი დანაშაულის შემთხვევაში ობიექტური შერაცხვა ამ პოზიციით ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, ხოლო განზრახ დანაშაულისას მისი აუცილებლობა დადაოა. მესამე მოსაზრებით, რომელმაც უახლოეს პერიოდში ჰპოვა განსაკუთრებული განვითარება და გამოუჩინდა დიდი რაოდენობით მიმდევრებიც, მიზეზობრივი კავშირი აუცილებლად უნდა განივრცოს ობიექტური შერაცხვის კატეგორიით. ამ შეხედულებით მიზეზობრიობა, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანი ყველა შემთხვევაში (როგორც პრობლემურ ისე არაპრობლ-

ემურ შემთხვევებში) უნდა განივრცოს (მიზეზობრიობისაგან) დამოუკიდებელი თანამედროვე ობიექტური შერაცხვის კატეგორიით. პრქატიკულად იქმნება ორსაფეხურიანი სისტემა, რომელიც შედგება მიზეზობრივი კავშირისა და ობიექტური შერაცხვისაგან.¹⁹⁴

ობიექტური შერაცხვის კატეგორია შეუცვლელია გაუფრთხილებელი დანაშაულის შემთხვევაში, ხოლო განზრახ დანაშაულისას თუ არ გვაქვს პრობლემური შემთხვევა საკმარისია მიზეზობრივი კავშირის არსებობა და მის ფარგლებში საკითხის გადაწყვეტა. თუ საქმე გვაქვს პრობლემატურ შემთხვევებთან მიზეზობრივი კავშირის შემომნების შემდეგ უნდა გადავიდეთ ობიექტური შერაცხვის კატეგორიაზე.

აუცილებელია ყურადღება შევაჩეროთ ობიექტურ შერაცხვასთან დაკავშირებულ რამოდენიმე საკითხზე. ობიექტური შერაცხვის მნიშვნელობა განსაკუთრებით ვლინდება პრობლემური შემთხვევებისას.

რისკის თეორია – გულისხმობს, რომ შედეგი, რომელიც დადგა პირს შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ მაშინ, თუ განვითარებული მიზეზობრივი კავშირით, რომელიც მან დააფუძნა, შექმნა აკრძალული რისკის მდგომარეობა. ამ თეორიის მიხედვით ობიექტური შერაცხვის ეტაპზე უნდა დადგინდეს: შექმნა თუ არა პირმა თავისი ქმედებით რისკის მდგომარეობა; იყო თუ არა ეს რისკი სამართლებრივად დასაძრახი; ამ რისკით განხორციელდა თუ არა კონკრეტული შედეგი.¹⁹⁵ პირი თავისი ქმედებით სამართლებრივად რელევანტურ საფრთხეს არ ქმნის, არ შეერაცხება დამდ-

¹⁹⁴ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 91-92

¹⁹⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 109-110

გარი შედეგი ობიექტურად თუ მან დააფუძნა სოციალურად ადეკვატური ანუ დასაშვები რისკი ან თუ პირმა თავისი ქმედებით შეამცირა ის.¹⁹⁶

რისკის შემცირების თეორია, რომელიც განიხილება რისკის თეორიის ფარგლებში გულისხმობს, რომ მიუხედავად იმისა პირმა თავისი ქმედებით დააფუძნა რისკი, რის შედეგადაც დაცულ სამართლებრივ სიკეთეს შეექმნა საფრთხე ან დაზიანდა, მაგრამ ამავდროულად აცილებულ იქნა უფრო მეტი დაზიანება, რომლის დადგომის დიდი ალბათობა არსებობდა (პირმა თავისი ქმედებით აიცილა რეალური საფრთხე დამდგარიყო მეტი ზიანი ვიდრე განხორციელდა). მაგალითად, ა-მ მოკვლის მიზნით ბ-ს მოუქნია დანა, რომელიც ამ უკანასკნელს გულმკერდის არეში მოხვდებოდა. გ-მ, რომელიც იქვე იდგა, ხელი კრა ბ-ს რათა აეცილებინა მისთვის მოქმედი დანა, მაგრამ თავისი ქმედებით გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება ნაქცევის შედეგად. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს გ-მ თავისი ქმედებით გამოიწვია ბ-ს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება და სახეზეა მიზეზობრივი კავშირის არსებობაც, მაგრამ რადგან ამასთან მას არ გამოუწვნივია ჯანმრთელობის დაზიანების სამართლებრივად დასაძრახ საფრთხე, არამედ, პირიქით მან გადაარჩინა მსხვერპლი უფრო მეტ ზიანს (სიკვდილს). აქედან გამომდინარე რისკის შემცირების თეორიის მიხედვით გ-ს შედეგი (ბ-ს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება) ობიექტურად არ შეერაცხება.

რისკის ამაღლების (გაზრდის) თეორია გულისხმობს, შედეგის ობიექტურ შერაცხვას თუ პირმა მისი დადგომის რისკი აამაღლა (გაზარდა). რისკის გაზრდის თეორია

¹⁹⁶ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.123

გამოიყენება გაუფრთხილებელი ქმედების და უმოქმედობისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის. ამ თეორიის არსი მდგომარეობს შემდეგში: პირის მიერ გაუფრთხილებლობისას გამოწვეული შედეგის მიერ ალტერნატიული ქმედების განხორციელებისას, თუ სავარაუდოდ ან შესაძლოა მაინც დადგებოდა იგივე ფორმით, მაშინ ეს შედეგი მას ობიექტურად მაინც უნდა შეერაცხოს. ამ შეხედულებას არ იზიარებს პრაქტიკა, რადგან ასეთ შემთხვევებში შედეგის განხორციელების უტყუარობა უნდა დადგინდეს, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც დადგინდება, რომ მართლზომიერი ალტერნატიული ქმედება უტყუარად იგივე შედეგს გამოიწვევდა შედეგის ობიექტური შერაცხვა არ გვექნება. ასევე უმოქმედობის შემთხვევაში ამ თეორიით არაა საჭირო იმის დადგენა, რომ შედეგი ჭეშმარიტებასთან ახლოს მდგომი მაღალი ხარისხის ალბათობით დადგებოდა. ეს დებულება ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილს, რომლის მიხედვითაც პირს მხოლოდ მაშინ დაეკისრება პასუხისმგებლობა უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისათვის თუ შესრულებულია სხვა პირობებთან ერთად ის გარემოებაც, რომ სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.¹⁹⁷

ატვიპური მიზეზობრიობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოვლენათა განვითარება სცდება ჩვეულებრივი ცხვორებისეული გამოცდილებით წარმოსახვად მიმდინარეობას. ანუ ისეთი შემთხვევები, როდესაც მიზეზობრიობა განვითარდა ისე, როგორც ის ჩვეულებრივ შემთხვევაში არ იყო მოსალოდნელი. მაგალითად, ატვიპური მიზეზობრიობის კლასიკურ მაგალითად არაერთ

¹⁹⁷ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.124

იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილია შემთხვევა, როდესაც ა-მ მოკვლის მიზნით ესროლა ბ-ს, მაგრამ მხოლოდ დაჭრა ის. მსხვერპლისთვის დახმარების აღმოსაჩენად სამკურნალო დაწესებულებაში მისი გადაყვანისას სასწრაფოს მანქანა მოხვდა ავტოსაგზაო ინციდენტში, რომლის დროსაც დაზარალებული გარდაიცვალა. როგორც ვხედავთ მაგალითში ა-ს სასურველი შედეგი ბ-ს გარდაცვალება დადგა, როგორც შედეგი, მაგრამ მისი ატაპიურობის გამო, ანუ რადგან მოვლენათა ასეთ განვითარებას ის ვერ წარმოიდგენდა შედეგი მას ობიექტურად არ შეერაცხება. ატიპიური მიზეზობრიობის შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, უდავოდ არსებობს, შედეგის ობიექტური შერაცხვა გამოირიცხება.

ნორმის დაცვის მიზანი გამორიცხავს შედეგის ობიექტურ შერაცხვას, რადგან პირის მიერ ვალდებულების დარღვევისას დამდგარი შედეგის თავიდან აცილება ამ ვალდებულების დაცვის მიზანს არ წარმოადგენდა. ველოსიპედისტების შემთხვევა ყველაზე ნათლად წარმოაჩენს ზემოთმოყვანილ დებულებას. სიბნელეში მოძრაობდა ორი ველოსიპედისტი, რომელთაგან არცერთს არ ჰქონდა ჩართული განათება. საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ავრომანქანის მძღოლმა ისინი ვერ შეამჩნია, რადგან არ ჰქონდათ განათება ჩართული, რაც აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა. ავტომანქანა შეეჯახა ერთერთ ველოსიპედისტს რის შედეგადაც ის გარდაიცვალა. მეორე ველოსიპედისტს, რომ ჰქონოდა ჩართული განათება მაშინ ავტომანქანის მძღოლი ორივეს დაინახავდა და შეძლებდა შეჯახებისაგან თავის არიდებას. როგორც ვხედავთ ამ მაგალითიდან ის რომ ერთერთ ველოსიპედისტს არ ჰქონდა ჩართული განათება მიზეზობრივ კავშირშია მეორე ველო-

სიპედისტის შეჯახების შედეგად დალუპვასთან, მაგრამ მიუხედავად ამისა მას ეს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება, რადგან არ არსებობს კავშირი დარღვეულ უსაფრთხოების ნორმასა და დამდგარ შედეგს შორის. ერთი ველოსიპედისტის მიერ შუქის ჩართვა იცავს თავად მას და არა მეორეს უბედური შემთხვევისაგან (ავტოავარიისაგან). გამოდის, რომ თუ ნორმის დაცვის მიზნის გარეთ დგას შედეგი, რომელიც განხორციელდა ამ შედეგის ობიექტური შერაცხვა ვერ მოხდება.

თვითსაფრთხის დაფუძნება (მსხვერპლის პირადი პასუხისმგებლობა) გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შედეგი ხორციელდება დაზარალებულის პირადი პასუხისმგებლობით, ანუ პირი თავისი ქმედებით საკუთარ თავს უქმნის საფრთხეს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირი აფუძნებს მიზეზობრიობას, რომელშიც ერთვება თავად მსხვერპლი და თავისი ნებელობითი ქმედებით თავის თავს აყენებს დაზიანებას დამდგარი შედეგი ამ პირს ობიექტურად არ შეერაცხება. ამ შემთხვევის საილუსტრაციოდ ლიტერატურაში მოყვანილია ორი საინტერესო მაგალითი. ა-მ ბ-სგან შეიძინა ალკოჰოლური სასმელი. სასმელის გადაჭარბებული რაოდენობის მიღების შედეგად ა-ს განუვითარდა ალკოჰოლური ინტოქსიკაცია (მონამვლა), რის შედეგადაც გარდაიცვალა. სასმელის გამყიდველს ბ-ს ეს დამდგარი შედეგი ვერ შეერაცხება რადგან სასმელის დამლევი თავის თავს ნებელობით აზიანებდა.¹⁹⁸ მეორე მაგალითის მიხედვით, ა-ს აქვს ჰეროინი, ხოლო ბ-მ შეიძინა ერთჯერადი შპრიცები. ბ-მ მოამზადა მასალა და მოათავსა ის მიე მიერ ნაყიდ ორივე შპრიცში. ამის შემდგომ ა-მ და ბ-მ ცალ-ცალკე თვითონ გაიკეთა ნარკოტიკი, რის შედეგა-

¹⁹⁸ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 124

დაც ცოტა ხანში ორივე უგონო მდგომარეობაში ჩავარდა. თვითმხილველების მიერ გამოცხადებულმა სასწრაფო დახმარებამ მხოლოდ ბ-ს გადარჩენა შეძლო, ხოლო ა დაიღუპა. შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში ა-ს გარდაცვალება (დამდგარი შედეგი) ბიექტურად შეერაცხოს ბ-ს. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ს მიერ განხორციელებული ქმედებით, რაც გამოიხატა შპრიცების შექენაში მასალის დამზადებაში და შპრიცში მოთავსებაში, რასაც შედეგად მოჰყვა ა-ს გარდაცვალება შედეგი მას ობიექტურად არ შეიძლება შეერაცხოს, რადგან ამ შემთხვევაში ა-მ პირადი პასუხისმგებლობით განახორციელა ქმედება საკუთარ ორგანიზმში თვითონ საკუთარი ნებით შეიყვანა ნარკოტიკული ნივთიერება. გამოდის, რომ დაზარალებულის მიერ პირადი პასუხისმგებლობით, საკუთარი ნებით განხორციელებული ქმედებით საკუთარი სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა, მიუხედავად სხვა პირის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირისა, ობიექტურ შერაცხვას გამორიცხავს.¹⁹⁹

ბოლოს განვიხილოთ მაგალითი, რომლის მიხედვით ნასვამი მძღოლი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობს გზაზე, როდესაც მას წინ მოულოდნელად გადმოუხტება ფეხით მოსიარულე. ავტომანქანა დაეჯახა ფეხით მოსიარულეს, რის შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა. თუ დადასტურდება, რომ მძღოლის სიფხიზლის და ავტომანქანის დასაშვები სიჩქარით მოძრაობის შემთხვევაშიც ფეხით მოსიარულესთან შეჯახება მაინც მოხდებოდა, შედეგი ობიექტურად ვერ იქნება შერაცხული. გამოდის, რომ პირს ვადლებილების დარღვევით გამონწვეული შედეგი ობიექტურად ვერ შეერაცხება, თუ დადასტურდება, რომ ეს შედე-

¹⁹⁹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 117

გი ვალდებულების დარღვევის გარეშეც იგივე ფორმით დადგებოდა.

5.8 ქმედების ობიექტური შემადგენლობის სხვა ელემენტები (ფაკულტატიური ნიშნები)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საკმაოდ არის გათვალისწინებული ისეთი შემადგენლობები სადაც მნიშვნელობა ენიჭება ობიექტური მხარის გარკვეულ ნიშნებს. ასეთ ნიშნებად გვევლინება ქმედების ჩადენის დრო, ადგილი, ვითარება, ხერხი და საშუალება. ამ ნიშნებს ფაკულტატიურ ნიშნებს უწოდებენ. ხშირად, დასახელებული ნიშნების არსებობა გადამწყვეტია, რადგან მათ გარეშე ვერ იქნება შესრულებული ქმედების ობიექტური მხარე. ზოგჯერ დასახელებული ნიშნები არ არიან დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტები, მაგრამ მათი არსებობა ზეგავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე (ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას).

ქმედების შემადგენლობის განხორციელების ხერხი.

იურიდიულ ლიტერატურაში „ხერხის“ ცნება საკმაოდ ბუნდოვანია. ერთ შემთხვევაში ლაპარაკობენ იმაზე, რომ, მაგალითად, ქურდობა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფარული ხერხია, ძარცვა – აშკარა, ყაჩაღობა – ძალადობრივი ხერხი და ა.შ. ამ ლოგიკით აშკარაა, რომ დანაშაული თვითონაა განსაზღვრული ხერხი. მეორე შემთხვევაში ლაპარაკობენ „დანაშაულის ჩადენის ხერხზე“, და მაინც იმავე შინაარსით. მაგალითად ამტკიცებენ, რომ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებაასთან დაკავშირებული წესების დარღვევისას (კონტრა-

ბანდა) ყალბი დოკუმენტების გამოყენება ამ დანაშაულის ჩადენის ხერხია. მესამე შემთხვევაში იგულისხმება „ხერხის“ კრიმინალისტური მნიშვნელობა.

ამ საკითხის გასარკვევად უნდა ამოვიდეთ იქიდან, რომ, მართალია, დანაშაული განსაზღვრული მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია, მაგრამ რამდენადაც პრაქტიკულად ხორციელდება არა „დანაშაული საზოგადოდ“ ან „ზოგადი დანაშაული“, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული ქმედების შემადგენლობა, ამდენად, თვით შემადგენლობა დანაშაულის ჩადენის ხერხია. მაგალითად, ქურდობა ხორციელდება არა ზოგადად, არამედ ამ თუ იმ შემადგენლობის განხორციელებით (მაგალითად, ბინაში, სადგომსა თუ საცავეში შეღწევით). აქედან გამომდინარე, მართებულად ვამბობთ, რომ საქმე ეხება „ქმედების შემადგენლობის განხორციელების ხერხს“. მაგალითად, წამქეზებლობის განხორციელება შეიძლება თხოვნით. მუქარით, შანტაჟით და ა.შ. მკვლელობის ზოგიერთი შემადგენლობის განხორციელება სხვა დანაშაულის დაფარვის ხერხია, ხოლო თვით მკვლელობის შემადგენლობაც შეიძლება განხორციელდეს ჩასაფრების, მიპარვის, ბინიდან მსხვერპლის გამოტყუების და ა.შ. ხერხებით.²⁰⁰

ამრიგად, „ხერხის“ ცნება გამოყენებულ უნდა იქნეს კონტექსტის მიხედვით, რადგან, ზოგადად არსებული, არაა შეცდომა იმის თქმა, რომ დანაშაული არის ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხი, ისევე, როგორც არაა შეცდომა იმისი თქმა, რომ ქურდობა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ფარული ხერხია. მიუხედავად ამისა, მაინც გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქმედების ჩადენა დანაშაულის შემადგენლო-

²⁰⁰ გ. ნაჭყეზია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2011, გვ.90

ბის განხორციელების გზითაა შესაძლებელი და მაშინ თვით ქმედების შემადგენლობა დანაშაულის ჩადენის ხერხია. ქმედების შემადგენლობაც, თავის მხრივ, ხორციელდება სხვადასხვა ხერხით (მაგალითად, მოტყუებით, შეცდომაში შეყვანით, როდესაც სახეზეა შუალობითი ამსრულებლობა, ძალადობის გამოყენებით და ა.შ). ქმედების განხორციელების ხერხზე ხშირად დამოკიდებულია თვითონ დანაშაულის სოციალური საფრთხე, ასევე ის შეიძლება იყოს თვითონ ბოროტმოქმედის პიროვნების მახასიათებელიც. ბოლოს, შეიძლება დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ხერხს ჰქონდეს კრიმინალისტური მნიშვნელობაც (მაგალითად, მძევლად ხელში ჩაგდებისას მოტყუების გამოყენება- თითქოსდა ნაცნობ ქალთან შესახვედრად მიჰყავს), რაც საინტერესოა გამოძიებისათვის, ხოლო სისსხლისსამართლებრივად უმნიშვნელოა.

ქმედების შემადგენლობის განხორციელების საშუალება (იარაღი)

ქმედების განხორციელების საშუალება (იარაღი) საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი კანონმდებლობაში. საშუალებების (იარაღის) ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სხვადასხვა საგნები და პროცესები, რომელთაც ბოროტმოქმედი იყენებს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისას (მაგალითად, წერტილოვანი გასაღები (ოტმიჩკა), საძილე საშუალება, ავტოტრანსპორტი, რადიაციული გამოსხივება და ა.შ.). საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლები სადაც დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების საშუალებად მოხსენიებულია ელექტრონული ან საინფორმაციო-ტექნოლოგიური ქსელი. დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების იარაღებს განეკუთვნება საგნები, რომელთა მეშვეობითაც ბოროტმოქმედი

უშუალოდ აყენებს ზიანს ხელყოფის ობიექტს (მაგალითად, ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა.). არის შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, პისტოლეტი (ცეცხლსასროლი იარაღი) მკვლელობისას განიხილება, როგორც დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების იარაღი, ხოლო ქურდობისას მაშინ, როდესაც პისტოლეტიდან გასროლით ხდება წინააღმდეგობის დაძლევა (კარის საკეტის დაზიანება) საცხოვრებელ ბინაში შეღწევისათვის, გვევლინება საშუალებად.

ქმედების შემადგენლობის განხორციელების საშუალება (იარაღი) ზოგჯერ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა (მაგალითად, მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას).

ქმედების შემადგენლობის განხორციელების საშუალება (იარაღი), როგორც წესი, პროცესუალური წესით უნდა იქნეს ამოღებული და საქმეზე ნივთმტკიცებად დართული, რადგან მას დიდი მტკიცებითი მნიშვნელობა აქვს.

ქმედების შემადგენლობის განხორციელების დრო და ადგილი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის დისპოზიციაში აღნიშნულია ქმედების განხორციელების ადგილი, ანუ ადგილი თუ სად, რა ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს ქმედება, რომ შესრულდეს კონკრეტული შემადგენლობა. მაგალითად, სსკ-ის 227² მუხლის (სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, განადგურება ან დაზიანება) მიხედვით ქმედების განხორციელების ადგილი სტაციონარული პლატფორმაა (ხელოვნური კუნძული, დანადგარი ან ნაგებობა, რომელიც დამაგრებულია ზღვის ფსკერზე); სსკ-ის 344-ე

მუხლის (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) შემადგენლობით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე. ქმედების შემადგენლობის განხორციელების ადგილი შეიძლება მოიცავდეს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, მაგალითად, ზღვა, სახელმწიფო ნაკრძალი ან სხვა დაცული ტერიტორია და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიციურ შემადგენლობებში ზოგჯერ პირდაპირი მითითებაა ქმედების განხორციელების ადგილზე, მაგალითად, საკუთრების წინაღმდეგ მიმართულ დანაშაულებში (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) ასეთ ადგილად გვევლინება სადგომი ან სხვა საცავი, ბინა (სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის ბ პუნქტი, მესამე ნაწილის გ პუნქტი; (სსკ-ის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის ბ პუნქტი, მესამე ნაწილის გ პუნქტი; (სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის ა პუნქტი, მესამე ნაწილის ბ პუნქტი.).

ქმედების შემადგენლობის განხორციელების დრო, როგორც ქმედების ობიექტური შეადგენლობის ნიშანი განსხვავებით სხვა ფაკულტატიური ნიშნებისაგან საკმაოდ იშვიათად გვხვდება. დროის ცნება ამ მიმართებით ხასიათდება გარკვეული ხანგრძლივობით ან იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტორების არსებობით. მნიშვნელოვანია, რომ თუ ქმედება არ განხორციელდა დროის კონკრეტულ მონაკვეთში, რომელიც მითითებულია შემადგენლობაში მაშინ დანაშაულიც სახეზე არ გვექნება. ქმედების შემადგენლობის განხორციელების დროზე, როგორც ფაკულტატიურ ნიშანზე მითითებულია, მაგალითად, სსკ-ის 411-ე მუხლი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს; სსკ-ის 359-ე მუხლი, ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის

ან გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება და სხვა.

ქმედების შემადგენლობის განხორციელების ვითარება

„ვითარება“ ამ შემთხვევაში შეფასებითი ცნებაა, რომელიც ხშირად თან ახლავს ქმედებას და განსაზღვრავს მისი სოციალური საშიშროების ხასიათსაც და ხარისხსაც. მაგალითად, ქმედების შემადგენლობის განხორციელება ბუნების სტიქიური ძალების, ეკოლოგიური კატასტროფის გამო შექმნილ ვითარებაში პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა, რადგან, ნაცვლად იმისა, რომ ამ ვითარებაში ადამიანები ერთმანეთს შველოდნენ, ზოგიერთი ანტისაზოგადოებრივი ელემენტი, პირიქით, ამ ვითარებით სარგებლობს.

ქმედების შემადგენლობის განხორციელებისას „ვითარება“ შეიძლება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაც აღმოჩნდეს (მაგალითად, ქმედების შემადგენლობის განხორციელება მძიმე პირად ან ოჯახურ ვითარებაში). უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, რთული ვითარების გამო, მომგერიებელი შეიძლება დაიბნეს (მაგალითად, მოჩვენებითი მოგერიებისას), რაც პასუხისმგებლობისაგან მისი გათავისუფლების საფუძველი ხდება.

ქმედების ობიექტური შემადგენლობის ფაკულტატიურ ნიშნებს, როგორც ვხედავთ სამნაირი მნიშვნელობა გააჩნიათ. პირველი – ისინი სავალდებულონი არიან, თუ მათზე მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში, სადაც განსაზღვრულია დანაშაულის შემადგენლობის ძირითადი ნიშნები. მაგალითად, გემის კაპიტნის მიერ იმ ადამიანებისათვის დახმარების აღმოუჩენლობა, რომლებიც განსაცდელში არიან, მხოლოდ იმ შემთხვევაშია, დანაშაული თუ ეს მოხდა ღია ზღვაში ან სხვა წყალსავალ გზაზე (სსკ 279-ე მუხლი). ობი-

ექტური შემადგენლობის ფაკულტატური ნიშნების მეორე მნიშვნელობა იმაშია, რომ მათ შეუძლიათ ძირითადი შემადგენლობა გადააქციონ კვალიფიციურ შემადგენლობად.

მოქმედ კანონმდებლობაში გვხვდება ნორმები, როდესაც კანონმდებელი ფაკულტატურ ნიშნებს იყენებს როგორც ძირითად, ისე კვალიფიციურ შემადგენლობაში, მაგალითად, სსკ-ის 301-ე მუხლში (უკანონო ნადირობა). მითითებულია ისეთი ნიშნები, როგორიცაა აკრძალული ადგილი, აკრძალული დრო, კერძოდ, ნადირობა აკრძალულ ვადებში, ნადირობა აკრძალული იარაღებით და საშუალებით, ხოლო სსკ 301-ე მუხლის მე-2 ნაწილში ისევ ვხვდებით ისეთ კვალიფიციურ ნიშნებს, როგორიცაა სახელმწიფო ნაკრძალები ან დაცული ტერიტორიები, სადაც ნადირობა მთლიანად აკრძალულია ანდა მექანიკური ან სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების საშუალებით ან საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ შეტანილი ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირ-ფრინველზე, აგრეთვე, საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში. ასეთ შემთხვევაში ჯერ უნდა დადგინდეს ძირითადი შემადგენლობის ნიშანი (მაგალითად, ნადირობა აკრძალულ დროს) და მხოლოდ ამის შემდეგ მაკვალიფიცირებელი ნიშანი. (მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენება).

თუ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ფაკულტატური ნიშნები მოცემულნი არიან, როგორც აუცილებელი ან მაკვალიფიცირებელი ნიშნები, მაშინ ქმედების შემადგენლობის სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში ისინი ქმნიან ჩადენილი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სამართლებრივ საფუძველს.

იმ შემთხვევაში თუ ქმედების ობიექტური შემად-

გენლობის ფაკულტატური ნიშანი არ არის მითითებული კონკრეტული სისხლისსამართლებრივ ნორმაში, როგორც სავალდებულო ან მაკვალიფიცირებელი ნიშანი, მაშინ იგი შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სასჯელის დანიშვნისას, როგორც შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება.

ამრიგად, ქმედების ობიექტური შემადგენლობის ფაკულტატური ნიშნების მნიშვნელობა იმაშია, რომ ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ ქმედების შემადგენლობის აუცილებელ (კონსტრუქციულ) ნიშნებს, დანაშაულებრივი ქმედების მაკვალიფიცირებელი ნიშნებს, ისინი არ ახდენენ ზეგავლენას ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე, მაგრამ სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის დანიშვნისას ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას.

ბოლოს გვინდა მოვიყვანოთ კაზუსის ამოხსნის მაგალითი ობიექტური შერაცხვის კატეგორიასთან მიმართებით:

ა-ს სურდა საცხოვრებელი ბინის გაფართოვება და სახლზე მეორე სართულის დაშენება. იმისათვის, რომ მშენებლობის ნებართვა მოეპოვებინა, ესაჭიროებოდა მეზობელი ბ-ს თანხმობა. ბ თანხმობის მიცემაზე უმიზეზოდ გამუდმებით უარს ეუბნებოდა ა-ს. ამაზე განაწყენებულმა ა-მ შელაპარაკების დროს მოკვლის განზრახვით გულ-მკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა ბ. შემთხვევიდან რამოდენიმე წუთში დაჭრილი ბ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფს გადაყავდა საავადმყოფოში, რა დროსაც გზაზე მძღოლმა, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანას მართავდა, გამოიჩინა უყურადღებობა და გაიარა წითელზე, რის გამოც შეეჯახა სწრაფად მიმავალ სატვირთო ავტომობილს. ავტოავარიის შედეგად

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა რამდენიმეჯერ გადაბრუნდა, მანქანაში მყოფი პაციენტი დაიღუპა.

როგორ დაკვალიფიცირდება ა-ს ქმედება?

პიპოთეზა: შესაძლებელია ა-ს ბ-ს გულ-მკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობის მიყენების გამო დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული განზრახი მკვლელობისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) ქმედება

ა-ს მიერ ჩადენილ იქნა ქმედება, გამოხატული მოქმედებაში. ადამიანისთვის, ამ შემთხვევაში ბ-სთვის ცეცხლსასროლი იარაღით გულ-მკერდის არეში ჭრილობის მიყენება.

ბ) შედეგი

სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, სხვა ადამიანის სიკვდილი სახეზეა: ბ გარდაიცვალა.

გ) მიზეზობრივი კავშირი

დასადგენია, ა-ს მიერ მიყენებული ჭრილობა წარმოადგენდა თუ არა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის აუცილებელ პირობას, რომლის გარეშეც ბ-ს სიკვდილი არ განხორციელდებოდა. ე.ი. ა-ს მოქმედება იყო თუ არა ამ შედეგთან მიზეზობრივ კავშირში.

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა ქმედება წარმოადგენდა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხ-

ორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.

მიზეზობრიობის პირობათა თეორიის მიხედვით, ყველა პირობა არის თანაბარმნიშვნელოვანი, რომელმაც წვლილი შეიტანა შედეგის დადგომაში. შესაბამისად ა-ს ბ, რომ არ დაეჭრა, ის არ დაშავდებოდა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ნამქანაში არ აღმოჩნდებოდა და ავტოავარიის შედეგად არ დაიღუპებოდა. აქედან გამომდინარე ა-ს ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან, ბ-ს სიკვდილთან. მაგრამ, როგორც ვხედავთ უშუალოდ შედეგი დადგა არა ა-ს მიერ განხორციელებული ქმედების, გასროლის შედეგად, არამედ მოვლენები განვითარდა არატიპიურად, შედეგი ბ-ს დაღუპვა გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევამ, რომლის განვითარებაც ა-სთვის წარმოუდგენელი იყო. ატიპიური არის გარემოებათა ნებისმიერი ისეთი განვითარება, რომელიც მოვლენათა ჩვეულებრივი მიმდინარეობისა და ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი.

დ) ობიექტური შერაცხვა

რადგან სახეზე გვაქვს მიზეზობრივი კავშირის ატიპიური განვითარება დასადგენია, შეერაცხება თუ არა ა-ს დამდგარი შედეგი ობიექტურად.

ქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი შედეგი პირს ობიექტურად შეერაცხება მაშინ, თუ მან ამ მოქმედებით შექმნა ან აამაღლა სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე (რისკის მდგომარეობა), რომელიც ქმედების შემადგენლობის შესაბამის კონკრეტულ შედეგში იქნა რეალიზებული. ამასთან სანყის ეტაპზე არ არსებობდა ამგვარი რისკი. ამრიგად, ობიექტური შერაცხვის ეტაპზე უნდა დადგინდეს სამი მნიშვნელოვანი ელემენტი:

ა) პირმა მოქმედებით რისკის მდგომარეობა შექმნა თუ არა;

ბ) ეს რისკი სამართლებრივად დასაძრახი იყო თუ არა;
გ) ამ რისკმა კონკრეტული შედეგი გამოიწვია თუ არა;
მაშასადამე, ა-მ ბ-ს გულ-მკერდის არეში ქრილობის მიყენებით შექმნა მისი სხეულის სასიცოცხლო ორგანოების დაზიანების სამართლებრივად დასაძრახი რისკი (საფრთხე), მაგრამ ბ-ს სიკვდილი მოვლენის ატიპიურმა განვითარებამ გამოიწვია. კონკრეტულ შედეგში ა-სს მიერ ცეცხლსასროლი იარაღის სროლით შექმნილი საფრთხის ნაცვლად სრულიად სხვა სახის რისკის რეალიზება მოხდა, რომლის წარმოშობაც ა-ს მიერ იარაღის სროლასთან შინაარსობრივად დაკავშირებული არ არის. ავტოკატასტროფაში მოყოლის საფრთხე ვინმესთვის ცეცხლსასროლი იარაღის სროლით არ წარმოიშობა და არც ხარისხობრივად იზრდება. ავარიის შედეგად ბ-ს სიკვდილის დადგომის საფრთხე ა-სს თავისი ქმედებით უშუალოდ არ გამოუწვევია. მოცემულ შემთხვევაში ა-მ შექმნა სამართლებრივად დასაძრახი რისკი, რომელიც ქმნიდა ცეცხლსასროლი იარაღის სროლით საფრთხეს და არა ავტოკატასტროფით ადამიანის სიცოცხლის მოსპობის საფრთხეს. ამირტომ ა-ს ბ-ს სასიკვდილო შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება. ატიპიური მიზეზობრიობის შემთხვევაში შედეგის ობიექტური შერაცხვა არ ხდება, პასუხისმგებლობა დგება დანაშაულის მცდელობისათვის.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ა მოქმედებდა განზრახ.

განზრახვა, როგორც ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნება გულისხმობს, რომ პირს აქვს მოვლენათა განვითარებაზე ზეგავლენის მოხდენის რეალური შესაძლებლობა. ის, ვინც განზრახ დანაშაულს სჩადის, ყოველთვის

მოქმედებს შედეგის დადგომის სურვილით ან ყოველთვის ითვალისწინებს შედეგის დადგომის გარდუვალობას ან შესაძლებლობას. პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს პირი მოქმედებს გამიზნულად. ამ შემთხვევაში არსებობს მიზანმიმართული სურვილი.

ა-მ იმიტომ მიაყენა ბ-ს გულ-მკერდის არეში ჭრილობა, რომ მოეკლა. ის მოქმედებდა პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით.

მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები არ გვაქვს

ბრალი

ბრალის გამომრიცხველი გარემოებები კაზუსში არაა მოცემული

დასკვნა

ა-მ ბ-ს გულ-მკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობის მიყენებით განახორციელა სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება განზრახ მკვლელობის მცდელობა.

სასამართლო პრაქტიკა

(ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშნის გავლენა კვალიფიკაციაზე)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 ნოემბრის განაჩენით გ.გ-ა და გ. ს-ი ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვრათ 6-6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით გ.გ-სა და გ.ს-ს მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა გ.გ-მ და გ.ს-მ და მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა საჩივრის მოთხოვნას მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა გ.გ-სა და გ.ს-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, მხარეთა მონაწილეობით, განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წელის 28 იანვრის განაჩენით აპელანტთა საჩივრის მოთხოვნა დააკმაყოფილა: გ.გ. და გ.ს. საქართველოს სსკ-ის 180 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით ინკრიმინირებულ ქმედებაში ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ.

სააპელაციო სასამართლომ გ.გ-სა და გ.ს-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დასაბუთებაში მიუთითა, რომ ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას. აღნიშნული საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა და მოითხოვა გ.გ-სა და გ.ს-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა. საკასაციო პალატამ განიხილა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორის საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს გ.გ-სა და გ.ს-ს ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არსებობის შესახებ და აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით უტყუარად არის დადგენილი გ.გ-სა და გ.ს-ს მიერ დაზარალებულის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის დაუფლების ფაქტი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გ.გ-სა და გ.ს-ს ქმედებები დაზარალებული მ.კ-ს შეცდომაში შეყვანის და მისი მოტყუების, რაც თაღლითობით ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს და შესაბამისად, არ შეიძლება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნეულ იქნეს შემდგომში მსჯავრდებულის მხრიდან ვალის აღიარების გაფორმება, რაც გახდა

სააპელაციო სასამართლოს მიერ მათი გამართლების ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი.²⁰¹

საკასაციო პალატის მოსაზრებით გ.გ-სა და გ.ს-ს ქმედებაში სახეზეა საქართველოს სსკ-ის 180 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.

²⁰¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 ივლისის N 52-აპ-13 განჩინება

თავი VI- ქვედახის სუბიექტური შემადგენლობა

6.1 ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, ცნება და ნიშნები

დანაშაულებრივი ქმედება გარდა ობიექტური შემადგენლობის ნიშნებისა, განიხილება მოქმედი პირის ნების შინაარსის მიხედვით და ამ შემთხვევაში უნდა გაირკვეს იმ წარმოდგენებისა და ემოციების შინაარსი, რომლებიც თან ერთვის პირის ნების გარეგან გამოვლინებას (ქმედებას), ანუ ის პროცესები, რომლებიც პირის ფსიქიკაში მიმდინარეობს.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა გამოხატავს ქმედების ჩამდენი პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებისადმი.²⁰² ქმედების სუბიექტური მხარის შემადგენლობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ფსიქიკის ორი ელემენტი-ინტელექტუალური ანუ შემეცნებითი და ნებელობითი.

სისხლის სამართლის კანონის ინტელექტუალური და ნებელობითი მომენტების შინაარსისა და თანაფარდობის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა დანაშაულის კლასიკური სისტემის მომხრეების მიერ მიჩნეულია ბრალის ფორმებად, რასაც არ იზიარებს ფინალური მოძღვრება, რომელიც განზრახვასა და გაუფრთხილებლობას მიიჩნევს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებად, ანუ განზრახვა და გაუფრთხილებლობა შეაქვს ქმედების ცნებაში.²⁰³ ფინალური მოძღვრების თანახმად, განზრახვა ბრალის ელემენტს კი არ წარმოადგენს, არ-

²⁰² თ.დონჯაშვილი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2002, გვ.115

²⁰³ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ.260-261

ამედ, იგი არის თვით მოქმედების შემადგენელი არსებითი ნაწილი. ეს კი უკვე აღარ არის „ბოროტი განზრახვა“- ესე იგი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ზნეობრივად გასაკიცხი. განზრახვა კეთილია თუ ბოროტი, ეს უნდა გაირკვეს ბრალზე მსჯელობის დროს. ბრალი შეფასებითი კატეგორიაა, ხოლო განზრახვა კი არის ფაქტობრივი გარემოება- ქმედების შემადგენელი ნიშანი.

განზრახვასთან ერთად, თუ რომელი კონკრეტული სუბიექტური კომპონენტები წარმოადგენს ქმედების შემადგენლობას, ხოლო რომელი ბრალის ნიშნებს, ინვესს აზრთა სხვადასხვაობას.²⁰⁴ განზრახვი დანაშაულის ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნებს ყველა შემთხვევაში წარმოადგენს სპეციალური მიზანი და უმართლობის დამაფუძნებელი მოტივები, ხოლო ანგარება, ხულიგნური და სხვა დაბალი ქვენაგრძობები, როგორც პერსონალური ნიშანი, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, როგორც ბრალის ნიშანი შეერაცხება მხოლოდ იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც უშუალოდ ახასიათებს იგი.²⁰⁵

ფინალური თეორიის მიხედვით გაუფრთხილებლობის ორივე ფორმას, როგორც თვითიმედოვნებას ასევე დაუდევრობას გააჩნია სუბიექტური შემადგენლობა. მიუხედავად ამისა შეიძლება ვალიაროთ ის, რომ, მხოლოდ თვითიმედოვნების დროს არსებობს ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, რადგან წინდახედულობის ნორმით გათვალისწინებული მოვალეობის დარღვევა გულისხმობს პირის

²⁰⁴ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ.260-261

²⁰⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 127

მიერ ქმედების ობიექტური შემადგენლობის გარემოებების ცოდნას. დაუდევრობისას კი არ არსებობს ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვა (პირდაპირი და არაპირდაპირი) და თვითიმედოვნება დგინდება ფაქტობრივი გარემოებების ცოდნისა და ნებელობის სახით, ხოლო რაც შეეხება დაუდევრობას, მას ქმედების სუბიექტური შემადგენლობა არ გააჩნია (ცოდნა და ნებელობა) და ამდენად, განიხილება ქმედების შემადგენლობის ეტაპზე. დაუდევრობისას არსებობს, მხოლოდ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს წარმოადგენს განზრახვა და თვითიმედოვნება და სხვა სუბიექტური ნიშნები (მოტივი და მიზანი).

6.2 განზრახვა და მისი სახეები (ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტები)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განზრახვა არის ორი სახის: პირდაპირი განზრახვა და არაპირდაპირი განზრახვა.

ამ მუხლის მიხედვით, განზრახვა არის სამკომპონენტო: პირის ცოდნა, ნებელობა და მართლწინააღმდეგობის შეგნება, რომ იგი ახორციელებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას. პირველი ორი კომპონენტი დგინდება ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ხოლო მესამე კი – ბრალის ეტაპზე.²⁰⁶

განზრახვის ინტელექტუალური (ცოდნის) მომენტი

²⁰⁶ ა. შენგელია, თ. დოლიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2016, გვ. 33-34

გულისხმობს იმის შეცნობას, გათვალისწინებას, რასაც მოქმედი პირი აკეთებს, (სხვაგვარად რომ ვთქვათ, განზრახვის ინტელექტუალური მომენტი გამოიხატება ქმედების შემადგენლობის ობიექტური გარემოებების აქტუალურ ცოდნაში). ადამიანს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს, რას მოქმედებს, როგორ ხერხს იყენებს მიზნის მისაღწევად. შედეგიანი (მატერიალური) დელიქტების შემადგენლობის განხორციელების დროს განზრახვის ინტელექტუალური მომენტი ქმედებასთან ერთად, უნდა მოიცავდეს აგრეთვე შედეგსა და მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის. განზრახვის ინტელექტუალური მომენტისათვის საკმარისია, მოქმედს წარმოდგენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის კანონით აღწერილი დანაშაულის ნიშნები. ასევე განზრახვის არსებობისათვის არაა აუცილებელი და საჭირო პირის სრული დარწმუნება მისი ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში (შედეგის დადგომაში), საკმარისია, ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობის შეცნობა პირის მიერ, მაგალითად: როცა პეტრე პავლეს მკვლელობის მიზნით თოფს ესვრის, პეტრეს სურს პავლეს მოკვლა, იცის, რომ ტყვიით ადამიანი შეიძლება მოკვდეს და პეტრეს აქვს მართწინააღმდეგობის შეგნება. პეტრე განზრახ მოქმედებს, იმის მიუხედავად, რომ იგი არაა აბსოლუტურად დარწმუნებული მავნე შედეგის დადგომაში.

განზრახვის ნებელობითი ანუ ვოლუნტატიური ნიშანი გულისხმობს სურვილს იმისა, რასაც მოქმედი აკეთებს. განზრახვის ნებელობითი ელემენტი შეიძლება გაგებულ იქნას ორგვარად: დისკრეფციულ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობით (აღწერილობითი) და ნორმატიულ-შერაცხვითი (შეფასებითი) მნიშვნელობით. დისკრეციული მნიშვნელო-

ბით ნებელობა გულისხმობს, რომ დამნაშავეს სურდა შედეგის დადგომა. ნორმატიული მნიშვნელობით ნებელობა ნიშნავს, რომ დამნაშავეს შედეგის დადგომა ფსიქოლოგიური გაგებით არ სურდა, არ ჰქონდა გამიზნული. აქედან გამომდინარეობს ვოლუნტატური ელემენტის ორგვარი მნიშვნელობა: ნებელობა, როგორც შედეგის სურვილით (პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა) და ნებელობა, როგორც შედეგის სურვილის გარეშე (მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა და არაპირდაპირი განზრახვა) ჩადენილი აქტის სუბიექტური გამოხატულება.²⁰⁷

სსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქმედება **პირდაპირი განზრახვითაა** ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და 1)სურდა ეს შედეგი, ანდა 2)ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. მაგალითად, ა-მ წაუკიდა ცეცხლი სახლს სადაც იმყოფებოდა ბ, რომლის სიკვდილიც მას სურდა, სახეზეა პირდაპირი განზრახვა, რადგან არსებობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება და შედეგის დადგომის, ბ-ს სიკვდილის, სურვილი; ა-მ წაუკიდა ცეცხლი სახლს ქონების განადგურების მიზნით. მან იცოდა, რომ სახლში იმყოფებოდა ბ, რომლის სიკვდილიც მას არ სურდა, მაგრამ დარწმუნებული იყო შედეგის დადგომის, ბ-ს სიკვდილის, გარდუვალობაში. რადგან აქაც არსებობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება, ასევე მიუხედავად პირველი მაგალითისაგან განსხვავებული დამოკიდებულებისა შედეგისადმი ანუ, არა სურვილი, არამედ შედე-

²⁰⁷ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 130

გის განხორციელების გარდაუვალობის გათვალისწინება, ამ შემთხვევაშიც სახეზეა პირდაპირი განზრახვა. ასევე, მაგალითად: თვითმფრინავში ჩადებულია ასაფეთქებელი მოწყობილობა რომელიმე მგზავრის მოკვლის მიზნით. ეს მოწყობილობა აფეთქდება იმ დროს, როცა თვითმფრინავი ჰაერში ავა და მაშასადამე რამდენიმე კილომეტრით იქნება დაცილებული დედამიწას. დამნაშავეს არ აქვს სხვა მგზავრების და ეკიპაჟის მოკვლის სურვილი, თუმცა, წარმოდგენილი აქვს მათი დაღუპვის გარდაუვალობა. ამ შემთხვევაშიც ამფეთქებელი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით.²⁰⁸

ყოველთვის იქ, სადაც შედეგის დადგომის გარდაუვალობაა წარმოდგენილი, სახეზე გვაქვს პირდაპირი განზრახვა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია დამნაშავეს არ სურდეს შედეგი (არაპირდაპირი განზრახვის დროსაც პირს არ სურს შედეგი). ამ დროს შედეგის სურვილი მართალია, პირდაპირ არ არის გამოხატული, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ დამნაშავეს ამ შედეგის განხორციელება არ უნდოდა. თუ არ არის სურვილი, სამაგიეროდ, არის ნდობა თვითმფრინავის ამფეთქებელს ზემოთ მოყვანილ მაგალითში შეუძლია თქვას, რომ მას არ სურდა სხვა მგზავრების და ეკიპაჟის წევრების დაღუპვა, მაგრამ იგი ვერ იტყვის, რომ არ უნდოდა მათი დაღუპვა, სხვაგვარად იგი მიზანს ვერ მიაღწევდა, ეს თანამდევნი შედეგი განუწყურელადაა დაკავშირებული დამნაშავეს მიერ დასახულ მიზანთან. აქ საქმე გვაქვს დამნაშავეს ისეთ ნებელობასთან, რომელიც ერთობლივად მოიცავს დამდგარ შედეგს, რომლის დადგომაც მას გარდაუვლად მიაჩნია და ასეთი ქმედება მოცულია პირდაპირი განზრახვით.²⁰⁹

²⁰⁸ ო.გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ, 2005, გვ. 96-97

²⁰⁹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტე-

პირდაპირი განზრახვა არის ორი სახის: პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა.

პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა გვაქვს მაშინ, როდესაც პირი მოქმედებს გამიზნულად, ინტენსიურია ვოლუნტატური ელემენტი, მიზანმიმართული სურვილი, ხოლო კოგნიტიური ელემენტი (ცოდნა) შეიძლება ნარმოდგენილი იყოს, მხოლოდ, როგორც შესაძლებელი და არ არის აუცილებელი, როგორც გარდაუვალი. მაგალითად, ა ესვრის ბ-ს მისი მოკვლის მიზანმიმართული სურვილით (ვოლუნტატური ელემენტი). მიუხედავად იმისა ა შედეგის დადგომას შესაძლებლად თუ გარდაუვალად მიიჩნევს (კოგნიტიური ელემენტი), სახეზეა პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა.²¹⁰

საფრთხის თეორიის მიხედვით, პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით მოქმედებს პირი, რომელსაც შეგნებული აქვს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის უშუალო, კონკრეტული საფრთხე და სურს, რომ იგი განახორციელოს, რადგან სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხის რეალიზაცია (შედეგი) მისი მოქმედების მიზანს წარმოადგენს.²¹¹

მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა სახეზეა მაშინ, როცა პირს გამიზნულად არ სურს, მაგრამ გარდაუვლად მიიჩნევს თავისი მოქმედებით ქმედების შემადგენლობის განხორციელებას, განსაკუთრებით, შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომას, როცა შედეგი სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალებაა. მეორე

ბა, თბ, 2005, გვ.96-97

²¹⁰ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 132

²¹¹ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ, 2011, გვ 278

ხარისხის პირდაპირი განზრახვა ხასიათდება კოგნიტიური ელემენტის განსაკუთრებული ინტენსივობით. ვოუნტატური ელემენტი კი გულისხმობს, რომ ვინც დარწმუნებულია შედეგის დადგომის გარდუვალობაში, მას აქვს ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნებელობაც, მაშინაც კი, როდესაც ეს მისთვის არასასურველია.²¹² მაგალითად: ა-მ ააფეთქა თავისი სუპერმარკეტი სადაზღვევო კომპანიისაგან თანხის მიღების მიზნით. მაღაზიის ზედა სართულზე ცხოვრობს ბ. ა-ს არ სურს ბ-ს სიკვდილი, მაგრამ, განიხილავს, როგორც მიზნის-თანხის მიღების მიღწევის აუცილებელ საშუალებას. ამასთან, ა დარწმუნებულია, რომ ბ აფეთქების შედეგად ვერ გამოაღწევს ბინიდან და დაიღუპება (ბ-ს სიკვდილის გარდაუვალობაშია დარწმუნებული). ამ შემთხვევაში, რადგან ა დარწმუნებული იყო, რომ ბ დაიღუპებოდა, ამასთან ეს შედეგი მისთვის არასასურველი, მაგრამ გარდუვალად მიიჩნეოდა, სახეზე გვექნება მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა.

განზრახვის მეორე და რთული ფორმაა **არაპირდაპირი ანუ ევენტუალური განზრახვა**. სსკ მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, 1) მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან 2) გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. არაპირდაპირი გაზრახვა პირდაპირი განზრახვისგან განსხვავებით, როგორც ცოდნის, ასევე ნებელობის დაბალი ხარისხით ხასიათდება. არაპირდაპირ განზრახვას როგორც ავლნიშნეთ, ასევე უწოდებენ ევენტუალურ გაზრახვას, ევენტუალური

²¹² მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 279

გაზრახვით მოქმედებს პირი, ვინც ქმედების შემადგენლობის განხორციელებას შესაძლებლად მიიჩნევს (კოგნიტური, ცოდნითი ელემენტი), და შეგნებულად უშვებს მას ან გულგრილად ეკიდება (ვოლუნტატური, ნებელობითი ელემენტი). მაგალითად, ა-მ ცეცხლი წაუკიდა თავის სუპერმარკეტს სადაზღვევო კომპანიისაგან თანხის მიღების მიზნით. მაღაზიის ზედა სართულზე ცხოვრობს ბ. თუ ა-ს მაღაზიის ცეცხლის წაკიდებით გაჩენილი ხანძრის შედეგად ბ-ს დაღუპვა მხოლოდ შესაძლებლად მიაჩნია, რადგან ფიქრობს, რომ ის დროზე გაასწრებს ხანძარს ან მაშველები გადაარჩენენ სახეზეა ევენტუალური განზრახვა.

ევენტუალური განზრახვისას ბოროტმოქმედს შედეგის დადგომა არ სურს, არ სჭირდება, არც როგორც საბოლოო მიზანი და არც, როგორც სხვა მიზნის მიღწევის საშუალება. პირი არ არის დაინტერესებული რაიმე სახის მავნე შედეგის დადგომაში. არაპირდაპირი განზრახვის სპეციფიკა მდგომარეობს (არა სურვილი, არამედ შედეგის შეგნებული დაშვება) იმაში, რომ ბოროტმოქმედი ითვალისწინებს რა მისი ქმედება გამოიწვევს არასასურველ შედეგს, მაინც ახორციელებს მას, ამასთან არ უშვებს რაიმე კონკრეტულ გარემოებას, რომელსაც შეეძლო შედეგი თავიდან აეცილებინა.

არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ შედეგის ფაქტობრივი დადგომისას, რომელიც წარმოიშვა მათი შეგნებული დაშვებისას. ევენტუალური განზრახვა გამორიცხულია ფორმალური შემადგენლობის დროს.

ევენტუალური განზრახვა არის ზუსტად ისეთი სიტუაცია, როდესაც დამნაშავემ, ერთი მხრივ, ზუსტად არი იცის, თავისი მოქმედებით ნამდვილად გამოიწვევს თუ არა განსაზღვრულ შედეგს. მას ეს შედეგი მხოლოდ შესა-

ძლოდ მიაჩნია. მეორე მხრივ, მას უნდა, თავისი ქმედება ამ შედეგისკენ წარმართოს, მაგრამ არა მიზანმიმართულად.²¹³

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში აღწერილ ქმედებების შემადგენლობებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ განზრახი დანაშაულების ორი სახე იკვეთება: პირველი სახე არის ის, რომლის ჩადენაც მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხდება. ამ სახის დანაშაულები ისეა აღწერილი, დეტერმინირებული, რომ მათი ჩადენა არც არაპირდაპირი განზრახვით და მითუმეტეს არც გაუფრთხილებლობით არ შეიძლება. ესენია გამიზნითი დანაშაულები, ანუ სადაც მიზანი არის ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი (მიზნით დაფუძნებული დელიქტი). ეს ნიშანი- მიზნის არსებობა გამორიცხავს ამ დანაშაულების არაპირდაპირი განზრახვით ჩადენას მაგალითად, ასეთი დანაშაულებია: ქურდობა (სსკ-ის 177-ე მუხლი), ძარცვა (სსკ-ის 178-ე მუხლი), ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხლი) და სხვა, სადაც სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი არის ამ დანაშაულთა აუცილებელი ნიშანი და შესაბამისად, ასეთი დანაშაულები ჩადენილია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

პირდაპირი განზრახვით შეიძლება განხორციელდეს ისეთი ძალადობითი დანაშაულის შემადგენლობაც, როგორცაა მაგალითად, გაუპატიურება (სსკ-ის 137-ე მუხლი). აქ, მიზანი, მართალია, პირდაპირ არ არის ნახსენები, მაგრამ იგულისხმება. ასეთივე შემადგენლობებია აღწერილი სსკ-ის 138-ე, 139-ე და სხვა მუხლებითაც. ასეთ შემადგენლობებში ძალადობითი ხერხი თავისთავად გულისხმობს მიზანმიმართულებას, გამიზვნას, რაც ასევე გამორიცხავს მათ ჩადენას არაპირდაპირი განზრახვით.

²¹³ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 283

ვხვდება ისეთი დელიქტებიც, რომელთა ჩადენა შესაძლებელია, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი განზრახვითაც. მაგალითად, მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხლი, 109-ე მუხლი) შეიძლება ჩადენილი იქნას როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი განზრახვით.

გამოყოფენ ე.წ. სპეციალურ განზრახვას. სპეციალურ განზრახვად უნდა ჩაითვალოს ისეთი განზრახვა, როდესაც პირის ქმედება მიმართულია კონკრეტული საგნის დაუფლებისკენ. სსკ ითვალისწინებს დანაშაულებს რომელთა დამაფუძნებელი ნიშანია სპეციალური დანაშაულის საგანი, სსკ-ის 183-ე მუხლი (განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით), სსკ-ის 237-ე მუხლი (იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა), სსკ-ის 264-ე მუხლი (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა). ამ მუხლებში მითითებული საგნების დაუფლებისას ბოროტმოქმედს უნდა გააჩნდეს ამ ნივთების დაუფლების სურვილი და მიზანი. მაგალითად: თუკი ყაჩაღობის დროს გატაცებული იქნა ხელჩანთა, რომელშიც ფულთან ერთად იდო პირადობის მოწმობა და აღნიშნული უცნობი იყო თავდამსხმელისათვის და მას არ სურდა ამ მოწმობის მისაკუთრება, მაშინ პირი დაისჯება მხოლოდ ყაჩაღობისათვის. ხოლო თუკი პირს სურდა ამ მოწმობის მისაკუთრებაც, დაისჯება ასევე სსკ 363-ე მუხ-

ლითაც (დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება).

6.3 განზრახვის სხვა სახეები

მართალია, კანონმდებელი იფარგლება განზრახვის მხოლოდ ორი სახის- პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის მითითებით, მაგრამ სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებობს განზრახვის სხვა სახეებიც. განზრახვის სხვა სახეებს მიეკუთვნება წინმსწრები და შემდგომი განზრახვა, ალტერნატიული განზრახვა, კონკრეტიზირებული და არაკონკრეტიზირებული განზრახვა, კუმულაციური განზრახვა, გენერალური განზრახვა, წინასწარ მოფიქრებული და უეცრად წარმოშობილი განზრახვა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ პირს განზრახვა უნდა ჰქონდეს მაშინ, როდესაც ის სჩადის ქმედებას. ამიტომაც წინმსწრები და შემდგომი განზრახვა გავლენას არ ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე არამედ მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის განზრახვა, რომელიც პირს უშუალოდ გააჩნდა ქმედების ჩადენისას. **წინმსწრები განზრახვა** არსებობს მაშინ, როდესაც ის წინ უსწრებს ქმედების ჩადენას, ანუ მანამ სანამ პირი რაიმე ქმედების განხორციელებას დაიწყებს დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. მაგალითად, ა-მ გადაწყვიტა ბ-ს მოკვლა მასთან არსებული დიდი ხნის უთანხმოების გამო, მაგრამ მანამ სანამ რაიმეს მოიმოქმედებდა გადაუარა ამ გრძნობამ (განზრახვამ). რამოდენიმე დღეში ა თავისი ავტომანქანით, რომელსაც თვითონ მართავდა შემთხვევით დაეჯახა ფეხით მოსიარულე ბ-ს და

სიცოცხლე მოუსპო მას. ასეთ შემთხვევაში ა არ მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში განზრახ მკვლელობისათვის, არამედ მისი ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, რადგან სახეზეა წინმსწრები განზრახვა. ყოველთვის მნიშვნელოვანია ყურადღების მიქცევა კონკრეტულად ქმედების განხორციელების დროს ჰქონდა თუ არა პირს განზრახვა თუ მოქმედებდა მის გარეშე, მიუხედავად წინარე არსებული სურვილისა მსხვერპლისთვის მიეყენებინა სიკვდილი (ან ჰქონოდა სხვა რაიმე შედეგის დადგომის განზრახვა). მაგალითად, წარმოვიდგინოთ ისევ ხანგძლივი კონფლიქტური სიტუაცია ა-ს და ბ-ს შორის, რის გამოც პირველმა გადაწყვიტა ამ უკანასკნელის რამოდენიმე დღეში მოკვლა. მაგარამ სანამ ა რაიმეს მოიმოქმედებდა თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად აბსოლუტურად შემთხვევით ნადირობისას მოკლა ბ. ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ რახან დადგა ა-სთვის სასურველი შედეგი და მას ჰქონდა განზრახვა მოეკლა ბ თუ გინდ რამოდენიმე დღეში საქმე გვაქვს განზრახ მკვლელობასთან. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა ამ შემთხვევაშიც ა-ს ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ბ-ს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის, რადგან აქაც სახეზეა წინმსწრები განზრახვა. ა-ს გააჩნდა წინმსწრებად ბ-ს მოკვლის განზრახვა თუმცა ამისათვის ნადირობისას შემთხვევითი გასროლის დროს ჯერჯერობით არანაირი ქმედება არ განუხორციელებია, არამედ შედეგი გამოიწვია გაუფრთხილებლობით.

შემდგომი განზრახვა გვაქვს ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირს განზრახვა წარმოეშვა უკვე მას შემდეგ, რაც გარკვეული შედეგი უკვე დადგა. მაგალითად, ა-მ ნადირობისას თოფი გაისროლა ბურქნარისკენ სადაც ეგონა,

რომ გარეული ცხოველი იმალებოდა. სინამდვილეში აღ-
მოჩნდა, რომ მან გაუფრთხილებლობით სიცოცხლე მოუს-
პო ბ-ს, რითაც კმაყოფილი დარჩა, რადგან ძალიან ცუდი
დამოკიდებულება და მუდმივი დავა ჰქონდა მსხვერპლთან.
ა არ მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში განზ-
რახ მკვლელობისათვის, რადგან მას განზრახვა წარმოეშვა
მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაარღვია ნინდახედულობის
ნორმა, რამაც გამოიწვია შედეგი. არსებობს შემთხვევები,
როდესაც პირს ქმედების განხორციელების შემდგომ მა-
ნამ სანამ დადგება შედეგი ეცვლება განზრახვა – უქრება
ის. მაგალითად, ა-მ მოკვლის განზრახვით ესროლა ბ-ს,
რომელიც სასიკვდილოდ დაჭრილი მოათავსეს საავად-
მყოფოში. ა-ს სანამ ბ დაიღუპებოდა გაუქრა მსხვერპლის
სიკვდილის სურვილი, პირიქით არანაირად არ უნდოდა,
რომ დამდგარიყო ეს შედეგი. თუ ბ-ს სიკვდილი დადგა ა
სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცემა დამთავრე-
ბული განზრახ მკვლელობისათვის. ამ შემთხვევაში რადგან
ა-ს ქმედების განხორციელების დროს გააჩნდა ბ-ს მოკვლის
განზრახვა, კვალიფიკაციისათვის არანაირი მნიშვნელობა
არააქვს, რომ ის გაქრა შედეგის დადგომის დროისთვის.

მაშასადამე, წინმსწრებ და შემდგომ განზარხვას
სისხლისსამართლებრივად არავითარი მნიშვნელობა არ
აქვთ.

განსაზღვრული (კონკრეტიზირებული) განზრახვა
გვაქვს მაშინ, როდესაც პირი ცდილობს მიაღწიოს განსაზ-
ღვრულ შედეგს. პირმა ზუსტად იცის რა სურს და მიმარ-
თავს თავის ძალებს ზუსტად იმ შედეგის მისაღწევად, რო-
მელიც მას სჭირდება. მაგალითად, ა-ს განზრახული აქვს
ბ-ს მოკვლა, რისთვისაც ესვრის მას ცეცხლსასროლი იარა-
ღიდან, სახეზეა მარტივი კონკრეტიზირებული განზრახვა.

განუსაზღვრელი (არაკონკრეტიზირებული) განზრახვა გვაქვს მაშინ, როდესაც შედეგი პირის შეგნებაში არ არის კონკრეტიზირებული, ანუ პირი ითვალისწინებს შედეგის დადგომას ზოგადად ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე, მთავარია შედეგი, როგორც ასეთი დადგეს. მაგალითად, ა-ს ცემს ბ-ს, შესაბამისად თავისთავად ითვალისწინებს, რომ დაზიანებას აყენებს მსხვერპლის ჯანმრთელობას, მაგრამ არ იცის რა ხარისხის იქნება დაზიანება. ასეთ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ შედეგის მიხედვით განისაზღვრება, რომელიც ფაქტობრივად დადგა. ან, მაგალითად, პირი ალებს სეიფს იქიდან ფულის მოპარვის მიზნით, მაგრამ არ იცის ზუსტად მათი ოდენობის შესახებ. ასეთ შემთხვევებში კვალიფიკაცია უნდა მოხდეს მითვისებული (მოპარული) ფულის ფაქტობრივი ოდენობის მიხედვით.

ალტერნატიული განზრახვა გვაქვს მაშინ, როდესაც პირის ქმედება მიმართულია, რამოდენიმე სამართლებრივი სიკეთიდან ერთერთის ხელყოფაზე, ამასთან პისთვის სულერთია თუ რომელი მათგანი იქნება ხელყოფილი. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს თანაბარმნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეებთან, თუ მოხდა მხოლოდ ერთერთის დაზიანება ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დამთავრებული განზრახი დანაშაული, სხვა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მცდელობის კვალიფიკაციის გარეშე. მაგალითად, ა-მ გაისროლა ბ-ს და გ-ს მიმართლებით იმ მიზნით, რომ მათგან ერთერთს მოკლავს ამასთან სულერთია რომელს. თუ ა-ს გასროლის შედეგად ბ მოკვდება და გ უვნებელი დარჩება ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც ბ-ს განზრახ მკვლელობა (გ-ს მიმართ მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაცია საჭირო არ არის). იმ შემთხ-

ვევაში თუ ა-ს გასროლის შედეგად ორივე დაილუპება მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ერთერთის განზრახი მკვლელობა, ხოლო მეორეს მიმართ გვექნება გაუფრთილებლობით სიცოცხლის მოსპობა.

საინტერესოდ წყდება საკითხი როდესაც შემთხვევა ეხება არათანაბარმნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეებს. თუ პირი ხელყოფს არათანაბარმნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეებს და მისთვის სულერთია ამ ორიდან რომელი დაზიანდება, საკითხი უნდა გადაწყდეს იმისდამიხედვით, რომელი სამართლებრივი სიკეთე იქნა რეალურად ხელყოფილი, დაზიანებული. იმ შემთხვევაში თუ პირმა დააზიანა უფრო მეტი ღირებულების სამართლებრივი სიკეთე და ხელუხლებელი გადარჩა ნაკლები მნიშვნელობის სამართლებრივი სიკეთე, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს მიყენებული ზიანის მიხედვით მეტი სამართლებრივი სიკეთისათვის და არ არის საჭირო ნაკლები სამართლებრივი სიკეთის ზიანის მცდელობაზე მითითება. იმ შემთხვევაში თუ ალტერნატიული განზრახვის არსებობისას პირის ქმედებით ზიანი მიაღწა ნაკლებ სამართლებრივ სიკეთეს, ხოლო ხელუხლებელი გადარჩა მეტი სამართლებრივი სიკეთე, მაშინ კვალიფიკაცია უნდა მოხდეს შემდეგნაირად: ნაკლები სამართლებრივი სიკეთის დამთავრებული დაზიანება და მეტი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მცდელობა. თუ ხელყოფის შედეგად ორივე სამართლებრივი სიკეთე უვნებელი გადარჩა, ასეთ შემთხვევაში საკმარისია მეტი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მცდელობით კვალიფიკაცია. როგორც ვხედავთ არათანაბარმნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეთა მიმართ ალტერნატიული განზრახვის არსებობის შემთხვევაში ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის

უპირატესი დაცვის პრინციპი.

არსებობს ალტერნატიული განზრახვის შემთხვევების კვალიფიკაციისადმი სხვაგვარი მიდგომაც. განსხვავებული მოსაზრებით შეფასება ყოველთვის უნდა მოხდეს ქმედებათა ერთობლიობით და გათვალისწინებული უნდა იქნეს თითოეული სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენების ან საფრთხის შექმნის მდგომარეობა. ასევე არსებობს პოზიცია, რომლის მიხედვით ქმედების შეფასება უნდა მოხდეს უფრო მეტი სამართლებრივი სიკეთიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, მის მიმართ ჩადენილია დამთავრებული დანაშაული თუ დანაშაულის მცდელობა. სხვა შეხედულების მიხედვით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა სამართლებრივი შედეგის ღირებულებას, არამედ კონკრეტულად დამდგარ შედეგს, რის გამოც მთლიანი შეფასება უნდა მოხდეს, როგორც დამთავრებული განზრახი დანაშაული, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სამართლებრივი სიკეთე იქნა ხელყოფილი – უფრო მნიშვნელოვანი, თუ ნაკლებად ღირებული.²¹⁴

კუმულაციური განზრახვის დროს პირს განზრახული აქვს ერთდროულად ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. მაგალითად: პირი ბომბს უდებს ავტომანქანას მისი პატრონის ასაფეთქებლად, მას სურს მანქანის პატრონის სიკვდილი და მანქანის განადგურება, ანუ ორივე შედეგის მიმართ გააჩნია განზრახვა. თუ ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი სამართლებრივი სიკეთე გადარჩა, მაგალითად ადამიანი, გადარჩენილი პირის მიმართ გვექნება განზრახი დანაშაულის (მკვლევლობის) მცდელობა, ხოლო მეორე სამართლებრივი სიკეთის მიმართ გვექნება დამთავრებული დანაშაული (ქონების განზრახ განადგურება), ვინაიდან

²¹⁴ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 315

პირს სურდა ორივე სიკეთის განადგურება, ანუ განზრახვით მოქმედებდა ორივე სიკეთის მიმართ.

გენერალური განზრახვის, თეორიის მიხედვით პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცემოდა მისი გენერალური განზრახვიდან (სურვილიდან) გამომდინარე და გულისხმობს შემთხვევას, როცა პირის მიერ განზრახული ქმედებით გამოწვეული ნებელობითი შედეგი დგება არა პირველი მოქმედებით, როგორც მას წარმოუდგენია, არამედ შეუგნებლად მისი შემდეგი მოქმედების შედეგად, მაგალითად: ა მოკვლის მიზნით ყელში წაუჭერს ბ-ს, რომელიც ამის გამო გონებას დაკარგავს. ა-ს მსხვერპლი მკვდარი გონია და წყალში გადააგდებს, რომ გვამი მოიშოროს თავიდან და დანაშაულის კვალი დაფაროს. ბ სინამდვილეში მოკვდება არა ყელში მოჭერით გაგუდვისაგან, არამედ წყალში დახრჩობის შედეგად. მოცემულ მაგალითში ა პასუხისგებაში მიეცემა გენერალური განზრახვის თეორიის მიხედვით განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის. გენერალური განზრახვა დღესდღეობით აღარაა განზრახვის სახე და გამოიყენება, როგორც ტერმინი მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომის საკითხის გადასაწყვეტად. თანამედროვე ეტაპზე ასეთი შემთხვევები წყდება მიზეზობრივი კავშირის ფარგლებში, რადგან სახეზე გვაქვს ატიპიური მიზეზობრიობა, მიზეზობრიობის განვითარებაში მნიშვნელოვანი გადახრა, ანუ მნიშვნელოვანი შეცდომა მიზეზობრიობის განვითარებაში.

წინასწარ მოფიქრებული განზრახვა ყოველთვის წარმოიშობა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დაწყებამდე. ბოროტმოქმედი ადგენს გეგმას, მოიძიებს დანაშაულის ჩადენის საშუალებებს, იარაღს, ყველაფერი

ეს და სხვა მრავალი არის წინასწარ მოფიქრებული განზრახვის შემდგომი ნაბიჯები. უმეტესად ასეთი განზრახვის არსებობა დამახასიათებელია თანამონაწილეობით, თანაამსრულებლობით ან ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულებისას. წინასწარ მოფიქრებული განზრახვის დროს განზრახვის წარმოშობასა და მისი რეალიზაციის მომენტს შორის ყოველთვის არსებობს განსაზღვრული მეტნაკლებად ხანგრძლივი დრო.

სასამართლო პრაქტიკაში უმეტესად გვხვდება დანაშაულები, რომლებიც წინასწარ არ არის დაგეგმილი, არამედ ისეთები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეგრეთწოდებულ სიტუაციურ დანაშაულებს.

უეცრად წარმოშობილი განზრახვა გვაქვს იმ შემთხვევებში, როდესაც ის წარმოიქმნება უშუალოდ ქმედების განხორციელების წინ. მაგალითად, განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი არეღვების მდგომარეობაში (სსკ-ის 111-ე მუხლი), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღეღვების მდგომარეობაში (სსკ-ის 121-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევებში უეცარი აფექტური განზრახვა გავლენას ახდენს კვალიფიკაციაზე (ამიტომაც ეს დანაშაულები მიიჩნევა, როგორც პრივილეგირებული შემადგენლობების მქონენი), განსხვავებით სხვა შემთხვევებისაგან (მაგალითად ქურდობის, გაუპატიურების და სხვა დანაშაულებისას), როდესაც უეცრად წარმოშობილი განზრახვა არანაირ გავლენას ვერ ახდენს კვალიფიკაციაზე, თუმცა სასამართლომ ის შეიძლება გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნისას (რთული სათქმელია ვინ არის უფრო მეტი სოციალური საფრთხის შემცველი, პირი, რომელიც წინასწარ ემზადება, მაგალითად, ყაჩაღობისათვის, თუ პირი, რომელიც

დაუფიქრებლად უეცარ განზრახვას აყოლილი თავს დაესხ-
მევა მსხვერპლს იგივე მიზნით).

6.4 გაუფრთხილებლობა და მისი სახეები

სისხლის სამართალში ნამყვანი როლი უჭირავს განზ-
რახ დანაშაულებს, გაუფრთხილებელი დანაშაულის კი ბევ-
რად უფრო ვინრო წრე არსებობს. თუმცა უნდა აღინიშნოს,
რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში სახეზეა მეც-
ნიერების და ტექნიკის განვითარების უაღრესად სწრაფი
ტემპები, რამაც თავისთავად მოითხოვა სპეციალური ცოდ-
ნის ადამიანთა ხვედრითი წილი საზოგადოებაში და მეტი
წინდახედულობის გამოჩენა ყოველდღიურ ყოფაცხოვრე-
ბასა და საწარმოო საქმიანობაში, აქ იგულისხმება, რომ
ადამიანს დღეს უფრო მეტად ვიდრე ოდესმე მოეთხოვება
წინდახედულობის ნომრების მოთხოვნათა დაცვა და ყოვ-
ლად მიუღებელია მათდამი ქარაფშუტული, წინდაუხედავი,
უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, შესაბამისად თან-
დათან იზრდება გაუფრთხილებელ დანაშაულთა რაოდე-
ნობა სისხლის სამართლის კოდექსში.

გაუფრთხილებლობის გასაკიცხაობის საფუძველია
წინდახედულობის ნორმებისადმი პირის უპასუხისმგებლო
დამოკიდებულება, რის გამოც პირმა ვერ აიცვია თავი-
დან მართლსაწინააღმდეგო შედეგი, თუმცა მას გააჩნდა
მისი აცდენის რეალური შესაძლებლობა. გაუფრთხილე-
ბლობა ყოველთვის წარმოადგენს წინდახედულობის ნორ-
მის დარღვევას. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ
შემთხვევაში საუბარია არა მარტო პოზიტიური სამარ-
თლის ნორმების დარღვევაზე, არამედ საზოგადოებაში
დამკვიდრებულ დაუნერელ ცხოვრებისეულ წესებზეც,

ეს იქნება კულტურის ნორმები, საზოგადოებაში ქცევის ნორმები, საყოფაცხოვრებო უსაფრთხოების წესები, ასევე დამოკიდებულება საკუთარი მოვალეობებისადმი თუ სხვა. მაგალითად, დაწერილი თუ დაუწერიელი წესები მოქმედებს მშენებლობის სფეროში, ქარხანა-ფაბრიკებში, სატრანსპორტო სფეროში. საყოფაცხოვრებო სფეროში დაუწერიელი უსაფრთხოების წესია (ანუ დასაცავი წინდახედულობის მოთხოვნა), მაგალითად, ის რომ არ შეიძლება მრავალსართულიანი სახლის ზედა სართულიდან საერთოდ რაიმეს და განსაკუთრებით, მძიმე ნივთების გადმოყრა, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს ქუჩაში მიმავალი ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა ან ქვედა სართულზე მცხოვრები ადამიანების საკუთრება.

წინდახედულების ხარისხი სხვადასხვა არის პირის პროფესიის, სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით. განსაკუთრებით რთულია ისეთი შემთხვევები, როცა დარღვეულია წინდახედულების დაუწერიელი ნორმა, რომელიც საყოფაცხოვრებო ურთიერთობებს შეეხება. გერმანული იურიდიული ლიტერატურის მიხედვით, ასეთ დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ საშუალო ადამიანის კრიტერიუმი: კონკრეტულ ადამიანს მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინების შესაძლებლობა აქვს მაშინ, როდესაც ასეთ ვითარებაში ეს შედეგი ობიექტურად შეეძლო გათვალისწინებია საშუალო (ნორმალურ) ადამიანს. როცა საქმე შეეხება სპეციალური ცოდნის სფეროს, მაშინ შედეგის ობიექტურად გათვალისწინების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს „საშუალო სპეციალისტს“, რომელიც ფლობს მოცემული პროფესიისათვის აუცილებელ კვალიფიკაციას – საშუალო ექიმი, საშუალო ინჟინერი და ა. შ.

საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექს-

ში გაუფრთხილებლობა გადმოცემულია მე-10 მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. მნიშვნელოვანია, რომ სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. აქედან გამომდინარე, თუ ქმედების გაუფრთხილებლობის დასჯადობას პირდაპირ არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამორიცხულია. მაგალითად, სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინი „სიცოცხლის მოსპობა“ ყოველთვის გულისხმობს გაუფრთხილებლობას, რადგანაც ტერმინი „მკვლელობა“ მხოლოდ განზრახვასთან არის დკავშირებული. ასევე სსკ-ის 124-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობით. სსკ-ის 170-ე მუხლით ისჯება შრომის დაცვის წესის დარღვევა. ამ მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებულია დასჯადობა შრომის წესების დარღვევისათვის, რასაც მოყვა შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (აქ საქმე გვაქვს ე.წ. ორმაგ გაუფრთხილებლობასთან, ქმედების მიმართ და შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობა). ისეთ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენის დასჯადობას, მაგრამ იგივე ქმედების განზრახ ჩადენისათვის პასუხისმგებლობა არაა დაწესებული სახეზეა საკანონმდებლო ტექნიკის ხარვეზი. ეს გამომწვეულია იმით,

რომ განზრახი ქმედების ბრალის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე იმავე შინაარსის გაუფრთხილებელი ქმედების ბრალის ხარისხი.

გაუფრთხილებლობით შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ მატერიალური (შედეგიანი) დანაშაული, ესე იგი ისეთი დანაშაული, რომლის ობიექტური მხარე შეიცავს მართლსაწინააღმდეგო შედეგს (აქედან დასკვნა – ფორმალური შემადგენლობის დანაშაულები ჩადენილი შეიძლება იყოს მხოლოდ განზრახ).

როგორც უკვე აღინიშნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი გაუფრთხილებლობის ორი სახე ადგენს – თვითიმედოვნება და დაუდევრობა.

სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

თვითიმედოვნება ესაა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაცნობიერებული დარღვევა, გამოხატული წინდაუხედაობაში.²¹⁵ თვითიმედოვნებისას პირმა იცის, რომ ახორციელებს დასაძრახ ქმედებას, რომელიც აკრძალულია წინდახედულობის ნორმით, ასევე, მან იცის, რომ მიუხედავად ქმედების გასაკიცხაობისა ზოგადად, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა აბსოლუტურად გამორიცხებულია, მაგრამ პირის დარწმუნებულობა იმის შესახებ, რომ შედეგი არ დადგება, არის უსაფუძვლო.

თვითიმედოვნებისას პირი დარწმუნებულია, რომ

²¹⁵ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 555

შედეგი, რომელიც მის მართლსაწინააღმდეგო ქცევას შეიძლება მოყვეს, არ დადგება, არ განხორციელდება. მოქმედი პირი ამ დროს თავისი ქცევის გადანყვეტილებას მხოლოდ მაშინ იღებს, როცა დარწმუნდება, რომ შედეგი არ განხორციელდება, მაგრამ ეს რწმენაა, ეს ვარაუდია სწორედ უსაფუძვლო, მცდარი. თუმცა, რწმენა, რომ შედეგი არ განხორციელდება, არ უნდა იყოს აბსტრაქტული, იგი უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ გარემოებებს, მოქმედის პირად თვისებებს ან გარეგან ძალებს. პირადი თვისებაა მაგალითად: მოქმედის კარგი სროლის უნარი, გამოცდილი მძლოლობა და სხვა. მაგალითად, ა სტუმრად იყო ბ-სთან, რომ შეზარხოშდნენ გადანყვიტეს ნერვების გამოსაცდელი ექსპერიმენტი ჩატარებინათ: ა დაჯდა სკამზე კედელთან და ბ-მ მოწინააღმდეგე მხრიდან ორჯერ გაისროლა მისი მიმართულებით მცირეკალიბრიანი შაშხანა. შემდეგ მათ ადგილები შეცვალეს და გაისროლა უკვე ა-მ. ტყვია თვალში მოხვდა ბ-ს, რის შედეგადაც ის გარდაიცვალა. ა არ უშვებდა სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას, მას არ ჰქონია ასეთი შედეგის ევენტუალური განზრახვა (რომ შეიძლება შედეგი დამდგარიყო), მას იმედი ჰქონდა მისი უნარის და გამოცდილების, რადგან კარგი მსროლელი იყო. ამავე დროს, დარწმუნებული იყო, რომ ბ ისეთივე თავდაჭერილობას გამოიჩენდა სკამზე ჯდომისას, როგორც თავად გამოიჩინა და ტყვიის სროლისას არ გაინძრეოდა. მაგრამ მისი ეს ვარაუდი უსაფუძვლო აღმოჩნდა. ა-მ უხეშად დაარღვია გამაფრთხილებელი ზომები. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ა გასროლისას ეყრდნობოდა ორ გარემობას: იყო კარგი მსროლელი და ბ ისე გაუნძრევლად იჯდებოდა გასროლისას, როგორც თვითონ, მაგრამ ეს ვარაუდი აღმოჩნდა მცდარი, უსაფუძვლო. ა მოიქცა წინდაუხედავად, მას უნდა გაეთ-

ვალისწინებინა შედეგი. ა-ს ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებული გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობით. ა-ს ქმედებაში გაუფრთხილებლობა გამოიხატა თვითიმედოვნების ფორმით.

სისხლის სამართლის პრაქტიკაში და დოგმატიკაში ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობა არაპირდაპირი განზრახვის გამიჯვნას თვითიმედოვნებისაგან. ევენტუალური განზრახვის და თვითიმედოვნების დროს პირი ითვალისწინებს თავისი ქმედებიდან გამონვეული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. თვითიმედოვნება არაპირდაპირ განზრახვას ემიჯნება ორი ნიშნით: 1) ევენტუალური განზრახვის დროს პირს წარმოდგენილი აქვს კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა (თუმცა, ეს შედეგი მას არ სურს), ხოლო თვითიმედოვნების დროს კი პირი ითვალისწინებს შედეგის დადგომის არა კონკრეტულ, არამედ, მხოლოდ აბსტრაქტულ შესაძლებლობას, ანუ ითვალისწინებს, რომ ზოგადად ამგვარ მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ასეთი შედეგი და არა კონკრეტულად მის მოქმედებას კონკრეტულ სიტუაციაში. 2) მეორე განმასხვავებელი ნიშანი არაპირდაპირ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის არის ნებელობით მხარეში- არაპირდაპირი განზრახვის დროს პირი უშვებს შედეგს, ეგუება მის განხორციელებას, გულგრილად ეკიდება მის დადგომას. რაც შეეხება თვითიმედოვნებას, ამ დროს, პირი დარწმუნებულია, რომ შედეგი, რომელიც მის მართლსაწინააღმდეგო ქცევას შეიძლება მოყვეს, არ დადგება, არ განხორციელდება. პირი ამ დროს თავისი ქცევის გადანყვეტილებას მხოლოდ მაშინ იღებს, როცა დარწმუნდება, რომ შედეგი არ დადგება, მაგრამ ეს რწმენა, ეს ვარაუდი არის უსაფუძვლო, მცდარი.

მაგალითად, ა მანქანით გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა რა დროსაც დაინახა, რომ გზაზე გადადიოდა ბ. ა ითვალისწინებდა, რომ თუ სიჩქარეს არ დაუკლებდა ის დაეჯახებოდა ბ-ს, მაგრამ მიუხედავად ამისა არ შეანელა სვლა. ა-ს არ სურდა ბ-სთვის მანქანის დაჯახება, მაგრამ გულგრილად მოეკიდა ამ ფაქტის დადგომის შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში სახეზეა არაპირდაპირი განზრახვა; თუ ა გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობისას შეამჩნევს გზაზე მიმავალ ბ-ს, მაგრამ მიუხედავად ამისა არ შეანელებს სვლას, რადგან იმედოვნებს, რომ ის მოასწრებს გზაზე გადასვლას, ან კრიტიკულ სიტუაციაში დამუხრუჭებას შეძლებს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს იმედი უსაფუძვლო აღმოჩნდება და ა მანქანით დაეჯახება ბ-ს, რაც მის სიკვდილს გამოიწვევს – სახეზეა თვითიმედოვნება. ყოველთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა რამდენად რეალური იყო გარემოებები, რომელსაც ეყრდნობოდა, რისი იმედი ჰქონდა პირს, როდესაც ფიქრობდა, რომ შედეგის დადგომას თავიდან აიცილებდა. ვფიქრობთ, რომ თუ ეს იმედი ემყარებოდა შემთხვევითობას, თავის ილბლიან ბედისწერას, ასეთი შემთხვევები უნდა მივანეროთ განზრახვი დანაშაულის კატეგორიას. ასევე იმ საკითხის გადანყვეტი-სას რამდენად რეალური იყო იმედი, რომელსაც ემყარებოდა პირი, როდესაც ფიქრობდა, რომ თავისი ქმედებით თავიდან აიცილებდა შედეგის დადგომას, ყურადღება გასამახვლებელია მის ასაკზე, გამოცდილებაზე, კვალიფიკაციაზე და სხვა მონაცემებზე.

სსკ-ის მე-10 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო

შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალუბოდა და შეეძლო კიდევ. დაუდევრობას სხვანაირად შეიძლება ვუნოდოთ გაუცნობიერებელი, ანუ შეუგნებელი გაუფრთხილებლობა.²¹⁶ თავიდანვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე შეხედულებები დაუდევრობის სუბიექტურ შემადგენლობაზე განსხვავებულია. უფრო მისაღებია შეხედულება, რომლის მიხედვითაც დაუდევრობას არ გააჩნია სუბიექტური შემადგენლობა და ის მთლიანად უნდა გადაწყდეს ობიექტური შემადგენლობის ფარგლებში.

დაუდევრობის დროს საქმე გვაქვს ინტელექტუალურ (ცოდნის) ელემენტთან იმ თვალსაზრისით, რომ პირი ამ დროს არ ითვალისწინებს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა, ვალდებული იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა. განსხვავებით თვითიმედოვნებისგან, როცა პირს აბსტრაქტულად მაინც აქვს წარმოდგენილი შედეგი, მაგრამ იქცევა იმ რწმენით, რომ თავიდან აიცილებს შედეგს, დაუდევრობისას პირის წინაშე საერთოდ არ წარმოიშობა საკითხი ამ შედეგის შესახებ. შედეგის გაუთვალისწინებლობა შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ პირს გაცნობიერებული არ აქვს თავისი მოქმედების ფაქტობრივი თვისებები, მაგალითად, ექიმმა ისე გადმოიღო აფთიაქის კარადიდან შხამით სავსე ამპულა, ეტიკეტისთვის არ დაუხედავს, ეგონა ტკივილგამაყუჩებელი წამალი და გაუკეთა ავადმყოფს, რის შედეგადაც პაციენტი გარდაიცვალა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ პირს სწორად აქვს გათვალისწინებული თავისი ქცევის ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ არ ითვალისწინებს იმას, რომ მის ქცევას შეიძლება მოყვეს მავნე შედეგი, თუმცა, ვალდებული იყო და შეეძლო კიდევ ამის გათვალისწინება.

²¹⁶ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 557

შედეგის დადგომის წარმოდგენა თავისთავად გულისხმობს მიზეზობრივი კავშირის წარმოდგენის შესაძლებლობას პირის ქცევასა და შედეგს შორის. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ამის წარმოდგენას პირი ამ კონკრეტულ ვითარებაში ვერ შეძლებდა, ასეთ დროს მისი ბრალეულობა არის გამორიცხული, (ასეთ ვითარებაში საქმე გვაქვს უბედურ შემთხვევასთან). მაგალითად: ა-მ ამოთხარა ორმო უღრან ტყეში, ნადირის დასაჭერად, ისეთ ადგილას სადაც ადამიანები არ დადიან და წლების განმავლობაში არავინ უნახავთ. ა-ს ამოთხრილ ორმოში ჩავარდა ტურისტისტი, რომელსაც გზა აებნა და ტყეში დაიკარგა. ტურისტმა ორმოდან ამოსვლა ვერ შეძლო ჩავარდნისას მიღებული ტრავმების გამო და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულების ბრალის დამახასიათებელი ელემენტი არის ის, რომ ამ ეტაპზე დგინდება პირის მიერ წინდახედულების ნორმის დარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობა. გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედების შემადგენლობის არსებობის დადგენის შემდეგ უნდა დავადგინოთ, რამდენად შეეძლო პირს დაეცვა წინდახედულების ვალდებულება და აეცილებინა შედეგი.

სატრანსპორტო ან სხვა ურთიერთობებში შეიძლება წარმოიშვას უეცრად აღმოცენებული ისეთი გარემოებები, რაც გამონვეულია მაგალითად გონების დაკარგვით, ან სხვა გარემოებით, რომლისთვისაც ადამიანი წინასწარ ვერ მოემზადება. ამის შედეგად, პირის მოქმედება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ გაუფრთხილებლობას (გამორიცხება მისი ბრალი). მაგალითად: ავტომანქანის მართვისას მძღოლს უცებ დარტყა ინფარქტმა, ან მანქანის ფანჯარაში შემოფრენილი ბუზი ჩაუვარდა თვალებში, ამის გამო მძ-

ლოლის მანქანა შეეჯახა სხვას და დააზიანა. ასეთ დროს ადგილი აქვს წინდახედულობის ნორმის დარღვევის თავიდან აცილების შეუძლებლობას, ამიტომ მძღოლის მოქმედება არაბრალეული იქნება. თუმცა, ისეთ შემთხვევებში, როცა მძღოლს წინასწარ შეეძლო განეჭვრიტა, რომ მის მიერ წინდახედულობის ვალდებულების დარღვევას შეეძლო მძიმე შედეგი გამოენვია, მაგალითად, მძღოლმა მიიღო მედიკამენტი, რომელიც არაა რეკომენდებული საჭესთან ჯდომისას, ან წინა ღამის უძილო და გადაღლილი უჯდება საჭეს, და ასეთ პირობებში მისი ქმედება გამოიწვევს მავნე შედეგს, იგი დაისჯება გაუფრთხილებლობისათვის.

არის ასევე შემთხვევები, როცა პირს არ შეიძლება მოეთხოვოს ვალდებულების შესაბამისი ქცევა, ასეთ დროს, მიუხედავად ქმედების შემადგენლობის არსებობისა, პირის ბრალეულობა გამოირიცხება. მაგალითად: ცოლი, რომელსაც მეუღლის დაღუპვა შეატყობინეს, აღელვებული გაიქცა შემთხვევის ადგილისაკენ, რა დროსაც სახლში უთო დარჩა ჩართული, რამაც სახლის გადანვა -განადგურება გამოიწვია. ასეთ დროს ცოლის ბრალი გამოირიცხება მიუხედავად ქმედების შემადგენლობის არსებობისა.

6.5 პასუხისმგებლობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის: თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანამდევი შედეგის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება

შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლობით განახორციელა. ასეთი დანაშაული ითვლება განზრახ დანაშაულად.

სსკ-ის მე-11 მუხლი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ქმედების ძირითადი შემადგენლობა განზრახ განხორციელდა, რასაც მოსდევს ისეთი შედეგი, რომელიც ამ განზრახვით არ იყო მოცული და ამ სხვა შედეგის მიმართ პირს უნდა ჰქონდეს გაუფრთხილებლობა მაინც. ხოლო თუ ამ მეორე, სხვა შედეგის მიმართაც პირს აქვს ასევე გაზრახვა, მაშინ სახეზე გვექნება მხოლოდ გაზრახი დანაშაული. თანმდევი მძიმე შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაული, განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაულების ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენს. ასეთი კომბინაცია იმ შემთხვევაში გვაქვს, თუ ქმედება განზრახ არის ჩადენილი და განზრახვით გათვალისწინებული მეორე შედეგი გაუფრთხილებობით.²¹⁷

გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას, როგორც ძირითადი შემადგენლობის თანამდევ შედეგს ითვალისწინებს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. მართალია აქ სიტყვა გაუფრთხილებლობა ნახსენები არაა, მაგრამ იგულისხმება სსკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე. მაგალითად, ა-მ ბ-ს შელაპარაკებისას დანა დარტყა მუცლის არეში. დაჭრილი ბ საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. სასამართლომ მიიჩნია ა არ მოქმედებდა ბ-ს მოკვლის განზრახვით, რადგან სარწმუნოდ ჩათვალა, რომ მუცელში დანის დარტყმისას ა მოქმედებდა დაზარალებულისათვის ჯანრთელობის მძიმე დაზიანების მიყენების განზრახვით

²¹⁷ ი.დვალიძე, გ.თუმანიშვილი, ნ.გვენეტაძე- კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, თბ.,2016, გვ.120

და ამიტომ ის დამნაშავედ ცნო სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. ა-ს განზრახვა მოიცავდა მხოლოდ დაზარალებული ბ-სათვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენებას, ხოლო შედეგი, რომელიც დადგა მსხვერპლის გარდაცვალება განზრახვის მიღმა იყო ასეთი შედეგისადმი მოქმედს მხოლოდ გაუფრთხილებელი დამოკიდებულება ჰქონდა. განსხვავებით ამისაგან ა-ს, რომ ჰქონოდა ასეთი შედეგის მიმართ პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვა (სურვილი ან მის გარდაუვალობაში ყოფილიყო დარწმუნებული, ან ამ შედეგის დადგომის დაშვება ან გულგრილი დამოკიდებულება), მაშინ სახეზე გვექნებოდა განზრახ მკვლელობა და არა მითითებული მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობისას განზრახვასთან გაუფრთხილებლობის შერწყმისათვის უფრო ტიპიურია დაუდევრობა, როდესაც სუბიექტი წინდახედულობის ნორმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. თუმცა არაა გამორიცხული თვითიმედოვნებაც, როდესაც პირი უპასუხისმგებლოდაა დარწმუნებული, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ დადგება, თუმცა ეს შედეგი გარდაუვალია, ხოლო ამ გარდაუვალობას ბოროტმოქმედი არ ითვალისწინებს.²¹⁸

მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტთა რიცხვის მიეკუთვნება ასევე სსკ-ის 133-ე მუხლის მე-3 ნაწილი-უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

²¹⁸ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.212

აქაც უნდა დაგინდეს ბოროტმოქმედის გაუფრთხილებლობა პაციენტის სიკვდილის მიმართ. თანამდევნი შედეგის გამოწვევა არის დანაშაულებრივი ქმედების დამამძიმებელი გარემოება, რისთვისაც კანონი უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას აწესებს.

თუ პირის განზრახ ქმედებას შედეგი მოყვა არატიპიურად, შემთხვევით მომხდარ გარემოებათა გამო, იმ ვითარებაში, როცა პირი არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, მას არ შეერაცხება ასეთი დამდგარი შედეგი. მაგალითად: ა-მ ბ-ს მიაყენა მძიმე ჭრილობა ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვით, ბ დაიღუპა საავადმყოფოში მიყვანამდე გზაში ავტოავარიის შედეგად. ა დაისჯება მხოლოდ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებისათვის, რადგან სასიკვდილო შედეგი დადგა ატიპიურად (ე.წ. რეგრესის აკრძალვა). იმ შემთხვევაში თუ ა-მ მოკვლის განზრახვით დაჭრა ბ, რომელიც ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა საავადმყოფოში წაყვანისას, ხოლო ბ-სთვის მიყენებული ჭრილობა უცილობლივ სასიკვდილო იყო (სიკვდილის უშუალო მიზეზი კი გახდა ავტოავარია), ასეთ შემთხვევაში ა დაისჯება მხოლოდ განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის (რეგრესის აკრძალვის თეორიის გამოყენებით).

სსკ-ის მე-11 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა.

ქმედების შემადგენლობაში შეიძლება კანონმდებელი ითვალისწინებდეს მრავალგვარ მაკვალიფიცირებელ ნიშნებს, როგორცაა ასაკი, ორსულობა, უმწეო მდგომარეობაში ყოფნა და სხვა. მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლის

მაკვალიფიცირებელი ნიშნებია მკვლევლობა დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა, ანდა დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა; ანალოგიური ნიშნები გვხვდება სსკ-ის 117-ე მუხლშიც, სსკ-ის 126-ე მუხლშიც და ა.შ. ასეთ შემთხვევებში კანონდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ ბოროტმოქმედს დაზარალებულის ორსულობის ფაქტი, არასრულწლოვანება ან უმწეობა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას შეცნობილი უნდა ჰქონდეს, დარწმუნებულად უნდა იცოდეს ამის შესახებ. თუ ეს გარემოება უტყუარად ვერ დასტურდება, ანუ ის რომ პირმა დანამდევილებით იცოდა ორსულობისა თუ ასაკის ან უმწეობის შესახებ, მაშინ მისი ქმედების დაკვალიფიცირება ამ ნიშნებით ვერ მოხდება.

ზოგჯერ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ზოგიერთ მუხლში დასახელებული ნიშნების წინასწარი შეცნობა პირდაპირ მითითებული არ არის, მაგალითად, სსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ პუნქტით ისჯება ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა მცირეწლოვნის თანდასწრებით, ასევე სსკ-ის 143² მუხლით ისჯება არასრულწლოვნით ვაჭრობა და სხვა. მართალია, ამ მუხლებში პირდაპირ არსად წერია, უნდა ჰქონდეს თუ არა ეს ნიშნები შეცნობილი ბოროტმოქმედს, როდესაც დანაშაულს სჩადის, მაგრამ აქაც სასამართლო ვალდებულია უტყუარად დაადგინოს, რომ ასეთი ნიშნები მოცული იყო პირის განზრახვით, ანუ დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენმა წინასწარ დანამდევილებით უნდა იცოდეს ამ ნიშნების არსებობის შესახებ.

6.6 მოტივი და მიზანი, მათი მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის

ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტები, რომლებიც დავას არ იწვევს არის მოტივი და მიზანი.

მოტივი და მიზანი არის ფსიქოლოგიური ცნებები. მოტივი ზოგადად ნებისმიერი ქმედების ფსიქოლოგიური საფუძველია, მოტივი სხვა არაფერია, თუ არა ქმედების შესაძლო შედეგის წარმოდგენა და მისი ღირებულების განცდა. დანაშაული კი არის არა ქცევა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ქცევის ანუ მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხი.²¹⁹

დანაშაულის ჩადენის მოტივად მიიჩნევა ის შინაგანი ძალა, რამაც უბუძგა და რითიც ხელმძღვანელობდა პირი განსზღვრული ქმედების ჩადენისას. მოტივმა რომ ქმედება გამოიწვიოს, საჭიროა მისი შესაბამისი მიზნის დასახვა. მოტივისგან განსხვავებით, მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რისკენაც მიისწრაფვის, რომლის მიღწევასაც ცდილობს დანაშაულის ჩამდენი პირი. სწორედ მიზანი გადააქცევს ადამიანის მისწრაფვებს, მიზნებს მოქმედ მოტივად. მოტივისა და მიზნის ცნებები ერთმანეთს არ ემთხვევა- მოტივის მიმართ შეიძლება დავსვათ საკითხი რატომ ჩაიდინა პირმა ქმედება, ხოლო მიზნის მიმართ – რისკენ მიისწრაფვის პირი.

დანაშაულის მიზანია დანაშაულებრივი ქმედების შედეგის აზრობრივი, აბრსტრაქტული მოდელი, რომლისკენაც მიისწრაფვის პირი დანაშაულის ჩადენის დროს. როგორც აღინიშნა, დანაშაულის მიზანი წარმოიშობა დანაშაულის მოტივის საფუძ-

²¹⁹ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.134

ველზე, ორივენი ერთად კი ქმნიან პირის ინტელექტუალური და ნებელობითი საქმიანობის იმ ბაზას, რომელზეც აღმოცენდება განზრახვა, როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ძირითადი ელემენტი.

მიზანი და მოტივი შეიძლება გათვალისწინებული იქნას მხოლოდ განზრახ დანაშაულებში. მიიჩნევა ასევე, რომ მოტივზე საუბარი შესაძლებელია მაშინაც, როცა ჩადენილია გაუფრთხილებლობითი დანაშაული- მოტივი ახასიათებს მოქმედ პირს და გაუფრთხილებლობისას ის მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში სუბიექტის ქცევის მოტივზე და მიზანზე ყოველთვის პირდაპირ არაა მითითებული, უმოტივო ქცევა, როგორც დანაშაულის წინაპირობა, ფსიქოლოგიურად შეუძლებელია და ამიტომ დანაშაულებრივი მოტივის დადგენა მაინც აუცილებელი ხდება. დანაშაულებრივი ქცევის შემდეგ მოტივებს განასხვავებენ: ანგარება, შურისძიება, ეჭვიანობა, კარიერიზმი, ხულიგნური ქვენაგრძობა, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა და ა.შ. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი დანაშაულების ჩადენისას შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სახის მოტივები.

მოტივის, როგორც ადამიანის ქცევის ფისიქკური საზრისის მიხედვით ხდება მისი დანაშაულებრივი ქმედების შეფასება. მაგალითად, ერთია სიცოცხლის ხელყოფა სისხლის აღების ნიადაგზე და მეორეა ტერორისტული აქტით. ამიტომ მიღებულია სისხლის სამართალში მოტივების კლასიფიკაცია, როგორც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ისე სისხლის სამართალში მათი გამოვლენის თვალსაზრისით.²²⁰

²²⁰ ი. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და 270

მოტივსა და მიზანს აქვს შემდეგი ფუნქციები:

ქმედების მოტივს და მიზანს ხშირ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მნიშვნელობა გააჩნიათ. დანაშაულებრივი ქმედების არადანაშაულებრივისგან გამიჯვნა, შესაძლებელია თუ დისპოზიციაში ქმედების სავალდებულო ნიშნებად ქმედების მოტივი ან მიზანია გათვალისწინებული, მათი არარსებობა გამორიცხავს ქმედების დანაშაულებრიობას, მაგალითად: თუ სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით არ არის განხორციელებული სახეზე არ გვექნება ქურდობა (სსკ-ის 177-ე მუხლი). ასევე მაგალითად, თუ ფალსიფიკაცია (სსკ-ის 197-ე მუხლი) ანგარების მოტივით არაა ჩადენილი, ასეთი ქმედება მოკლებულია დანაშაულებრივ ხასიათს.

მოტივი და მიზანი ხშირად საშუალებას იძლევა ობიექტურად მსგავსი დელიქტები გავმიჯნოთ ერთმანეთისგან მაგალითად, სსკ-ის 236-ე მუხლი (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა)), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) და სსკ-ის 323¹ მუხლები (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან გამოყენება ტერორისტული მიზნით). ამ მუხლებს შორის სხვაობა ქმედების სუბიექტურ ნაწილშია კერძოდ ტერორისტული მიზნის არსებობაში.

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 41-66

მოტივი და მიზანი ზოგჯერ ქმნის ქმედების კვალი-ფიციურ შემადგენლობას, მაგალითად, მკვლელობა ეჭვიანობის ან შურისძიების მოტივით არის მარტივი განზრახი მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხლი), ხოლო მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით ან მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით კი წარმოადგენს მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში (სსკ-ის 109-ე მუხლი).

მიზანმა შეიძლება დააფუძნოს დანაშაულის პრივილეგირებული შემადგენლობა, მაგალითად, სსკ-ის 110-ე მუხლი (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით) არის მკვლელობის პრივილეგირებული შემადგენლობა, ვინაიდან ასეთ დროს მკვლელს ამოძრავებს მსხვერპლის ფიზიკური ტკივილისგან გათავისუფლების მიზანი.

მოტივი და მიზანი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს. ო. გამყრელიძის აზრით, სასამართლოს თითქმის ყველა საქმეზე ევალება კანონით გათვალისწინებული სპეციალური მიზნის ან მოტივის გამოკვლევა და დადგენა.²²¹ ეს ლოგიკურიცაა, რადგან სასჯელის მიზნის განხორციელება ჩადენილი ქმედების მიზეზის ან ფსიქოლოგიური მხარის ახსნის გარეშე შეუძლებელია. ამის საშუალებას ქცევის მოტივი და მიზანი იძლევა.²²²

დანაშაულში თანამონაწილეობისათვის აუცილებელია ამსრულებელსა და თანამონაწილეს ჰქონდეთ საერთო მიზანი, თუმცა არაა აუცილებელი მათ ჰქონდეთ საერთო მოტივი.

მიზანს მნიშვნელობა აქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობისათვის, მაგალითად: აუცილებელი მოგერიებისას ან უკიდურესი აუცილე-

²²¹ ო.გამყრელიძე, ჟურნალი „ალმანახი“, 2000, გვ.16

²²² ჯ.გაბელია, ი. იმერლიშვილი, დანაშაული მოტივისა და მიზნის დაკმაყოფილების ხერხი, ჟურნალი „თემიდა“, 2012, N 618, გვ.194

ბლობისას სავალდებულოა სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი.

მიზანი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სუბიექტურ კრიტერიუმს განგრძობადი დანაშაულისა და დანაშაულის ერთობლიობის გამიჯვნისას, როდესაც დანაშაული რამდენიმე ობიექტურად მსგავსი ქმედებებისგან შედგება- კერძოდ, განგრძობადი დანაშაულის დროს ყოველი მოქმედება ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვითაა განხორციელებული. ბოლოს, მოტივმა და მიზანმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ბრალის ხარისხზეც.²²³

ემოცია ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნაკლებად ცნობილი, მაგრამ მნიშვნელოვანი ელემენტია, ის გამოხატავს ადამიანის გრძნობებსა და განცდებს. სისხლის-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ემოციის სახეს ფიზიოლოგიური აფექტის სახით, რომელიც არ გამორიცხავს, მაგრამ ამსუბუქებს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (პრივილეგირებული შემადგენლობა) განსხვავებით პათოლოგიური აფექტისაგან, რომელიც პასუხისმგებლობას გამორიცხავს.

სისხლის სამართლის კოდექსში პირის ემოციური მდგომარეობა ორ შემთხვევაშია გათვალისწინებული: განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის 111-ე მუხლი), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის 121-ე მუხლი). აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ფიზიოლოგიური აფექტი არ იქნება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მდგომარეობა, თუკი იგი გამონწვეული იყო დაზარალებულის

²²³ ი. დვალიძე, მოტივსა და მიზნის გავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ.65

მართლზომიერი ქმედებით, ან სხვა პირის ქცევით ანდა სხვა მიზეზით.

სასამართლო პრაქტიკა (ქმედების მიზნის არსებობის აუცილებლობა)

2013 წლის 13 მაისს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ორჯერ ნასამართლევი ვ.ხ-ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, აშკარად დაეუფლა გ.ჩ-ის კუთვნილ ტყავის ჟილეტს, რითად დაზარალებულს მიაყენა 50 ლარის ღირებულების ზიანი. გატაცებული ჟილეტი ვ.ხ-მ იქვე გადასცა თ.მ-ს მიუხედავად იმისა, რომ თ.მ-ი პირადად შეესწრო ვ.ხ-ს მიერ გ.ჩ-ს გაძარცვის ფაქტს, ის დაეუფლა დანაშაულის შედეგად მოპოვებულ ნივთს, მისაკუთრა იგი და, მიუხედავად დაზარალებულის თხოვნისა, არ დაუბრუნა პატრონს.

აღნიშნული ქმედებისათვის გურჯანიის რაიონული სასამართლოს განაჩენით თ.მ.-ს საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 7 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ვ.ხ-ს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ.ხ-მ და ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება.

თბილისი სააპელაციო სასამართლოს განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და გურჯანიის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი მსჯავრდებული ვ.ხ-ის საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანანოა და იგი უნდა

გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: 70 წლის კაცს დაბრალდა 30 წლის ახალგაზრდასთვის ჟილეტის ძალადობით წართმევა, მაშინ როდესაც ძალადობა არ გამოუყენებია. თ.ჩ-მ შეპირებული ჟილეტი თვითონ გადასცა თ.მ-ს ძარცვის სუბიექტური მხარე გულისხმობს განზრახვისა და მისაკუთრების არსებობას, ხოლო ვ.ხ-ს რაიმე სახის მატერიალური გამორჩენა არ მიუღია და არც ჟილეტის მისაკუთრების განზრახვა ჰქონია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს იმისათვის, რომ პირს ბრალად შეერაცხოს აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება, აუცილებელია ქმედების შემადგენლობის ყველა ელემენტის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში კი ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა ვ.ხ-ს ქმედებაში საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არსებობა, კერძოდ: მტკიცებულებების ანალიზის შედეგად პალატას დადასტურებლად მიაჩნია, რომ ვ.ხ-ს არ ჰქონია გ.ჩ-ს კუთვნილი ჟილეტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. აღნიშნულიდან გამომდინარე სამართლებრივად შეუძლებელია ვ.ხ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შერაცხვა.

ამასთან, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მითითებას, რომ მან უბრალოდ სთხოვა დაზარალებულს ეჩუქებინა ჟილეტი თ.მ-ისათვის და მიუთითებს, რომ უტყუარადაა დადასტურებული, რომ ვ.ხ-მ თავისი მოქმედებით (ძიძგილაობა, საყელოში ხელის წავლება (აიძულა გ.ჩ-ის გაეხადა ჟილეტი და ეჩუქებინა თ.მ-ისთვის, ანუ ფიზიკური იძულებით შერასრულებინა მას მოქმედება, რომლის შესრულება შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლება იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკა-საციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებული ვ.ხ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფირდეს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მსჯავრდებული ვ.ხ-ს მიესაჯოს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებული ვ.ხ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.²²⁴

²²⁴ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №391, აპ-14, 28 აპრილი, 2015

თავი VII – ქმედების შემადგენლობის შეცდომა

შეცდომა არის სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი ნიშნების თუ იურიდიული შეფასების თაობაზე არასწორი, მცდარი წარმოდგენა. იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ შეცდომის ორ სახეს- ფაქტობრივ და იურიდიული ანუ სამართლებრივ შეცდომას.

ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვასთან კავშირში განიხილება ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები, ხოლო სამართლებრივი შეცდომები განიხილება ბრალის ეტაპზე.²²⁵ ქმედების შემადგენლობის შეცდომა გულისხმობს პირის შეცდომას, მცდარ წარმოდგენას მისი ქმედების ობიექტურ ნიშნებზე. უმეტეს შემთხვევაში შერაცხადი ადამიანი სწორად აღიქვამს თავის გონებაში ობიექტურ ვითარებას, რომელიც მას აკრავს, რომელშიც ის მოქმედებს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ხდება რეალობის დამახინჯება, მასზე არასწორი წარმოდგენის განვითარება, მცდარად, შეცდომით აღიქმება პირის მიერ განხორციელებული ქმედების თავისებურებები. სამართლებრივი შეცდომა ეს არის პირის არასწორი წარმოდგენა მის მიერ ჩადენილი ქმედების და დამდგარი შედეგის შეფასებისას.

ქმედების შემადგენლობის შეცდომა ნიშნავს ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებს, რომლებიც დაკავშირებულია ქმედების ობიექტური შემადგენლობის დისკრეფციულ (აღწერილობით) და ნორმატიულ (შეფასებით) ნიშნებში პირის მიერ დაშვებულ შეცდომებთან. ის არის განზრახვის ერთერთი ელემენტთან, ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემა და გულისხმობს პირის მცდარ წარმოდგენას

²²⁵ მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 152

ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ რომელიმე ფაქტობრივ გარემოებაზე. შედეგად გამოირიცხება განზრახვა მიუხედავად იმისა ეს შეცდომა თავიდან აცილებადი იყო თუ არა.²²⁶

ფაქტობრივი შეცდომა გამოირიცხავს განზრახ დანაშაულს, ქმედებისთვის პასუხისმგებლობა დგება გაუფრთხილებლობისთვის, თუმცა გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გაუფრთხილებლობაც გამოირიცხოს, მაგალითად, მონადირის შემთხვევა, როდესაც მას ჰგონია თოფს ისვრის დათვის მოსაკლავად, სინამდვილეში კი აღმოჩნდება, რომ სიცოცხლეს მოუსპობს სხვა პირს. ასეთ შემთხვევაში სახეზეა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა თუ ეს შეცდომა თავიდან აცილებადი იყო (ვთქვათ, მონადირეს მეტი ყურადღება, რომ გამოეჩინა). ისეთ შემთხვევაში, როდესაც შეცდომა არ იყო აცილებადი (რაც არ უნდა წინდახედულობა და ყურადღება გამოეჩინა მონადირეს) გამოირიცხება გაუფრთხილებელი დანაშაულიც.

7.1 შეცდომა პიროვნებასა და ობიექტში

პიროვნებასა და ობიექტში შეცდომის ქვეშ იგულისხმება პირის არასწორი წარმოდგენა კანონით დაცული იმ სამართლებრივი სიკეთის შესახებ, რომელსაც იგი ხელყოფს. ამ სახის შეცდომები ძირითადად გვხვდება კონკრეტიზირებული განზრახვის დროს, როცა პირი ზუსტად ითვალისწინებს იმ ობიექტს, რომლის ხელყოფაც მას აქვს განზრახული. ამ შემთხვევაში პირის გაზ-

²²⁶ მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 153

რახვა მიმართულია სრულიად განსზღვრული ობიექტი-სადმი, სინამდვილეში კი ზიანს აყენებს სხვა ობიექტს. მაგალითად, პირი თავის წარმოდგენით იპარავს აფთიაქ-იდან ნარკოტიკულ საშუალებას, სინამდვილეში კი დაეუფლება ჩვეულებრივ მედიკამენტს, რომელიც არ შეიცავს ნარკოტიკულ ნივთიერებას. ამგვარი შეცდომა დაკვალი-ფიცირდება, როგორც ნარკოტიკული საშუალების მისა-კუთრების მცდელობად. ამ სახის შეცდომას, მაგალითად ო. გამყრელიძე სხვაგვარად უწოდებს, როგორც კანონით აღწერილი შედეგის არასწორად წარმოდგენა.²²⁷

შეცდომა დანაშაულის ობიექტში ზეგავლენას ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე იმ შემთხვევაში, როცა რეალურად ხელყოფილი ობიექტი და ის, ობიექტი, რომლის ხელყოფაც იყო განზრახული, არის სხვადასხვა ღირებულების სამართლებრივი სიკეთე (არათანბარმნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეები). ასეთ დროს იმ ობიექტთან მიმართებაში, რომლის ხელყოფაც ჰქონდა განზრახული პირს, გვექნება დანაშაულის მცდელობა, ხოლო იმ ობიექტთან მიმართებაში, რომელიც რეალურად იქნა ხელყოფილი, გვექნება გაუფრთხილებლობითი დანაშაული, თუ ასეთი ქმედების ჩადენა გაუფრთხილებლობით არის დასჯადი. თუ ასეთი ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა არ ისჯება, გვექნება მხოლოდ მცდელობა იმ ობიექტთან მიმართებაში, რომლის ხელყოფაც ჰქონდა განზრახული პირს. მაგალითად, ა ბ-ს მოსაკლავად სანოლისაკენ გაისვრის სადაც მსხვერპლი ეგულება. ბოროტმოქმედი სინამდვილეში აზიანებს ქურქს, რომელიც ბ-ს მიუგდია სანოლზე. ასეთ შემთხვევაში, რადგან სახეზეა სხვადასხვა ღირებულების სამართლებრივი სიკეთეები, ა პასუხისგებაში მიეცემა განზრახ მკვლელობის

²²⁷ ო.გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ.98-99

მცდელობისათვის და სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანებისათვის (თუ ეს ზიანი მნიშვნელოვანია).

შეცდომა პიროვნებაში გულისხმობს ბოროტმოქმედის შეცდომას მსხვერპლის პიროვნებაში, როდესაც მოქმედი შეცდომით ზიანს აყენებს არა იმ პირს, რომელსაც მოიცავს მისი განზრახვა, არამედ სხვა ადამიანს. ამ დროს პირი ცდება მსხვერპლის იდენტიფიცირებაში, მას პოტენციური მსხვერპლი სხვა ადამიანში ეშლება. პიროვნებაში შეცდომის დროს ბოროტმოქმედი პასუხს აგებს დამთავრებული დანაშაულისათვის, რადგან ეს შეცდომა ზეგავლენას ვერ მოახდენს პასუხისმგებლობაზე, ვინაიდან ერთი ადამიანის სიცოცხლე სამართლებრივი თვალსაზრისით იმავე ღირებულებისაა, როგორც მეორე ადამიანის სიცოცხლე (თანაბარმნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეები). მაგალითად, ა ჩაუსაფრდა ბ-ს მოსაკლავად იმ გზაზე, სადაც მას ჩვეულებისამებრ უნდა გამოეველო. სიბნელეში მან ვერ გაარჩია მომვალი პირი, ეგონა ბ და ესროლა. მოკლული აღმოჩნდა გ. მიუხედავად იმისა, რომ ა-ს ბ-ს მოკვლის განზრახვა ჰქონდა და არა გ-ს, ის პასუხისგებაში მიეცემა ამ უკანასქნელის განზრახ დამთავრებული მკვლელობისათვის. აქ მნიშვნელოვანია, რომ ორივე ობიექტი თანაბარ ღირებულებად სამართლებრივი სიკეთეა ბ-ს სიცოცხლე გ-ს სიცოცხლის თანაბარმნიშვნელოვანია. თუ ობიექტის შეცვლით არ შეიცვლება ქმედების სამართლებრივი შეფასება მაშინ ობიექტში შეცდომა სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია.

პიროვნებაში შეცდომის შემთხვევების სამართლებრივი შეფასების შემოთმოყვანილი მოდელი არ ვრცელდება ისეთ ვითარებაზე, როცა დაზარალებულის პიროვნების შეცვლით იცვლება ქმედების ობიექტიც, მაგალითად,

შეცდომით კერძო პირის მკვლელობა, ნაცვლად სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა, ჩადენილი ამ თანამდებობის პირის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ერთი შეხედვით საქმე გვაქვს თანაბარმნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეებთან, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის, რადგან პროვინების შეცვლით შეიცვალა ქმედების სამართლებრივი შეფასება კერძო პირის განზრახ მკვლელობა წარმოადგენს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ), ხოლო სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მკვლელობა მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით კი სსკ-ის 325 მუხლს (ტერორიზმი). როგორც ვხედავთ ამ მაგალითიდან მსხვერპლის, პროვინების გამოცვლით შეიცვალა განხორციელებული ქმედების სამართლებრივი შეფასება. ეს შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით და განზრახ დამთავრებული მკვლელობა (რეალურად მოკლული პირის მიმართ).

ქმედების შემადგენლობის შეცდომა შეიძლება შეეხოს ქმედების დამამძიმებელ გარემოებებსაც, ისეთ მაკვალიფიცირებელ ნიშნებს, როგორიცაა, მაგალითად, ქალის ორსულობა ან არასრულწლოვანება და სხვა. თუ პირს შეცდომით ჰგონია, რომ კლავს ორსულ ქალს, ხოლო სინამდვილეში მსხვერპლი ორსულად არ აღმოჩნდება, ასეთ შემთხვევებში იურისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი შეცდომისას პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ორსული ქალის მკვლელობის მცდელობით (სსკ-ის 109-ე მუხლი), იურისტთა ნაწილი კი თვლის, რომ ასეთ დროს პირმა

პასუხი არ უნდა აგოს ორსული ქალის მკვლევლობის მცდელობით და უნდა დაისაჯოს დამთავრებული მარტივი განზრახვი მკვლევლობისათვის, სსკ-ის 108-ე მუხლით, რადგანაც ასეთ დროს ადამიანს ჰგონია, რომ ჩადის დანაშაულს, სინამდვილეში კი ქმედება დანაშაულს არ წამოადგენს (აქ საუბარია არა იმაზე, რომ საერთოდ მკვლევლობა არაა ჩადენილი, არამედ, მკვლევლობაზე მაკვალიფიცირებული გარემოებით – ამ შემთხვევაში ორსული ქალის მკვლევლობაზე, რომელიც რეალურად არ მომხდარა, რადგან მოკლული ქალი რეალურად, ობიექტურად არ იყო ორსულად).²²⁸ ასეთ შემთხვევაში უნდა დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომლის დროსაც პასუხისმგებლობა უნდა დადგეს განზრახვის მიმართლებით ანუ ორსული ქალის მკვლევლობის მცდელობისათვის.

7.2 შეცდომა მიზეზობრივ კავშირში

შეცდომა შეიძლება დაშვებული იქნეს მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში. ამ შეცდომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შედეგი დადგა მიზეზობრიობის ჯაჭვის არა იმგვარად განვითარებით, როგორც ეს წარმოუდგენია დამნაშავეს. ეს რა საკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ მოქმედმა პირმა უნდა გაითვალისწინოს ყოველგვარი წვრილმანი ამ მიზეზობრიობის მიმდინარეობისა. საკმარისია, თუ მოქმედს გათვალისწინებული ჰქონდა ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრიობის ზოგადი კანონზომიერება. თუ შედეგი ჯდება მიზეზობრიობის განვითარების ზოგად ჯაჭვში, რომელიც წარმოდგენილი აქვს მოქმედს და სახეზე

²²⁸ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის მიმოხილვა, თბ., 2005, გვ.88-89

არაა არსებითი გადახრა მიზეზობრიობის განვითარებიდან, მაშინ ასეთი გარემოება გავლენას არ ახდენს კვალიფიკაციაზე. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა არსებითი გადახრა - გადახვევა ამ კანონზომიერებიდან, მაშინ შედეგის შერაცხვის საკითხი სხვაგვარად უნდა გადაწყდეს. მაგალითად: ა-მ მოკვლის მიზნით ტყვია ესროლა ბ-ს და დარწმუნებულმა, რომ იგი მოკლა, გზაზე დაგდებული დატოვა. დადგინდა, რომ გზაზე დაგდებულ ჯერ კიდევ ცოცხალ ბ-ს მანქანამ გადაუარა და მოკლა, ასეთ შემთხვევაში ა პასუხს აგებს მკვლელობის მცდელობისათვის.²²⁹

შეცდომას მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა ადგილი აქვს მიზეზობრივი კავშირის განვითარების პროცესში არსებით გადახრას წინასწარ განსაზღვრული, მოსალოდნელი მიზეზობრივი მსვლელობისაგან. არსებითი გადახრა ნიშნავს წინასწარ განსაზღვრულისგან განსხვავებით მოვლენათა ისეთ განვითარებას, რომლის ბოროტმოქმედისათვის წინასწარ განჭვრეტა ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე არ იყო შესაძლებელი.

მიზეზობრიობაში უმნიშვნელო შეცდომისას ქმედება კვალიფიცირდება, როგორც დამთავრებული დანაშაული, მაგალითად, ა დახრჩობის მიზნით ბ-ს წყალში გადააგდებს კლდიდან, მსხვერპლი წყალში ჩავარდნამდე თავს კლდეს მთარტყამს და ამით მოკვდება (და არა წყალში დახრჩობით). რადგან სახეზე არ გვაქვს მიზეზობრიობიდან არსებითი გადახრა ა პასუხისგებაში მიეცემა ბ-ს განზრახ დამთავრებული მკვლელობისათვის.

მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომისას, როდესაც სახეზეა არსებითი გადახრა ქმედება კვალი-

²²⁹ მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2011, გვ.154-155

ფიცირდება მცდელობად და არა დამთავრებულ დანაშაულად. მაგალითად, ა ესვრის ბ-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან მოკვლის მიზნით, მაგრამ მხოლოდ მსუბუქად დაჭრის. სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელსაც დაზარალებული მიყავს საავადმყოფოში, ავარიაში მოყვება რის შედეგადაც ბ დაიღუპება. ასეთ შემთხვევაში, რადგან სახეზეა მიზეზობრიობის განვითარებიდან მნიშვნელოვანი, არსებითი გადახრა ა დაისჯება ბ-ს მკვლელობის მცდელობისათვის (მსგავსად ზემოთ აღწერილი მაგალითისა ო. გამყრელიძის ნაშრომიდან). ასეთი სახის შეცდომები მიზეზობრიობის განვითარებაში ახლა განიხილება ობიექტური შერაცხვის კატეგორიის მიხედვით.

საინტერესოა გენერალური განზრახვის საკითხი, რომელიც ზუსტად მიზეზობრიობის განვითარების შეცდომასთან მიმართებაში განიხილება. გენერალური განზრახვა აღარაა განზრახვის სპეციალური სახე. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხი ჯერჯერობით არ არის აქტუალური²³⁰ და ის, მხოლოდ, როგორც ტერმინი განიხილება მიზეზობრიობის განვითარების შეცდომისას ორაქტიანი დანაშაულის დროს. მაშინ, როდესაც პირი შეცდომით ფიქრობს, რომ შედეგს პირველი მოქმედებით მიაღწია, სინამდვილეში კი შედეგი დადგა მეორე მოქმედების შედეგად. მაგალითად, ა-მ მოკვლის მიზნით ბ-ს საწამლავი დააღვინა, რომელმაც ამის გამო გონება დაკარგა. გონდაკარგული ბ ა-ს მკვდარი ეგონა. გვამის მოშორების მიზნით ბოროტმოქმედმა მსხვერპლიმი წყალში გადააგდო. სინამდვილეში ბ ჯერ ცოცხალი იყო, ის მოკვდა მხოლოდ წყალში ჩაგდების შემდეგ დახრჩობით. გენერალური განზრახვა დღესდღეისობით მხოლოდ გვამად მიჩნეულის თავიდან მო-

²³⁰ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ.209

შორებისას განხორციელებული ქმედებების აღსანიშნავად გამოიყენება. გენერალური განზრახვის მიხედვით ორაქტიანი დანაშაულისას ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს შემდეგნაირად: იმ შემთხვევაში, თუკი პირს ჰქონდა ორივე მოქმედების ჩადენის განზრახვა თავიდანვე, პირის ქმედება შეფასდება დამთავრებული განზრახ მკვლელობად. თუკი დადგინდება, რომ პირველი მოქმედება სასურველ შედეგს გამოიღებდა, ანუ შედეგის გამომწვევი საკმარისი პირობა იყო (ეფექტის გვიან გამოწვევა), თუნდაც დროში უფრო გვიან, ასეთ დროს მეორე მოქმედება აღარაა რელევანტური, უმნიშვნელო შეცდომაა მიზეზობრიობაში და ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც ერთიანი დამთავრებული განზრახი დანაშაული (მკვლელობა). ხოლო თუკი პირველი და მეორე მოქმედება სრულდება არაერთიანი განზრახვით (როგორც ზემოთმოყვანილი მაგალითი, როცა ა-მ გვამად მიჩნეული ბ მოიშორა თავიდან და დაზარალებული ამ მეორე მოქმედების შედეგად დაიღუპა) ასეთი ქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს ცალ-ცალკე განზრახ მკვლელობის მცდელობად და სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობად.

7.3 აცდენილი ისრის თეორია

აცდენილი ისრის თეორია გულისხმობს გაუთვალისწინებელი ობიექტის ხელყოფას, პერსონალურად იდენტიფიცირებული პირისათვის (მსხვერპლისათვის) მიზნის აცდენის შემთხვევაში. პირი ამ დროს სწორად შეიცნობს მსხვერპლს, მაგრამ ააცდენს მიზანს და ხელყოფს სრულიად სხვა პირის სიცოცხლეს, რომლის ხელყოფის მიზანიც მას არ ჰქონდა. ასეთ დროს ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც იმ პირის მკვლელობის მცდელობა, რომლის მოკვლის

მიზანიც ჰქონდა ბოროტმოქმედს და იმ პირის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა, რომელიც სინამდვილეში მოკვდა. მაგალითად, ა-მ ესროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან ბ-ს მისი მოკვლის განზრახვით, მაგრამ ააცილა ტყვია, რომელიც მოხვდა შემთხვევით გამვლელს გ-ს.

ისეთ შემთხვევაში, თუკი პირი ერთი მსხვერპლის მიმართ, რომელსაც ტყვია აცდა, მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, ხოლო მეორე მსხვერპლის მიმართ, რომელიც დაიღუპა, მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით, გვექნება ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა (მცდელობა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა პუნქტი), რადგან ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის არსებობისათვის საკმარისია არაპირდაპირი განზრახვის ასრებობა. ასევე გვექნება დამატებით სსკ-ის 108-ე მუხლი, დამთავრებული განზრახ მკვლელობა (მოკლული პირის მიმართ – ესაა დანაშაულის იდეალური ერთობლიობა. ასეთი ორმაგი განზრახვისას თუ პირი ფიქრობდა, რომ მათგან მხოლოდ ერთერთი რომელიმე მოკვდებოდა, ან შეიძლება მომკვდარიყო, მაშინ გვექნება მხოლოდ ერთი დამთავრებული განზრახ მკვლელობა.

რიგ შემთხვევებში რთულია დადგენა, ესა თუ ის ქმედება არის შეცდომა მსხვერპლის პიროვნებაში თუ საქმე გვაქვს ე.წ. აცდენილი ისრის თეორიასთან. ასეთი მაგალითების სხვადასხვაგვარად შეფასებას გვთავაზობენ სხვადასხვა მეცნიერები. მაგალითად, ექიმმა ა-ს განზრახ მოკვლის მიზნით სანამლავიანი ნემსი მისცა ექთანს მისთვის გასაკეთებლად. ექთანმა შეცდომით ნემსი გაუკეთა ბ-ს, რომელიც ამ ინიექციით გარდაიცვალა, ასეთ დროს მიღებულია, რომ ექიმი დაისაჯოს ა-ს განზრახ მკვლელობისათვის, რადგან სწორ კვალიფიკაციასთან უფრო ახლოსაა შეცდომა პიროვნებაში

და არა აცდენილი ისრის შემთხვევა, შესაბამისად ექიმი გამოდის შუალობითი ამსრულებელი. იგივე კვალიფიკაცია გვექნება შემდეგი მაგალითის მიხედვითაც, ა-მ ბ-ს მოკვლის მიზნით ავტომანქანის ქვეშ დაუმონტაჟა ბომბი. ა-ს ავტომანქანა შეეშალა და ბომბის აფეთქების შედეგად მოკვდა სხვა ავტომანქანის მფლობელი გ. ასეთი ქმედებაც მიღებულია, როგორც შეცდომა მსხვერპლის პიროვნებაში, შესაბამისად ა დაისჯება გ-ს განზრახ მკვლელობისათვის.

სისხლის სამართლის პრაქტიკაში და თეორიაში შეიძლება გადავანყდეთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, როგორც შეცდომა მსხვერპლის პიროვნებაში ასევე აცდენილი ისრის შემთხვევა და თან ამასთან ერთად საქმე გვექონდეს კუმულაციურ მიზეზობრიობასთანაც. მაგალითად, ა-მ და ბ-მ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოკვლის განზრახვით სანამლავი ჩაუყარეს სასმელში გ-ს. თითოეულს ეგონა, რომ მის მიერ ჩაყრილი სანამლავის დოზა საკმარისი იქნებოდა მსხვერპლის მოსაკლავად. თუმცა ისინი ცდებოდნენ და სანამლავი მხოლოდ ერთობლიობაში ვარგოდა სიკვდილის გამოსანვევად. ეს სასმელი შემთხვევით დალია დ-მ, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვა. ამ მაგალითის სამართლებრივი შეფასების ორი ვარიანტი შეიძლება გამოიყოს. პირველი – თუ ქმედებას დავაკვალიფიცირებთ, როგორც აცდენილი ისრის შემთხვევად, მაშინ ა და ბ დაისჯებიან გ-ს განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, ხოლო დ-ს მიმართ შედეგი არცერთს არ შეერაცხება ობიექტურად, ვინაიდან, კუმულაციური მიზეზობრიობა შედეგის ობიექტურად შერაცხვას გამოორიცხავს (ამ მაგალითის ასეთი ამოხსნა უფრო სწორია). მეორე – თუ შემთხვევას ჩავთვლით, როგორც შეცდომას პიროვნებაში, მაშინ ა და ბ

დაისჯებიან დ-ს განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთად იყრის თავს სხვადასხვა სახის შეცდომები, ანუ სახეზეა მათი კომბინაცია. მაგალითად, ა-მ მოკვლის განზრახვით ესროლა ბ-ს, რომელიც მისი აზრით ფანჯარასთან მდგომი სილუეტი უნდა ყოფილიყო, რადგან ის მარტო ცხოვრობდა, შესაბამისად არ იყო მოსალოდნელი ვინმე სხვა აღმოჩენილიყო მის სახლში. სინამდვილეში ფანჯარაში მდგომი სილუეტი გ ყოფილა, რომელსაც ასცდა ა-ს ნასროლი ტყვია და შემთხვევით მოხვდა ბ-ს, რომელიც აბსოლუტურად მოულოდნელად შემოვიდა ოთახში. ტყვიის მოხვედრის შედეგად ბ გარდაიცვალა ადგილზე. როგორც ვხედავთ ამ მაგალითში ერთობლივად გვაქვს შეცდომა პიროვნებაში, მაშინ როდესაც ფანჯარაში მდგომი სილუეტი ა-ს გ შეეშალა ბ-ში და აცდენილი ისრის შემთხვევა, მაშინ როდესაც ა-ს გასროლილი ტყვია ასცდა გ-ს და მოხვდა ბ-ს. ა-მ საბოლოოდ მიაღწია თავის შედეგს, როგორც მაგალითიდან ჩანს ა-ს გასროლამ იმსხვერპლა ბ რაც მის თავდაპირველ განზრახვას წარმოადგენდა. როგორ უნდა გადაწყდეს მაგალითში მოყვანილი შემთხვევა: პირველი, რაც შესაძლოა ვიფიქროთ, ის არის, რომ საქმე გვაქვს დამთავრებულ განზრახ მკვლელობასთან, რადგან თანაბარი ღირებულების სამართლებრივ სიკეთეებთან გვაქვს საქმე; მეორე, განსხვავებული შეხედულებით, რომელიც სწორი შეხედულებაა, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს აცდენილი ისრის თეორიის შესაბამისად, გ-ს მიმართ მკვლელობის მცდელობა (პიროვნებაში შეცდომის გათვალისწინებით), ხოლო ბ-ს მიმართ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად მისი მკვლელობა ჰქონდა განზრახული ა-ს და მიაღწია კიდევაც სასურველ შედეგს.

თავი VIII – დაუმთავრებელი დანაშაული

8.1 დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება და ნიშნები

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში აღწერილი სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების ძირითადი ფორმაა დამთავრებული დანაშაული. დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც განხორციელებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი. ე.ი სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი ქმედების, როგორც სუბიექტური ასევე ობიექტური ნიშნები. სუბიექტური ნიშნის ნაკლებობა შედეგად გვაძლევს შეცდომას ხოლო ობიექტური ნიშნის ნაკლებობა კი დაუმთავრებელ დანაშაულს. დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ინსტიტუტს ეთმობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეექვსე თავი, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დანაშაულის მომზადებისათვის (სსკ-ის მე-18 მუხლი), დანაშაულის მცდელობისათვის (სსკ-ის მე-19 მუხლი), ასევე პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას დაუმთავრებელი დანაშაულისათვის (სსკ-ის მე-20 მუხლი) და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას (სსკ-ის 21-ე მუხლი).

ყოველი განზრახი დანაშაული ამა თუ იმ ფორმით გაივლის გარკვეულ ეტაპებს (სტადიებს). „1. დანაშაულის ჩადენის განზრახვის წარმოშობა (დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღება), 2. განზრახვის გამომყვლავნება მესამე პირებისათვის მისაწვდომი ფორმით, 3. დანაშაულის მომზადება – დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა, 4. დანაშაულის მცდელობა, ... ზოგიერთი დანაშაული და-

ნაშაულის განვითარების ამ ყველა სტადიას გაივლის და დამთავრებულად ითვლება, როდესაც სამართლებრივი სიკეთე ხელყოფილია.²³¹ მ. ტურავა დამთავრებული დანაშაულის წინარე სტადიებს სამ ეტაპად ყოფს: «როგორც წესი, თავდაპირველად პირს წარმოეშობა დანაშაულის ჩადენის სურვილი (ქმედების ჩადენის განზრახვის აღმოცენება), რომელიც არ არის დასჯადი სტადია (cogitationis poenam nemo patitur). შემდეგი ეტაპი – დანაშაულის მომზადება და მცდელობა, ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, წარმოადგენს შედეგიანი განზრახი დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებს და უმეტეს შემთხვევაში დასჯადია. შედეგიანი დანაშაულის ბოლო ეტაპია შედეგის დადგომა, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის დამთავრებას.²³²

მიუხედავად იმისა, რომ დამთავრებული დანაშაული წარმოადგენს განზრახი დანაშაულის ბოლო დამამთავრებელ საფეხურს მეთოდოლოგიურად უფრო მართებულია მისი ცნების თავიდანვე განსაზღვრა. რადგან, სიტყვა „დაუმთავრებელი“ ფართობითი ცნებაა, რომელიც განისაზღვრება იმ მოვლენასთან, ფაქტთან მიმართებით, რაც ადამიანის მიერ დასრულებულად არის მოჩნეული. თუკი ვსაუბრობთ რაიმე მოვლენის დაუმთავრებლობაზე, ლოგიკურად ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარ განსაზღვრულია და ვიცით ამ მოვლენის დასრულებული სახე. მაგალითად, თუკი ადამიანზე ვამბობთ, რომ მას აკლია თვალი ან ხელი, ასეთ დასკვნას იქიდან ვაკეთებთ, რომ ჩვენ ვიცით ადამიანის სხეულის სრული სტრუქტურა, ანალოგიურად შეიძლება ითქვას დანაშაულზეც. დაუმთავრებელია დანაშაული მის დასრულებ-

²³¹ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ. 237

²³² მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013 გვ. 302

ბულ საკანონმდებლო კონსტრუქციასთან მიმართებით. კანონმდებელი დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის შექმნისას იძლევა „იურიდიულად“ დასრულებული დანაშაულის შემადგენლობას. კანონმდებლის ძირითადი ამოცანა ქმედების სწორ კვალიფიკაციასთან არის დაკავშირებული. იმდენად, რამდენადაც ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაცია, უპირველს ყოვლისა, მოითხოვს ნორმის დადგენას და შემდეგ ქმედების ნორმასთან შესაბამისობის დადგენას. მაშასადამე, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია მოითხოვს დანაშაულის შემადგენლობის ცოდნას, რომელიც ყოველთვის დასრულებული სახითაა მოცემული.²³³ ანალოგიურად – რომ ვიცოდეთ თუ რა არის დამთავრებული დანაშაული, უნდა ვიცოდეთ დამთავრებული დანაშაული. ამასთან დაკავშირებით დასაბუთებული და გამოკვლეული პოზიცია ჰქონდათ პროფესორებს ნ. დურმანოვს და თ. ნერეთელს რომლებიც თვლიდნენ, რომ: „დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა შემადგენლობის ჩვეულებრივ ტიპს წარმოადგენს, ხოლო მცდელობა და მომზადება მისგან არის ნაწარმოები“.²³⁴

დანაშაულის დამთავრებულად გამოცხადება დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის სახეზე, ანუ კანონმდებლობის ნებაზე, თუ რა მომენტიდან მიიჩნევა დანაშაულებრივ ქმედებას დასრულებულად. ამ მიმართებით კანონმდებლის ნება კი დამოკიდებულია დასაცავი სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობაზე. რაც უფო მეტია სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა მით უფრო ადრეულ სტადიაზე შეიძლება კანონმდებელმა გადმოიტა-

²³³ გ.ნაჭყენია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 149

²³⁴ გ. ნანეიშვილი. სამართლის ფილოსოფიის საკითხები. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1992, გვ.150.

ნოს დანაშაულის დამთავრების მომენტი. მაგალითად, ბან-
დიტიზმის შემთხვევაში (სსკ-ის 224-ე მუხლი) დანაშაული
დამთავრებულია მომზადების სტადიაზე, ხოლო ყაჩაღობის
შემთხვევაში (სსკ-ის 179-ე მუხლი) მცდელობის სტადიაზე.
ასეთ შემადგენლობებს შეეკვეცილ შემადგენლობებს უწო-
დებენ, რადგან ისინი ეგრეთ წოდებული საფრთხის შემქმ-
ნელი დელიქტებია (ანუ დანაშაულები, რომლებიც თავისი
კონსტრუქციიდან გამომდინარე დამთავრებულია დანაშაუ-
ლის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე). ამასთან ერთ-
ნამეთისაგან უნდა განვასხვაოთ დანაშაულის ფორმალური
და მატერიალური (ფაქტობრივი) დამთავრება. დანაშაულის
ფორმალური დამთავრების დროს „განხორციელებულია
სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში
გათვალისწინებული დანაშაულის ყველა ნიშანი. დანა-
შაული მატერიალურად დამთავრებულია მაშინ, როდესაც
სამართლებრივი სიკეთე დაზიანდა“²³⁵ ანუ დადგა გარკვეუ-
ლი შედეგი. დანაშაულის ფორმალური და მატერიალური
დამთავრება ზოგიერთ დანაშაულებში ერთმანეთს ემთხ-
ვევა (მაგალითად, განზრახ მკვლელობისას (სსკ-ის 108-ე
მუხლი), როდესაც განხორციელებულია დანაშაულის ყველა
ნიშანი: ბოროტმოქმედი ესვრის მსხვერპლს მისი მოკვლის
მიზნით, რაც იწვევს ამ პირის დაუყოვნებლივ დაღუპვას,
შესაბამისად იმავდროულად ხელყოფილია სამართლებრი-
ვი სიკეთე ადამიანის სიცოცხლის სახით), ზოგიერთ დანა-
შაულში კი დაშორებულია ერთმანეთს დროში (მაგალითად,
ყაჩაღობისას (სსკ-ის 179-ე მუხლი) დანაშაული ფორმალ-
ურად დამთავრებულია მაშინ, როდესაც ბოროტმოქმედმა
განხორციელა თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მარ-
თლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სი-

²³⁵ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.238

ცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ხოლო მატერიალურად დასრულებლად ყაჩაღობა მიიჩნევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდება სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება. დანაშაულის ფორმალური და მატერიალური დამთავრების გამიჯვნას მნიშვნელობა ენიჭება აუცილებელი მოგერიების, თანამონაწილეობის და ხანდაზმულობის ვადის გამოთვლისას. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს გააჩნია დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემდეგაც მანამ სანამ დანაშაული მატერიალურად არ დამთავრდება, ასევე თანამონაწილე შეიძლება შემოუერთდეს, ჩაებას, დანაშაულს მისი ფორმალურად დამთავრების შემდეგ, ხოლო მაგალითად დენად დანაშაულებში მათი მატერიალური, ფაქტობრივი, დამთავრების შემდეგ იწყება ხანდაზმულობის ვადის ათვლა.

დაუმთავრებელი დანაშაულის სამი სტადიის გამოყოფა უნდა მივიჩნიოთ მართებულად. დანაშაულის ჩადენის განზრახვის წარმოშობა და განზრახვის გამომჟღავნება მესამე პირებისათვის მისაწვდომი ფორმით შეიძლება ერთ ლიტონი განზრახვის სტადიად მივიჩნიოთ, შესაბამისად დანარჩენ ორ სტადიად დანაშაულის მომზადება და დანაშაულის მცდელობა გვევლინება. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძველს წარმოადგენს კონკრეტული საფრთხე, რომელსაც დანაშაულებრივი ქმედება უქმნის სამართლებრივ სიკეთეს, რაც უფრო მეტია საფრთხე მით უფრო ახლოსაა ბოროტმოქმედი დანაშაულებრივ შედეგთან. დღეს ქართულ სისხლის სამართალში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძველების სწორი განსაზღვრისათვის გამოიყენება ეგრეთ წოდებული დუალ-

ისტორი ანუ სუბიექტურ-ობიექტური თეორია, რომელიც გულისხმობს „სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების კომბინაციას და დიფერენცირებულად განსაზღვრავს რეალურად საშიში და უვარგისი მცდელობების დასჯადობის საფუძვლებს. სწორედ ამ თეორიით არის შესაძლებელი მომზადების და მცდელობის ურთიერთგამიჯვნა ობიექტურ სფეროში. უვარგისი მცდელობის დასჯადობა სუბიექტურიდან გამომდინარე და აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობის უარყოფა ობიექტური დასაბუთებით.“²³⁶

როგორც ნესი, განზრახვი დანაშაული ხშირად იწყება დანაშაულებრივი ჩანაფიქრის გამომჟღავნებით, მაგრამ სანამ ის ჯერ კიდევ არ გადაზრდილა ქმედებაში ასეთი „ლიტონი“ სიტყვა ბუნებრივია არ ჩაითვლება დანაშაულად. იურიდიულ ლიტერატურაში უდავოდ ითვლება, რომ განზრახვის გამომჟღავნება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს: თანამედროვე სისხლის სამართალი ქმედების სამართალია: ადამიანი ისჯება არა აზრის გამოთქმისათვის, არამედ კონკრეტული ქმედებისათვის, რომელიც საფრთხეს უქმნის ან აზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. განზრახვის გამომჟღავნება მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როცა ის საფრთხეს უქმნის ან აზიანებს კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს. განზრახვის გამომჟღავნება არ უნდა წარმოადგენდეს ხელის შეწყობას დანაშაულებრივი განზრახვის რეალურად განხორციელებისათვის, სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება განზრახვის გამომჟღავნება მომზადებისაგან. განზრახვის გამომჟღავნებამ შეიძლება შეიძინოს განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების დროს, ვინაიდან პირმა შესა-

²³⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013 გვ. 314

ძლოა განზრახვის გამომჟღავნებით, როდესაც მას მიზანმიმართული ქმედების სახე ენიჭება, დანაშაულის ნამქეზების როლი ითამაშოს, აღუძრას მეორე პირს დანაშაულის ჩადენის სურვილი ანუ ნააქეზოს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე.

8.2 დანაშაულის მომზადება, მომზადების ობიექტური და სუბიექტური ნიშნები

სსკ-ის მე-18 მუხლის თანახმად დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. დანაშაულის მომზადება დაუმთავრებელი დანაშაულის პირველი დასჯადი სტადიაა. დასჯადია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება, აგრეთვე ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება, რომელთა ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია თვითონ სსკ-ის მე-18-ე მუხლის მეორე ნაწილში. კანონმდებლის ასეთი პოზიცია გამართლებულია. ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივ დასჯაზე უარის თქმა განპირობებულია დასაცავი სამართლებრივი სიკეთის ნაკლები სოციალური ღირებულებით, რომლის ასეთი ფორმით ხელყოფისათვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება არ იქნებოდა გამართლებული. იმ შემთხვევებში, როდესაც კანონმდებელი მიიჩნევს ამა თუ იმ დანაშაულის მომზადებას ისეთ ქმედებად, რომელიც თავისთავად უკვე დასაცავი სამართლებრივი სიკეთისთვის დიდ საფრთხეს ქმნის, მას დამოუკიდებელ დანაშაულად აცხადებს. ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბანდიტიზმი. სსკ-ის 224-ე მუხლით ბანდიტიზმის შემადგენლობა ასეა ფორმირე-

ბული. „მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა, ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით.“ ფაქტობრივად საქმე გვაქვს დანაშაულის მოსამზადებელ მოქმედებასთან. მაგრამ კანონმდებელმა ეს მოქმედება თავისი მომეტებული საშიშროების გამო დამთავრებელ დანაშაულად გამოაცხადა.²³⁷ დანაშაულის ასეთივე დამოუკიდებელი შემადგენლობაა გათვალისწინებული სსკ-ის 404-ე მუხლით- „აგრესიული ომის დაგეგმვა ან მომზადება“. ასევე სსკ-ის 405-ე მუხლით სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება აგრესიული, ომის გაჩაღებისაკენ საქვეყნოდ მოწოდება. ამ შემთხვევაშიც მომზადება დამთავრებულ დანაშაულად არის გამოცხადებული.

აქ შეიძლება მეტად პრაქტიკული საკითხიც დავაყენოთ, თუკი კოდექსის ცალკეული მუხლების კონსტრუქციას მივაქცევთ ყურადღებას დავინახავთ, რომ არცთუ იშვიათად ძნელია მოსამზადებელი სტადიაზე იმის გარკვევა, რომელი კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის ემზადება პირი, როდესაც იარაღი ან საშუალება შეიძინა, თუ დაამზადა. როცა, მაგალითად, ადამიანი ცეცხლსასროლ იარაღის იძენს მკვლელობის მიზნით, მაშინ საკითხი ადვილი გასარკვევია. ვინაიდან, სსკ-ის 108-ე და 109-ე მუხლებით მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებია გათვალისწინებული.²³⁸ მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მძევლად ხელში ჩაგდების მიმართ (სსკ-ის 144-ე მუხლი). სისხლისსამართლებრივად დასჯადია სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებული ყველა დანაშაულის მცდელობა, მიუხედავად მათი სიმძიმისა და არა მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით

²³⁷ ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, თბ., 1998, გვ. 156

²³⁸ ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, თბ., 1998, გვ. 157

მძიმე დანაშაულების ჩადენის მცდელობა, როგორც ამას ადგილი აქვს დანაშაულის მომზადების დროს. ეს მუხლი სამნაწილიანია და მხოლოდ მესამე ნაწილით არის გათვალისწინებული განსაკუთრებით მძიმე კატეგორის დანაშაულის შემადგენლობა. სსკ-ის 144-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოება მძევლად ხელში ჩაგდება-„ორგანიზებული ჯგუფის მიერ“, ხოლო ამ მუხლის პირველი ნაწილით ნაკლებად მძიმე დანაშაულია გათვალისწინებული და ა.შ. მოსამზადებელ სტადიაზე ძნელი გასარკვევი იქნება, როგორი ჯგუფი შეიქმნა ვინმეს მიერ. ყოველ შემთხვევაში, აქ შეიძლება ძლიერი ეჭვი წარმოიშვას ამ საკითხზე, რა კვალიფიკაციას მიიღებდა ეს ქმედება დანაშაულის დამთავრების სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და გამოძიება შეწყდეს საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის საფუძველზე.

დანაშაულის მომზადების ობიექტური ნიშანი გულისხმობს დანაშაულის ჩასადენად პირობების (განზრახ) შექმნას. „პირობების შექმნა“ საკმაოდ ფართო ცნებაა და მრავალგვარ, მრავალფეროვან ქმედებას მოიცავს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ამა თუ იმ დანაშაულის ობიექტური მხარე, რა ხერხით და საშუალებით შეიძლება ყოველი კონკრეტული დანაშაულის ჩადენა. მოსამზადებელი მოქმედება ან დანაშაულის ჩადენისთვის აუცილებელი (სანამლავის ყიდვა კაცის მოსანამლად), ანდა მისი გამაადვილებელი (დასაძინებელი ნამლის შეძენა მსხვერპლის დასაძინებლად მისი იოლი გაქურდვისათვის) ქმედებაა.²³⁹ იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ პირობების შექმნა, უპირველეს ყოვლისა,

²³⁹ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 23

გულისხმობს იარაღის ან საშუალების დამზადებას ან შექმნას თუ მომარჯვებას დანაშაულის ჩასადენად. ზოგჯერ ერთმანეთისაგან განასხვავებენ იარაღს და საშუალებას. იარაღი და საშუალება შეიძლება იყოს ყოველგვარი საგანი. მაგალითად, მკვლელობის ჩასადენად კაცმა შეიძლება იყიდოს ან ინათხოვროს ცეცხლსასროლი იარაღი, დანა ან დაამზადოს სანამლავი და სხვა.²⁴⁰ ქურდობის ჩასადენად პირმა შეიძლება გააკეთოს კიბე ან მოიტანოს კიბე ბინასთან მისი გაქურდვის მიზნით. დაამზადოს იმავე მიზნით გასაღები ან სხვა საგანი კარის გასაღებად. ყურადღება მისაქცევია ეგრეთ წოდებული სოციალურად ადეკვატური საქციელისათვის. იგივე კიბის ყიდვა ან მისი მიდგმა ბინის ფანჯარასთან შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ქურდობის მომზადება ასევე სრულიად უწყინარი საყოფაცხოვრებო მიზნით განპირობებული ქმედება (იგივე მაგალითად გასაღების დამზადების ან კარის გასაღებად სხვა საგნის მომარჯვების შემთხვევაში). «თუ დანაშაულის ჩასადენად გამოსადეგი საგნის შექმნა ან მისი გაკეთება სოციალურად ადეკვატური ქმედებაა, დანაშაულის მომზადება გვექნება მაშინ, როდესაც პირი ან იარაღს ისე მოიმარჯვებს, რომ მესამე პირის მისი ქმედების სოციალური ადეკვატურობის დაჯერება უკვე აღარ შეუძლია, ე.ი. როდესაც მოსამზადებელი მოქმედება საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით ყოველგვარი ეჭვის გარეშე იმ დელიქტზე მიუთითებს, რომლის ჩადენაც პირს ჰქონდა გადაწყვეტილი (კიბის მიდგმა სხვისი სახლის კედელზე ფანჯარაში გადასაცოცებლად, სხვის ეზოში ან ბინაში შესვლა იარაღით ხელში).²⁴¹ მნიშ-

²⁴⁰ ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი ნიგნი, თბ., 1998, გვ. 153

²⁴¹ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 25-26

ვნელოვანია, რომ თვითონ ის ხერხი და საშუალება, რომლის მოპოვება და მომარჯვება ხდება იყოს განზრახული დანაშაულის ჩასადენად ვარგისი. დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა მარტო იარაღის გამოძებნას, დამზადებას როდი გულისხმობს. მოსამზადებელ მოქმედებად მიიჩნევენ აგრეთვე დანაშაულის ჩადენისათვის აუცილებელი ცნობების შეგროვებას, დაზარალებულის დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელ ადგილას გატყუებას, ჩასაფრებას სადაც უნდა გაიაროს მსხვერპლმა, რომელსაც ყაჩაღურად თავს დაესხმიან, დაცული ობიექტის დარაჯის დათრობა და ა.შ.

დანაშაულის მომზადების სუბიექტური ნიშანი გულისხმობს დანაშაულის ჩასადენად პირობების **განზრახ** შექმნას. „დაუმთავრებელი დანაშაულის დროს დანაშაულის სუბიექტური მხარე ობიექტურს სჭარბობს. დანაშაულის მომზადების სუბიექტური მხარე მოიცავს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნის და დანაშაულის შემადგენლობის (თუ შემადგენლობა შედეგს მოიცავს, მაშინ დანაშაულებრივი შედეგის) განხორციელებისკენ მიმართულ განზრახვას. მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში დანაშაულის მომზადების სუბიექტური მხარე შესაბამის მიზანსაც უნდა მოიცავდეს.“²⁴² როდესაც დანაშაულის იარაღის დამზადება-შექმნაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ამ იარაღით კონკრეტული დანაშაულის ჩადენა. იარაღის მოპოვება დანაშაულის მომზადებად მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება, როცა ეს იარაღი წინასწარ ჩაფიქრებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვისაა შექმნილი ან დამზადებული. მაგალითად, ა-მ იშოვა იარაღი, რაიმე საქმეში გამომადგებაო, მაგრამ ჯერ დაკონკრეტებული

²⁴² ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 33

არა აქვს, რას ჩაიდენს ამით, მკვლელობას, ყაჩაღობას თუ სხვა დანაშაულს. იარაღის ასეთი შეძენა, რასაკვირველია, დანაშაულის მომზადებად ვერ ჩაითვლება. მაგალითად, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა დამნაშავეთა ჯგუფმა იქირავა ბინა, მოისყიდა კავშირგაბმულობის მუშაკი და უნებართვოდ დაიწყო ერთ-ერთი კერძო ფირმის სატელეფონო საუბრების მოსმენა. ამით დაადგინეს, რომ ამა და ამ დროს მერსედესის მარკის ავტომობილით გადაჰქონდათ დიდძალი ვალუტა. დახვდნენ აღნიშნულ მანქანას და ყაჩაღური თავდასხმის შედეგად ეს ფული მთლიანად წაართვეს მოლარეს. ბინის მოსმენა დამოუკიდებელი დანაშაულია, მაგრამ ამევე დროს ეს მოქმედება ყაჩაღობის მოსამზადებელი მოქმედებაა. ბოროტმოქმედები ფარული საუბრის მოსმენის დროს, რომ დაეპატიმრებინათ, ისინი, სხვა დანაშაულთან ერთად, პასუხს აგებდნენ ყაჩაღობის მომზადებისათვის, რადგან მათ კონკრეტიზირებული ჰქონდათ განზრახვა მოსამზადებელი ქმედების განხორციელებისას ჩაედინათ ყაჩაღობა. ანუ მოსამზადებელი მოქმედების განხორციელებისას დანაშაულის ჩადენის განზრახვა კონკრეტიზირებული უნდა იყოს და მოიცავდეს სასურველი დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნებს.

დანაშაულის მომზადება ევენტუალური განზრახვით (ისევე, როგორც დანაშაულის მცდელობა) შეუძლებელია, რადგან არ შეიძლება ემზადო (პირობები შექმნა) დანაშაულის ჩასადენად, რომლის შედეგის დადგომის სურვილი არ გაგაჩნია.

მოსამზადებელ მოქმედებად ითვლება აგრეთვე დანაშაულის თანამონაწილეთა გამოძებნა.²⁴³ მოსამზადებელი

²⁴³ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 81

ქმედებაა ის შემთხვევა, როცა მიმდინარეობს დანაშაულის დაგეგმვა (მოლაპარაკება რამდენიმე პირს შორის), როგორ ჩაიდინონ დანაშაული, მაგალითად ქურდობის ჩასადენად, ვინ შევიდეს ბინაში, ვინ დადგეს მეთვალყურედ, ვინ გაალოს სეიფი და ასე შემდეგ. დანაშაულის მომზადებად დაკვალიფიცირდება ქმედება მაშინაც, როცა პირი, ვისაც გადაწყვეტილი აქვს დანაშაულის ჩადენა ეძებს, ვთქვათ, დანაშაულის დამფარავს, ნაქურდალის გამსალებელს და სხვა. „უშუდეგო ნაქეზება კი ისჯება, როგორც დანაშაულის მომზადება.“²⁴⁴

ვერ დავეთანხმებით თ. წერეთელს, როცა იგი რუსი იურისტის. ა. ტრანინის თვალსაზრისზე დაყრდნობით ამტკიცებს, თითქოს „მოსამზადებელი მოქმედების დროს მოცემულია დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური ელემენტი-განზრახვა, ხოლო ობიექტურ სფეროში- მოქმედება, რომელიც არ არის დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი.“²⁴⁵ ო. გამყრელიძის პოზიციით (რომელსაც სავსებით ვიზიარებთ), თუ მოქმედება არ ქმნის ქმედების შემადგენლობას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სისხლის სამართალი ქმედების სამართალი არ ყოფილა და რომ ადამიანი შეიძლება დავსაჯოთ აზრის გამოთქმისათვის ანუ, განზრახვის გამომჟღავნებისათვის. ქმედების შემადგენლობის მოცულობას განსაზღვრავს კანონმდებელი. თუკი კანონმდებლობა დასჯადად გამოაცხადა ადამიანის მოკვლის მიზნით იარაღის ან საშუალების დამზადება, მაშინ ეს მოქმედება მკვლელობის შემადგენლობის ნიშნადაც უნდა ვაღიაროთ.²⁴⁶

²⁴⁴ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 341

²⁴⁵ ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი ნიგნი, თბ., 1998, გვ.278

²⁴⁶ ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი ნიგნი, თბ., 1998, გვ.155

დაგვრჩა განსახილველი კიდევ ერთი პრაქტიკული საკითხი. სასურველია, რომ გამოძიება დანაშაულის მომზადებისათვის დაინყოს იმ შემთხვევაში, როცა მოსამზადებელი მოქმედება უფრო ახლოს არის მცდელობის სტადიასთან, თუმცა დანაშაულის მცდელობა მას ჯერ კიდევ ვერ დავარქმევთ, სასურველია აგრეთვე, მოსამზადებელი მოქმედებისათვის დამნაშავე მხოლოდ მაშინ დაისაჯოს, როცა ის მიზნად ისახავდა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენას (განზრახ მკვლელობა, მძევლად ხელში ჩადგება და ა.შ.) ის პრაქტიკა, რომ მოსამზადებელი მოქმედება უფრო მეტად მაშინ უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობას, როცა ასეთი მოქმედება ახლოსაა დანაშაულის მცდელობასთან, საბჭოთა რეჟიმის დროსაც არსებობდა.²⁴⁷

დანაშაულის მომზადების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-18 მუხლით და კერძო ნაწილის იმ მუხლით, რომლის ჩადენისათვის დამნაშავე ემზადებოდა. მაგალითად, განზრახ მკვლელობის მომზადება სსკ-ის მე-18-ე, 108-ე, მუხლით ან დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა სსკ-ის მე-18-ე, 109-ე მუხლის შესაბამისი პუნქტით. თუ დანაშაულის მომზადების სტადიაზე პირის ქმედებაში არის სხვა დამთავრებული დანაშაულებრივი ქმედების ნიშნებიც, მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, მაშინ პირის ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილითაც.

²⁴⁷ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 88

8.3 დანაშაულის მცდელობა, მცდელობის ცნება და სახეები

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახვი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

დანაშაულის მცდელობა სახეზეა, როცა პირს თავისი ქმედებით, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგისაკენ, სუბიექტურად სურდა სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ ნორმით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება ან ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობას (პირდაპირი განზრახვა), მაგრამ ობიექტურად სრულად ვერ განახორციელა მის მიერ სუბიექტურად განზრახული ქმედების შემადგენლობა.

დანაშაულის მცდელობას ახასიათებს სწორედ ობიექტური მხარის ნაკლებობა, ხოლო სუბიექტურად იგი სრული მოცულობით არის წარმოდგენილი. სუბიექტურად დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით (პირველი და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა) შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ობიექტურად მცდელობა გულისხმობს დანაშაულისათვის მოსამზადებელი სტადიის დასრულებას და უშუალოდ დანაშაულის განხორციელებაზე გადასვლას (ქმედების ობიექტური შემადგენლობის შესრულების დაწყება); ქმედების განხორციელებას, რომელსაც უნდა მოჰყვეს შედეგი, მაგრამ ეს შედეგი არ დგება ობიექტური პირობების გამო; პირის მიერ გამოყენებული იარაღი და საშუალება არ იძლევა ობიექტურ შესაძლებლობას დანაშაულის დამთავრებისათვის; დანაშაულის დამთავრება შეუძლებელია ობიექტის თვისებების გამო; დანაშაულებრი-

ვი შედეგი დადგა, მაგრამ პირს ეს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება;

მაგალითად, ა-მ მოკვლის განზრახვით ტყვია ესროლა ბ-ს, რომელსაც ის ასცდა და მსხვერპლი გადარჩა, ან ტყვია მოხვდა მსხვერპლს, მაგრამ ჭრილობა არ გახდა სასიკვდილო, რადგან მისთვის განეული დროული სამედიცინო დახმარება ეფექტური აღმოჩნდა. ორივე შემთხვევაში სახეზეა განზრახი მკვლელობის მცდელობა.

დანაშაულის მცდელობა მოსამზადებელი მოქმედებასა და დამთავრებული დანაშაულის შორისაა. მოსამზადებელი მოქმედებისაგან ეს იმით განსხვავდება, რომ მცდელობა უშუალოდ არის მიმართული დანაშაულის ჩასადენად. მაშასადამე, დანაშაულის მცდელობა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი მოქმედებაა, ხოლო მომზადება აბსტრაქტული საფრთხეს ქმნის. რაც შეეხება დამთავრებულ დანაშაულს აქ საფრთხე უკვე რეალიზებულია. „დამთავრებული დანაშაულის დროს- ამბობს თ. ნერეთელი, -არსებობს არა, მარტო ობიექტის დაზიანების საფრთხე, არამედ უკვე რეალიზებული ზიანი, ხოლო დანაშაულის მომზადების დროს ობიექტის დაზიანების საფრთხე ჯერ კიდევ არ არსებობს.“²⁴⁸

მცდელობა და დამთავრებული დანაშაული ერთმანეთისაგან, რომ გავმიჯნოთ საჭიროა პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ, როგორ არის აღწერილი ქმედება კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში.

მაგალითად. ა-მ ქურდობა ქუჩაში ჩაიდინა (გამვლელს ჯიბიდან ამოაცალა საფულე). ამიტომ, როგორც კი მან დაზარებულს საფულე ამოაცალა, იგი ნივთს დაეუფლა. შემთხვევით ქურდი პოლიციელმა უმაღლვე შენიშნა და დააკავა, რადგან ა უკვე დაეუფლა საფულეს ქურდობა დამ-

²⁴⁸ თ. ფანჯიკიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2003, გვ. 58

თავრებულია. ისეთ შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც ა-მ გადანყვიტა მაღაზიიდან მოეპარა ერთი ტომარა შაქარი, მაგრამ ის დააკავეს მანამ ვიდრე დატოვებდა ტერიტორიას საქმე გვექნება არა დამთავრებულ ქურდობასთან არამედ ქურდობის მცდელობასთან. ასეთი კვალიფიკაცია გვექნება იქედან გამომდინარე, რომ ბოროტმოქმედს ჯერ არ დაუტოვებია დანაშაულის ადგილი ნაქურდალი მის ხელშია, მაგრამ ჯერ დაუფლებული არ არის, რადგან არ გააჩნია მისი განკარგვის შესაძლებლობა.

პრაქტიკაში ხშირად პრობლემას ვაწყდებით დამთავრებულ განზრახ მკვლელობის და განზრახ მკვლელობის მცდელობის გამიჯვნასთან მიმართებაში. არის შემთხვევები, როდესაც საგამოძიებო ორგანოები ქმედებას არა მკვლელობის მცდელობით აკვალიფიცირებენ (სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლები), მიუხედავად ასეთი კვალიფიკაციის აშკარა ხასიათისა, არამედ დამთავრებულ განზრახ მკვლელობით (სსკ-ის 108-ე მუხლი).²⁴⁹

მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ შემდეგი კაზუსი: ა-ს სურდა შურისძიების ნიადაგზე მოეკლა ბ. იგი ერთ საღამოს გზაზე დახვდა ბ-ს და ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა მუცელში. თვითმხილველებმა დაჭრილის დასახმარებლად გამოიძახეს სასწრაფო დახმარების მანქანა. საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე მძღოლმა, რომელიც სასწრაფო დახმარების მანქანას მართავდა ერთ-ერთ მოსახვევში ვერ დაიმორჩილა საჭე, გამოიჩინა უყურადღებობა და ბოძს დაეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ბ დაიღუპა.

კითხვა: დაისჯება თუ არა ა განზრახ მკვლელობისათვის, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდე-

²⁴⁹ ი.გაბისონია, ჯ.გაბელია, თ.დარსანია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2018, გვ.89

ექსის 108-ე მუხლით? კაზუსიდან ორი წინასწარი ვერსია – ჰიპოთეზა შეიძლება წამოვაცენოთ. კერძოდ, მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის შესახებ.

1-ლი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია ა-ს ბ-თვის მუცელში ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობის მიყენების გამო დაეკისროს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული განზრახ მკვლელობისათვის, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

-ქმედების სუბიექტი-ა

-ქმედების ობიექტი- ბ-ს სიცოცხლე

-ქმედება განხორციელდა ა-ს მიერ ბ-ს ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრით მუცლის არეში.

-ქმედების შედეგი, ადამიანის სიკვდილი დადგა-ბ დაიღუპა.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის (კონდიციო ფორმულის) მიხედვით არსებობს, რადგან ა-ს მსხვერპლი, რომ არ დაეჭრა, მისი გადაყვანა სასწრაფო დახმარების მანქანით საჭირო არ გახდებოდა და ავტოავარიის შედეგად ბ არ მოკვდებოდა.

-ობიექტური შერაცხვა- პირს შედეგი ობიექტურად შეერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. ა-ს მიერ შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს-ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას არ შეეძლო გამოენვია კონკრეტული შედეგი- ბ-ს სიკვდილი. დამდგარი შედეგი სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლის მიერ დაჭრილის საავადმყოფოში გადაყვანის დროს დაშვებული შეცდომის შედეგია. ამიტომაც ა-ს დამდგარი

შედეგი - ბ-ს სიკვდილი-ობიექტურად არ შეერაცხება.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ა-მ იცოდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით მუცელში მიყენებული ჭრილობით მსხვერპლი გარდაიცვლებოდა და მას სურდა კიდეც ეს. იგი ამ შედეგის განსახორციელებლად მოქმედებდა.

-მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე არაა კაზუსში საუბარი.

-ქმედება ჩადენილია ბრალეულად, ვინაიდან, ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი არაა კაზუსში მოცემული.

დასკვნა: ა პასუხს არ აგებს ბ-ს დამთავრებული მკვლელობისათვის სსკ-ის 108-ე მუხლის მიხედვით.

მე-2 ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია, რომ ა-მ ცეცხლსასროლი იარაღით მუცელში ბ-ს დაჭრით განახორციელა სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება- განზრახ მკვლელობის მცდელობა.

-ქმედების სუბიექტი-ა

-ქმედების ობიექტი- ბ-ს სიცოცხლე

-ქმედება განხორციელდა ა-ს მიერ ბ-ს ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრით მუცლის არეში.

-ქმედების შედეგი, ადამიანის სიკვდილი დადგა-ბ დაიღუპა.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის (კონდიციო ფორმულის) მიხედვით არსებობს, რადგან ა-ს მსხვერპლი, რომ არ დაეჭრა, მისი გადაყვანა სასწრაფო დახმარების მანქანით საჭირო არ გახდებოდა და ავტოავარიის შედეგად ბ არ მოკვდებოდა.

-ობიექტური შერაცხვა- პირს შედეგი ობიექტურად

შეერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. ა-ს მიერ შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს-ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას არ შეეძლო გამოენვია კონკრეტული შედეგი- ბ-ს სიკვდილი. დამდგარი შედეგი სასწრაფო დახმარების მანქანის მძლოლის მიერ დაჭრილის საავადმყოფოში გადაყვანის დროს დაშვებული შეცდომის შედეგია. ამიტომაც ა-ს დამდგარი შედეგი- ბ-ს სიკვდილი-ობიექტურად არ შეერაცხება. შესაბამისად საქმე გვაქვს დანაშაულის მცდელობასთან. სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, ა-ს ქმედება მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ჩასადენად. მოქმედება დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მაშინაა მიმართული, როდესაც სამართლებრივი სიკეთე კონკრეტულ საფრთხეშია ჩაყენებული. ცეცხლსასროლი იარაღით ბ-ს მუცელში დაჭრით ავთომ სიცოცხლის მოსპობის საფრთხე შექმნა და ამით მცდელობის ობიექტური მხარე განახორციელა.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ა-მ იცოდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით მუცელში მიყენებული ჭრილობით მსხვერპლი გარდაიცვლებოდა და მას სურდა კიდევ ეს. იგი ამ შედეგის განსახორციელებლად მოქმედებდა.

-მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე არაა კაზუსში საუბარი.

-ქმედება ჩადენილია ბრალეულად, ვინაიდან, ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი არაა კაზუსში მოცემული.

-დასკვნა: ავთომ ცეცხლსასროლი იარაღით მუცელში ბესოს დაჭრით განახორციელა სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება- განზრახ მკვლელობის მცდელობა.

დანაშაულის მცდელობა შეიძლება დაიყოს დანაშაულის დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობად. დაუმთავრებელი მცდელობა გვაქვს მაშინ, როდესაც პირმა უშუალოდ დაიწყო ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, მაგრამ ქმედება ჯერ ბოლომდე მიყვანილი არ არის. კიდევ საჭიროა გარკვეული ქმედების განხორციელება, რომ შედეგი დადგეს. მაგალითად, პირმა მომართა ცეცხლსასროლი იარაღი და შუბლზე დაადო მსხვერპლს. მანამ სანამ ის გასროლას განახორციელებს, ჯერ-ჯერობით სახეზეა დაუმთავრებელი მცდელობა, რადგან შედეგის მისაღწევად კიდევ დარჩა ქმედება, ჩახმახის გამოკვრა უშუალოდ გასროლისათვის. დაუმთავრებელი მცდელობა გვექნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირმა სანამლავი ჩაუყარა მსხვერპლს სასმელში, რომელიც მას ჯერ არ დაუღვია (თუმცა ხელში უჭირავს და მალე უნდა მიირთვას). ამ შემთხვევაშიც ჯერ კიდევ დარჩა ქმედება, რომელიც უნდა განხორციელდეს, რომ შედეგი დადგეს (მსხვერპლმა უნდა დალიოს მოწამლული სასმელი). დამთავრებული მცდელობის დროს პირმა ბოლომდე უნდა ამოწუროს ქმედება და მხოლოდ შედეგს უნდა ელოდებოდეს. მეტი არანაირი ქმედების განხორციელება საჭირო არ არის, რათა დასახული შედეგი მიღწეულიქნეს. ქმედების დასრულებას უნდა მოყვეს შედეგი მოვლენათა კანონზომიერი განვითარების შედეგად, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რომ არა გარემოება, რამაც შედეგის განუხორციელებლობა გამოიწვია. მაგალითად, პირმა მსხვერპლს ესროლა, მაგრამ ააცილა ან მოახვედრა ტყვია, მაგრამ დაზარალებული გადაურჩა სიკვდილს. ან მსხვერპლმა დალია მოწამლული სასმელი, მაგრამ დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად გადაარჩა. დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობას

მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევების განხილვისას.

8.4 უვარგისი მცდელობა

უვარგისი მცდელობა გვაქვს იმ შემთხვევებში, როდესაც ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება შეუძლებელია გარკვეული ფაქტიური ან სამართლებრივი საფუძვლის გამო. უვარგისი მცდელობის დროს პირის მოქმედება დანაშაულებრივ შედეგს არ იწვევს, რადგან დანაშაულის ჩადენის საშუალება ან თვით დანაშაულის ობიექტი დანაშაულის ჩასადენად არ გამოდგება.²⁵⁰ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ აბსოლუტურად უვარგისი და შეფარდებით (რელატიურად) უვარგისი მცდელობა. აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის საკანონმდებლო რეგულირება მოცემულია სსკ-ის მე-20 მუხლში (პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დაუმთავრებელი დანაშაულისათვის). პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი. გამოდის, რომ თუ პირი დანაშაულის ჩასადენად იყენებს ისეთ საშუალებას, რომელმაც არ შეიძლება გამოიწვიოს კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედის მიერ დასახული შედეგი, სახეზეა აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა, შესაბამისად გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აბსოლუტურ უვარგისი მცდელობას-

²⁵⁰ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 43

თან მიმართებაში მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი უვარგისი საშაულების გამოყენებას კონკრეტული შედეგის მისაღწევად უკავშირებს პირის უმცირესას ან პიროვნულ ნაკლს. შეფარდებით უვარგისი მცდელობა განსხვავებით აბსოლუტურად უვარგისი მცდელობისაგან სისხლისსამართლებრივად დასჯადია. შეფარდებით უვარგისი მცდელობა ორ სახედ იყოფა, მცდელობად უვარგისი ობიექტზე და მცდელობად უვარგისი საგნით. ორივე შემთხვევაში რეალურად საქმე გვაქვს ფაქტობრივი შეცდომის ნაირსახეობებთან.

მცდელობა უვარგისი ობიექტზე გვაქვს მაშინ, როდესაც ობიექტი, რომელზეც ხდება ხელყოფა უკვე დაზიანებულია ან სხვამხრივ არ აკმაყოფილებს ობიექტისადმი ნაყენებულ მოთხოვნებს. მცდელობა უვარგისი ობიექტზე წარმოადგენს შეცდომას ხელყოფის საგანში. მაგალითად, მცდელობა უვარგისი ობიექტზე გვაქვს მაშინ, როდესაც პირი ესვრის გვამს მოკვლის განზრახვით, რომელიც ცოცხალი ადამიანი ჰგონია ან ცეცხლსასროლი იარაღიდან ესვრის უსულო საგანს ან ცხოველს, რომელიც ასევე, ცუდი ხილვადობის გამო, ცოცხალი ადამიანი ჰგონია. ჩვენი აზრით იგივე მდგომარეობა გვაქვს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ადგილზე არმყოფ ობიექტს. ანუ ისეთ შემთხვევაში, თუ პირი ტახტზე მიგდებულ ქურქს ტყვიას ესვრის და ჰგონია, რომ ადამიანს კლავს, ის ახორციელებს მცდელობას ადგილზე არმყოფ ობიექტზე.²⁵¹

უვარგისი საგნით მცდელობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი დანაშაულის ჩასადენად იყენებს ისეთ საგანს, რომელსაც მოსალოდნელი შედეგის გამოწვევა არ შეუძლია. აქ იგულისხმება ისეთი საგანი, რომელსაც კონკრეტულ ვითარებაში არ ძალუძს განზრახული შედეგის
²⁵¹ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.243

გამონწვევა, ზოგადად კი ასეთ უნარს მოკლებული არ არის. მაგალითად, იარაღიდან გასროლის ცდა, რომელშიც ტყვიან არ დევს, ან ისეთი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ადამიანის მოკვლის ცდა, რომელიც გაუფარგისებუალია (აკლია რაიმე სასროლად მნიშვნელოვანი ნაწილი), ვადაგასული ან არასაკმარისი დოზის მომწამვლელი ნივთიერების გამოყენება ადამიანის მოსაკლავად და სხვა. როგორც ვხედავთ აქ განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ვიდრე აბსოლუტურად უფარგისი საგნით მცდელობის შემთხვევაშია, როდესაც პირი ისეთ საშუალებას იყენებს დანაშაულის ჩასადენად რომელსაც პრინციპში არ შეუძლია გამიზნული შედეგის გამოწვევა. მაგალითად, ჩაის ძლიერი ნაყენის დაღვევებით ადამიანის მოკვლის ცდა.

უფარგისი მცდელობის დასჯადობა შესაძლებელია დასაბუთდეს მხოლოდ თანამედროვე სუბიექტურ-ობიექტური თეორიით. ამ თეორიით შესაძლებელია სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების კომბინაცია, რაც შესაძლებლობას იძლევა დიფერენცირებულად განისაზღვროს რეალურად საფრთხის შემცველი და უფარგისი მცდელობის დასჯადობის საფუძველი. ეს თეორია იძლევა შესაძლებლობას დანაშაულის მომზადება და მცდელობა გაიმიჯნოს ობიექტურ სფეროში, უფარგისი მცდელობის დასჯადობა სუბიექტური სფეროდან გამომდინარე და აბსოლუტურად უფარგისი მცდელობის დასჯადობის უარყოფა ობიექტური დასაბუთებით.²⁵²

უფარგისი მცდელობა უნდა განვასხვაოთ მოჩვენებითი (პუტატიური) დანაშაულისაგან. უფარგისი მცდელობა ფაქტობრივი შეცდომაა დანაშაულის ობიექტსა და საგანში, ანუ პირი ისეთი გარემოებების არსებობაში ცდება, რომ-

²⁵² მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 314

ლებიც ქმედების შემადგენლობას აფუძნებენ. მოჩვენებითი (პუტატიური) დანაშაული კი შეცდომაა ქმედების სამართლებრივ შეფასებაში, ანუ პირი ცდება ნორმის არსებობის თაობაზე, ის ფიქრობს რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება დანაშაულია, სინამდვილეში კი ასე არ არის. მოჩვენებითი (პუტატიური) დანაშაულს არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოყვება.

8.5 დანაშაულის მომზადების და მცდელობის შეუძლებლობა ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარის თავისებურებების გამო

ზოგჯერ დანაშაულის მომზადება და მცდელობა შეუძლებელია ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის თავისებურების გამო. მაგალითად საფრთხის დელიქტებში დანაშაული კანონმდებლის სურვილით უკვე დამთავრებულად ცხადდება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე. მაგალითად, სსკ-ის 179-ე მუხლი (ყაჩაღობა), რადგან შეკვეცილი შემადგენლობის დელიქტია დამთავრებულად ითვლება მცდელობის ეტაპზე (თავდასხმის განხორციელების მომენტში), შესაბამისად ყაჩაღობის მცდელობა შეუძლებელია, რადგან არ არსებობს მცდელობის მცდელობა, მაგრამ დასაშვებია ყაჩაღობის მომზადება. ასევე მაგალითად, სსკ-ის 224-ე მუხლი (ბანდიტიზმი), მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით, ფაქტობრივად მომზადების სტადიაზე დამთავრებულ დანაშაულად არის გამოცხადებული კანონმდებლის მიერ. ანუ სამართლებრივი სიკეთისათვის აბსტრაქტული საფრთხის შექმნისთანავე ეს დანაშაული დამთავრებულია.

გამოდის, ბანდიტიზმს არ გააჩნია არც მომზადება და მი-
თუმეტეს არც მცდელობა. ხოლო იმ შემთხვევაში როდეს-
საც სახეზე გვექნება ბანდის შექმნის წარუმატებელი ცდა,
რადგან გამორიცხულია მომზადების მომზადება, ქმედება
უნდა დაკვალიფიცირდეს ბანდის შექმნის მიზნიდან გამომ-
დინარე, ყაჩაღობის მომზადებად.²⁵³

დანაშაულის მომზადება და მცდელობა წმინდა უმო-
ქმედებობის დროს შეუძლებელია, რადგან მანამ სანამ არ
არსებობს ქმედების განხორციელების ვალდებულება არ
შეიძლება ვისაუბროთ დანაშაულის მომზადებასა და მცდე-
ლობაზე, ხოლო მაშინ როდესაც ეს ვალდებულება დადგება
და პირი მას არ შეასრულებს უკვე სახეზეა დამთავრებული
დანაშაული. თუმცა არსებობს ამ საკითხზე განსხვავებუ-
ლი მოსაზრებაც რომლის მიხედვით ზოგიერთ გამონაკლის
შემთხვევაში შესაძლებელია დანაშაულის მომზადება.

დანაშაულის მომზადება და მცდელობა შეუძლებე-
ლია ფორმალურ დელიქტებში, რომლებიც პირველივე
აქტით ხორციელდება (ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მა-
ნამ სანამ პირი ქმედებას არ განახორციელებს არ არსე-
ბობს არც აბსტრაქტული და არც კონკრეტული საფრთხე
სამართლებრივი სიკეთისათვის, ხოლო როდესაც ეს ქმედე-
ბა განხორციელდება პირველივე აქტით დანაშაული დამ-
თავრებულია), მაგრამ შესაძლებელია ორაქტიან ფორმ-
ალურ დანაშაულებში. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც
დანაშაულის დამთავრებისათვის საჭიროა განხორციელ-
დეს შემადგენლობით გათვალისწინებული ორივე აქტი. იმ
შემთხვევაში, როდესაც პირი განახორციელებს მხოლოდ
შემადგენლობით გათვალისწინებულ ერთ აქტს, ხოლო

²⁵³ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.246

მეორეს ვერ შეძლებს სახეზეა დანაშაულის მცდელობა.

დანაშაულის მომზადება და მცდელობა შეუძლებელია შედეგით კვალიფიციურ დელიქტებში. შედეგით კვალიფიციური დელიქტები გვაქვს მაშინ, როდესაც ძირითადი დელიქტი განზრახია, მასთან დაკავშირებული კვალიფიციური დელიქტი კი, რომელსაც არ მოიცავდა პირის განზრახვა გაუფრთხილებელი. რადგან შედეგით კვალიფიციურ დელიქტებში შედეგი არაა პირის განზრახვით მოცული, შესაბამისად შედეგის მიმართ გაუფრთხილებელი ქმედება გვაქვს. გაუფრთხილებელი შედეგის მიმართ კი მომზადება და მცდელობა ალოგიკურია. ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს შედეგით კვალიფიციური დელიქტები, რომლის დროსაც შეუძლებელია მომზადება და მცდელობა და მაკვალიფიცირებელი შედეგის მცდელობა. რადგან მაკვალიფიცირებელი შედეგის მიმართ გვაქვს არა გაუფრთხილებლობა არამედ პირდაპირი განზრახვა. მაგალითად, ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობისას, თუ პირმა შეძლო მხოლოდ განზრახული ორი პირის მკვლელობის ნაცვლად, მხოლოდ ერთის მოკვლა, მეორე კი უვნებელი გადარჩა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 19-ე, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა პუნქტი, რადგან ძირითადი შემადგენლობა განხორციელებულია მაკვალიფიცირებელი კი არა.

ქართულ სისხლის სამართალში განსაკუთრებული დისკუსის საგანს წარმოადგენს არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ სისხლის სამართალში ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება არსებობს.

უპირველესს ყოვლისა განვიხილოთ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კონცეფციის მოწინააღმდეგეთა არგუმენტაცია. თ. წერეთლის აზრით, „მცდ-

ელობა გამოორციხულია აგრეთვე არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროსაც, რადგან ამ შემთხვევაში დამნაშავეის ნება არ არის უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი შედეგების განხორციელებაზე.²⁵⁴ დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს პირის მიზანსწრაფულ საქმიანობას და შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პირს სურს განსაზღვრული შედეგი და არა მაშინ, როცა იგი უშვებს ასეთი შედეგის შესაძლებლობას. არგუმენტად მას მოჰყავს ის, რომ ამ დროს დამნაშავეის ნება უშუალოდ არ არის მიმართული იმ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე, რომელსაც მოითხოვს კონკრეტული მუხლი. დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს პირის მიზანმიმართულ საქმიანობას და შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პირს სურს კონკრეტულად განსაზღვრული შედეგი და არა მაშინ, როცა ის უშვებს ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას.²⁵⁵ ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ დანაშაულის მცდელობის მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენის შესაძლებლობა გამომდინარეობს თვითონ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის შინაარსიდან. კერძოდ, ამ მუხლში გამოყენებული სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“, ო. გამყრელიძის აზრით, მიუთითებენ მხოლოდ პირდაპირ განზრახვაზე. დანაშაულის მცდელობის არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით ჩადენის შეუძლებლობის არგუმენტების გასამყარებლად მას მოყვანილი აქვს, კანონმდებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში 127-ე და 128-ე მუხლების შემოტანა. ამ დებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ

²⁵⁴ თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 119

²⁵⁵ თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 119

სსკ-ის 127-ე მუხლი (სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება) არსებითად მცდელობაა, მაგრამ, რადგან არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა პასუხისმგებლობას არ იწვევს, კანონმდებელი იძულებული გახდა შემოეტანა საფრთხის შემქმნელი დელიქტი ამ ხარვეზის შესავსებად. ხოლო, პირი, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა თავის დასაცავად, რომელიც ჩაყენებულ იქნა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, თუ დაიღუპება, ო. გამყრელიძის აზრით, პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 108-ე მუხლით არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობისთვის, თუ არ არის სსკ-ის 109-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი სხვა რაიმე ნიშანი. რაც შეეხება სსკ-ის 128-ე მუხლს, აქ საქმე გვაქვს დაუხმარებლობასთან იმ პირისა, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება, თუ მას თავდაცვის შესაძლებლობა არა აქვს, ამასთან მიმტოვებელს უნდა ევალებოდეს ან შეეძლოს დახმარება. არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის ჩადენა, რომ შეიძლებოდეს ამ მუხლის საჭიროება არ იქნებოდა და საკითხი გადაწყდებოდა ასეთი ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლებით კვალიფიკაციით. ანუ სსკ-ის 127-ე და 128 მუხლები ავსებენ იმ ხარვეზს, რასაც არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობა ქმნის.²⁵⁶

ანალოგიურად წყდება საკითხი სხვა საფრთხის შემქმნელ დელიქტებში, მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული საფრთხის დელიქტი. ესაა ბირთვულ ან რადიაციულ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება, რასაც შეეძლო გამოენვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. აქაც, თუ

²⁵⁶ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2008, გვ. 160-161

დადგინდება, რომ პირს, ვისაც ევალებოდა ამ ინფორმაციის სწორად შეტყობინება, არ ასრულებს ამ მოვალეობას და სურს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ქმედება დაკვალიფიცირდება განზრახვის მიმართულების მიხედვით ან მკვლელობის მცდელობად დამამძიმებელ გარემოებებში, ან საბოტაჟის მცდელობად და ა.შ. ამგვარად, როცა პირს მოსალოდნელი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ ამოძრავებს პირდაპირი განზრახვა, სახეზეა არა კონკრეტული საფრთხის დანაშაული, არამედ სხვა დანაშაულის მცდელობა.

როგორც ვნახეთ, საფრთხის შემქმნელი დელიქტების კრიმინალიზაციის მიზანი არის იმ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, ვინც შესაძლო მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით, ხოლო იშვიათ შემთხვევაში გაუფრთხილებლობით. მცდელობა ახასიათებს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებს. მცდელობას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირი თავის ძალისხმევას მიმართავს რაიმე შედეგის მისაღწევად. ცდილობს, ვისაც სურს ამ ქმედებიდან რაიმე შედეგის მიღწევა ან უკიდურეს შემთხვევაში, ვისაც გაცნობიერებული აქვს მისი ქმედებით მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის არა შესაძლებლობა, არამედ გარდუვალობა. არ შეიძლება არსებობდეს მცდელობა მაშინ, როცა პირს არ სურს მისი ქმედებით მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამონევა, თუმცა გულგრილია ამ შედეგის მიმართ ან შეგნებულად უშვებს, ეგუება მისი დადგომის შესაძლებლობას და არა გარდუვალობას.²⁵⁷

არაპირდაპირი განზრახვის მცდელობის აღიარების

²⁵⁷ ნ. თოდუა, საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი თბ. 2009 წ. N 2/3 გვ.153

შემთხვევაში აზრს დაკარგავს სსკ-ის 117 მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანება), რადგან კანონმდებელი ამ მუხლის ერთ-ერთ გარემოებად თვლის ჯანმრთელობის დაზიანებას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ეს გარემოება კი გულისხმობს ევენტუალურ განზრახვას. შესაბამისად ჯანმრთელობის დაზიანების მიყენებისას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის პირი ყოველთვის ითვალისწინებს, უშვებს შესაძლებლობას, რომ მის ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სასიკვდილო შედეგი. გამოდის, რომ თუ ვალიარებთ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას ყოველი მსგავსი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა და არა ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანება.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გარდა, თვით სიტყვა „მცდელობის ეტიმოლოგიური ხასიათი იმაზე მიმანიშნებელია, რომ კაცს რაღაც სურს და ცდილობს ამის მიღწევას. ევენტუალური განზრახვა კი სურვილს გამოორიცხავს. უკვე აქედანვე ნათელია ამ ორი მომენტის შერწყმის შეუძლებლობა. დანაშაულის მცდელობა – ნიშნავს შედეგის მიღწევის ცდას, შესაბამისი ძალისხმევის მიმართვას კონკრეტული წარმოსახული შედეგის მისაღწევად, პირი ცდილობს იმის გაკეთებას, რაც მას სურს, უნდა. როგორც ცნობილია, ევენტუალურ განზრახვაში რისამე სურვილი არ მოიაზრება, მაშინ ევენტუალური განზრახვით მცდელობაც ალოგიკური კატეგორიაა და ამდენად, ევენტრუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობაც დაუშვებელია.²⁵⁸

პირი მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით იმ შემთხვევებში, როდესაც ის ითვალისწინებს საკუთარი

²⁵⁸ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2002, გვ. 21- 22 84

ქმედების შედეგის დანაშაულებრივ ხასიათს, არ სურს ის, მაგრამ შეგნებულად უშვებს მათ დადგომას. პირს არ სურს საკუთარი ქმედებით გამოწვეული შედეგის დადგომა, რადგან ისინი მას არ სჭირდება, ეს არ არის მისი მიზანი. უფრო მეტი, მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, რომ ეს შედეგი არ დამდგარიყო, რადგან მაშინ შესაძლებელი იქნებოდა აერიდებინა თავი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან შეემცირებინა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. თუ არ გსურს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა, არ შეიძლება მისთვის ემზადო ან ცდილობდე მის მიღწევას. მხოლოდ პირდაპირი განზრახვით დანაშაულებრივი საქმიანობისას შეიძლება იმის მტკიცება, რომ, თუ არა სუბიექტისათვის შემთხვევითი გარემოება, დანაშაული ბოლომდე იქნებოდა მიყვანილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი იმის მტკიცება, რომ ბოროტმოქმედი ცდილობდა მიეღწია მავნე შედეგისათვის და ამ მიზნით მიმართა საკუთარი შესაძლებლობები ქმედებისაკენ, რომელიც ქნის დანაშაულის მცდელობას.

არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ პირის ქმედება, რომელიც ქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს, არ წარმოადგენს დანაშაულს. არაპირდაპირი განზრახვის დროს დანაშაულებრივი შედეგის არდადგომის შემთხვევაში პირის ქმედება შეიძლება შეიცავდეს დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს – სხვისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაყენება. ამ და მსგავსი შემადგენლობის დანაშაულების გათვალისწინება სისხლის სამართლის კოდექსში ნაკარნახევია ზუსტად არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით. არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ მეცნიერებს, რომ-

ლებიც ფიქრობენ, რომ განზრახ განსაცდელში ჩაყენება ეს არის გარკვეული სუროგატი მცდელობის კონსტრუქციისა. არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის აღიარებისას ისინი მიუთითებენ, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ან ძალიან რთულია ამ სტადიის დამტკიცება, რადგან ბოროტმოქმედს შეუძლია იუაროს დამდგარი შედეგის დაშვების შეგნების არსებობა. აქედან კეთდება დასკვნა, რომ მცდელობის კონსტრუქციის ნაცვლად ასეთ შემთხვევებში უფრო მიზანშეწონილია განზრახ განსაცდელში ჩაყენების კონსტრუქცია, რომელიც ვითომდა შეესაბამება არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულებრივი შედეგის მიღწევის დაუმთავრებელ მცდელობას. განსაცდელში ჩაყენების ასეთი ინტერპრეტაცია საფუძველს მოკლებულია. მოქმედი სისხლის სამართლის კანონისათვის ცნობილი სიცოცხლის და ჯანმრთელობის განსაცდელში ჩაყენების შემადგენლობები არ გამოირიცხავენ შედეგის მიმართ გაუფრთხილებელ ბრალს. და თუ არ არის განზრახვა შედეგის მიმართ, როგორ შეიძლება ვისაუბროთ შედეგის მისაღწევად მცდელობაზე.

არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის მითითებისას, ჩვენ გამოვდივართ იმ მოსაზრებიდან, რომ ასეთ შემთხვევებში პირი ითვალისწინებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ნარმოუდგენელია, რომ პირი რომელიც მოქმედებს ევენტუალური განზრახვით, ითვალისწინებდეს თავისი ქმედებით მავნე შედეგის დადგომის გარდუვალობას, და ამ უკანასკნელის დადგომის სურვილის გარეშე, მაინც ჩაიდინოს ეს ქმედება. თუ სუბიექტს ნამდვილად არ სურს ეს დანაშაულებრივი შედეგი, ის არ განახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს ამ შედეგს.

ევენტუალური განზრახვა, როგორც ვიცით, გულისხმობს, რომ შედეგი, რომელიც არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ბოროტმოქმედი, შეიძლება დადგეს ან არ დადგეს ანუ ზუსტად ევენტუალურია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულის მცდელობა განზრახ შეიძლება განხორციელდეს. მაშასადამე, ერთი შეხედვით შესაძლებელია დანაშაულის მცდელობა არაპირდაპირი განზრახვით. თუკი პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმის, გარეგნული მოქმედების მიხედვით შევადარებთ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებს, აღმოჩნდება, რომ, თუ შესაძლებელია პირდაპირი განზრახვისას დანაშაულის მცდელობა, ის ობიექტურ ნიშანთა მიხედვით შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვის დროსაც. ახლა კი გასარკვევია ის არგუმენტები, თუ რატომ არ შეიძლება ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა. რამდენადაც ადამიანის ნებისმიერი მოქმედება მიზანმიმართულ საქმიანობას წარმოადგენს. ამდენად მისი მისწრაფება ყოველთვის მიმართულია რაიმე შედეგისაკენ, რომლის მიღწევა მის დაკმაყოფილებას იწვევს. ანუ ადამიანი შეიძლება მხოლოდ იმისთვის იღვწოდეს, რაც მისი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს. ასეთი საქმიანობა, სისხლის სამართლის თვალსაზრისით, შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით განხორციელდეს. მაშასადამე, პირდაპირი განზრახვისას, მანამ სანამ შედეგი დადგება, შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რისი განხორციელება, რისი მიღწევა სურდა პირს ანუ რის მცდელობასთან გვაქვს საქმე. ასეთ დასკვნას კი, რა თქმა უნდა, ვერ გამოვიტანთ არაპირდაპირი განზრახვისას, სადაც დამდგარი შედეგი აბსოლუტურად განსხვავდე-

ბა დამნაშავეის მისწრაფებისაგან. ევენტუალური განზრახვისას დამდგარი შედეგი გათვალისწინებულია, როგორც თანამდევნი. პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით არაპირდაპირი განზრახვისას ჩადენილი ქმედების შეფასება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ხდება მხოლოდ დამდგარი შედეგის მიხედვით, რადგან მანამდე შეუძლებელია ქმედების სწორი კვალიფიკაცია. მაგალითად თუ ა-ს სურს ხალხმრავალ ადგილას იარაღის უმისამართო სროლა, მაგრამ მას ამის საშუალება არ მისცეს, მაშინ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის მომხრეებმა უნდა აღიარონ, რომ ამგვარი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს კვალიფიციური მკვლევლობის მომზადებად (შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებებით), რადგან დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაცია უმძიმესი დანაშაულის მიხედვით ხდება. ამასთან, ამას უნდა დაემატოს სხვა დანაშაულის მომზადებაც, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სამართლებრივ სიკეთეს შეუქმნა საფრთხე.²⁵⁹

ისევე, როგორც ფსიქოლოგიურად შეუძლებელია გაუფრთხილებელი დანაშაულის მცდელობა, შეუძლებელია ასევე არაპირდაპირი განზრახვით იმის ცდა, რაც ადამიანის მოქმედების მიზანს არ წარმოადგენს. მიზანი მხოლოდ პირდაპირი განზრახვის შემადგენელი ნაწილია, ამიტომაც მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება.

არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის აქტიური მომხრეა მ. ტურავა, რომელიც ამ საკითხში ემხრობა გერმანულ და დასავლეთ ევროპაში ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებებს. მისი მოსაზრებით, არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია. მაგალითად, მოჰყავს მსოფლიო-

²⁵⁹ გ. ნაჭყებია სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი, თბ., 2006, გვ. 170

ში აღიარებული სისხლის სამართლის პროფესორების ჰანს-ჰაინრიხ იეშკისა და თომას ვაიგენდის სახელმძღვანელობში მოცემული მითითება, რომ მცდელობის დასჯადობისათვის საკმარისია ევენტუალური განზრახვით მოქმედება, თუ ამ დანაშაულის განზრახვის ამ ფორმით ჩადენა შესაძლებელია. მ. ტურავა ეთანხმება ამ პოზიციას და წერს, რომ: „განზრახი დანაშაულის მცდელობისათვის ქმედების ევენტუალური განზრახვით ჩადენა საკმარისია და არ არის საჭირო პირდაპირი განზრახვის დადგენა. ევენტუალური განზრახვა ხომ ქმედებისა და შედეგის ნებელობაა. ვისაც დანაშაულის ჩადენის ნება აქვს და, ქმედების ობიექტურად განხორციელების მიუხედავად, შედეგს ვერ მიაღწია, განზრახვა ვერ აღასრულა, უნდა დაისაჯოს ამ დანაშაულის მცდელობის ჩადენისათვის.²⁶⁰

ქართველი მეცნიერ-იურისტების მიერ გამოთქმულ, კერძოდ კი, ო. გამყრელიძის პოზიციას ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის შესახებ, მ. ტურავა, თეორიულად დასაბუთებულს უწოდებს, მაგრამ დოგმატურად და პრაგმატულად მიუღებლად მიიჩნევს. რაც შეეხება უშუალოდ სსკ-ის 127-ე და 128-ე მუხლებს (რომელთა არსებობასაც, როგორც ზემოთ ვნახეთ ოთარ გამყრელიძე უკავშირებს, დანაშაულის მცდელობის ევენტუალური განზრახვით ჩადენის შეუძლებლობას), ტურავას აზრით, ეს მუხლები ისევე უნდა იყოს გაგებული, როგორც შვეიცარიაში, ანუ პირის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება უნდა მოხდეს პირდაპირი განზრახვით, მაგრამ შედეგის მიმართ არ უნდა არსებობდეს არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვა, არამედ პირი უნდა ფიქრობდეს, რომ საფრთხეს შედეგი არ მოჰყვება. თუ პირი უშვებს

²⁶⁰ მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება. თბ., 2011წ. გვ. 303

მსხვერპლის სიკვდილს, მაგრამ შედეგი არ დადგა, მაშინ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მკვლელობის მცდელობად, ხოლო თუ შედეგი დადგა – ევენტუალური განზრახვით ჩადენილ მკვლელობად. იგივე ინტერპრეტაცია უნდა გამოვიყენოთ 128-ე მუხლის მიმართაც.²⁶¹

კითხვაზე, თუ რომელი მუხლიდან გამომდინარეობს დანაშაულის მცდელობის ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა, ტურავა პასუხობს: „სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლიდან, რადგან ეს მუხლი არ აკეთებს არავითარ შეზღუდვას იმასთან დაკავშირებით, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის ჩადენა არ შეიძლება. ქმედება დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული კი, შეიძლება იყოს განზრახვის ორივე ფორმის დროს, რადგან პირს ორივე შემთხვევაში აქვს ქმედებისა და შედეგის ნებელობა.²⁶²

აქედან გამომდინარე, ტურავა არასწორად მიიჩნევს თინათინ წერეთლის და ოთარ გამყრელიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ სსკ-ის მე-19 მუხლში მოცემული სიტყვები- „უშუალოდ მიმართული“, მხოლოდ პირდაპირ განზრახვაზე მიუთითებს. ქმედების მიმართვის დროს პირდაპირ განზრახვასა და ევენტუალურ განზრახვას შორის განსხვავება არ არსებობს, ორივე შემთხვევაში ქმედება და შედეგი არის ნებელობითი და შედეგის დადგომის რისკის მდგომარეობაში უშუალოდ მიმართულია ქმედების შემადგენლობის განხორციელებისაკენ.

მაშასადამე, როგორც მ. ტურავა აღნიშნავს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის დადგენა-

²⁶¹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი. კომენტარები. თბ., 2010, გვ. 132

²⁶² მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 139

ში პრობლემა არ არსებობს იმის გამო, რომ ქმედებასა და შედეგისადმი პირის ნებისმიერი ნებელობითი დამოკიდებულება საკმარისია მცდელობის დასადგენად. როგორც პირდაპირი ისე ევენტუალური განზრახვისას, პირს ასეთი ნებელობა ნამდვილად გააჩნია.

დანაშაულის მცდელობის ევენტუალური განზრახვით ჩადენის კონცეფციის მომხრეების აზრით უსაფუძვლო არ არის, რომ კანონი პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებს არ განასხვავებს. სადავო აზრს კი მივყავართ განზრახვის ერთიანი ცნების გახლეჩისაკენ. უნდა ვადიაროთ, ამ თეორიას რომ გავყვეთ, თუ განზრახვისას შედეგი დადგა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს განზრახვის ფორმას, მაგრამ თუ შედეგი არ დადგა, მაშინ იწყება დიფერენციაცია, რომელიც ეწინააღმდეგება განზრახვის ერთიანობას. ის, რომ კანონი არ ანსხვავებს დანაშაულებს განზრახვის ფორმით, ცხადყოფს მათ ერთნაირ საფრთხეს, მიუხედავად ქმედებისადმი დამოკიდებულების ზოგიერთი თავისებურებისა. თუ პირდაპირი განზრახვით და ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირები ერთნაირად აგებენ პასუხს თავიანთი შეგნებული ქმედებების შედეგისათვის, შესაბამისად, ერთნაირი უნდა იყოს პასუხისმგებლობა შეგნებული ქმედებისათვის, რომელთაც შემთხვევით ვერ გამოიწვიეს შედეგები.

თუ სსკ-ის მე-19 მუხლში გამოყენებული სიტყვები „ქმედება უშუალოდ მიმართული“ გულისხმობს მხოლოდ პირდაპირ განზრახვას, მაშინ სიტყვა „განზრახი“ იქნებოდა ზედმეტი. ქმედება ჩადენილი ევენტუალური განზრახვით დანაშაულებრივი შედეგის მიმართებაში, ასევე უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად.

8.6 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ცნება და ნიშნები

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტია. ის იძლევა შესაძლებლობას სამართლებრივი თვალსაზრისით შეიქმნას ხიდი, რომლის მეშვეობითაც პირო, რომელიც სჩადის დანაშაულს დაუბრუნდეს კრიმინალამდელ მდგომარეობას. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა 21-ე მუხლში გვაძლევს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პირობებს. მაგალითად, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის დანიშნულება დანაშაულებრივი ქმედების და ამრიგად სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებაა. კანონით გათვალისწინებული პირობების შესრულების მოთხოვნით კანონმდებელი ცდილობს შეუქმნას იმ პირს, რომელიც უკვე დანაშაულის გზას ადგას უკან დახვევის საშუალება. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მთავარი სამართლებრივი შედეგია ის გარემოება, რომ მისი არსებობა გამორიცხავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის საფუძვლების შესახებ თეორიულ დასაბუთებას გვაძლევს: კრიმინალურპოლიტიკური, დასაჩუქრების და სასჯელის მიზნის თეორიები.

დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება უკვე ჩადენილია, ამიტომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ამ

შემთხვევაში სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება. ამით კანონმდებელი დამნაშავეს უკანდახვევის საშუალებას აძლევს: ფოიერბახის გამოთქმა, რომ გამოვიყენოთ კანონმდებელი დამნაშავეს „ოქროს ხიდს“ უშენებს უკან დასაბრუნებლად იმ შემთხვევისათვის, თუ ის დანაშაულის გაგრძელებაზე უარს იტყვის („ოქროს ხიდის“ თეორია).²⁶³ ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ როდესაც პირი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელს იღებს, არ მიჰყავს დანაშაული ბოლომდე, რითაც გადარჩა სამართლებრივი სიკეთე დაზიანებას, პირი კანონმდებლისგან ამისათვის საჩუქრდება იმით, რომ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უნდა აკმაყოფილებდეს სამ კრიტერიუმს: დანაშაულებრივი შედეგი თავიდან უნდა იქნეს აცილებული; დანაშაულზე ხელის აღება უნდა იყოს ნებაყოფლობითი; დანაშაულზე ხელის აღება უნდა იყოს საბოლოო.

მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია, როგორც დანაშაულის მომზადების ასევე დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის დროს. დაუმთავრებელი მცდელობისას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით ხორციელდება, დამთავრებული მცდელობისას კი აქტიური მოქმედებით, რადგან აუცილებელია შედეგის თავიდან აცილებისთვის გარკვეული აქტივობის განხორციელება.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ვერ გვექნება მაშინ, როდესაც სახეზეა ხელშემილილი მცდელობა. ხელშემილილია ისეთი მცდელობა, რომლის დროსაც პირმა გამოიყენა შედეგის მისაღწევად ვარგისი საშუალება,

²⁶³ მ.ტურავა, სისხლის სამართლის (ზოგადი ნაწილი), თბ., 2002, გვ.59

მაგრამ შედეგი არ დადგა რაიმე მისგან დამოუკიდებელი მიზეზით. რადგან ხელშეშლილი მცდელობა გულისხმობს შედეგის მიუღწევლობას არა პირის ნებით არამედ, არამედ მისგან დამოუკიდებელი გარემოებიდან გამომდინარე ასეთ შემთხვევაში არ შეგვიძლია ვისაუბროთ დანაშაულზე ხელის ალების ნებაყოფლობითობაზე, რაც კანონიის ერთერთი აუცილებელი მოთხოვნაა. მაგალითად, ხელშეშლილია მცდელობა, როდესაც პირი ესვრის მსხვერპლს მოკვლის განზრახვით, მაგრამ ააცილებს ტყვიას (თუ მას მეტი გასროლის საშუალება არააქვს), ასევე პირი გადაადგებს მდინარეში მსხვერპლს, მაგრამ მას ვინმე გადაარჩენს. ხელშეშლილ მცდელობებს მიაკუთვნებენ ასევე უვარგისი მცდელობის შემთხვევებს.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ალება გვაქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც შედეგი თავიდან არის აცილებული. ამასთან შედეგი თვითინ იმ პირმა უნდა აიცილოს ვინც დააფუძნა შედეგის განხორციელების მიზეზობრიობა, ანუ მან ვინც უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის მცდელობას. ისეთ შემთხვევაში თუ პირს სურს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ალება, მაგრამ შედეგი თავიდან მაინც ვერ აიცილა მაშინ ის პასუხს აგებს დამთავრებული დანაშაულისათვის. მაგალითად, ა-მ მოკვლის განზრახვით ბ მდინარეში გადაადგო ხიდიდან. მსხვერპლის წყალში ჩავარდნის შემდეგ, როდესაც ა-მ დაინახა ის როგორ იხრჩობოდა შეეცოდა, რა დროსაც გადაწყვიტა ხელი აელო თავის განზრახვაზე და მდინარეში გადახტა ბ-ს საშველად. ა-მ მდინარიდან მსხვერპლი ამოიყვანა, მაგრამ უკვე გვიანი იყო ბ დაიხრჩო. ამ მაგალითიდან გამომდინარე პირმა ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულზე (დამთავრებული მცდელობის სტადიაზე), მაგრამ მიუხედავად აქტიური მოქ-

მედებისა შედეგი თავიდან ვერ აიცილა მსხვერპლი დაიხრჩო შესაბამისად, სახეზეა დამთავრებული დანაშაული.

დანაშაულზე ხელისაღების ნებაყოფლობითობა კანონმდებლის მიერ ერთერთ აუცილებელ პირობად არის დასახელებული. ნებაყოფლობითობა უპირველესად უნდა გავიგოთ, როგორც პირის გაცნობიერება, რომ მას შეუძლია დანაშაული ბოლომდე მიიყვანოს, მაგრამ თავისი ნებით (გარედან ჩაურევლად), უარს ამბობს ამაზე. მაგალითად, ა-მ ცეცხლსასროლი იარაღი დაუმიზნა ბ-ს მოკვლის განზრახვით, მაგრამ არ გაისროლა, რადგან გადაიფიქრა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა ჰქონდა და ეს ბოროტმოქმედის მიერ გაცნობიერებული იყო. იმ შემთხვევაში თუ პირი შეწყვეტს დანაშაულს, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებულია მას შეუძლია ის ბოლომდე მიიყვანოს და არაფერი მას ხელს ამაში არ უშლის – სახეზეა ნებაყოფლობითობა, იგივე გვექნება მაშინაც, როდესაც პირი დარწმუნებულია, რომ შეუძლია ქმედება ბოლომდე მიიყვანოს და შედეგი გამოინვიოს, მაგრამ რეალურად ამის შესაძლებლობა არ არსებობდა. იმ შემთხვევაში, როდესაც პირი წყვეტს დანაშაულებრივ ქმედებას, რადგან ჰგონია, რომ ის ბოლომდე დანაშაულს ვერ მიიყვანს, იმიტომ რომ არსებობს რაიმე შემაფერხებელი გარემოება, რომელიც სინამდვილეში არაა, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ გვექნება.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ პირის საკუთარი ნებით მიღებულ გადაწყვეტილებას გულისხმობს. ის არ უნდა იყოს ნაკარნახევი გარე ფაქტორებით. ნებაყოფლობითობა უშუალო კავშირშია პირის მოტივებთან, რომლებიც აღუძრავენ დანაშაულზე ხელის აღების სურვილს. დანაშაულზე ნებაყოფლობითი ხელის

აღების მოტივი შეიძლება მრავალფეროვანი იყოს დაწყებული უბრალო სიბრაღულით მსხვერპლის მიმართ დამთავრებული პასუხისმგებლობის შიშით, მთავარია ეს მოტივები პირის შინაგანი განწყობიდან მომდინარეობდეს. საინტერესოა სასჯელის შიშის საკითხი, რომლის ორ ფორმას განასხვავებენ აბსტრაქტულ და კონკრეტულ სასჯელის შიშს.

აბსტრაქტულია სასჯელის შიში, როდესაც დანაშაულის ბოლომდე მიყვანას ხელს არაფერი უშლის, მაგრამ პირს მოულოდნელად შეიპყრობს მომავალში დასჯის შიში და უარს იტყვის დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელებაზე. მაგალითად, ა-მ ძალადობის განხორციელების შემდეგ გადაიფიქრა ბ-ს გაუპატიურება და შეწყვიტა თავისი ქმედება, რადგან შეეშინდა, რომ მას ოდესმე ამხელდნენ და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცემდნენ. სასჯელის აბსტრაქტული შიშის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია.

კონკრეტულია სასჯელის შიში, როდესაც ბოროტმოქმედს მხილების უშუალო საფრთხე შეეშინა. მაგალითად, ა-მ შეწყვიტა ბ-ს მკვლელობის განხორციელება, რადგან შენიშნა, რომ იქვე ახლოს სამი კაცი მუშაობდა, რომლებსაც შეეძლოთ მისი მხილება, რადგან გასროლის ხმას გაიგებდნენ. ა-მ კონკრეტული შიშის მოტივით შეწყვიტა დანაშაული და ამიტომ ის პასუხისმგებლობისაგან არ გაუთავისუფლებიათ.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მეორე აუცილებელ საკანონმდებლო პირობას წარმოადგენს ხელის აღების საბოლოო ანუ საჭიროა იმის დადგენა, რომ პირმა დაწყებული დანაშაული დროებით კი არა საბოლოოდ შეწყვიტა. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბოროტმოქმედი დანაშაულს ბოლომდე არ მიიყვანს იმის გამო, რომ უფრო

მოსახერხებელ დროს უნდა დაელოდოს ნებაყოფლობით ხელის აღება არ გვექნება. მაგალითად, ა-მ, რომელიც მოკვლის მიზნით ჩაუსაფრდა ბ-ს, ცუდი ხილვადობის გამო გადადო დანაშაულის ბოლომდე მიყვანა უფრო მოსახერხებელ დრომდე.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილი მაგალითის შეფასება. საკამათოა, მცდელობა დამთავრებულია თუ დაუმთავრებელი ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირმა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად ერთი ან რამდენიმე ქმედება განახორციელა, მაგრამ მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა არ ამოუწურავს. მაგალითად, ა-მ ესროლა ბ-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან, მაგრამ ააცილა. ბოროტმოქმედს მსხვერპლის მოკვლა სხვა მრავალი საშუალებითაც შეეძლო უმაღვე, თუმცა ეს არ გააკეთა. ისმის კითხვა ა მკვლელობის მცდელობისათვის დაისჯება თუ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო? ამ საკითხთან მიმართებაში ორი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთიანი აქტის თეორიის მიხედვით, მცდელობა დამთავრებულია, როდესაც პირმა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად ერთი ან რამდენიმე ქმედება განახორციელა, მაგრამ მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა არ ამოუწურავს. ის დანაშაულის მცდელობისთვის დაისჯება. ქმედებათა ერთობლიობაში შეფასების თეორიის მიხედვითკი მაშინ, როდესაც პირმა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად ერთი ან რამდენიმე ქმედება განახორციელა, მაგრამ მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა არ ამოუწურავს, ამასთან როდესაც ეს შესაძლებლობები და მის მიერ განხორციელებული ქმედება ერთმანეთთან დროსა და სივრცეში

მჭიდროდ უკავშირდება, პირი დაუმთავრებელ მცდელობას ახორციელებს და მას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება (უმოქმედობით) შეუძლია.²⁶⁴

დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს პირს პასუხისმგებლობა დააეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს ნიშნებს შეიცავს. მაგალითად, ა-მ მოკვლის მიზნით ტყვია ესროლა მსხვერპლს და დაჭრა. შემდეგ აღარ უსვრია, თუმცა, ამის შესაძლებლობა ჰქონდა. ის გათავისუფლდება მკვლელობის მცდელობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, მაგრამ პასუხს აგებს ჯანმრთელობის დაზიანებისათვის. ა-მ ბ-ს მოკვლის მიზნით უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასრლი იარაღი, მაგრამ მკვლელობის მცდელობის სტადიაზე ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. ასეთ შემთხვევაში ა პასუხს აგებს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვისათვის. ასევე, მაგალითად, ა შევიდა სხვის ბინაში გაქუდვის ან გაძარცვის მიზნით. თუ მან შესვლის შემდგომ ნებაყოფლობით შეწყვიტა დანაშაული. ის პასუხს აგებს მხოლოდ ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის.

შესაძლებელია გარკვეულ ქმედებათა და შესაბამის სამართლებრივ შედეგთა ფორმულის ჩამოყალიბება, როგორც ეს იურიდიულ ლიტერატურაშია გადმოცემული:

– ა-მ გადანყვიტა მონამლოს ბ, რისთვისაც ჭიქაში ჩაუყარა სანამლავი. ბ-ს დაღევამდე ჭიქა დაუვარდა და გაუტყდა, შედეგი არ დადგა. ამ შემთხვევაში სახეზეა დაუმთავრებელი მცდელობა, ვინაიდან შედეგის დადგომას გარე ფაქტორმა შეუშალა ხელი. ა დაისჯება მკვლელობის მცდელობისათვის.

²⁶⁴ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.256

- ა-მ გადანყვიტა მონამლოს ბ, რისთვისაც ჩაუყარა სანამლავი ღვინოში. მოგვიანებით კი გადაფიქრა და გააფრთხილა არ დაეღია მონამლული ღვინო. ამ შემთხვევაში გვექნება ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე.

- ა-მ გადანყვიტა მონამლოს ბ. ამ მიზნით ჩაუყარა სანამლავი სასმელში, მაგრამ მესამე პირმა გ-მ ხელი შეუშალა ჭიქაზე ხელის აკვრით, რათა არ დაეღია ბ-ს, რითაც გადაარჩინა სიკვდილს. ეს შემთხვევა გულისხმობს დაუმთავრებელ მცდელობას, ვინაიდან ქმედების ბოლომდე მიყვანას სხვა გარე ფაქტორმა შეუშალა ხელი.

- ა-მ გადანყვიტა მონამლოს ბ, რისთვისაც ჩაუყარა სანამლავი სასმელში. ბ-მ დაღია სასმელი, მაგრამ ექიმებმა ის გადაარჩინეს სიკვდილს. ესეც დამთავრებული მცდელობის შემთხვევაა.

- ა-მ გადანყვიტა მონამლოს ბ, ამ მიზნით ჩაუყარა სანამლავი სასმელში, რომელიც მსხვერპლმა დაღია. სანამლავი უხარისხო აღმონდა ბ გადარჩა. საქმე გვაქვს დამთავრებულ მცდელობასთან.

- ა-მ გადანყვიტა მონამლოს ბ, ამ მიზნით ჩაუყარა სანამლავი სასმელში, რომელიც მსხვერპლმა დაღია. შემდეგ ა სინანულის გრძნობამ შეიპყრო, რის შემდეგაც ყველა საშუალება გამოიყენა ბ-ს გადასარჩენად. თუ ბ გადარჩა სახეზე გვექნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ვინაიდან ა-მ აქტიური მოქმედებით თავიდან აიცილა შედეგი-სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. ეს ბოლო შემთხვევა დაკავშირებულია ე.წ. „ოქროს ხიდის“ თეორიასთან-კანონმდებელი პირს აძლევს შანსს, თუ მან ხელი აიღო დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე და თავიდან აიცილა სამართლებრივი

სიკეთის დაზიანება მას არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (21-ე მუხლის მე-5 ნაწილი).²⁶⁵

თანამონაწილეობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება რეგულირდება სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით. ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუძალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება; მე-4 ნაწილი: თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ თავიანთი მოქმედებით ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრება, მაშინ მათ მიერ მიღებული ზომები სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

თანამონაწილეობა ეს დანაშაულის თავისებური მექანიზმია, ამიტომაც თანამონაწილეობით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უნდა მოხდეს ამ მექანიზმის გაჩერებით. თავისებურებებს ამ შემთხვევაში წარმოასვენს ის, რომ თანამონაწილეობისას ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მანამ სანამ ამსრულებელი ჩაიდენს

²⁶⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 318-319

ქმედებას; ერთ-ერთი თანამონაწილის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება არ ნიშნავს სხვა თანამონაწილების ნებაყოფლობით ხელის აღებას დანაშაულზე; როგორც წესი, თანამონაწილეობისას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გულისხმობს აქტიურ მოქმედებას ერთობლივ ქმედებაში თავისი წვლილის აღმოსაფხვრელად და არა უბრალოდ მოქმედების შეწყვეტას. როგორც ვხედავთ, თანამონაწილეობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას აუცილებელია თანამონაწილემ დანაშაულის დასრულებას ხელი შეუშალოს და შედეგის დადგომა თავიდან აიცილოს ანუ გარკვეულ დამატებით მოთხოვნებთან გვაქვს საქმე. თუ დანაშაულის ამსრულებლისათვის საკმარისია მისი უარი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე იყოს ნებაყოფლობითი და საბოლოო, ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და დამხმარემ კიდევ უნდა განახორციელონ მთელი რიგი ქმედებებისა. ამ დამატებით მოთხოვნილი ქმედებების არსი მდგომარეობს პირობების ლიკვიდაციაში, რომლებიც უქმნიან შესაძლებლობას ამსრულებელს ჩაიდინოს დანაშაული. ანუ თანამონაწილეებმა უნდა იმოქმედონ საპირისპიროდ. ორგანიზატორმა და წამქეზებელმა უნდა შეატყობინონ ხელისუფლების ორგანოებს, რომ მზადდება დანაშაული, მიიღონ აუცილებელი ზომები რათა არ დაუშვან ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენა, გადაარწმუნონ უშუალოდ ამსრულებელი ჩაიდინოს დანაშაული. დამხმარემ ამსრულებელს უნდა აცნობოს, რომ ის უარს აცხადებს დაფაროს დანაშაულის ჩადენის იარაღი და საგანი, ან რეკომენდაცია გაუწიოს ამსრულებელს არ ჩაიდინოს განზრახული დანაშაული.

იმ შემთხვევაში თუ ორგანიზატორის, წამქეზებლის, დამხმარის ქმედებებმა, რომელთაც დანაშაულზე ნებაყო-

ფლობით ხელის აღება სურთ და ამისთვის განახორციელებს გარკვეული ქმედებები, მაგრამ უშედეგოდ, ამსრულებელმა დანაშაული მაინც ბოლომდე მიიყვანა, მაშინ თანამონაწილეები პასუხს აგებენ საერთო საფუძველზე დამთავრებული დანაშაულისათვის. თუმცა სასამართლოს შეუძლია ამ პირების მიერ მიღებული ზომები მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც წესი, შეუძლებელია ისეთ დელიქტებში, რომლებიც დანაშაულის მომზადებას და მცდელობას დამთავრებულ დანაშაულად თვლიან. ამგვარ შემთხვევებში შესაძლებელია ქმედითი მონაწილის ინსტიტუტის გამოყენება. სსკ-ის 68 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია შემდეგი წინაპირობების არსებობა პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განტავისუფლებისათვის:

1. დანაშაულისათვის არ უნდა იყოს გათვალისწინებული სამ ნელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა;
2. პირი ბრალის აღიარებით უნდა გამოცხადდეს;
3. მან ხელი უნდა შეუწყოს დანაშაულის გახსნას და ასევე
4. ზიანი აანაზღაუროს.²⁶⁶

ის, ვინც ჩაიდინა სხვა კატეგორიის დანაშაული, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ ეს გათვალისწინებულია სისხლისსამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით (საქართველოს სსკ-ის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ ნორმა წამახალისებელი ნორმაა სისხლის სამართალში. პირი არ ისჯება იმიტომ კი არაა, რომ დასჯადი ქმედება არ ჩაუდენია, არამედ ²⁶⁶ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.260

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე, კანონმდებელი ნებისმიერ პიროვნებას შესაძლებლობას აძლევს, მიუხედავად უკვე გაკეთებულისა, თავიდან აიცილოს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. რის სანაცვლოდაც მას დაუსჯელობას ჰპირდება. სწორედ სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან აცილების მიზნის მიღწევას ნებაყოფლობით ხელის აღების მთავარი ამოცანა.²⁶⁷

სასამართლო პრაქტიკა

მაგალითი I

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 31 მაისის განაჩენით დ.ივანოვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტებით დაედო მსჯავრი.

დ. ივანოვი 2001 წლის 17 ოქტომბერს შევიდა ქ.თბილისში უზნაძის ქუჩაზე მდებარე მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში და მითვისების მიზნით ჩანთაში ჩააწყო პროგრამული მართვის ჩარხი და რობოტის 11 ცალი პლატი, რომელთა საერთო ღირებულება 120 ლარი იყო. დ.ივანოვი პოლიციამ შენობაშივე დააკავა. სასამართლომ მისი ქმედება დამთავრებულ დანაშაულად დაკვალიფიციურა. ეს კვალიფიკაცია სწორი არ იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის 2003 წლის 20 თებერვლუის განჩინებით დ. ივანოვის ქმედება მცდელობად დაკვალიფიცირდა. განჩინებაში ნათქვამია: „საქმის მა-

²⁶⁷ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1965, გვ.212

სალებით და განაჩენითაც არ არის უარყოფილი ის, რომ მსჯავრდებული დ.ივანოვი პოლიციის მუშაკებმა ნაქურდალ პლატებთან ერთად დააკავეს შემთხვევის ადგილზე- მან-ქანათმშენებლობის კოლეჯის შენობაში. ასეთ ვითარებაში პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ დ.ივანოვს არ ჰქონდა ნაქურდალი ქონების სარგებლობის ან განკარგვის რეალური შესაძლებლობა.

სამწუხაროდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად ვერ გაიგო ნივთის დაუფლების მომენტი. ქურდობა არ იქნება დამთავრებული, ვიდრე ქურდი შენობიდან არ გამოვა. შენობიდან გამოსვლისთანავე ქურდი ნივთს დაუფლება და მისი იქვე დაკავება არ ნიშნავს, რომ ქურდობა დამთავრებული არ არის თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დ.ივანოვი ნაქურდალი პლატებთან ერთად დააკავეს შემთხვევის ადგილზე. ასეთ ვითარებაში მას არ ჰქონდა ნაქურდალი ქონებით სარგებლობის შესაძლებლობა.

მაგალითი II

პ.ც. სტუმრად იმყოფებოდა თავის ახლობლის ოჯახში, სადაც მიიღო ალკოჰოლური სასმელი. მთვრალ პ.ც-ს კამათი მოუვიდა ახლობელთან ზ.ჩ-სთან, რის შემდეგაც ისინი გავიდნენ ქუჩაში, სადაც პ.ც-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ზ.ჩ-ს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მიმე დაზიანება.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 2 ივლისის განაჩენით პ.ც-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლებით სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განაჩენით

გარდაბნის რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართულებით: პ.ც. გამართლდა სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში და მის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაძღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით.

პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას, რადგან მიჩანია, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ გაამართლა მსჯავრდებული პ.ც. მკვლელობის მცდელობაში.

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ მსჯავრდებული პ.ც-ს მიერ ზ.ჩ-ს განზრახ მკვლელობის მცდელობის ჩადენას. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებული და დაზარალებული არიან ახლო ნათესავეები, მათ შორის მტრობას ადგილი არ ქონია. პ.ც-ს, მას შემდეგ, რაც დაჭრა დაზარალებული, აღარ უცდია გაესროლა მისი მიმართულებით. მეტიც დაინახა რა, რომ ზ.ჩ. ჩაიკეცა, შეეცადა თვითმკვლელობას და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაიზიანა სხეული. პალატას მიაჩნია, რომ მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სწორად არის დაკვალიფიცირებული სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით.²⁶⁸

²⁶⁸ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N224, აპ- 2005წ. 28 ივნისი

თავი IX – დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა

9.1 დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება

დანაშაულის ამსრულებლობას და დანაშაულში თანამონაწილეობას ეძღვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე თავი. ამ თავში მოცემულია დანაშაულის ამსრულებლობა (სსკ-ის 22-ე მუხლი), დანაშაულში თანამონაწილეობა (სსკ-ის 23-ე მუხლი), თანამონაწილეობის სახეები (სსკ-ის 24-ე მუხლი), ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა (სსკ-ის 25-ე მუხლი), ამსრულებლის ექსცესი (სსკ-ის 26-ე მუხლი), ჯგუფური დანაშაული (სსკ-ის 27-ე მუხლი). სისხლის სამართლის კანონი არ ქმნის დანაშაულში თანამონაწილეობისათვის რაიმე განსაკუთრებულ საფუძველს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად დანაშაულში თანამონაწილეობისას გვევლინება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. მიუხედავად ამისა გარკვეულ თავისებურებასთან საქმე მაინც გვაქვს. ეს თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ქმედების შემადგენლობის ნიშნები გამომდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლებიდან, დანაშაულში ამსრულებლობის და თანამონაწილეობის დებულებების გათვალისწინებით. სსკ-ის მე-7 თავში მოთავსებული ნორმები კერძოდ ითვალისწინებენ, რომ თანამონაწილეები ხშირად უშუალოდ არ ასრულებენ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ ობიექტურ ნიშნებს. მათი დანაშაულებრივი ქმედება ხორციელდება დამოუკიდებლად, ამსრულებლის მიერ დანაშაულის განხორციელებისას ან მანამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულში თანამონაწილეობა ამსრულებლის ცნების დადგენით იწყება, შემდეგ დგინდება დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება, რასაც მისი სახეების განმარტება მოჰყვება. ეს განპირობებულია იმით, რომ განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობისას მათი როლების გასამიჯნავად გამოიყენება დუალისტური სისტემა. რაც იმას გულისხმობს, რომ დანაშაულის ჩადენის პროცესში შესრულებული როლის მიხედვით შესაძლებელია თითოეული მონაწილის გამოყოფა ამსრულებლად ან თანამონაწილედ. შესაბამისად არსებობს თანამონაწილეობის ფართო და ვიწრო გაგება. თანამონაწილეობის ფართო გაგება ნიშნავს დანაშაულში თანამონაწილეობას როლების დაუნაწილებლად. თანამონაწილეობის ვიწრო გაგება კი გულისხმობს როლების დანაწილებას თანამონაწილეთა შორის (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე).

თანამონაწილეობა, როგორც დანაშაულებრივი საქმიანობის განსაკუთრებული ფორმა ხასიათდება სუბიექტური და ობიექტური ნიშნების გარკვეული თავისებურებებით. ობიექტურ ნიშნებს, კანონის დებულებებიდან გამომდინარე წარმოადგენს დანაშაულში ორი ან მეტი პირის მონაწილეობა (რაოდენობრივი ნიშანი) და ქმედების ერთობლიობა (ხარისხობრივი ნიშანი).

პირველი რაოდენობრივი ობიექტური ნიშანი გულისხმობს ორი ან მეტი პირის მონაწილეობას განზრახ დანაშაულში. თანამონაწილეები უნდა იყვნენ კონკრეტული დანაშაულისათვის ვარგისი სუბიექტები (შერაცხადები ასაკით და ფსიქიკური მდგომარეობით). სისხლისსამართლებრივად „ვარგისი“ სუბიექტის მიერ დანაშაულის ჩასადენად შეურა-

ცხი პირის (ფსიქიკური და ასაკობრივი მდგომარეობით) გამოყენება არ ქმნის თანამონანილეობას დანაშაულში, გარკვეული პირობების არსებობისას ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ შუალობით ამსრულებლობაზე.

თანამონანილეობის მეორე, ობიექტური, ხარისხობრივი ნიშანი არის ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონანილეობა განზრახ დანაშაულში. ერთობლივი მონანილეობა იმიტომ უნდა მივაკუთვნოთ თანამონანილეობის ობიექტურ ნიშნებს, რომ ერთობლიობა ქმედების ნიშანია, რომელიც განიხილება ქმედების ობიექტური შემადგენლობის ფარგლებში. ერთობლიობის ნიშანი გულისხმობს პირთა ურთიერთქმედებას გარკვეული საქმიანობის განხორციელებისას. აქედან გამომდინარე ერთობლიობა ხასიათდება ქმედების ერთიანი პროცესით, ძალისხმევითა ერთობლიობით, მიმართული კონკრეტული დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ერთობლივი მონანილეობა გულისხმობს ერთიანი მიზნის მიღწევის პროცესს. ერთობლივი მონანილეობა იმისათვის ხორციელდება, რომ შესაძლებელი გახდეს საერთოდ შედეგის მიღწევა ან შედეგის დადგომა გაადვილდეს ან დროში დაჩქარდეს. თანამონანილეობა ქმედება ერთობლივი მონანილეობის შინაარსით ერთმანეთთან მიზეზშედეგობრივ კავშირში იმყოფება. ყოველი თანამონანილის ქმედება მიზეზობრივად დაკავშირებულია ყველასთვის საერთო დანაშაულებრივ შედეგთან, გამონკვეული ერთობლივი მონანილეობით, მიმართული ერთიანი მიზნისკენ, შესაბამისად, ის იმყოფება მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან. დანაშაულებრივი შედეგი გვევლინება, როგორც რამოდენიმე ფაქტორის ამსრულებლის, ორგანიზატორის, ნამქეზებლის, დამხმარის ქმედებების ურთიერთკავშირი. თავიანთი ქმედებებით თანა-

მონაწილეები ქმნიან დანაშაულებრივი შედეგის დადგომის რეალურ შესაძლებლობას, ამსრულებელი კი ამ შესაძლებლობას გადაზრდის სინამდვილეში.

თანამონაწილეობის სუბიექტურ ნიშნებს მიეკუთვნება განზრახვის არსებობა განზრახი დანაშაულის ჩადენისას. თანამონაწილეობის სუბიექტური ნიშანი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი, თანამონაწილეები განზრახ ერთობლივად მონაწილეობენ დანაშაულის ჩადენაში; მეორე, ისინი მონაწილეობენ განზრახი დანაშაულის ჩადენაში. განზრახი ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში გულისხმობს, რომ თანამონაწილეები მოქმედებენ (უმოქმედობენ) განზრახვით. თანამონაწილეთა განზრახვასთან მიმართებაში იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა ორი მოსაზრება. ერთის მიხედვით თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული სუბიექტური მხრივ მხოლოდ პირდაპირ განზრახვას მოიცავს;²⁶⁹ მეორე შეხედულებით შესაძლებელი, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის არსებობა.²⁷⁰

დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს დებულება იმის თაობაზე აუცილებელი არის თუ არა თანამონაწილეები ერთმანეთს იცნობდნენ და მჭირდო ურთიერთკავშირში იყვნენ ერთმანეთთან, თუ საკმარისია მხოლოდ იმის ცოდნა რომ, მაგალითად, ამსრულებელი მარტო არ მოქმედებს. შესაბამისად არსებობს ორი მოსაზრება. პირველის მიხედვით ერთობლივი მონაწილეობისათვის აუცილებელია მხოლოდ თანამონაწილეთა ორმხრივი სუბიექტური კაბშირი. მეორე

²⁶⁹ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ., 2013, გვ. 274

²⁷⁰ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 334

მოსაზრება გულისხმობს, რომ ამსრულებელი შესაძლებელია არ იყოს ინფორმირებული სხვა თანამონაწილეების დანაშაულებრივ ქმედებაზე. ქართულ დოგმატიკაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც აუცილებელი არ არის, რომ დანაშაულში ყველა თანამონაწილე ერთმანეთს იცნობდეს. თანამონაწილეობისათვის საკმარისია, თუ ამსრულებელმა იცის, რომ ის მარტო არ მოქმედებს. ორგანიზატორისთვის, მაგალითად, საკმარისია, რომ მან იცოდეს დანაშაულებრივი ჯგუფის მთავარი წევრების შესახებ. ნამქეზებლობა შეუძლებელია შესაძლო ამსრულებელთან პირდაპირი კავშირის გარეშე. დამხმარისათვის საკმარისია, რომ იცოდეს ამსრულებლის შესახებ, რომელსაც ფიზიკურ ან ფსიქიკურ დახმარებას უწევს. ამრიგად, დანაშაულში თანამონაწილეობისათვის საკმარისია იმის შეგნება, რომ ისინი მარტო არ მოქმედებენ. ეს არის ის მინიმუმი, რომლის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა შეუძლებელია.²⁷¹

თანამონაწილეობა კანონის ფორმულიდან გამომდინარე შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულში. შესაბამისად გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა შეუძლებელია.

თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა. ეს გულისხმობს, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ამსრულებლის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება. თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებაში მიეცემა ამსრულებელი. დანაშაულში თანამონაწილეობა არ არსებობს ამსრულებლის გარეშე (თუ

²⁷¹ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.269

ამსრულებელმა ხელი აიღო საერთო ჩანაფიქრის განხორციელებაზე, მაშინ დანაშაულში თანამონაწილეობაც არ არსებობს, ხოლო თანამონაწილის მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულისათვის მომზადებად).

თანამონაწილის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამსრულებლის მოქმედების მიხედვით, ვინაიდან თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია. იურიდიულ მეცნიერებაში ცნობილია აქცესორობის მრავალი სახეობა:

1. მკაცრი აქცესორობა, როდესაც სასჯელიც და სასჯელისაგან გათავისუფლებაც დამოკიდებულია დანაშაულის ამსრულებელზე;

2. ლოგიკური აქცერობა-გულისხმობს, რომ სასჯელი თანამონაწილეობისათვის განსაზღვრული უნდა იყოს მთავარი ქმედებისათვის გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში;

3. აქცესორობა განხორციელებული ქმედების ხარისხის მიხედვით;

4. ლიმიტირებული აქცესორობა, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ თანამონაწილეობის დასჯადობა უნდა უკავშირდებოდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას;

5. აქცესორობა სასჯელის მიხედვით ანუ მოთხოვნა იმისა რომ თანამონაწილეთა სასჯელის ზომა განისაზღვროს ამსრულებლის სასჯელის ზომის მიხედვით.²⁷²

საქართველოს სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკისათვის ყველაზე მისაღებია ლოგიკური აქცესორობის კონცეფცია (თუმცა არსებობს მოსაზრება ლიმიტირებული აქცესორობის უფრო მისაღებობის თაო-

²⁷² ე.გვენცაძე, ამსრულებლისა და თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები., ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“, №1/7,2013

ბაზე). თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება ვლინდება იმაში, რომ უმეტეს შემთხვევაში ამსრულებლის და თანამონაწილეების პასუხისმგებლობა დგება ერთი და იმავე მუხლით. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს აუცილებლობას არ წარმოადგენს, დასაშვებია შემთხვევები, როდესაც ამსრულებლის ქმედება და თანამონაწილეების ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებითაც დაკვალიფიცირდეს. თანამონაწილეების პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ დანაშაულის განხორციელების სტადიაზე. თუ ამსრულებლის ქმედება შეწყვეტილი იქნა მომზადების სტადიაზე, მაშინ თანამონაწილეები პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადებისათვის (თუ სახეზეა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება). თუ ამსრულებელმა მიაღწია მცდელობის სტადიას, შესაბამისად, თანამონაწილეებიც პასუხისმგებაში მიეცემიან დანაშაულის მცდელობისათვის. თანამონაწილეები სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებაში მიეცემიან დამთავრებული დანაშაულისათვის თუ ამსრულებელმა დანაშაულებრივი ქმედება ბოლომდე მიიყვანა.

სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება დანაშაულის ისეთი შემადგენლობები, რომელთა განხორციელება მხოლოდ თანამონაწილეობით შეიძლება (აუცილებელი თანამონაწილეობა). მაგალითად, ქრთამის აღება და ქრთამის მიცემა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ქრთამის აღებისათვის, ხოლო 339-ე მუხლით ისჯება ქრთამის მიცემა. ქრთამის აღება ქრთამის მიუცემლად არ შეიძლება. შესაძლებელია აგრეთვე ქრთამის მიცემის ან აღების წაქეზება ან დახმარება. ასე რომ, ეს დანაშაული აუცილებლობით

მოითხოვს თანამონაწილეობას.²⁷³ აუცილებელ თანამონაწილეობას გულისხმობს აგრეთვე ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი), უკანონო ფორმირების შექმნა, ხელმძღვანელობა, ასეთ ფორმირებაში განევრება, მონაწილეობა ან/და უკანონო ფორმირების სასარგებლოდ სხვა საქმიანობის განხორციელება (სსკ-ის 223-ე მუხლი).

9.2 დანაშაულის ამსრულებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში გათვალისწინებულია დანაშაულის ამსრულებლობის ცნება და სახეები. კერძოდ, ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხადობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

თანამედროვე სისხლის სამართალი სამი სახის ამსრულებლობას იცნობს: 1. უშუალო ამსრულებლობა; 2. თანამსრულებლობა და 3. შუალობითი ამსრულებლობა.

უშუალო ამსრულებელი. უშუალოს უწოდებენ ისეთ ამსრულებელს, რომელიც თვითონ მარტო ინდივიდუალურად ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას. მაგალითად, ა მარტო შედის კ-ს ბინაში ქურდობის მიზნით, ა დანას ურტყამს ბ-ს გულმკერდის არეში და კლავს მას, ა თვითონ აყალიბებს დოკუმენტს და სხვა.

შეიძლება გამოვყოთ უშუალო ამსრულებლობის ორი

²⁷³ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ, 2005, გვ 191

სახე: 1. ერთპიროვნული ამსრულებლობა, როცა მარტო ერთი ადამიანი მოქმედებს და 2. შემთხვევა, როდესაც დანაშაულებრივ ქმედებას თანამონაწილენი სჩადიან, მაგრამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილ შემადგენლობას მაინც ერთი ადამიანი ასრულებს. პრაქტიკული თვალსაზრისით უშუალო ამსრულებლობის არც ერთი სახე რაიმე სირთულეს არ წარმოშობს.

სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას დანაშაულში თანამონაწილეთა შორის მხოლოდ ამსრულებელი ახორციელებს, ესე იგი, მხოლოდ ის ბატონობს ამ ქმედებაზე, რის გამოც ის ამ ვითარებაში ფასდება, როგორც მთავარი პერსონაჟი.²⁷⁴

თანამსრულებლობა. განასხვავებენ თანამონაწილეობას ვიწრო და ფართო გაგებით. ფართო გაგებით თანამონაწილეობა გულისხმობს თანამონაწილეობას როლების დაუნაწევრებლად. ამ გაგებით ამსრულებელიც თანამონაწილეა. ასე რომ, ამ ცნებაში თანამსრულებლობაც მოიაზრება. 22-ე მუხლის თანახმად თანამსრულებელია ის, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში. „დანაშაულის ჩადენა“ ნიშნავს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის უშუალოდ აღსრულებას. ამიტომ თანამსრულებლობა იგივე ამსრულებლობაა. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება თანამსრულებელი თანამონაწილის, კერძოდ, დამხმარისაგან. ამიტომ არის, რომ ხშირად პრაქტიკაში თანამსრულებელს დახმარებაში ურევენ ხოლმე.

ასეთი აღრევა გვხვდება განსაკუთრებით ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულებში, რომელთა შემადგენლობის ნიშნებია ძალადობა, მუქარა და სხვა. არ

²⁷⁴ ი.ვესელსი, ვ.ბოილკე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ.280

არის აუცილებელი, რომ ორივე ან სამივე თანაამსრულებელი შემადგენლობას მთლიანად ასრულებდეს. საკმარისია, რომ თანაამსრულებელმა შემადგენლობის ერთი ელემენტი მაინც შეასრულოს.²⁷⁵

ა-მ, ბ-მ და გ-მ ერთობლივად წააქციეს დ. მოკვლის მიზნით გ დ-ს ყელში უჭერდა ხელებს, ბ თავში არმატურას ურტყამდა, ხოლო ა-მ მსხვერპლს ორჯერ დანა ჩაარტყა ფეხის არეში, რითაც გადაუჭრა მაგისტრალური არტერია, მსხვერპლი სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვისაგან გარდაიცვალა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ამსრულებლად ცნო მხოლოდ ა, ე.ი. ის ვინც უშუალოდ მოკლა მსხვერპლი. მისი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით დააკვალიფიცირა დანარჩენი ორი დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი კი სასამართლომ დამხმარეებად ჩათვალა და ამის შესაბამისად ისინი მე-19, 105-ე მუხლებით (1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით) დასაჯა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ამ საქმის გამო ნათქვამია: „სამივე მსჯავრდებული მოქმედებდა დ-ს მოკვლის განზრახვით. დამდგარი შედეგი ვმსხვერპლის სიკვდილი, მათი ერთობლივი მოქმედების პროდუქტია და ამდენად მათი დანაშაულებრივი ქმედება სასამართლოს განაჩენით სწორად არის დაკვალიფიცირებული.²⁷⁶ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებასთან მთავრებით გასაზიარებელია ო. გამყრელიძის პოზიცია, რომელიც თვლის, რომ კვალიფიკაცია არასწორია. სა-

²⁷⁵ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულება, თბ, 2005, გვ 109-110

²⁷⁶ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის მიმოხილვა, თბ, 2005, გვ 177

სამართლომ არასწორად ჩათვალა ა და ბ დამხმარეებად. სინამდვილეში ისინი თანამსრულებლები იყვნენ. მკვლელობის ამსრულებელი მარტო ის კი არ არის, ვინც მსხვერპლს ვენები გადაუჭრა დანით, არამედ ისიც, ვინც ყელში ხელს უჭერდა და ისიც, ვინც თავში არმატურას ურტყამდა. შესაბამისად ეს იყო მკვლელობის თანამსრულებლობა.²⁷⁷

მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით, გაუპატიურება არის პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა ერთობლივად მოქმედი რამდენიმე ბოროტმოქმედიდან მხოლოდ ერთი მათგანი ახორციელებს სხეულში შეღწევას (სქესობრივ აქტს), ხოლო დანარჩენები მსხვერპლისადმი ფიზიკური ძალადობით ეხმარებიან თანამზრახველს. ერთი შეხედვით ისინი თითქოს დამხმარეები არიან, მაგრამ არსებითად ისინიც აღსრულებით მოქმედებებს სჩადიან, რადგან ახორციელებენ შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს – ფიზიკურ ძალადობას. ასევე გადაწყდება საკითხი მაშინაც, როცა ბოროტმოქმედი სხეულში შეღწევას (სქესობრივ აქტს) უშუალოდ ახორციელებს, მეორე თანამზრახველი კი ძალადობის მუქარით დაზარალებულს აიძულებს დაემორჩილოს მოძალადეს. აქაც თანამსრულებლობასთან გვაქვს საქმე.

თანამსრულებელია ისიც, ვინც მსხვერპლს უმწეო მდგომარეობაში მოიყვანს ხოლო მეორე გააუპატიურებს. მსხვერპლის უმწეობაც შემადგენლობის ნიშანია.

ჭიათურის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 11 მაი-
²⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, თბ, 2000, №5, გვ186

სის განაჩენით ი.შ-შვილს და ზ.ც-ძეს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლით და 117-ე მუხლს მესამე ნაწილით (1960 წლის კოდექსი) არასრულწლოვან ა.შ-შვილის გაუპატიურებისათვის დახმარების გამო.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 1999 წლის 15 დეკემბრის განაჩენით ჭიათურის რაიონის სასამართლოს ხსენებული განაჩენი არ შეცვლილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 01 მარტის განჩინებაში ამ საქმის გამო ნათქვამია: ი.შ-შვილმა და ზ.ც-ძემ „დაზარალებულს დაძალებით დაალევივნეს ოჯახიდან წამოღებული არაყი და გზაში შეძენილი ლიქიორი, შემდეგ, მიუხედავად დაზარალებულის თხოვნისა, დაებრუნებინათ სახლში, ა.შ-შვილის მითითებით ცენტრალური გზიდან გადაუხვიეს და მანქანა გააჩერეს მიტოვებული შენობის მახლობლად მინდორში, გაჩერებული მანქანიდან ა.შ-შვილმა თანამზრახველების დახმარებით ი.კ-შვილი გადაიყვანა და შეიყვანა შენობაში, სადაც ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედებისა და მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით დაამყარა სქესობრივი კავშირი“.²⁷⁸ ტექსტიდან ჩანს, ი.შ.-შვილისა და ზ.ც-ძის მოქმედებებით დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგალითად, მათ დაზარალებულს „დაძალებით დაალევივნეს“ არაყი და ლიქიორი. გარდა ამისა, ა.შ-შვილს „თანამზრახველის დახმარებით“ დაზარალებული გადაუყვანია მანქანიდან და შეუყვანია შენობაში. ასე რომ, ა. შ-შვილსა და ზ.ც-ძეს აღსრულებითი მოქმედებები აქვთ ჩადენილი. ამიტომ მათი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირებულიყო 117-ე

²⁷⁸ ო, გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 178

მუხლის მესამე ნაწილით მე-19 მუხლზე (თანამონაწილეობა, დახმარება) მიუთითებლად. ეს საქმე საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ ერთ-ერთი დამნაშავე, კერძოდ, ა.შ-შვილი ქალია. ასე რომ, ქალიც შეიძლება იყოს გაუპატიურების თანაამსრულებელი.

თვალნათელია, რომ თანაამსრულებლობის დროს არ არის აუცილებელი, ყველა თანაამსრულებელი ქმედების ობიექტურ შემადგენლობას მთლიანად ასრულებდეს, არამედ საკმარისია, რომ თითოეულმა მათგანმა შემადგენლობის ერთი ელემენტი მაინც შეასრულოს.²⁷⁹ მაგალითად, პირის მოკვლის ერთიანი განზრახვით ერთმა ამსრულებელმა შეიძლება მსხვერპლს ხელ-ფეხი შეუკრას, მეორემ ყელზე დანა გამოუსვას, ხოლო მესამემ ამ დროს ხრამში გადააგდოს, რის შემდეგაც იგი რამდენიმე ხანში გარდაიცვლება. საერთაშორისო სისხლის სამართლის ზეგავლენით, სსკ-ის 22-ე მუხლიდან ასევე გამომდინარეობს (უშუალო) ამსრულებლობის არაუშუალო(არაპირდაპირი) თანაამსრულებლობა, როცა უშუალო ამსრულებელი დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობს სხვა არაუშუალო (არაპირდაპირ) თანაამსრულებელთან (თანაამსრულებელთან) ერთად.²⁸⁰

სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება გამიზვნით დელიქტები, რომელთა შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სპეციალური მიზანი. ასეთია, მაგალითად, სხვისი მოძრავი ნივთის მითვისების მიზანი (მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლი ქურდობა).

შესაძლებელია ქურდობის ორი მონაწილიდან ნივთის

²⁷⁹ ო.გამყრელიძე., სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2013., გვ.261

²⁸⁰ გ.დგებუაძე, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა საერთაშორისო სისხლის სამართალში, „მართლმჯასულება და კანონი“, 2012, №3(34) გვ.91

მითვისების მიზანი მხოლოდ ერთ მათგანს ჰქონდეს, მეორე კი ქმედების შემადგენლობის წმინდა ობიექტურ მხარეს ასრულებდეს. მიუხედავად ამისა, ქურდობის თანაამსრულებელია ისიც, ვისაც, თუმცა მითვისების მიზანი არა აქვს, მაგრამ იცის, რომ მეორე თანამზრახველი ამ მიზნით მოქმედებს და ეხმარება მას თავისი მოქმედებით.

დანაშაულში თანაამსრულებლობა ხშირად ხდება წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ იგი შესაძლებელია წინასწარი შეთანხმების გარეშეც, ეს ხდება მაშინ, როდესაც ერთპიროვნული, ინდივიდუალური, ამსრულებელი ინცეპს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას, ხოლო შემდგომ მას შეუერთდება სხვა პირი მანამ სანამ დანაშაული დასრულდება, ასეთი შემთხვევაც საბოლოოდ თანაამსრულებლობის ფორმით იქნება ჩადენილი.

დანაშაულში თანაამსრულებლობა შესაძლებელია დენად დანაშაულშიც. მაგალითად, არაა გამორიცხული დაკავების ადგილიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან ან მოთავსების სხვა ადგილიდან, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულის/ მსჯავრდებულის გაქცევა ჯგუფურად (სსკ-ის 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი) იგი შესაძლებელია განგრძობად დანაშაულშიც, თუნდაც ერთიანი მიზნისა და განზრახვის განსახორციელებლად უკანასკნელი აქტის თანაამსრულებლობით, თუმცა პასუხისმგებლობის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ თანაამსრულებელს წინარე აქტებში მონაწილეობა არ მიუღია.

თავისებურება ახლავს თანაამსრულებლობას სპეციალურ დელიქტებში. სპეციალურ დელიქტებს მიეკუთვნება ისეთი შემადგენლობა, რომლის ამსრულებლობა შეუძლია მხოლოდ სპეციალური მოვალეობით აღჭურვილ პირს

(მაგალითად, საჯარო მოხელე, სამხედრო პირი, ექიმი და სხვა). ასეთი დანაშაულის თანაამსრულებლობა შეუძლებელია, მაშინ როცა ერთი პირი სპეციალური მოვალეობითაა აღჭურვილი, ანუ სპეციალური ამსრულებელია, ხოლო მეორე ასეთივე მოვალეობით არ არის აღჭურვილი.

მაგალითად, ბრალეულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ გამომძიებელს; 368-ე მუხლით მტკიცებულების განადგურებისათვის პასუხს აგებს „სამართლწარმოების მონაწილე“. ამიტომ ამ დანაშაულის თანაამსრულებელი არ შეიძლება იყოს ის, ვინც არ არის „სამართალწარმოების მონაწილე“ და სხვა.²⁸¹

არ შეიძლება ისეთი, სპეციალური დელიქტის თანაამსრულებლობა, რომლის ჩადენა საკუთარი ხელით ხდება. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 389-ე მუხლით ისჯება დეზერტირობა. ამ დანაშაულის თანაამსრულებლობა არ შეიძლება. ათი დეზერტირიც რომ გაიქცეს სამხედრო ნაწილიდან ერთმანეთთან შეთანხმებით, თითოეული მათგანი პასუხს აგებს დანაშაულის ერთპიროვნული ამსრულებლისათვის და არა დეზერტირობის თანაამსრულებლობისათვის.²⁸²

საინტერესოა თანაამსრულებლობა უმოქმედობის დროს. უმოქმედობა ორი სახისაა: 1) წმინდა და 2) შერეული უმოქმედობა. წმინდა უმოქმედობაა, მაგალითად, დაუხმარებლობა (სსკ-ის 129-ე მუხლი), გადასახადისათვის თავის არიდება (სსკ-ის 218-ე მუხლი), უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა (383-ე მუხლი) და სხვ. ამ დელიქტების

²⁸¹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 180-181

²⁸² ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 181

თანაამსრულებლობა არ შეიძლება, რადგან მათი ჩადენა დაკავშირებულია სპეციალური მოვალეობის შესრულებასთან. ეს მოვალეობა პერსონალურია და დელიქტის ბუნების განმსაზღვრელია. ამ მოვალეობის გადატანა სხვაზე არ შეიძლება. რახან მოვალეობა პერსონალურია, მის დარღვევა მხოლოდ ერთ პირს შეუძლია.

სხვა მდგომარეობაა შერეული უმოქმედობის დროს. შერეული უმოქმედობის დელიქტია ისეთი დელიქტი, რომლის ჩადენა, როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით შეიძლება. მაგალითად, უმოქმედობით მკვლელობა შერეული უმოქმედობის დელიქტია. დედას შეუძლია შვილი მოკლას მოქმედებითაც, ვთქვათ, დაახრჩოს ის და უმოქმედობითაც, კერძოდ, არ გამოკვებოს და მოკლას შიმშილით. უმოქმედობით მკვლელობის თანაამსრულებლობა აქ შეუძლიათ ცოლ-ქმარს, რომლებიც შეთანხმდებიან, რომ შვილი შიმშილით მოკლან.²⁸³

როდესაც მშობლები არავითარ ზომებს არ ღებულობენ საფრთხეში მყოფი შვილის გადასარჩენად და განზრახ მკვლელობას სჩადიან, მაშინ ისინი მკვლელობის თანაამსრულებლად იმიტომ კი არ ჩაითვლებიან, რომ ერთი მათგანის მოვალეობა მეორეზე გადავიდა, არამედ იმიტომ, რომ თითოეულმა მათგანმა დაარღვია თავისი მოვალეობა და ამით მოკლა შვილი. სწორედ ეს შედეგი, რომელიც მკვლელობის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია, საფუძვლად დაედო იმ ღებულებას, რომ თითოეული მათგანის უმოქმედობა ერთობლივად აღებული მკვლელობის თანაამსრულებლობად უნდა შეფასდეს.

შუალობითი ამსრულებლობა ისეთი შემთხვევაა, როცა ბოროტმოქმედმა დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის

²⁸³ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 181

მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. შუალობითი ამსრულებლობისას გამოყენებულ ადამიანს იურიდიულ ლიტერატურაში „ცოცხალ იარაღს“ უწოდებენ.

კანონის საერთო აზრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შუალობითი ამსრულებლობის დროს „ცოცხალი იარაღი“ ანუ ადამიანი, რომელიც ქმედების შემადგენლობას უშუალოდ ასრულებს, შეურაცხია. „ცოცხალ იარაღს“ ამ დროს არ შეერაცხება ბრალად ის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელსაც შუალობითი ამსრულებელი მისი მეშვეობით სჩადის (ასაკის ან ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო). კანონმდებლის მიერ გამოყენებული ტერმინი სხვა გარემოების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არდაკისრება გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირს საერთოდ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა (თავიდან აუცილებადი შეცდომა) ან დაეკისრება გაუფრთხილებლობისათვის (ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა თავიდან აცილებადი შეცდომა, რომელშიც „ცოცხალი იარაღი“ განზრახ შეიყვანეს).

შუალობითი ამსრულებელი ტიპიურად წამქეზებლობის ფორმით მოქმედებს. ამიტომ წმინდა ობიექტური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, წამქეზებლობის დროს თანამონაწილეობასა და შუალობით ამსრულებლობას შორის განსხვავებას ვერ ვნახავთ. შუალობითი ამსრულებლობა გვექნება მხოლოდ მაშინ, როცა წამქეზებელმა იცის, რომ ის წაქეზებულს დანაშაულის ჩადენის „ცოცხალ იარაღად“ იყენებს. არ არის გამორიცხული. შუალობითი ამსრულებელი მარტო მოქმედებდეს და აქეზებდეს ან ეხმარებოდეს „ცოცხალ იარაღს“ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების

განხორციელებაში (ერთპიროვნული ამსრულებელი). ასევე, არ არის გამორიცხული, რომ შუალობითი ამსრულებლობის სახით ერთდროულად ორი ან მეტი ამსრულებელი სჩადიოდეს დანაშაულს.²⁸⁴ მაგალითად, ერთი ბოროტმოქმედი აქეზებს მცირეწლოვანს დანაშაულის ჩასადენად, მეორე კი ურჩევს, როგორ იმოქმედოს უფრო მოხერხებულად (ფსიქიკური დამხმარე) ან იარაღს აწვდის (ფიზიკური დამხმარე) და სხვა. ამ შემთხვევას შეიძლება ვუნოდოთ დანაშაულის **თანაშუალობითი** ამსრულებლობა.

შუალობითი ამსრულებლობის სუბიექტური მხარე არაფრით არ განსხვავდება თანამონაწილეობის სუბიექტური მხარისგან. შუალობითი ამსრულებელიც მოქმედებს პირდაპირი განზრახვით.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც შუალობითი ამსრულებელი ცდება “ცოცხალი იარაღის“ ასაკში ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაში. ამ საკითხის გადასაწყვეტად არსებობს სუბიექტური და ობიექტური თეორია. თუ შუალობითი ამსრულებელს ჰგონია, რომ პირი, რომელსაც ის იყენებს დანაშაულის ჩასადენად არ არის მიღწეული სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს, სინამდვილეში კი ეს პირი უკვე სრულწლოვანია, სუბიექტური თეორიის მიხედვით სახეზეა შუალობითი ამსრულებლობა, ხოლო ობიექტური თეორიის მიხედვით კი თანამონაწილეობა, რადგან ნამქეზებელმა ობიექტურად დანაშაულზე დაიყოლია სრულწლოვანი პირი. და პირიქით თუ ბოროტმოქმედს ჰგონია, რომ აქეზებს სრულწლოვანს, მაგრამ სინამდვილეში ეს პირი სისხლისსამართლებრივ ასაკს მიუღწეველია (12 წლისაა) სუბიექტური თეორიით საქმე გვაქვს თანამონაწილეობასთან, ხოლო ობიექტური თეორიით ასეთი შემთხ-

²⁸⁴ თ. წერეთელი თანამონაწილეობა დანაშაულში, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2007, გვ. 131

ვევა შუალობითი ამსრულებლობაა. მისაღებად მიგვაჩნია მსგავსი პრობლემის გადანყვეტა ობიექტური თეორიის საფუძველზე.

შუალობითი ამსრულებლობა გვექნება მაშინაც, როცა “ცოცხალი იარაღი“ და მსხვერპლი ერთ პიროვნებაშია შერწყმული. ამის ნიმუშია სულით ავადმყოფის თვითმკვლელობისათვის ნაქეზება, როცა მას არა აქვს შეცნობილი თავისი მოქმედების სოციალური მნიშვნელობა.

შეიძლება თუ არა შუალობითი ამსრულებლობა საკუთარი ხელით ჩასადენ დანაშაულებში? საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულები სამი სახისაა: 1) წმინდა უმოქმედობის, 2) წმინდა მოქმედების და 3) შერეული სახის დანაშაულები. წმინდა უმოქმედობის დანაშაული ყოველთვის რაიმე მოვალეობის შეუსრულებლობით გამოიხატება. მაგალითად, ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება (სსკ-ის 176-ე მუხლი), გადასახადისათვის თავის არიდება (სსკ-ის 218-ე მუხლი) და სხვა. ეს დანაშაულები პერსონალური მოვალეობის შეუსრულებლობასთან არის დაკავშირებული. ამიტომ მათი შუალობითი ამსრულებლობა არ შეიძლება.

წმინდა მოქმედების დანაშაულია, მაგალითად, დაკავების ადგილიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან ან მოთავსების სხვა ადგილიდან, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულის/ მსჯავრდებულის გაქცევა ჯგუფურად (სსკ-ის 379-ე მუხლი). შერეული სახის საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულებია სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებური დატოვება (სსკ-ის 388-ე მუხლი), დეზერტირობა (სსკ-ის 389-ე მუხლი). 389-ე მუხლით დეზერტირობა გულისხმობს არა მარტო სამხედრო ნაწილის თვითნებურ დატოვებას, არ-

ამედ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობას.²⁸⁵ ერთი სიტყვით, 379-ე მუხლით აღწერილი ქმედება წმინდა მოქმედების დანაშაულია, ხოლო 388-ე და 389-ე მუხლებით აღწერილი ქმედებები შერეული დანაშაულებია, მაგრამ სამივე დანაშაული, მიუხედავად ამისა, საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულია და ამიტომ მათი შუალობითი ამსრულებლობა არ შეიძლება. ასევე შეუძლებელია დასაღუპავად განწირული სამხედრო ხომალდის დატოვების შუალობითი ამსრულებლობა (სსკ-ის 391-ე მუხლი). ესეც საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულია. ამ დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა შეუძლებელია იმიტომ, რომ დამნაშავემ თავისი თავი ერთგვარ მდგომარეობაში უნდა მოაქციოს (თვითონ უნდა გაიქცეს, არ უნდა დაბრუნდეს), სწორედ თავისი თავი და არა სხვა ვინმე. (დეზერტირი საკუთარი ფეხებით გარბის, უთქვამს გამოჩენილ გერმანელ იურისტს კ. ბინდინგს).²⁸⁶

სპეციალურია ისეთი დანაშაული, რომლის ამსრულებლობა სპეციალურ მოვალეობას მოითხოვს. მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაულის ამსრულებელს თანამდებობრივი მოვალეობა მოეთხოვება, სამხედრო დანაშაულის ამსრულებელი სამხედრო მოვალეობით უნდა იყოს აღჭურვილი და სხვა. ამ დანაშაულთა შუალობითი ამსრულებლობა არ შეუძლია იმას, ვისაც ეს მოვალეობა არ აკისრია. ეს იმიტომ ხდება, რომ მოვალეობა პერსონალური ხასიათისაა და ერთი ადამიანის პერსონალური ნიშანი (მოვალეობა) არ შეიძლება გადავიდეს სხვაზე ვისაც ეს მოვალეობა არ აკისრია. აქედან ის დასკვნა კეთდება, რომ იმას, ვისაც

²⁸⁵ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 184-185

²⁸⁶ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 207

არ შეუძლია უშუალოდ აღასრულოს შემადგენლობა, ის ამ შემადგენლობას ვერც „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით ვერ აღასრულებს. მაგრამ ეს კანონზომიერება ყოველთვის არ მართლდება. ამიტომ ნიშნები, რომლებიც გამორიცხავენ ამსრულებლის მიერ ამა თუ იმ დანაშაულის უშუალოდ ჩადენას, ორ ჯგუფად უნდა დაიყოს. პირველ ჯგუფში შევა ისეთი ნიშნები, რომლებიც ამსრულებელს რაიმე მოვალეობას აკისრებენ. მაგალითად, თანამდებობრივი ან სამხედრო მოვალეობა და სხვა. მეორე ჯგუფში შევა ფაქტობრივი ხასიათის ნიშნები. მაგალითად, რაიმე ფიზიკური ან პროფესიული ნაკლი (ვთქვათ, წერა-კითხვის ან მანქანის მართვის უცოდინრობა და სხვა).

პირველი ჯგუფის ნიშნები გამორიცხავენ შუალობითი ამსრულებლობის შესაძლებლობას. პოლიციელთა ჯგუფი მიცემული იყო პასუხისგებაში პატიმართა მიმართ ცემანამებისათვის. მათი ქმედებები, სხვა მუხლებთან ერთად, დაკვალიფიცირებული იყო აგრეთვე საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე (წინანარი შეცნობით უდანაშაული პირის მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში) და 195-ე (ჩვენების მიცემის იძულება) მუხლებით.

ამ პოლიციელებს ბრალდებულები არც პასუხისგებაში მიუციათ და არც ჩვენება ჩამოურთმევიათ. მათ პატიმრებს მხოლოდ ახსნა-განმარტება დააწერიეს. მაგრამ ახსნა-განმარტების იძულებით ჩამორთმევა 195-ე მუხლით არ ისჯებოდა. ამიტომ უნდა ვიგულისმხოთ, რომ, გამოძიების აზრით, პოლიციელები 192-ე და 195-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობების ამსრულებლები იყვნენ. ისინი ვითომ ცემით აიძულებდნენ პატიმრებს მიეცათ ისეთ ჩვენებები, რომლებიც გამოძიებას საფუძველს უქმნიდა მათი ბრალეულის სახით პასუხისგებაში მიცემისათვის. მაშასადამე, პოლ-

იციელები იყვნენ ამ დანაშაულთა შუალობითი ამსრულებლები, ხოლო გამომძიებლები „ცოცხალი იარაღის“ როლში გამოდიოდნენ.²⁸⁷

ასეთი კვალიფიკაცია, რასაკვირველია, სწორი არ იყო. ამიტომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ მსჯავრდებულებს ეს მუხლები სავსებით დასაბუთებულად მოუხსნა.

მეორე მხრივ, თუ ადამიანს აქვს ისეთი ფიზიკური ან პროფესიული ნაკლი, რომელიც დანაშაულის უშუალოდ აღსრულებას უშლის ხელს, მაშინ ამ ნაკლის შევსება მას „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით შეუძლია. მაგალითად, ყალბი დოკუმენტის დამზადება „ცოცხალი იარაღის„ მეშვეობით შეუძლია წერა-კითხვის უცოდინარსაც და ა.შ.

ზოგჯერ „ცოცხალი იარაღის“ შეურაცხადობა ფსიქიკურ დაავადებას ეფუძნება. მ.ჯ-მ რომელსაც საკუთარ ძმასთან, ა.ჯ-სთან მტრობა ჰქონდა, სულით ავადმყოფი ხ.კ. მის მოსაკლავად წააქეზა. ამისათვის მან ხ.კ.-ს სანადირო თოფი გადასცა ოთხი ვაზნით და თან აღუთქვა, რომ, თუ ჩემს ძმას მოკლავ, გასამრჯელოს ამ თოფს მიიღებო. ხ.კ-მ მოკვლის მიზნით ორჯერ ესროლა თოფი ა.ჯ-ს და დაჭრა. ნითელწყაროს (დღევანდელი დედოფლისწყაროს) რაიონის სასამართლოს მ.ხ-ს ქმედება მკვლევლობის მცდელობით დააკვალიფიცირა. მ.ჯ დანაშაულის შუალობითი ამსრულებელია. ობიექტური მხრივ, მისი მოქმედება ერთდროულად წაქეზებითაც გამოიხატება და დახმარებითაც (დატენილი თოფის მიწოდება). ეს მაგალითი პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზეც, რომ შუალობითი ამსრულებლობა, მსგავსად თანამონაწილეობისა, აქცესორულია, ესე იგი დამოკიდებულია „ცოცხალი იარაღის“ მოქმედებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ

²⁸⁷ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 186

„ცოცხალი იარაღი“ მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, შუა-ლობითი ამსრულებლის მოქმედებაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირდება და ა.შ.²⁸⁸

ზოგჯერ „ცოცხალ იარაღად“ გამოყენებული შეურაცხია მცირეწლოვანობის გამო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე თოთხმეტი წელი არ შესრულებია.

მაგრამ ზოგიერთი დანაშაულის ამსრულებლობის სახით შერაცხვისათვის უფრო მაღალი ასაკია საჭირო. ასეთია, მაგალითად, მოვალეობის დანაშაული, რომლის ამსრულებლობა სპეციალური მოვალეობის დარღვევას მოითხოვს (თანამდებობრივი დანაშაული, სამხედრო დანაშაული და სხვა). მაგრამ ამ დანაშაულებში შესაძლებელია თანამონაწილეობა თოთხმეტი წლის ასაკიდან. არის ზოგიერთი სხვა დანაშაულიც, რომლის ჩადენისათვის პასუხს აგებს მხოლოდ სრულწლოვანი, ეს იგი თვრამეტ წელს მიღწეული.

სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით სრულწლოვანი დაისჯება სექსუალური ხასიათის შელწევისათვის დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში. ამ დანაშაულის ამსრულებელი აუცილებლად სრულწლოვანი უნდა იყოს. ამიტომ, იმ სრულწლოვანის ქმედება, რომელიც აქეზებს (ან ეხმარება) არასრულწლოვანში სექსუალური ხასიათის შელწევისათვის დანაშაულის შუალობით ამსრულებლობისათვის აგებს პასუხს.

შუალობით ამსრულებლად დაკვალიფიცირდება აგრეთვე დამნაშავის მოქმედება, როცა იგი აღუკვეთავს

²⁸⁸ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ, 2005, გვ. 186-187

ადამიანს რაიმე მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას.²⁸⁹ მაგალითად, დამნაშავემ შებორკა მაღაზიის დარაჯი, ხოლო მცირეწლოვანმა მაღაზია გაძარცვა. დარაჯის შემბორკავი ძარცვის შუალობითი ამსრულებელია.

შუალობითი ამსრულებლობა ყოველთვის განზრახვი მოქმედებაა, განზრახვას ამ შემთხვევაში მხოლოდ პირდაპირია.

9.3 დანაშაულში თანამონაწილეობა

სსკ-ის 23-ე მუხლიდან გამომდინარე, თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახვით ერთობლივ მონაწილეობას განზრახვი დანაშაულის ჩადენაში. სსკ-ის 24-ე მუხლის მიხედვით თანამონაწილეობის სახეებია: ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე.

ორგანიზატორი დანაშაულის ერთ-ერთი თანამონაწილეა. ორგანიზატორის საქმიანობა სხვადასხვაგვარი მოქმედებით გამოიხატება, ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას. ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზატორი წინასწარ გეგმავს დანაშაულს, სხვა მონაწილეებს აუხსნის, თუ, როგორ უნდა იმოქმედონ. აქ უბრალოდ რჩევა როდი იგულისხმება, რაც ფსიქიკური დახმარებისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, ორგანიზატორმა შეიძლება იქირაოს ბინა, დააყენოს მოსასმენი აპარატი, შეუთანხმდეს კავშირგაბმულობის მუშაკებს და მათი დახმარებით მოუსმინოს შესაბამის ტელეფონებს, რომელთა მეშვეობით შემდეგ მოაწყობს ჯგუფურ თავდასხმას ვინმეზე დანაშაულბრძოლი მიზნის მისაღწევად.

²⁸⁹ თ.წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2007, გვ.119

ორგანიზატორი შეიძლება დანაშაულის ჩადენის ადგილზეც არც იმყოფებოდეს. მაგრამ ზოგჯერ იგი დანაშაულის ჩადენას ადგილზე ესწრებოდეს და უშუალოდ ხელმძღვანელობდეს დამნაშავეთა საქმიანობას, თვალყურს ადევნებდეს მათ მოქმედებას და უთითებდეს, როგორ უნდა მოიქცნენ.

რაც მთავარია, ორგანიზატორმა შეიძლება შექმნას ორგანიზებული ჯგუფი და ხელმძღვანელობდეს მის საქმიანობას.

სუბიექტური მხრივ ორგანიზატორის საქმიანობა განზრახვი მოქმედებაა. ორგანიზატორი ყოველთვის პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. თუმცა ქართულ ლიტერატურაში ორგანიზატორის არაპირდაპირი განზრახვით მოქმედების თეორიასაც დიდი გასავალი აქვს. თ. წერეთელი მიიჩნევს, რომ ორგანიზატორი ძირითადად პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. აქ იგულისხმება დანაშაული, რომლის უშუალო მონაწილაც ის არის, მაგრამ. თ. წერეთელი არ გამორიცხავს ისეთ შემთხვევას, როცა ორგანიზატორი არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება მოქმედებდეს.²⁹⁰ თუ ვინმემ დაიქირავა მეორე პირი კაცის მოსაკლავას-ამბობს თ, წერეთელი იგი იმასაც ითვალისწინებს და უშვებს, რომ დაქირავებულმა მკვლელმა დაზარალებული შეიძლება გაძარცვოს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით მკვლელობის მიმართ და ევენტუალური განზრახვით ძარცვის მიმართ. ძარცვა გამიზნითი დელიქტია და ამიტომ თავისი ბუნებით ის ყოველთვის მოითხოვს პირდაპირ განზრახვას. ეს პრინციპი ვრცელდება არა მარტო ამსრულებელზე, არამედ თანამონაწილეზეც, მათ შორის ორგანიზატორზეც. ორგანიზატორი პასუხს აგებს ჯგუფური

²⁹⁰ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2007., გვ.149

დანაშაულის მხოლოდ იმ ცალკეული ეპიზოდისათვის, რომელიც მისი განზრახვით იყო მოცემული.²⁹¹

დანაშაულის თანამონაწილეთა შორის **წამქეზებელი** ყველაზე უფრო რთული და მრავალმხრივი ფიგურაა. წამქეზება ყოველთვის სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად. ამიტომ ფართო გაგებით წამქეზებლობა შუალობით ამსრულებლობასაც მოიცავს. მაგრამ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტი დანაშაულის თანამონაწილეობას გულისხმობს.

ზოგჯერ „სხვისი დაყოლიება“ ისე ესმით, თითქოს ეს ნიშნავს ამსრულებლის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ არ არის გამორცხული, რომ წამქეზებლობა დანაშაულის დამხმარის წამქეზებით გამოიხატოს. მაგალითად, ვინმე აქეზებს ნაცნობს ათხცოვოს თოფი მკვლელობის ამსრულებელს. ესეც სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად, რაც შესაბამისად უნდა შეფასდეს. ასევე შეიძლება ორგანიზატორის წამქეზებაც. ლიტერატურაში ხშირად გვხვდება მსჯელობა წამქეზებლის წამქეზების იურიდიულ კვალიფიკაციაზე.

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს წამქეზებლის განსხვავებას ინტელექტუალური ანუ ფსიქიკური დახმარებისაგან. წამქეზებელია ის, ვინც ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადამწყვეტ მოტივს უქმნის. წამქეზებელმა ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება უნდა მიაღებინოს. წამქეზებელმა უნდა შეუქმნას ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის „ისეთი ძლიერი მოტივი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიძგს გადანყვეტილების მიღებისათვის.“²⁹²

²⁹¹ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2007, გვ148-149

²⁹² თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, სისხლის სამართლის

ფსიქიკური დამხმარის მოქმედება, წამქეზებლობასთან შედარებით, ნაკლები მნიშვნელობისაა. ფსიქიკური დახმარება ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას განუმტკიცებს.²⁹³ მაგალითად, წამქეზებლის ზემოქმედებით პირმა მკვლელობა გადაწყვიტა, მაგრამ ეძებს დამფარავს. გამოჩნდა დამხმარე, რომელმაც მას, მკვლელობის შემთხვევაში, დაფარვა აღუთქვა.

წაქეზება მიზეზობრივად არის დაკავშირებული იმ შედეგთან, რომელსაც ამსრულებელი ახორციელებს. ამსრულებლის მოქმედებისაგან განსხვავებით, წაქეზება ფსიქიკურ მიზეზებრიობას წარმოადგენს.²⁹⁴

წამქეზებელი, მართალია, მიზეზობრივად არის დაკავშირებული შედეგთან. მაგრამ ეს როდია მისი დასჯადობის საფუძველი. წამქეზებელი ისჯება იმის გამო, რომ ის ამსრულებელთან ერთად ერთიან უმართლობას სჩადის. ერთიანი უმართლობა თანამონაწილეობის დროს ნიშნავს იმას, რომ ყველა თანამონაწილე მოქმედებს ერთიანი განზრახვით და ობიექტურად ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივად არის დაკავშირებული შედეგთან.

„ერთიანი განზრახვა“ ნიშნავს იმას, რომ წამქეზებელს (თანამონაწილეს) და ამსრულებელს ერთი და იგივე მიზანი უნდა ამოძრავებდეს. თუ, მაგალითად, თანამონაწილე მოქმედებს მკვლელობის მიზნით, ეს მიზანი უნდა ჰქონდეს ამსრულებელსაც, ან და შეიძლება თანამონაწილეს ეს მიზანი არ ჰქონდეს, მაგრამ იცოდეს, რომ ამსრულებელი ამ მიზნით მოქმედებს და ეთანხმებოდეს მას.²⁹⁵

პრობლემები, თბ., 2007, გვ.156

²⁹³ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2007, გვ.149

²⁹⁴ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ, 2005, გვ.195

²⁹⁵ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 250

ნამქეზებელმა შეიძლება შეაცდინოს ამსრულებელი მისი მხილებისა და დასჯის მიზნით. ასეთ დროს საქმე გვაქვს დანაშაულის პროვოკაციასთან (აგენტ-პროვოკატორის მოქმედება). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ შემადგენლობას, რომლის მიხედვით ისჯება დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.²⁹⁶

დანაშაულის პროვოკატორი არ შეიძლება დაისაჯოს იმ დანაშაულის თანამონაწილეობისათვის, რომლისთვისაც ნააქეზეს ამსრულებელი, რადგან ნამქეზებელი (პროვოკატორი) და პროვოცირებული (ნაქეზებული) სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ. მაგალითად, როცა პროვოკატორი აქეზებს ვინმეს ქურდობისათვის, პროვოკატორის, ესე იგი ნამქეზებლის, მოქმედება ხელყოფს ნაქეზებულის პიროვნებას, სურს იგი ციხეში ჩააგდოს, ხოლო ნაქეზებული, ესე იგი პროვოცირებული, ხელყოფს სხვის საკუთრებას.

ნაქეზება „აუცილებლობით გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას ფსიქიკაზე“ ამიტომ უმოქმედობით ნაქეზება შეუძლებელია.

სუბიექტური მხრივ ნაქეზება მხოლოდ პირდაპირი განზახვით შეიძლება. თუმცა, ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ ნაქეზება არაპირდაპირი განზახვითაცაა შესაძლებელი. მაგალითები, რომლებიც ცალკეულ ავტორებს ამ მოსაზრებას დასასაბუთებლად მოაქვთ, ამკარად ხელლოვნურია. მაგალითად, თ. წერეთელი იმეორებს რუსი იურისტის ნ. ტაგანცევის სიტყვებს: „თუ ვინმე, განსაზღ-

²⁹⁶ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2007, გვ. 169

რული ქმედობის ჩადენისას ან განსაზღვრული ამბის მოყოლის დროს ითვალისწინებს, რომ მისი ნაამბობის შედეგად რომელიმე მსმენელმა შეიძლება მის მიერ აღწერილი დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინოს და გულგრილად ეკიდება ამას ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია შევურაცხოთ მას სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაული იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც ვურაცხავთ ასეთი გულგრილობის შედეგს უშუალო ბრალეულს.²⁹⁷

ჩვენ რომ ამ მოსაზრებას გავყვეთ, მაშინ ადამიანთა ურთიერთობა საერთოდ შეუძებელი იქნება. განსაკუთრებით ითქმის ეს თანამედროვე ეპოქაზე, სადაც სიტყვისა და პრესის თავისუფლება არავითარ ცენზურას არ ემორჩილება. პრესაში ათასგვარი აზრი გამოითქმება, რომელმაც მკითხველს შეიძლება დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება მიაღებინოს, გარდა ამისა, არაპირდაპირი განზრახვით ნაქეზების დადგენა პროცესუალური საშუალებებით ძალზე ძნელი საქმეა. საკითხავია, როცა რაიმე ამბის მოყოლა იმ მიზნით ხდება, რომ მსმენელს დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება აღუძრას. შეიძლება ითქვას, რომ აქ საქმე გვაქვს შენიღბულ, ფარულ ნაქეზებასთან, რათა ნამქეზებელი თვითონ არ გამოჩნდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გვექნება პირდაპირი და არა არაპირდაპირი განზრახვით ნაქეზება.²⁹⁸

დანაშაულის თანამონაწილეობის მესამე სახეა დახმარება, დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. დახმარება ორი სახისაა: 1) ფიზიკური და 2) ფსიქიკური ანუ ინტელექტუალური.

²⁹⁷ თ. ნერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2007, გვ.163

²⁹⁸ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ.197

ფიზიკური დახმარება უნდა განვასხვაოთ დანაშაულის ამსრულებლობისაგან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამსრულებელი კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობას ახორციელებს მთლიანად ან ნაწილობრივ, დამხმარე კი შემადგენლობის არც ერთ ნაწილს არ ასრულებს.

ფიზიკური დახმარება ორი ძირითადი სახით შეიძლება გამოვლინდეს: 1) ამსრულებლისათვის საშუალების მიცემა და 2) დაბრკოლების თავიდან აცილება.

ამსრულებლისათვის საშუალების მიცემა გულისხმობს სხვადასხვა იარაღის გადაცემას დანაშაულის ჩასადენად ან მის გასაადვილებლად, მაგალითად, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის მიცემა, სხვადასხვა სახის იარაღების ან გასაღებების მიწოდება ბინის ან სეიფის კარის გასაღებად და სხვა.

დაბრკოლების თავიდან აცილებად კი ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც მკვლელობის მომენტში მეორე თანამზრახველი აკავებს მსხვერპლის ახლობელს და ამით უადვილებს ბოროტმოქმედს დანაშაულის აღსრულებას; დახმარება იქნება აგრეთვე დარაჯის დათრობა, რაც გაუადვილებს ქურდს მალაზიის ან სანყობში შეღწევას და სხვა.

მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება სხვა სახის დახმარებაც, მაგალითად, ერთი დადგება გარეთ მეთვალყურედ, ხოლო მეორე შევა სახლში საქურდავად.

ფსიქიკური დახმარებაა, მაგალითად, ამსრულებლის დარიგება, რჩევა, როგორ მოიქცეს, რომ დანაშაული გაუადვილდეს. დახმარებაა აგრეთვე დაპირება, რომ დამალავს დამნაშავეს ან გადამალავს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ საგნებს და სხვ.

ზოგჯერ ფსიქიკური დახმარება იმით გამოიხატება,

რომ დამნაშავე ამსრულებელს განუმტკიცებს დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილებას, უფრო მეტ გაბედულებას მატებს მას. სწორედ ამით განსხვავდება ფსიქიკური დახმარება ნამქეზებლოგისაგან. „ნამქეზებელი ჰქმნის გადამწყვეტ მოტივს ამსრულებლის გადანყვეტილების მიღებისათვის“ (თ.წერეთელი) და ამიტომ ის უფრო საშიში ფიგურაა დამხმარესთან შედარებით.²⁹⁹

დახმარება შეუძლებელია უმოქმედობით. მაგალითად, დედა კლავს შვილს, მამა ამას ხედავს, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებს. აქ მამის უმოქმედობა მიზეზობრივად არის დაკავშირებული შვილის მკვლელობასთან. აქ დედაც ამსრულებელია და მამაც. ერთი (დედა) მოქმედებით სჩადის მკვლელობას, მეორე (მამა) – უმოქმედობით.

სუბიექტური მხრივ დამხმარე განზრახ უნდა მოქმედებდეს. დამხმარე ისევე, როგორც ყველა თანამონაწილე, ამსრულებელთან ერთად ერთიან უმართლობას ახორციელებს, რაც მათი ქმედებების ერთიანი განზრახვით შეკავშირებას გულისხმობს. დამხმარე პირდაპირი განზრახვით მოქმედებს.

9.4 ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა

თანამონაწილისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა ერთ საერთო საფუძველს ემყარება. ეს საფუძველია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული „მართლსაწინააღმდეგო ქმედება“ ანუ, უფრო მოხერხებულად რომ ვთქვათ, „სისხლისსამართლებრივი უმართლობა.“ ერთი საერთო უმართლობის გარეშე არ არსებობს თანამონაწილ-

²⁹⁹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2013, გვ.199

ისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა. უფრო ზუსტად, თანამონაწილისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა, თანამონაწილე პასუხს აგებს იმ უმართლებლობისათვის, რასაც ამსრულებელი სჩადის.

ასეთია, მაგალითად, ქურდობის უმართლობა, მკვლევლობის უმართლობა და სხვა. არ არის აუცილებელი, რომ ესა თუ ის უმართლობა კოდექსის კერძო ნაწილის ერთი მუხლით იყოს გათვალისწინებული. განზრახ მკვლევლობის უმართლობა, როგორც ვიცით, რამდენიმე მუხლითაა მოცემული (სსკ-ის 108-ე – 114-ე მუხლები). ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ თანამონაწილისა და ამსრულებლის ქმედებები სხვადასხვაა მუხლებით დაკვალიფიცირდეს. ვთქვათ, წამქეზების ან დამხმარის მოქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 108-ე მუხლით, ხოლო ამსრულებლის სსკ-ის 109-ე მუხლით. თანამონაწილე და ამსრულებელი ამ შემთხვევაში მაინც ერთ უმართლობას-განზრახ მკვლევლობას სჩადიან.

უმართლობა არის დასჯადობის ობიექტური საფუძველი, ურომლისოდაც თანამონაწილის პასუხისმგებლობა წარმოუდგენელია.

თანამონაწილის ობიექტური მონაწილეობის ხარისხი უმართლობის განხორცილებაში მოქმედებს ბრალის ხარისხზეც. რაც მეტი წვლილი მიუძღვის თანამონაწილეს უმართლობაში, მით მეტია მისი ბრალის ხარისხიც, მაგრამ ზოგჯერ ბრალის ხარისხი უმართლობის ხარისხისაგან დამოუკიდებლად მატულობს. მაგალითად, როცა მოკლულია ორი ადამიანი, უმართლობის ხარისხი მაღალია და ამის შესაბამისად მატულობს ბრალის ხარისხიც. ზოგჯერ კი, მართალია, ერთი კაცია მოკლული, მაგრამ მკვლევლობის მოტივი მეტად გასაკიცხია და ამის საფუძველზე იზრდება

ბრალის ხარისხი (ვთქვათ, ანგარების მოტივი). მაგალითად, ანგარებით მკვლელობა უფრო გასაკიცხია, ვიდრე შურისძიებით, თუმცა ორივე შემთხვევაში ერთი ადამიანი მოკლული.³⁰⁰

თანამსრულებელი იგივე ამსრულებელია. ამიტომ მისი ქმედების კვალიფიკაციისათვის სრულიად საკმარისია კოდექსის კერძო ნაწილის მუხლზე მითითება სსკ-ის 24-ე მუხლის გამოყენება საჭირო არ არის.

ორგანიზატორის, წამქეზებლის და დახმარის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლთან ერთად სსკ-ის 24-ე მუხლზე მითითებით. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა თანამონაწილე ამავე დროს თანამსრულებელიცაა, მაშინ სსკ-ის 24-ე მუხლზე მითითება ზედმეტია და სრულიად საკმარისია კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლზე მითითება, რომლითაც აღწერილია ჩადენილი ქმედება.

დანაშაულის თანამონაწილებისათვის დამახასიათებელია ის, რომ უმართლობას ზოგიერთი თანამონაწილე შეიძლება ნაწილობრივ ახორციელებდეს. აქ უნდა გამოვყოთ (მართლსაწინააღმდეგო ქმედების) უმართლობის დამფუძნებელი ნიშნები. მაგალითად, მოკვლის მიზანი მკვლელობის დროს (სსკ-ის 108-ე მუხლი), სხვისი მოძრავი ნივთის მითვისების მიზანი ქურდობის დროს (სსკ-ის 177-ე მუხლი) და სხვა.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა სხვისი მოკვლის მიზანი აქვს მხოლოდ ამსრულებელს, დამხმარეს ეს მიზანი არა აქვს, მაგრამ ანგარიშს უწევს ამსრულებელს ან თანამონაწილეს (წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი). ასეთ დროს თანამსრულებელი და თანამონაწილეს პასუხს

³⁰⁰ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიმოხილვა, თბ., 2005, გვ. 201

აგებენ განზრახ მკვლელობის ან ქურდობის უმართლობის ჩადენისათვის, თუ მათ იცოდნენ, რომ ამსრულებელი მოქმედებს ხსენებული უმართლობის ჩადენის მიზნით.

კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში პასუხისმგებლობის გაძლიერების ან შემსუბუქების მიზნით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ისეთი ნიშანი, რომელიც უმართლობას არ აფუძნებს და მხოლოდ პერსონალური ხასიათი აქვს. ასეთი ნიშანი შეერაცხება მხოლოდ იმას, ვისაც იგი ახასიათებს.

ანგარების მოტივი განზრახ მკვლელობის დროს (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ პუნქტი) ვინმე ეხმარება მკვლელს, რომელსაც სურს მემკვიდრეობის მიღება. ამ შემთხვევაში ამსრულებელი მოქმედებს ანგარებით და მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ პუნქტით, ხოლო დამხმარე, თუ არ არსებობს სხვა მაკვალიფიცირებელი გარემოება, პასუხს აგებს სსკ-ის 24-ე, 108-ე მუხლებით. ვინაიდან ანგარება არ არის განზრახი მკვლელობის უმართლობის დამფუძნებელი ნიშანი, ის ამსრულებლიდან თანამონაწილეზე ვერ გადავა და ვერ დაამძიმებს მის პასუხისმგებლობის და მხოლოდ მისი ბრალის ხარისხზე იმოქმედებს, ამსრულებლის ბრალს დაამძიმებს.³⁰¹

ამსრულებელს (თანამსრულებელი ამსრულებელთან არის გათანაბრებული და ისინი ერთნაირად აგებენ პასუხს) და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისთვის ე.ი. ამსრულებელს ამსრულებლობისათვის, ხოლო მონაწილეს მონაწილეობისათვის. არ შეიძლება ბრალი დაედოს ამსრულებელს ან მონაწილეს, თუ ბრალდებაში არ არის

³⁰¹ ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, მესამე ტომი, თბ., 2001, გვ. 16-21

პირდაპირ მითითებული რაში გამოიხატება ამსრულებლის, ორგანიზატორის, დამხმარის როლი და რაში გამოიხატება ნაქეზება, ვინ იყო დაყოლიებული დანაშაულის ჩადენაში, რა ხერხით და ა.შ.³⁰² მაგალითისათვის შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი კაზუსი.

ა-მ მემკვიდრეობის მიღების მიზნით გადაწყვიტა საკუთარი ძმის თავიდან მოშორება და დაიწყო იარაღის მოძიება. გაახსენდა, რომ მის მეგობარს ჰქონდა სანადირო თოფი. ა-მ თავის მეგობარს მოუყვა თავისი განზრახვის შესახებ და თხოვა დახმარება, კერძოდ იარაღი მიეცა რამდენიმე დღით. ბ-მ ძმაკაცს უარი ვერ უთხრა და თოფი მისცა. მესამე დღეს ა-მ საკუთარი ძმა მოკლა.

დააკვალიფიცირეთ ა-ს და ბ-ს ქმედება მკვლევლობასთან მიმართებაში.

კაზუსის ამოხსნა:

ჰიპოთეზა: ა-მ შესაძლებელია ჩაიდინა განზრახ მკვლევლობა ანგარებით, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ ქვეპუნქტით.

ა) ობიექტური შემადგენლობა

ქმედების სუბიექტი: ა

ქმედების ობიექტი: ძმის სიცოცხლე

ქმედება

სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედება განხორციელებულია

შედეგი

შედეგი დამდგარია ძმა გარდაცვლილა.

მიზნობრივი კავშირი (ობიექტური შერაცხვა)

ა-ს მიერ განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგთან მიმართებაში ორივე წინაპირობა მოცემულია.

³⁰² თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2007, გვ. 148-149

ბ) სუბიექტური შემადგენლობა

ა მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით.

მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი არცერთი გარემობა კაზუსში არ ჩანს.

ბრალის გამომრიცხველი გარემოება არ გვაქვს. გარდა ამისა, ა მოქმედებდა ანგარებითი მოტივით (სპეციალური პერსონალური ნიშანი), რაც მემკვიდრეობის მიღების სურვილს გულისხმობს.

დასკვნა: ა პასუხს აგებს სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის გ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მკვლელიობისათვის.

ბ-ს მიერ განზრახ მკვლელობაში დახმარება, სსკ-ის 24-ე, 108-ე მუხლები.

ჰიპოთეზა: ბ-მ, როდესაც სანადირო თოფი ათხოვა ა-ს შესაძლებელია ჩაიდინა მკვლელობაში დახმარება.

ქმედების შემადგენლობა

ა) ობიექტური შემადგენლობა

იმისათვის, რომ ვინმეს პასუხისგებაში მიცემა მოხდეს დახმარებისათვის, სსკ-ის 24-ე მუხლის მესამე ნაწილიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სხვა პირის მიერ ჩადენილი იყოს განზრახი დანაშაული. მოცემულ კაზუსში ეს ამკარაა. ავთომ ჩაიდინა მკვლელობა.

დახმარება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ნიშნავს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ხელის შეწყობას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქიკური (ინტელექტუალური) დახმარება. ბ-მ მის მეგობარს ათხოვა სანადირო თოფი, ანუ განახორციელა ხელშეწყობა ფიზიკურად.

ბ) სუბიექტური შემადგენლობა

დახმარების დროს სუბიექტური მხარე, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ე.წ. „ორმაგი განზრახვის“ არსებობას. რაც გამოიხატება იმაში, რომ პირს უნდა ჰქონდეს იმის განზრახვა, რომ ამსრულებელმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ა-მ განახორციელა დანაშაული, რაც მოცემულ კაზუსში ამკარაა, ვინაიდან, ბ საქმის კურსში იყო, თუ რას აპირებდა ა და რაც ასევე ეჭვს არ იწვევს არის ის, რომ ბ მოქმედებდა დახმარების, ხელის შეწყობის განზრახვით.

რაც შეეხება პერსონალურ ნიშანს, პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისთვის ანდა ერთ-ერთი ამსრულებლისათვის ან თანამონაწილისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს (სსკ-ის 25-ე, მე-5 ნაწილი) ანგარების მოტივი სწორედაც, რომ პერსონალურ ნიშანს წარმოადგენს, რომელიც უმართლობას არ აფუძნებს და შეერაცხება მხოლოდ იმას, ვინც ანგარებით მოქმედებდა, ანუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ა-ს. ბ-ს, როგორც დამხმარეს, შეერაცხება მხოლოდ და მხოლოდ სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, განზრახ მკვლელობა.

დასკვნა. ბ პასუხს აგებს მკვლელობაში დახმარებისათვის. სსკ-ის 24-ე, 108-ე მუხლები.

9.5 ამსრულებლის ექსცესი ცნება, სახეები და მნიშვნელობა

ამსრულებელია ის, ვინც კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი შემადგენლობა მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც განახორციელა. სისხლის სამართალი იცნობს ამსრულებლის ექსცესის ცნებას, რომლის მიხედვით ამსრულებელმა შეიძლება ჩაიდინოს ისეთი მართლსაწინააღმ-

დეგო ქმედება, რომელიც თანამონაწილის (თანამსრულებლის) განზრახვით მოცული არ იყო. მაგალითად, ერთი პირი შევიდა სახლში ქურდობის მიზნით, ხოლო მეორე თანამზრახველი გარეთ დადგა მეთვალყურედ. შიგნით შესულს შემთხვევით სახლის პატრონი დახვდა და წინააღმდეგობა გაუწია, რასაც სახლის პატრონის მკვლელობა მოჰყვა. გარეთ მეთვალყურედ მდგომს ეს მკვლელობა არ შეიძლება შეერაცხოს. ეს იქნება ამსრულებლის ექსცესი, რისთვისაც პასუხს აგებს მხოლოდ უშუალო მკვლელი.

სიტყვა „ექსცესი“ ლათინური წარმოშობისაა და ეტიმოლოგიურად რალაცის უკიდურესად გამოვლინებას ნიშნავს.

ექსცესი ორი სახისაა: **რაოდენობრივი და თვისობრივი**. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული შემთხვევა თვისობრივი ექსცესი იყო, რაც ნიშნავს იმას, რომ ამსრულებელმა, სხვა თანამონაწილეთაგან განსხვავებით, თვისობრივად განსხვავებული დანაშაული ჩაიდინა. ქურდობა განზრახ მკვლელობისაგან თვისობრივად განსხვავებული დანაშაულია.

რაოდენობრივ ექსცესის დროს თანამონაწილეებთან შეთანხმებულ და ამსრულებლის ჩადენილ დანაშაულს შორის თვისობრივ განსხვავებას ვერ ვხედავთ. ამიტომ ამ შემთხვევას რაოდენობრივ ექსცესს უწოდებენ. მაგალითად, ერთი შევიდა ბინაში ქურდობის მიზნით, ხოლო მეორე თანამზრახველი დარჩა გარეთ მეთვალყურედ, მაგრამ ბინაში შესულმა ქურდობის ნაცვლად, რასაც გარეთ დარჩენილი მოელოდა, ძარცვა ჩაიდინა, ბინაში შესული პასუხს აგებს ძარცვის ამსრულებლობისათვის, ხოლო გარეთ დარჩენილი დაისჯება ქურდობის თანამონაწილეობისათვის (დამხარე), რადგან ძარცვა უფრო მეტია, ვიდრე ქურდობა, და თავისთავად მოიცავს ქურდობის ნიშნებს.³⁰³

³⁰³ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მომხილვა., თბ., 2005., გვ 205

მაგრამ ვერ დავეთანხმებთ იმ მოსაზრებას, თითქოს ამსრულებლის ექცესისათვის შეიძლება პასუხი აგოს თანამონაწილემ არაპირდაპირ განზრახვის შემთხვევაში. თუ თანამონაწილე ითვალისწინებდა ექსცესის ე.ი. თუ თანამონაწილეს შედეგის მიმართ ევენტუალური განზრახვა ჰქონდა, იგი პასუხს აგებს ამ შედეგისათვის, თუნდაც მას სპეცილური შეთანხმება არ ჰქონდეს. ეს საკითხი ადვილი გადასაწყვეტი არ არის. მაგალითად, ერთი შევიდა საქურდლად სხვის ბინაში, ხოლო მეორე დარჩა გარეთ მეთვალყურედ. თუ ის უშვებს, რომ ბინაში შესულმა, ქურდობის ნაცვლად, შეიძლება ძარცვა ჩაიდინოს, მაშინ არაპირდაპირი განზრახვა არ გვექნება, რადგან ძარცვა გამიზნითი დელიქტია და მისი ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით გამორიცხულია. ასევე ითქმის ყაჩაღობის მიმართაც და სხვა. თუკი გარეთ მყოფი ამ შემთხვევაში პასუხს აგებს ძარცვის ან ყაჩაღობისათვის, მისი მოქმედება უნდა ჩაითვალოს პირდაპირი განზრახვით ჩადენილად. წინააღმდეგ შემთხვევაში თანამონაწილე პასუხს არ აგებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.³⁰⁴

9.6 ჯგუფური დანაშაული: ცნება და სახეები

სსკ-ის 27-ე მუხლი ჯგუფური დანაშაულის ცნებას განსაზღვრავს. აქ დანაშაულებრივი ჯგუფის რამდენიმე ნაირსახეობაა მოცემული. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. მეორე ნაწილის

³⁰⁴ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, სისხლის სამართლის პრობლემები., თბ, 2007., გვ 202

მიხედვით კი დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. როგორც ვხედავთ ჯგუფური დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს წინასწარ შეთანხმებული და წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფის მიერ. წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფური დანაშაული გულისხმობს თანამონაწილეობის ისეთ სახეს, როდესაც ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას იწყებს ერთი პირი, ხოლო მოგვიანებით სანამ ის დაამთავრებს დანაშაულს, მას წინასწარი შეთანხმების გარეშე შემოუერთდებიან სხვა პირები. წინასწარ შეთანხმებული ჯგუფი გულისხმობს რამოდენიმე ადამიანის შეთანხმებას დანაშაულის ჩადენაზე მანამ სანამ რომელიმე მათგანი დაიწყებს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას. ორივე შემთხვევაში თანაამსრულებლობა იგულისხმება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ორი ან მეტი თანაამსრულებლის გარდა, დანაშაულის ზოგიერთი მონაწილე წამქეზებლის, ორგანიზატორის ან დამხმარის როლს ასრულებდეს.

კოდექსის კერძო ნაწილის ზოგიერთ მუხლში დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშანია. მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ე პუქტით დაწესებულია პასუხისმგებლობა განზრახი მკვლელობისათვის „ჯგუფურად“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 30 ივლისის განაჩენით კ.მეფარიშვილს და კ. შევარდნაძეს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე- 2 ნაწილის „ე“ (განზრახ მკვლელობა ჯგუფურად“ და (განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით) პირველი ნაწილის „გ“ პუქტით.

კ.მეფარიშვილი ა. საფარიანს „მკვლევლობის მიზნით მივარდა, ნააქცია ტახტზე და რამდენჯერმე ჩაარტყა დანა კისრის და ყელის მიდამოებში... ვინაიდან დაჭრილი წინააღმდეგობას უწევდათ და გამოსცემდა სპეციფიკურ ხმებს, განზრახვის ბოლომდე სისრულეში მიყვანის მიზნით კ. შევარდნაძემ პირზე ხელი დააფარა, გაუკავა მარცხენა ხელი, მუხლით დააწვა მარცხენა ხელზე, აიღო მეფარიშვილის დაგდებული დანა და რამდენჯერმე გამოუსვა ყელში, რის შემდეგაც მიაძახა კ. მეფარიშვილის, რომ ქალს ყელი გამოსჭრა და ის ველარაფერს იტყოდა.“

კ.მეფარიშვილმა და კ.შევარდნაძემ დანაშაული ჯგუფურად ჩაიდინეს, ისინი განზრახ მკვლევლობის თანამრულებლები არიან და ამიტომ, სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მათი ქმედებები სწორად არის დაკვალიფიცირებული კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და პირველი ნაწილის „გ“ პუნქტებით.³⁰⁵

სსკ-ის 27-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება. ორგანიზებული ჯგუფის ცნების ეს განსაზღვრება უნდა გამოვიყენოთ კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლებში, სადაც „ორგანიზებული ჯგუფი“ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია. მაგალითად, ქურდობა ორგანიზე-

³⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე., 2002, №12, გვ. 204

ბული ჯგუფის მიერ (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტი), ძარცვა ორგანიზებული ჯგუფის მიერ (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტი) და სხვა.

ორგანიზებული ჯგუფისათვის დამახასიათებელია სამი ძირითადი ნიშნანი, დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებობა (ანუ ორგანიზებული ჯგუფი არა ერთი დანაშაულის ჩასადენად, არამედ დანაშაულებრივი საქმიანობის გარკვეული დროის მანძილზე განსახორციელებლადაა შექმნილი), მას უნდა გააჩნდეს სტრუქტურული ფორმა (რაც გულისხმობს ჯგუფის ფარგლებში გარკვეული იერარქიული დამოკიდებულების არსებობას, შესაბამისად ვფიქრობთ რომ ორგანიზებული ჯგუფი მინიმუმ სამი პირისაგან უნდა შედგებოდეს), კანონიდან გამომდინარე ორგანიზებულ ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს სპეციალური მიზანი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება (ეს ჩანაწერი კანონში ძალიან ზღუდავს ორგანიზებული ჯგუფის ცნებას, რადგან ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა ბევრად უფრო ფართო ვიდრე ფინანსური და მატერიალური სარგებლის მიზნით დანაშაულებრივი საქმიანობა). მნიშვნელოვან განმარტებას გვაძლევს სსკ-ის 27 მუხლის შენიშვნა, რომლის მიხედვითაც: სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის ნევრთა შორის, ნევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.

ორგანიზებული ჯგუფი მყარი ჯგუფია, ხოლო სიმყარე, როგორც კანონის ტექსტიდან ჩანს, ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი ერთზე მეტი დანაშაულის ჩასადენადაა შექმნილი.

ჯგუფი მყარია იმიტომ, რომ ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ იგი არ იშლება და დანაშაულებრივ საქმიანობას აგრძელებს. ამიტომ ორგანიზებული ჯგუფი გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე ჩვეულებრივი ჯგუფი ან ჯგუფი, რომელიც წინასწარი შეთანხმებით მოქმედებს.

ორგანიზებული ჯგუფისათვის დამახასიათებელია არა მარტო სიმყარე, არამედ წინასწარი შეთანხმებაც. ასე რომ, ორგანიზებული ჯგუფისათვის თანამონაწილეობის ყოველგვარი გამოვლინება შეიძლება იყოს დამახასიათებელი. მათ შორის, თანამსრულებლობაც.

ერთი სიტყვით, ორგანიზებული ჯგუფი წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის და თანამსრულებელთა ჯგუფისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 27-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, მხოლოდ სიმყარის ნიშნით განსხვავდება.

ამ თვალსაზრისით ორგანიზებული ჯგუფი სსკ-ის 27-ე მუხლის მიხედვით იგივე ბანდაა. იტალიური სიტყვა “ბანდა“ მყარი დანაშაულებრივი ჯგუფია, რადგან ის ერთზე მეტი დანაშაულის ჩასადენად იქმნება. ამიტომ ვერ დავეთანხმებით თ. დონჯაშვილს, თითქოს „ორგანიზებული ჯგუფი იქმნება, როგორც წესი, რამდენიმე დანაშაულის ჩადენისათვის, მაშინ, როცა ბანდა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ერთი თავდასხმისათვის.³⁰⁶

ბანდას როცა ახსენებს, ავტორს მხედველობაში აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით აღწერილი „ბანდიტიზმის“ შემადგენლობა, მაგრამ მას ავინყდება, რომ თუ ორგანიზებული ჯგუფი „მყარი ჯგუფია“ ასეთივე „მყარი შეიარაღებული ჯგუფია“ ბანდა სსკ-ის 224-ე მუხლით. სიმყარე ნიშნავს, რომ ორგანიზებული

³⁰⁶ თ. დონჯაშვილი., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.268

ჯგუფი იქმნება დანაშაულებრივი საქმიანობისათვის, ე.ი. დანაშაულთა განუსაზღვრელი რაოდენობის ჩასადენად. თუ სიმყარე ორგანიზებული ჯგუფისთვის ნიშნავს ჯგუფის შექმნას დანაშაულთა განუსაზღვრელი რაოდენობის ჩასადენად, გაუგებარია, რატომ განვმარტავთ “სიმყარეს” სხვაგვარად ბანდიზიტმის დროს (სსკ-ის 224-ე მუხლი) და ვამტკიცებთ, თითქოს ბანდა იქმნება ერთი დანაშაულის ჩასადენად.

ასე რომ. ორგანიზებული ჯგუფი და ბანდის სიმყარის ნიშნით ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. განსხვავება მხოლოდ შეიარაღებაშია. სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი ნიშანი “ორგანიზებული ჯგუფი” იგივე ბანდაა. რაც შეეხება სსკ-ის 224-ე მუხლს, იქაც ბანდაზეა ლაპარაკი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ მუხლში საქმე გვაქვს შეიარაღებულ ბანდასთან.

რასაკვირველია, ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან კიდევ სხვა ნიშნითაც განსხვავდება. სსკ-ის 224-ე მუხლით ბანდის შექმნა უკვე დამთავრებული დანაშაულია, მაშინ როცა ორგანიზებული ჯგუფის შექმნა ქურდობის ან სხვა დანაშაულის ჩასადენად დანაშაულის მომზადებას დაკვალიფიცირდება.

ორგანიზებული ჯგუფის შექმნის ან ხელმძღვანელობისათვის პასუხისმგებლობა ყველა შემთხვევაში ამ ჯგუფის შემქმნელს ან მის ხელმძღვანელს დაეკისრება.

ჯგუფის შემქმნელი (ხელმძღვანელი) პასუხს აგებს აგრეთვე ამ ჯგუფის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ ეს დანაშაული მოცემული იყო მისი განზრახვით.

ჯგუფის წევრი პასუხს აგებს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაში იგი მონაწილეობდა.

**თავი X. მართლწინააღმდეგობა,
მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი
გარემოებები**

**10.1 მართლწინააღმდეგობა, სისხლისსამართლებრივი
უმართლობა, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი
გარემოებები, ცნება და სახეები**

საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებათა ორკვალიანი სისტემა. მისი VIII თავი ეძღვნება „მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს,“ ხოლო IX „ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.“

პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ასეთ დაყოფას, არ იცნობდა არც 2000 წლის 01 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი და არც ქართული სისხლის სამართლის თეორია.

მოქმედი კოდექსის ამოქმედებამდე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს ეწოდებოდა საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი. ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი კი, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ბრალის შესახებ ნორმატიული მოძღვრების არარსებობის ვითარებაში ქართული სისხლის სამართალში დღეს წარმოდგენილი სახით არ არსებობდა.³⁰⁷

არსებობს ორი სახის მართლწინააღმდეგობა: ფორმალური და მატერიალური.

სახელმწიფოში, მართლწინააღმდეგობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებელი ადგენს ზოგადი ხასიათის ქცევის

³⁰⁷ მ.ტურავა., დანაშაულის მოძღვრება., თბ, 2011, გვ.323-324

სავალდებულო წესებს. ზოგიერთი მათგანი არის ამკრძალავი (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლის მოსპობის აკრძალვა მკვლელობის შემადგენლობაში, სსკ-ის 108-ე მუხლი) ან მავალელები (მაგალითად, გადაუდებელი დახმარების განწვევის ვალდებულება დაუხმარებლობის შემადგენლობაში, სსკ-ის 129-ე მუხლი). ეს აკრძალვები და ვალდებულებები ქმედების შემადგენლობათა ფორმით მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში. სწორედ ამ შემადგენლობათა განხორციელება, მაშასადამე, მათი შესაბამისი ქმედების შესრულება წარმოადგენს ფორმალურ მართლწინააღმდეგობას. ფორმალურად მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა იმავდროულად ყოველთვის არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, ვინაიდან არსებობს მთელი რიგი გარემოებანი, რომელთა არსებობის შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მოქმედების ან უმოქმედობის განხორციელება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს მართლწინააღმდეგობის ხელყოფად (ე.წ. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები).³⁰⁸

მაგალითად, ა განზრახ სიცოცხლეს მოუსპობს ბ-ს, ის მოქმედებს ფორმალურად მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ თუ ეს ქმედება განხორციელდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, როცა ა თავს იცავდა ყაჩაღური თავდასხმისაგან, ა-ს ქმედება უნდა ჩაითვალოს მართლზომიერად, ყაჩაღობის მსხვერპლი არ მოქმედებს მატერიალურად მართლსაწინააღმდეგოდ. ქმედება მხოლოდ მაშინ არის მატერიალურად მართლსაწინააღმდეგო, როცა იგი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოებით არ შეიძლება იქნეს გამართლებული. სისხლისსამართლებრივი უმართლობა არსებობს მხოლოდ მატერიალური

³⁰⁸ მ.ტურავა., დანაშაულის მოძღვრება., თბ, 2011, გვ.325

მართლწინააღმდეგობის განხორციელების შემთხვევაში.³⁰⁹

დანაშაულის ორი ნიშნის- ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის არსებობა ერთობლიობაში წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებას.³¹⁰

მაგალითად, განზრახ მკვლელობაში ყველა შემადგენლობას, როგორც ძირითადს (სსკ-ის 108-ე მუხლი), ასევე კვალიფიციურს (სსკ-ის 109-ე მუხლი) და პრივილეგიურს (სსკ-ის 111-ე – 114-ე მუხლები), აერთიანებს ერთი საერთო-მკვლელობის უმართლობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით არის გათვალისწინებული.

უმართლობის საკითხის გარკვევას მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, თანამონაწილის (ორგანიზატორი, ნამქეზებელი, დამხმარე) დასჯადობისათვის, რადგან თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველია თანამონაწილის მიერ ამსრულებელთან ერთად ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის შესრულება. თანამონაწილე შეიძლება დაისაჯოს სხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით, ვიდრე ამსრულებელი, მაგრამ აუცილებლად მხოლოდ ამსრულებელთან ერთიანი უმართლობისათვის. ასე, მაგალითად, დედა, რომელმაც მოკლა თავისი ახალშობილი მშობიარობისას, შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს სსკ-ის 112-ე მუხლით, როგორც შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის ამსრულებელი (დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა), მისი მეგობარი კი, რომელმაც ბავშვის დედას აღუძრა შვილის მოკვლის განზრახვა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის, კერძოდ, განზრახ

³⁰⁹ მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება., თბ., 2011., გვ.164

³¹⁰ ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989, გვ.124-138

მკვლევლობა დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა.

ქმედების მართლწინააღმდეგობა აუცილებლად ობიექტურად უნდა არსებობდეს. თუ პირი მხოლოდ მის წარმოდგენაში ფიქრობს, რომ ის მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, სინამდვილეში კი, მისი ქმედება რეალურად ასეთს არ წარმოადგენს, სჩადის მხოლოდ მოჩვენებით დანაშაულს, რისთვისაც იგი საერთოდ არ დაისჯება. ზოგჯერ შეიძლება პირმა სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა მოახდინოს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის დარღვევით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი მოქმედება მაინც ჩაითვალოს მართლზომიერად.

მაგალითად, ა-მ დაარღვია ცეცხლსასროლი იარაღის ტარების წესები და მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისაგან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში თავი დაიცვა ისეთი იარაღით, რომლის ტარების უფლებაც მას არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, მისი მოქმედება თავდაცვის ნაწილში მართლზომიერია, მას შეიძლება მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებისათვის დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის 236 მუხლის მე-4 ნაწილი).

ახალი კოდექსის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებებია: **აუცილებელი მოგერიება** (28-ე მუხლი), **დამნაშავეის შეპყრობა** (29-ე მუხლი), **უკიდურესი აუცილებლობა** (30-ე მუხლი), **მართლზომიერი რისკი** (31-ე მუხლი), 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას სხვა მართლზომიერი ქმედების დროს (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებებს).**

ქმედების შემადგენლობის განხორციელება, როგორც

ნესი, გულისხმობს ქმედების მართლწინააღმდეგობას, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა სახეზე გვაქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება, მიუხედავად ქმედების შემადგენლობის განხორციელებისა, ქმედება მართლზომიერია.³¹¹

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობა ნიშნავს:

ქმედების ჩამდენი პირისათვის: სასჯელის არდაკისრება, ვინაიდან სასჯელის დაკისრებისათვის აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩადენა.

აღნიშნული ყოველთვის არ გამომრიცხავს ზიანის მართლზომიერად მიმყენებლისთვის სამოქალაქო სამართალწარმოების გზით ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ასე, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში დამდგარი ზიანი, კერძოდ, ხელმყოფისათვის მიყენებული დაზიანება არ ანაზღაურდება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 116-ე მუხლი), ხოლო აგრესიული ანუ თავდასხმითი უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრება ზიანის მიმყენებლისათვის ნებადართულია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი)

თანამონაწილისათვის: რომ იგი არ შეიძლება დაისაჯოს, რადგან დასჯადი თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში (თანამონაწილეობის ე.წ. აქცესორული თეორია). სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით დანაშაულში თანამონაწილეობის დეფინიცია უნდა გავიგოთ შეზღუდულად, კერძოდ, როგორც ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა განზრახი სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩადენაში.

³¹¹ მ.ჭურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 166-167

დაზარალებულისათვის: რომ მას არა აქვს მართლზომიერი ქმედების მიმართ აუცილებელი მოგერიების უფლება. თვით დაზარალებულის მოქმედება იქნება მართლსაწინააღმდეგო, თუ ის მართლზომიერი ქმედებისაგან დაიცავს თავს და ამით სამართლებრივ სიკეთეს დააზიანებს.³¹²

საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა, მართალია, გამორიცხავს ბრალს (სსკ-ის 38-ე მუხლი) და არა მართლსაწინააღმდეგობას, მაგრამ აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია იძულებით პირის აშკარა არაბრალეულობის შემთხვევაში. მაგალითად, ა სიცოცხლის მოსპობის რეალური მუქარით აიძულებს ბ-ს, მოკლას გ, ორივე, როგორც ა, ასევე ბ მოქმედებენ არამართლზომიერად, რის გამოც წარმოიშობა მათ მიმართ აუცილებელი მოგერიების უფლება. ამასთან, შესაძლებელია, ბ-ს მოქმედება გარკვეულ შემთხვევაში ჩაითვალოს საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად (სსკ-ის 38-ე მუხლი)

მართალია, ასეთი ვითარება არ გამორიცხავს აუცილებელი მოგერიების უფლებას, რადგან თვით იძულებით მოქმედი არის საფრთხის წყარო, მაგრამ თუ ეს შესაძლებელი და ეფექტურია თავდაცვის მიზნის მისაღწევად, აუცილებელი მოგერიების უფლება უნდა განხორციელდეს არა ბ-ს, არამედ ა-ს მიმართ. ამ შემთხვევაში არსებობს აუცილებელი მოგერიების უფლების შეზღუდვის სოციალურ-ეთიკური ფარგლები.

თანმდევრი შედეგით კვალიფიცირებული განზრახვი დელიქტის დროს (სსკ-ის მე-11 მუხლი), სადაც ქმედება განზრახ ხორციელდება, ხოლო შედეგი გაუფრთხილებლობით დგება, განზრახვი ქმედების მართლზომიერების დროს, გაუფრთხილებელი შედეგიც მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს.

³¹² მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ.328

ეს საკითხი აქტუალურია არა მარტო აუცილებელი მოგერიების, არამედ ასევე სხვა გარემოებისთვისაც (მაგალითად დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, როცა ოპერაციის დროს გაუფრთხილებლობით პაციენტი სიკვდილი დადგება).³¹³

მართლსაწინააღმდეგო ქმედება ეწინააღმდეგება არა მხოლოდ პოზიტიური სამართლის (კანონის) ნორმებს, არამედ კულტურისა და ზნეობის ნორმებს, ანუ ცივილიზებულ სახელმწიფოში გაბატონებულ სამართლებრივ შეხედულებებს.

თუკი ამა თუ იმ ქმედებას კერძო, ადმინისტრაციული, საკონსტიტუციო ან საპროცესო სამართალი მართლზომიერად აცხადებს, არ შეიძლება იგივე ქმედება სისხლის სამართლის თვალსაზრისით მართლსაწინააღმდეგო იყოს. არა სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის აღიარება გამომდინარეობს სამართლებრივი სისტემის ერთიანობის პრინციპებიდან, რასაც ასევე შეესაბამება მართლწინააღმდეგობის სახით, არამედ ზოგადსამართლებრივი კატეგორიის სახით წარმოდგენა.

პრობლემური და საკამათოა საკითხი იმის შესახებ, სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებსა და სისხლისსამართლებრივ გამართლებას, აქვს თუ არა იგივე მნიშვნელობა სამართლის სხვა დარგებში, მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალში.

გარდა დაწერილი სამართლისა, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები შეიძლება გვექონდეს ადათობრივი (ჩვეულებითი) სამართლის სახით, რასაც სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს.

³¹³ მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ.330

მართლწინააღმდეგობა ობიექტური კატეგორიაა, რომელიც პირს აუცილებლად სუბიექტურადაც უნდა ჰქონდეს შეცნობილი. აქ იგულისხმება, რომ, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების დროს თავდასხმა უნდა იყოს ობიექტურად, რეალურად საშიში, ამასთან მომგერიებელს უნდა ჰქონდეს თავდაცვის მიზანი. ობიექტური და სუბიექტური მომენტების ერთობლიობა განსაზღვრავს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ სხვა გარემოებათა შინაარსსაც.³¹⁴

10.2 აუცილებელი მოგერიება, აუცილებელი მოგერიების ცნება და შინაარსი

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მიხედვით: მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად (მუხლის პირველი ნაწილი). აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას (მუხლის მეორე ნაწილი).

აუცილებელი მოგერიება შედგება სამი ნიშნისაგან: **უკიდურესი მდგომარეობა, უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება და თავდაცვის სურვილი.**

აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებია:

³¹⁴ მ.ჭურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 168

1. ხელყოფა უნდა იყოს **მართლსაწინააღმდეგო**;
2. ხელყოფა უნდა იყოს **რეალური**;
3. ხელყოფა უნდა იყოს **იმნუთიერი**;
4. ხელყოფა უნდა იყოს **რელევანტური**, ანუ სოციალურად მნიშვნელოვანი.

რაც შეეხება ხელყოფის მართლსაწინააღმდეგობას. ხელყოფა უნდა იყოს სამართლებრივ სიკეთეზე რეალურად (ობიექტურად) განხორციელებული თავდასხმა და არა მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში არსებული მოჩვენება.³¹⁵

მოვიყვანოთ ამ პირობათა არსებობის საილუსტრაციო მაგალითები:

პირველი პირობის მაგალითი: ა თავს ესხმის ბ-ს მოსაკლავად. ბ-მ დაასწრო და მოკლა თავდამსხმელი-**აუცილებელი მოგერიება.**

შეურაცხადი ა თავს ესხმის ბ-ს. ბ-მ დაასწრო და მოკლა შეურაცხადი პირი. ადამიანისაგან მომდინარე ნებისმიერი თავდასხმა მართლსაწინააღმდეგოა და ამიტომ მისი მოგერიება იქნება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა. თუ პირს ცხოველი დაესხმება თავს, იქნება უკიდურესი აუცილებლობა, ვინაიდან ის არაა ადამიანი და ამდენად არც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის ავტორი შეიძლება იყოს. აუცილებელი მოგერიების დროს ზიანი შეიძლება მიადგეს მხოლოდ საფრთხის წყაროს.

აუცილებელი მოგერიების დროს სამართლებრივ სიკეთეზე თავდასხმის რეალურობის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მეორე პირობის მაგალითი: ა-მ მოკლა ბ, რომელსაც უნდოდა ა-ს მხოლოდ შეშინება, თუმცა მომგერიებლის წარმოდგენით იგი რეალურ თავდასხმას

³¹⁵ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 181

ახორციელებდა. ამ შემთხვევაში ვერ გვექნება აუცილებელი მოგერიება, ვინაიდან თავდასხმა არ იყო რეალური, ობიექტური, არამედ მხოლოდ მომგერიებლის ნარმოდგენაში არსებობდა (მოჩვენებითი მოგერიება). მოჩვენებითი თავდასხმის მომგერიებელი არ მიეცემა პასუხისგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა იყო მისატყვებელი. თუ შეცდომა მიუტყვებელი იყო, მაშინ იგი დაისჯება მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, ხოლო თუ შეცდომა არ დაუშვია და იცოდა, რომ ბ ხუმრობით ან შეშინების მიზნით დაესხა თავს, ა-ს ქმედებაში იქნება განზრახი მკვლელობის ნიშნები.

ხელყოფის იმნუთიერობის ქვეშ, კანონმდებელი გულისხმობს, რომ ხელყოფა არ უნდა იყოს არც უკვე მომხდარ თავდასხმაზე შურისძიება და არც მომავალში მოსალოდნელი თავდასხმის წინასწარი პრევენცია.³¹⁶ **მესამე პირობის მაგალითი:** ა თავს დაესხა ბ-ს. ბ-მ თავდასხმის ფაქტობრივი დამტავრების შემდეგ შურისძიებით მოკლა ა. ასეთ შემთხვევაში არ იქნება აუცილებელი მოგერიება, ვინაიდან ბ-ს მიერ ა-ს მოკლა არ მომხდარა იმნუთიერად. თუ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობამ გადაიარა და მხოლოდ ამის შემდგომ მოხდა თავდამსხმელის დაზიანება, მაგალითად, მკვლელობა, სახეზე გვექნება მკვლელობა შურისძიების მოტივით. ასევე, თუ პირმა წინასწარ მოკლა პირი, რომელიც მისი ნარმოდგენით მომავალში მოკვლას უპირებდა, მაშინ, როდესაც მას ჰქონდა სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობა, არ ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად რადგან არ არსებობდა თავდასხმის იმნუთიერობა.

ხელყოფა იმნუთიერია: თუ დამნაშავე უკვე ზიანს აყენებს კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, ანუ თუ

³¹⁶ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 181

სახეზეა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის რეალური საფრთხე. აუცილებელი მოგერიების უფლება ნყდება ხელყოფის შეწყვეტისთანავე. მაგალითად, შეიარაღებული ა თავს დაესხა ბ-ს მოკვლის მიზნით. ბ-მ იგი კეტიტ მოიგერიია. ხელყოფის საშიშროებამ გადაიარა, მიუხედავად ამისა ბ-მ კეტის ცემით მოკლა ა. ბ პასუხისგებაში მიეცემა განზრახ მკვლელობისთვის, რადგან მასზე თავდასხმა უკვე დამთავრებული იყო და მისი გაგრძელების საფრთხე არ არსებობდა.

ო. გამყრელიძის მოსაზრებით აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, თუ ხელყოფა ამნუთიერია, ე.ი. ეს ესაა ინყება.³¹⁷ ხელყოფის ამნუთიერობა იმას როდი ნიშნავს, რომ თავდამცველი ელოდეს როდის დაინყებს მოქმედებას თავდასხმელი. პეტრე პირველის „სამხედრო არტიკულში“, ნათქვამია: თავდამცველი პირველი დარტყამას არ უნდა ელოდოს, თორემ შეიძლება ისეთი მოხდეს, წინააღმდეგობის თავიცი აღარ ექნება.³¹⁸

იმ შემთხვევაში, როცა მძარცველი, ყაჩალი გარბის მოპარული ნივთით, ყაჩალობა, მართალია, დამთავრებულია, მაგრამ თავდასხმა ჯერ კიდევ იმნუთიერია. ამდენად, ჯერ კიდევ არსებობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა. მანამ, სანამ ქონების დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლება. თუ მოგვიანებით პატრონმა მიაგნო გატაცებულ ნივთს, მას უფლება აქვს მიიღოს ზომები ამ ნივთის უკან დასაბრუნებლად, მათ შორის ძალის გამოყენებით, მაგრამ მისი მოქმედება არ იქნება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით გამართლებული, თუმცა სამოქალაქო

³¹⁷ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მომხილვა., თბ., 2005., გვ 217

³¹⁸ ი. ხერხეულიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, სადოქტორო დისერტაცია, 2010, გვ. 126

სამართლის და სისხლის სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, მისი მოქმედება ჩაითვლება მართლზომიერად.

ხელყოფის სოციალური რელევანტურობა და მისგან დაცვის თანაზომიერება. იმისათვის, რომ წარმოშვას აუცილებელი მოგერიების უფლება, ხელყოფა არ უნდა იყოს უმნიშვნელო სამართლებრივი ზიანის გამომწვევი.³¹⁹

მეოთხე პირობის მაგალითია: ა გადაძვრა ბ-ს ბაღში ვაშლის მოსაპარავად. ბ-მ მოკლა, იგი დაისჯება, ვინაიდან, ა-ს მოქმედება (ვაშლის მოპარვა) წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას, მაგრამ არ იყო რელევანტური, ანუ სოციალურად მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხელყოფა.

აუცილებელი მოგერიების ექსცესი გვექნება იმ შემთხვევაში, თუ მომგერიებელი ვერ მოზომავს მოგერიების ფარგლებს და მას გადააცილებს. მაგალითად, 113-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მკვლელობისათვის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ბრალდებულმა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს შეიძლება გადააცილოს შიშით, დაბნეულობით ან სხვა ექსტრემალური სიტუაციის გამო. თუ პირმა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს განზრახ გადააცილა, გვექნება განზრახი მკვლელობა.

აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება ნიშნავს ობიექტურად მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან, თუმცა სუბიექტურად მომგერიებლის წარმოდგენაში თავდაცვის ასეთი აშკარა შეუსაბამობა არ არსებობს. დაცული სამართლებრივი სიკეთე შესაძლებელია ტოლფასი ან თუნდაც ნაკლები იყოს ხელყოფის მიერ დაზიანებულ სიკეთესთან შედარებით, მა-

³¹⁹ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 181

გრამ არ უნდა იყოს აშკარა შეუსაბამობა ხელყოფისა და დაცვის ობიექტებს შორის.

საგულისხმოა ლიტერატურაში მოყვანილი აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების მაგალითები:

ა თავს ესხმის ბ-ს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიზნით. ბ კლავს ა-ს. ბ-ს მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან აშკარა შეუსაბამობა არა გვაქვს.

ა თავს ესხმის ბ-ს გაუპატიურობის მიზნით. ა-ს კლავს ბ ან მის დასახმარებლად მისული გ. აქაც მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან, აშკარა შეუსაბამობა არა გვაქვს.

ა-მ უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება ბ-ს. იგი აღმოჩნდა მძიმე პირობებში და თავის დახსნის მიზნით მოკლა ა. მოქმედება აქაც მართლზომიერია, მაგრამ თუ პირობათაში ჩაკეტეს მცირე ხნით, სადაც აუტანელი პირობები არ არის, მაშინ მკვლელობა არ იქნება მართლზომიერი. კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შევავსოთ, ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

ა-ს გაუვიდა პატიმრობის ვადა. ციხის უფროსმა ბ-მ იგი არ გაათავისუფლა. ა-მ დააზიანა გ, რომელიც ციხის უფროსის ბრძანებას ასრულებდა და გაიქცა ციხიდან. ა-ს მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან ამ შემთხვევაში აშკარა შეუსაბამობა არა გვაქვს.

ა-ს სასამართლომ უკანონოდ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა. მან მოკლა გუშაგი ბ და გაიქცა ციხიდან. ამ შემთხვევაში ადგილი ექნება განზრახ მკვლელობას, ვინაიდან, ბ არ არის ხელმყოფი (არ ახორციელებს ა-ს მიმართ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას). ამ შემთხვევაში აუცილებელ მოგერიებაზე (არც მის გადაცილებაზე) საუბარი არ შეიძლება.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა აუცილებელი მოგერიების დროს შეიძლება გამოიხატოს არა მარტო აქტიურ თავდასხმაში, არამედ უმოქმედობაშიც. მაგალითად, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მოგერიება.³²⁰

სამართლებრივი დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ადამიანი, ასევე ქონებრივი სიკეთე. როცა თავდასხმა ხდება ქონებრივ (მატერიალურ) სიკეთეზე, აუცილებელი მოგერიების ფარგლები შეზღუდულია ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით. რომის კონვენცია აღიარებს სიცოცხლის უფლებას და მის დაცვას სახელმწიფოს ავალდებულებს, ამიტომ, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ პირის გამიზნული განზრახი მკვლელობა ქონების გადარჩენის მიზნით წარმოადგენს კონვენციით დაცული სიცოცხლის უფლების ხელყოფას.

აუცილებელი მოგერიება ორი კომპონენტის- ობიექტურისა და სუბიექტურის ერთობლიობაა. **აუცილებელი მოგერიების დროს ობიექტურად უნდა არსებობდეს თავდასხმა და სუბიექტურად პირს- უნდა ჰქონდეს თავდაცვის მიზანი.**

მაგალითად, ა-ს მოკვლის განზრახვით მიუახლოვდა ბ. ა-მ ამის შესახებ არ იცოდა და ბ-ს ხულიგნური ქვენაგრძნობით მოკლავს. ობიექტურად სახეზე გვაქვს თავდასხმის მოგერიება, მაგრამ სუბიექტურად ა-ს არ ჰქონდა თავდაცვის მიზანი. ამიტომ, იქნება არა აუცილებელი მოგერიება, არამედ განზრახი მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით, რადგან სახეზე არ არის აუცილებელი მოგერიების ორივე კომპონენტი, კერძოდ, პირს არ ჰქონდა თავდაცვის მიზანი.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დასადგენად, ობიექტურის გარდა, მნიშვნელობა ენიჭება სუბიექ-

³²⁰ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 184

ტურ ფაქტორსაც. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმით რომ დგინდებოდა, ქმედებას ვერ მივცემთ სწორ კვალიფიკაციას. სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ქმედების ჩამდენი პირის მიზნის დადგენა. კერძოდ, ფანჯრის ჩამტვრევა ბინის გაქურდვის მიზნით დანაშაულია, ხოლო ხანძრის შემთხვევაში, ბავშვის გადარჩენის მიზნით – არა.

აუცილებელი მოგერიების პროვოკაცია. თუ მომგერიებელმა თავდასხმის განზრახვი პროვოკაცია მოახდინა, რათა თავდამსხმელი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოკლა (ე.წ. განზრახვი ან გამიზნული პროვოკაცია), მისი მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად. იგი უნდა დაისაჯოს განზრახვი დანაშაულისათვის. თუ პირმა თავდასხმა, მართალია, არა განზრახ, მაგრამ წინდახედულობის ნორმის დარღვევით გამოიწვია (ე.წ. გაუფრთხილებლობითი პროვოკაცია), მაშინ აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ შეზღუდულად არსებობს.

მაგალითად, ა მივიდა თანაუბნელის საცხოვრებელი კორპუსთან, დაურეკა მობილურ ტელეფონზე, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და შეაგინა იმ განზრახვით, რომ ამით გაელიზიანებინა და გინების საპასუხოდ მიელო მისგან თავდასხმა. მას უნდოდა ესარგებლა ამ სიტუაციით და გაბრაზებული თანაუბნელი მოეკლა. თვითონ კი წინასწარ მოემზადა ამ სიტუაციისათვის იმით, რომ ცეცხლსასროლი იარაღი ჩაიდო ჯიბეში. ისარგებლა რა მის მიერ მოწყობილი ამ ვითარებით. პროვოცირებული თავდამსხმელი მასზე განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოკლა. ამ მაგალითში აღწერილია გამიზნული

აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის მდგომარეობა.³²¹

რაც შეეხება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების საკითხს. შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში წამოიჭრას, როდესაც ხელმყოფისათვის მიყენებული ზიანი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად აუცილებელი არ იყოს.³²² ამის საილუსტრაციოდ უნდა მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან და ამასთანავე ავლნიშნეთ, რომ სამწუხაროდ, პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლო თავს იკავებს საქმის აუცილებელი მოგერიების მუხლით კვალიფიკაციისაგან და ასეთ ვითარებაში ჩადენილი მკვლელობას გადააკვალიფიცირებენ 113-ე მუხლზე, ანუ მკვლელობად, რომელიც ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით.

2007 წლის 21 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სასამართლომ განიხილა საქმე გ.ქ.-ძის, რომლესაც ბრალი ედებოდა ხულიგნობაში (სსკ-ის 229-მუხლი) და ბ.გ.-იას, რომელსაც ასევე ედებოდა ბრალი სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და აგრეთვე სსკ-ის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა).

აღწერილობითი ნაწილით, გ. ქ-ძის და ბ.გ.-ის დანაშაული გამოიხატება იმაში, რომ მათ ერთ-ერთ კლუბში, შელაპარაკება მოუვიდათ ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ვინმე გ.ა-იასთან, რაც გადაიზარდა სიტყვიერ შეურაცხყოფაში. მოკამათების დამშვიდებას შეეცადნენ, მაგრამ უშედეგოდ. ბ.გ.-იამ ჭიდილი დაუწყო გ.ა-იას და შურისძიების მოტივით განიზ-

³²¹ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ, 2013, გვ 191-192

³²² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეჯის საქმე №1/5221, 2.12. 2007

რახა მისი მკვლევლობა, გულმკერდის მარცხენა ნახევარში მიაყენა ჭრილობა. რომლის შედეგად გ. ა-ია გარდაიცვალა.

სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ, რომ ერთ-ერთი მოწმის ჩვენებით, გ. ა-ია გ.ქ-ისკენ იწვედა, მან აიღო ბოთლი და გ. ქ-ის მხარეს მოიქნია. ბ.გ-ია ჩხუბში მანამდე არ ჩარეულა, სანამ გ. ა-იამ არ ამოიღო დანა. რომ არა ბ.გ-ია, გ.ქ-ძეს აუცილებლად მოხვდებოდა დანა. მეორე მოწმეც ადასტურებს, რომ გ.ა-ის სურდა, ბოთლი ჩაერტყა თავში გ.ქ-ძისათვის, მაგრამ ბოთლი სხვას მოხვდა თავში. გ. ა-იამ დანა ამოიღო და გ. ქ-ძეს დაემუქრა. ამ დროს ბ.გ-ია რომ არ ყოფილიყო, გ. ა-ია დანას დაარტყამდა გ. ქ-ძეს და მოკლავდა. ბ. გ-იამ დაიძახა, ფრთხილად -დანაო. გ. ქ-ძეს რომ ააცილა, მერე ბ.გ-იას მიუბრუნდა გ. ა-ია.

განსასჯელ ბ. გ-ას ჩვენებით: გ. ა-იას ხელში ეჭირა დანა და მიდიოდა გ. ქ-ძისკენ მუქარით. მან გ. ქ-ძეს დაუძახა და გააფრთხილა დანის შესახებ, თვითონ კი მიუვარდა გ.ა-იას, დაუჭირა დანიანი ხელი, მაგრამ გ. ა-იამ გააშვებინა ხელი, რადგან ფიზიკურად ძლიერი იყო. ამის შემდეგ, მასაც ზემოდან მოუქნია დანა სიტყვებით „შენ რაღა გინდაო“, ხელი აუკრა, რა დროსაც ხელში დაიჭრა. გ. ა-იამ მეორედაც მოუქნია დანიანი ხელი, დანა გააგდებინა და დაიხარა მის ასაღებად, რათა გარეთ გაეტანა და გადაეგდო, მაგრამ ამ დროს გ. ა-იამ ბოთლი მოუქნია, მან კი ქვემოდან დანიანი ხელი აუქნია გვერდულად. იმ მომენტში ბ.გ-იას არ გაუგია, გ.ა-ია დაიჭრა თუ არა.

განსასჯელ გ. ქ-ძის ჩვენებით: ბ. გ-ია ჩხუბში მას მერე ჩაერთო, რაც დანა დაინახა. ბ.გ-იას პირველი მოქმედება ის იყო, რომ გააფრთხილა, დანა აქვსო. ბ. გ-იას რომ არ წაერთმია დანა, მის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა.

ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ვბ.გ-იას მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენა არ დასტურდება. საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებათა ერთობლიობით, მივდივართ დასკვნამდე, რომ ბ. გ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული არის მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ დაადგინა: ბ.გ-იას მიმართ წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მესამე ნაწილში გამართლდეს. ბ. გ-იას მიმართ შერაცხული ბრალდება, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლი გადაკვალიფიცირებულ იქნეს სსკ-ის 113-ე მუხლზე.

უნდა დავეთანხმოთ სასამართლო გადაწყვეტილებას ბ.გ-იას მიმართ წარდგენილი ხულიგნობის მუხლის მოხსნის ნაწილში, მაგრამ ვერ დავეთანხმები მის პირვანდელ, საბრალდებო დასკვნაში მოცემულ კვალიფიკაციას სსკ-ის 108-ე მუხლით. მტკიცებულებათა და მონმეთა გამოკლითხვის შედეგად, ნათლად ჩანს რომ, რომ არა ბ. გ-იას მოქმედება, მისი მეგობარი გ. ქ-ძე, გ.ა-იას მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად აშკარად გარდაიცვლებოდა“ რადგან მის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა. ანუ, აქ სახეზე გვაქვს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერი ყველა პირობა. ასე რომ, ბ.გ-იას ქმედება მართლზომიერია. გარდა ამისა, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ქ-ძის გადარჩენის დროს. გ.ა-იას მიერ დანით ერთხელ უკვე დაჭრილმა ბ.გ-იამ, რაც მას აძლევდა სუბიექტურ და ობიექტურ საფუძველს იმისას, ეფიქრა, რომ გ.ა-იას მიერ მისის იცოცხლის და ჯანმრთელობის ხელყოფის მეორე მცდელობა უფრო შედეგიანი გამოდგებოდა, გ. ა-იასათვის ხელიდან გაგდებული დანიანი ხელი მაშინ ამუქნია, როდესაც გ.ა-ია ისევ შეეცა-

და მის ხელყოფას, ანუ მისთვის თავში ბოთლის ჩარტყმად, როდესაც გ. ა-ია ისევ შეეცადა მის ხელყოფას, ანუ მისთვის თავში ბოთლის ჩარტყმას, ხელყოფა აქაც მართლსაწინააღმდეგო, რეალური და იმნუთიერი იყო. აღნიშნული გვაძლევს საფუძველს, გავაკეთოთ დასკვნა იმის თაობაზე, რომ ბ.გ-ია მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, მისი მართლზომიერების პირობების სრული დაცვით და რაც შეეხება დაცვის ფარგლების გადამეტებას, აქ ასეთს ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან თავდასხმის ხასიათი და საშიშროება, ამკარად იძლეოდა თავდამცველის მხრიდან ისეთი ინტენსივობის ძალის გამოყენების საფუძველს, როგორც მან გამოიყენა. აღნიშნულ შემთხვევაში არ იკვეთება მკვლევლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ვინაიდან, ადგილი არ ჰქონია „მომგერიებლის მიერ თავდაცვის ამკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან“, რასაც კანონმდებელი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების სავალდებულო პირობად დებს. ამდენად, ბ.გ-იას მიმართ უნდა დამდგარიყო გამამართლებელი განაჩენი, ვინაიდან, აუცილებელი მოგერიების ფარგლები დარღვეული არ ყოფილა. ასეთ შემთხვევაში, ხელმყოფისათვის მიყენებული ზიანი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად აუცილებელი იყო.

ვეთანხმებით ა. კვაშილავას მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შემთხვევაში უნდა იყოს პირდაპირი დანაშაულებრივი მიზეზობრივი კავშირი აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებული ქმედებასა და სსკ კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული შედეგს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არ იქნება სწორი.³²³

³²³ ა. კვაშილავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ, 2009, გვ. 109

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვარწმუნებს, რომ სასამართლოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ არა თუ აუცილებელი მოგერიების ვითარებას, არამედ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილ მკვლევლობას, რაც ზოგჯერ იწვევს უსამართლო და დაუსაბუთებელი განაჩენის გამოტანას. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ა-სა და ბ-ს შორის კამათი, ჩხუბში გადაიზარდა ა-მ წააქცია ბ, წაქცეულს ზემოდან მოექცა და ცემს, ბ ვერ იცილებდა ა-ს და ამის გამო ფეხზე წამოდგომას ვერ ახერხებდა, რადგან ა მასზე გაცილებთ ძლიერი იყო. ასეთ პირობებში ბ-მ დანით დაჭრა თავდასხმელი, რომელიც შემდგომ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სასამართლომ აღნიშნული ქმედება დააკვალიფიცირა 113-ე მუხლით, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილ მკვლევლობად. სწორია თუ არა სასამართლოს გადანყვეტილება.

აგებს თუა რა, პასუხს ბესო სსკ-ის 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, მკვლევლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით.

კაზუსის ამოხსნა.

ჰიპოთეზა: შესაძლებელია ბ-მ ჩადინა სსკ-ის 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადამეტებით ჩადენილი მკვლევობა.

1. ქმედების შემადგენლობა

ა) ობიექტური შემადგენლობა

ქმედება

ა-მ წააქცია ბ, წაქცეულს ზემოდან მოექცა და ცემს, ბ ვერ იცილებდა ა-ს და ამის გამო ფეხზე წამოდგომას ვერ

ახერხებდა, რადგან ა მასზე გაცილებთ ძლიერი იყო. ასეთ პირობებში ბ-მ დანით დაჭრა თავდასხმელი.

შედეგი

113-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგი დამდგარია. ა გარდაიცვალა.

მიზეზობრივი კავშირი

ბ-ს ქმედება მიზეზობრივ კავშირშია ა-ს სიკვდილთან. ვინაიდან, მის მიერ განხორციელებული ქმედების დანით დაჭრის გარეშე ის არ გარდაიცვლებოდა.

ობიექტური შერაცხვა

ობიექტური შერაცხვაც აშკარაა, ვინაიდან, ბ-მ დანით დაჭრის შექმნა სამართლებრივად რელევანტური საფრთხე, რომლის რეალიზებაც კონკრეტულ შედეგში მოხდა.

ბ) სუბიექტური შემადგენლობა

სუბიექტური თვალსაზრისით განზრახვა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს კვალიფიკაციის დროს. ქმედება ეს არის ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და ნებელობა. ეს იმას ნიშნავს რომ პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ სჩადის ქმედების შემადგენლობის ობიექტურ ნიშნებს და სურს შედეგი. ბ მოცემულ შემთხვევაში მოქმედებდა პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით. ვინაიდან, ის ითვალისწინებდა ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა კიდევ ა-ს თავდასხმის მოგერიება. მან იცოდა, რომ დანით მიყენებულ ჭრილობის შედეგად შეიძლებოდა საფრთხე შეექმნა ა-ს სიცოცხლისათვის და დამდგარიყო სასიკვდილო შედეგი.

2.მართლწინააღმდეგობა

ბესოს ქმედება შესაძლებელია გამართლეს აუცილებელი მოგერიებით (სსკ მუხლი 28)

ა) გამართლეს ობიექტური ნიშნები:

-აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა

ქმედების გამართლებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოცემული იყოს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა. კერძოდ, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და იმნუთიერი.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა: ხელყოფის დეფინიციის ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი პირის უფლება მოიგერიოს ხელყოფა, თუმცა თავდასხმისა და თავდაცვას შორის არ უნდა იყოს აშკარად შეუსაბამობა. თუ თავდასხმის მოგერიება, ან საფრთხის შემცირება სხვადასხვა ალტერნატიული გზით არის შესაძლებელი, მაშინ მომგერიებელმა მისთვის საიმედო ყველაზე ნაკლებად საშიში საშუალება უნდა გამოიყენოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება, რაც გამორიცხავს პირის გამართლებას. მოცემულ კაზუსში არ ჩანს, რომ ბ-ს ჰქონდა თავდაცვის სხვა საშუალება, გარდა ცივი იარაღის გამოყენებისა, რათა საფრთხე თავიდან აეცილებინა. თავდასხმის ინტენსივობა ისეთი ძლიერი იყო, რომ ბ-ს არ ჰქონდა სხვა საშუალება ა-ს მოგერიებისა და მას არაფერი გადაუჭარბებია, აუცილებელი მოგერიების ფარგლებისთვის არ გადაუცილებია.

ბ) აუცილებელი მოგერიების სუბიექტური მხარე

აღნიშნულ ეტაპზე უნდა დადგინეს აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტების არსებობა, კერძოდ, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დამაფუძნებელი გარემოებების ცოდნა და შესაბამისად, პირის მხრიდან თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი. შემონმებული უნდა იქნას ის გარემოება, იცოდა თუ არა ბ-მ ის, რომ იგერიებდა მართლსაწინააღმდეგო, იმნუთიერ

რეალურ თავდასხმას და ჰქონდა თუ არა თავდაცვის სურვილი (მოტივი).

აღნიშნულ შემთხვევაში, მოცემულია აუცილებელი მოგერიების ორივე კომპონენტი, კერძოდ, ბ-ს გაცნობიერებული ჰქონდა სხვისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და ამოძრავებდა თავდაცვის სურვილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვასკენით, რომ ბ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რაც მისი მხრიდან მართლწინააღმდეგო ქმედების ჩადენას გამორიცხავს.

დასკვნა

ბ-ს არ ჩაუდენია სსკ-ის 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით. ვინაიდან, ის მოქმედებდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების აუცილებელი მოგერიების ფარგლებში.

10.3 დამნაშავის შეპყრობა, მართლზომიერების პირობები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლის მიხედვით. მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად; დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან.

დამნაშავის შეპყრობა განსხვავდება დაკავებისაგან (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლი), რომელიც წარმოადგენს საპროცესო-სამართლებრივ

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას, რის გამოც ეს უკანასკნელი დარეგულირებულია არა მატერიალურ სისხლის სამართლის კანონში, არამედ საპროცესო კოდექსში. დაკავების უფლება აქვს საჯარო სამსახურში მყოფ მოხელეს, რომელიც წარმოადგენს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამოძიებას ან ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლი).

დაკავებისაგან განსხვავებით, დამნაშავის შეპყრობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ პირს. არ არის აუცილებელი, რომ დამნაშავე შეიპყროს მაინც და მაინც იმ ფიზიკურმა პირმა, რომლის სამართლებრივ სიკეთესაც მიაღვა ზიანი ან შეექმნა საფრთხე. დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერება დაკავშირებულია დანაშაულებრივი ქმედების ცხელ კვალზე გახსნის მიზნით ჩასატარებელი ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებასთან და არა დანაშაულის სიმძიმესთან.

სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ როდის არის დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერი, როცა მის მიერ ნამდვილად ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედება, თუ საკამრისია დასაბუთებული ვარაუდი, რომელიც დაკავების ნაიდაგზე გადაუდებელი მოქმედების შესრულებას მოითხოვს.³²⁴

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა მოქალაქეები შეიპყრობენ მოჩვენებით დამნაშავეებს, პირებს (მიაყენებენ მათ ვნებას), რომლებსაც შეცდომით მიიჩნევენ დამნაშავეებად და აყენებენ გარკვეულ ზიანს. ასეთ შემთხ-

³²⁴ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 200

ვევაში დაკავებით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება შეცდომის შესახებ არსებული ნებსების მიხედვით. მოჩვენებითი დამნაშავის შემპყრობელი არ დაისჯება მიყენებული ზიანისათვის, თუ შეცდომა იყო მისატყვებელი. თუ შეცდომა მიუტყვებელი იყო, იგი დაისჯება გაუფრთხილებლობისათვის, თუკი ასეთი ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსით.³²⁵

დამნაშავის მართლზომიერი შეპყრობის დროს ნება დართულია მისი თავისუფლების აღკვეთა, იძულება, ჯანმრთელობის დაზიანებები, რომლებიც ადამიანში არ ტოვებს ნარეულ დაზიანებებს.

პრობლემურია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია პირს, ზუსტად განსაზღვროს, რომ შეიპყრო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირი.

არსებობს პოზიცია, რომლის მიხედვითაც სსკ-ის 29-ე მუხლის საფუძველზე პირის გამართლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირი დამნაშავედ არის ცნობილი კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით, რაც ასევე სუბიექტურად იცის პირმა, რომელმაც დამნაშავე შეიპყრო. სხვა შემთხვევაში, როცა საზოგადოებრივად საშიში ქმედების აღკვეთა ხდება, პირი შეიძლება გამართლდეს სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე.³²⁶

ეს პოზიცია – „დამნაშავის“ მისი ნამდვილი პროცესუალურ – სამართლებრივი მნიშვნელობით გაგების შესახებ, არ არის სწორი. ვინაიდან საკითხი წყდება შემპყრობი ბრალდებულის სასარგებლოდ, სიტყვა „დამნაშავე“ აქ უნდა

³²⁵ თ.დონჯაშვილი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.298

³²⁶ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 200

გავიგოთ ფართო გაგებით (ექსტენსიურად). პირის შეპყრობა მართლზომიერია იმ შემთხვევაში, როცა ეს მოქმედება ხდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტზე.

საპროცესო დაკავების საფუძველი განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლით და უფრო ფართოა, ვიდრე მატერიალური სამართლებრივი დამანაშავის შეპყრობის საფუძველი. დამკავებელი მოხელისგან განსხვავებით, დამანაშავის შეიპყრობის საფუძველი დროს ჩვეულებრივ ფიზიკურ პირს უფლება აქვს, პირი დააკავოს მხოლოდ ერთი საფუძველით, კერძოდ, ცხელ კვალზე, თუ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე. მისი მართლზომიერების პირობები შემდეგში გამოიხატება.

1. ის შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი დასჯადი ქმედების მიმართ, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, მათ შორის, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ეტაპზე. ამ შემთხვევაში საკმარისია, თუ არსებობს საკმაო საფუძველი ბრალდებულისათვის, რომ პირმა ჩაიდინა ასეთი დანაშაული;

2. ის უნდა განხორციელდეს პირის დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთით, გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან აცილების მიზნით;

3. დამანაშავის შესაპყრობად გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი საშუალება, რომელიც არ წარმოადგენს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაცილებას;

4. უნდა არსებობდეს გამართლების სუბიექტური ელემენტი, რაც მდგომარეობს შეპყრობის გარემოებების ცოდნასა და ამ მიზნით თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის სურვილში.³²⁷

³²⁷ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 202

მაშასადამე, თუ პირი მოქმედებს მისი წარმოდგენით დამნაშავის შეპყრობის მიზნით, მაგრამ სინამდვილეში იგი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ვითარების არსებობის თაობაზე ცდება, მის მიერ განხორციელებული დაკავება იქნება მართლსაწინააღმდეგო. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა განიხილება ბრალის ეტაპზე. თუ დაშვებული შეცდომა არ არის მისატყვებელი, მიყენებული ზიანის მიხედვით, იგი დაისჯება გაუფრთხილებლობისათვის, თუ წინდახედულობის ნორმის დარღვევით გამოწვეული ასეთი გაუფრთხილებლობითი ზიანის მიყენება წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას.³²⁸

დამნაშავის მოკვლა მისი დაკავების დროს შესაძლებელია გამართლებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი დამნაშავის თავისუფლად ყოფნა ქმნის განსაკუთრებით ძვირფასი ობიექტის ხელყოფის რეალურ საფრთხეს (მაგალითად, დივერსანტის მოკვლა მისი დაკავებისას, როცა იგი აპირებდა სამხედრო ობიექტის აფეთქებას). არსებითად ასეთი შემთხვევა განხილული უნდა იქნას როგორც აუცილებელი მოგერიება და არა დამნაშავის დაკავება.³²⁹ მხარდაჭერას იმსახურებს ო. გამყრელიძის პოზიცია, მოკვლას აუცილებელი მოგერიების დროსაც კი მეტად კრიტიკულად ვუდგებით და ამიტომ დამნაშავის შეპყრობისას ასეთ მძიმე ზიანს ვერ დავეთანხმებით. საკითხის ასეთი გადაწყვეტა თვითონ დამნაშავის შეპყრობის ინსტიტუტს ეწინააღმდეგება.³³⁰

³²⁸ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 202

³²⁹ თ.დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 295

³³⁰ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013, გვ. 229

10.4 უკიდურესი აუცილებლობა, ცნება და შინაარსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის მიხედვით: მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი ვინც სხვას დააზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადაარჩენილი სიკეთე.

უკიდურესი აუცილებლობის დროს სახეზე გვაქვს სამართლებრივ სიკეთეთა და ინტერესთა ურთიერთშეედარება.

უკიდურესი აუცილებლობის ნიშნებია: **უკიდურესი მდგომარეობა, უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება, ინტერესთა ურთიერთშეჯერება და სუბიექტური ნება.**

უკიდურესი აუცილებლობა ორი სახისაა:

1. დეფენზიური, ანუ თავდაცვითი;

2. აგრესიული, ანუ თავდასხმითი.

რა მნიშვნელობა აქვს ამ დაყოფას?

დეფენზიური (ანუ თავდაცვითი) უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში პირი ზიანს აყენებს არა მესამე ძალას, არამედ თვით საფრთხის წყაროს (ხელმყოფს) და ამ დროს პირს სამოქალაქო სამართლებრივი წესით ზიანის ანაზღაურება არ ეკისრება.

მაგალითები:

მეზობელი წავიდა აგარაკზე და წყალი მოშვებული დარჩა. ქვედა სართულზე მცხოვრებს უფლება აქვს კარი შეუმტვრიოს, თუ მას უფრო ნაკლები ზიანის მიყენებით არ შეუძლია საფრთხის თავიდან აცილება. ამასთან, მის

მიერ მიყენებული ზიანი ნაკლები უნდა იყოს გადარჩენილ-ზე. ა-ს თავს დაესხა მეზობლის ხარი და უპირებს რქე-ბზე წამოიგოს. ა-მ ხარი მოკლა. ამისათვის მომგერიებელი სამოქალაქო წესით პასუხს არ აგებს, თუ მან თვითონ არ შეუწყო ხელი ამ მდგომარეობის წარმოქმნას მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაუდევარი დამოკიდებულებით.³³¹

აგრესიულ, ანუ თავდასხმითი უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი პასუხს აგებს სამოქალაქო წესით. ამ მდგომარეობაში პირი ზიანს აყენებს არა ხელმყოფს, არამედ მესამე ძალას, რომელსაც არავითარი წვლილი არ შეუტანია შექმნილი საფრთხის წარმოშობაში.

მაგალითები:

ა-ს ძალიან ძლიერმა წვიმამ მოუსწრო გზაში. სტიქია იმდენად მძვინვარებდა, რომ ა ძლივს გადაადგილდებოდა. ამასთან აშკარა გახდა წყალდიდობის საფრთხეც. ა-მ სხვა საშველი ვერაფერი ვერ ნახა, გარდა იმისა, რომ შორიანლო მდგარი სახლის, რომელიშიც იმ დროს არავინ იმყოფებოდა, მეორე სართულის კარები შეემტვრია და შესულიყო, სანამ უამინდობა გადაივლიდა.

სახეზეა აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა. ა ვალდებულია სამოქალაქო წესით აანაზღაუროს სახლის მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანი.

ა-ს საცხოვრებელ სახლს ცეცხლი წაეკიდა. მის გადასარჩენად ა იძულებული გახდა მეზობლის ფარდული დაე-ნგრია, რომ სახანძრო მანქანას შეძლებოდა დაუბრკოლებლად მისვლა ცეცხლმოკიდებულ სახლთან. შესაბამისად ა-მ ნაკლებმნიშვნელოვანი ქონება ფარდულის სახით დაა-ზიანა (გაანადგურა), უფრო მეტი სიკეთის საცხოვრებელი სახლის გადასარჩენად. ა პასუხს აგებს სამოქალაქო წესით.

³³¹ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 198

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი პასუხს აგებს მხოლოდ სამოქალაქო წესით, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.

ამრიგად, როგორც დეფენზიური (თავდაცვითი) უკიდურესი აუცილებლობა, ასევე აგრესიული (თავდასხმითი) უკიდურესი აუცილებლობა გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას და არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მხოლოდ აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი პასუხს აგებს სამოქალაქო წესით ქონებრივი ზიანისათვის.

უკიდურესი აუცილებლობის დროს სამართლებრივი სიკეთე იმყოფება იმწუთიერ საფრთხეში.

უკიდურესი აუცილებლობის დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, პატივი, ღირსება, საკუთრება და სხვა ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე.

უკიდურესი აუცილებლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე. პირის მოქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით მხოლოდ მაშინ შეიძლება გამართლდეს, როცა დაცულია სამართლებრივ სიკეთეთა რანგირების პრინციპი: ყველაზე უფრო დიდ სიკეთედ ითვლება ადამიანის სიცოცხლე, ამიტომ, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით. უკიდურესი აუცილებლობით გამართლების საფუძველი არ შეიძლება იყოს ერთი ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა ბევრი ადამიანის გადარჩენის მიზნით. ამასთან დაკავშირებით თინათინ წერეთელი გამოხატავს არასწორ პოზიციას, როცა იგი

წერს: „სხვა ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა შეიძლება ჩაითვალოს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი იყო მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.³³² მ. ტურავა კი თვლის, რომ გარკვეული პირობების არსებობისას, შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოების არსებობაზე (მუხლი 38) ასეთ ვითარებაში.

უკიდურესი აუცილებლობის დროს ჯანმრთელობა და თავისუფლება უფრო მაღალი რანგის სამართლებრივი სიკეთეებია, ვიდრე ქონება. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სხვა მაგალითიც დავასახელოთ. თუ შენობაში ხანძრის ჩაქრობის დროს მეხანძრე ადამიანებს წყლით დაასველებს, თუნდაც იგი ფიქრობდეს იმის შესახებ, რომ ისინი ამ მოქმედებით შეიძლება გაცივდნენ და ავად გახდნენ, გარკვეული პირობების არსებობის ან არარსებობისას, მისი მოქმედება იქნება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით გამართლებული, თუმცა დაზიანებული სამართლებრივი სიკეთე ფორმალურად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გადარჩენილი ქონება.³³³

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას აქვს ჩარჩოები. ამა თუ იმ მოქმედების შედეგად შეიძლება გადარჩენილი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე დაზიანებული, მაგრამ თუ მოქმედებით მოხდა პიროვნების თავისუფლების ხელშეუხებლობის სფეროების ხელყოფა, ეს მოქმედება არ შეიძლება გამართლებული იქნეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით.

³³² თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე-სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ.112

³³³ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ 199

მაგალითად, არ შეიძლება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობად ჩაითვალოს სისხლის იძულებითი აღება ავტოვარიის შედეგად მიძიმედ დაზიანებული უცნობი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. იგივე მოქმედება, თუ ის ჩადენილია იმ პირის მიმართ, ვისაც აქვს დაზიანებულის მიმართ სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, შეიძლება ჩაითვალოს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობად, თუ დაცულია ქმედების მართლზომიერების სხვა პირობები, მაგალითად მამისაგან შვილის გადასარჩენად სისხლის იძულებითი აღება მისი ნების საწინააღმდეგოდ.

უკიდურესი აუცილებლობა მხოლოდ მაშინ გვაქვს სახეზე, როცა ობიექტური მოქმედება სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის სუბიექტური ნებით არის დეტერმინირებული.³³⁴

10.5 მართლზომიერი რისკი, მართლზომიერი რისკის ცნება და შინაარსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლის მიხედვით: მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. რისკი გამართლებულია, თუ ეს მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

რისკი კანონიერად ჩაითვლება თუკი ის მიზანი, რომელსაც ითვალისწინებდა რისკის გამწვევი, იყო საზოგა-

³³⁴ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თ.ბ, 2013, გვ. 200

დოებრივად სასარგებლო და იგი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო სხვა უფრო არასარისკო, ე.ი. უფრო საიმედო გზით. რისკის დროს განხორციელებული მოქმედებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ცოდნით, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასასურველი შედეგის დადგომა.³³⁵

მაგალითად, ქარხნის აფეთქება გარდაუვალია. არის ორი ღილაკი: ერთის დაჭერისას იგი თავიდან იქნება აცილებული, გადარჩება, მეორეზე დაჭერისას - აფეთქდება. ავთომ გასწია რისკი და ერთ-ერთ ღილაკს დააჭირა, რის შედეგადაც, შენობა აფეთქდა. მიუხედავად ამისა, რისკი გამართლებული იქნება, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ არსებობდა. მართლწინააღმდეგობა გამორიცხულია.³³⁶

სუბიექტური თვალსაზრისით რისკის გამწვავება უნდა იცოდეს, წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს, რომ თავისი მოქმედებით რაიმე სიკეთის დაზიანების საფრთხეს ქმნის. მაგალითად, მძიმე ქირურგიული ოპერაცია პაციენტის სიცოცხლეს საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს, მაგრამ თუ სხვა გამოსავალი არ არის ასეთი ოპერაციის რისკი გამართლებულია. პაციენტის სიკვდილის შემთხვევაში ქირურგი პასუხს არ აგებს, თუ ოპერაციის ჩატარების დროს მას უპატივებელი შეცდომა არ მოსვლია.³³⁷

კანონმდებელი იყენებს ტერმინს - გამართლებული რისკი. არსებობს აგრეთვე საპატივებელი რისკი, რომელიც ბრალს გამორიცხავს.

იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილი მაგალითის

³³⁵ თ.დონჯაშილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2002, გვ. 318

³³⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 202

³³⁷ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013, გვ. 235

მიხედვით სადაც, ბაბუამ შვილიშვილი ავტომანქანიდან გადააგდო ბავშვის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით ისეთ ვითარებაში, როცა მანქანა ხრამში იჩეხებოდა. სინამდვილეში მანქანა არ გადაიჩეხა, ბავშვმა კი გადაგდების შედეგად ქვას დაარტყა თავი და მოკვდა. მიუხედავად მძიმე შედეგისა, ბაბუა შეიძლება არ დაისაჯოს, თუ **იგი იმყოფებოდა საპატიებელი (მისატყვებელი)** რისკის მდგომარეობაში, ამ შემთხვევაში სახეზე გვექნება არა მართლზომიერი რისკი, არამედ ბრალის **გამომრიცხველი რისკი**, რაც 38-ე მუხლის ფარგლებში მოიაზრება.

რისკი გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა მოქმედი საფრთხეში აგდებს რაიმე სიკეთეს მისი გადარჩენის მიზნით. სწორედ ამით განსხვავდება მართლზომიერი რისკი მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობისაგან.

აქედან ის აზრი გამომდინარეობს, რომ სარისკო მოქმედება წინასწარ უნდა იქნეს მომზადებული და მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომა სასარგებლო შედეგის მისაღწევად.

მართლზომიერი რისკის განწევსას, გასარისკი სამართლებრივი სიკეთის შეფასების გადაულახავ სამართლებრივ ზღვრად მიჩნეულია ადამიანის სიცოცხლე, როგორც უზენაესი ღირებულება. ეს საკითხი უკიდურესი აუცილებლობის დროსაც წამოიჭრება და იქივე ხდება მისი უარყოფა, რადგან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა, ვერასდროს გაამართლებს ერთი პირის სიცოცხლის გადარჩენას მეორე პირის სიცოცხლის განირვის ხარჯზე. აღიშნული მხოლოდ ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში (სსკ 38-ე მუხლი) თუ იქნება გამართლებული.³³⁸

ანალოგიური ვითარება იქნება მართლზომიერი რის-
³³⁸ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.374

კის საკითხის გადანყვევებისას, რაც გულისხმობს იმას, რომ: „ადამიანის სიცოცხლე ყველა სიკეთეზე მაღლა დგას და ამიტომ, რისკი არ შეიძლება გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, როცა რაიმე სიკეთის გადარჩენის მიზნით საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს და ილუპება ის.“³³⁹ ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლის გარისკვა ნებისმიერი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის ფასად ვერ ჩაითვლება გამართლებულად საქართველოს სსკ-ის 31-ე მუხლით დადგენილი მართლზომიერი რისკის ფარგლებში.

უკიდურესი აუცილებლობისაგან გამართლებული რისკი იმითაც განსხვავდება, რომ გამართლებული რისკი მიმართულია არა იმის სასარგებლოდ, ვინც რისკს ეწევა, არამედ სხვა ადამიანის ან საზოგადოების სასარგებლოდ.³⁴⁰

10.6 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა მართლზომიერი ქმედების დროს

სისხლის სამართლის თეორიაში არის: „თელეოლოგიური იურისპრუდენციის“ ცნება- კანონს ვკითხულობთ და განვმარტავთ არა ცნებათა იურისპრუდენციით, არამედ კანონმდებლის ისტორიული ნებიდან და კანონის ობიექტური არსიდან გამომდინარე. მოსამართლე არ არის მოლაპარაკე კოდექსი. ახალი კოდექსის 32-ე მუხლმა, ისევე როგორც 38-ე მუხლმა, გზა გაუხსნა სამოსამართლეო სამართალშემოქმედებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრციხველ გარემოებებთან დაკავშირებით პიროვნების

³³⁹ ო.გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013., 315

³⁴⁰ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 236

სასარგებლოდ გამოიყენება ანალოგია. 32-ე მუხლიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ქმედებას ჩაიდენს ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც ამ კოდექსში სახლდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ქმედების მართლზომიერების პირობებს.³⁴¹

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებებია: **დაზარალებულის თანხმობა, დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა, მოვალეობათა კოლიზია** და ა.შ. ეს სია ამ გარემოებებით არ ამოიწურება.

დაზარალებულის თანხმობა გვექნება მაშინ, მაგალითად, როდესაც ამ სთხოვა თავის მეზობელს დაენგრია მისი სახლი ბულდოზერით. მიზეზად კი მოიყვანა სურვილი ამ ადგილზე ახალი სახლი აეშენებინა. მეზობელმა მართლაც დაანგრია ა-ს სახლი, რის შემდეგაც ა-მ მას უჩივლა ქონების განზრახ განადგურებისათვის. დაზარალებულის თანხმობისას ქმედების გამართლებისათვის უნდა არსებობდეს გარკვეული პირობები: დაცული სამართლებრივი სიკეთის არსებობა (ა-ს საცხოვრებელი სახლი); განკარგვის უფლებამოსილება და განმცხადებლის თანხმობაუნარიანობა (ა როგორც სახლის მფლობელი შერაცხადი პირი და მისგან გაცხადებული თანხმობა სახლის დანგრევაზე); თანხმობის გაცხადების ნების მნიშვნელოვანი მანკიერებების არარსებობა (ა-მ თხოვნას დაურთო ლეგიტიმური ახსნა ახალი სახლის აშენების სურვილი); ქმედების განხორციელებამდე თანხმობის პირდაპირი გაცხადება ან გამოხატვა (ა-მ თანხმობა პირდაპირ განუცხადა მეზობელს); ამსრულებლის მიერ გაცნობიერებული თანხმობის საფუძველზე მოქმედება (მეზობელი სანამ დაანგრევდა ა-ს სახლს

³⁴¹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თ.ბ, 2013, გვ. 204

ანუ მოქმედების დაწყებამდე დარცმუნეული იყო მისი თანხმობის არსებობაში).³⁴²

დაზარალებულის თანხმობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი დაუნერელი გარემოებაა. იგი ეფუძნება თვალსაზრისს “*volenti non fitiniuria*”, მისი აუცილებელი პირობაა, რომ თანხმობის მიმცემი თვით უნდა იყოს დასაზიანებელი სამართლებრივი სიკეთის მატარებელი. მაგალითად, სსკ 370-ე მუხლი ითვალისწინებს ცრუ ჩვენების მიცემის დასჯადობას. განსასჯელთან, რომლის საზიანოდაც იქნა ცრუ ჩვენება მიცემული, თანხმობა ცრუ ჩვენების მიცემაზე არ შეიძლება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება იყოს, ვინაიდან ამ დანაშაულის დაცვის ობიექტია არა ინდივიდუალური სამართლებრივი, არამედ საყოველთაო სამართლებრივი სიკეთე-მართლმსაჯულების ინტერესები.³⁴³

ნებისმიერი ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე არ არის საკმარისი ამ სამართლებრივი სიკეთის მატარებლის თანხმობა, რომ მისი მოქმედება ჩაითვალოს მართლზომიერად. პირს მეორე პირის მიერ საკუთარი სიცოცხლის მოსასპობად მიცემული თანხმობა არ აძლევს უფლებას, სიცოცხლე მოუსპოს მას.

ასეთი თანხმობა არ ამართლებს პირს, არამედ დასჯადია განზრახი მკვლელობის მუხლით. ეს დებულება, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს თვით კანონიდან.

სსკ-ის 110-ე მუხლი მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის ზოგიერთ შემთხვევას აცხადებს არა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ, არამედ მის შემამსუბუქებელ გარემოებად. პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს არა მარტო მკვ-

³⁴² სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.377

³⁴³ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2016, გვ. 205

ლელობა, არამედ სხეულის დაზიანებაც დაზარალებულის თანხმობით. ცხადია, აქ არ იგულისხმება დაზარალებულის თანხმობით სხეულის დაზიანება, თუ ის ქირურგიული ოპერაციის მიზნით ხდება.³⁴⁴

დაზარალებულის თანხმობის აუცილებელი პირობაა, რომ თანხმობა მიღებული იყოს ქმედების ჩადენამდე. ამასთან, თანხმობა უნდა იყოს ნამდვილად მიღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს უნდა ჰქონდეს.

ა) ნების გამოვლენის უნარი;

ბ) ნების გამოვლენის თავისუფლება.³⁴⁵

დაზარალებულის თანხმობა უნდა გვექონდეს სხვადასხვა სამედიცინო მოქმედებების დროს. დაზარალებულის თანხმობით სხეულის დაზიანება მართლსაწინააღმდეგოა იმ შემთხვევაში, როცა ეს ქმედება ეწინააღმდეგება ჯანსაღ ზნე-ჩვეულებებს. მართლზომიერია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელებისათვის სასარგებლო ნებისმიერი ოპერაცია პაციენტის თანხმობით, რომელიც ხდება ქცევის აღიარებული ნორმების საფუძველზე. მართლსაწინააღმდეგოა ისეთი სამედიცინო ექსპერიმენტი, თუნდაც პაციენტის თანხმობით, რომელიც ეწინააღმდეგება ქცევის აღიარებულ ნორმებს და გამოხატავს პიროვნებისადმი არაადამიანურ მოპყრობას: აკრძალული სამედიცინო ექსპერიმენტები, სადისტური მოქმედებები.

დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა მაშინ შეიძლება გვექონდეს, როცა მართალია, დაზარალებულს არ გამოუხატავს თავისი ნება, რადგან ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ არსებობს იმის დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი თანხმო-

³⁴⁴ ო.გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013, გვ.317

³⁴⁵ მ.ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, თბ., 2010, გვ.214

ბას გამოთქვამდა, რომ ამის შესაძლებლობა ჰქონოდა. მაგალითად, საავადმყოფოში მიიყვანეს ავტოავარიის შედეგად დაზიანებული პაციენტი, რომელსაც სჭირდება გადუადებული სამედიცინო დახმარება. მას გონება დაკარგული აქვს, რის გამოც არა აქვს ნების გამოვლენის შესაძლებლობა. პაციენტის მიმართ ჩატარებული ოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი ნება არ გამოუხატავს, იქნება მართლზომიერი, თუ დაცული იქნება ოპერაციის ჩატარების მართლზომიერების პირობები. ზემოთმოყვანილი მაგალითის მსგავსი შემთხვევების გადანყვეტისას, მიმართულების მაჩვენებელი ის გარემოებაა, რომ სავარაუდო თანხმობის გამამართლებელი ძალის საფუძველი, ობიექტურ კრიტერიუმებზე ორიენტირებული ფასეულობითა და ინტერესთა შეფასების ნაცვლად, ქმედების ჩადენის მომენტში, სამართლებრივი სიკეთის მფლობელის სავარაუდოდ არსებული, ნამდვილი ნების მოსალოდნელობა.³⁴⁶

მოვალეობათა კოლიზია, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება, აღიარებულია არამარტო ქართულ, არამედ გერმანული სისხლის სამართალშიც. ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს ორი მოვალეობა, რომელთა ერთდროულად შესრულება შეუძლებელია. ამ დროს ადამიანი ასრულებს ერთ მოვალეობას და მეორის შესრულებას ვეღარ ასწრებს, რაც ზიანს იწვევს.³⁴⁷ მაგალითად: მეტი სიცხადისათვის, კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ მოვალეობათა კოლიზიის დროს, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობა დაფუძნებულია პრინციპზე, რომ სამართალი ვერასდროს

³⁴⁶ ი. ველესი, ვ.ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., 2010, გვ.209

³⁴⁷ ო.გამყრელიძე., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013, გვ.318

დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ იმ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხს, რომელსაც არჩევანი არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ კანონმორჩილი ყოფილიყო ერთი მოვალეობს შესრულების კუთხით მეორე მოვალეობის დარღვევის ხარჯზე.

მაგალითად, ექიმი ერთდროულად გამოიძახეს ორ მძიმე ავადმყოფთან სხვადასხვა სოფელში. მას შესაძლებლობა ჰქონდა მხოლოდ ერთს დახმარებოდა, ერთი გადაარჩინა, მეორე კი დაიღუპა. ექიმის მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან იგი იმყოფებოდა მოვალეობათა კოლიზიის მდგომარეობაში. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ პაციენტზე შეაჩერა ყურადღება ექიმმა ბავშვზე თუ მოხუცზე, პროფესორზე თუ მუშაზე (მოვალეობათა კოლიზია). ექიმის ქმედება მხოლოდ მაშინ იქნება მართლსაწინააღმდეგო, თუ მან შეგნებულად დახმარება აღმოუჩინა პაციენტს, რომლის ავადმყოფობის სიმპტომებიც არ იყო საგანგაშო იმ პაციენტთან შედარებით, რომელიც გადაუდებელ დახმარებას საჭიროებდა.

იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე სადავოა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, როდესაც ორი მოვალეობა: გარანტის მოვალეობა და სოლიდარული მოვალეობა ერთდროულად წარმოეშობა ადამიანს. მაგალითად, როცა საფრთხე ემუქრება მის დაცვის ქვეშ მყოფსა და სრულად უცხო ადამიანს, მოვალეობათა კოლიზია საერთოდ არ იქნება სახეზე, ვინაიდან, გარანტის მოვალეობა, როგორც ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი აღნიშნავს იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე სოლიდარული. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მ.ტურავას პოზიცია, როცა გარანტი გადაწყვეტს არ შეასრულოს გარანტის ფუნქცია (მაგ-

ალითად, არ გადაურჩინოს სიცოცხლე განსაცდელში მყოფ მეუღლეს და ამის სანაცვლოდ შეასრულოს თავისი ე.წ. სოლიდარული მოვალეობა- სიცოცხლე გადაურჩინოს უცნობს, რომელიც იხრჩობა, იგი თვლის, რომ მოვალეობათა ასეთი კოლიზიის დროს, უპირველეს ყოვლისა უნდა შეასრულოს სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, რომელსაც პრიორიტეტი ენიჭება სოლიდარულ მოვალეობასთან შედარებით.³⁴⁸

არ არის გამორიცხული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონიკურ გარემოებათა ჩამონათვალში ცვლილებები მოხდეს რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად შესაძლებელია ამა თუ იმ გარემოებამ დაკარგოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების სტატუსი. უფრო მეტიც, ასევე შესაძლებელია ეს ნუსხა შეივსოს ახალი დღემდე უცნობი გარემოებებით.

³⁴⁸ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მომხილვა, მე-8 გამოცემა, თბ., 2010, გვ.174

თავი XI – ბრალი, ბრალის გამომრიცხველი და შეამსუბუქებელი გარემოებები

11.1 ბრალის ცნება და შინაარსი, ბრალის თეორიები

ბრალის ცნება და არსი არის საკმაოდ რთული საკითხი, თითქმის ყველა ქვეყანის სისხლის სამართლის თეორიაში არსებობს თავისებური მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში. იმის გამო, რომ ბრალის ერთიანი ცნება და კონცეფცია არ არსებობს მას სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული ადგილი უჭირავს სისხლის სამართლის ინსტიტუტებს შორის, ერთნი მის ფორმებად განზრახვას და გაუფრთხილებლობას მიიჩნევენ, მეორენი საკმაოდ ფრთხილად ეკიდებიან ამ საკითხს და სრულიად განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობენ. ბრალის სოციალური არსი ისაა, რომ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას ვლინდება დამახინჯებული დამოკიდებულება საზოგადოებრივ წესრიგთან და საერთო სამართლებრივ ღირებულებებთან.

სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, არ შეიძლება სასჯელის დაკისრება ინდივიდუალური ბრალის დადგენის გარეშე.

ბრალი არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალური სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, ანუ ბრალი არის გაკიცხვა (და არა პირის ფსიქიური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი). ე.ი ბრალი მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა მოსამართლე დაადგენს პირის ბრალეულობას.

გამოძიებაში ბრალდების წაყენება არის მხოლოდ ვარაუდი, რომ ბრალდებულს მოსამართლე სამართლებრივად გაკიცხავს.³⁴⁹

³⁴⁹ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოშ-

ლაშა-გიორგი კუტალია აღნიშნავს „გასაკიცხაობა ნიშნავს არაშეფასებას, არამედ შეფასებითობას, ხოლო შეფასებას წარმოადგენს გაკიცხვა“³⁵⁰ შესაბამისად, გასაკიცხაობას, როგორც აბსტრაქტულ ცნებას, როგორც შეფასებითობას, შეფასების ობიექტი არ გააჩნია, ხოლო გაკიცხვას, როგორც შეფასებას, აქვს შეფასების საგანი.

ბრალის პრინციპს, კანონიერების პრინციპთან ერთად, აქვს კონსტიტუციური რანგი. იგი გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. სამართლიანობა და ადამიანის ღირსების დაცვა მოითხოვს, რომ პირი მხოლოდ მაშინ დაისაჯოს, როცა არსებობს მისთვის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ინდივიდუალურად შერაცხვის სამართლებრივი საფუძველი. (ბრალის კონსტიტუციურ რანგს საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით აღიარებს ასევე ლაშა-გიორგი კუტალია).³⁵¹

ახალი კოდექსის მიხედვით ბრალი არის შეფასებითი, ნორმატიული კატეგორია (უარყოფილია ბრალის ფსიქოლოგიური თეორია). ამას ადასტურებს ის, რომ ახალი კოდექსის მეცხრე თავი ეძღვნება ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.

სისხლის სამართალში ბრალის ორი ძირითადი თეორია არსებობს: **ფსიქოლოგიური და ნორმატიული.** ასახელებენ ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორიასაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ფსიქოლოგიურისა და ნორმატიული თეორიების მექანიკური ნარევი უფროა, ვიდრე ბრალის დამოუკიდებელი თეორია. ამ თეორიის მიხედვით, ფსიქიკური დამოკიდებულება ნორმატიული ელემენტების (მაგალითად, შერაცხადობა) გვერდით წარმოადგენს ბრალის მიხედ-

ვება, თბ., 2013, გვ.207

³⁵⁰ ლ.-გ. კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, გვ.346

³⁵¹ ლ.-გ. კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, გვ.352

ვით ერთ-ერთი ელემენტს და არა მის მთლიან შინაარს.

ბრალის ამ კომპლექსური თეორიის ერთ-ერთ კრიტიკულ პუნქტს წარმოადგენს ის, რომ იგი შეფასების ობიექტსა და შეფასებას ორივეს ერთობლივად ბრალის ცნების ქვეშ აერთიანებს.

ბრალის ფსიქოლოგიური-თეორიის თანახმად (ბრალი განმარტებულია, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი). ეს თეორია უარყოფილია, რადგან დაუდევრობის დროს ასეთი ფსიქიკური კავშირი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ბრალის ამ თეორიიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბრალი არის ფსიქოლოგიური ცნება, რადგან ქმედებასა და მისი შედეგისადმი „ფსიქიკური დამოკიდებულება“ ფსიქოლოგიური კვლევის ობიექტია. ბრალის ცნება ფსიქოლოგიაში არ არსებობს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე ბრალის ცნება შეუძლებელია, ხოლო მართლწინააღმდეგობის ცნება ფსიქოლოგიური კვლევის ობიექტი არ არის. გარდა ამისა, ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება არსებობს ქმედების მართლზომიერების ვითარებაშიც. მაგალითად, აუცილებელი მოგერიებისას მომგერიებლის ქმედებას თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი წარმართავს. აქედან გამომდინარე, ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება უცვლელად არსებობს, მაგრამ ეს ფსიქიკური დამოკიდებულება არ შეიძლება ბრალად ჩაითვლოს, რადგან მომგერიებლის ქმედება მართლზომიერია.

ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორია, რომელმაც ბრალის ცნებაში შემოიტანა შეფასების მომენტი და ბრალი განსაზღვრა, როგორც პირის გასაკიცხი ფსიქიკური

დამოკიდებულება ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი. განსაკუთრებით ფრანკმა შეძლო პირველად კარგად დაესაბუთებინა, რომ ფსიქოლოგიურ თეორიას არ შეეძლო დოგმატურად დაესაბუთებინა ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა.³⁵²

მაგალითად, თუ პირი რეალური მუქარით აიძულეს, ზიანი მიაყენეს სამართლით დაცულ სიკეთეს (ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას). ასეთ შემთხვევაში სახეზეა მისი ფსიქიკური დამოკიდებულება მოქმედებისა და დამდგარი შედეგებისადმი. პირს სურდა, შეესრულებინა ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედება, რათა გამოსულიყო საფრთხის მდგომარეობიდან, მაგრამ ასეთი შემთხვევა გამორიცხავს ბრალს. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ბრალი არა მარტო ფსიქოლოგიურ, არამედ ასევე შეფასებით, ნორმატიულ ელემენტს უნდა შეიცავდეს, როზენფელს ეკუთვნის სიტყვები: ბრალი არის არა დამნაშავის თავში, არამედ შემფასებელისა, კერძოდ, მოსამართლეების თავებში.³⁵³

ბრალის წმინდა ნორმატიული თეორია, რომელიც ბრალს განმარტავს, როგორც გასაკიცხაობას. ამ თეორიის მიხედვით ბრალი არის წმინდა შეფასებითი წმინდა ნორმატიული კატეგორია, ფსიქოლოგიური ელემენტი, რომელიც ბრალის ფსიქოლოგიური ცნების შინაარსს ამოწურავს, ფინალისტების მიერ გადატანილი იქნა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე. რაც იმას ნიშნავს რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც შეფასების ობიექტები, იქცნენ ქმედების შემადგენლობის ნიშნებად.

ამ თეორიის მიხედვით, როგორც განზრახვა ისე

³⁵² მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ.208-209

³⁵³ j.baumann, At, მე-9 გამოცემა, 1985., გვ.369

გაუფრთხილებლობა არის მოსამართლის მიერ პირის გა-
კიცხვის ერთ-ერთი კრიტერიუმი და არა ბრალის შინაარსის
ამომწურავი კატეგორია. მაშინ როდესაც ფსიქოლოგიური
თეორიით ბრალი არის განზრახვისა და გაუფრთხილე-
ბლობის გვარეობითი ცნება. ამა თუ იმ ქმედების განზრახ
ჩამდენი უფრო მკაცრად იკიცხება, ვიდრე იმავე ქმედების
გაუფრთხილებლობით ჩამდენი. **ე.ი განზრახვის დრო ბრა-
ლის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე გაუფრთხილებლობის
დროს.** ბრალის ხარისხზე კი დამოკიდებულია სასჯელის
სიმკაცრე.

ახალი კოდექსის მე-9 მუხლით, განზრახვა არის სამ-
კომპონენტიანი, ე.ი განზრახვა არის:

1. ცოდნა იმისა, რასაც ვაკეთებთ;

2. სურვილი (ან შედეგის განხორციელების
გარდაუვალობის შეგნება, ან შეგნებულად დაშვება) იმისა,
რომ შედეგი დადგეს;

3. მართლწინააღმდეგობის შეგნება.

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი სქემით, განზრახ-
ვას (ისევე როგორც გაუფრთხილებლობას) აქვს ორმაგი
ხასიათი: ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვა დგ-
ინდება **მხოლოდ პოზიტიურად (ანუ არაბოროტი განზრახვის
სახით)**. ეს იმას ნიშნავს, რომ დგინდება მხოლოდ ფაქტო-
ბრივი გარემოებებისადმი პირის დამოკიდებულება. ასეთი
განზრახვა არსებობს აუცილებელი მოგერიების დროსაც,
ვინაიდან, ამ დროს პირს აქვს **ფაქტობრივი გარემოებების
ცოდნა და სურვილი**. ბრალის ეტაპზე კი დგინდება განზ-
რახვის **მესამე კომპონენტი, ანუ მართლწინააღმდეგობის
შეგნება**.

თუ მართლწინააღმდეგობის შეგნება არ არსებობს (ე.ი
პირმა არ იცის, რომ მისი ქმედება მართლწინააღმდე-

გოა, ანუ კულტურის ნორმებთან შეუსაბამოა), განზრახვა გამოირიცხება, თუ მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა თავიდან აუცილებადი იყო, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მისი თავიდან აცილება შეიძლებოდა, პირი დაისჯება მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა დასჯადია.

ამას უკავშირდება სამართლებრივი შეცდომების საკითხი (36-ე მუხლი)

მაგალითად, პირმა არ იცის ბლანკეტური ნორმების შინაარსი, ვთქვათ, სავალუტო ოპერაციის წესები, მაშინ, ამასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ბრალი გამოირიცხება და შეცდომა მისატყვევებელია. აქ განზრახვა გამორიცხულია. არ შეიძლება ყველა ადამიანს მოსთხოვო ბლანკეტური ნორმის შინაარსის ცოდნა ისევე, როგორც დასაჯო ის შემდეგი პრინციპით: „კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან“.

თუ პირმა არ იცოდა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება დასჯადია, იგი არ დაისჯება მხოლოდ მაშინ, როცა შეცდომა მისატყვევებელი, ანუ თავიდან აუცილებადია.

შეცდომა მისატყვევებელია მხოლოდ მაშინ, როცა იგი თავიდან აუცილებადია. ეს იმას ნიშნავს, რომ პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ დანაშაულს სჩადიოდა.

მისატყვევებელი, ანუ თავიდან აუცილებადია შეცდომა იმ შემთხვევაში, როცა დადგინდება, რომ ინტელექტუალური თუ სხვა ნებისმიერი მონაცემებით დამნაშავის დონის მქონე პირიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შეცდებოდა.

მაგალითად, მოჩვენებითი თავდასხმისას, ა-მ მოკლა ვითომ თავდამსხმელი ბ, რომელსაც მხოლოდ მისი შეშინე-

ბა უნდოდა. აქ არ არის აუცილებელი მოგერიება, არ არის განზრახვა. გაუფრთხილებელი დანაშაული არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვები (უმრავლესობა) არ შეცდებოდნენ ამ ვითარებაში, ხოლო თუ ყველა შეცდებოდა მის ადგილას, მაშინ შეცდომა მისატყვევებელია. ე.ი დანაშაულს საერთოდ არ აქვს ადგილი.

ამრიგად, შეცდომა მისატყვევებელია, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა დანაშაულს. თუ შეცდომა მისატყვევებელი არ არის, მაშინ გვექნება გაუფრთხილებლობა.

11.2. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები: ცნება და სახეები

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამრიცხველ გარემოებათა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ბრალის გამომრიცხველი გარემოებები. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 თავში მოცემულია ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები, ესენია: **1. შეურაცხაობა**, კერძოდ, ასაკის გამო (სსკ-ის 33-ე მუხლი) **2. ფსიქიკური დაავადების გამო** (სსკ-ის 34-ე მუხლი) **3. შეზღუდული შეურაცხადობა** (სსკ-ის 35-ე მუხლი) **4. შეცდომა** (სსკ-ის 36-ე მუხლი), **5. ბრძანების ან განკარგულების შესრულება** (სსკ-ის 37-ე მუხლი), **6. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს** (სსკ-ის 38-ე მუხლი)

ჩამოთვლილი გარემოების ერთი ნაწილი იწვევს პირის განთავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ არა მის გამართლებას, როგორც ეს ხდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოე-

ბების არსებობისას. ბრალის გამომრიცხველი გარემოებების გამო პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ნიშნავს, რომ მას მხოლოდ ეტაპია ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ბრალი არის შეფასებითი, ნორმატიული კატეგორია. ბრალი არის მოსამართლის მიერ ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. ე.ი ბრალი მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა მოსამართლე დაადგენს პირის ბრალეულობას.³⁵⁴

იმისათვის რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალად შეერაცხოს პირს, მას უნდა შესწევდეს უნარი ანგარიში გაუწიოს საკუთარ მოქმედებას და უხელმძღვანელოს მას, ე.ი პირი უნდა იყოს შერაცხადი. თუ პირი მოკლებულია ასეთ უნარს, მისი ბრალი გამომრიცხულია.

ამრიგად, შერაცხადობა არის ბრალის წინამდვარი. შერაცხადობა იურიდიული ტერმინია და ნიშნავს ადამიანის უნარს პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეურაცხადობის დადგენა სასამართლოს კომპეტენციას ეკუთვნის. ამ მიზნით სასამართლო იყენებს სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზის მონაცემებს.

შერაცხადობის ცნება საკანონმდებლო წესით არ არის განსაზღვრული. შერაცხადობა ხასიათდება ორი კრიტერიუმით: იურიდიული (ფსიქოლოგიური) და სამედიცინო (ბიოლოგიური) კრიტერიუმით.

შერაცხადობის იურიდიული (ფსიქოლოგიური) კრიტერიუმი მდგომარეობს პირის უნარში ანგარიში გაუწიოს საკუთარ ქმედებას (ინტელექტუალური მხარე), ე.ი გაიგოს

³⁵⁴ თ.დონჯაშვილი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ.335

მისი ქმედების არა მარტო ფაქტობრივი მხარე, არამედ მისი სოციალური მნიშვნელობაც და იმოქმედოს სხვაგვარად (ნებელობითი მხარე), ე.ი ნებისყოფის მეშვეობით მართოს საკუთარი ქმედება – თავი შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან ან პირიქით შეგნებულად განახორციელოს დასახული მიზნები.

შურაცხადობის სამედიცინო (ბიოლოგიური) კრიტერიუმი განსაზღვრავს პირის სუბიექტურ მდგომარეობას დანაშაულის ჩადენის დროს: პირი უნდა იყოს მიღწეული გარკვეულ ასაკს, მას არ უნდა ჰქონდეს ფსიქიკური დაავადება ან გონებრივი ჩამორჩენილობა.³⁵⁵

განსხვავებით ძველი სისხლის სამართლის კოდექსისაგან, ახალი კოდექსის მიხედვით შეურაცხაობა მოცემულია გვარეობითი ცნების სახით (აღრე იგულისხმებოდა შეურაცხადობა მხოლოდ ფსიქიკური მდგომარეობის გამო).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე, 34-ე მუხლებში მოცემულია შეურაცხაობის ორი სახე-შეურაცხაობა ასაკის გამო და შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო. პირველი დგინდება პოზიტიურ-სამართლებრივად, ხოლო მეორე -სამედიცინო-ფსიქოლოგიური მონაცემების მიხედვით.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ადგენს რა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, რომელიც შეადგენს თოთხმეტ წელს, ხელმძღვანელობს ფსიქოლოგიური კრიტერიუმით.

ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობით პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი განისაზღვრებოდა თექვსმეტი წლით, ხოლო ზოგიერთი კატეგორიის მძიმე დანაშაულისათვის თოთხმეტი წლით.

³⁵⁵ თ.დონჯაშვილი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ, 2007, გვ.336
434

საქართველოს სსკ-ის 33-ე მუხლის თანახმად, თოთხმეტი წლის ასაკამდე პირს არ შეიძლება ბრალად შეერთდეს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ე.ი ფიზიკური პირი თოთხმეტი წლის ასაკამდე არის შეურაცხი ასაკის გამო. მას არ შესწევს უნარი აგოს პასუხი სისხლისსამართლებრივი წესით.

სისხლის სამართლის კანონში არ არის შემოსაზღვრული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებობის მაქსიმალური ასაკი, მაგრამ ასაკობრივად ხნიერ პირთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს ცალკეული სასჯელის სახის გამოყენების განსაზღვრული ჩარჩოები.

ასე მაგალითად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და თავისუფლების შეზღუდვა არ დაენიშნება საპენსიო ასაკს მიღწეულ პირს (ქალებს 60 წლისას და მამაკაცებს 65 წლისას). უფადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

11.3. შეურაცხადობის ცნება, შეურაცხაობის ცნება და კრიტერიუმები, შეურაცხაობის სახეები

ახალი კოდექსის სიახლეა ის, რომ შეურაცხაობა მოცემულია გვარეობითი ცნების სახით კერძოდ, სსკ-ის 33-ე, 34-ე მუხლებიდან გამომდინარე, იგი თავის თავში მოიცავს ორ მომენტს: **შეურაცხაობას ასაკის გამო და შეურაცხაობას ფსიქიკური მდგომარეობის გამო**. პირველი მათგანის მიხედვით შეურაცხაობა დგინდება პოზიტიურ-სამართლებრივად, ხოლო მეორეთი -სამედიცინო-ფსიქოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით.

სსკ-ის 33-ე და 34-ე მუხლებში შეურაცხაობა განსაზ-

ღვრულია ნეგატიურად. მაგალითად, 33-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი. შესაძლებელია იგივე შინაასრისის პოზიტიურად ფორმულირება, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი.

შეურაცხაობის საკითხის გადანყვეტის დროს მნიშვნელოვანია პირის მდგომარეობა ქმედების ჩადენის დროს, ხოლო მის ფსიქიკურ მდგომარეობას შედეგის დადგომის დროს შეურაცხაობის საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელობა არა აქვს. ამის შესახებ შეურაცხაობის განსაზღვრისას (სსკ-ის 33-ე და 34-ე მუხლები) მითითებულია თვით კოდექსში.

ქართული კოდექსის მიხედვით, თავის მხრივ, შეურაცხაობა დგინდება ორ ინტელექტუალურ და ემოციურ მომენტზე დაყრდნობით. კანონმდებელი მნიშვნელობას ანიჭებს იმ მომენტს, რომ პირი შეურაცხადია არა მარტო მაშინ, როცა იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ინტელექტუალურად სწორად არ იყო ჩამოყალიბებული, კერძოდ, ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, არამედ მაშინაც, როცა არ შეეძლო ეხელმძღვანელა მისთვის. არსებობს ისეთი ფსიქიკური დაავადებები, რომლებიც ავადმყოფის ინტელექტს არ ხელყოფენ, მაგრამ პირის უნარს, იმოქმედოს ინტელექტის შესაბამისად, სრულად არღვევენ. ამის გამო, დღეს შეურაცხაობის საკითხის გადანყვეტის დროს ყურადღებას აქცევენ ორივე მომენტს, როგორც ინტელექტუალურს, ასევე ემოციურ (ანუ ვოლუნტატიურს). თუ ამ

ორიდან პირის ერთი უნარი მაინც იქნა დარღვეული, ასეთ შემთხვევაში ქმედება ინდივიდუალურად არ შეერაცხება.³⁵⁶

11.4. შეურაცხაობა ასაკის გამო

14 წლის ასაკამდე პირს ბრალად არ შეერაცხება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ე.ი **ახალი კოდექსით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნებისმიერი დანაშაულისათვის დგება 14 წლის ასაკიდან.**

შეურაცხაობის გამომწვევი გარემოებებიდან ერთ-ერთი არის მცირეწლოვანება, ანუ 14 წელს მიუღწევლობა, ადამიანის ძირითადი ფსიქიკური ფუნქციების (მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება და ა.შ.) განვითარება უკავშირდება გარკვეული ასაკის მიღწევას. ამიტომ მცირეწლოვანს ეს ფუნქციები არასათანადოდ, ან შეიძლება ითქვას არასაკმარისად აქვს განვითარებული, რაც შეუძლებელს ხდის მის მიერ საკუთარ მოქმედებათა თუ სიტუაციათა ადეკვატურ აღქმას, გაცნობიერებას, კონტროლს და ა.შ. როგორც ცნობილია მცირეწლოვანები გამოირჩევიან შთაგონებით, მათ ხშირად უჭირთ ყურადღების კონცენტრაცია, ახასიათებთ ინტერესთა მოთხოვნილებათა სწრაფი ცვალებადობა, მათი უმაღლვე დაკმაყოფილების სურვილი და ა.შ. ყოველივე ეს გამორიცხავს მათთვის ქმედების ბრალად შეერაცხვის შესაძლებლობას. ამიტომ მცირეწლოვანი შეურაცხადია.³⁵⁷

იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რატომ უკავშირდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 14 წლის ასაკს, აუცილებელია მივმართოთ ფსიქოლოგიის, ფიზიოლო-

³⁵⁶ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 212

³⁵⁷ ა, გორგიძე, შეზღუდული შეერაცხადობა (სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები), თბ., 2014, გვ. 84

გიის, სოციოლოგიის და სხვა ემცნიერებათა მონაცემებს.

როცა ასაკზე საუბრობენ, განსახვავებენ ქრონოლოგიურ, ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასაკს.³⁵⁸

ქრონოლოგიურ ასაკში იგულისხმება ადამიანის მიერ ნაცხოვრები დროის ხანგრძლივობა. ბიოლოგიურ ასაკში გულისხმობენ ორგანიზმის ფუნქციონალურ მდგომარეობას, რომელიც შესაძლოა არ ემთხვეოდეს ქრონოლოგიურ ასაკს, რადგან ბიოლოგიურად ორგანიზმი შეიძლება გამოიყურებოდეს უფრო ახალგაზრდულად ან უფრო მხრცოვნად. ვიდრე მისი ქრონოლოგიური ასაკია. ბიოლოგიურ ასაკს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვს. ფსიქოლოგიურ ასაკში ესმით ფსიქიკური განვითარების განსხვავებული ასაკობრივი პერიოდები, რომელიც თავისი მაჩვენებლებით შეიძლება შეესაბამებოდეს, ან არ შეესაბამებოდეს ქრონოლოგიური ასაკის შესაბამისად, ფსიქოლოგიაში მიღებულ ასაკობრივ ჯგუფებს.³⁵⁹

„როგორც ფსიქოლოგები და ფიზიოლოგები მიუთითებენ 14-16 წლის ასაკისათვის ადამიანის განვითარებაში ხდება სერიოზული ცვლილებები. ამ ასაკს „გარდატეხის ასაკს“ უწოდებენ, შეიმჩნევა ფიზიოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი და აშკარა ცვლილება. კერძოდ, როგორც ფსიქოლოგიაში აღნიშნავენ ხდება ადამიანის ინტელექტუალური სფეროს ისეთი ფუნქციების განვითარება, როგორიცაა აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება და ა.შ.

მამასადამე, 14 წლის არასრულწლოვნის ფიზიოლოგიური, ინტელექტუალური, ნებელობითი განვითარების დონე ზოგ შემთხვევაში არ არის საკმარისი სისხლისსამართ-

³⁵⁸ მ. ზერეკიძე, შეურაცხაობა ასაკისა და ფსიქიკური მდგომარეობის გამო, სამაგისტრო ნაშრომი, თბ., 2009, გვ.21

³⁵⁹ ა, გორგიძე, შეზღუდული შერაცხაობა (სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები), თბ., 2014, გვ. 73

ლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. სწორედ იმ გარემოებიდან გამომდინარე, 14-16 წლის ასაკის არასრულწლოვანი იმყოფება „გარდატეხის ასაკში“ და ხშირ შემთხვევაში ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული მის მიერ განხორციელებული მოქმედების/უმოქმედობის ნეგატიური შემდეგი თავისი თავისთვის ან/საზოგადოებისთვის.

ქართულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში დ.უზნაძე ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანთა „სქესობრივ მომწიფებულობის პერიოდზე“ ანუ ე.წ. „გარდატეხის პერიოდზე“. მისი მტკიცებით, ეს არის პერიოდი, როცა მოზარდის ყურადღების კონცენტრაცია ქვეითდება. „გარდატეხის პერიოდი“ და ამ პერიოდის სოციოლიზაცია მკაცრად განსაზღვრავს პიროვნების ჩამოყალიბებას; ამ პერიოდში მოზარდში ხდება ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური „გარდატეხა.“³⁶⁰

გარდატეხის პერიოდში მოზარდის ორგანიზმში მიმდინარე პროცესები დიდ გავლენას ახდენს მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ამ პერიოდის განმავლობაში მოზარდს აღენიშნება ხშირი უხასიათობა, ხასიათის უცაბედი გაუარესება ან პირიქით, სურვილთა მრავალფეროვნება ზედმეტი ემოციურობა, საქმის მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება, გულმავინყობა, ფანტაზიორობა, წინდაუხედაობა, გადანყვეტილების მიღების გართულება და როგორც უკვე აღინიშნა მოზღვავებული ენერგია. ამ პერიოდში არასრულწლოვანს არ გააჩნია ემოციების მოთოკვის შესაძლებლობა და ზედმეტად იმპულსურები არიან. ამავე დროს მნიშვნელოვანია კვლევის იმ შედეგებისათვის ანგარიშის განწევა, რომელიც ადასტურებს, რომ მოზარდები და ზრდასრული

³⁶⁰ მ.ზერეკიძე, შეურაცხაობა ასაკისა და ფსიქიკური მდგომარეობის გამო, სამაგისტრო ნაშრომი, თბ., 2009, გვ.22

ადამიანები ემოციებს ტვინის სხვადასხვა სფეროები გადაამუშავებენ. სწორედ ამ ზემოგანხილულ არასრულწლოვანთა ბიოფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელშიც მოზარდი იმყოფება გარდატეხის ასაკში,“ მოზარდის ნებით თუ უნებლიედ ახლავს ისეთი შედეგები, რომელიც მოზარდის ბიოლოგიური „მომნიფების“ შედეგია.³⁶¹

აღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგ განმარტებას აკეთებს „თბილისის სააპელაციო სასამართლო 2015 წლის 25 თებერვლის განჩინებაში საქმე N1/გ/178-15 „საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ სასამართლომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ის, რომ არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს, მისი განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მათი ზეგავლენის ერთგავრი შედეგია, ხოლო თავად არასრულწლოვანი ძალიან მგრძობიარეა მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატის და მიმდინარე მოვლენების მიმართ. ზოგადად, არასრულწლოვან დამნაშავეებს, გამონაკლისის გარდა, სრულწლოვან დამნაშავეებთან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის მთლიანად სრულყოფილად გაცნობიერება, რაც ზოგიერთი მოზარდის მცირე ასაკს ან არასაკმარისი ინტელექტუალური მომზადების ან გამოუცდლობასთან არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ (სასამართლომ, პროკურატურამ) პოზიტიური როლი ითამაშოს არასრულწლოვანი დამნაშავე პირების ხელახალი აღზრდისათვის ხელის

³⁶¹ ი, ხერხეულიძე, არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, თსუ, სამართლის ჟურნალი, N2, გვ 298

შენყობასა და მათი რესოციალიზაციის მიზნით.³⁶²

უნდა აღინიშნოს ის, რომა არსრულწლოვნება 14-დან 18 წლამდე არის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოება და წარმოადგენს შემცირებული შერაცხვის საფუძველს. ხოლო მცირეწლოვნება 14 წალმდე კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას. „ეს განპირობებულია იმით, რომ არასრულწლოვნებს არასაკმარისად აქვთ გაცნობიერებული დანაშაულის ჩადენის მომენტი, რაც ერთის მხრივ დაკავშირებულია ინტელექტურლუი განვითარების დაბალ დონესთან და მეორეს მხრივ ფსიქიკურ პროცესთან, რომელიც თავისებურად მიმდინარეობს“. ³⁶³

ზოგადად, სასამართლოს პრეროგატივას უნდა წარმოადგენს პირის შერაცხადობის დადგენა, მაგრამ კანონმდებელმა ასაკი თვითონ განსაზღვრა იმპერატიულად 14 წელი. შესაბამისად, თუ პირს აღნიშნული ასაკისთვის არ მიუღწევია და მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყება ან/და დაწყებული დევნა შეწყდება. აღნიშნული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა ქვეპუნქტის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ: პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ასაკის დადგენის დროს კიდევ ერთი გარემოება იპყ-

³⁶² იხ.თბილისის სააპელაციო სასამართლო 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება საქმეზე №გ/178-15

³⁶³ რ.კვარაცხელია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის, თბ., 2010, გვ.180

რობს ყურადღებას. დაბადების დღე მხედველობაში არ მიიღება. ვთქვათ, სისხლისსამართლებრივი უმართლობა ჩადენილია დაბადების დღეს-10 მაისს. მოქმედი პასუხს აგებს მეორე დღიდან ანუ 10 მაისის ღამის 12 საათის შემდეგ, ე.ი. პასუხს აგებს 11 მაისის მდგომარეობით.³⁶⁴

11.5 შეურაცხადობა ფსიქიკური დაავადების გამო

სსკ-ის 34-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ ფსიქიკურად დაავადებულ პირს, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობის შინაარსი, ანდა შეეძლო გაეცნობიერებინა, მაგრამ არ ჰქონდა სხვაგვარად მოქმედების უნარი, არ შეერაცხება ბრალად მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

სსკ-ის 34-ე მუხლში მოცემულია იმ ფსიქიკური დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც გამორიცხავენ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალად შერაცხვას. აქ მოცემულია ამ დაავადებათა მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალი: **ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა, ფსიქიკის დროებითი აშლილობა, ჭკუასუსტობა ან სხვა ფსიქიკური დაავადება.**³⁶⁵

ეს ის დაავადებებია, რომლებიც ინვევენ ფსიქიკურ აშლილობას. ადამიანის ფსიქიკა ორ მთავარ სფეროს მოცავს 1. ცნობიერებას და 2. ნებელობას. 34-ე მუხლში ნათქვამია, რომ შეურაცხადია ის, ვისაც „ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მარ-

³⁶⁴ რ.კვარაცხელია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის, თბ., 2010, გვ.180

³⁶⁵ ზ. პატაშური, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, თბ., 2005, გვ.109

თლწინააღმდეგობა“. „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ ბრალის აუცილებელი ელემენტია. ადამიანი რომ გაკიცხო ჩადენილი ქცევის გამო, აუცილებელია დადგინეს, რომ მან იცოდა თავისი ქცევის მართლწინააღმდეგობა, ესე იგი გასაკიცხობა და მაინც იმოქმედა. ანდა, მართალია, მას არ ჰქონდა შეცნობილი, რომ მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ, მაგრამ შეეძლო ამის შეცნობა (გაუფრთხილებლობა) ჰქონდა ამის უნარი.³⁶⁶

მაგრამ კანონმდებლის აზრი ამ შემთხვევაში ფართოდ უნდა გავიგოთ, ადამიანის ცნობიერება ფსიქიკური დავადების გამო ზოგჯერ შეიძლება ისე იყოს მოშლილი, რომ მას თავისი მოქმედების არათუ მართლწინააღმდეგობის, არამედ ფაქტობრივი გარემოებების შეცნობის უნარიც კი არ ჰქონდეს. როცა ადამიანს არა აქვს უნარი შეიცნოს თავისი ქმედების ფაქტობრივი გარემოება, მაშინ ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის შეცნობის უნარზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ცნობიერების უნარის მოშლისას ნებელობაზე აღარ ვლაპარაკობთ, რადგან ფაქტობრივი გარემოების და მართლწინააღმდეგობის შეცნობის უნარი ნებელობის უნარის საფუძველია. ნებელობის მოშლა იმას ნიშნავს, რომ ადამიანს წართმეული აქვს სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა (არ ჰქონდა უნარი ემოქმედა სხვაგვარად, 34-ე მუხლი), რაც გვართმევს მომქედის გაკიცხვის უფლებას ჩადენილი უმართლობის გამო, და მაშასადამე, გამორიცხავს ბრალს.

კანონი შეურაცხადობას უკავშირებს ორ წინაპირობას: თავდაპირველად, **ემპირიულად უნდა დადგინდეს რომ სახეზეა ფსიქიკური ავადმყოფობის მომენტი** (შეურაცხადობის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური კომპონენტი). ამის შემდეგ

³⁶⁶ თ.დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 339

სამართლებრივ-შეფასებითი მეთოდით უნდა დადგინდეს, რომ **პირს არ ჰქონდა სხვაგვარად მოქმედების უნარი** (შეურაცხადობის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული კომპონენტი).

შეურაცხადობის განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ შეურაცხაობა დაკავშირებულია ფსიქიკურ დაავადებასთან, ანუ შეურაცხაობის საკითხი დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს ახასიათებს ფსიქიკის დეფექტი. რა თქმა უნდა, შეურაცხაობა უკავშირდება ფსიქიკურ დაავადებას და ძალიან ხშირად ფსიქიკური დაავადება არის მიზეზი შეურაცხაობისა, მაგრამ არ შეიძლება დავიყვანოთ ფსიქიკურ დაავადებაზე, ანუ ფსიქიკური დაავადება არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზი შეურაცხაობისა.

შეურაცხაობა ფართო ცნებაა და ის შეიძლება ეფუძნებოდეს სხვადასხვა მოვლენებს, შეურაცხია ყველა, ვისაც ამა თუ იმ გარემოების გამო მის მიერ ჩადენილი უმართლობა ბრალად არ შეერაცხება. ეს გარემოებებია. მაგალითად, მცირეწლოვნება, ფსიქიკური დაავადება, საპატიო შეცდომები და სხვა.³⁶⁷

აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია უცხოელ ავტორთა განმარტება :რ. მიხევეი მიიჩნევს, რომ შეურაცხაობა არის ისეთი მდგომარეობა, რომელიც გამორიცხავს ბრალს და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და არა პირის უნარს დანაშაულის ჩადენის დროს გააცნობიეროს ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება ან/და უხელმძღვანელოს მას, რაც გამონვეულია ქრონიკული ფსიქიკური დაავადებით, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობით, ჭკუასუსტობით ან სხვა დავადებით.

ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი რუსი ფსიქიატრის

³⁶⁷ ა.გიორგაძე, შეზღუდული შეურაცხადობა (სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები), თბ., 2014, გვ.80

ვ.სერბსკის მოსაზრება, იგი ამბობს „ადამიანი იმიტომ კი არ ხდება შუერაცხი, რომ ავადაა, არამედ იმიტომ რომ ავადმყოფობა უსპობს მას აზროვნებისა და მოქმედების არჩევის თავისუფლებას.“ აქედან გამომდინარე, შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ, რომ ფსიქიკური დაავადება ერთ-ერთი მიზეზია შუერაცხაობისა. განა სულერთი არაა, რა მოუსპობს ადამიანს მოქმედების გაცნობიერების, თუ თავისუფალი არჩევანის უნარს. ფსიქიკური დაავადება თუ სხვა რაიმე გარემოება. ყველა ასეთ შემთხვევაში პირი შუერაცხადად უნდა ვცნოთ.³⁶⁸

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 105-ე მე-2 ნაწილი სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ: „პირი დანაშაულის ჩადენისას შუერაცხი იყო, რაც დადასტურებულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით“. აქაც „შუერაცხაობაში“ 34-ე მუხლის ფსიქიკური შუერაცხაობა იგულისხმება, რაც ტერმინოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მიზეზით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი 2016 წელს წარმოადგენდა ხუთს, ხოლო 2017 წელს ოთხი ბრალდებული გათავისუფლდა შუერაცხაობის მიზეზით ფსიქიკური დაავადების გამო.³⁶⁹

34-ე მუხლის მე-3 ნაწილი, „თუ დანაშაული შერაცხადმა პირმა ჩაიდინა მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარსებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე

³⁶⁸ ა.გიორგაძე, შეზღუდული შერაცხადობა (სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები), თბ., 201., გვ.90

³⁶⁹ N13/49492 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მათავარი პროკურატურა

მოიხდის შესაბამის სამეციდინო (სამკურნალო) დაწესებულებაში.

კანონმდებლის მიერ შეტანილი ცვლილებით ყურადღება არ ექცევა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ არსებულ ფსიქიკურ მდგომარეობას. „თუ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა მას შეუფარდებენ სასჯელს, რომელიც გამოჯანმრთელებამდე უნდა მოიხადოს სამეციდინო დაწესებულებაში. კანონმდებლის ასეთი პოზიცია არ მიგვაჩნია სწორად, რადგან ამით ვერ მიიღწევა კანონმდებლის მიერ დადგენილი სასჯელის მიზანი.“³⁷⁰

მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს პირი რომ შეურაცხად მდგომარეობაში იყო, უნდა დაადგინოს სასამართლომ. ამის დასადგენად ტარდება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. „ექსპერტის წინაშე ისმევა რამოდენიმე კითხვა: ა) როგორია პირის ფსიქიკური მდგომარეობა დღეისათვის. კერძოდ, დაავადებულია თუ არა იგი რაიმე ფსიქიკური დაავადებით? თუ დაავადებულია, როგორ ხასიათს ატარებს დაავადება და რა სახის მკურნალობა ესაჭიროება მას? ბ) შეუძლია თუ არა პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო სწორი ჩვენების მიცემა და საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება? გ) მოსალოდნელია თუ არა ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა კვლავ ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება? დ) შეეძლო თუ არა პირს ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენის დროს გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლსაწინააღმდეგობა ან/და ეხელმძღვანელა მისთვის. ეს ის მცირე ჩამონათვალია, რომელიც როგორც წესი ექსპერტს წარედგინება გამოკვლევის დროს.

შეურაცხაობის საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია

³⁷⁰ რ, კვარაცხელია, სისხლისსამართლებრივი „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის“, თბ., 2010, გვ.183

აღნიშნული საკითხის მთავარი არსი, ამ დროს ბრალდებულს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისთვის სასჯელი არ შეეფარდება.

11.6. შეზღუდული შერაცხადობა

სსკ-ის 35-ე მუხლის მიხედვით, შეზღუდული შერაცხადობა არის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და არა მისი გამომირიცხველი გარემოება.

შეზღუდული შერაცხადობა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა პირს ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა და ეკონტროლებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი მხარე ან მართლსაწინააღმდეგო ხასიათი.

სრულწლოვანი შეზღუდული შერაცხადობის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგან შეზღუდული შერაცხადობა არაა შეურაცხაობის ნაირსახეობა, არამედ შერაცხადობის ნაირსახეობაა, ოღონდ რამდენადმე განსხვავებული. შეზღუდული შერაცხადობა სახეზეა მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენის დროს ფსიქიკური დაავადების გამო პირს სრულად არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა სრულყოფილად ეხელმძღვანელა მისთვის. ამდენად კანონმდებელს სსკ-ის 35-ე მუხლში შემოაქვს შეძლადული შერაცხადობის მხოლოდ ერთი ნაირსახეობა – ფსიქიკური დაავადების გამო შეძლადული შერაცხადობა. შეძლადული შერაცხადობის სხვა სახეები კი გაბნეულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვა დასხვა მუხლში, მაგალითად, სსკ-ის 111-ე მუხლი, მკვლელობა უეცარი, ძლ-

იერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, სსკ-ის 112-ე მუხლი დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა.³⁷¹

შეზღუდული შერაცხადობისას არასრულწლოვანი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. სისხლის სამართლის კანონი სასამართლოს ავალდებულებს შეზღუდული შერაცხადობა გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნის დროს. ე.ი. მოქმედებს ე.წ. სასჯელის სავალდებულო შემცირების პრინციპი და არა ე.წ. სასჯელის შესაძლო შემცირების პრინციპი. არასრულწლოვნის მიმართ კი დადგენილია საიხსლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა, ე.ი. მოქმედებს ე.წ. პასუხისმგებლობის შესაძლო გამორიცხვის პრინციპი.³⁷²

11.7. იურიდიული შეცდომა და მისი ზეგავლენა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე

იურიდიული შეცდომის ინსტიტუტი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირმა ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ მას არ ჰქონდა ამის შეგნება. მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა, გარკვეული პირობების არსებობისას, განზრახვის ან საერთოდ ბრალის გამოძირციხველი გარემოება შეიძლება იყოს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, განზრახვა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან: ა) ცოდნა; ბ) სურვილი; გ) მართლწინააღმდეგობის შეგნება.

შეცდომის შემთხვევაში, კანონმდებლის მითითებით

³⁷¹ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.398

³⁷² მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ.217

არ არსებობს მართლწინააღმდეგობის შეგნება, რომელიც მიმდინარეობს პირის არა საკუთარი (განზრახ), არამედ მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

თუ მართლწინააღმდეგობრივი შეგნება არ არსებობს, განზრახვა გამოირიცხება, გამოირიცხება ბრალიც და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

განზრახვის არსებობით გამოირიცხება შეცდომის არსებობა, ხოლო შეცდომის არსებობა გამორიცხავს განზრახვის არარსებობას, რაც ნიშნავს ბრალის გამორიცხვას. იგი შეიძლება იქცეს ბრალის გამომრიცხველ გარემოებად მხოლოდ ერთ შემთხვევაში- როცა შეცდომა მისატყვებელია.

სისხლის სამართალი იცნობს, როგორც ფაქტობრივი შეცდომის, ისე იურიდიული შეცდომის ცნებას. მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შესაძლებელია პირი მოქმედებდეს კანონის არცოდნის საფუძველზე რამაც გამოიწვია უარყოფითი შედეგი, ე.ი. კანონის არცოდნა ხდება შეცდომის საფუძველი, ანუ სახეზეა იურიდიული შეცდომა. იურიდიული შეცდომა ბრალის გამომრიცხველ გარემოებად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა შეცდომა მისატყვებელია.

ცოტა რთულად დგას საკითხი მუხლის მე-2 ნაწილში, სადაც კანონმდებელი შეცდომად მიიჩნევს ქმედებას გამოწვეულს კანონის არცოდნით, რომელიც არც შეიძლება სცოდნოდა პირს. ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის ნიშანია ე.ი. ბლანკეტური (სახანძრო, საბაჟო და ა.შ) ნორმების დარღვევა. დღეისათვის არსებულ საკანონმდებლო ლაბირინთში ყოვლად შეუძლებელია სრულყოფილად ერკვეოდე. თუ პირმა არ იცის სახანძრო უსაფრთხოების წესები, მისი დარღვევით გამოწვეული შეცდომისთვის არ შეიძლება დაისაჯოს, რადგანაც არ არსებობს განზრახვის

ნიშანი -ცოდნა. შესაბამისად გამოირიცხება ბრალიც და ქმედებაც მისატყვევებელი ხდება.

აშშ-ში ისევე როგორც ინგლისში, აღნიშნული საკითხისადმი ტრადიციულად უარყოფითი დამოკიდებულებაა. აღნიშნული საკითხისადმი არაერთგავროვანი დამოკიდებულება განსაკუთრებით მჟღავნდება ამერიკის იურისტებს შორის. ზოგიერთი შტატი შეცდომას არ მიიჩნევს ბრალის გამომრიცხავ გარემოებად, რადგანაც თვლის, რომ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომია და აქედან გამომდინარე ევალება მისი ცოდნა. ზოგიერთი შტატი კი მის არსებობას მთლიანობაში არ გამორიცხავს, მაგრამ ანებს განსაზღვრულ პირობებს. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად, აშშ-ის სამართალში შეცდომა არ გამორიცხავს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, გარდა ზოგიერთი გამო-ონაკლისი შემთხვევისა.

1992 წლამდე იურიდიული შეცდომა არ ითვლებოდა ბრალის გამომრიცხველ გარემოებად საფრანგეთში, რომელიც პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ძირითად ნიშნად მიიჩნევს შეცდომის არსებობის გარდაუვალობას (შეცდომის თავიდან აცილება გამორიცხულია). არ შეიძლება ქმედება გახდეს პასუხისმგებლობის საფუძველი პირისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა სუბიექტის საზღვაო მოგზაურობიდან დაბურნებისათნავე. მაშინ, როცა პირს არ ჰქონდა შესაძლებლობა სცოდნოდა კანონი, რომელიც მას სანგრძლივ მოგზაურობაში ყოფნის დროს იქნა მიღებული და გამოქვეყნებული.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, სასჯელის პრინციპების განმსაზღვრელ თავში, ათავსებს შეცდომის განმსაზღვრელ ნიშნებს. შეცდომა შეიძლება მომდინარეობდეს, როგორც გაუფრთხილებლობით, ისე განზრახი

ქმედებებიდან და ამიტომაც ისჯება შესაბამისად. თუ პირს, ქმედების პროცესში, არ გააჩნია ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება, მოქმედებს არაბრალეულად, თუ მას არ შეეძლო თავიდან აეცილებინა შეცდომა. თუ მას შეეძლო შეცდომის თავიდან აცილება, სასჯელი განესაზღვრება შესაბამისად. გერმანელ კანონმდებელს არ გააჩნია საკითხისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორც საქართველოს კანონმდებელს, გამოსატულს ჩვენს მიერ განსახილველი მუხლის მეორე ნაწილში. ასევე არანაირი მნიშვნელობა არ აქვს შედეგის ხარისხის განსაზღვრას. მოცემული საკითხისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩევა შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი. იმისათვის, რათა მოსამართლემ შეამსუბუქოს სასჯელი ანდა საერთოდ გაათავისუფლოს პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან (საკუთარი შეხედულებისამებრ), საკმარისია, სუბიექტს გააჩნდეს საკმარისი საფუძველი, რომ იგი მოქმედებს არამართსაწინააღმდეგოდ, ასევე თუ პირი მოქმედებს მცდარი წარმოდგენის საფუძველზე, მოსამართლე განსჯის აღნიშნულის გათვალისწინებით (ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება).

მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, აღნიშნული საკითხისადმი მსოფლიოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა.

სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს სამართლებრივი შეცდომის მხოლოდ ერთ სახეს-შეცდომას აკრძალვაში. აკრძალული ქმედება მართლწინააღმდეგო ქმედებაა. ამიტომ შეცდომა აკრძალვაში იმას ნიშნავს, რომ მოქმედმა არ იცის თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, იგი ცდება და ჰგონია, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის, აკრძალული არ არის.³⁷³

³⁷³ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ.220

გავრცელებული გამოთქმა-კანონის უცოდინრობა ადამიანს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს, ეხება სისხლის სამართლის კანონს და არა ნორმას, რომელიც ქმედებას კრძალავს. კანონს ყოველთვის საკანონმდებლო ორგანო, ესე იგი პარლამენტი ადგენს და განსაზღვრავს მისი ძალაში შესვლის წესს. რაც შეეხება ნორმას, რომელსაც დამნაშავე არღვევს, მას შეიძლება სხვა ორგანოც გამოსცემდეს.

სისხლის სამართლის კანონის უცოდინრობა არ გამოიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ როცა ადამიანმა არ იცის, რომ არღვევს ნორმას, მაშინ ის სამართლებრივ სიკეთეს განზრახ არ ხელყოფს. ასეთ დროს ადამიანი ცდება და ჰგონია, რომ სჩადის სამართლით ნებადართულ ქმედებას. მართლწინააღმდეგობის რეალური შეცნობა ბრალის აუცილებელი ელემენტია განზრახვის დროს.

აკრძალვის თვალსაზრისით თუ შევხედავთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ორ სფეროდ შეიძლება გავყოთ: 1. კლასიკური დელიქტები და 2. ეგრეთ წოდებული ბლანკეტური მუხლები. კლასიკურ დელიქტთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა, ყაჩაღობა და სხვა. ბლანკეტური მუხლებისათვის დამახასიათებელია რაიმე წესის დარღვევა (მაგალითად, სსკ-ის 276-ე მუხლი) და სხვა.

სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ქურდობისათვის. მაგრამ ქურდობის მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართლის კანონის გარეთაა. ქურდი არღვევს ნორმას, არ იპარო, მკვლელობის აკრძალვა გამოიხატება ნორმით- არა კაც ჰკლა და სხვა.

რაც შეეხება ბლანკეტურ მუხლებს, იქ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში სპეციალურად დადგენილი წესის დარღვევასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ავტოტრანსპორტი მოძრაობის დროს მძღოლმა უნდა დაიცვას სპეციალური წესი, რომელსაც სისხლის სამართლის კანონი არ ადგენს. აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, არ შეიძლება პირმა თქვას, რომ მან არ იცოდა მკვლევლობის, ქურდობის, გაუპატიურების და სხვა მსგავსი ქმედებების აკრძალვის არსებობა და ამით იმართლოს თავი იურიდიული შეცდომის ფარგლებში (აკრძალვაში შეცდომის ფარგლებში), ამასთან პირს ზედმინევნით ვერ მოვთხოვთ ყველა ნორმატიული აქტის ან კანონის ცოდნას, რომელიც გარვეულ აკრძალვებს აწესებს. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის უნდა დადგინდეს ჰქონდა თუ არა პირს ვალდებულება სცოდნობა დარღვეული კანონის არსებობის შესახებ და თუ ჰქონდა მას ამის შესაძლებლობა. შესაგამისად უნდა გადაწყდეს პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

აკრძალვაში შეცდომა სსკ-ის 36-ე მუხლის მიხედვით ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მისატყვებელია. აქედან გამომდინარეობს, რომ შეცდომა აკრძალვაში ყოველთვის გამორიცხავს განზრახვას, მაგრამ არ გამორიცხავს ბრალს მთლიანად. შეცდომა აკრძალვაში ბრალს იმ შემთხვევაში გამორიცხავს, როცა შეცდომა მისატყვებელია.³⁷⁴

თუ პირმა არ იცის, რომ მისი ქმედება აკრძალულია, ე.ი. არა აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნება, არ დაისჯება მხოლოდ მაშინ, როცა შეცდომა მისატყვებელია. როგორც ავლნიშნეთ, შეცდომა მისატყვებელია იმ შემთხვევაში, როცა შექმნილ ვითარებაში მოქმედმა არ იცოდა და არც შეიძლებო-

³⁷⁴ მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ.320

და სცოდნოდა, რომ აკრძალულ ქმედებას სჩადიოდა. კანონმდებლის სიტყვები „შექმნილ ვითარებაში“ იმას მიგვანიშნებს, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს რა ვითარებაში მოქმედებდა ადამიანი. ამ დროს მხედველობაში მიიღება მოქმედის პიროვნული შესაძლებლობები და შექმნილი ვითარებაც, ესე იგი ის გარემო და ფაქტობრივი მდგომარეობა, სადაც სისხლისსამართლებრივი უმართლობა განხორციელდა. მაგალითად, ა-მ დაარღვია ბლანკეტურ ნორმაში მოცემული ქცევი წესი, რისთვისაც დაწესებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თავი კი იმით იმართლა, რომ არ იცოდა ბლანკეტური ნორმის შინაარსი. ეს შეცდომა შეიძლება მისატყვევებელი იყოს, ვინაიდან პირს შეიძლებოდა არც ცოდნოდა სავალუტო ოპერაციის წესები, შრომის დაცვის წესები, სამუშაოს ნარმოებისას უსაფრთხოების წესები და ა.შ. სწორედ მისატყვევებელი შეცდომაა ბრალის გამომრიცხავი გარემოება, ვინაიდან მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პირს არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა მართლწინააღმდეგობის შეგნება. ე.ი ბრალის პრინციპზე აგებული სისხლის სამართალი ბრმად არ აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პრინციპით: “კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან“, არამედ სასჯელის დაკისრების დროს მართლწინააღმდეგო ქმედების ბრალად შერაჯხვის ერთ-ერთი ძირითად მომენტად მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის დადგენას მიჩნევს. ნარკოტიკული საშუალებასა და ფსიქოტროპულ ნივთიერებასთან მიმართებაში ზოგჯერ მნიშვნელობა აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის დადგენას, წინააღმდეგ შემთხვევაში ნარკოტიკული დანაშაულისათვის განზრახი ბრალის დადგენა შეუძლებელია, რაც გამორიცხავს ამ დანაშაულის არსებობას.

მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე საგადასახადო კოდექსის ცალკეული ნორმების შინაარსის არცოდნა აკრძალვაში შეცდომად ჩათვალა და გადასახადისათვის თავის არიდებაში მსჯავრდებული პირი საბოლოოდ გაამართლა.³⁷⁵

11.8. ბრძანების ან განკარგულების შესრულება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას დააზიანა სამართლებრივი სიკეთე. ასეთი ზიანისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც მართლსაწინააღმდეგო ბრძანება ან განკარგულება გასცა. წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულების შესრულებისათვის პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საერთო წესით, თუ არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი სხვა გარემოება. მაგალითად, ოფიცერი უბრძანებს ჯარისკაცს, მოკლას ვითომ „დივერსანტი“, რომელიც სინამდვილეში მისი ცოლის საყვარელია, რათა მასზე იძიოს შური. ჯარისკაცმა შეასრულა ბრძანება, რითაც დაუშვა მისატყვებელი სამართლებრივი შეცდომა. იგი არ აგებს პასუხს მკვლელობისათვის, ვინაიდან, მას არ ჰქონდა მართლწინააღმდეგობის შეგნება. ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებს ოფიცერი, რომელიც მოქმედებდა შუალობითი ამსრულებლის მდგომარეობაში. მიუტყვებელი შეცდომის დროს ჯარისკაცი პასუხს აგებს გაუფრთხილებლობისათვის.

³⁷⁵ საქართველოს უზენესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2004., გვ.228

კანონში ნახსენები ბრძანება ან განკარგულება უნდა გასცეს უფლებამოსილმა პირმა, ანუ მან ვისაც გააჩნდა ამის იურიდიული უფლება. ბრძანება ან განკარგულება გულისხმობს უფლებამოსილი პირის მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი მოქმედების დავალებას. ძირითადად ბრძანებას ვხვდებით სამხედრო ან გასამხედროებულ სამსახურებში, სადაც მას კანონის ძალა გააჩნია. სამხედრო სამსახურში უფროსი მეთაურის ბრძანება კანონია უმცროსი შემადგენლობისათვის. განსხვავებული მიდგომაა რა თქმა უნდა სამოქალაქო საზოგადოებაში.

ბრძანება ან განკარგულება მაშინაა სავალდებულო, როდესაც ის გაცემულია უფროსის მიერ ქვეშევრდომისათვის უფლებამოსილების ფარგლებში, ბრძანება ან განკარგულება არ არის ამკარად დანაშაულებრივი ხასიათის, ბრძანების ან განკარგულების მიმღებმა არ იცის მისი უკანონობის შესახებ, ხშირ შემთხვევებში ბრძანების გაცემისას უნდა დაცული იყოს სპეციალური კონკრეტული სამსახურისათვის დამახასიათებელი ფორმა, თუმცა მას შეიძლება უბრალოდ სიტყვიერი კომუნიკაციის ფორმა გააჩნდეს. თუ პირმა არ იცის ბრძანების ან განკარგულების დანაშაულებრივი ხასიათი და ისე ასრულებს მას ის პასუხისგებაში არ მიეცემა. ყოველთვის ყურადღება მისაქცევია ასეთ სიტუაციაში იმ მომენტზე გააჩნდა თუ არა პირს შესაძლებლობა მიმხვდარიყო გაეცნობიერებინა ბრძანების ან განკარგულების დანაშაულებრივი ხასიათი. იმ შემთხვევაში თუ დანაშაულებრივი ბრძანება შესრულებულ იქნა წინასწარი შეცნობით, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, როგორც დანაშაულის ამსრულებელს. მაგალითად, ოფიცერმა უბრძანა ჯარისკაცს, რომ მოკლას მისი ცოლის საყვარელი. ჯარისკაცმა იცის

ამის შესახებ და ასრულებს ბრძანებას, ჯარისკაცი ამსრულებელია, ოფიცერი ნამქეზებელი.

სამოქალაქო სფეროში ბრალის გამომრიცხველი განკარგულების შესრულების შემთხვევის საგულისხმო მაგალითს ვხვდებით იურიდიულ ლიტერატურაში ქირურგის და მედდის შემთხვევა. ოპერაციის მსვლელობისას ქირურგმა, რომელსაც პაციენტისადმი შურისძიება ამოძრავებდა, უბრძანა მედდას სასწრაფოდ გაეკეთებინა გარკვეული მედიკამენტის ინიექცია. მედდამ შეასრულა ეს განკარგულება, რადგან ვერაფერი საეჭვო ამაში ვერ დაინახა, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ამ ინიექციის გაკეთება პაციენტისთვის საზიანო იყო, რასაც შედეგად მისი გარდაცვალება მოჰყვა. ასეთ შემთხვევაში ქირურგი პასუხს აგებს, როგორც შუალობითი ამსრულებელი, ხოლო მედდა კი არის „ცოცხალი იარაღი“ მის ხელში. შესაბამისად მედდა არ მიეცემა პასუხისგებაში.³⁷⁶

11.9. ბრალის გამომრიცხავი სხვა გარემოებანი

სსკ-ის 38-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების არსებობას. შეიძლება ესა თუ ის გარემოება კოდექსში სახელდობით არ იყოს მოხსენებული, მაგრამ თუ იგი აკმაყოფილებს ქმედების არაბრალეულობის პირობებს, პირი გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ემყარება თანამედროვე სისხლის სამართლის იმ ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის მიხედვით დასჯად ქმედებათა ჩამონათვალი

³⁷⁶ სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.410

კოდექსში ამომწურავია, ამ ჩამონათვალის გაფართოების უფლება სასამართლოს არა აქვს, ხოლო პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს კანონმდებელი მხოლოდ სანიმუშოდ ჩამოთვლის ცხოვრებაში შეიძლება შეეგზვედეს ბრალის გამომრიცხველი ისეთი გარემოება, რომელიც კოდექსში შეტანილი არ არის. ასეთ დროს მოქმედებას იწყებს ეგრეთ წოდებული სამოსამართლო სამართალი. მართალია, კანონმდებელი პირდაპირ არ ასახელებს ზოგიერთ ისეთ გარემოებას, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას, მაგრამ სასამართლო ამ დროს თვითონ ქმნის სამართალს, თვითონ ადგენს, რომ ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამორიცხულია. სსკ-ის 38-ე მუხლით კანონმდებელი სასამართლოს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ მას ამის უფლება აქვს.

სანიმუშოდ შეგვიძლია დავასახელო ბრალის გამომრიცხველი ისეთი გარემოება, როგორცაა ტრაგიკული კოლიზია, ანუ ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა. 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში იყო მუხლი- „საპატიო უკიდურესი აუცილებლობა“, რომლის მიხედვით „ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს და სხვას დააზიანებს იმ უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვითონ დამზიანებლის ან მისი ახლობლის სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას ან თავისუფლებას, მოქმედებს ბრალის გარეშე, თუკი ეს საფრთხე არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით.“ ამ მუხლის თანახმად სხვისი სიცოცხლის მოსპობა უკიდურესი აუცილებლობის დროს არასოდეს გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას. ამ დროს შეიძლება გამორიცხოს მხოლოდ ბრალი. ამიტომ ეწოდება მას საპა-

ტიო უკიდურესი აუცილებლობა. ეს გარემოება საპატიოა მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვისი სიცოცხლის ხელყოფა ხდება საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის ხარჯზე.

სამწუხაროდ, პროექტის ეს მუხლი შემდეგ პარლამენტ-მა არ დააკანონა. მაგრამ ეს ხელს არ უშლის სასამართლოს, როგორც უკვე ვთქვით, ასეთ ვითარებაში ადამიანი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე. ცხოვრებაში შეიძლება შეგხვდეს სხვაგვარი, დღემდე უცნობი გარემოებაც, რომელიც გამორიცხავს ბრალს. ამ შემთხვევაშიც სასამართლო სსკ-ის 38-ე მუხლზე დაყრდნობით გაათავისუფლებს მოქმედს პასუხისმგებლობისაგან.³⁷⁷

ეს მუხლი გულისხმობს ტრაგიკული კოლიზიის შემთხვევებს, კერძოდ: ბრალეულად არ მოქმედებს ის, ვინც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩაიდენს სამართლებრივი სიკეთის ნაწილის გადასარჩენად, როცა ეს სიკეთე მთლიანობაში დასაღუპავად იყო განწირული.

მაგალითები:

-ნავზე იმყოფება ორი პიროვნება. ორივეს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრება. ასეთ ვითარებაში, თუ ერთი გადაირჩენს სიცოცხლეს მეორის წყალში გადაგდებით, გვექნება ბრალის გამომრიცხველი გარემოება, რადგან ორივე დასაღუპავად იყო განწირული.

-თუ ორ მთამსველელს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრება და ასეთ ვითარებაში მესამე თოკს გადაჭრის იმ მიზნით, რომ ერთ-ერთი მაინც გადაარჩინოს, მისი მოქმედება ვერ ჩაითვლება ბრალეულად.³⁷⁸

³⁷⁷ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მომოხილვა, თბ., 2013, გვ. 234

³⁷⁸ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მომოხილვა, თბ., 2013, გვ. 238

- ოფიცერმა ჯარისკაცს უბრძანა, რომ მოეკლა მისი ცოლის საყვარელი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ორივე მათგანს მოკლავდა. ჯარისკაცი იძულებული იყო ბრძანება შეესრულებინა, (წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე დაიღუპებოდა). ჯარისკაცი იმყოფებოდა ტრაგიკული კოლიზის მდგომარეობაში, რაც ბრალეულობას გამოირიცხავს.

ტრაგიკულ კოლიზიას ადგილი არა აქვს იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად ხელყოფენ იმ სიკეთეს, რომელსაც დაღუპვა არ ემუქრებოდა, მიუხედავად ამ სიკეთეებს შორის არსებული დიდი სხვაობისა, აქედან გამომდინარე, დაუშვებელია მრავალი განწირული ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა, თუნდაც ერთი ისეთი ადამიანის განწირვით, რომელსაც არაფერი ემუქრებოდა. (სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, ერთი ადამიანის სიცოცხლე და მრავალი ადამიანის სიცოცხლე ტოლფასია).³⁷⁹

მაგალითად, ხალხით დატვირთულ ავტობუსს დაღმართში გაუფუჭდა მუხრუჭები. ხრამში ჩავარდნისაგან ან უცილობელი დაღუპვისაგან გადარჩენის ერთადერთი ხსნაა ხრამის პირას მდგარი მსუბუქი ავტომანქანისათვის დაჯახება, რომელშიც ზის მძღოლი. ავტობუსის მძღოლი, რათა გადაარჩინოს მრავალი ადამიანის სიცოცხლე, ეჯახება მსუბუქ ავტომანქანას, რომლის მძღოლი იღუპება (სამაგიეროდ, გადარჩა ავტობუსის მრავალი მგზავრი). ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება ტრაგიკულ კოლიზიას, ანუ ბრალეულობის გამომრიცხავ გარემოებას. ავტობუსის მძღოლი პასუხს აგებს განზრახი მკვლელობისათვის.

ბრალის გამომრიცხველი ზეკანონიკური გარემოე-

³⁷⁹ მ.ტურავა, სისხლისსამართალი, ზოგადი ნაწილის მომხილვა, თბ., 2013, გვ. 242

ბების დადგენა სამოსამართლო სამართალშემოქმედების სფეროა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბევრია დამოკიდებული იმაზე, სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის ინტერპრეტაციის გზით თუ, როგორ გაფართოვდება მისი ფარგლები და განვითარდება აღნიშნული მუხლის გამოყენების პრაქტიკა.

თავი XII – ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე. ერთიანი დანაშაული

ახალ სისხლის სამართლის კოდექსში კანონმდებელმა პირველად მოგვცა ერთიანი დანაშაულის და დანაშაულის სიმრავლის სახეები (საქართველოს სსკ IV და V თავები). ეს პრობლემები ადრე მხოლოდ თეორიული მსჯელობის საგანი იყო, თუმცა პრაქტიკოსები ხშირად აწყდებოდნენ სიძნელეებს ამ საკითხებთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის საჭიროებდა ერთიანი დანაშაულის ცნების განმარტებას და მის გამიჯვნას დანაშაულის სიმრავლისაგან. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ის ფაქტი, რომ 2000 წლის 1 ივნისიდან ამოქმედებულ სისხლის სამართლის კოდექსში ორი თავი დაეთმო აღნიშნულ საკითხებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული სისხლისსამართლებრივი დოქტრინა ამ ინსტიტუტების კვლევას ყოველთვის ჯეროვან ყურადღებას უთმობდა და ამან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერთიანი დანაშაულის ცნების გარკვევასა და მისი ფორმების თეორიულ დასაბუთებაში, ერთიანი დანაშაულის მომიჯნავე სისხლისსამართლებრივი კატეგორიებისაგან გამიჯვნაში.³⁸⁰

დანაშაულის სიმრავლის თითოეული ფორმის სტრუქტურული ელემენტია ერთიანი დანაშაულები. ამავე დროს, ერთიანი დანაშაულების უმრავლესობას რთული შინაგანი სტრუქტურა გააჩნია, რის გამოც საჭირო ხდება მათი გამიჯვნა დანაშაულის სიმრავლისაგან.

ერთიანი დანაშაულის და დანაშაულის სიმრავლის გამიჯვნის პრობლემა სისხლის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემაა. იგი, უპირველეს ყოვლისა,

³⁸⁰ თ.წერეთელი, გ.ტყეშელიაძე. მოძღვრება დანაშაულზე. თბ., 1969, გვ. 248
462

დანაშაულის შესახებ მოძღვრების ნაწილია და შემთხვევითი არ არის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის იმ კარშია განხილული, რომელსაც დანაშაული ეწოდება. თუმცა ეს ინსტიტუტები მჭიდრო კავშირშია სასჯელის პრობლემასთანაც. უფრო მეტიც, დანაშაულის სიმრავლის პრობლემა ჩვენთან დიდხანს სასჯელის დანიშვნის პრობლემის ფარგლებში განიხილებლოდა, მაგრამ ცხადია, ვერავინ უვლიდა გვერდს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმების შემუშავებისას ამ ინსტიტუტის ცალკეულ სახეებს, რომლებშიც ისინი გათვალისწინებული იყო როგორც კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი, ანდა როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება.³⁸¹

სისხლის სამართლის თეორიაში ერთიანი დანაშაულები მათი სტრუქტურის, კონსტრუქციის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად – მარტივ და რთულ დანაშაულებად.

სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს, განვასხვაოთ ერთიანი დანაშაულის ორი სახე: 1) ერთიანი დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სპეციალურ კონსტრუქციას შეესაბამება. მას პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ დანაშაული, რომელსაც მარტივი შემადგენლობის კონსტრუქცია აქვს (მაგალითად, განზრახ მკვლელობა – სსკ-ის 108-ე მუხლი) და რთული შემადგენლობის კონსტრუქციის მქონე ისეთი დანაშაულები, როგორიცაა – შენადგენი დანაშაული (მაგალითად ყაჩაღობა – სსკ-ის 179-ე მუხლი), ალტერნატიული მოქმედებების დანაშაული (მაგალითად, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შექმნა, დამზადება, წარმოება, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა – სსკ-ის 260-

³⁸¹ გ. მამულაშვილი. ერთიანი დანაშაულის ცნება და ფორმები. დისერტაცია, თბ., 1993

ე მმუხლი) და ალტერნატიული შედეგებისაგან შედეგნილი დანაშაული (მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება – სსკ-ის 117-ე მუხლი), აგრეთვე თანამდევი მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული (მაგალითად, მეკობრეობა რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა – სსკ-ის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილი). 2) ერთიანი დანაშაულის მეორე სახეა დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების სპეციალური ფორმაა, მას მიეკუთვნება დენადი და განგრძობადი დანაშაული. ეს უკანასკნელი დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის სპეციალური კონსტრუქციები კი არ არის (რაზეც ზემოთ იყო საუბარი), არამედ ერთიანი დანაშაულის პრაქტიკული განხორციელების (რეალიზაციის) განსაკუთრებული ფორმები.“³⁸²

12.1 დენადი დანაშაული

საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის თანახმად, დენადია ამ კოდექსის ერთ მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება.

ობიექტურად ქმედება მიმართულია სისხლის სამართლის კანონით დაცული ერთი სამართლებრივი სიკეთის (ობიექტის) ხელყოფისაკენ.

დენადი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. მოქმედების შინაარსი მდ-

³⁸² სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყეაბია, თბ., 2016, გვ.429

გომარეობს ერთი დანაშაულის განუწყვეტლივ ჩადენაში. უმოქმედობა კი სავალდებულო მოქმედების ხანგრძლივად შეუსრულებლობაში გამოიხატება.

ამრიგად, დენადი დანაშაულისათვის განმსაზღვრელია ქმედების უწყვეტობა, რომელიც ხასიათდება ხანგრძლივი დანაშაულებრივი მდგომარეობით, ე.ი ერთი განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობა განუწყვეტლივ ხორციელდება.³⁸³

დენადი დანაშაული იწყება დანაშაულებრივი მოქმედების განხორციელების მომენტიდან ან დანაშაულებრივი უმოქმედობის აქტიდან და დამთავრებული დანაშაულის სტადიაზე გრძელდება რამდენიმე ხანს (ხშირად მეტად ხანგრძლივად). დენადი დანაშაული გრძელდება იქამდე, სანამ არ დადგება გარემოებები, რომლებიც გამოიწვევენ მათ შეწყვეტას. მაგალითად, სუბიექტმა თვითონ შეწყვიტა დანაშაულის ჩადენა, სამართალდამცველმა ორგანოებმა დააკავეს დამნაშავე, დანაშაულის შეწყვეტის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს.

დენად დანაშაულებში დანაშაულებრივი მოქმედების დასაწყისი და დასასრული შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს ან შეიძლება დასცილდეს დროში.

დენადი დანაშაული სუბიექტურად ხასიათდება განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. ამ სახის დანაშაული დენადია არა მარტო ობიექტურად, არამედ სუბიექტურადაც. სუბიექტის გონებაში არსებული თავდაპირველი განზრახვა პერმანენტულად მოიპოვება დენადი დანაშაულის შეწყვეტამდე.

მაგალითად: ა-მ დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ მას

³⁸³ ა. კვაშილავა, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი, თბ., 2009, გვ.55-56

იგი არ გამოუყენებია და იარაღი სახლში შეინახა. სწორედ, იარაღის უკანონო შექენა – შენახვიდან ათვლა დაინყო დანაშაულმა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით: „ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა და გასაღება“, რომელიც გრძელდება უწყვეტად ხანგრძლივი დროის განმავლობაში და შეწყდა მაშინ, როდესაც სამართალდამცავ ორგანოებში აღმოაჩინენ იარაღის არსებობას ან კიდევ მისი უკანონო მფლობელი ან ახლობელი ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღს. ნებაყოფლობით ჩააბარება კი გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუ ამ იარაღის საშუალებით სხვა დანაშაულებრივი ქმედება არ იქნა ჩადენილი.

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, დენადი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ე.ი. როცა დანაშაულებრივი მდგომარეობა გრძელდება განუწყვეტლივ, სისხლის სამართლის კანონის შეცვლისას გამოიყენება ახალი კანონი (მნიშვნელობა არა აქვს აძლიერებს თუ ამსუბუქებს იგი პასუხისმგებლობას), რადგანაც დანაშაულებრივი ქმედება გრძელდება ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგაც.

საქართველოს სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, დენადი დანაშაულის დროს დანაშაულის ჩადენის ადგილად უნდა ჩაითვალოს ყველა იმ სახელმწიფოს ტერიტორია, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში ხორციელდება ეს დანაშაული (სუყველგანობის პრინციპი).

საქართველოს სსკ-ის 77-ე მუხლის თანახმად, ამნისტია შეფარდებული იქნება იმ დენად დანაშაულზე, რომელიც

შენყდა მის გამოცემამდე. დენადი დანაშაულის მიმართ კი, რომელიც გრძელდება ამნისტიის გამოსვლის შემდეგაც, ამნისტია არ ვრცელდება.

დენადი დანაშაულის მიმართ საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა გამოიანგარიშება დანაშაულებრივი მდგომარეობის შეწყვეტის დროიდან.

დენადი დანაშაული ხანგრძლივი დროით გრძელდება და ამით განსხვავდება იმ დანაშაულისაგან, რომლებიც მოკლე დროში მთავრდება (მაგალითად, მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ.) ასეთ დენად დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, თავისუფლების უკანონი აღკვეთა (სსკ-ის 143-ე მუხლი), მძევლად ხელში ჩაგდება (სსკ-ის 144-ე მუცლი) განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (სსკ-ის 147-ე მუხლი), უკანონი შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა (სსკ-ის 223-ე მუხლი), ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი), ცეცხლასროლი იარაღის ტარება (სსკ-ის 236-ე მუხლი), დეზერტირობა (სსკ-ის 389-ე მუხლი) და სხვა.³⁸⁴

ზოგიერთი დენადი დანაშაული ისეთია, რომელიც უმოქმედობით იწყება და უმოქმედობითვე გრძელდება. მაგალითად, ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება (სსკ-ის 176-ე მუხლი), გადასახადისათვის თავის არიდება (სსკ-ის 218-ე მუხლი) და სხვა.

დენადი დანაშაულისათვის დამახასიათებელია, მათი ჩადენის ხანგრძლივობა ამ სახის დანაშაული დამთავრებულია, როცა იგი შეწყდება. შეწყდება ეს დანაშაული მხოლოდ მაშინ, როცა ბრალდებულს შეიპყრობს ოფიციალური სახელმწიფო ორგანო, თვითონ გამოცხადდება ბრალის აღი-

³⁸⁴ ა. შენგელია, თ, დოლიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2016, გვ. 42

არებთ, ანდა ისეთ მოქმედებას ჩაიდენს, რაც დანაშაულის ჩადენის შეწყვეტის ტოლფასია.³⁸⁵

მაგალითად, ა, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღს უკანონოდ ატარებდა ეს იარაღი მდინარეში გადააგდო და მისი გამოყენება შეუძლებელი გახდა. დანაშაული დამთავრებული იქნება მაშინაც, თუკი ავთო იარაღის ნებაყოფლობით ჩააბარებს სახელმწიფო ორგანოს (სსკ-ის 236-ე მუხლის შენიშვნა)

დენადი დანაშაულის ჩადენის ხანგრძლივობა ზეგავლენას ახდენს მის დისტანციურობაზეც. მაგალითად, ა-მ, რომელმაც მკვლელობა თბილისში ჩაიდინა და შემდეგ, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით უკრაინაში გაიქცევა, ა მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით აგებს პასუხს. მაგრამ თუკი დებერტირი ქუთაისში მდგარი სამხედრო ნაწილისგან გაიქცევა და თურქეთის ტერიტორიაზე გადავა, ის სუყველგანობის პრინციპის საფუძველზე არა მარტო საქართველოს კანონით, არამედ თურქეთის კანონმდებლობითაცაა პასუხისმგებელი (სსკ-ის მე-4 მუხლი).

რამდენადაც დენადი დანაშაულის ჩადენის დროს ადგილი აქვს დანაშაულის შემადგენლობის განუწყვეტიელ განხორციელებას, ამდენად, როგორც თანაამსრულებლობა, ისე თანამონაწილეობა დენად დანაშაულში შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება არ შეწყდება.³⁸⁶ ეს ისეთი შემთხვევაა, როცა თავდაპირველად დანაშაული მხოლოდ ერთმა პირმა დაიწყო, თანამონაწილე კი კარგა ხნის შემდეგ ჩაერთო. თანამონაწილე, კერძოდ, დამხმარე შეიძლება ყოველთვის

³⁸⁵ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2002, გვ. 192-193

³⁸⁶ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.433-434

ჩაერთოს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩადენაში, მაგრამ მხოლოდ დანაშაულის დამთავრებამდე. მაგალითად, ბანდიტური ჯგუფის წევრი შეიძლება გახდეს ვინმე ამ ჯგუფის შექმნის შემდეგაც, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედების დამთავრებამდე.

12.2 განგრძობადი დანაშაული

ერთიანი დანაშაულის მეორე სახეა განგრძობადი დანაშაული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლში, პირველად, საკანონმდებლო წესით მოცემულია განგრძობადი დანაშაულის ცნების განმარტება. კერძოდ, განგრძობადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნით და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას.

დროში ხანგრძლივობის მიხედვით განგრძობადი დანაშაული ემსგავსება დენად დანაშაულს, მაგრამ მისთვის დამახასიათებელია ერთიანი მიზნით და საერთო განზრახვით ჩადენილი ფაქტობრივად სხვადასხვა სახის, მაგრამ ერთგავროვანი დანაშაულებრივი ქმედებები.³⁸⁷

ობიექტურად განგრძობადი დანაშაულის დროს პირი იდენს რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებას (ორს ან მეტს). განგრძობადი დანაშაულების უმრავლესობის ჩადენა ხდება მოქმედების გზით, მაგრამ განგრძობადად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი დანაშაულებიც, რომლებიც ჩადენილია, როგორც წმინდა, ისე შერეული უმოქმედობით.

მოქმედება, როგორც განგრძობადი დანაშაულის ჩადენის ძირითადი ფორმა, გარეგნულად გამოიხატება სხეულის

³⁸⁷ თ. ღონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.194-195

მექანიკურ მოძრობაში. მოქმედების გარეგნული გამოხატვის ყველაზე გავრცელებული ფორმაა მოძრაობათა ერთობლიობა, რაც არ გამორიცხავს ცალკე აღებული მოძრაობის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. მაგრამ განგრძობად დანაშაულებასში არ ხდება ცალკე აღებული მოძრაობის იურიდიული შეფასება.

ქმედებები, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან განგრძობად დანაშაულს, შეიძლება განხილულ იქნან დამოუკიდებელ დამთავრებულ დანაშაულებრივ ქმედებებად, მაგრამ ეს ქმედებები წარმოადგენენ მხოლოდ რგოლებს, ეტაპებს იმ ქმედებისა, რომელსაც ეწოდება განგრძობადი დანაშაული. ამიტომ ცალ-ცალკე დამოუკიდებელი იურიდიული შეფასება არ ეძლევათ და ერთობლიობაში განიხილებიან როგორც რთული ერთიანი დანაშაული.

განგრძობადი დანაშაულის დროს ჩადენილი ქმედებები არის იურიდიულად იგივეობრივი, რაც იმას ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა მათი ჩადენისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით. ისინი ემთხვევიან თავიანთი ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობით, თუმცა კი ფაქტიური ნიშნებით ისინი შეიძლება განსხვავდებოდნენ კიდეც ერთმანეთისაგან. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 219-ე მუხლის (მომხმარებლის მოტყუება) დისპოზიციაში ჩამოთვლილი ქმედებები – მომხმარებლის მოტყუება ზომაში, წონაში ან ანგარიშში ერთმანეთისგან გარეგნულად განსხვავდებიან, მაგრამ ისინი წარმოადგენენ ალტერნატიულ სახესხვაობას ერთი დანაშაულის შემადგენლობის, კერძოდ მომხმარებლის მოტყუების.

განგრძობადი დანაშაული იწყება პირველი დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენის მომენტიდან და მთავრდება

ანალოგიური დანაშაულებრივი მოქმედების უკანასკნელად განხორციელებით.

განგრძობადი დანაშაულის შემადგენელი ქმედებები მიმართულია ერთი და იგივე სამართლით დაცული სიკეთის (დანაშაულის ობიექტის) წინააღმდეგ. ისინი ხორციელდება ერთსა და იმავე ვითარებაში და დაკავშირებულია ერთი და იგივე წყაროსთან.

სუბიექტურად განგრძობადი დანაშაულის ყველა აქტი, ხასიათდება ერთიანი მიზნით და საერთო განზრახვით. განზრახვა შეიძლება იყოს კონკრეტიზირებული, მაგრამ განგრძობად დანაშაულებში იგი უმრავლეს შემთხვევაში ატარებს არაკონკრეტიზირებულ (განუსაზღვრელ) ხასიათს (ჩაიდინონ სხვისი ქონების გატაცება ან მოატყუონ მომხმარებელი იქამდე, სანამ აქვთ შესაძლებლობა). განგრძობადი დანაშაული გრძელდება იქამდე, ვიდრე არ იქნება მიღწეული განზრახული შედეგი და ის დამთავრებულად ითვლება ერთიანი მიზნის მისაღწევად ჩადენილი უკანასკნელი ქმედების განხორციელების შემდეგ.³⁸⁸

განგრძობადი დანაშაულის ეპიზოდები არ ხორციელდება უწყვეტად, მათ შორის არის ხანმოკლე დროის მონაკვეთები. წყვეტადობა ახასიათებს განზრახვასაც, მაგრამ წყვეტადობა ახასიათებს არა განზრახვის შინაარსს (ის ერთიანია ყველა ეპიზოდისთვის), არამედ განზრახვის ფორმას.

განგრძობად დანაშაულს სუბიექტი სჩადის მხოლოდ იმიტომ, რომ მისი განზრახვის შინაარსი მოიცავს დანაშაულებრივ ქმედებას მთლიანობაში და არა ამ ქმედების შემავალ მოქმედებებს ცალ-ცალკე. სუბიექტის ნება მიმართულია არა ცალკეული მოქმედების შედეგზე, არამედ ამ მოქმედების ერთობლიობის ფინალურ შედეგზე.

³⁸⁸ თ. ღონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.195-196

მაგალითად, სუპერმარკეტის მოლარემ სალაროდან ერთიანი განზრახვით, ათი დღის განმავლობაში გაიტაცა 500 ლარი. ობიექტური მხარის მიხედვით მისი ქმედება მოიცავს ერთიან განზრახვას მიზეზსა და მოტივს, ამიტომ ჩადენილია არა ათი, არამედ ერთი – ხუთასი ლარის ქურდობა. ე.ი. ქურდობა იწყება ერთი 50 ლარის ქურდობით და მთავრდება 500 ლარის ქურდობით. იმ შემთხვევაში, თუ მას განზარახული ჰქონდა მოპარვა არა 500 არამედ 50 ლარი, მაშინ იქნება არა განგრძობადი, არამედ ჩვეულებრივი დანაშაული, ქურდობა. განგრძობად დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია დანაშაულის პირველ ეპიზოდის ჩადენის შემდეგაც. დამხმარეს შეერაცხება ის ეპიზოდი, რომლის განხორციელებაშიც მან მიიღო მონაწილეობა.³⁸⁹ დენად და განგრძობად დანაშაულს შორის ის განსხვავებაა, რომ დენადი უწყვეტად ხორციელდება დანაშაულებიდან დამთავრებამდე, ხოლო განგრძობადი რამდენიმე წყვეტილი ქმედებისაგან შედგება. მისი ჩადენა რამდენიმე ეპიზოდად ხდება.³⁹⁰

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, განგრძობადი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონის შეცვლისას გამოიყენება ახალი კანონი (არა აქვს მნიშვნელობა ამძიმებს თუ არა იგი პასუხსიმგებლობას), თუკი ახალი სისხლის სამართლის კანონის ძალში შესვლის შედეგად ჩადენილი იქნა განგრძობადი დაშანაულის ერთი აქტი მაინც.³⁹¹

განგრძობადი დანაშაულის მიმართ, საქართველოს სსკ

³⁸⁹ ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი., თბ., 2015, გვ.31

³⁹⁰ ა.კვამლავა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი, კომენტარებით, თბ., 2009, გვ. 57

³⁹¹ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.436

71-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტდიან.

განგრძობადი დანაშაულისას მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტიზირებული განზრახვის არსებობისას, როდესაც ბოროტმოქმედმა ვერ შეძლო ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებით განზრახვა ბოლომდე განხორციელებინა მიელო სასურველი საბოლოო კონკრეტული შედეგი.

ერთიანი დანაშაულის ცნების სწორ განმარტებას და კრიტერიუმების სრულ დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის, არამედ ბრალდებულის დახასიათებისათვის და შესაბამისად სასჯელის დანიშნისათვის, იმის გათვლისწინება თუ პირი რამდენადაა კრიმინალური, ის რომ სუბიექტი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ხანგრძლივი დროს განმავლობაში ან ნაწილ-ნაწილ განხორციელოს თავისი დანაშაულებრივი განზრახვა მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოებისათვის ის წარმოადგენს მომეტებულ საფრთხეს.

12.20. დანაშაულის სიმრავლე

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას პრაქტიკაში მნიშვნელოვანი სიძნელეები წარმოიშობა მაშინ, როცა პირმა ჩაიდინა არა ერთი, არამედ რამდენიმე დანაშაულებრივი ქმედება. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა დანაშაულის სიმრავლის ცნებას. მასში მოცემულია მხოლოდ დანაშაულის სიმრავლის სახეები.

დანაშაულის სიმრავლე არის ერთი პირის მიერ ორი ან მეტი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, რომელთა მიმართ ნასამართლეობა არ არის მოხსნილი ან გაქარწყლებული კა-

ნონით დადგენილი წესით და არ ამონჭურულა სისხლისსამართლებრივი დევნის ვადები.³⁹²

დანაშაულის სიმრავლეს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

ა) თითოეული ქმედება უნდა შეიცავდეს დამოუკიდებელი დანაშაულის და არა სხვა სახის სამართალდარღვევათა ნიშნებს;

ბ) ყველა ქმედება ინარჩუნებს საკუთარ სამართლებრივ შედეგს, ე.ი. თითოეული ქმედება დამოუკიდებლად არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

ორივე ნიშანი ერთობლიობაში საშუალებას იძლევა არა მარტო დადგენილი იქნას დანაშაულის სიმრავლე, არამედ იგი განსხვავებული იქნას ერთიანი დანაშაულისაგან, რომელიც გარეგნულად შეიძლება ჰგავდეს კიდევ დანაშაულის სიმრავლეს.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობა გამოყოფს დანაშაულის სიმრავლის სამ სახეს – არაერთგზისი დანაშაული, დანაშაულთა ერთობლიობა, დანაშაულის რეციდივი, რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი.

12.3 არაერთგზისი დანაშაული

საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლის თანახმად, არაერთგზისი დანაშაული, ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია, ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.

აქ იგულისხმება იგივეობრივი დანაშაულები, რომელთა

³⁹² თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.202

გამო პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით. ეს დანაშაულები ემთხვევიან ერთმანეთს ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებით (მაგალითად, პირმა ჩაიდინა ქურდობა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჩაიდინა კვლავ ქურდობა). რამდენიმე დანაშაულის ჩადენა უფრო მეტ ფიზიკურ, მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებს კანონით დაცულ სიკეთეს, ვიდრე ერთი დანაშაულის ჩადენა და მონაშობს დამნაშავის მომეტებულ საშიშროებაზე. ამიტომ, კანონმდებელი არაერთგზისობას მრავალი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს (მაგალითად, საქართველოს სსკ XXV თავით გათვალისწინებული დანაშაულები – დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ).³⁹³

სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია კოდექსის შესაბამის მუხლში. ე.ი. ლაპარაკია ერთგვაროვანი დანაშაულების ჩადენაზე.

ერთგვაროვანი დანაშაულები ისეთი დანაშაულებია, რომლებიც ხელყოფენ ერთი და იგივე ან მსგავს სამართლებრივ სიკეთეს და ხასიათდებიან ერთნაირი სუბიექტური დამოკიდებულებით (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა და მოტივები).

მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის (ქურდობა) შენიშვნაში მითითებულია, რომ ამ კოდექსის 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული

³⁹³ ა. შენგელია, თ, დოლიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2016, გვ.48

არაერთგზისად ითვლება, თუ მას უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე, 231-ე, და 237--ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, ერთგვაროვანი დანაშაულების ჩადენა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში. განსხვავებით 2007 წლის ივლისამდე მოქმედი კანონისაგან, დღეის მდგომარეობით არაერთგზისობა აუცილებლად დაკავშირებულია ნასამართლობასთან.³⁹⁴

თუ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი არ ითვალისწინებს არაერთგზისობას, როგორც მაკვალიფიცირებულ გარემოებას და ჩადენილია ერთგვაროვანი დანაშაულები, მაშინ ორი ან მეტი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაულთა ერთობლიობა.

გ.ნაჭყებიას სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველო სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში „არაერთგზისი დანაშაული“, უმართებულოდაა დაკავშირებული ნასამართლობასთან, რადგან საკითხის ასეთი განყვეტა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არაერთგზისი დანაშაულის ცნებას. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებულია „ქურდობა არაერთგზის“, ხოლო ამ მუხლის მეორე შენიშვნაში ნათქვამია: „177-ე 186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზის ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.“ როგორც ვხედავთ, საქა-

³⁹⁴ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.436-437

რთველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის ამ ჩამონათვალში საკითხი მუხლების თანმიმდევრობას ეხება და აქ „ნასამართლობა“ საერთოდ არაა ნახსენები.

დანაშაული არ ჩაითვლება არაერთგზისად, თუ:

– პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით დადგენილი წესით გათავისუფლებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მაგალითად, ა) ქმედითი მონანიების გამო (საქართველოს სსკ-ის 68-ე მუხლი); ბ) ვითარების შეცვლის გამო (საქართველოს სსკ-ის 70-ე მუხლი); ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო (საქართველოს სსკ-ის 701-ე მუხლი), გ) ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო (საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლი);

– თუკი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის პირს ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს.

არაერთგზისი დანაშაულის დროს წინა ქმედებისათვის პირი შეიძლება ნასამართლევი იყოს (ნასამართლეობა არ უნდა იყოს გაქარწყლებული ან მოხსნილი) და შეიძლება საერთოდ არ იყოს ნასამართლევი (მხოლოდ არ უნდა იყოს გასული ხანდაზმულობის ვადები) და ისე ჩაიდინოს ორი ან მეტი დანაშაული, რომელთა ჩადენისთვისაც პირი ერთდროულად მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში.³⁹⁵

ზემოთ აღნიშნულ პრობლემასთან პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში სერიოზული საკანონმდებლო ხარვეზი, რომლის გამოსწორება დროული და სამართლიანი იქნებოდა ისეთ ნორმებში როგორცაა სსკ-ის 332-ე მუხლი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. სსკ-ის 333-ე მუხლი

³⁹⁵ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.199

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება; სსკ-ის 338-ე მუხლი ქრთამის აღება; სსკ-ის 340-ე მუხლი კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება. აღნიშნულ ნორმაში ერთერთ მაკვალიფიცირებელ ნიშნად მოცემულია არაერთგზისობა, რაც ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია. სამოხელეო დანაშაულის შემთხვევაში. მოხელის თანამდებობაზე ყოფნა, დანიშვნა, არჩევა და ა.შ. აკრძალულია კანონით და სწორედ აქედან გამომდინარე, ასეთი მოხელე ვერ ან არ ჩაიდენს სამოხელეო დანაშაულს არაერთგზისად. ამასთანავე, მოხელე ან მასთან გათანაბრებული არც მაშინ იქნება სათანადო თანამდებობზე მომუშავე, თუ მან დანაშაული ჩაიდინა და მიესაჯა ძირითადი სასჯელი თავისუფლების აღკვეთა ან თანამდებობის დაკავება. მაშასადამე, უნდა გავიდეს დანიშნული სასჯელთა ვადები, ნასამართლეობის მოხნის ან გაქარწყლების და შემდეგ გადანყდეს მისი ხელახლა, თუ პირველად დანიშვნის საკითხი ამა თუ იმ თანამდებობაზე. ასე, რომ ზემოთ აღნიშნული ნორმებიდან ამოღებულ უნდა იქნას მათი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, არაერთგზისობა და მის ნაცვლად აღნიშნულ მუხლში მიეთითოს ან „დანაშაულის ერთობლიობა“ ან „არაერთხელ“ (თუნდაც შენიშვნის სახით) საერთო წესიდან, როგორც გამონაკლისი, რომელიც არ ვრცელდება აღნიშნული ნორმებზე. ასეთი პირდაპირი, მაგრამ მსგავსი პრეცედენტი არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის მაგალიტად 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში. „განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი არაერთგზის: (გარდა ამ კოდექსის 110-ე 114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკველობისას) ან (სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ე“) ქვეპუნქტით ჯანმრთელობის განზრახ დაიზანება „ჩადენილი“ არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის

110-ე-144 მუხლებით გათვალისწინებული მკვლევლობისა) 144¹ 144² და 143¹-ე მუხლებში იგივე აზრია გაგრძელებული რაც სამოხელეო დანაშაულში, მაგრამ ერთი განსხვავებით, რომ ამ ნორმებში საუბარი მიდის საერთო სუბიექტებზე და სწორედ მასთან მიმართებაში სამართლიანია „არაერთგზისობის“ არსებობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოხელეო დანაშაულში „არაერთგზისობა,“ როგორც ქმედების მაკვალიფიცირებელი ნიშანი უნდა იყოს ჩადებული არა აღნიშნულ ნორმებში, არამედ სსკ-ის 339-ე მუხლში „ქრთამის მიცემა“, სადაც მისი სუბიექტია საერთო.

12.4 დანაშაულთა ერთობლიობა

დანაშაულთა ერთობლიობა გათვალისწინებულია სსკ-ის მე-16 მუხლით. დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისთვის არ ყოფილა მსჯავრდებული. დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს ამ კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს.

დანაშაულთა ერთობლიობის ნიშნებია:

1. ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა;
2. ეს დანაშაულები გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით ან მუხლის ნაწილებით;
3. არც ერთი ამ დანაშაულისათვის პირი ჯერ არ უნდა იყოს მსჯავრდებული.
4. დანაშაულები განხორციელებული უნდა ორი ან

მეტი ქმედებით, რაც ქმნის დანაშაულთა რეალურ ერთობლიობას და ერთი ქმედებით იდეალური ერთობლიობისას.

დანაშაულთა ერთობლიობისას ქმედებათა რიცხვი განსაზღვრავს სახეზეა რეალური თუ იდეალური ერთობლიობა.

რეალური ერთობლიობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც რამდენიმე ქმედებით ხდება სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. იდეალურ ერთობლიობას კი წარმოადგენს ერთი ქმედებით რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის შესრულება.

დანაშაულთა ერთობლიობა პრაქტიკულად შეიძლება შექმნას ქმედებათა მრავალფეროვანმა კომბინაციამ. ის შეიძლება განხორციელდეს, როგორც განზრახ ისე გაუფრთხილებლობით, ქმედების ორივე გამოვლინებით – მოქმედებით და უმოქმედობით, დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულების კომბინაციით – ერთი დანაშაული წარმოადგენდეს დანაშაულის მცდელობას, მეორე დამთავრებულ დანაშაულს, მესამე კი დანაშაულის მომზადებას. იგივე კომბინაციური შერევა შეიძლება დანაშაულში ამსრულებლობა თანამონაწილეობის სახით.

დანაშაულთა ერთობლიობა შეიძლება იყოს, როგორც იურიდიულად ერთგვაროვანი, ისე არაერთგვაროვანი დანაშაულები. დანაშაულთა ერთობლიობას არა მარტო მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც მისი შემადგენელი ქმედებები სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით არის გათვალისწინებული, არამედ მაშინაც, როცა ისინი ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილით არიან გათვალისწინებული. ასეთ დროს მხედველობაში მიიღება ისეთი შემთხვევა, როდესაც შესაბამისი მუხლის სხვადასხვა ნაწილით აღწერილია არა ერთიდაიგივე, არამედ სხვადასხ-

ვა შემადგენლობა.³⁹⁶

დანაშაულთა რეალური ერთობლიობა არის ისეთი შემთხვევა, როცა პირი სვხადასხვა დამოუკიდებელი მოქმედებით (უმოქმედობით) იდენს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ორ ან მეტ დანაშაულს, რომელთაგან არც ერთისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული.

დანაშაულთა რეალური ერთობლიობა შეიძლება შედგებოდეს იგივეობრივი, ერთგვაროვანი ან არაერთგვაროვანი დანაშაულებისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სვხადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით.

განსხვავებით დანაშაულთა იდეალური ერთობლიობისაგან რეალური ერთობლიობისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ჩადენილი ქმედებები არ ემთხვევა ერთმანეთს დროში.

დანაშაულთა ერთობლიობა შესაძლებელია ქმედებათა ნებისმიერი კომბინაციით, შესაბამისად დანაშაულთა რეალურ ერთობლიობად ჩაითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა, რომლის კომპონენტებია დამთავრებული დანაშაულები და დანაშაულის მომზადება ან მცდელობა ან მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულები, ჩანადენი დაკვალიფიცირებული უნდა იქნას დანაშაულთა რეალური ერთობლიობის წესებით. კვალიფიკაციის ფორმულირებაში უნდა აისახოს დაუმთავრებელი დანაშაულებრივი საქმიანობა და დანაშაულში თანამონაწილეობა.

ასეთი კვალიფიკაცია სრულად ასახავს დანაშაულებრივი ქმედების ხასიათს და საშუალებას იძლევა განსაზღვრულ იქნას სასჯელი თითოეული დანაშაულის ჩადენაში პირის ფაქტიური მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის

³⁹⁶ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყეზია, თბ., 2016, გვ.439

გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების (საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლი), აგრეთვე, სსკ-ის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 194 1 -ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 365-ე მუხლის პირველი მე-3 ნაწილებით და 372-ე მუხლის პირველი ნაწილით, 202-ე მუხლის პირველი ნაწილით, 221-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 339¹ -ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების მომზადებისათვის. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ მუხლზე მითითებით. სასჯელის დანიშვნის დროს კი მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.³⁹⁷

დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა შეიძლება წარმოიშვას როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედოთ. ამასთანავე როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა ფაქტიურად შეიძლება ატარებდეს ერთჯერად ხასიათს, ან წარმოადგენდეს ქმედებების სისტემას, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით ისინი ყოველთვის განიხილება, როგორც ერთიანი, ერთჯერადი ქმედება. მაგალითად, განზრახი მკვლელობა სახლისთვის ცეცხლის წაკიდების გზით. დამნაშავე ერთი მოქმედებით, ცეცხლის წაკიდებით ჩაიდენს ორ დანაშაულს

³⁹⁷ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.203 482

– განზრახ მკვლევრობას განსაკუთრებული სისასტიკით და სხვისი ქონების განადგურებას ან დაზიანების ცეცხლის ნაკიდებით.

დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა ხასიათდება ერთიანი დანაშაულებრივი ქმედებით, რომელიც მიზეზობრივად განაპირობებს სხვადასხვაგვარი ან რამდენიმე შედეგის დადგომას და ზიანს აყენებს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლებით დაცულ სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს (ობიექტს). ამასთან მოქმედების (ხელყოფის) უშუალო ობიექტები არ უნდა იყვნენ მთელის და ნაწილის თანაფარდობაში, არამედ იდეალური ერთობლიობის დროს ჩანადენს არ მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ერთი ნორმა და აუცილებელია ორი ან მეტი ნორმის გამოყენება.³⁹⁸

მაგალითად, სხვისი ქონების ქურდობის მიზნით პირი ტყხავს ბინის კარებს, შეაღწევს ბინაში და ფარულად გაიტაცებს ქონებას. სახეზეა ერთი მხრივ სხვისი ქონების ქურდობა ბინაში შეღწევით და მეორე მხრივ სხვისი ქონების დაიზანება, რაც გამოწვეულია კარების გატყვხვით, ზიანი მიადგა ორ სხვადასხვა ობიექტს (იდეალური ერთობლიობა).

შეიძლება ადგილი ჰქონდეს ასეთ შემთხვევასაც. მაგალითად ფარულად გატაცების მიზნით ბრალდებულმა ეზოში მდგარ ავტომანქანას მოხსნა აკუმულატორი. დამნაშავის ერთ მოქმედებაში არის ორი დანაშაულის ნიშნები – აკუმულატორის ქურდობა და ავტომანქანის დაზიანება. მაგრამ აქ არ გვექნება დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა, რადგანაც ზიანი მიადგა მოქმედების უშუალო ორ ობიექტს ავტომანქანას და აკუმულატორს, რომელთა შორის თანაფარდობა ისეთია, როგორც მთელის და ნაწილის. განზ-

³⁹⁸ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.201

რახვის შინაარსის მიხედვით ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც სხვისი ქონების (აკუმულატორის) გატაცება ქურდობით.³⁹⁹

დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა დანაშაულთა არატიპიური შერწყმაა. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი, როგორც წესი, არ ითვალისწინებს მას მაკვალიფიცირებელ ნიშნად. გამონაკლისია საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტი – ორი ან მეტი პირის განზრახი მკვლელობა ჩადენილი ერთი ქმედებით ერთდროულად.

დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა რამდენადმე ემსგავსება სისხლისსამართლებრივი ნორმების კონკურენციას. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში სუბიექტი იდენს ერთ ქმედებას, რომელიც მოიცავს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლით (მუხლის ნაწილით) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობებს. მაგრამ დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის დროს პირი სჩადის ორ დანაშაულს, რომელთაგანაც თითოეული ქმნის დამოუკიდებელ შემადგენლობას და კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლით ან ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილით, ნორმების კონკურენციის დროს კი ხდება მხოლოდ ერთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც მარტოოდენ გარეგნულად, ერთი შეხედვით მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რამდენიმე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემადგენლობებს. ამასთანავე ქმედების კვალიფიკაცია ხდება მხოლოდ კოდექსის ერთ-ერთი მუხლით და სამართალშემფარდებელი პირის ამოცანაა გააკეთოს სწორი არჩევანი. კონკურენციაში მყოფი ნორმები ერთმანეთის

³⁹⁹ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.201-484

მჭიდრო ორგანულ კავშირში იმყოფებიან. თუ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მომენტი სათვალის გაუქმდა ერთ-ერთი ამ ნორმათაგანი, დანაშაულებრივი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მეორე სისხლისსამართლებრივი ნორმით.

საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს წესს, რომელიც გამოიყენება სისხლისსამართლებრივი ნორმების კონკურენციის დროს. თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით.

სპეციალური სისხლისსამართლებრივი ნორმების კონკურენციის შემთხვევაში, პრიორიტეტი უნდა მიეცეს ნორმას, რომელიც ყველაზე მეტად სპეციალურია. მიუხედავად იმისა, როგორ სასჯელს ითვალისწინებს ის – უფრო მსუბუქს თუ უფრო მძიმეს.

რამდენიმე სპეციალური ნორმის კონკურენციის სახეებია-ორი კვალიფიციური შემადგენლობა, ორი პრივილეგირებული შემადგენლობა, აგრეთვე კვალიფიცირებული და პრივილეგირებული შემადგენლობების კონკურენცია.

ორი კვალიფიციური შემადგენლობის დროს უპირატესობა მიეცემა უფრო კვალიფიცირებულ შემადგენლობას, აქ მოქმედებს წესი, რომ სისხლის სამართლის კანონის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს მავნე შედეგების მიყენებისათვის, მოიცავს აგრეთვე ყველა სხვა ნაკლებად ერთგვაროვან მავნე შედეგებს. მაგალითად, თუ ქურდობა ჩადენილია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის რამდენიმე ნაწილით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებაში (მაგალითად: არაერთგზის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი და დიდი ოდენობით – სსკ-ის 177-ე

მუხლის მე-4 ნაწილი), მაშინ ქმედების კვალიფიკაცია მოხდება დასახელებული მუხლის მხოლოდ იმ ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ყველაზე კვალიფიცირებულ ნიშანს, ე.ი საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით (I, II და III ნაწილებზე მითითება არ არის საჭირო). ამასთანავე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ფორმულირებაში აღნიშნული უნდა იქნას ყველა მაკვალიფიცირებელი ნიშანი, რომელსაც მოიცავს ჩადენილი ქმედება.⁴⁰⁰

რამდენიმე პრივილეგირებული შემადგენლობის კონკურენციის დროს უპირატესობა მიეცემა უფრო პრივილეგირებულ შემადგენლობას. მაგალითად, თუ მკვლელობა ჩადენილია რამდენიმე პრივილეგირებულ გარემოებაში უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით, იგი დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით (მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით), ვინაიდან იგი ითვალისწინებს უფრო მსუბუქ სასჯელს.

კვალიფიციური და პრივილეგირებული შემადგენლობების კონკურენციის დროს უპირატესობა მიეცემა პრივილეგირებულ შემადგენლობას, მაგალითად, თუ პირმა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩაიდინა სამი პირის მკვლელობა, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც მკვლელობა ჩადენილი პრივილეგირებული ნიშნით, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის კანონთა მონკურენციასთან მსგავსებისა, რაც განპირობე-

⁴⁰⁰ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.203-204

ბულია იმით, რომ ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ერთი ქმედების შეფასებას, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით არის გათვალისწინებული, მათ შორის ამავე დროს არსებით სხვაობას ვაწყდებით. დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის დროს ბოროტმოქმედი ერთი ქმედებით რამდენიმე დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს, რაც შესაბამისად სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით კვალიფიკაციას საჭიროებს, რადგან არცერთი კანონი მთლიანობაში არ მოიცავს ჩადენილ ქმედებას, შესაბამისად სწორი შეფასებისათვის აუცილებელია რამდენიმე მუხლის ერთობლივად გამოყენება. ნორმათა კონკურენციის შემთხვევაში კი საქმე გვაქვს შეზღუდულ მდგომარეობასთან, საკონკურენციო კანონების ერთობლივად გამოყენება არ შეიძლება, რადგან ასეთ დროს მხოლოდ ერთი დანაშაულია ჩადენილი და მოჩვენებით ერთობლიობასთან გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ქმედება რამდენიმე დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაგრამ კვალიფიკაცია უნდა მოხდეს მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანით, ანუ იმ ნორმით, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს ჩადენილი ქმედების იურიდიულ არსს.⁴⁰¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში მოცემულია დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა დანიშვნის წესი. თავდაპირველად ხდება სასჯელის დანიშვნა თითოეული დანაშაულისათვის, ხოლო შემდეგ დაინიშნება საბოლოო სასჯელი დანაშაულთა ერთობლიობისათვის, ხდება სასჯელთა ნაწილობრივ შეკრება ან სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენება.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსით, გათვალისწინებულია დანაშაულთა ერთობლიობისათვის

⁴⁰¹ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, თბ., 2016, გვ.443

სასჯელის განსაზღვრის მხოლოდ ორი პრინციპი ნაწილობრივ შეკრების პრინციპი და შთანთქმის პრინციპი, მიუხედავად იმისა ადგილი აქვს დანაშაულთა იდეალურ თუ რეალურ ერთობლიობას (ძველი რედაქციით ორი პრინციპი იყო, შთანთქმის და შეკრების).

12.5 დანაშაულის რეციდივი

დანაშაულის რეციდივი გათვალისწინებულია სსკ-ის მე-17 მუხლით. დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

განსხვავებით ძველი კოდექსისაგან ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ლაპარაკია არა რეციდივისტზე, არამედ დანაშაულის რეციდივზე, რაც უფრო მეტად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. კანონმდებლები ხშირად მიიჩნევენ, რომ ნასამართლევი პირი უფრო მეტად შეიძლება იყოს დანაშაულის ხელახლა ჩამდენი, ვიდრე ის, ვინც არ ყოფილა სამართალში. ამიტომ რეციდივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა.

ახალი კანონმდებლობით დანაშაულის რეციდივი წარმოადგენს არა დანაშაულის მაკვალიფიცრებელ გარემოებას, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის სანქციის ფარგლებში უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდების პირობას.⁴⁰²

დანაშაულის რეციდივად ითვლება იმ პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა, რომელსაც გააჩნია ნა-

⁴⁰² ა. კვაშილავა, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი, თბ., 2009, გვ. 66

სამართლეობა წინათ ჩადენილი განზარაბი დანაშაულისათვის.

დანაშაულის რეციდივის დროს, ისევე როგორც დანაშაულის არაერთგზისობის და დანაშაულთა რეალური ერთბლიობის დროს, პირი იდენს ორ ან მეტ ქმედებას, რომელთა შორის თითოეული მათგანი ქმნის დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას.

მეორე დანაშაულს პირი იდენს მას შემდეგ, რაც ის მსჯავრდადებული იქნება ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის, სისხლის სამართალში პირი ითვლება მსჯავრდებულად განაჩენის გამოქვეყნების მომენტიდან. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლას მნიშვნელობა არა აქვს.

თუკი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილია ან გაქარწყლებულია კანონით დადგენილი წესით, ახალი დანაშაულის ჩადენა არ ქმნის დანაშაულის რეციდივს. დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლეობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისათვის სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დანაშაულის რეციდივს ქმნის მხოლოდ განზარაბი დანაშაულები. გაუფრთხილებელი დანაშაულები რეციდივს არ ქმნიან.

ისმის კითხვა – ვალდებულია თუ არა მოსამართლე დაამძიმოს სასჯელი რეციდივის დროს? ახალი კანონმდებლობა სასჯელის ინდივიდიზაციის პრინციპის გავლენით მოსამართლეს არ ზღუდავს რაიმე გარემოებით და სრულ თავისუფლებას ანიჭებს სასჯელის განსაზღვრის დროს.

სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ნასამართლეო-

ბაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, აგრეთვე ამ კოდექსის 55-ე მუხლით ან 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, დანაშაულის რეციდივის დროს მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი. დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელი ვადასულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის სამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის მინიმალურ ვადას.⁴⁰³

12.6 რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი

იურიდიულ ლიტერატურაში რეკეტს განიხილავენ როგორც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ სახეს. ორგანიზებული დამნაშავეობა წარმოიშვა და განვითარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1920-1933 წლებში „მშრალი კანონის“ მოქმედების პერიოდში, რომელმაც აკრძალა ქვეყნის ტერიტორიაზე სპირტიანი სასმელის წარმოება, ტრანსპორტირება და გაყიდვა, უცხოეთიდან ამ სასმელის კონტრაბანდული შემოტანა, მათი უკანონო დამზადება და გაყიდვა. საქმიანობის ეს პირველი სფერო, რომელიც მიუღწეველი იყო კანონიერი ბიზნესისთვის, მონოპოლიზირებული იქნა განგსტერული ბანდების „ბუტლეგერების“ მიერ.

ორგანიზებული დანაშაულის ახლი ფორმებისათვის დამახასიათებელია კიდევ ერთი საერთო ნიშანი – კავშირი პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, იგულისხმება, რასაკვირველია, ფარული კავშირი სხვადასხვა დონეებზე.

⁴⁰³ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.207
490

ასეთი კავშირები წარმოშობს უდიდეს სიძნელებს მართლმსაჯულების განხორციელებაში. მართლმსაჯულებას საქმე ექნება არა მარტო დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან, არამედ ხელისუფლების ორგანიზაციასთანაც, რისთვისაც მართლმსაჯულება არ არის მზად და ამიტომ არ იცის, რომ ის შეიძლება გახდეს ხელისუფალთა მანიპულაციის მსხვერპლი.

საქართველოს სსკ-ის მე-17¹ მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია რეკეტის ცნების განმარტება – რეკეტი არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატიური მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა.⁴⁰⁴

სავსებით ვეთანხმებით თ. დონჯაშვილის მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ დასახელებულ ნორმაში მოცემული რეკეტის ცნება რამდენადმე ბუნდოვანია. საქართველოს სსკ-ის მე-17¹ მუხლი შეტანილია კოდექსის მე-5 თავში (დანაშაულის სიმრავლე), მაგრამ მოცემული ნორმიდან გაურკვეველია თუ კონკრეტულად რომელი განზრახი დანაშაულის ჩადენას უკავშირდება რეკეტი. უნდა დავეთანხმოთ ო. გამყრელიძეს, რომლის აზრით, ზოგადი წარმოდგენით, რეკეტი არის გამოძალვა, რომ სსკ-ის მე-17¹ მუხლის საფუძველზე კანონმდებელმა სსკ-ის 181-ე მუხლს (გამოძალვა) დაუმატა მე-4 ნაწილი – ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენი-

⁴⁰⁴ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ.149

ლი რეკეტირის მიერ. თუმცა რეკეტირის ცნება მოცემული სსკ-ის მე-17¹ მუხლში არ ემთხვევა გამოძალვის ცნებას.⁴⁰⁵

რასაკვირველია, რეკეტის ცნება სიახლეა საქართველოს კანონმდებლობისათვის, მაგრამ სსკ-ის მე-17¹ მუხლში მოცემული მისი ცნების განმარტება არასწორად მიგვაჩნია. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, რეკეტის სამშობლოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეკეტი არის ორგანიზებული დანაშაულის სახე, რეკეტი არის ორგანიზებული გამოძალვა და მეტი არაფერი. ასე რომ საქართველოს სსკ-ის მე-17¹ მუხლის შეტანა კოდექსში ზედმეტად მიგვაჩნია. საკმარისი არის სსკ-ის 181-ე მუხლის მე-4 ნაწილის დამატება შემდეგი შინაარსით: რეკეტი, ანუ ორგანიზებული გამოძალვა, თუმცა კი ასეთ შემთხვევაში ზედმეტი იქნება ამავე მუხლის მესამე ნაწილში არსებული მაკვალიფიცირებული გარემოებები.

რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ასევე უცნობია რეკეტის ინსტიტუტები, თუმცა იგი იცნობს განგრძობად გამოძალვას, რომლის კლასიკურ მაგალითად თვლის მენარმეებისაგან ყოველთვიურად ე.წ. „ხარკის“ აკრეფას. ჩვენის აზრით, აღნიშნული მაგალითი წარმოადგენს სწორედ რეკეტის კლასიკურ მაგალითს.

ამრიგად, საქართველოს სსკ-ის მე-17¹ მუხლის თანახმად, რეკეტი არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება, უმოქმედობა). იგი გამოიხატება არაერთჯერად საქმიანობაში, რაც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან, ე.ი. სახეზეა დანაშაულის სიმრავლე. გარდა ამისა, ის ორგანიზებული საქმიანობაცაა.

რეკეტის მიზანია შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლობის სისტემატიურად მიღება.

⁴⁰⁵ თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ. 2007, გვ.211
492

საქართველოს სსკ-ის მე-17¹ მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია რეკეტირების ძირითადი ნიშნები:

რეკეტირი არის პირი (იგულისხმება როგორც ფიზიური, ისე იურიდიული პირი), რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას, ე.ი. ის არის ამ საქმიანობის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი.

სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში არის ამსრულებელი. დამხმარე, მფარველობს მას და ა.შ. ამასთან, ასეთი პირისათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ეს დაჯგუფება არის რეკეტული.

უკანონოდ წყვეტს ან მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავების გადანყვეტაში. აქ განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ თვით დავები თავიანთი შინაარსით დანაშაულებრივი გარჩევის ხასიათს ატარებს. საქმე გვაქვს დანაშაულებრივი ქმედების ამსრულებთან, ფაქტიურად ამ მუხლის მე-3 ნაწილის აღწერილობის შესაბამისია, რაც იმას ნიშნავს, რომ რეკეტირი იქნება დანაშაულის ამსრულებელი და არა თანამონაწილე ვინრო გაგებთ (წამქეზებელი, დამხმარე).⁴⁰⁶

საქართველოს სსკ-ის 224¹ მუხლის (რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა) თანახმად, სსკ-ის მე-17¹ მუხლის მე-3 ნაწილში დასახელებული ქმედებების ჩადენა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ათ წლამდე.

ამავე მუხლის შენიშვნაში მითითებულია, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

⁴⁰⁶ ო, გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბ., 2015, გვ. 235

სასამართლო პრაქტიკა

მაგალითი I

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის განაჩენით დ.გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განისაზღვრა 13 წლითა და 6 თით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ.გ-ემ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა, იმის მიერ ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

განაჩენი სააპელაციო წესით გააასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა. მათ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 მარტის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

კასატორი- მსჯავრდებული დ.გ-ეს საჩივარში აღნიშნავს, რომ ამოღებული ნარკოტიკი მას არ ეკუთვნოდა, მოთხოვნის მიუხედავად, არ ჩატარდა ექსპერტიზა შეფუთული ნარკოტიკის გარეკანზე თითის ანაბეჭდების არსებობის საკითხის გასარკვევად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. საკასაციო პალატამ შეისწავალა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდ-

გენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგი გარემოებითა გამო:

პალატა ვერ გაიაზრებს კასატორის მოტივს მისი უდანაშაულობის შესახებ, რადგან ამ უკანაქსნელის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარად დასტურდება საქმეში არსებული მასალებით.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები გამოკვლეული და შეფასებულია სრულიად ობიექტურად. ამასთან არასწორადაა გამოყენებული მატერი-ალური კანონი, კერძოდ:

დ.გ-ს ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირდება იმის გამო, რომ იგი ადრე ნასამართლევ იყო ამავე მუხლით. საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია რომ წინათ ნასამართლევი პირის მიერ იმავე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა წარმოადგენს არაერთგზის დანაშაულს. სსკ-ის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი გულისხმობს კოდექსის ამავე თავში მითითებული სხვა, ნებისმიერი დანაშაულის ჩადენას, გარდა 260-ე მუხლით გათვალისწინებულია. ამდენად, დ.გ-ს ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერია ხოლო სასჯელი სამართლიანი.⁴⁰⁷

⁴⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, N365-აპ-09

მაგალითი II

2008 წლის 17 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზესტაფონის რაიონული პროკურორის მოადგილის, პროკურორ ვ.ჭ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 05 ნოემბრის განაჩენზე.⁴⁰⁸

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის განაჩენით:

ბ.შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ბ.ძ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 05 ივლისს ბ.შ-ძე გაასამართლა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია) და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, ხოლო გამოსაცდელ ვადად დაუდგინა 2 წელი, მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 05 ნოემბრის განაჩენით შევიდა შემდეგი ცვლილება:

ბ.შ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

⁴⁰⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N1517-აპ 17 დეკემბერი, 2008.წ.

ზესტაფონის რაიონული პროკურორის მოადგილე, პროკურორი ვ.ჭ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 05 ნოემბრის განაჩენის გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა და მსჯავრდებულ ბ.შ-ძეს, ნაცვლად 1 წლით თავისუფლების აღკვეთისა, არასწრად შეუფარდა სასჯელის ზომად 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

პალატა იზიარებს პროკურორ ვ.ჭ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე და მისი გამკაცრების მიზნით საქმის დაბრუნებას სასამართლოში.

საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის შესაბამისად, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას, რაც მოხდა ბ.შ-ძეს მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისას.

იმავე კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული წესის გათვალისწინებით, რომელიც ძალაში შევიდოდა 2007 წლის 22 ივნისის კანონის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ

არ გამოიყენა საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილი გათვალისწინებული მოთხოვნა და მსჯავრდებულს ნაცვლად 1 წლისა, არასწორად შეუფარდა სასჯელის ზომა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ბ.შ-ძეს სასჯელი დაუნიშნა კანონით დადგენილი წესის დარღვევით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით და დაადგინა, ზესტაფონის რაიონული პროკურორის მოადგილის, პროკურორ ვ.ჭ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 05 ნოემბრის განაჩენი ბ.შ-ძის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.⁴⁰⁹

⁴⁰⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №1517-აპ, 17 დეკემბერი, 2008

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა

საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, 22/10/2009, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22/07/1999 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=229>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 09/10/2009

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=128>

საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ, 12/06/2015 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=17>

საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, 17/07/1998, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31966?publication=33>

საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ 17/10/1997 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=77>

სამეცნიერო შრომები

1. ო.გამყელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005
2. ო.გამყელიძე, სისხლისსამაზრთლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989
3. ო. გამყელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, თბ., 1998
4. ო, გამყელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013
5. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., 2016

6. მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011
7. მ.ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013
8. მ. ტურავა, საქართველო და საერთაშორისო სამართალი, თბ., 2001
9. თ. წერეთელი თანამონაწილეობა დანაშაულში, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2007
10. თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1965
11. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარები, თბ., 1976
12. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010
13. გ.ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2016
14. ლ.გ.კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000
15. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016
16. ა.გიორგაძე, შეზღუდული შერაცხადობა (სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები), თბ., 2014
17. ი. ველესი, ვ.ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., 2010
18. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული, თბ., 2014
19. თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007
20. თ. ფანჯიკიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2003
21. რ. კვარაცხელია, სისხლისსამართლებრივი „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის“, თბ., 2010
22. ი.დვალიძე, გ.თუმანიშვილი, ნ.გვენეტაძე- კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სისხლის სამართალში, თბ.,2016
23. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, ნ.გვენეტაძე, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ., 2006
24. ი.გაბისონია, ჯ.გაბელია, თ.დარსანია., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2018

25. ა.შენგელია, თ.დოლიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2016
26. ა. კვაშილავა., სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2001
27. მ. ივანიძე, სისხლის სამართლის პოლიტიკა, წიგნში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ, 2016
28. ქ.ქოქრაშვილი, იურიდიული პირი სისხლის სამართლის სუბიექტი, (ისტორიული ასპექტები), თბ., 2016
29. ვ.მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2002
30. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011
31. ავტორთა კოლექტივი, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ, 2008
32. გ. ნანეიშვილი. სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992
33. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004
34. ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1997
35. არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწილი პირველი, თბ., 1985
36. გ.ნაჭყებია, პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, თბ., 2015
37. ი. ხერხეულიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, სადოქტორო დისერტაცია, 2010
38. გ.ხუროშვილი, დანაშაულის შემადგენლობის შეფასებითი ნიშნები, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2001
39. ჯ.გაბელია, დანაშაულის მოტივისა და მიზნის დაკმაყოფილების ხერხი, ჟურნალი „თემიდა“ თბ., 2012, 6/8
40. ე.გვენცაძე, ამსრულებლისა და თანამონასწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები., ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“, №1/7,2013
41. ნ. თოდუა, საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი თბ. 2009 წ. N 2/3
42. ო, გამყრელიძე, კანონის ძალაში შესვლის საკითხისათვის, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2001, №4
43. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2002

44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე., 2002, №12
45. N.Hartmann, Teleologisches Denken, Berlin, 1951
46. BAUMAN (WEBER) Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, Tübingen, 1995
47. Adolf Schoumlnke, Strafgesetzbuch.Kommentar, 5 Aufl. MuumlInchen _ Berlin, 1951
48. Liszt-Schmidt, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Berlin-Leipzig, 1932, 26 Aufl
49. Engisch, Der finale Handlungsberiff. Kohlrausch Festschrift, .Berlin, 1944
50. Франц Фон Лист. Задачи уголовной политики. Преступление как социально-патологическое явление. — Москва: Инфра-М, 2008
51. Уголовное право. Общая часть, Под. ред. А.И. Плотникова, Ор., 2016
52. Денисов С.А. Уголовное право. Общая часть, спб., 2017
53. А.С. Григорьев. ЮРИДИЧЕСКАЯ ТЕХНИКА: учебное пособие. Электронное издание. Тюмень: Издательство Тюменского государственного университета, 2015
54. З. Б. Соколов, Теория эквивалентности и правило *conditio sine qua non*, стат. Вестник Московского университета МВД России, № 4, 2012
55. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №266 აპ-14 28 ივლისი., 2014
56. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №391, აპ-14, 28 აპრილი, 2015
57. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N224, აპ- 2005 წ. 28 ივნისი
58. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეჯის საქმე №1/5221, 2.12. 2007
59. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, N365-აპ-09
60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N1517-აპ 17 დეკემბერი, 2008
61. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალმეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, რედ. გურამ ნაჭყებია, თბ., 2012
62. თ. დარსანია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და-

- ნაშაულის მცდელობისათვის, მონოგრაფია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2017
63. ბ. ჯიშკარიანი, „კაზუსები სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილში“ თბილისი 2015
 64. გ. ნაჭყებია, "პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილში თბილისი 2015
 65. ჯ. გაბოკიძე, ზ. მელქაძე, ი. გაბისონია, გ. თოდრია, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბ. 2018
 66. Heinrich, Bernd, Strafrecht-Allgemeiner Teil I, Grundlagen der Strafbarkeit, Aufbau der Straftat beim Vollendungs und Versuchsdelikt, 2. Aufl., Stuttgart 2010
 67. Heinrich, Bernd, Strafrecht-Allgemeiner Teil II, Besondere Erscheinungsformen der Straftat, Unterlassungs und Fahrlässigkeitsdelikte, irrtums, Beteiligungs und Konkurrenzlehre, 2. Aufl., Stuttgart 2010
 68. Otto, Harro, Grundkurs Strafrecht, Allgemeine Strafrechtslehre, 7. Aufl., Berlin/New York 2004.
 69. Puppe, Ingeborg, Strafrecht Allgemeiner Teil im Spiegel der Rechtsprechung, Band 2, Sonderformen des verbrechens, Baden-Baden 2005
 70. Criminal Law Theory: Doktrines of the General Part, Stephen Shute, Andrew Simester, Oxford 2002
 71. Уголовное право Российской Федераций обшая часть, учебник, ред. кол. Л. В. Иногамовой-Хегай, А. И. Рапова, А. И. Чучаева, М. 2008
 72. Уголовное право России обшая часть, ред. В. П. Ревина, М. 2016
 73. Уголовное право обшая часть, ред. В. В. Вектенко, М. 2018
 74. Уголовное право России обшая часть, В. И. Гладких, Р. Д. 2017
 75. Roxin, Claus, Taterschaft und Taterrschaft, 8 Aufl., Berlin 2006
 76. Kienapfel, Diethelm, Frank, Strafrecht, Allgemeiner Teil, Wien 2001
 77. Kindhauser, Urs, Strafrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Berlin 2008
 78. Schonke, Adolf/Schroder, Horst, Strafgesetzbuch, 27. Aufl., Munchen 2006
 79. Roxin, Claus, Strafrecht AT, Band II, Besondere Erscheinungsformen der Straftat, Munchen 2003

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტაფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №47.
№239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com